8

ოსკარ უაილდი

დორიან გრეის პორტრეტი

ოსკარ უაილდი

4Love.Ge

ოსკარ უაილდი

დორიან გრეის პორტრეტი

წინასიტყვაობა

ხელოვანი მშვენიერების შემოქმედია.
გამოვავლინოთ ხელოვნება და დავფაროთ ხელოვანი - აი, ეს არის ხელოვნების მიზანი.
კრიტიკოსი ის არის, ვისაც ძალუძს ახლებურად ან ახალი მასალით გვამცნოს მშვენიერებით მინიჭებული საკუთარი შთაბეჭდილება.
მაღალი თუ მდაბალი კრიტიკის ფორმა ავტობიოგრაფიის ერთ-ერთი სახეობაა.
ისინი, ვინც სილამაზეში მახინჯ მხარეს ჰპოვებენ, ბილწი სულის ადამიანები არიან. და არც მომხიბვლელობა გააჩნიათ.
ისინი, ვისაც შესწევთ უნარი სილამაზის მაღალ აზრს ჩასწვდნენ, განსწავლული ადამიანებია, მათ უიმედოდ ვერ ჩავთვლით.
რჩეული შეიძლება მხოლოდ იმას ვუწოდოთ, ვისთვისაც მშვენიერება მხოლოდ მშვენიერებას ნიშნავს.
არ არსებობს უზნეო ან ზნეობრივად სრულყოფილი წიგნი. წიგნები ან კარგადაა დაწერილი, ან ცუდად. ეს არის და ეს.
მეცხრამეტე საუკუნის რეალიზმისადმი სიძულვილი კალიბანის სიძულვილია, რომელიც საკუთარ თავს ხედავს სარკეში.
მეცხრამეტე საუკუნის რომანტიზმისადმი სიძულვილიც კალიბანის სიძულვილია, რომელიც საკუთარ გამოსახულებას ვერ ხედავს სარკეში.
ადამიანის ზნეობრივი ცხოვრება ხელოვანის შემოქმედების ერთ-ერთი თემაა.
მაგრამ ხელოვნების ეთიკა არასრულყოფილ საშუალებათა სრულყოფილ გამოყენებაში მდგომარეობს.
არც ერთ ხელოვანს არ აქვს სურვილი რაიმე დაამტკიცოს. უდავო ჭეშმარიტებათა მტკიცებაც კი შესაძლებელია.
ხელოვანი ზნეობის მქადაგებელი არ არის. ზნეობის ქადაგებისადმი მიდრეკილება მიუტევებელი მანერულობაა სტილისა.
ნურც ერთ ხელოვანს ნუ დააბრალებთ ავადმყოფურ ტენდენციებს. ხელოვანს უფლება აქვს ყოველივე ასახოს.
აზრი და სიტყვა ხელოვნების საშუალებებს წარმოადგენს.
მანკიერება და სათნოება ხელოვნების მასალაა. ფორმის თვალსაზრისით ყოველგვარი ხელოვნების ნიმუშად მუსიკოსის ხელოვნება უნდა ჩაითვალოს, გრძნობის თვალსაზრისით მსახიობის ოსტატობაა ასეთი ნიმუში.
ყოველგვარი ხელოვნება ერთდროულად ზედაპირიცაა და სიმბოლოც.

ვინც ცდილობს ზედაპირის შიგნით შეიჭრას, თავს საფრთხეში იგდებს. ისიც საფრთხეში იგდებს თავს, ვინც სიმბოლოს ჩაწვდება.
ხელოვნება ცხოვრების სარკე არ არის, ის მხოლოდ მაყურებელს აირეკლავს.
თუ ხელოვნების ნაწარმოები აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაშინ ის ახალი, რთული და სასაცილო რამ ყოფილა.
თუნდაც კრიტიკოსები არ ეთანხმებოდნენ ხელოვანს - ხელოვანი მაინც ეთანხმება თავის თავს.
მანამდე შეგვიძლია მივუტევოთ ადამიანს, რომელიც სასარგებლო საგნებს ქმნის, ვიდრე ის ამით აღტაცებული არ არის. ხოლო მისი ერთადერთი გამართლება, ვინც უსარგებლო საგნებს ქმნის, საკუთარი ქმნილებისადმი დაუცხრომელი სიყვარულია.
ყოველი სახის ხელოვნება უსარგებლოა.
ოსკარ უაილდი

თავი I

ვარდის საამური სურნელებით სავსე იყო სამხატვრო სახელოსნო, მაგრამ ბაღში მსუბუქმა ზაფხულის ნიავმა ხეთა შორის ჩაიქროლა თუ არა, ღია კარიდან სახელოსნოში იასამნის დამათრობელი თუ კიდევ მასზე უფრო უნაზესი, ძოწისფრად აყვავებული კუნელის ყვავილთა კეთილსურნელება შემოიჭრა. ლორდ ჰენრი უოტონი ირანული, ნოხისებური ქსოვილით გადაკრულ დივანზე იწვა და ჩვეულებისამებრ ერთიმეორეზე მიყოლებით აურაცხელ სიგარეტს ეწეოდა. მას ადგილიდანვე შეეძლო თვალი მოეკრა თაფლისფერი და მასავით ტკბილი ოქროწვიმას ახლად გაშლილი ყვავილებისათვის, რომლის მთრთოლვარე ტოტებიც, როგორც ჩანდა, ძლივს იმაგრებდა ამ უტურფესი და ალისფრად მოელვარე მშვენიერების მძიმე ტვირთს. გრძელ ინდურ აბრეშუმის ფარდაზე, რომელიც უზარმაზარ სარკმელს ფარავდა, ფრინველთა ფანტასტიკური ჩრდილები გაიელვებდნენ ხოლმე გადაფრენისას; ეს წამიერად იაპონური სურათების შთაბეჭდილებას ქმნიდა და აიძულებდა მას ეფიქრა იმ ფერმიხდილი, გონჯი სახის ტოკიოელ მხატვრებზე, რომლებიც ხელოვნების საშუალებით ბუნებრივსა და გარდაუვალ უძრაობაში ეძიებენ და გადმოსცემენ სისწრაფესა და მოძრაობას. ფუტკრები სევდის აღმძვრელი ზუზუნით გზას მიიკვლევდნენ მაღალ, გაუთიბავ ბალახში და ერთფეროვნად და დაჟინებით თავს დასტრიალებდნენ აქა-იქ მიმოფანტულ წარწერას ოქროსფერი მტვრით დაფარულ ბუტკოებს. მათი სევდიანი ზუზუნი იქ გამეფებულ მდუმარებას კიდევ უფრო შემაძრწუნებელს ხდიდა. ამ უჩვეულო დუმილში ლონდონის ყრუ გუგუნი შორეთიდან მოღწეული ორგანის ხმას წააგავდა.
ოთახის შუაგულში, შვეულად მდგარ მოლბერტზე განსაცვიფრებელი სილამაზის ახალგაზრდა კაცის მთლიანი პორტრეტი იდგა. მის წინ, ცოტა
_____მოშორებით
თვითონ ის მხატვარი, ბეზილ ჰოლუორდი იჯდა, რომლის უცაბედი გაუჩინარება რამდენიმე წლის წინ საზოგადოების საერთო მღლევარების მიზეზად იქცა და ესოდენი ფანტასტიკური თუ სავარაუდო მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

მხატვარი შეჰყურებდა ამ დიდებულ, ფორმით უნაკლო სურათს, რომელიც მას ასეთი ხელოვნებით დაეხატა, და სიამოვნების ღიმილი გადაურბენდა ხოლმე სახეზე. ჩანდა, სურათის კვალი მის სულში სამუდამოდ აპირებდა დავანებას. მაგრამ აი, ის ზე წამოიჭრა, თვალი მილულა და ქუთუთოებს ხელის თითები ისე შეახო, თითქოს ცდილობდა გონებაში რაღაც უცნაური ოცნება დაეტყვევებინა, რომლისგანაც გამოფხიზლებაც, ეტყობოდა, საშინლად აძრწუნებდა.
- ეს შენი საუკეთესო ნაშრომია, ბეზილ, უკეთესი მათ შორის, რასაც ოდესმე შენი ყალამი შეხებია, - თქვა ლორდ ჰენრიმ გულგრილად. - მომავალ წელს ეს სურათი აუცილებლად გროუვნერში[1] უნდა გაგზავნო. აკადემიაში არ გირჩევ რადგან აკადემია, როგორც იცი, მეტად დიდია და ამავე დროს მდაბიოთათვის ხელმისაწვდომი. თითქმის ყოველთვის, როცა კი იქ ჩავსულვარ, ან იმდენი ხალხი ირევა, რომ ადამიანი სურათებს ვერ დაათვალიერებს და ამაზე ცუდი რა შეიძლება იყოს, ანდა ერთად იმდენი სურათია გამოფენილი, რომ შეუძლებელია საზოგადოება დაათვალიერო, რაც კიდევ უფრო უარესია. გროუვნერი კი სწორედ რომ ერთადერთ შესაფერ ადგილად მიმაჩნია.
- სრულებითაც არ ვაპირებ ამ სურათის სადმე გაგზავნას, - უპასუხა ბეზილმა და ჩვეულების მიხედვით თავი ისე უცნაურად გადახარა უკან, როგორც ოქსფორდში იცოდა ხოლმე, რაც ხშირად სიცილსაც კი იწვევდა მის მეგობრებში. - არა, არსადაც არ გავგზავნი!
ლორდ ჰენრიმ წარბები აზიდა და გამჭირვალე, მოლურჯო ბოლში, რომელიც საოცნებო ჭავლივით ბოლქვ-ბოლქვად ამოდიოდა მისი ოპიუმით დატენილი სიგარეტიდან, გაკვირვებით გააპარა თვალი ბეზილ ჰოლუორდისაკენ.
- არსად გაგზავნი? მაინც რატომ, ჩემო კარგო? ოჰ, რა უცნაური ხალხი ხართ ეს მხატვრები! ამქვეყნად ყველაფერს აკეთებთ, რათა სახელი მოიხვეჭოთ, და როგორც კი მიაღწევთ მას, აღარაფრად მიგაჩნიათ. თქვენი მხრით ეს სისულელეა. თუ ძალიან ცუდი და აუტანელია ის, რომ ადამიანი სალაპარაკო საგნად იქცევა ხოლმე, ის უფრო უარესია, როდესაც მასზე არავინ არაფერს ამბობს. ეს სურათი, ბეზელ, ინგლისის ახალგაზრდა მხატვრებზე ბევრად მაღლა დაგაყენებს. მოხუცებს კი შურს აღუძრავს, თუ მათ კიდევ შესწევთ საერთოდ რაიმე შეგრძნების უნარი.
- ვიცი, დამცინებ, - შეესიტყვა ბეზილი, - მაგრამ გულწრფელად გეუბნები, იმდენი საკუთარი სულიერი ზრახვა და ჩანაფიქრი ჩავაქსოვე მასში, არ შემიძლია სხვის საჭვრეტად ვაქციო გამოფენაზე ეს სურათი.
ლორდ ჰენრი დივანზე გაიჭიმა და გადაიხარხარა.
- ვიცოდი სასაცილოდაც არ გეყოფოდა ეს ამბავი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სრული ჭეშმარიტებაა.
- ოჰ, ბეზილ, მაშ, ესოდენ ბევრია მასში შენი საკუთარი? პატიოსან სიტყვას გაძლევ, გულში ეჭვადაც არასოდეს გამივლია, თუ ასეთი პატივმოყვარე იყავი. მე კი, მართალი მოგახსენო, ვერავითარ მსგავსებას ვერ ვხედავ თქვენ ორს შორის... შენ, შენი ვაჟური სასტიკი სახის ნაკვთებით და ყორნისფერი თმით, სრულიადაც არ ჰგავხარ ამ ღვთაებრივ ახალგაზრდა ადონისს[2]. ის ისე გამოიყურება, თითქოს

სპილოს ძვლისა და ვარდის ფურცლებისაგან შეუქმნიათო. ოჰ, ჩემი ძვირფასო ბეზილ, ის ხომ ნარცისია, და შენ კი... რა თქმა უნდა, თუმცა ზეშთაგონებული სახე გაქვს და სხვა... მაგრამ სილამაზე, ნამდვილი სილამაზე ხომ იქ თავდება, სადაც ზეშთაგონება იწყება. ზეშთაგონება თავისთავად ანომალიის ერთ-ერთი ხერხია და ყველანაირი სახის ჰარმონიულობას აცამტვერებს.
საკმარისია ადამიანი დაჯდეს და ფიქრს მიეცეს, რომ ცხვირი წაუგრძელდება, შუბლი გაუდიდდება ან კიდევ სხვა რამე საშინელება დაემართება, რაც უეჭველად ამახინჯებს მისი სახის ნაკვთებს. აი, დააკვირდი დიდ სწავლულთ, რომელიმე მეცნიერული პროფესიის წარმომადგენელს, რა საოცრად დამახინჯებულნი არიან ისინი! გამონაკლისს მათ შორის ეკლესიის მსახურნი წარმოადგენენ. ისინი ხომ გონებას ძალას არ ატანენ, ოთხმოცი წლის ეპისკოპოსი იმასვე ქადაგებს, რასაც თვრამეტი წლისა ქადაგებდა. რაღა თქმა უნდა, სრულიად ბუნებრივია, რომ მისი სახე სრულყოფილ სილამაზეს და კეთილსახიერებას ინარჩუნებს. შენი იდუმალი ახალგაზრდა მეგობარი, ვისი სახელიც ჩემთან ჯერ არ გიხსენებია, მაგრამ ვისი პორტრეტიც აგრერიგად მატყვევებს და მხიბლავს, ეტყობა, არაფერზე ფიქრობს სრულიად, დარწმუნებული ვარ, ალბათ ის თავცარიელი უმშვენიერესი არსებაა, ვინც ზამთრობითა თუ ზაფხულობით სულ გვერდით უნდა გყავდეს; ზამთრობით იმიტომ, რომ ყვავილების მაგიერ მისი ჭვრეტით დავტკბეთ, ხოლო ზაფხულობით კი მხოლოდ იმის გამო, რომ ზეშთაგონებით გამოწვეული გრძნობანი დაგვიცხრეს. არა, ბეზილ, ცდუნებას ნუ აჰყვები, შენ არაფრით ჰყავხარ მას.
- ვერ გამიგე, ჰარი, - უპასუხა მხატვარმა. - რა თქმა უნდა, ჩვენს შორის არავითარი მსგავსება არ არის. ეს მეც კარგად ვიცი. ჩემთვის, პირიქით, სამწუხაროც კი იქნებოდა, მას რომ ვგავდე. მხრებს იჩეჩავ? მე კი მხოლოდ სიმართლეს მოგახსენებ. ადამიანთა ყოველგვარ ფიზიკურსა და გონებრივ სხვაობას თან სდევს რაღაც ბედისწერა. სწორედ ისეთი ბედისწერა, რომელიც მთელი ისტორიის მანძილზე არ სცილდება და წარმართავს მეფეთა მერყევ ნაბიჯებს. უმჯობესია ადამიანი არაფრით გამოირჩეოდეს სხვებისაგან. ბედი ამ ქვეყნად მახინჯებსა და თავცარიელებს უფრო სწყალობთ. მათ შეუძიათ სრულიად მშვიდად ისხდნენ და პირდაღებულნი შესცქეროდნენ ამქვეყნიურ წარმოდგენას. თუ ის არ უწერიათ, რომ გამარჯვების სიტკბოს ეზიარონ ამქვეყნად, დამარცხებით გამოწვეული უმძიმესი განსაცდელისაგანაც დახსნილნი არიან. ისე ცხოვრობენ, როგორც ჩვენ ყველას უნდა გვეცხოვრა: შეუწუხებლად, გულგრილად და უშფოთველად. ისინი არავის სპობენ ამქვეყნად და არც თვით იღუპებიან სხვისი ხელით. შენი წოდება და სიმდიდრე, ჰარი, ჩემი ნიჭი და ხელოვნება, რაც უნდა უმნიშვნელო იყოს ის, დორიან გრეის სილამაზე - და, ყოველივე ამის გამო, რაც თვით ღმერთმა გვიწყალობა, ოდესმე მწარედ დავიტანჯებით.
- დორიან გრეი? ეს მისი სახელი და გვარია? - იკითხა ლორდ ჰენრიმ და ბეზილ ჰოლუორდისაკენ გაეშურა.
- დიახ, ეგ არის, თუმცა არ მსურდა შენთვის გამემხილა.
- მაინც რატომ?

- ოჰ, არ შემიძლია აგიხსნა. თუ ვინმე ძალიან მიყვარს, მის სახელს არავის ვუმხელ: თითქოს ამით ჩემთვის უძვირფასესი არსების რაიმე ნაწილს მათ ვუზიარებ. გულჩათხრობილი გავხდი, ჰარი, და ყველასაგან ფარულად რაღაც საიდუმლოებას ვინახავ გულში. სწორედ ამის გამო ისე მეჩვენება, თითქოს ეს არის ერთადერთი რამ, რაც ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას ესოდენ იდუმალებით მოცულსა და აგრერიგად განსაცვიფრებელს ხდის. აი, წარმოიდგინე, სრულიად უმნიშვნელო ამბავი, რა მიმზიდველია, როდესაც ვინმე მას საიდუმლოდ ინახავს. ლონდონიდან ყოველთვის ისე მივემგზავრები სადმე შორს, ჩემს გზა-სავალს ახლობლებსაც არ ვუმხელ. თუ გავაგებინე, ასე მგონია, მთელ სიამოვნებას ვკარგავ. რასაკვირველია, იმასაც ვხვდები, რომ ეს სულელური ჩვეულებაა, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში ამას საკმაოდ დიდი რომანტიულობა შემოაქვს. ყოველივე ამას, ვფიქრობ, უდიდეს სისულელედ მითვლი ალბათ.
- სრულებითაც არა, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ. - სრულებითაც არა, ჩემო ძვირფასო ბეზილ. შენ გავიწყდება, რომ მე ცოლიანი ვარ. ქორწინების მთელი მომხიბვლელობაც სწორედ ისაა, რომ ის სიცრუეს გარდაუვალსა და აუცილებელს ხდის ორივე მხარისთვის. მე არასოდეს არ ვიცი, სად არის ჩემი მეუღლე და არც მან იცის, თუ რას ვაკეთებ. თუ ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით, - თუმცა უნდა გამოგიტყდე, ეს ყოველთვის სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად ხდება, აი, მაგალითად თუ ერთად ვსადილობთ ან მთავარს ვესტუმრებით, - მაშინ ჩვენ ერთმანეთს სრულიად სერიოზული სახით საოცარ გამონაგონ ამბებს ვუყვებით. ჩემი ცოლი ამას გაცილებით უკეთესად ახერხებს, ვიდრე მე. ის არასოდეს გრძნობს დაბნეულობას, თუ თარიღები აერია. მე კი, პირიქით, ყოველთვის ყველაფერი ერთმანეთში მერევა. მაგრამ ჩემი მეუღლის უპირატესობა ისაა, რომ თუნდაც ჩემი სიცრუე გამოაშკარავდეს, სცენას არ მიმართავს. ხანდახან კიდეც მინდა ასე მოიქცეს, მაგრამ ის ასეთ შემთხვევაში მხოლოდ უბრალოდ დამცინის.
- ოჰ, ჰარი, როგორ მეჯავრება, როდესაც ასე ცინიკურად ლაპარაკობ შენს პირად ოჯახურ ცხოვრებაზე, - თქვა ბეზილ ჰოლუორდმა და იმ კარისკენ გაემართა, რომელიც ბაღში გადიოდა. - მწამს, რომ შესანიშნავი ქმარი ხარ, მაგრამ უჩვეულოდ მორცხვობ საკუთარ ღირსებათა გამო. საოცარი ყმაწვილი ხარ, ჰარი. არასოდეს ლაპარაკობ ზნეობრივად სრულყოფილი ადამიანის ენით, მაგრამ ცუდს კი არასოდეს სჩადიხარ. შენი ცინიზმი მხოლოდ პოზაა.
- ბუნებრიობა ხომ ნამდვილი პოზაა, და ვიცი, ყველაზე უფრო გამაღიზიანებელი პოზაც, - წამოიძახა ლორდ ჰენრიმ სიცილით და ახალგაზრდები ბაღში გავიდნენ. იქ, მაღალი დაფნის ბუჩქის ჩრდილში გრძელი ლერწმის სკამზე ჩამოსხდნენ. დაფნის პრიალა ფოთლებს მზის სხივები ელამუნებოდა. ბალახებში თეთრი გვირილები თრთოდა.
ცოტა ხნის შემდეგ ლორდ ჰენრიმ საათი ამოიღო და დახედა.
- ჩემი წასვლის დროა, ბეზილ, - ხმადაბლა ჩაილაპარაკა - მაგრამ ვიდრე წავიდოდე, ძალიან გთხოვ მიპასუხო ჩემს წეღანდელ შეკითხვაზე.

- რომელი კითხვაზე? - გაიკვირვა მხატვარმა და თან დაჟინებით ჩააცქერდა მიწას.
- ძალიან კარგად იცი, რომელზედაც.
- არ ვიცი, ჰარი.
- კეთილი, რატომ არ გინდა გამოფენაზე გაგზავნო დორიან გრეის პორტრეტი? მე სიმართლე მაინტერესებს.
- ნამდვილი მიზეზი უკვე გითხარი.
- არა, არ გითქვამს. შენგან მხოლოდ ის შევიტყვე, რომ საკუთარი სულიერი ზრახვა ბევრი ჩაგიქსოვია მასში, მაგრამ ეს ხომ ბავშვობაა ახლა.
- ჰარი, - წარმოთქვა ბეზილ ჰოლუორდმა და თვალი თვალში გაუყარა. - გრძნობით დახატული ყოველი სურათი თვით ხელოვნების სულიერი შთანაფიქრის ანარეკლია და არა ნატურისა. ის, ვისაც ვხატავთ, უბრალო შემთხვევითობაა. ეს მხოლოდ მიზეზია. ვისაც პორტრეტზე ვუმზერთ, ეს ის არ არის, ვინც შემოქმედმა წარმოგვიდგინა. ის, რაღა თქმა უნდა, თვით მხატვარია, დიახ, ეს ის არის, ვინც ფერად ტილოზე საკუთარ თავს ააშკარავებს. მიზეზი, რის გამოც არ ვაპირებ ამ სურათის გამოფენაზე გაგზავნას, ის გახლავთ, რომ ვშიშობ, მე ხომ ჩემი საკუთარი სულის გამოუმჟღავნებელი საიდუმლო ჩავაქსოვე მასში.
ლორდ ჰენრიმ გადაიხარხარა.
- ეს რაღას ნიშნავს? - იკითხა მან.
- რა თქმა უნდა, ახლავე მოგახსენებთ, - წარმოთქვა ჰოლუორდმა, მაგრამ სახეზე დაბნეულობა დაეტყო.
- მოთმინება აღარ მყოფნის, ბეზილ, - განაგრძო ლორდ ჰენრიმ ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მისთვის.
- ოჰ, მაინცდამიანც სათქმელი ბევრი არაფერია, ჰარი, - შეესიტყვა მხატვარი, - ვშიშობ, ძნელად მიმიხვდები, უფრო კი შესაძლებელია, არც დაიჯერო.
ლორდ ჰენრიმ კვლავ გაიცინა; ვარდისფერფურცლიანი ზიზილა მოწყვიტა ბალახებში და სინჯვა დაუწყო.
- დარწმუნებული ვარ, გაგიგებ, - გამოეხმაურა ის მხატვარს, თან თვალმოუშორებლად ჩასცქეროდა პაწაწინა ოქროსფერ თეთრფრთიან დისკოს. - ხოლო რაც შეეხება დარწმუნებას, მე ყველაფერი შემიძლია ვირწმუნო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დაუჯერებელია.
ქარმა ხეებიდან რამდენიმე ყვავილი მოიტაცა. იასამნის ახლად გაშლილი, აკინძულ ვარსკვლავთა მტევნებით დამძიმებული ტოტები ნელ-ნელა შეირხა და ამ უჩვეულო სიჩუმეში აქეთ-იქით ირწეოდა. კედელში კალიამ გააბა ჭრიჭინი, მოგრძო და წვრილმა ჭიაფამ, ყავისფერი სიფრიფანა ფრთებით ცისფერი ძაფივით ჩაიქროლა. ლორდ ჰენრის მოეჩვენა, თითქოს ბეზილ ჰოლუორდის გულის ცემა მოესმა და ცდილობდა გაეგო, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას.
- ამბავი უბრალოდ ასეთია, - ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო მხატვარმა: - ამ ორი თვის წინათ ლედი ბრენდონის ოჯახში გახლდით დიდ შეკრებულობაზე, ჩვენ, საბრალო მხატვრებმა დროდადრო საზოგადოებას უნდა წარვუდგინოთ ხოლმე თავი, რათა შევახსენოთ, რომ ველურები არა ვართ. როგორც ერთხელ მითხარი, ფრაკითა და თეთრი ჰალსტუხით ყველას, ასე წარმოიდგინე, ბირჟის მაკლერსაც კი შეუძლია

ცივილიზებული ადამიანის რეპუტაციას მიაღწიოს. მას შემდეგ, რაც ოთახში ათი წუთი დავყავი და მეტისმეტად გემოვნებით ჩაცმულ ლორდის ქვრივებსა და მოსაწყენ აკადემიკოსებს ვესაუბრებოდი, უცებ, თითქოს შინაგანმა გამოუცნობმა ძალამ მაგრძნობინა, რომ ვიღაც მიყურებდა. ნახევრად შემოვტრიალდი, და მხოლოდ მაშინ პირველად ვიხილე დორიან გრეი. ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა, ვიგრძენი, ფერი მეცვლებოდა, თანდათან ვფითრდებოდი. მეტისმეტად საოცარი და უჩვეულო შიშის გრძნობა დამეუფლა. მივხვდი, იმ ადამიანის პირისპირ აღმოვჩნდი, ვისი პიროვნებაც იმდენად მხიბლავდა, რომ თუ ნებას დავრთავდი, ის მთელ ჩემს არსებას, ჩემს სულსა და ჩემს ხელოვნებას მთლიანად შთანთქავდა. არ მინდოდა რაიმე გარეგან ძალას ჩემს ცხოვრებაზე ასეთი გავლენა მოეხდინა. თვითონვე იცი, ჰარი, ბუნებით როგორი დამოუკიდებელი ადამიანი ვარ. მე ხომ ყოველთვის ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვიყავი. ყოველ შემთხვევაში მუდამ ასეთი ვიყავი, სანამ დორიან გრეის შევხვდებოდი... შემდეგ... მაგრამ უკვე აღარ ვიცი; როგორ აგიხსნა ყოველივე... ისე მომეჩვენა, თითქოს ვიღაც ჩამჩურჩულებდა, რომ მე ვიდექი ჩემი ცხოვრების გადამწყვეტი წუთის საზღვარზე. საოცარმა გრძნობამ შემიპყრო: თითქოს ბედმა ჩემ ირგვლივ ცამდე ააგო უსაზღვრო სიხარული და განუზომელი ნაღველი. შემეშინდა და მოვტრიალდი, რათა ოთახიდან გავსულიყავი. არა, ეს არ იყო სინდისის კარნახი, რამაც მაიძულა ასე მოვქცეულიყავი. ასე მგონია, ეს უფრო, სიმხდალე იყო. ანგარიშმიუცემლად შევეცადე იქაურობისთვის თავი დამეღწია.
- სინდისი და სიმხდალე ურთიერთს ვერსად წაუვლენ. სინდისი სიმხდალის აღიარებული სახელწოდებაა, ეს არის და ეს.
- ეს ყოველივე მე პირადად არ მჯერა, ჰარი, და ვერც დამარწმუნებ, რომ თვით გწამდეს... ყოველ შემთხვევაში, არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ ვფიქრობ, უფრო ამპარტავნობის გამო, - რადგანაც მეტისმეტად ამაყი ვარ, - გამოუთქმელი სიამოვნების გრძნობით აღსავსე, მაშინვე კარისკენ გავემართე. გზას ძლივს მივარღვევდი, იქ კი, რაღა თქმა უნდა, ლედი ბრენდონს გადავეყარე. „იმედია გაქცევას არ აპირებთ, ასე ადრე?“ - წამოიკივლა მან. კარგად მოგეხსენება, რა საოცრად გამყინავი ხმა აქვს ამ ქალს.
- დიახ, ნამდვილი ფარშევანგია, მხოლოდ ამ ფრინველის სილამაზით არ დაუჯილდოვებია განგების ძალას, - ჩაურთო სწრაფად ლორდ ჰენრიმ, და გრძელი ნერვიული თითებით ნამცეცებად აქცია პაწაწინა ზიზილა.
- თავი ვერ ავარიდე. ლედი ბრენდონმა ჯერ ვარსკვლავთა მფლობელ და ბრწყინვალე ორდენებით დამშვენებულ ბატონიშვილთა წინაშე წარმადგინა, მერე კი ღრმად მოხუცი, უფროსი თაობის მანდილოსნების წინაშე. ისინი უშველებელი დიადემებით მორთულიყვნენ და თუთიყუშებივით მოხრილი ცხვირები ჰქონდათ. ლედი ბრენდონი საუბარში ყველასთან უახლოეს მეგობარს მიწოდებდა, თუმცა მხოლოდ ერთხელ მქონდა ბედნიერება შევხვედროდი, მაგრამ, როგორც ჩანდა, ჩემი ქებათა ქების და განდიდების სურვილმა შეიპყრო და მხოლოდ ეს აზრიღა უტრიალებდა იმჟამად თავში. როგორც მახსოვს, იმხანად ჩემმა ერთ-ერთმა სურათმა დიდად გაითქვა სახელი საზოგადოებაში, ყოველ შემთხვევაში, გროშად

ღირებულ გაზეთებში ამ ამბავზე გაუთავებლად ყვებოდნენ, რაც მოგეხსენება, ჩვენს ნეტარხსენებულ მეცხრამეტე საუკუნეში უკვდავყოფის ერთ-ერთი უტყუარი საწინდარია.
და აი, უცებ, მე იმ ახალგაზრდა კაცის წინაშე აღმოვჩნდი, ვინც ჩემი სულიერი სამყარო ესოდენი საოცარი მღელვარებით შეაშფოთა. ახლა უკვე ერთმანეთთან ისე ახლოს ვიდექით, რომ შესაძლოა ჩემი მხრით ეს გაუფრთხილებლობაც იყო, მაგრამ მე ვთხოვე ლედი ბრენდონს მის წინაშე წარვედგინე. თუმც, როგორც ახლა მგონია, ჩემი საქციელი არცთუ ისეთ დიდ უგუნურებად ჩაითვლება. ეს უბრალოდ გარდაუვალი ამბავი გახლდათ, რადგან დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყოველგვარი წარდგენის გარეშეც გამოველაპარაკებოდით ერთმანეთს. დორიანმაც იგივე განმიცხადა შემდეგ. დიახ, მანაც მაშინვე იგრძნო, რომ ჩვენ მხოლოდ ბედისწერის წყალობით შევხვდით ერთმანეთს.
- მერე ლედი ბრენდონმა როგორ დაახასიათა ეს განსაცვიფრებელი სილამაზის მქონე ახალგაზრდა კაცი? - იკითხა ლორდ ჰენრიმ. - როგორც ვიცი, მას ჩვეულებად აქვს სწრაფად, რამდენიმე სიტყვით შეაფასოს მისი ყოველი სტუმარი. მახსოვს, ერთხელ როგორ წარმადგინა ვიღაც მრისხანე ორდენებითა და ბაფთებით მორთული მოხუცი ღაჟღაჟა ჯენტლმენის წინაშე. გზად კი დარბაზში, ვითომ ტრაგიკული ჩურჩულით, მაგრამ მაინც ყველას გასაგონად, ჩამჩხაოდა ფრიად საიდუმლო და განსაცვიფრებელ წვრილმან ამბებს იმ ადამიანის პირადი ცხოვრებიდან. გაქცევითღა ვუშველე თავს. ლედი ბრენდონი ხომ საკუთარ სტუმრებს სწორედ ისევე ექცევა, როგორც აუქციონერი ბირჟაზე გასაყიდ საქონელს. ის ან მთლიანად აშიშვლებს და ააშკარავებს მათი ცხოვრების საიდუმლოებას, ან გარდა იმ ამბებისა, რაც გსურთ იცოდეთ, დაწვრილებით გიყვებათ ყველა უმნიშვნელო წვრილმანს მათი ცხოვრებიდან.
- საბრალო ლედი ბრენდონი! ძალიან მკაცრად მსჯელობ მის შესახებ, ჰარი, - გულგრილად ჩაილაპარაკა ჰოლუორდმა.
- ჩემო ძვირფასო მეგობარო, როგორც მოგეხსენებათ, ეს ქალი ცდილობდა სალონი შეექმნა და ბოლოს და ბოლოს რესტორანი გამოუვიდა. როგორ შემიძლია პატივი ვცე ასეთ ადამიანს? მაგრამ, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, უმჯობესია მიამბო, როგორ დაგიხასიათა დორიან გრეი?
- ოჰ, მგონი ასე ამბობდა: თვალწარმტაცი ბიჭიაო... მაგის საბრალო დედა და მე განუყრელი მეგობრები ვიყავითო... თუმცა არ მახსოვს, რა საქმიანობას ეწევაო დორიანი ამჟამად, მგონი, არაფერს არ უნდა აკეთებდესო... ოჰ, არა, არ ვიცი, ფორტეპიანოზე თუ ვიოლინოზე უკრავს მგონიო, - და თან ამ დროს დორიანს შეეკითხა: - არა, ძვირფასო დორიან? - წარმოიდგინე_____, ჰარი, ჩვენ სიცილი ვეღარ
შევიკავეთ და ამან კი მაშინვე დაგვამეგობრა.
- მეგობრობისათვის სიცილი არცთუ ისე ცუდი დასაწყისია და გაცილებით უმჯობესია, თუ ამითვე თავდება, - წარმოთქვა ახალგაზრდა ლორდმა და მერე ზიზილა მოწყვიტა.
ჰოლუორდმა თავი გადაიქნია.

- შენ არ გესმის, რას ნიშნავს ნამდვილი მეგობრობა, ჰარი, - თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა მან, - ან რას ნიშნავს მტრობა ასეთ შემთხვევაში. შენ ყველა გიყვარს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველას მიმართ მეტისმეტად გულგრილი ხარ.
- ოჰ, რა აუტანელი უსამართლობაა, ბეზილ! - წამოიძახა ლორდ ჰენრიმ, ქუდი უკან გადაიწია და მაღლა პატარ-პატარა ღრუბლის ქულებს ახედა, რომლებიც თეთრი, ბრჭყვიალა ობობას ქსელივით ერთმანეთში დახლართული ფირუზისფერი ზაფხულის ცის სიღრმეში მიცურავდნენ.
- დიახ, მართლაც რომ აუტანელი უსამართლობაა შენი ასეთი მსჯელობა ჩემზე. მე მეტად განსხვავებულად ვექცევი ადამიანებს: ახლო მეგობრად მხოლოდ იმათ ვთვლი, რომელთაც შესანიშნავი გარეგნობა აქვთ, ნაცნობებს მათი კარგი ხასიათისათვის ვუახლოვდები, ხოლო მტრებში მათი გონების ძალა მიზიდავს. ადამიანმა ყველაზე ფრთხილად მტრები უნდა შეარჩიოს. ჩემს მტრებს შორის ერთიც არ მოიძებნება გონებაჩლუნგი. ისინი ყველა საღად მოაზროვნე ადამიანებია და ამიტომაც მაფასებენ. განა ეს დიდი პატივმოყვარეობაა ჩემი მხრით? თუმცა ადვილი შესაძლებელია ასეც იყოს.
- დიახ, მეც ასე ვფიქრობ, ჰარი, მაგრამ ადამიანთა შენებური დაყოფის წესით მე უთუოდ შენს უბრალოდ ნაცნობად თუ ჩავითვლები.
- ჩემო ძვირფასო ბეზილ, შენ, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი ხარ, ვიდრე ნაცნობი.
- და ბევრით უფრო ნაკლები, ვიდრე მეგობარი? ვფიქრობ, უფრო ძმა. ძმური გრძნობა გაკავშირებს ჩემთან, მგონი, უფრო, არა?
- ოჰ, არა! ჩემი ძმების მიმართ მაინცდამიანც დიდ გულთბილობას ვერ ვიჩენ. ჩემი უფროსი ძმა სიკვდილს არ აპირებს, უმცროსები კი ამის მეტს ვერაფერს ახერხებენ.
- ჰარი! - წამოიძახა წარბშეკრულმა ჰოლუორდმა.
- ჩემო ძვირფასო მეგობარო, მე ხომ ამას მთელი სერიოზულობით არ ვამბობ, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, ჩემი ახლობლების სიძულვილს მაინც ვერ ვფარავ. ეს ალბათ იმიტომ ხდება, რომ ჩვენ საერთოდ ვერ ვიტანთ ადამიანებს, რომელთაც იგივე ნაკლი გააჩნიათ, რაც ჩვენ თვითონ გვაქვს. მთელი ჩემი არსებით თანავუგრძნობ ინგლისის პროლეტარიატის გააფთრებულ სიძულვილს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რასაც ისინი უმაღლესი კლასების მანკიერებას უწოდებენ. მდაბიონი გრძნობენ, რომ ლოთობა, სისულელე და უზნეობა ამქვეყნად მათ საკუთრებად და ხვედრად ქცეულა და თუ რომელიმე ჩვენგანი ამავე სისაძაგლის მსხვერპლად აურჩევია ცხოვრებას, სწორედ ეს ძალას მატებს მათ უფლებებს. როდესაც საცოდავი საუთუორკი განქორწინებისათვის სასამართლოს წინაშე წარსდგა, ხალხის გულისწყრომა მართლაც დიდებული იყო, მაგრამ მაინც არ შემიძლია ვირწმუნო, რომ პროლეტარიატის ათი პროცენტი ზნეობრივად წმინდა და წესიერი ცხოვრებით ცხოვრობს.
- ამ საუბარში შენს ერთ სიტყვასაც ვერ დავეთანხმები, ჰარი! უფრო მეტსაც გეტყვი, დარწმუნებული ვარ, ეს ყოველივე თვითონაც არ გჯერა.
ლორდ ჰენრიმ მოწაბლისფერო წვერზე გადაისვა ხელი და ლაქის ფეხსაცმლის

ცხვირს ფოჩიანი აბანოზის ჯოხით მსუბუქად შეეხო.
- რა ჭეშმარიტი ინგლისელი ხარ, ბეზილ! აი, უკვე მეორედ გამოგაქვს ასეთი დასკვნა. თუ ვინმე გაბედავს და ნამდვილი ინგლისელის წინაშე რაიმე აზრს წამოაყენებს, - ეს კი ყოველთვის დიდი წინდაუხედაობაა! - მას აზრადაც არ მოუვა გარკვიოს, ეს აზრი სწორია თუ მცდარი, მხოლოდ ის მიაჩნია მნიშვნელოვნად თვითონ მთქმელი დარწმუნებულია თუ არა, რომ მართალს ამბობს. იდეას საერთო არა აქვს რა იმ ადამიანის ჭეშმარიტ მრწამსსა და გულწრფელობასთან, ვისგანაც ის მომდინარეობს, რაც უფრო გულწრფელია ადამიანი და ნაკლებ სწამს იდეა, მით უფრო ღირსეულია ეს იდეა, რადგან იგი პიროვნების სურვილს საჭიროებს და ცრურწმენას არ გამოხატავს. თუმცაღა ამჟამად განზრახული არა მაქვს ვიმსჯელო შენთან პოლიტიკის, სოციოლოგიის თუ მეტაფიზიკის საკითხებზე. პიროვნება უფრო მეტად მაინტერესებს, ვიდრე მისი პრინციპები. ამქვეყნად ყველაზე მეტად უპრინციპო ადამიანებს ვეტრფი. მიამბე კიდევ რამე მისტერ დორიან გრეის შესახებ. ხშირად ხვდები?
- ყოველდღე. ალბათ ბედნიერად არც ჩავთვლიდი თავს, ყოველდღე რომ არ ვხვდებოდე. ჩემი არსებობისათვის, ვფიქრობ, ის სრულიად აუცილებელია.
- რა საოცრებაა! მე კი, მართალი გითხრა, მეგონა, არაფერი გაინტერესებდა საკუთარი ხელოვნების გარდა.
- დიახ, ის მთელ ჩემს ხელოვნებად იქცა ახლა. - წარმოთქვა მხატვარმა სერიოზულად. - ხანდახან ვფიქრობ, ჰარი, რომ მსოფლიოს ისტორია ორ ძირითად ხანადაა გაყოფილი. პირველი ხანა გამოსახვის უცნობ საშუალებათა დაუფლებაა ხელოვნებაში, მეორე კი - ახალი სახის გამოვლენა. ის, რადაც ზეთის საღებავების გამოგონება იქცა ვენეციელებისათვის[3] ფერწერაში, ხოლო მოგვიანებით ანტინოეს[4] სახე ბერძენთათვის ქანდაკებაში, ალბათ სულ მოკლე ხანში დორიან გრეის სახეც იგივე იქნება ჩემთვის. მას მარტოოდენ კი არ ვხატავ ან ვქმნი სურათსა თუ ესკიზს, თუმც რა დაგიმალო, ამასაც ვაკეთებ, რა თქმა უნდა, ის ჩემთვის გაცილებით მეტია, ვიდრე მოდელი და მენატურე. არ შემიძლია ვთქვა, რომ უკმაყოფილო ვარ ჩემი ნამუშევრისა, ვერც იმას ვიტყვი, თითქოს ასეთი სილამაზის ასახვა ხელოვნებაში შეუძლებელი იყოს. მე მგონი, არაფერია ისეთი, რის ასახვასაც ხელოვნება ვერ შეძლებს. ისიც კარგად ვიცი, რომ მის გაცნობამდე რომელი სურათის შექმნაზედაც ვმუშაობდი, მართლაც შესანიშნავია და ჩემს სურათთა შორის შედევრად ითვლება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის გავიცანი, ყოველივე რაღაც უცნაური გზით წარიმართა. არ ვიცი, როგორ აგიხსნა, ან გამიგებ კია?... მისმა პიროვნებამ სრულიად ახალი გზა და სტილი შემომთავაზა ხელოვნებაში. ახლა საგნებს სულ სხვა თვალით ვჭვრეტ. წინანდელთან შედარებით ყოველივეს განსხვავებულად აღვიქვამ. შემიძლია ცხოვრება ისეთი გზებით განვაახლო და აღვადგინო, რაც აქამდე იდუმალებით მოცული იყო ჩემთვის ხელოვნებაში. „ოცნება ფორმაზე იმ დღეთა სრბოლაში, ოდეს მეფობდა აზრი“, ნეტავი ვინ ამბობს ამას? რა თქმა უნდა, დამავიწყდა, მაგრამ, აი, ასეთ ოცნებად იქცა ჩემთვის დორიან გრეი. ნეტავ იცოდე, რას ნიშნავს ამჯერად სრულიად უსუსური ჭაბუკის მხოლოდ ხილვა და მის გვერდით ყოფნა. თუმცა

დორიანი 20 წელს გადასცილდა, ის ჯერ ისევ უსუსურად მეჩვენება. ოჰ, არ ვიცი, შეგიძლია თუ არა წარმოიდგინო, რას ნიშნავს ყოველივე ეს? ჩემდა შეუგნებლად ის მამცნობს და საზღვრავს სრულიად ახალი სკოლის ჯერ კიდევ იდუმალ გზებს. ვფიქრობ, იმ სკოლისას, რომელიც რომანტიზმის მრავალფეროვნებას და ელინიზმის[5] სრულყოფილებას შეითავსებს. სულისა და სხეულის ჰარმონია, ოჰ, რაოდენ დიდებულია ეს ყოველივე! ჩვენ, ადამიანებმა ჩვენი უგუნურებით ერთურთს დავაშორეთ ეს ორი, და გამოვიგონეთ ვულგარული რეალიზმი და უშინაარსო, არაფრის მაქნისი იდეალიზმი. ოჰ, ჰარი, ნეტავ იცოდე, რას წარმოადგენს დორიან გრეი ჩემთვის! გახსოვს ის პეიზაჟი, რომელშიაც ეგნიუმ რაღაც უზომო თანხა შემომთავაზა და მე კი ვერ შეველიე მას? ეს ხომ ერთი იმ საუკეთესო სურათთაგანია, რომელიც კი ოდესმე ჩემს ხელს შეუქმნია. და რამ განაპირობა ყოველივე ეს? მხოლოდ იმან, რომ დორიანი ჩემს გვერდით იჯდა, როდესაც ამ სურათს ვქმნიდი... რაღაც იდუმალი გავლენა მომდინარეობდა მისგან და თავს მეხვეოდა. ამ სრულიად ჩვეულებრივ პეიზაჟში, ჩემს სიცოცხლეში პირველად შევნიშნე ის სასწაულებრივი ძალა, რომელსაც ყოველთვის ვეძებდი და ვერასოდეს მიმეგნო.

- ბეზილ, განსაცვიფრებელი ამბავია, დორიან გრეი უნდა ვნახო!

ჰოლუორდი წამოდგა და ბაღში წინ და უკან სიარულს მოჰყვა. რამდენიმე წამის შემდეგ კი ისევ უკან მობრუნდა.

- ჰარი, - დაიწყო მან, - დორიან გრეი უბრალოდ მოტივია ჩემთვის ხელოვნებაში. შენ შეიძლება მასში ვერაფერი შენიშნო, მე კი ყოველთვის ვამჩნევ, თუნდაც მუშაობის დროს ჩემ გვერდით არ იყოს, სულ ერთია, მისი გავლენა მაინც ყველგან და ყველა სურათში იგრძნობა. როგორც უკვე გითხარი, ის წერის ახალ საშუალებას შთამაგონებს. მას არა მარტო უფაქიზეს ფერთა ბრწყინვალებაში ვჭვრეტ, ხშირად ზოგიერთ მრუდ ხაზთა შორისაც აღმოვაჩენ ხოლმე. ეს არის და ეს.

- მაშინ გამოტყდი, რატომ არა გსურს გამოფენაზე გაგზავნო მისი პორტრეტი? - იკითხა ლორდ ჰენრიმ.

- იმიტომ, რომ ჩემდა უნებურად ამ სურათში მხატვრის ის განსაცვიფრებელი სიყვარული და თაყვანისცემა ჩავაქსოვე, რომელიც, რა თქმა უნდა, მისთვის არასოდეს გამიმხელია. დორიანმა ამის შესახებ არაფერი იცის და ვერც ვერასდროს გაიგებს, მაგრამ ამქვეყნად მრავალი სხვა თვალი შეიცნობს მას და მე ჩემს საკუთარ სულს მათ ახლომხედველ თვალთა წინაშე ვერ გავაშიშვლებ. ნებას არ დავრთავ, ჩემი გული მიკროსკოპის ქვეშ სინჯონ. ოჰ! რაოდენ დიდია მასში ჩემი სულიერი შთანაფიქრი, ჰარი, რაოდენ დიდი!

- პოეტები ასე მორიდებულნი არ არიან, ბეზილ, როგორც შენ ჩანხარ ამ შემთხვევაში, მათ იციან, თუ რაოდენ ხელსაყრელია მგზნებარე სიყვარულის თემა. ჩვენს დროში დამსხვრეულ გულთა შესახებ შექმნილი ნაწარმოები მრავალ გამოცემას გაუძლებს.

- ასეთი პოეტები მძულს! - წამოიძახა ჰოლუორდმა. - მხატვარმა ხელოვნების უბრწყინვალესი ძეგლი ისე უნდა შექმნას, რომ მასში თავისი პირადი

ცხოვრებიდან არაფერი შეიტანოს. ჩვენ ასეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს ისე ეპყრობიან, თითქოს ეს ქმნილებები ავტობიოგრაფიის რაღაც სახეობას წარმოადგენდნენ. მშვენიერების განყენებულად აღქმის უნარი დავკარგეთ. ოდესმე მე შევძლებ ვუჩვენო ქვეყნიერებას, რას ნიშნავს მისი განყენებულად აღქმა. ამიტომაც ვერასოდეს იხილავს ჩემ მიერ შექმნილ დორიან გრეის პორტრეტს ქვეყნიერება.
- ვფიქრობ, ეს დიდი შეცდომაა, ბეზილ, მაგრამ კამათს არ დაგიწყებ. კამათი გონებაგამოფიტულ ადამიანთა საქმიანობაა საერთოდ. მითხარი, დორიან გრეის ძალიან უყვარხარ?
მხატვარი წამით ჩაფიქრდა.
- დიახ, ასე მგონია, - ჩაილაპარაკა მან რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ, - ვფიქრობ, ვუყვარვარ. ალბათ იმიტომ, რომ მეც მის წინაშე საშინლად ვპირმოთნეობ. საოცარ სიამეს განვიცდი, როდესაც მასთან საუბარში ისეთ საკითხებს ვეხები, რისი გამომჟღავნებისათვის, ვიცი, ბოლოს მწარედ ვინანებ. თვითონაც მეტად თბილად მეპყრობა. ხშირად ორივე ვზივართ სახელოსნოში და მთელ დღეებს უამრავ სხვადასხვა საკითხზე საუბარში ვატარებთ. არის წუთები, როდესაც სრულიად გრძნობადაცლილ ადამიანად მეჩვენება და წარმოიდგინე, ასე მგონია, დიდ სიამოვნებასაც კი განიცდის, როდესაც რაიმე ტკივილს მაყენებს. მაშინ ვგრძნობ, ჰარი, რომ ჩემი სული მთლიანად ისეთ ადამიანს მივანდე, ვინც მას მხოლოდ და მხოლოდ ისე ეპყრობა, თითქოს პაწაწინა ძვირფასი სამკაული იყოს, პატივმოყვარეობის დასაცხრომად გაკეთებული ან ღილის კილოში ჩასამაგრებელი უბრალო ყვავილი, ერთი მშვენიერი ზაფხულის დღის დასამშვენებლად აღმოცენებული.
- ზაფხულში დღეები მეტად გრძელია, ბეზილ, - თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა ლორდ ჰენრიმ. - შესაძლოა, შენ უფრო მალე დაგქანცოს მან და ყოველივე მოგბეზრდეს, ვიდრე 1 0 0 Tm 7თვით დორიანს. ფრიად სამწუხაროა, რა თქმა უნდა, მაგრამ
ეჭვიც არ არის, გენიალობა მშვენიერებაზე დღეგრძელია მუდამ. სწორედ ამის ბრალია, რომ ასე დიდ წამებას ვაყენებთ საკუთარ თავს, რათა როგორმე განვივითაროთ გონება. არსებობისათვის გააფთრებულ ველურ ჭიდილში ჩვენი სურვილია ხანგრძლივად შევინარჩუნოთ რაიმე, ამის გამო გონებას გამუდმებით ვტენით რაღაც ცხოვრებისეული ფაქტებით, აბდაუბდით და სულელურად ვიმედოვნებთ შევინარჩუნოთ ჩვენი ადგილი ამქვეყნად. ფრიად განსწავლული და საქმის მცოდნე ადამიანი - აი, თანამედროვეობის იდეალი. მაგრამ ამ ფრიად განსწავლული კაცის გონება რაღაც საშინელ ქაოსს წარმოადგენს. ის მტვრიანი ძველმანებით სავსე ანტიკვარულ მაღაზიას ჰგავს, სადაც ყველაფერი ნამდვილ ღირებულებასთან შედარებით გაცილებით ძვირად ფასობს. ვფიქრობ, შენ პირველს მოგბეზრდება ეს ამბავი, ბეზილ, აი, ნახავ, ოდესმე ისეთი თვალით შეხედავ შენს მეგობარს, რომ მისი სილამაზე ჰარმონიულად აღარ წარმოგიდგება. აღარ მოგეწონება მისი კანის ფერი ან სხვა რამ. გულში მწარედ გაკიცხავ ბევრჯერ და სრულიად სერიოზულად. იმასაც კი იფიქრებ, რომ ძალიან

ცუდად მოგექცევა. შეხვედრისას უკვე სრულიად ცივი და გულგრილი იქნები, ეს ცვლილება კი დიდ მწუხარებას მოგაყენებს. რაც ახლა შენ მიამბე, ეს ხომ ნამდვილი რომანია, თუ შეიძლება ვუწოდოთ მას რომანული ეპიზოდი ხელოვნების ნიადაგზე. და რა სახის რომანიც არ უნდა გადაიტანოს კაცმა, წარმოიდგინე, ამ გრძნობის მთელი უბედურება ის არის, რომ ადამიანს არარომანტიკულ ქმნილებამდე აქცევს.
- ჰარი, ნუ მსჯელობ ასე, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე დორიან გრეის თაყვანისმცემელი ვიქნები. შენ ისეთი ცვალებადი ბუნების ადამიანი ხარ, რომ ვერასოდეს იგრძნობ იმას, რასაც მე ვგრძნობ ახლა.
- ოჰ, ჩემო ძვირფასო ბეზილ, ალბათ ამიტომაც შემწევს უნარი, უკეთესად შევიგრძნო შენი გულის ცემა. სიყვარულისადმი თავდადებულთა ხვედრი ამ გრძნობის გაცვეთილი არსია. სიყვარულის ტრაგედიას მხოლოდ ისინი ეზიარებიან, რომელთაც ვერაგობის უნარი შესწევთ.
ლორდ ჰენრიმ ვერცხლის ულამაზესი ასანთის კოლოფი ამოიღო, სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა და ისე კმაყოფილებითა და დაჯერებით დაიწყო წევა, თითქოს 4316 .\u4315 .თელი ქვეყნიერების საჭირბოროტო საკითხებს ამ ერთ ფრაზაში მოუყარა თავიო.
სანდალოზივით პრიალა მწვანე ფათალოს ფოთლებიდან მოჟღურტულე ბეღურების ფრთხიალი მოისმოდა. აქა-იქ ბალახებში მოცისფრო ღრუბლის ჩრდილები ისე გაიელვებდნენ ხოლმე, თითქოს გაგატისფერი მერცხლები მისდევდნენ ერთიმეორეს. ოჰ, რა სასიამოვნოა ბაღში ყოფნა! რაოდენი სიამოვნებით ავსებს გულს სხვა ადამიანთა გრძნობები! დიახ, ასეთ გრძნობებს გაცილებით დიდი სიამოვნების მინიჭება ძალუძთ ადამიანთა სულისათვის, ვიდრე მათ აზრებს. ასე ჩასძახოდა ლორდ ჰენრის საკუთარი გულისთქმა. საკუთარი სული და სხვა ადამიანთა, თუნდაც ახლობელ მეგობართა გრძნობანი... აი, რაშია ცხოვრების მომხიბვლელობა! ფარულად უზომოდ სიამოვნებდა და იმაზე ფიქრი ართობდა, რომ ბეზილთან ამდენ ხანს დარჩა და მოსაბეზრებელი საუზმე თავიდან აიცდინა. მამიდასთან რომ წასულიყო, იცოდა, იქ ლორდ გუდბოდის გადაეყრებოდა და მთელი დილა ალბათ მხოლოდ უღარიბესი მაწანწალების კვებასა და მათთვის სანიმუშო თავშესაფრების შექმნის აუცილებლობაზე იქნებოდა დაუსრულებელი საუბარი. ალბათ თითოეული კლასის წარმომადგენელი იმ ადამიანთა ღირსებებსა და მნიშვნელობაზე იქადაგებდა, რომელთა თავდადებაც არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენს საკუთარ ცხოვრებაში. მდიდარნი სალაპარაკო თემად ყაირათის ფასს აირჩევდნენ. უსაქმურნი კი მჭერმეტყველურად ხოტბას შეასხამდნენ შრომის უდიდეს მნიშვნელობას. ოჰ, რა კარგია, რომ ეს ყოველივე დღეს თავიდან აიცილა! მამიდაზე ფიქრში წასულს, უცებ რაღაც აზრმა გაუელვა და ჰოლუორდისაკენ შებრუნდა.
- ჩემო ძვირფასო მეგობარო, ახლა მომაგონდა.
- რა მოგაგონდა, ჰარი?
- გავიხსენე, სად გავიგონე პირველად დორიან გრეის სახელი.

- მაინც სად? - იკითხა ჰოლუორდმა და წარბი შეიკრა.
- ასე გაჯავრებული ნუ მიყურებ, ბეზილ, ეს მგონი, მამიდა აგათასას მოხდა. მახსოვს, ერთ დღეს მამიდა გამომიტყდა, რომ მან აღმოაჩინა ერთი საუცხოო ჭაბუკი, რომელიც სიამოვნებით დაეთანხმა დახმარება გაუწიოს ისტენდში. სწორედ ამ ჭაბუკის გვარი და სახელი უნდა იყოს დორიან გრეი. მამიდამ სწორედ ასე მოიხსენია მაშინ, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით გიცხადებ, ერთი სიტყვაც არ დასცდენია მის სილამაზეზე. საერთოდ ქალები სილამაზეს ვერ აფასებენ და მით უფრო სათნო და კეთილი საქმით დაინტერესებული ქალები. მამიდა აგათამ მხოლოდ ის მითხრა, ახალგაზრდა კაცი მეტად სერიოზული და ფრიად კეთილშობილი ბუნებისაო. მეც მაშინვე სათვალიანი, სწორთმიანი და საშინლად დაჭორფლილი სახის ახალგაზრდა წარმომიდგა თვალწინ, რომელიც უშველებელი ფეხებით დააბოტებს. ოჰ, ნეტავ მაშინ მცოდნოდა, რომ ის შენი მეგობარი დორიანი იყო.
- მე კი ფრიად მოხარული ვარ, რომ არ იცოდი, ჰარი.
- რატომ?
-არ მინდა, რომ მას ოდესმე შეხვდე საერთოდ!
- არ გინდა, გამაცნო?
- არა.
- მისტერ დორიან გრეი გეახლათ და სახელოსნოში გიცდით, სერ, - წარმოთქვა ამ დროს ბაღში შემოსულმა ლაქიამ.
- ახლა კი მეტი გზა არ გაქვს, უნდა გამაცნო, - სიცილით წამოიძახა ლორდ ჰენრიმ. მხატვარი მსახურისაკენ შეტრიალდა, რომელიც მზის სინათლეს თვალს ვერ უსწორებდა:
- პარკერ, მისტერ გრეის სთხოვეთ მოიცადოს, ახლავე მოვალ.
ლაქიამ თავი დაუკრა და სახლისაკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვა. ჰოლუორდმა ლორდ ჰენრის შეხედა და უთხრა:
- დორიან გრეი ჩემი საუკეთესო მეგობარია, ის მეტად გულღია და უკეთილშობილესი ბუნების ადამიანია. მამიდას მაშინ სრული ჭეშმარიტება უთქვამს მის შესახებ. ჰარი, გევედრები, ნუ შეუცვლი ბუნებას. ნუ შეეცდები შენი გავლენის ქვეშ მოაქციო, რაც დაღუპვის კარამდე მიიყვანს. ქვეყნიერება განუზომელია, მასში აურაცხელი განსაცვიფრებელი და საინტერესო ადამიანია, ნუ წარმტაცებ ამ ერთადერთ არსებას, ის ხომ ჩემი ხელოვნებისათვის იმ აღმაფრენის და შთამაგონებელი ძალის სულისჩამდგმელია, რასაც იგი თავისდა შეუცნობლად ფლობს. ჩემი, როგორც ხელოვანის ცხოვრება, რაღა თქმა უნდა, ამიერიდან მასზეა დამოკიდებული. იცოდე, ჰარი, გულწრფელად გენდობი!
მხატვარი ნელა ლაპარაკობდა. თითქოს სიტყვებს თავისდაუნებურად წარმოთქვამდა.
- რა სისულელეს ამბობ! - სიცილით შეესიტყვა ლორდ ჰენრი, მერე მკლავში ხელი გამოსდო და სახლისაკენ თითქმის ძალით წაიყვანა.

თავი II

შესვლისთანავე დაინახეს დორიან გრეი... მათკენ ზურგშებრუნებული ჭაბუკი

ფორტეპიანოსთან იჯდა და შუმანის „ ტყის სურათების“ ალბომს ფურცლავდა.
- ეს ალბომი უნდა მათხოვოთ, ბეზილ, მინდა ვისწავლო. ოჰ, რა მშვენიერებაა!
- დორიან, ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ სურათის ხატვისას დღეს თავს როგორ დაიჭერთ.
- მართალი მოგახსენოთ, ფიცარნაგზე დგომამ საოცრად დამღალა. სრულიადაც არ ვესწრაფვი ჩემი სახისა და სხეულის მთლიანი პორტრეტი მქონდეს, - სწრაფად წამოიძახა ჭაბუკმა, მრგვალ სკამზე მოუთმენლად და ჟინიანად შეტრიალდა და ბეზილთან ერთად შემოსულ ლორდ ჰენრის მოჰკრა თუ არა თვალი, ოდნავ წამოწითლდა და მაშინვე ფეხზე წამოიჭრა. - მაპატიეთ, ბეზილ, არ ვიცოდი, თუ ვინმე გახლდათ.
- იცნობდეთ, დორიან, ლორდ ჰენრი უოტონი, ჩემი ოქსფორდისდროინდელი მეგობარი. სწორედ ეს არის ვუამბობდი, რა ჩინებულად შეგიძლიათ იდგეთ ჩემ წინ პორტრეტის ხატვისას. თქვენ კი ახლა ამ რამდენიმე ფრაზით ყველაფერი წყალში ჩამიყარეთ.
- მაგრამ წარმოიდგინეთ, მშვენიერო ჭაბუკო, პირადად მე კი დიდი სიამოვნება მომანიჭა თქვენმა გაცნობამ, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ, რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა და დორიანს ხელი გაუწოდა. მამიდაჩემისაგან ბევრი რამ მსმენია თქვენს შესახებ. თქვენ ერთ-ერთი მისი რჩეულთაგანი ხართ და ამასთანავე, ვფიქრობ, მსხვერპლიც.
- ლედი აგათას მოწყალებას, მართალი გითხრათ, ახლა ვეღარაფრით დავიმსახურებ, - უპასუხა დორიანმა და სასაცილო მონანიების გამომეტყველება შემორჩა სახეზე, - დავპირდი, რომ უაიტჩეპელის კლუბში წავყვებოდი გასულ სამშაბათს, მაგრამ სრულიად გადამავიწყდა. რამდენიმე ნაწარმოები უნდა შეგვესრულებინა ერთად, თუ არ ვცდები, ვგონებ, სამი დუეტი. არ ვიცი, რას მეტყვის ახლა. იმდენად დაშინებული ვარ, იქ მისვლა და მის წინაშე გამოჩენა ვერ წარმომიდგენია.
- არა უშავს რა, მე შეგარიგებთ. მამიდა აგათა თითქმის გაღმერთებთ. რაც შეეხება იმას, უაიტჩეპელში რომ არ წახვედით, ეგ არაფერს ნიშნავს. მსმენელები ალბათ ფიქრობდნენ, რომ დუეტი სრულდებოდა. მამიდა აგათას ხომ საერთოდ შეუძლია ასეთი ხმით ააჟღეროს როიალი.
- ოჰ, თქვენი ასეთი შეხედულება უდავოდ შეურაცხყოფს მას და არც მაინცდამაინც ჩემთვისაა საქები და ფრიად სასიამოვნო, - უპასუხა დორიანმა სიცილით.
ლორდ ჰენრი შეჰყურებდა დორიანს, ჭაბუკი მართლაც განსაცვიფრებელი, ენით აღუწერელი სილამაზისა გახლდათ. ულამაზესი ალისფერი ტუჩები, ცისფერი ნათელი თვალები და ოქროსფერი ხვეული თმა ჰქონდა. მის გამომეტყველებაში ერთი შეხედვითვე ამოიკითხავდით ისეთ რამეს, რაც მისადმი უჩვეულო რწმენას გინერგავდათ. მასში მგზნებარე უბიწოებასთან ერთად ახალგაზრდული სიწმინდე და გულწრფელობა იგრძნობოდა. თითქოს ამქვეყნიური ლაქა ჯერ მის სულს არ გაჰკარებიაო. რაღა თქმა უნდა, სულაც არ იყო საკვირველი, რომ ბეზილ ჰოლუორდს სათაყვანო კერპად გაეხადა იგი.

- ნუთუ შეიძლება ასეთმა თვალწარმტაცმა და მომხიბვლელმა ჭაბუკმა კაცთმოყვარეობის დიადი იდეებით დაიტვირთოს გონება, მისტერ გრეი? თქვენ ისეთი ბრწყინვალე სილამაზით დაუჯილდოებიხართ ბუნებას, ეს მეტისმეტია. თითქმის წარმოუდგენელიც, - ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ლორდ ჰენრი დივანზე გადაწვა და პორტსიგარი გახსნა.
მხატვარი ამ დროს პალიტრაზე ფერების შერწყმითა და სხვადასხვანაირი ფუნჯების მომზადებით იყო გართული და შეშფოთებული ჩანდა. ლორდ ჰენრის უკანასკნელი სიტყვები მოისმინა თუ არა, უცნაური გამომეტყველებით ახედა მას და რამდენიმე წუთის ყოყმანის შემდეგ თქვა:
- ჰარი, მინდა ეს სურათი დღესვე დავამთავრო. ნურც გამირისხდები და ნურც მეტისმეტ უზრდელობაში ჩამომართმევ, მაგრამ უმორჩილესად გთხოვ, დაგვტოვო.
ლორდ ჰენრიმ ღიმილით გადახედა დორიანს და იკითხა:
- ნებას მომცემთ დაგტოვოთ, მისტერ გრეი?
- ოჰ, არა, გევედრებით, ლორდ ჰენრი, ნუ დაგვტოვებთ! ვამჩნევ, ბეზილი ჩვეულებისამებრ ისევ ცუდ გუნებაზეა. ვერ ვიტან, როდესაც მას ასეთი პირქუში განწყობილება შეიპყრობს ხოლმე. გარდა ამისა, ფრიად საინტერესოა განმიმარტოთ, რატომ არ უნდა ვეწეოდე ქველმოქმედებას?
- რა მოგახსენოთ, მეც არ ვიცი, მაგრამ ამის თქმა არცთუ ისე ადვილია, მისტერ გრეი. ეს იმდენად მოსაბეზრებელი თემაა, რომ ადამიანმა მასზე მხოლოდ სერიოზულად იმსჯელოს. წასვლას კი, მართალი მოგახსენოთ, აღარ ვაპირებ, რადგან თქვენ მთხოვეთ დავრჩე. ბეზილ, მგონი, საწინააღმდეგო აღარაფერი გექნება, არა? შენგან ხშირად მსმენია, როგორ გსიამოვნებს, როდესაც სურათზე მუშაობისას მენატურეს ვინმე საუბრით გირთობს.
ჰოლუორდმა ტუჩზე იკბინა.
- თუ დორიანს ასე სურს, რას იზამ, უნდა დარჩე. დორიანის დაჟინება, მის გარდა, ყველასათვის კანონია.
ლორდ ჰენრიმ ქუდი და ხელთათმანი აიღო.
- ბეზილ, მიუხედავად შენი დაჟინებული თხოვნისა, სამწუხაროდ, მაინც უნდა დაგტოვოთ. ერთ კაცს დავპირდი, „ორლეანში“[6] შევხვდე. ნახვამდის, მისტერ გრეი, მეწვიეთ კაზინოს ქუჩაზე, დაახლოებით ხუთ საათზე. ნაშუადღევს ყოველთვის შინა ვარ. შემატყობინეთ, როდესაც მოსვლას დააპირებთ. ფრიად სამწუხარო იქნება, შინ რომ არ დაგხვდეთ.
- ბეზილ! - წამოიძახა დორიან გრეიმ, - თუ ლორდ ჰენრი უოტონი წავა, მეც წავალ. თქვენ ერთ სიტყვასაც ვერ დაგაცდენთ ადამიანი, როდესაც მუშაობთ. აბა, წარმოიდგინეთ, რა აუტანელი და მოსაწყენია ფიცარნაგზე დგომა და რაც შეიძლება სასიამოვნო გამომეტყველების მიღება. გადაჭრით მოვითხოვ თქვენგან, ლორდ ჰენრის სთხოვოთ, დარჩეს.
- დარჩი, ჰარი, ამით დორიანის გულსაც მოიგებ და მეც დიდად დამავალებ, - უთხრა ჰოლუორდმა ლორდ ჰენრის, ისე რომ სურათისათვის თვალი ერთი წამით არ მოუშორებია. - სრული სიმართლე გახლავთ. მუშაობის დროს არც ვლაპარაკობ

და არც რაიმეს ვუსმენ. ეს კი, რა თქმა უნდა, ჩემი საცოდავი მენატურისათვის საშინლად მოსაწყენია. უმორჩილესად გთხოვ, დარჩე.
- რა პასუხი გავცე იმ კაცს, ვისაც „ორლეანში“ უნდა შევხვედროდი? მხატვარმა გაიცინა
- მე მგონი, ეს არცთუ ისე ძნელი მოსაგვარებელია. დაჯექი, ჰარი, თქვენ კი, დორიან, თქვენი ადგილი დაიკავეთ, ამდენს ნუ ტრიალებთ. ნურც იმას მიაქცევთ დიდ ყურადღებას, რასაც ლორდ ჰენრი ამბობს, ის ყველა თავის მეგობარზე მეტად ცუდ გავლენას ახდენს. ერთადერთი გამონაკლისი მარტო მე გახლავართ. დორიანი ახალგაზრდა ბერძენი წამებულის გამომეტყველებით ავიდა შემაღლებულ ადგილზე, სახეზე ოდნავი უკმაყოფილება გამოეხატა და ლორდ ჰენრის გადახედა, რომლითაც ამჟამად ესოდენ გატაცებული ჩანდა. ახალგაზრდა ლორდი არაფრით ჰგავდა ბეზილს, პირიქით, მის საპირისპირო პიროვნებას წარმოადგენდა. ამასთანავე საოცრად მომაჯადოებელი ხმა ჰქონდა. რამდენიმე წუთის შემდეგ დორიანმა ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:
- ლორდ ჰენრი, ნუთუ მართლა ასე ცუდ გავლენას ახდენთ თქვენს მეგობრებზე, როგორც ბეზილი ამბობს?
- კარგი გავლენა არ არსებობს, მისტერ გრეი. ყოველგვარი გავლენა უზნეობაა. დიახ, მე მიმაჩნია, რომ ის მეცნიერული თვალთახედვით დიდი ამორალობაა.
- რატომ?
- ალბათ იმიტომ, რომ გავლენის მოხდენა ადამიანზე ნიშნავს, მთლიანად მას გადასცე შენი საკუთარი სული. მაშინ ის არც ფიქრობს და მის არსებაში ჩასახული გრძნობებით იწვის. ვერც უამრავ კეთილ საქმეს და სათნოებას მიიჩნევს თავისად. ხოლო ცოდვები, თუ წარმოიდგენთ, რომ ისინი საერთოდ არსებობს, უეჭველად ნასესხებია. აბა დააკვირდით, ადამიანი ასეთ შემთხვევაში სხვისი მელოდიის ექოდ გადაიქცევა ხოლმე, ისეთი როლის შემსრულებელ მსახიობად, რომელიც მისთვის არ არის დაწერილი. ცხოვრების მიზანი საკუთარი თავის გამოვლენაა. სრულყოფილად გამოვავლინოთ ჩვენი ბუნებრივი რაობა. აი, რისთვის ცხოვრობს თითოეული ჩვენგანი ამქვეყნად. ჩვენს დროში ხალხს საკუთარი თავისა ეშინია. მათ აშკარად დაავიწყდათ, რომ ყველაზე დიდი მიზანი საკუთარ თავის წინაშე ვალდებულებაა. რასაკვირველია, ვერ უარვყოფთ, ისინი გულმოწყალენიც არიან. ლუკმას არ იშურებენ მშიერთათვის და მაწანწალებს მოსავენ, მაგრამ სწორედ აი, ამ დროს მათ საკუთარი სულის სიშიშვლე აკრთობს ადამიანის გონებას, რადგან თვით ენით აღუწერელ შიმშილს განიცდის. გამბედაობა და სიმამაცე შორს დარჩა ჩვენი მოდგმისაგან. შესაძლოა ჩვენ ის არც არასოდეს გვამკობდა. შიში საზოგადოებრივი აზრის წინაშე, ვინც მორალს ქმნის, შიში ღმერთის წინაშე, რაც რელიგიურ საიდუმლოებას წარმოადგენს. აი, ის ორი რამ, რაც განაგებს ჩვენს ყოფიერებას და თუმც...
- მოიღეთ მოწყალება და მოაბრუნეთ თავი ოდნავ მარჯვნივ, დორიან, - სთხოვა მუშაობით გატაცებულმა მხატვარმა და მხოლოდ წამით შენიშნა ჭაბუკის გამომეტყველებაში ისეთი რამ, რაც მას წინათ არასოდეს შეუმჩნევია.
- დიახ, თუმც... - განაგრძო ისევ ლოდრ ჰენრიმ, დაბალი, საოცრად სასიამოვნოდ

ჟღერადი ხმით და მეტად თავისუფალი მოხდენილი ხელის მოძრაობით, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო მისთვის ჯერ კიდევ იტონში[7] ყოფნისას, - ღრმად მწამს, რომ თუ თითოეული ადამიანი თავის ცხოვრებას სრულყოფილად და სავსებით თავის ნება-სურვილზე გაატარებდა, თავისუფლად შეეძლებოდა გამოემჟღავნებინა ყოველი გრძნობა, მარწუხებით არ შებოჭავდა ყოველ აზრს და უფლებამოსილი იქნებოდა განეხორციელებინა ყველა ოცნება, - ქვეყნიერება კვლავ სიხარულისა და აღფრთოვანების ისეთ წარმოუდგენელ აღტყინებას განიცდიდა, რომ შუასაუკუნეობრივი წყლულები და სნეულებანი მთლიანად გადაავიწყდებოდა. მერე კი განახლებული ძალით კვლავ დაუბრუნდებოდა ელინიზმის იდეალებს... მაგრამ ჩვენს შორის ყველაზე მამაც კაცს საკუთარი თავისაც კი ეშინია. საკუთარი თავის ხეიბრად ქცევა, რაც უთუოდ ველურობისდროინდელი გადმონაშთია და ყველაფერ ამქვეყნიურზე უარის თქმა ამახინჯებს და წყვდიადში შთანთქმას უქადის ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ მწარედ, სწორედ ამ თვითაწყვეტისათვის ვისჯებით. თითოეული გრძნობა თუ სურვილი, რომლის ჩახშობასაც ასე გულმოდგინედ ვცდილობთ, მძიმე ტვირთივით დასწოლია ჩვენს გონებას და გვწამლავს. ადამიანი ერთხელ სცოდავს და სწრაფვა შეცოდებისა მაშინვე იხშობა სულში, რადგანაც თვით მისი განხორციელება თავისთავადი გზაა განწმედისაკენ. მას შემდეგ კი, ვფიქრობ, აღარაფერი რჩება გარდა სასიამოვნო მოგონებისა. ადამიანი მხოლოდ ინანიებს სულისა და სხეულის განცხრომისათვის ჩადენილ ცოდვებს, რომელმაც ესოდენ დიდი სიამოვნება მიანიჭა მას. ცდუნების თავიდან ასაშორებლად ერთადერთი გზა ის გახლავთ, რომ ადამიანი მის გარდაუვალ ნებას დაემორჩილოს. ხოლო თუ მის წინააღმდეგ შებრძოლებას განიზრახავს, მაშინ სული აკრძალულისადმი სწრაფვით იფერფლება და დაუცხრომლად ესწრაფვის ყოველივე მას, რაც თვით მის მიერვე გამოგონილმა კანონმა ბიწიერებად და უკანონობად აქცია. ამბობენ, მსოფლიოს უდიდესი მოვლენები ადამიანის გონებაში წარმოიქმნება და წყდებაო. მე კი ვიტყოდი, რომ უდიდესი ამქვეყნიური შეცოდებანიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის გონებაში ჩაისახება უპირველესად, დიახ, დიახ, ადამიანის გონებაში... და თქვენშიც, მისტერ გრეი. ამ ვარდისფრად მოციაგე სიყრმის წლებში და ცისკარივით მანათობელი სიჭაბუკის ჟამს ნუთუ არ შეგიმჩნევიათ, რომ თქვენს სულში უკვე გაუღვიძიათ ვნებებს, რომელთაც გამოუცნობი ძალით შეუკრთიხართ; ფიქრებსა და განცდებს, რომელთაც აღუვსიხართ აუტანელი შიშით და ცხადში თუ სიზმარში ხშირად წარმოგისახავთ ალბათ ისეთი ოცნებანი, რომელთა უბრალო მოგონებაც კი სირცხვილით გაგაწითლებდათ ამჟამად.
- შეჩერდით! - ენის ბორძიკით ჩაიბუტბუტა დორიან გრეიმ, - შეჩერდით ღვთის გულისათვის! თქვენ მე გამოუვალ ჩიხში მომამწყვდიეთ, არ ვიცი, რა უნდა გიპასუხოთ. თითქოს კიდეც არის პასუხი ჩემს გონებაში, მაგრამ ვერ მიმიგნია... უმორჩილესად გთხოვთ ნუღარაფერს მეტყვით. ნება მომეცით ვიფიქრო. თუმცა ჯობია, ამაზე საერთოდ არ ვიფიქრო.
დაახლოებით ათ წუთს დორიანი უძრავად იდგა ბაგე გაპობოდა და უცნაური ნათელით აღვსილი თვალები უკიაფებდა. ბუნდოვნად შეიტყო, რომ მის სხეულს

რაღაც ახალი სრულიად უცნობი ფიქრებისა და გრძნობების ალი შემონთებოდა. ისე ეჩვენებოდა, რომ ეს ალი საკუთრად მის სულში დაირხა, ოდესღაც იქ აღიგზნო და ამჟამად იქიდან მიედინებოდა. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა, რაც ბეზილის მეგობარმა წარმოთქვა, სრულიად შემთხვევით და უბრალოდ ნათქვამი სიტყვა, უთუოდ წინასწარგანზრახული და პარადოქსალური, მეტად სათუთად შეეხო და ღრმად ჩასწვდა მისი სულის იმ საიდუმლო კუნჭულს, რომელსაც აქამდე ჯერ კიდევ არავინ შეხებოდა. და მან ახლა ნათლად იგრძნო, როგორ თრთოდა და ცახცახებდა ადამიანის სულის ეს მიუწვდომელი სიმი. როგორ ძრწოდა და ფეთქავდა სრულიად ახალი შინაგანი ძალის უჩვეულო ბიძგით. მხოლოდ მუსიკა სწვდა სულს ასე ძალუმად. დიახ, მუსიკის ბობოქარი ძალა აღელვებდა და აწამებდა ხოლმე მის არსებას ასე, მაგრამ ის იდუმალებით სავსე და ბუნდოვანი ხმა იყო მხოლოდ, ის ხომ გონებაში ახალ სამყაროს არ ქმნიდა, ის უფრო სხვა, ჯერ განუცდელ ქაოსს ჰგავდა მუდამ, რომელიც არცთუ ისე უჩვეულოა ადამიანის ბუნებისათვის, მაგრამ ახლა სიტყვების, უბრალო სიტყვების ენით გამოუთქმელი ძალა მოქმედებდა მასზე. ოჰ, რა ამაზრზენი ჩანდნენ ისინი. რა ნათელნი, ცოცხალი ძალით მოქმედნი და ამასთანავე ულმობელნი! ადამიანურ ძალას აღემატებოდა მათგან თავის დაღწევა: რა იდუმალებით მოცული მზაკვრული მომხიბვლელობა გამოსჭვიოდა მაინც მათში. ეტყობა, მხოლოდ და მხოლოდ სიტყვებს შესწევთ უნარი სათუთად გამოსძერწონ და დახვეწონ სრულიად ჩამოუყალიბებელი გრძნობანი. დიახ, ალბათ სწორედ მათში არის რაღაც საიდუმლო მუსიკა ბარბითისა და ვიოლას ჰაეროვანი ხმებივით ტკბილი. მხოლოდ უბრალო სიტყვები! და განა არის რამ ამქვეყნად სიტყვის ფასი და მასზე უფრო რეალური?

დიახ, უფრო ადრეული ყრმობის წლებში ბევრი რამ იყო ისეთი, რასაც ალღოს ვერ უღებდა ჭაბუკი. ახლა კი ყველაფერი თითქმის ერთბაშად შეიტყო. ცხოვრება უცებ ბრწყინვალე ფერების კორიანტელად იქცა. დორიანს მოეჩვენა, რომ ჩირაღდნებივით ანთებულ ცეცხლის ენებს შორის მიაბიჯებდა. მაინც საოცარია, როგორ მოხდა, რომ ამ გრძნობათა უმეცრად არსებობდა აქამდე?

ლორდ ჰენრი შეუმჩნეველი ღიმილით შესცქეროდა ჭაბუკს და ხმას არ იღებდა. მას ხომ დიდი ფსიქოლოგის ალღო შეუმცდარად კარნახობდა, როდის იყო საჭირო ოქროზე უფრო ძვირად ღირებული დუმილი. ფრიად დაინტერესდა. განცვიფრებული დარჩა იმ შთაბეჭდილებებით, რომელიც მისმა სიტყვებმა მოახდინა. თავისი საკუთარი ყრმობის ხანა წარმოუდგა თვალწინ, როდესაც თექვსმეტი წლის ჭაბუკმა ერთი წიგნი გადაიკითხა. იმ წიგნმა ხომ ცხოვრების ისეთი საიდუმლოებანი გაუმჟღავნა, რაც მანამდე ფიქრადაც არ მოსვლია... და უცებ ასეთმა აზრმა გაუელვა: შესაძლოა დორიანიც ისეთივე განწყობილებამ შეიპყრო და იმასვე განიცდიდა ახლა. მან ხომ უბრალოდ ისროლა ისარი ჰაერში და ნუთუ მაშინვე მიზანში მოხვდა? ოჰ, რაოდენ მომაჯადოებელი და თვალწარმტაცი ჭაბუკია დორიანი!

ჰოლუორდი სურათზე მუშაობას განსაცვიფრებელი გულმოდგინებით განაგრძობდა. მხატვარი ისე გაბედულად, ნატიფად და ჭეშმარიტი ოსტატის

ხელით უსვამდა ფუნჯს, რისი უნარიც, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ გენიალური ძალისა და ტალანტის შემოქმედთ დაჰყოლიათ ხელოვნებაში. მან უცაბედი დუმილი ვერც შენიშნა.
- ბეზილ, აქ დგომით მეტისმეტად დავიღალე, - წამოიძახა დორიანმა უცებ. - ბაღში უნდა გავიდე და ცოტა ხანს შევისვენო. ჰაერი აღარ მყოფნის, სული მეხუთება!
- ჩემო ძვირფასო მეგობარო, ფრიად ვწუხვარ, თუ ასეა. როდესაც ვმუშაობ, აღარაფერზე ვფიქრობ. უნდა გამოგიტყდეთ, სხვა დღეებთან შედარებით თქვენ დღეს ყველაზე უკეთ იდექით ფიცარნაგზე, სრულიად მშვიდად, და მეც სწორედ ის გამომეტყველება შევნიშნე თქვენს სახეზე, რომელსაც დიდი ხანია ვეძებდი - ნახევრად გაპობილი ბაგე და ვარსკვლავებივით აკიაფებული თვალები. არ ვიცი, მართალი გითხრათ, რის შესახებ გესაუბრებოდათ ჰარი, მაგრამ უეჭველია მხოლოდ მან შეძლო გამოემჟღავნებინა ასეთი შესანიშნავი გამომეტყველება თქვენს სახეზე, ალბათ ქათინაურებით აგავსოთ. ერთი სიტყვაც არ დაუჯეროთ, რასაც ის ამბობს.
- არა, სწორედ ქათინაურებს არიდებდა თავს. შესაძლოა ესეც არის მიზეზი, რომ აღარაფერი მსურს ვირწმუნო, რაც ილაპარაკა.
- კარგად იცით, რომ ყველაფერი გჯერათ, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ და თავისი მეოცნებე და მიბნედილი თვალებით დააცქერდა ჭაბუკს.
- მეც დიდი სიამოვნებით გამოვალ ბაღში თქვენთან ერთად. სახელოსნოში აუტანელი სიცხეა, ბეზილ. თუ შეიძლება მსახურს სთხოვე რაიმე ყინულზე ჩაციებული სასმელი შემოგვიტანოს. აჯობებს ხენდროს წვენით შეზავებული.
- დიდი სიამოვნებით, ჰარი, მხოლოდ ზარის ღილაკს შეახე ხელი და როგორც კი პარკერი გამოჩნდება, ვუბრძანებ რაც საჭიროა. მე კი მირჩევნია ცოტა ხანს კიდევ ვიმუშაო ფონზე და მერე მეც მალე შემოგიერთდებით. დორიანს დიდხანს ნუ დააყოვნებ. პორტრეტის წერისას ამაზე უკეთესი განწყობილება ჯერ არ მქონია. ჩემი შედევრი ალბათ ეს პორტრეტი იქნება. ასე დაუმთავრებელიც კი, მგონი, შედევრია უკვე.
ლორდ ჰენრი ბაღში გავიდა თუ არა, შენიშნა, დორიანს სახე გაშლილი იასამნის დიდ-დიდ მტევნებად აკინძულ გრილ ყვავილებში ჩაერგო და როგორც ღვინომოწყურებული მათ არომატულ სურნელებას თრთოლვით ეწაფებოდა. ახალგაზრდა ლორდი მიუახლოვდა ჭაბუკს და მხარზე შეახო ხელი.
- ძალიან კარგია, ასე რომ მოიქეცით, - თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა მან. - გრძნობების მეტი სულს ვერაფერი ჰკურნავს, ისევე, როგორც გრძნობათა მკურნალობა შეუძლებელია სულის გარეშე.
ჭაბუკი შეკრთა და უკან დაიხია. ქუდი არ ეხურა. ფოთლებმა და პაწაწინა ყლორტებმა დაუმორჩილებელი ხშირი თმა აუბურდა და ოქროსფერი მშვენიერი კულულები მთლად აუწეწ- დაუწეწა. თვალები შიშით ისე აღვსებოდა, როგორც უცაბედი მიზეზით გაღვიძებულ ადამიანს სჩვევია. ფაქიზად ნაძერწი მშვენიერი ცხვირის ნესტოები საოცრად უცახცახებდა, ხოლო რომელიღაც ფარული ნერვი ალისფერ ტუჩებს დროდადრო უფითრებდა და დაუსრულებლად უთრთოლებდა.
- დიახ, - განაგრძობდა ლორდ ჰენრი, - აი, სწორედ ეს გახლავთ ცხოვრების დიდი

საიდუმლოება: განვკურნოთ სული გრძნობებით, ხოლო გრძნობათა მკურნალი კი მარად და მარადის იქითაც სულია მხოლოდ. თქვენ განსაცვიფრებელი ქმნილება ხართ, მისტერ გრეი, თქვენ გაცილებით მეტი იცით, ვიდრე წარმოდგენილი გაქვთ, მაგრამ შედარებით ცოტა, ვიდრე გსურთ, რომ იცოდეთ.
დორიანმა წარბი შეიკრა და თავი გვერდზე მიაბრუნა. მას უსაზღვროდ მოსწონდა ეს მაღალი და მეტად მოხდენილი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ახლა მის გვერდით იდგა. მისი რომანტიული შავგვრემანი სახე და დათენთილი გამომეტყველება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ჭაბუკში. დიახ, დორიანი გრძნობდა რაღაც თავბრუდამხვევს მის მეტად დაბალ აპათიურ ხმაში, რომელიც სასწაულებრივად აჯადოებდა ადამიანს. მისი ოდნავ გრილი, თეთრი, თითქოს ყვავილის მაგვარი ხელებიც კი რაღაც იდუმალი მომხიბვლელობით იყო აღსავსე. ამ ხელთა მოძრაობა, მათი პატრონის საუბრის დროს, მუსიკას ჰგავდა და ადამიანს ისე ეჩვენებოდა, თითქოს მათ საკუთარი სალაპარაკო ენაც კი გააჩნდათ. დორიანი გრძნობდა, რომ ადამიანისა ეშინოდა და ეს შიში კი მასში სირცხვილს იწვევდა. როგორ მოხდა მაინც, რომ ვიღაც უცნობმა ჩაახედა საკუთარ სულში და მის რაობაში გაარკვია? აი უკვე რამდენიმე თვეა იცნობდა ბეზილ ჰოლუორდს, მაგრამ მისმა მეგობრობამ ვერავითარი ცვლილება ვერ მოახდინა მასში. მაგრამ აი, მოვიდა ეს სრულიად უცხო ადამიანი და მის წინ ცხოვრების საიდუმლოებანი მთელი სიცხადით გადაიშალა. მაინც რის უნდა ეშინოდეს დორიანს? ის ხომ მოსწავლე არ არის? შიში უბრალოდ სისულელეა ამაჟამად!
- მოდით, სადმე ჩრდილს შევაფაროთ თავი და ჩამოვსხდეთ, - უთხრა ლორდ ჰენრიმ. - პარკერმა სასმელი უკვე გამოგვიტანა. აქ თუ ცოტა ხნით კიდევ დავრჩით, მზე ისე კაშკაშებს, გაირუჯებით და ბეზილიც, ეჭვი არ არის, თქვენი პორტრეტის წერაზე უარს განაცხადებს, გაშავება სრულიად არ მოგიხდებათ.
- მერედა, რა მნიშვნელობა აქვს ამას? - წამოიძახა დორიან გრეიმ სიცილით და ბაღის ბოლოში სკამზე ჩამოჯდა.
- აი, სწორედ ამას აქვს უდიდესი და გადამწყვეტი მნიშვნელობა თქვენს ცხოვრებაში, მისტერ გრეი.
- რატომ?
-იმიტომ, რომ სწორედ ამჟამად ამკობს მაგ თქვენს ჭაბუკურ წლებს ზებუნებრივი სილამაზე, ახალგაზრდობა კი ის უძვირფასესი განძია, რომლის ქონებაც უდავოდ ღირს.
- მე ამას ვერ ვგრძნობ, ლორდ ჰენრი.
- არა, რა თქმა უნდა, ახლა ვერ გრძნობთ, მაგრამ გვიან, როდესაც მოხუცდებით, სახე დაგინაოჭდებათ და სრულიად შეუხედავი გახდებით, ფიქრი შუბლს დაგისერავთ და დაგიდაღავთ, გრძნობა კი გამანადგურებელი ცეცხლით დანაცრავს ბაგეს, აი, სწორედ მაშინ შეიგრძნობთ ამ საშინელებათა რაობას. ახლა სადაც კი უნდა მოხვდეთ, თქვენი გარეგნობით ყველას დაატყვევებთ. მაგრამ ასე იქნება ყოველთვის? თქვენ საოცრად მშვენიერი სახე გაქვთ, მისტერ გრეი. შუბლს ნუ იკრავთ, ეს სრული ჭეშმარიტება გახლავთ. მშვენიერება კი გენიალურობის

ერთ-ერთი სახეობაა და, მე ვიტყოდი, მასთან შედარებით გაცილებით მაღლა მდგომი სახეობაც. ის ხომ ახსნა-განმარტებას და გაგებას არ საჭიროებს. მშვენიერება ისეთივე უდიდესი მოვლენაა სამყაროში, ვით მზის სინათლე, გაზაფხული, ან მთვარის პირსაბურველის ანარეკლი მრუმე წყალში. მშვენიერება უდავო რეალობაა. ის ღვთიური და ამასთანავე უფლების მატარებელია. და მეფური უფლებით აღჭურვაც მხოლოდ მათ რგებიათ წილად, ვინც მისი მფლობელნი შეიქმნებიან. იღიმებით? ოჰ, როდესაც ქვეყნიერება თავისი ჯადოსნური ხელით წარგტაცებთ სილამაზეს, მხოლოდ მაშინ აღარ გაიღიმებთ. ხანდახან ზოგიერთი ამბობს, მშვენიერება მხოლოდ გარეგნული ფორმაა. შესაძლოა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მას ისეთ გარეგნულ ფორმად ვერ ჩავთვლით, როგორადაც აზროვნებას. ჩემი გაგებით, მშვენიერება ეს საოცრებათა საოცრებაა. მხოლოდ გონებადახშულ უბრალო ადამიანთა ჩვეულებაა, არ შეაფასო და არ განსაჯო გარეგნული მშვენება. სამყაროს ჭეშმარიტი საიდუმლო სწორედ ხილვადშია და არა უხილავში. დიახ, მისტერ გრეი, ღმერთები მეტად მოწყალენი ყოფილან თქვენ მიმართ, მაგრამ ისინი მალევე წარსტაცებენ ხოლმე ადამიანს ყოველივეს, რაც თვით უწყალობეს. თქვენ მხოლოდ სულ რამდენიმე წელს ძალგიძთ იცხოვროთ ჭეშმარიტი სრულყოფილი და წარმტაცი ცხოვრებით. ოდეს ახალგაზრდობა ხელიდან გაგეცლებათ, მშვენიერებასაც უნდა დაემშიდობოთ, ისიც თავისთავად გაფრინდება და მაშინ უცბად აღმოაჩენთ, რომ უზენაესი სიხარულისა და სამყაროს წინაშე გამარჯვების დიადი გრძნობა უკვე ჩამქრალა თქვენში. მაშინ უნდა დაკმაყოფილდეთ იმ სვებედნიერი წარსულით, რასაც მეხსიერება შემოგინახავთ, მაგრამ იმ გარდასულ ჟამთა მეფური ყოფის გახსენება ისეთ აუტანელ უბადრუკობად მოგეჩვენებათ, რომ თვითდამარცხების გრძნობაზე ბევრით უმწარეს ტკივილს მოგაყენებთ მუდამ. ყოველი წარმავალი თვე უსაშინელეს მომავალთან გაახლოვებთ. დრო ხომ მეტად ეჭვიანია, ის გააფთრებით ებრძვის ახალგაზრდულ სიკისკასეს და არაერთხელ აღმართვას ხელს იმ წარმტაცი წამების წინააღმდეგ, რომელსაც შროშანებისა და ვარდობის თვე ეწოდება. ოდეს დრო მაგ ახლად გაშლილ ვარდის ფერს წარგტაცებთ, ლოყებჩაცვივნულს, ფერმიხდილსა და თვალმიმქრალს გაგხდით, აი, სწორედ მაშინ დაიწყება ტანჯვა-ვაება. მაშ, სანამ ხელიდან წაგივიდოდეთ დატკბით თქვენი ახალგაზრდობით. უქმად ნუ გაანიავებთ ამ ოქროს წლებს. ნუ მოუსმენთ ფარისეველთა და სიწმინდის ამაო მქადაგებელთა თავმოსაბეზრებელ ბოდვას. ნუ შეეცდებით გამოასწოროთ ის, რაზედაც მარადისობამ სამუდამოდ ხელი ჩაიქნია და სამარადჟამოდაც ასევე დარჩება. თქვენს პირად ცხოვრებას უმეცართ, უხამს და ბილწ არაფრისმაქნისთ მდაბიოთ ნუ ჩაუგდებთ ხელთ. ნუ გაჰყვებით ჩვენი საუკუნის ავადმყოფურ მიზნებსა და მაცდურ იდეებს. იცხოვრეთ, იცხოვრეთ იმ წარმტაცი და მომხიბვლელი ცხოვრებით, რაც თქვენს არსებობაში საიდუმლოდ შეუნახავს არსთაგამრიგეს. ხელიდან ნუ გაუშვებთ ამქვეყნიურ სიამეს. ეძიეთ ახალ-ახალი განცდანი და ნურაფრის შიშს გულში ნუ გაივლებთ... ახალი ჰედონიზმი[8], აი, რა უნდა ჩვენს საუკუნეს, თქვენ ძალგიძთ იქცეთ მის ხილულ სიმბოლოდ. ისეთი პიროვნებისთვის, რომელსაც თქვენში ვხედავ, შეუძლებელი

არაფერია. გახსოვდეთ, სამყარო სულ მცირე ხნით წარმოადგენს თქვენს კუთვნილებას. იმ წუთიდან, როდესაც შეგხვდით, შევიტყვე, რომ საკუთარ თავს ჯერ კიდევ კარგად არ იცნობთ და ვერ მიმხვდარხართ, რა შეიძლება იყოთ. ძალიან ბევრი რამ მხიბლავს თქვენში. შეხვედრისთანავე ვიგრძენი, ცოტა რამ მაინც უნდა მეთქვა, რომ საკუთარი სულის რაობა შეგეცნოთ. ვიფიქრე ისიც, რა ტრაგიკული იქნებოდა, რომ თქვენმა სიცოცხლემ სრულიად ფუჭად ჩაიაროს ამქვეყნად. ახალგაზრდობა ხომ მეტად ხანმოკლეა. ოჰ, მერედა, როგორი ხანმოკლე! უბრალო მთის ყვავილნი ხომ ჭკნებიან, მაგრამ გაზაფხულზე კვლავ აღმოცენდებიან ხოლმე. ოქროწვიმა მომავალ ივნისს ისევ მიწისფერ, ბრწყინვალე _____ყვავილებს დაისხამს. ერთ თვეში მეწამული უსურვაზიც ვარსკვლავთა მოკიაფე თვალთა დარად გაიშლება მისი ფოთლების მომწვანო ღამეში, ყოველ წლობით ახალ-ახალი პაწაწინა ყვავილები ნეკერჩხლისფრად აენთებიან, მაგრამ ახალგაზრდობის იმ წამებს, რასაც დრო წარიტაცებს, უკან ვერავინ დაიბრუნებს. სასიხარულო მაჯის ცემა, რაც ოც წლამდე აღტაცებითა და ძალუმად ფეთქავდა, თანდათანობით სუსტდება და სხეულს ძალა ეცლება. გრძნობა, რაღა თქმა უნდა, თავისთავად ქრება. ჩვენ გადაგვარებას განვიცდით და ბოლოს საოცარ ამაზრზენ ტიკინებად ვიქცევით ხოლმე, რომელთაც ყოველთვის თან სდევთ მოგონებანი იმ გრძნობებზე, რაც აგრერიგად გვაძრწუნებდა, ან დაუსრულებელი ფიქრი საუცხოო ცდუნებებზე, ოდეს გამბედაობამ გვიღალატა და დათმობა ვერ გავბედეთ. ოჰ, ახალგაზრდობა! ამქვეყნად განა არის რამ მისი სადარი!
დორიან გრეი ფართოდ გაღებული თვალებით განცვიფრებული უსმენდა. იასამნის ტოტი ხელიდან გაუვარდა და ქვიშრობზე დაეცა. წამსვე გრძელბუსუსიანი ფუტკარი მოფრინდა. ყვავილს რამდენჯერმე გარს შემოუარა, შემდეგ მის ღერზე აცოცდა და ვარსკვლავის მსგავსი ერთი პაწაწინა ყვავილიდან მეორეზე გადაინაცვლა, დორიანი მწერის მოძრაობას ისე საოცრად დაინტერესებული ადევნებდა თვალყურს, როგორსაც ადამიანები ვიჩენთ ხოლმე სრულიად უმნიშვნელო წვრილმანი ამბებისადმი საერთოდ, ოდეს მნიშვნელოვან ამბავზე ფიქრი გვაძრწუნებს. ანდა როდესაც რაიმე ახალი გრძნობა, რომლის რაობაც ჯერ კიდევ ნათელი არ არის ჩვენთვის, სულს აშფოთებს და გონებას გვირევს. ან კიდევ, როცა შემაძრწუნებელი ფიქრი გონებას ალყას შემოარტყამს და გვაიძულებს დავნებდეთ. ცოტა ხნის მერე ფუტკარი გაფრინდა. დორიანმა შენიშნა, როგორ მიცოცავდა ის დაწინწკლულ ხვართქლას ძაბრისებურ ფოსოებში. ყვავილი მწერის შეხებისაგან თრთოდა და აქეთ-იქით ირწეოდა. უცებ სახელოსნოს კარებში მხატვარი გამოჩნდა, ის დიდი მონდომებით ანიშნებდა მათ უკან დაბრუნებულიყვნენ. ლორდ ჰენრიმ და დორიანმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს.
- გიცდით, - ხმამაღლა ეძახდა მხატვარი, - ამოდით! სინათლე სწორედ ახლაა შესაფერისი, სასმელიც თან წამოიღეთ, აქაც შეიძლება შეექცეთ.
ლორდ ჰენრი და დორიანი წამოდგნენ და სეირნობით ერთად დაუყვნენ ბილიკს. ორმა მომწვანო ფერის პეპელამ მათ ფარფატით ჩაუქროლა, მსხლის ხეზე, ბაღის

კუთხეში, შაშვმა გააბა გალობა.
- კმაყოფილი ხართ თუ არა ჩემთან შეხვედრით, მისტერ გრეი? - იკითხა ლორდ ჰენრიმ და დორიანს შეხედა.
- დიახ, ამჟამად მეტად მოხარული გახლავართ, მაგრამ იმაზე ვფიქრობ, ასე ნასიამოვნები და გახარებული თუ ვიქნები მუდამ.
- მუდამ!.. რა საშინელი სიტყვაა. წარმოიდგინეთ პირდაპირ ჟრუანტელი მივლის ამ სიტყვის გაგონებაზე. მისი წარმოთქმა განსაკუთრებით ქალთა სქესს უყვარს. ისინი ყოველი სახის რომანულ გრძნობას იმით აუკუღმართებენ, რომ მის სამუდამო შენარჩუნებას ესწრაფვიან. სამუდამო უაზრო სიტყვად მაქვს მიჩნეული. ერთადერთი განსხვავება ჟინიანობასა და სამუდამო სიყვარულს შორის ის არის, რომ ჟინიანობა ცოტა უფრო ხანგრძლივია.
დორიანი და ლორდ ჰენრი სახელოსნოში შევიდნენ. ჭაბუკმა ლორდ ჰენრის მკლავს ხელი ფრთხილად შეახო:
- თუ ასეა, მაშინ ჩვენი მეგობრობა, დაე, ჟინიანობა იყოს - თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა მან და საკუთარი გამბედაობით გამოწვეულმა მღელვარებამ წამოაწითლა. მერე ფიცარნაგზე სწრაფად შედგა და ხელახალი პოზა მიიღო.
ლორდ ჰენრი მოწნულ სავარძელში ჩაეშვა და ჭაბუკს რამდენიმე წამს თვალს არ აშორებდა. ოთახის მყუდროებას მხოლოდ ტილოზე ფუნჯის მოსმისა და მისივე მსუბუქი კაკუნის ხმა არღვევდა. დროგამოშვებით კი ჰოლუორდი უკან იხევდა და შორიდან ახედავდა ხოლმე საკუთარ ნამუშევარს. ღია კარიდან შემოჭრილ ელამ მზის სხივებში მტვრის ოქროსფერი სახეები ბრწყინავდნენ. ირგვლივ ყველაფერი ვარდის გამაბრუებელი სურნელებით გაჟღენთილიყო.
დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ ჰოლუორდმა ხატვა შეწყვიტა. ჯერ დორიანს, მერე კი სურათს დიდხანს აკვირდებოდა, კბილით უზარმაზარ ფუნჯის ტარს ძიძგნიდა და შუბლს იკრავდა.
- მთლიანად დამთავრებულია, - წამოიძახა მან ბოლოს, მერე დაიხარა და ტილოს ბოლოს, სურათს მარცხენა კუთხეში სინგურისფერი მოგრძო ასოებით გვარი მიაწერა.
ლორდ ჰენრი პორტრეტს მიუახლოვდა და დაკვირვებით დაუწყო სინჯვა. ის მართლაც ზებუნებრივი ნიჭით შთაგონებული ხელოვნების განსაცვიფრებელ ნიმუშს წარმოდგენდა. მსგავსებაც ასევე გასაოცარი ჩანდა.
- ჩემო ძვირფასო მეგობარო, სულითა და გულით გილოცავ, - წარმოთქვა მან. - მთელ ჩვენს თანამედროვე ხელოვნებაში ამაზე მშვენიერი პორტრეტი ჯერ არ შემხვედრია. მისტერ გრეი, აბა აქ მოდით და თქვენ თვითონ გასინჯეთ.
ჭაბუკი ისე შეირხა, თითქოს სიზმრიდან ახლად გამოერკვაო.
- მართლა დამთავრდა? - ხმადაბლა იკითხა მან და ფიცარნაგიდან ჩამოვიდა.
- დიახ, დამთავრდა, - უპასუხა მხატვარმა. - თქვენ კი დღეს განსაკუთრებით კარგად გეჭირათ თავი. დიდად დამავალეთ, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ.
- ამას მხოლოდ მე უნდა მიმადლოდეთ, - ჩაერია ლორდ ჰენრი. - განა ასე არ არის, მისტერ გრეი?
დორიანს პასუხი არ გაუცია. დაბნეულმა, მოღლილი გამომეტყველებით სურათის

წინ ჩაიარა და მოლბერტისაკენ შეტრიალდა. პირველი შეხედვისთანავე საოცრად შეკრთა, განცვიფრებულმა უკან დაიხია და სიამოვნებისაგან ალმური წაეკიდა სახეზე. მოზღვავებულმა სიხარულმა თვალები აუციმციმა, თითქოს თავის სიცოცხლეში პირველად იხილა საკუთარი თავი. ოცნებაში წასული ჭაბუკი დიდხანს იდგა გაუნძრევლად პორტრეტის წინ. ბუნდოვნად ჩაესმოდა ჰოლუორდის ნაუბარი, მაგრამ შინაარსი კი არ ესმოდა. ზებუნებრივი სილამაზის განცდა გამოცდხადებასავით დაუდგა თვალწინ. აქამდე თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. ბეზილ ჰოლუორდის ასეთი დიდი აღფრთოვანება მას უბრალო მეგობრულ გრძნობად და გადაჭარბებად მიაჩნდა. ჭაბუკი უსმენდა უსაზღვრო აღტაცებით გამოწვეულ სიტყვებს, ხშირად დასცინოდა მათ და ბოლოს ივიწყებდა სრულიად. მის შინაგან ბუნებაზე ისინი ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდნენ. და აი, გამოჩნდა ლორდ ჰენრი უოტონი, მის სიტყვებში აჟღერდა ახალგაზრდობის სახოტბო სადიდებელი, თუმც მას თან სდევდა მეტად მკაცრი გაფრთხილება მის ხანმოკლეობაზე. სწორედ ამან შეაშფოთა დორიანი და ახლა, როდესაც სურათის წინ მდგომი საკუთარი ბრწყინვალე სილამაზის აჩრდილს დაკვირდა, მის წინ საოცრად ნათლად გაიელვეს მომავლის რეალურმა სურათებმა. დიახ, დადგება ის დღეც, როდესაც სახე ნაოჭებით დაიღარება, ჩამოხმება, თვალებში ნათელის სხივი ჩაუქრება, ფერმიხდილობა მოეძალება, მისი შესანიშნავი ტანი მოიხრება და დამახინჯდება. დროთა სვლა შთანთქავს ყოველივეს, გააქრობს მის ოქროსფერ კულულებს. ბაგეს სიფითრე შეეპარება და ცხოვრება საოცრად დაამახინჯებს მის სხეულს, რომელიც დიდი მონდომებით აყალიბებდა მის სულს აქამდე. და ბოლოს ალბათ საზარელი შესახედაობის, ამაზრზენ ტლანქ არსებად გადაიქცევა.
ამ ფიქრში გართულს, რაღაც საოცარმა მძიმე ტკივილმა დანასავით დაუსერა გული და მისი არსების თითოეული უწვრილესი ნერვიც კი აათრთოლა. ჩაღამებულმა თვალებმა ამეთვისტოსფრად გაიელვეს, ცრემლებმა ნისლის საბურველი გადააფარეს მათ. თავი ისე იგრძნო, თითქოს ყინულის ხელით ვინმე მის გულს შეეხო. და მთელი ძალ-ღონით ცივ მარწუხს უჭერდა.
- ნუთუ არ მოგწონს? - წამოიძახა ჭაბუკის საოცარი ღიმილით გაოგნებულმა ჰოლუორდმა.
- რა თქმა უნდა, მოსწონს, - უპასუხა მის მაგიერ ლორდ ჰენრიმ. - განა შეიძლება ვინმეს არ მოეწონოს? თანამედროვე ხელოვნების უბრწყინვალესი შედევრი! მე პირადად ენით უთქმელ საფასურს გავიღებდი ამ პორტრეტში. ამ წამიდან ერთადერთი სურვილი დაეუფლა ჩემს სულს... პორტრეტი მხოლოდ და მხოლოდ ჩემს საკუთრებას უნდა წარმოადგენდეს.
- წარმოიდგინე, ჰარი, რომ ის თვით ჩემს საკუთრებასაც არ წარმოადგენს!
- აბა, ვის ეკუთვნის?
- რა თქმა უნდა, დორიანს, - უპასუხა მხატვარმა.
- ამ ჭაბუკს, როგორც ჩანს, დიდად სწყალობს ბედი ამქვეყნად.
- ოჰ, რა სავალალოა! - თითქმის დრტვინვით წარმოთქვა დორიანმა და თვალი ერთი წამითაც არ მოუშორებია საკუთარი პორტრეტისათვის. - ოჰ, რაოდენ

სავალალოა მართლაც! მე უნდა მოვხუცდე და ამაზრზენ ხეიბრად ვიქცე, ეს პორტრეტი კი ადამიანური ყოფის უმშვენიერესი წლების სიმბოლოდ გადავა მარადისობაში და ამ საოცნებო ივნისის დღესავით ახალგაზრდა იქნება მარადჟამს. ოჰ, რომ შეიძლებოდეს სრულიად სხვაგვარად! ყველა მოსალოდნელი ცხოვრებისეული ცვლილება პორტრეტმა განიცადოს; მე კი მარად ახალგაზრდა დავრჩე. დიახ, მხოლოდ ამის გამო ყოველივეს გავწირავდი ამქვეყნად. განა არის რამ ამ ხილულ სამყაროში ჩემთვის ისე ძვირფასი, რასაც დავინანებდი და მსხვერპლად არ შევწირავდი. ასე განსაჯეთ, სულს, ჩემს საკუთარ სულსაც კი არ დავიშურებდი მისთვის.
- ბეზილ, შენი შეთანხმება ასეთ პირობებზე, ვფიქრობ, წარმოუდგენელია, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ სიცილით. - მხატვრისათვის მეტად მძიმე ხვედრია ესოდენ დიდი შრომის ამგვარი შეფასება!
- დიახ, მე მართლაც დიდ წინააღმდეგობას გავუწევდი, ჰარი, - თქვა ბეზილ ჰოლუორდმა.
დორიანი მიტრიალდა და მხატვარს ჯიქურ შეხედა სახეში.
- დიახ, მწამს, რომ ასე მოიქცეოდით, ბეზილ. თქვენ თქვენი ხელოვნება გაცილებით მეტად გიყვართ, ვიდრე მეგობრები. თქვენთვის პირადად მე ერთ ფერშეცვლილ, გადამწვანებულ ბრინჯაოს ქანდაკებაზე მეტი არ ვღირვარ. შესაძლებელია მას კიდევ უფრო მეტი ფასი ჰქონდეს თქვენს თვალში. განცვიფრებისაგან გაშეშებული მხატვარი დაჟინებით შესცქეროდა დორიანს, რომელსაც ასეთი საუბარი არ სჩვეოდა. ჭაბუკი საოცარ მღელვარებას მოეცვა. სახე წამონთებოდა და ლოყები ეწვოდა.
- დიახ, - განაგრძო დორიანმა. - მე თქვენთვის ისეთივე ძვირფასი არა ვარ, როგორც - აი, ეს სპილოს ძვლის ჰერმესი[9] ან ვერცხლისაგან ნაჭედი ფავნი[10]. თქვენს თვალში ისინი მარადიული აღტაცების საგნებად დარჩებიან, მაგრამ ჩემი სილამაზე ნეტავი როდესმე მოგაჯადოებთ? ვფიქრობ, მხოლოდ მანამდე, სანამ პირველი ნაოჭი გაჩნდება ჩემს სახეზე. ახლა კი ნათლად ვგრძნობ და ვხვდები, ოდეს სამყარო მისგან ბოძებულ სილამაზეს წარიტაცებს, ადამიანი ყოველივეს კარგავს ამქვეყნად თურმე. და აი, ეს ყოველივე ამ წამში, სწორედ თქვენმა სურათმა მიწინასწარმეტყველა. ლორდ ჰენრი დიდ ჭეშმარიტებათა მაცნე ბრძანებულა. ადამიანის ცხოვრებაში ახალგაზრდობა ერთ-ერთი მართლაც უძვირფასესი განძია. როგორც კი შევიტყობ, რომ სიბერე მიახლოვდება სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავასრულებ.
ჰოლუორდი გაფითრდა და ჭაბუკის ხელს ხელი ფრთხილად შეახო.
- დორიან, დორიან! - მღელვარებით წამოიძახა მხატვარმა, - ღვთის გულისათვის, ნუ მსჯელობთ ასე! ჩემს სიცოცხლეში არც მყოლია და არც მეყოლება თქვენზე უახლოესი მეგობარი. რამ გაფიქრებინათ, იეჭვიანოთ უსულო საგნებზე, რომლებთან შედარებით თქვენ ენით აღუწერელი სილამაზის ხატებას წარმოადგენთ.
- ყველაფრისა და ყველას მიმართ შემიძლია ვიეჭვიანო, რომელთა სილამაზეც წარმავალი არ არის ამქვეყნად. დიახ, მართლაც მოუთმენლად და

თავშეუკავებლად ვეჭვიანობ ამ პორტრეტზე, რომელიც თვით ჩემი სახიდან შექმენით. რისთვის უნდა შეინარჩუნოს ჩემმა სურათმა ის რისი დაკარგვაც ბედისწერამ მე მიწინასწარმეტყველა. ყოველი წარმავალი წუთი მე რაღაცას მტაცებს და მას სთავაზობს! ოჰ, ნეტავ როგორმე სხვაგვარად ყოფილიყო. ცხოვრების მძიმე განცდათა კვალი პორტრეტზე აღბეჭდილიყო, მე კი მარადისობის წინაშე წარვმდგარიყავ ისე, როგორიცა ვარ ამჟამად! რატომ შექმენით ის? ალბათ სულ მოკლე ხანში მე ის სასტიკად გამახელებს და მწარედ დამცინებს!

დორიანს ცხარე ცრემლები ღვარად გადმოსკდა თვალიდან. მხატვარს ხელი გამოგლიჯა, დივანზე დაეცა და თავი ბალიშებში ჩარგო.

- ეს შენი ბრალია, ჰარი, - წარმოთქვა მხატვარმა მწარედ.

ლორდ ჰენრიმ მხრები აიჩეჩა.

- აი, ნამდვილი დორიან გრეი ეს გახლავთ, ბეზილ, მორჩა და გათავდა.

- არ არის მართალი.

- თუ ასე არ არის, მე რაღა შუაში ვარ?

- უნდა წასულიყავი, როდესაც გთხოვე, - ჩაიბუტბუტა მხატვარმა.

- მხოლოდ შენი თხოვნით დავრჩი, - გამოეპასუხა ლორდ ჰენრი.

- ჰარი, განა მე შევძლებ ჩემს ორ უახლოეს მეგობარს ერთად შევედავო?.. მაგრამ თქვენ ორივემ საძულველად გადამიქციეთ ჩემი საუკეთესო ქმნილება. მე მას ახლავე ბოლოს მოვუღებ, რას წარმოადგენს ბოლოს და ბოლოს? მხოლოდ უბრალო ტილოსა და საღებავს. ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივცემ უფლებას, რომ ის ჩვენს სამს შორის ჩადგეს და სიცოცხლე მოგვიწამლოს.

დორიან გრეიმ ბალიშიდან ოქროსფერ კულულებიანი თავი სწრაფად აიღო და ფერდაკარგულმა ნამტირალევი თვალები მხატვარს შეანათა. ჰოლუორდმა სწრაფი ნაბიჯით სამუშაო მაგიდას მიაშურა, რომელიც ფარდაჩამოფარებული მაღალი სარკმლის ძირას იდგა. მაგრამ რას აკეთებდა იქ? გაოგნებული აქა-იქ მიმოფანტულ უამრავ თუნუქის მილაკებსა და მშრალ ჯაგრისებს შორის გამალებული რაღაცას ეძებდა. აჰ, ეს თავისუფლად მღუნავი თხელპირიანი ფოლადის ბასრი დანა აღმოჩნდა, რომელსაც მხატვარი პალიტრისათვის ხმარობდა და ძლივს მიაგნო. ჩანდა, ჰოლუორდს პორტრეტის მოსპობა განეზრახა და ალბათ ამ დანით რამდენიმე წამში მას ნაკუწ-ნაკუწ აქცევდა. აქვითინებული ჭაბუკი ფეხზე წამოიჭრა, ჰოლუორდს მივარდა, დანა ხელიდან გამოსტაცა და სახელოსნოს ბოლოში გადასტყორცნა.

- არ გაბედოთ, ბეზილ, არ გაბედოთ, გემუდარებით! - წამოიძახა მან. - ეს ხომ საზარელ მკვლელობას ნიშნავს!

- მოხარული ვარ, ჭაბუკო, რომ ჩემს ნამუშევარს ასეთ შეფასებას აძლევთ ბოლოს და ბოლოს, - წარმოთქვა მხატვარმა მძიმედ, როდესაც განცვიფრებისაგან, ოდნავ გამოერკვია. - რა თქმა უნდა, ამის იმედი უკვე აღარ მქონდა.

- ვაფასებ? განა სიტყვებს ძალუძთ ჩემი გრძნობის გამოცემა? მე ეს პორტრეტი თავდავიწყებით მიყვარს, ბეზილ, ამიერიდან ის ჩემს სათაყვანებელ კერპს წარმოადგენს. ვგრძნობ, იგი ჩემი არსების განუშორებელ ნაწილად იქცა.

- კეთილი, როგორც კი გაშრება სანდალოზის ლაქს გადავუსვამ, ჩარჩოს გავუკეთებ და თქვენს სასახლეში გამოვაგზავნინებ. მაშინ სრული უფლება გექნებათ, როგორც გნებავთ, ისე მოექცეთ თქვენს საკუთრებას.
მხატვარმა ამ სიტყვებით ოთახში ჩაიარა და ზარი დარეკა, რომ ჩაი შემოეტანათ.
- მგონი, ჩაიზე უარს არ იტყვით, დორიან, ვფიქრობ, ჰარიც დიდი სიამოვნებით შეექცევა. თუ ასეთ წვრილმან სიამოვნებაზე ყოველთვის უარს აცხადებ ხოლმე, ჩემო მეგობარო?
- რა ბრძანებაა, ბეზილ, მართალი მოგახსენოთ, სწორედ ყოველგვარ ასეთ წვრილმან სიამოვნებას ვეთაყვანები, - გამოეპასუხა ლორდ ჰენრი.
- ის ხომ მეტად რთულ პიროვნებათა უკანასკნელი თავშესაფარია. მაგრამ, წარმოიდგინე, გარდა თეატრისა დრამატული სცენების ყურება არსად არ მიყვარს. ოჰ, რა უგუნური საქციელის მოწმე გამხადეთ! საოცარია მაინც, ვის მოუვიდა საერთოდ აზრად, რომ ადამიანი გონიერ პირუტყვად ეღიარებინა. ვფიქრობ, ეს მეტისმეტად ნაადრევი განაჩენია მათ შორის, რომელიც კი ოდესმე კაცობრიობას დაუდგენია. ადამიანი ყველაფერი, მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, გონიერებისაგან შორს არის. მე პირადად ფრიად მოხარული გახლავართ, რომ ეს ასეა ბოლოს და ბოლოს. თუმცა ჩემი რჩევაა, ყმაწვილებო, ამ პორტრეტზე შფოთს ნუ ატეხთ, ორივესათვის უმჯობესია მე დამითმოთ, ბეზილ. ამ უგნურ ბიჭს არცთუ ისე გულით სწადია. მე კი მისი დასაკუთრების დიდი სურვილი მაქვს.
- თუ თქვენ გაბედავთ და მას სხვას აჩუქებთ, ბეზილ, იცოდეთ, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ამ საქციელს არ გაპატიებთ! - წამოიძახა ჭაბუკმა, - და არც იმის ნებას მივცემ ვინმეს „უგნური ბიჭი“ მიწოდოს.
- ძალიან კარგად იცით, რომ სურათი მხოლოდ და მხოლოდ თქვენს საკუთრებას წარმოადგენს, დორიან, მე ეს გადაწყვეტილება მანამდე მივიღე, სანამ მას შევქმნიდი.
- თქვენ კი რამ გაგანაწყენათ, ჭაბუკო, კარგად მოგეხსენებათ, რომ საკმაოდ უგნურად მოიქეცით. მგონია, არც იმის შეხსენება უნდა გაყენებდეთ უსიამოვნებას, რომ სრულიად ახალგაზრდა, ასე ვთქვათ, ჯერ კიდე პატარა ბიჭი ხართ.
- კარგად უწყით რომ ამ დილით ეს სიტყვები ფრიად უსიამოვნო გახლდათ ჩემთვის, ლორდ ჰენრი, მე ხომ საშინელ წინააღმდეგობას ვუწევდი მათ.
- აჰ, ამ დილით! მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა და თქვენც ბევრი რამ განიცადეთ უკვე, დორიან.
კარის კაკუნი გაისმა. ლაქია შემოვიდა და ჩაის სავსე ლანგარი იაპონურ მაგიდაზე დადგა. გაისმა ფინჯნებისა და ლამბაქების წკრიალი. ქართული ჩაიდანი ფლეიტასავით შიშინებდა. გლობუსისმაგვარი ორი ფაიფურის ლანგრით ლაქიას უკან ხელზე მოსამსახურე ბიჭი შემოჰყვა.
დორიან გრეი მაგიდასთან მივიდა და ჩაი დაისხა. ჰოლუორდი და ლორდ ჰენრი კი ცოტა უფრო მოგვიანებით მიუახლოვდნენ მაგიდას, დახურულ ლანგრებს თავი მოხადეს და სინჯვა დაუწყეს.
- რა კარგი იქნება, თეატრში რომ წავიდოდეთ ამაღამ, - შესთავაზა ყმაწვილებს

ლორდ ჰენრიმ. - სადმე უთუოდ იქნება საინტერესო დადგმა, თუმცა ერთ ჩემს ძველ მეგობარს დავპირდი, რომ მასთან უნდა მესადილა უაიტში, მაგრამ იმდენად ახლობელია, შემიძლია დეპეშით ვაცნობო, ავად ვარ ან საკმაოდ გვიან მიღებულმა მოწვევის ბარათმა შემიშალა ხელი-მეთქი. მგონია, ფრიად ზრდილობიანი ბოდიშია და ასეთ გულწრფელობაში განსაცვიფრებელიც საკმაოდ ბევრია.
- ოჰ, რა აუტანელია ახლა ფრაკში გამოწყობა, - ჩაიბუტბუტა ჰოლუორდმა. - ფრაკში გამოწყობილი მამაკაცის დანახვაც არ შემიძლია, პირდაპირ საშინელებაა.
- დიახ, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ ზანტად. - მეცხრამეტე საუკუნის ტანსაცმელი საძაგლობაა, მეტად ბნელი და უღიმღამოა. თავისი ელფერით ადამიანს სულიერად ტეხს და ანადგურებს. ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში მხოლოდ ბიწიერებასა და დანაშაულს შერჩენია ფერთა სიმრავლე.
- ჰარი, დორიანთან ასეთი საუბარი არ არის.
- რომელ დორიანთან? იმ დორიანთან, რომელიც ამ წუთში ჩაის გვისხამს, თუ პორტრეტზე ასახულ ჭაბუკთან?
- ორივესთან, რა თქმა უნდა.
- მეც მინდა თეატრში წამოსვლა, ლორდ ჰენრი! - წამოიძახა ამ დროს დორიანმა.
- და წამოხვალთ კიდეც, რა _____თქმა უნდა. ხომ წამოხვალ, ბეზილ, არა?
- არა, ბევრი საქმე მაქვს და წამოსვლას ვერ შევძლებ.
- მაშინ ჩვენ ორნი წავალთ. არა, მისტერ გრეი?
- რაღა თქმა უნდა, დიდად მოხარული ვიქნები.
- მხატვარმა ტუჩზე იკბინა და მერე ფინჯნით ხელში პორტრეტისაკენ გაეშურა.
- მაშინ ნამდვილ დორიანთან მე დავრჩები, - წარმოთქვა მან ნაღვლიანად.
- ეგ არის ნამდვილი დორიანი? - წამოიძახა ჭაბუკმა და სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა პორტრეტს. - მართლა ამჩნევთ რაიმე მსგავსებას ჩემსა და სურათს შორის?
- დიახ, თქვენ მისი ნამდვილი განსახიერება ხართ, - მიუგო მხატვარმა.
- ოჰ, რა შესანიშნავია, ბეზილ! - გარეგნობით ყოველ შემთხვევაში თქვენ მის ჭეშმარიტ ორეულს წარმოადგენთ, და პორტრეტზე, გწამდეთ, მარადჟამს უცვლელ მშვენიერებას შეინარჩუნებთ. - თითქმის ოხვრით აღმოხდა ჰოლუორდს.
- ეს კი, მართალი მოგახსენოთ, ძალიან ბევრ ნიშნავს.
- ოჰ, რა გონდაკარგული ეტრფის ხალხი მარადისობას! - წამოიძახა ლორდ ჰენრიმ. - რატომ არის, რომ ეს სიყვარულში მხოლოდ წმინდა ფიზიოლოგიური საკითხია და ჩვენ ნება-სურვილთან საერთო არაფერი გააჩნია. ახალგაზრდებს სურთ ერთგულნი იყვნენ და ვერ ახერხებენ. ხანდაზმულებს კი გულით სწადიათ ღალატი, მაგრამ არ ძალუძთ. ეს არის და ეს.
- ნუ წახვალთ ამაღამ თეატრში, დორიან, - სთხოვა ჭაბუკს ჰოლუორდმა. - დარჩით და ჩემთან ერთად ისადილეთ.
- არ შემიძლია, ბეზილ.
- რატომ?

- ლორდ ჰენრი უოტონს უნდა წავყვე, რადგან დავპირდი.
- თუ თქვენ სიტყვას შეასრულებთ, ის ისეთი ადამიანია, მის ყურადღებას უფრო ნაკლებად დაიმსახურებთ. ლორდ ჰენრი პირობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტეხს. უმორჩილესად გთხოვთ, ნუ წახვალთ.
დორიან გრეიმ გაიცინა და თავი გააქნია.
- გევედრებით, გემუდარებით, დორიან.
ჭაბუკი შეყოყმანდა და ლორდ ჰენრის გადახედა. ახალგაზრდა ლორდი, ღიმმორეული, იაპონური ჩაის მაგიდასთან იჯდა და მათ უთვალთვალებდა.
- არა, უნდა დაგტოვოთ, ბეზილ, - წარმოთქვა დორიანმა ბოლოს.
- კეთილი, - გამოეპასუხა ჰოლუორდი. მაგიდასთან მივიდა და ჩაის ფინჯანი ლანგარზე დადგა. - გვიან არის ყმაწვილებო, რადგან ტანსაცმელიც უნდა გამოიცვალოთ, უმჯობესია დრო არ დაკარგოთ და ახლავე გაეშუროთ. ნახვამდის, ჰარი. ნახვამდის, დორიან, გთხოვთ მალე მინახულოთ ისევ, თუნდაც ხვალე შემოიარეთ.
- რა თქმა უნდა.
- ხომ არ დაგავიწყდებათ?
- ოჰ, არა! - წამოიძახა დორიანმა.
- ჰო... ჰარი!
- რაო, ბეზილ?
- გახსოვდეს რაც გთხოვე ბაღში ამ დილით.
- მე უკვე დამავიწყდა, ბეზილ.
- იცოდე, გენდობი.
- დიახ, მეც მინდა ვენდო საკუთარ თავს, ბეზილ, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ სიცილით. - წამოდით, მისტერ გრეი, ჩემი ეტლი უკვე კართან იცდის, შემიძლია სახლამდე მიგაცილოთ. ნახვამდის, ბეზილ. რა შესანიშნავად გავატარეთ ეს საღამო!
როგორც კი სტუმრებმა კარი გაიხურეს, მხატვარი დივანზე დაეშვა და სახეზე ტკივილი აღებეჭდა.

თავი III

მეორე დღეს, პირველის ნახევარზე, ბიძამისის ლორდ ფერმორის სანახავად ლორდ ჰენრი უოტონი კარზონის ქუჩიდან სეირნობით ოლბენისაკენ[11] მიემართებოდა. ლორდ ფერმორი მეტად მხიარული და ლმობიერი, თუმცა ხანდახან უკმეხი, უცოლ-შვილოდ დარჩენილი მოხუცი ჯენტლმენი გახლდათ. მოხუც ფერმორს მისგან შორს მყოფი საზოგადოება ეგოისტად თვლიდა, რადგან ის მაინცადამაინც დიდად არ ზრუნავდა მოწყალება გამოეჩინა და რაიმე სარგებელი მოეტანა ამ წრის ადამიანთათვის. მაღალ არისტოკრატიულ წრეებში კი მას გულუხვსა და ხელგაშლილს უწოდებდნენ, რადგანაც სიამოვნებით უმასპინძლდებოდა მათ, ვინც მისი გართობისათვის თავს არ იშურებდა. ლორდ ფერმორის მამა იზაბელა დედოფლის[12] ახალგაზრდობაშივე ინგლისის ელჩად იყო წარგზავნილი ესპანეთს, როდესაც ჯერ კიდევ პრიმი[13] არავის გაეგონა, მაგრამ წუთიერი ჭირვეულობის გამო დიპლომატიურ სარბიელს მალე მიანება

თავი, სიფიცხე ვერ დაიოკა ერთხელ, როდესაც პარიზს არ წარგზავნეს და საელჩოში ადგილი არ შესთავაზეს, თუმც მას ამ თანამდებობაზე მისი მაღალი არისტოკრატიული წარმოშობა, თავადური უსაქმურობა, დიპლომატიური დეპეშების ბრწყინვალე ინგლისური სტილი და ტკბობისა და სიამოვნებისაკენ გადაჭარბებული სწრაფვა გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა. შვილი კი, რომელიც მამასთან მდივნის თანამდებობას ასრულებდა მაშინ, სამსახურს მასთან ერთადვე თავს ანებებს. რა თქმა უნდა, ამ ამბავს მაღალ წრეებში დიდ უგნურებად მიიჩნევდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ შვილიც აღიარებული ტიტულის მატარებელი ხდება. ის დიდი არისტოკრატიული ხელოვნების შესწავლას კიდებს ხელს. რასაც სხვა ენაზე კიდევ უსაქმურ ყოფას უწოდებენ. ლონდონში ლორდ ფერმორს ორი დიდი სახლი ჰქონდა, მაგრამ შედარებით პატარა კეთილმოწყობილ ბინაში ცხოვრებას ირჩევდა; ეს პატარა ბინა მისგან ნაკლებ შრომასა და გარჯას მოითხოვდა, უფრო ხშირად კი კლუბში სადილობდა და ვახშმობდა. რა თქმა უნდა, ცენტრალურ საგრაფოებში მაღაროების მართვის საქმესაც აქცევდა ცოტაოდენ ყურადღებას. ამ ყოვლად უსულგულო დამოკიდებულებას წარმოებისადმი იმით ამართლებდა, რომ მიუხედავად განსაკუთრებული უპირატესობისა, საკუთარ მფლობელობაში ჰქონდა ქვანახშირის კონცენსიები, მას, როგორც ჯენტლმენს, თავისუფლად შეეძლო თავისი ბუხარი შეშით გაეჩაღებინა. პოლიტიკაში ტორების შეხედულებებს იზიარებდა, მაგრამ არა მხოლოდ მარტო მაშინ, როდესაც ტორები უფლებამოსილნი იყვნენ... ასეთ დროს ის დაუნდობლად შეურაცხყოფდა მათ და რადიკალთა ხროვას უწოდებდა. გმირულად უმკლავდებოდა საკუთარ კამერდინერს, რომელსაც თავის მხრივ მოხუცი ხელში ეჭირა, ხოლო თვით ნათესავები დაშინებული ყავდა და რიგრიგობით უსიამოვნებას აყენებდა ხოლმე. მხოლოდ ინგლისს შეეძლო წარმოეშვა ასეთი ადამიანი. თავის მხრივ მეტად უკმაყოფილო ლორდ ფერმორი კი იმას გაიძახოდა, ქვეყანა დაღუპვის კარზეა მიმდგარიო. მოხუცს ჟამგადასული პრინციპები გააჩნდა. სამაგიეროდ ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება მის ცრურწმენათა დასაცავად.
ლორდ ჰენრი ბიძის ოთახში შევიდა თუ არა, შენიშნა, რომ ლორდ ფერმორს უხეში სანადირო ქურთუკი ეცვა, სიგარას ეწეოდა. „ტაიმსს“ ათვალიერებდა და გულმოსული რაღაცას ბუზღუნებდა ამ გაზეთზე.
- ოჰ, ჰარი! - წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - რამ მოგიყვანა ასე ადრიანად? ვფიქრობ, თქვენ, დენდები ორზე ადრე არასოდეს დგებით და ხუთ საათამდე სახლიდან არ გამოდიხართ.
- ბიძაჩემო, გარწმუნებთ, წმინდა ნათესაობრივმა გრძნობამ მომიყვანა.
- ვფიქრობ, უფრო ფულმა, - წარმოთქვა ლორდ ფერმორმა და სახის გამომეტყველება შეეცვალა. - კეთილი, დაჯექი, ყველაფერი მიამბე. ახლანდელ ახალგაზრდობას წარმოუდგენია, რომ ფული ყველაფერია.
- დიახ,- თითქმის ჩურჩულით დაეთანხმა ლორდ ჰენრი და ღილის კილოში ჩამაგრებული ყვავილი შეისწორა. - ადამიანები, რაც მოხუცებულობაში შედიან, ამ ამბავში უფრო რწმუნდებიან, მაგრამ ფულისათვის არ შემიწუხებიხართ. ფული

იმ ადამიანებს სჭირდებათ, ვინც მევალეებს თამასუქებს უნაღდებენ. მე კი ჩემს მევალეებს არასოდეს ვუხდი რაიმეს. კრედიტი ხომ უმცროსი ვაჟიშვილის ძირითადი კაპიტალია. ამ თანხით კი მეტად კარგად და თავისუფლად შეიძლება ცხოვრება. ამას გარდა მე მხოლოდ დარტმურის მაკლერებთან ვიჭერ საქმეს და, რაღა თქმა უნდა, ისინი არც შემაწუხებენ. ამჟამად ერთი მეტად აუცილებელი ცნობის მისაღებად გეახელით, მაგრამ წარმოიდგინეთ, სასარგებლო ცნობა არ გახლავთ, სრულიად უსარგებლოა.
- კეთილი, ჰარი, შევეცდები დაწვრილებით გადმოგცე ყოველივე, რაც ინგლისის ლურჯ წიგნშია ჩაწერილი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ბევრ სისულელეს წერენ მასში. სანამ მე დიპლომატიურ სარბიელს თავს მივანებებდი, შედარებით უკეთ მიდიოდა საქმე. ახლა კი ყური მოვკარი, დიპლომატად კაცს მხოლოდ მის შემდეგ ნიშნავენ, როდესაც გამოცდას ჩააბარებს. რას უნდა მოველოდეთ ასეთი ხალხისაგან? გამოცდები, სერ? ეს ხომ თავიდან ბოლომდე თვალთმაქცობა და მტკნარი სისულელეა. თუ კაცი ნამდვილ ჯენტლმენადაა აღიარებული, მას საკმაოდ დიდი ცოდნაც ექნება უთუოდ და არც არაფრის სწავლება დასჭირდება, მაგრამ თუ კაცი ჯენტლმენი არ არის, ეს წოდება მას ვნების მეტს არას მოუტანს.
- მისტერ დორიან გრეი ლურჯი წიგნის[14] სიაში ჩარიცხულთა რიცხვს არ ეკუთვნის, ძია ჯორჯ, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ დაუდევრად.
- მისტერ დორიან გრეი? ეგ ვიღაა? - იკითხა ლორდ ფერმორმა და ხშირი თეთრი წარბები შეჰყარა.
- აი, სწორედ ამის გასაგებად გეახელით, ძია ჯორჯ. თუმც ჩემთვის უკვე ცნობილია მისი ვინაობა. ის გახლავთ კელსოთა გვარის უკანასკნელი შთამომავლის ლორდ კელსოს შვილიშვილი. მისი დედა დევერეთა გვარს ეკუთვნოდა. ლედი მარგარეტ დევერე. მინდა ყოველივე მიამბოთ, რაც კი დედამისის შესახებ იცით. მაინტერესებს, როგორი გარეგნობისა იყო, ან ვის გაჰყვა ცოლად! დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდობის ჟამს თქვენ იმ მაღალი საზოგადოების თითქმის ყველა წარმომადგენელს იცნობდით. მათ შორის იმ ახალგაზრდა ქალსაც. ამჟამად დიდად დამაინტერესა მისმა შვილმა, მისტერ დორიან გრეიმ, რომელიც სულ ახლახანს გავიცანი.
- კელსოს შვილიშვილი? - წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა. - კელსოს შვილიშვილი... რაღა თქმა უნდა, დედამისს კარგად ვიცნობდი. კარგად მახსოვს, მის ნათლობასაც კი დავესწარი. ის ხომ ინგლისის ულამაზეს ასულთა თვალი იყო, დიახ, მარგარეტ დევერე! იმდროინდელი უმაღლესი არისტოკრატიული წრის თითქმის ყველა ახალგაზრდა კაცმა კინაღამ გონი დაჰკარგა, როდესაც მარგარეტი გაიქცა და ვიღაც გაფხეკილ, ქვეითა ლეგიონის ოფიცერს, უგვარტომო არარაობას თუ რაღაც მაგდაგვარს გაჰყვა ცოლად. რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე მახსოვს, თითქოს გუშინ მომხდარიყოს. საწყალი ბიჭი ქორწინებიდან რამდენიმე თვეში დუელში მოკლეს, სპაში. საშინელი ხმები დადიოდა. ამბობდნენ, კელსომ ვიღაც ბელგიელი, თავზეხელაღებული, გაიძვერა ავანტურისტი იშოვა, რომ მისი სიძისათვის სახალხოდ შეურაცხყოფა მიეყენებინაო. მოისყიდა, რა თქმა უნდა,

მოისყიდა, და იმ გარეწარმა, კი ახალგაზრდა ვაჟს დუელში მტრედივით გაუპო გული. საქმე, რაღა თქმა უნდა, მიაფუჩეჩეს. ყველაფერმა ჩუმად ჩაიარა. მაგრამ ღმერთს გეფიცები, ამ ამბის შემდეგ კელსო მარტოდმარტო დიდხანს გეახლებოდათ ბიფშტექსს კლუბში. როგორც ამბობდნენ, მან უკან მოიყვანა ქალიშვილი, მაგრამ შვილს იმ დღიდან ხმა ერთხელაც არ გაუცია მამისთვის. ოჰ, საშინელზე საშინელი ამბავი დატრიალდა. ერთ წელსაც არ გაუვლია, რომ ამ ულამაზესმა ქალმაც სამუდამოდ დახუჭა თვალი. ასე რომ, მარგარეტს ვაჟიშვილი დარჩა, არა? სულ გადამავიწყდა როგორია? თუ თავის დედას ჰგავს, შესანიშნავი ყმაწვილი იქნება.
-მართლაც ენით აღუწერელი სილამაზისაა, - დაეთანხმა ლორდ ჰენრი.
- იმედია, ბედისწერა შესაფერის ხელში მოახვედრებს, - განაგრძო მოხუცმა ჯენტლმენმა, - ჭაბუკს აურაცხელი შემოსავალი ელოდება, თუ კელსომ არ დაჩაგრა. დედამისსაც ჰქონდა თავისი შემოსავალი. პაპის მხრიდან სელბის მთელი სამფლობელო საკუთრება მარგარეტს ერგო მემკვიდრეობით. მართალი გითხრა, პაპამისს კი ძალიან სძულდა კელსო, წუწურაქ ძაღლს ეძახდა. მართლაც მეტისმეტად ძუნწი იყო. მახსოვს, როცა ესპანეთში ვმსახურობდი, მადრიდს ჩამოვიდა. ღმერთს გეფიცები, პირდაპირ მის მაგიერ მრცხვენოდა. დედოფალი იზაბელა ხშირად მეკითხებოდა, ვინ იყო ის ინგლისელი დიდებული, ვინც სამგზავრო ქირის გადახდისას თითქმის ყოველთვის ედავებოდა მეეტლეებს. მადრიდში ეს ამბავი თითქმის საანეგდოტოდ იქცა. ამის გამო, ასე განსაჯე, თითქმის ერთი თვე სასახლის კარზე გამოჩენა ვერ გავბედე. იმედია, საკუთარ შვილიშვილს უფრო გულმოწყალედ მოექცა ალბათ, ვიდრე ესპანელ მეეტლეებს.
- რა მოგახსენოთ, - ჩაილაპარაკა ლორდ ჰენრიმ, - ვფირქობ, დორიანი უთუოდ მდიდარი და უზრუნველყოფილი იქნება, თუმცა ჯერ ხომ სრულწლოვანი არ არის. მსმენია, რომ სელბი მისი საკუთრებაა, ეს თვითონვე უთქვამს ჩემთვის. მაშ, თქვენ ბრძანებთ, რომ დედამისი ულამაზესი ქალი იყო, არა?
- მარგარეტ დეკერე მშვენიერთა დედოფლად შეიძლება გვეღიარებინა მათ შორის, ვინც კი ჩემს თვალს ოდესმე უნახავს, ჰარი. რა სასწაულებრივმა ძალამ აიძულა, ასე მოქცეულიყო მაინც, ჩემი გონება ვერასოდეს ჩასწვდება ამ საიდუმლოს. მას შეეძლო მთელ ინგლისში ვისაც კი ხელს დაადებდა, მასზე დაეწერა ჯვარი. თვით ქარლინგტონი გონწართმეული ეტრფოდა მარგარეტს. მაგრამ, ეტყობა, ასული რაღაც რომანტიკული ოცნებებითა და იდეალებით იყო გატაცებული. წარმოიდგინე, მათ შთამომავლობაში თითქმის ყველა ქალი ასეთი იყო. მართალი გითხრათ, კაცები ამ მხრივ ბევრს არას წარმოადგენდნენ, მაგრამ ღმერთს გეფიცები, ქალები შესანიშნავნი იყვნენ. როგორც თვით მიამბო ქარლინგტონმა, თურმე მუხლმოდრეკილი ევედრებოდა მარგარეტს. ქალი კი მხოლოდ დასცინოდა მის ასეთ საქციელს. და იცი, ეს სწორედ მაშინ ხდებოდა, როდესაც ლონდონში ყველა ქალიშვილს ქარლინგტონი თავდავიწყებით შეჰყვარებოდა. დიახ, სხვათა შორის, ჰარი, რადგან სულელურ ქორწინებათა შესახებ ჩამოვარდა საუბარი, რა ჭორს მიამბობდა მამაშენი, მართლა გადაწყვიტა დარტმურმა ამერიკელ ქალზე დაიწეროს ჯვარი? ნუთუ ინგლისელ ქალიშვილებში

არ გამოიძებნა იმდენად ღირსეული, რომ თავის შესაფერისად მიეჩნია?
- ამერიკელი ქალის შერთვა ახლა დიდ მოდად იქცა, ძია ჯორჯ.
- მე ინგლისელ ქალთა მხარეზე ვრჩები, ჰარი, და შემიძლია მთელ მსოფლიოს წინ აღვუდგე ამის გამო! - წარმოთქვა ლორდ ფერმორმა და მაგიდას მაგრად დაჰკრა მუშტი.
- სასწორი ამერიკელი ქალების მხარესაა.
- რაც მათ შესახებ პირადად მსმენია, გამძლეობა არ გააჩნიათ. დიდ დროს არ ვაძლევ. - ჩაიბუტბუტა ლორდ ფერმორმა.
- შორი მანძილი მათ ფიზიკურ გამოფიტვას იწვევს, მაგრამ წინააღმდეგობათა გადალახვის დროს შეუდარებელნი არიან. ბარიერებს თავს ფრენით გადაევლებიან ხოლმე. არა მგონია, თვითონ დარტმურსაც რაიმე შესაძლებლობანი გააჩნდეს.
- ვინ ჰყავს ოჯახში? - ჩაიბუზღუნა მოხუცმა ჯენტლმენმა. - ჰყავს საერთოდ ოჯახის წევრები?
ლორდ ჰენრიმ თავი გაიქნია.
- ამერიკელი ქალიშვილები ისე ჭკვიანურად და მოხერხებულად მალავენ თავის მშობლებს, როგორც ინგლისელი ქალები - თავიანთ წარსულს, - თქვა მან და წასასვლელად წამოიწია.
- ვფიქრობ, ღორის ხორცის მფუთავი ექსპორტიორები იქნებიან.
- დარტმურის გულისათვის მეც მინდა ასე იყოს, ძია ჯორჯ. როგორც გადმომცეს, ღორის ხორცის ექსპორტიორობა უფრო სარფიანი პროფესია ყოფილა ამერიკაში პოლიტიკის შემდეგ.
- ლამაზია?
- თავი ისე უჭირავს, თითქოს ლამაზი იყოს, როგორც ამერიკელ ქალთა უმრავლესობას სჩვევია საერთოდ. ვფიქრობ აი, სწორედ ეს გახლავთ მათი მომხიბვლელობის საიდუმლო.
- საინტერესოა მაინც, რატომ ვერ ეტევიან ეს ამერიკელები თავიანთ ქვეყანაში? ჩვენ ხომ გვარწმუნებენ, ქალებისათვის ამერიკა ნამდვილი სამოთხეაო.
- სინამდვილეში ასეც გახლავთ, ძია ჯორჯ. ალბათ სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ თავიანთი დიდი წინაპრის ევას დარად ასე ზომაგადასული სურვილით ანთილან, როგორმე თავი დააღწიონ საკუთარ ქვეყანას, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ.
- ნახვამდის, ძია ჯორჯ, თუ ცოტა ხანს კიდევ დავრჩი თქვენთან, საუზმეზე დავიგვიანებ. დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ საჭირო ცნობებისათვის, რომელიც ასე აუცილებელი გახლდათ ჩემთვის. საოცრად მსიამოვნებს, როდესაც ყველაფერი დაწვრილებით ვიცი ჩემი ახალი მეგობრის შესახებ, რაც შეეხება ჩემს ძველ მეგობართ, მართალი მოგახსენოთ, მათი ამბავი სრულიად აღარ მაინტერესებს.
- სად საუზმობთ, ჰარი?
- მამიდა აგათასთან. პირადად ვთხოვე და მისტერ გრეიც იქ მივიწვიე. დორიანი მისი ახალი პროტეჟეა.

- მართლა, ჰარი, მამიდაშენს უთხარი, სამოწყალო საჩივრებით თავს ნუ მაბეზრებს. ამ ამბებით საკმაოდ დავიღალე. ეს კეთილი ქალი ალბათ იმას ფიქრობს, მისი სულელური საქველმოქმედო წამოწყებისთვის საბანკო ქვითრების წერის მეტი სხვა საქმე არა მაქვს.
- კეთილი, ძია ჯორჯ, რა თქმა უნდა გადავცემ, მაგრამ ახლავე უნდა მოგახსენოთ, დარწმუნებული ვარ უშედეგო იქნება ჩემი გარჯა. ფილანტროპიით გატაცებული ადამიანები კაცთმოყვარეობისთვის დამახასიათებელ ყოველგვარ გრძნობას ადრეულად გამოესალმებიან ხოლმე. ეს სხვა ადამიანებისგან განმასხვავებელი მათი ნიშან-თვისება გახლავთ.
მოხუცმა ჯენტლმენმა მოწონების ნიშნად ჩაიცინა და ზარი დარეკა, რათა მსახურს ლორდ ჰენრი გაეცილებინა.
ლორდ ჰენრიმ ბარლინგტონის ქუჩაზე პასაჟი გაიარა და ბერკლის მოედნის[15] მიმართულებით გაემართა.
აი, თურმე როგორი ყოფილა დორიანის მშობლების ისტორია. უცნობმა, ჯერ კიდევ ასე უბრალოდ მონაყოლმა ამბავმა როგორ შეძრა ლორდ ჰენრის სულიერი სამყარო! რა შთამაგონებელია ეს ამბავი თავისი მეტად უჩვეულო, თითქმის თანამედროვე რომანტიკულობით. ულამაზესი ასული თავბრუდამხვევ გრძნობას თითქმის ყველაფერს სწირავს. უსაზღვრო ბედნიერების მხოლოდ რამდენიმე კვირა, რომელსაც ბოროტმოქმედება თავისი ბილწი ხელით შეეხო; მერე უსიტყვო წამებაში გატარებული თვეები; ენით აღუწერელ ტანჯვაში ბავშვის დაბადება. და აი, სიკვდილმა წარიტაცა დედაც; მარტოობაში შთენილი ბავშვი გულცივი და ტირანი მოხუცის ხელში. დიახ, ეს მეტად საინტერესო ფონია, ასე უფრო ბრწყინვალე ფერებში ვლინდება ჭაბუკის პიროვნება. ეს ყოველივე მას მომხიბვლელობასა და სრულყოფილებას მატებს. ყველა განსაცვიფრებელ ამბავს, რაც კი ოდესმე დედამიწის ზურგზე მომხდარა, თან ახლავს რაღაც ტრაგიკული. სამყარომ მშობიარე ქალის მძიმე ტკივილები უნდა გამოსცადოს, რათა თუნდაც სრულიად უბრალო ყვავილმა გაახილოს ამქვეყნად თვალი.
ოჰ, როგორი თვალწარმტაცი იყო გუშინ საღამოს დორიანი კლუბში სადილობის ჟამს. საოცრად ანთებულ თვალთა კიაფში და ოდნავ გახსნილ ბაგეზე რა განუსაზღვრელ შიშსა და სიხარულს ამოიკითხავდა მხილველი! ძოწისფერი შუქფარებიდან გამომკრთალ შუქ-ჩრდილებზე სახეს ვარდისფერი ალი უფრო მიმზიდველად წაჰკიდებოდა და ზედ ახლად გაღვიძებულ საკვირველებათა წარუშლელი კვალი დასთამაშებდა. ამ ჭაბუკთან საუბარი საუცხოო ვიოლინოზე დარხეულ სიმთა სიტკბოს მიაგავდა. ის იდუმალი გზნებით პასუხობდა ხემის თითოეულ შეხებას სიმთან და მის განუწყვეტელ თრთოლას. ოჰ, რაოდენად თავბრუდამხვევი და მომაჯადოებელია სხვა ადამიანზე გავლენის მოხდენის ცდა. არავითარი სხვა ძალთა გამოცდა არ შეედრება მას! შთაჰბერო საკუთარი სული სხვას, მის სხეულში მოუნახო ბინა და ნება დართო, იქ დაჰყოს თუნდაც რამდენიმე წამი. მოისმინო საკუთარი აზრისა და პირად შეხედულებათა გამოძახილი. საკუთარი გულის ხმით დაატკბო ყურთასმენა. გრძნობათა უჩვეულო მუსიკითა და ჭაბუკური მიზანსწრაფვით განდიდებულ-განსხვავებული

სხვას გადასცე მთრთოლვარე სულის მგზნებარება, თითქოს ის უფაქიზესი სითხე ან კეთილსურნელება იყოს... აი, სად არის წრფელი სიხარულის დიადი განცდა, რომელიც მიეცა ადამიანს ჩვენს ყოველმხრივ შეზღუდულსა და უხამს საუკუნეში. დიახ, იმ საუკუნეში, რომელიც სიამეთა მისაღებად ესოდენ უზომო ავხორცობას სჩადის და ესოდენ პრიმიტიული მიზნებითა და იდეალებით კმაყოფილდება... ეს ჭაბუკი კი განსაცვიფრებელი ტიპია, რომელსაც ის რაღაც შემთხვევით ბეზილის სახელოსნოში გადაეყარა, მაგრამ თუ სწორედ ასე არ არის, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია ადამიანმა მისგან ჩამოაყალიბოს მომაჯადოებელი სულის სრულიად ახალი ქმნილება. ესოდენ ვაჟური მომხიბვლელობა, თოვლივით უწმინდესი ჭაბუკობის ჟამი, და ისეთი სასწაულმოქმედი სილამაზე მხოლოდ ძველმა ბერძნულმა ხელოვნებამ და მარმარილომ შემოინახა მომავალ თაობათათვის. დიახ, მისგან ადამიანს ყველაფრის გამოძერწვა შეუძლია. შესაძლოა ის ან ტიტანად ვაქციოთ, ან სრულიად უბრალო პაწაწინა სათამაშოდ. ოჰ, რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთ სილამაზეს დაჭკნობა და გადაშენება უწერია. ბეზილი კი? რაოდენ საინტერესოა თვით ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. სრულიად ახალი სტილი ხელოვნებაში, ცოცხალი სინამდვილის ახლებური, თანამედროვე თვალით განჭვრეტა, რომელიც ასე მოულოდნელად წარმოიშვა მხოლოდ ერთი ადამიანის უცაბედი გამოჩენით, ვინც ამ ამბის შესახებ სრულიად არაფერი უწყის. სამყაროს მდუმარე სული, რომელიც უღრან ტყეში დასახლებულა და ტრიალ ველზე უჩინმაჩინის სამოსელით დაქრის მოულოდნელად და სრულიად უშიშრად, დრიადის[16] მაგვარად _____ხელოვანის
წინაშე წარსდგება. რადგან თვით მხატვრის სულში, ვინც მას გამუდმებით ეძიებდა, ისეთ საოცარ ჩვენებათ გაუღვიძნიათ, რომელნიც მხოლოდ მიუწვდომელ საიდუმლოებას ხსნიან. სრულიად ჩვეულებრივი საგნები ამჟამად ისეთი დასრულებული ფორმით წარსდგნენ მხატვრის წინაშე და ისეთი სიმბოლური აზრით მეტყველებდნენ, რომ უდავო აბსოლუტურ სრულყოფილებას მიაღწიეს. ისინი გონების მიღმა გაელვებული ბუნდოვანი ჩრდილებიდან ხელოვანმა დიდი ძიების შედეგად სინამდვილედ აქცია. ოჰ, რა უჩვეულო საოცრებაა ყოველივე.
ლორდ ჰენრი გარდასულ საუკუნეთა მოგონებებმა წარიტაცეს... განა აზროვნებაში პლატონი[17] არ იყო უბადლო ხელოვანი, და მან პირველმა არ გააანალიზა ეს საიდუმლოებით მოცული საკითხი? მერე კი ბუონაროტიმ არ ამოჭკვეთა ის ფერად მარმარილოში სონეტების ციკლად, მაგრამ ჩვენს საუკუნეში ეს ხომ საოცრებათა საოცრებაა...
- დიახ, - განაგრძობდა ფიქრს ლორდ ჰენრი, - ის შეეცდება დორიან გრეისათვის იქცეს სწორედ იმად, რადაც ამ განსაცვიფრებელი სურათის შექმნისას თავისდა შეუცნობლად ჭაბუკი იქცა მხატვრისათვის. ის ყოველივეს იღონებს, რომ გადამწყვეტი გავლენა მოიპოვოს და მოაჯადოოს დორიანი. თუმც სანახევროდ ეს საქმე მას შეუძლია დამთავრებულად ჩათვალოს. და აი, ახლა ამ უმანკო სულს ის თავის საკუთრებად აქცევს. ოჰ, რა განსაცვიფრებელი მომხიბვლელობა

იმალება სიყვარულისა და სიკვდილის ამ თვალწარმტაც შვილში.
ლორდ ჰენრი უცებ შეჩერდა და სახლებს ახედა. შენიშნა, მამიდა აგათას სახლს უკვე კარგა მანძილით გასცილებოდა. გაეღიმა და უკან გამობრუნდა. ჩაბნელებულ ჰოლში გამოჩნდა თუ არა, მოურავი ეახლა და მოახსენა, რომ სტუმრები საუზმისათვის უკვე სასადილო დარბაზში შეკრებილიყვნენ. ლორდ ჰენრიმ ქუდი და ჯოხი ერთ-ერთ ლაქიას გადასცა და თვითონაც იქით გაეშურა.
- როგორც ყოველთვის, ახლაც დაიგვიანე, ჰარი! - წამოიძახა მამიდა აგათამ, მერე თავს კარგა ხანს საყვედურით უქნევდა.
ლორდ ჰენრიმ გონებას ძალა დაატანა. იქვე თვალისუსწრაფეს გამონაგონი მიზეზით ლედი აგათას წინაშე ბოდიში მოიხადა და დიასახლისის გვერდით თავისუფალ სავარძელში ჩაჯდა. მერე სასტუმრო ოთახს თვალი სწრაფად მოავლო და თითოეული სტუმარი ცალ-ცალკე შეფარვით შეათვალიერა. მაგიდის მეორე ბოლოდან დორიანმა მას მორცხვად დაუკრა თავი და ჭაბუკი სიამოვნებისაგან შესამჩნევად წამოწითლდა. ლორდ ჰენრიმ მოპირდაპირე მხარეს მთავრის მეუღლე ლედი ჰარლეი შენიშნა, ყველა ადამიანისათვის ფრიად პატივსაცემი და საყვარელი არსება. შესანიშნავი ბუნებისა და ხასიათის ქალი, ვინც ისეთი პროპორციული აღნაგობით გამოირჩეოდა, რომ თუ არქიტექტურული თვალსაზრისით განვსჯით, თანამედროვე ისტორიკოსები მას მწყრისებურ ჩათქვირებას უწოდებენ, რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში მთავრის მეუღლე არა ჰყავთ. მის გვერდით სერ ტომას ბარდონი იჯდა - პარლამენტის წევრი და რადიკალი. ეს კაცი საზოგადო საქმეებში თავისი ბელადის ერთგული მიმდევარი იყო, ხოლო კერძო საქმეებში - კარგი მზარეულების. საყოველთაოდ ცნობილ ბრძნულ წესს ემორჩილებოდა: ისადილე ტორებთან და იაზროვნე ლიბერალებთანო. მთავრის მეუღლის მარცხნივ მისტერ ერსკინი მოჩანდა. ეს გახლდათ მოხუცი ჯენტლმენი სოფელ ტრედლიდან. დიდად კულტურული და სასიამოვნო ადამიანი. მას ერთი მეტად ცუდი ჩვეულება ჰქონდა, სულ მუდამ დუმდა. თუმც ერთხელ როგორღაც ლედი აგათასათვის დუმილის მიზეზი აეხსნა: „რაც სათქმელი მქონდა, ოცდაათ წლამდე ვთქვიო!“ ლორდ ჰენრის მეორე მხარეს მისის ვანდელერი იჯდა, ლედი აგათას ერთ-ერთი ძველი მეგობართაგანი. ნამდვილად წმინდანი, მაგრამ იმდენად უგემოვნოდ და დაუდევრად ჩაცმული, რომ ცუდად აკინძულ საგალობელთა წიგნს მოგაგონებდათ. ალბათ ლორდ ჰენრის საბედნიეროდ მისის ვანდელერის გვერდით ლორდ ფაუდელი მოხვდა - დიდად განათლებული და ჭკვიანი კაცი, მაგრამ საშუალო შესაძლებლობის, ისეთივე უფერული და შეუმჩნეველი, როგორც რომელიმე მინისტრის განცხადება თემთა პალატაში. მასა და მისის ვანდელერს შორის გაცხოველებული და სერიოზული სჯა-ბაასი მიმდინარეობდა. მისივე სიტყვებით რომ მოგახსენოთ, რაკი გულმოწყალე ადამიანები ერთხელ ასეთ უპატიებელ შეცდომას ჩაიდენენ, ბოლოს მისგან თავს მთლიანად ვეღარაფრით დაიხსნიან.
- საბრალო დარტმურზე ვსაუბრობდით ახლახან, ლორდ ჰენრი, - წამოიძახა მთავრის მეუღლემ და კეკლუცად თავი დაუკრა მას მოპირდაპირე მხრიდან. - როგორ გგონიათ, დარტმური მართლა დაიწერს ჯვარს იმ მომჯადოებელ

ამერიკელ ქალიშვილზე?
- დიახ, მისის ჰარლეი, ამ მომჯადოებელმა ქმნილებამ, მგონია, უკვე გადაწყვიტა თვითონვე მისცეს წინადადება დარტმურს.
- რა საშინელებაა! - წამოიძახა ლედი აგათამ, - ნამდვილად ვინმემ უნდა შეუშალოს ხელი.
- მეტად სარწმუნო პიროვნებებისაგან შევიტყვე, რომ მამამისი მანუფაქტურული მაღაზიის მფლობელი გახლავთ ამ საოცრების ქვეყანაში, - წარმოთქვა სერ ტომას ბარდონმა მეტისმეტი ამპარტავნული ტონით და ზვიადი გამომეტყველებით.
- ბიძია ჯორჯი მიმტკიცებდა ამ დილით, რომ ღორის ხორცის მაღაზიის მფლობელიაო, სერ ტომას.
- მანუფაქტურა? რას წარმოადგენს მაინც ეს ამერიკული მანუფაქტურა? - იკითხა მთავრის მეუღლემ. მერე გაოცებით მაღლა ასწია ფუნჩულა ლამაზი ხელები.
- ამერიკულ რომანებს, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ და შემწვარი მწყერი გადაიღო. მთავრის მეუღლე განცვიფრდა.
- ყურადღებას ნუ მიაქცევ მის ნაუბარს, გენაცვალე, - ჩაიჩურჩულა ლედი აგათამ, - თვითონვე არ სჯერა ხშირად, რასაც ამბობს.
- როდესაც ამერიკა აღმოაჩინეს... - თქვა რადიკალური პარტიის წევრმა და ის იყო მომქანცველი ამბების მოყოლა უნდა წამოეწყო ყველა იმ ორატორთა მსგავსად, რომელთაც სურთ სასაუბრო მასალა მთლიანად ამოწურონ, სინამდვილეში კი მსმენელთა მოთმინებას ამოწურავენ ხოლმე, რომ მთავრის მეუღლემ ამოიოხრა, ისარგებლა თავის უფლებით, სიტყვა ჩამოერთმია სხვისათვის და დასძინა: ჩემი აზრით, სულ არ იყო საჭირო ამერიკის აღმოჩენა, მართალს მოგახსენებთ. აბა, წარმოიდგინეთ, ჩვენს ქალიშვილებს საქმროებსაც კი ართმევენ. ეს უდიდესი უსამართლობაა სწორედ!
- ჩემი აზრით, ამერიკა კი არ აღმოაჩინეს, - წარმოთქვა მისტერ ერსკინმა, - არამედ ის უბრალოდ იპოვეს სრულიად შემთხვევით.
- ოჰ, ჩემი თვალით მინახავს ამ ქვეყნის მკვიდრთა ზოგიერთი წარმომადგენელი, - მიუგო მთავრის მეუღლემ ისე, თითქოს თვითონვე არ სჯეროდა თავისი ნათქვამი.
- უნდა გამოგიტყდეთ, რომ უმეტესობა მათ შორის მეტისმეტად თვალწარმტაცი ქმნილებაა. საუცხოოდ იცვამენ. ტანსაცმელს ყოველთვის პარიზში უკვეთავენ. თუმცა, რა დაგიმალოთ, მეც დიდი სურვილი მაქვს ასევე მოვიქცე.
- ამბობენ, სიკვდილის შემდეგ კარგი ამერიკელები პარიზს მიემგზავრებიანო, - თქვა და ჩუმად ჩაიცინა სერ ტომასმა, რომელსაც იაფფასიანი ენამჭევრობის ამოუწურავი მარაგი გააჩნდა.
- საინტერესოა უვარგისი ამერიკელები სადღა ეძებენ თავშესაფარს გარდაცვალების შემდეგ? - იკითხა მთავრის მეუღლემ.
- უთუოდ ამერიკაში, - ჩურჩულით ჩაილაპარაკა ლორდ ჰენრიმ.
სერ თომასმა წარბი შეკრა.
- ვფიქრობ, თქვენი ძმისშვილი მხოლოდ ცრურწმენას აჰყოლია და ამ დიდი ქვეყნის საწინააღმდეგოდაა განწყობილი, - მიმართა მან ლედი აგათას. - თითქმის მთელი ეს ქვეყანა შემოვიარე, რაღა თქმა უნდა, ჩვენთვის განკუთვნილი

რაოდენობით, რომელსაც იქაური დირექტორები გვთავაზობდნენ. მართალი უნდა მოგახსენოთ, ასეთ შემთხვევაში ისინი საკმაო თავაზიანობას იჩენენ და გარწმუნებთ, ამ ქვეყანაში მოგზაურობას ფრიად საგანმანათლებო მნიშვნელობაც აქვს.
- მაშ, როგორც ჩანს, აუცილებელია ჩიკაგო ვინახულოთ, რომ განათლებულ ადამიანად ჩაგვთვალონ, არა? - იკითხა მისტერ ერსკინმა შესაბრალისი კილოთი.
- რაც შემეხება მე პირადად, თავს ისე კარგად ვერა ვგრძნობ, რომ ასეთ მოგზაურობაზე დავთანხმდე.
სერ თომასმა ხელი გაიქნია.
- ტრედლელი მისტერ ერსკინისათვის მთელი სამყაროს იდუმალებანი მისი წიგნის თაროებზეა თავმოყრილი. ჩვენ კი, პრაქტიკოს ადამიანებს, გვიყვარს არა მხოლოდ წაკითხვა, არამედ თვალით ვნახოთ ყოველივე. ამერიკელები უდავოდ საინტერესო ხალხია და გამჭრიახი გონებაც ხელს უწყობთ. აი, სწორედ ეს განმასხვავებელი ნიშან-თვისება გააჩნიათ სხვებთან შედარებით. დიახ, მისტერ ერსკინ, ფრიად საღად მოაზროვნე და ჭკვიანი ხალხია. მერწმუნეთ, ამერიკელი არასოდეს სისულელეს არ ჩაიდენს.
- რა საშინელებაა! - წამოიძახა ლორდ ჰენრიმ. - უხეში ძალის ატანა კიდევ შემიძლია, მაგრამ ასეთი ტლანქი ჭკუამახვილობა კი აუტანელია. მხოლოდ გონების კარნახით ცხოვრება უსინდისობაა. ასეთ გზას ინტელექტთან საერთო რა უნდა ჰქონდეს!
- თქვენ მე ვერ გამიგეთ, - უპასუხა სერ თომასმა და საშინლად გაწითლდა.
- მე კი მიგიხვდით, ლორდ ჰენრი, - თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა მისტერ ერსკინმა და გაიღიმა.
- პარადოქსებს თავისი სიტკბო გააჩნიათ, თუმცა... - შეესიტყვა ბარონეტი.
- ნუთუ თქვენ ეს პარადოქსად მიიღეთ? - იკითხა მისტერ ერსკინმა. - მე კი ვერ გაგიგეთ. შესაძლებელია მართლაც ასე იყო. კეთილი და პატიოსანი. ცხოვრების ჭეშმარიტებანი პარადოქსულ ფორმაში ვლინდება ჩვენ თვალწინ. სინამდვილეს რომ ჩავწვდეთ, ჯერ ის პირველ რიგში ჯამბაზის თოკზე უნდა ვიხილოთ, თუ შეგვეძლება ყველა იმ აკრობატულ ოინბაზობას ავუღოთ ალღო, რომელსაც ჭეშმარიტება ჩვენს თვალწინ აგებს, მხოლოდ მაშინ მოგვეცემა საშუალება, სწორად განვსაჯოთ ყოველივე.
- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა ლედი აგათამ, - მუდამ როგორ დავობენ ეს მამაკაცები, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ მათ მსჯელობას. ოჰ, ჰარი, რომ იცოდე, როგორ გაჯავრებული ვარ შენზე, რისთვის ცდილობ დაარწმუნო ეს მშვენიერი ჭაბუკი დორიანი, რომ ისტენდში საქველმოქმედო საქმეებზე, რასაც ის ჩემთან ერთად ეწევა, ხელი აიღოს? გარწმუნებ, მისი შრომა ჩვენთვის ფასდაუდებელი იქნებოდა. ის ხომ ისე შესანიშნავად უკრავს, რომ საყოველთაო მოწონებას იმსახურებს.
- მე კი მსურს ამიერიდან ჩემს საამებლად დაუკრას მხოლოდ, - წამოიძახა ლორდ ჰენრიმ და მაგიდის ბოლოს მოავლო თვალი ღიმილით, სადაც ჭაბუკის აღფრთოვანებული საპასუხო გამოხედვა დაიჭირა.

- მაგრამ რა უბედურები არიან და რა უღვთოდ იტანჯებიან უაიტჩეპელში საბრალო ადამიანები, - არ ცხრებოდა ლედი აგათა.
- ტანჯვის გარდა ყველაფერში შემიძლია ვუთანაგრძნო ადამიანებს, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ და მხრები აიჩეჩა. - ის იმდენად შემაძრწუნებელ და აუტანელ წამებას გვაყენებს, რომ მისი თანაგრძნობა არასგზით არ შემიძლია. უბედურებისადმი საყოველთაო თანაგრძნობაში არის რაღაც საზარლად ავადმყოფური. ადამიანს, მაგალითად, შეუძლია უთანაგრძნოს სილამაზეს, სიცოცხლის სიხარულსა და მის მოთინათე ფერებს, ხოლო რაც უფრო ნაკლებს იტყვიან ცხოვრების უმძიმეს ჭირთა შესახებ, მით უკეთესი.
- მაგრამ ისტ-ენდი[18] ჯერ კიდევ მეტად სერიოზულ პრობლემად რჩება. - შენიშნა სერ თომასმა და მრავალმნიშვნელოვნად გაიქნია თავი.
- სწორედ ასე გახლავთ, - უპასუხა ახალგაზრდა ლორდმა. - ეს ხომ მონობის პრობლემაა და ჩვენ გვსურს ეს საკითხი მონათა გართობით გადავწყვიტოთ. მოხუცმა პოლიტიკოსმა გამჭვალავი მზერა ესროლა მას.
- აბა თქვენ რის შეცვლას გვთავაზობთ ამ შემთხვევაში, - იკითხა მან.
ლორდ ჰენრიმ გადაიხარხარა.
- არაფრის შეცვლას არ ვისურვებდი ინგლისში, გარდა _____ამინდისა, - გაისმა პასუხად. - ფილოსოფიური ჭვრეტით სრულ კმაყოფილებას განვიცდი. მაგრამ, რადგანაც მეცხრამეტე საუკუნე მეტად გულუხვად გაღებული თანაგრძნობით ბანკროტის გზას დასდგომია, ჩემი აზრით, ჩვენ მხოლოდ მეცნიერებას უნდა მივმართოთ, რომ მან ჭეშმარიტების გზაზე დაგვაყენოს. ემოციათა უპირატესობა იმაში გახლავთ, რომ ამ გზას აგვაცდენს ხოლმე. მეცნიერებისა კი იმაში, რომ მისთვის ემოციურობა სრულიად უცხოა.
- მაგრამ ჩვენ ხომ ასეთი სერიოზული პასუხისმგებლობა გვადევს ვალად, - როგორც იყო მოკრძალებით შებედა მისის ვანდელერმა.
- უსაზღვროდ დიდი, - კვერი დაუკრა ლედი აგათამ.
ლორდ ჰენრიმ მისტერ ერსკინს გადახედა.
- კაცობრიობა თავის როლს აზვიადებს. ეს სამყაროს თანდაყოლილი ცოდვაა.
- პირველყოფილ გამოქვაბულის მკვიდრთ რომ სიცილი შესძლებოდათ, სამყაროს ისტორია სულ სხვა სახეს მიიღებდა.
- თქვენ უცილოდ შეგწევთ უნარი დაამშვიდოთ შეშფოთებული სული, - მტრედის ღუღუნივით გაისმა მთავრის მეუღლის ხმა. - დღემდე ყოველთვის თავს დამნაშავედ ვთვლიდი, როდესაც მამიდათქვენთან მიხდებოდა მოსვლა. უნდა გამოგიტყდეთ იმის გამო, რომ არ მაინტერესებდა ისტ-ენდის ამბები. ამიერიდან კი სრულიად სრულიად თავისუფლად და გაუწითლებლად შემიძლია გავუსწორო მას თვალი.
- ვფიქრობ, სიწითლე ქალის დამამშვენებელია, ქალბატონო, - შენიშნა ლორდ ჰენრიმ.
- მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ახალგაზრდაა, - უპასუხა მთავრის მეუღლემ, - თუკი ქალი იმ ასაკში წითლდება, რა ხნისაც ახლა მე ვარ, ეს ძალიან ცუდი ნიშანია. ოჰ, ლორდ ჰენრი, გემუდარებით მირჩიოთ, რა გზით დავიბრუნო

ახალგაზრდობა.
ლორდი ჰენრი ერთი წუთით ჩაფიქრდა.
- შესძლებთ გაიხსენოთ რაიმე დიდი შეცდომა, ქალბატონო, რომელიც ახალგაზრდობაში ჩაგიდენიათ? - ჰკითხა ახალგაზრდა ლორდმა და მაგიდის მოპირდაპირე მხარეს გააპარა თვალი.
- ვშიშობ საკმაოდ ბევრიც, - წამოიძახა მთავრის მეუღლემ.
- მაშ, კვლავ გაიმეორეთ ის შეცდომები, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ სრულიად სერიოზული კოლოთი. - ვისაც სურს ახალგაზრდობა დაიბრუნოს, მხოლოდ ის სისულელეები უნდა გაიმეოროს თავიდან, რაც მაშინ ჩაუდენია.
- რა სიამოვნების აღმძვრელი თეორიაა! - წამოიძახა მთავრის მეუღლემ. - შევეცდები ერთხელ კიდევ გამოვცადო ეს ამბავი პრაქტიკულად.
- ფრიად საშიში თეორია გახლავთ! - დასცდა სერ თომასის მოკუმულ ბაგეს. ლედი აგათამ თავი გაიქნია, მაგრამ სიცილი ვერ შეიკავა. მისტერ ერსკინი კი ჩუმად ისმენდა ყოველივეს.
- დაიხ, - განაგრძო ლორდ ჰენრიმ, - ეს გახლავთ ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლოება. ჩვენს დროში ადამიანთა უმეტესობა ისე იხოცება, რომ კეთილგონივრული აზრი ფეხქვეშ მონურად მღოღავ მტილად უქცევიათ. ადამიანები ძალიან გვიან აღმოაჩენენ ხოლმე, რომ ერთადერთი, რაზედაც ისინი არასოდეს სინანულს არ განიცდიან, ეს მხოლოდ ახალგაზრდობის წლებში ჩადენილი შეცოდება და შეცდომებია.
მაგიდის გარშემო მსხდომნი გულიანად ხარხარებდნენ. ლორდ ჰენრი ჟინიანად და გამომწვევად განაგრძობდა თამაშს მის მიერ წამოყენებული ფილოსოფიური აზრით. დროგამოშვებით მოხერხებულად გასტყორცნიდა ხოლმე მას ჰაერში, მერე სახეს ცვლიდა, ხან თავიდან იშორებდა, ხან განსაკურებული ძალით ისევ თავისკენ იზიდავდა, საკუთარ ოცნებაში თვალისმომჭრელ ბრწყინვალებასა და ნაირფერობას ჰმატებდა, პარადოქსებით ფრთას ასხამდა და უგუნურებას სახოტბო საგალობელს უქმნიდა, რომელიც სულ ზევით, ფილოსოფიისაკენ ისწრაფვოდა. ფილოსოფია კი ამ დროს თავის მხრივ ჭაბუკური გზნებით აღინთო და ტკბობის მუსიკით გახელებული უსასრულო სიამეს განიცდიდა. თუ ადამიანს შესწევს უნარი წარმოიდგინოს, ფილოსოფია ამგვარ ყოფაში გახლდათ: ტანთ ღვინით დასველებულ-დაწინწკლული სამოსი ეცვა, ფათალოს გვირგვინი თავს უმშვენებდა, ეგრეთწოდებულ სიცოცხლის მწვერვალებზე შეუსვენებლივ ცეკვავდა და უსიცოცხლო სილენუსს[19] დასცინოდა სიფხიზლისათვის. ფაქტები მის წინ შეშინებული ტყის სულებივით ქრებოდნენ. უზარმაზარ საწნახელში, რომლის თავზედაც მედიდურად ბრძენი ომარ ხაიამი იჯდა, თეთრი ფეხებით მანამ თქერავდა ყურძენს, სანამ აქაფებული მაჭარი მეწამულისფერი ბუშტის ტალღებად შიშველ კიდურებზე შემოადგებოდა ან ენდროსფერ ქაფად საწნახლის სველ, მოშავო, დამრეც გვერდებზე სულ დაბლა ჩაეშვებოდა. ეს უჩვეულო იმპროვიზაცია გახლდათ. ლორდ ჰენრიმ იგრძნო, რომ დორიანი მოჯადოებულივით თვალს ვეღარ აშორებდა მას. იმის შეგნებამ, რომ მაყურებელთა შორის იყო ადამიანი, ვისი დატყვევებაც განიზრახა, როგორც

ჩანდა, მის გონებას - გამჭრიახობას, ხოლო წარმოსახვას და მეტყველებას - ფერთა სინარნარეს მატებდა. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, მეტად თვალისმომჭრელ და ფანტასტიკურ ფერებში წარმოავლინა ავტორმა მათ წინაშე, მაგრამ ამასთანავე სრულიად უპასუხისმგებლოდ ხიბლავდა მსმენელთ. ისინი კი თავისდაუნებურად ისეთი აღმაფრენით დასდევნებოდნენ მის ოცნებას, ვითარცა ბავშვები ზღაპრულ მესტვირეს. დორიანი მოჯადოებული იჯდა და თვალს ვეღარ აცილებდა მას, თუმც ბაგეზე წამიერად ღიმილი გადაურბენდა ხოლმე. მუქი ფერის თვალთა მზერაში, ჩანდა, აღტაცება სერიოზულ ფიქრს დაეძლია.
და ბოლოს ჩვენი საუკუნის სინამდვილე ლაქიის სამოსელში გამოწყობილი მსახურის სახით გამოცხადდა მათ წინაშე და განაცხადა, რომ მთავრის მეუღლეს ეტლი უცდიდა. მთავრის მეუღლე სასოწარკვეთილებისგან შეძრწუნებული ხუმრობით ხელების მტვრევას მოჰყვა და წამოიძახა:
- ფრიად სამწუხაროა, მაგრამ უნდა დაგტოვოთ. ჩემს მეუღლეს უნდა გავუარო კლუბში და რომელიღაც სულელურ შეკრებულობას დავესწრო, რომელსაც თვით თავმჯდომარეობს ამაღამ დედოფლის ქუჩაზე, ოცდაექვს ნომერში. თუ დავიგვიანე, დარწმუნებული ვარ, ძალიან ეწყინება და გაჯავრდება. მე კი, მართალი მოგახსენოთ, როდესაც ეს ქუდი მხურავს, ვერავითარ სცენებს ვერ ვიტან, რადგან მეტად მყიფე და ჰაეროვანი ქსოვილია და ერთი მეტისმეტი სიმკაცრით ნათქვამი სიტყვაც კი ბოლოს მოუღებს. არა, ახლავე უნდა გავეშურო, ლედი აგათა. ნახვამდის, ლორდ ჰენრი! თქვენ შეუდარებელი და მეტისმეტად მომხიბვლელი ხართ, მაგრამ ამავე დროს ფრიად საშიში და თავზე ხელაღებული მაცდურიც. მართალი მოგახსენოთ, არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა თქვენს თეორიებზე. გთხოვთ ჩვენსა მობრძანდეთ ამ კვირაში, თუნდაც აი, სამშაბათს. იმ დღეს ხომ არსად ხართ მიწვეული?
- თქვენთვის, ქალბატონო ჰარლი, შემიძლია ამქვეყნად ყველა მივატოვო, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ და მოწიწებით თავი დაუკრა.
- ოჰ, ეს ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ თქვენის მხრივ სრულიად არასწორი საქციელი იქნება! - წამოიძახა მთავრის მეუღლემ და თითქმის გაფრინდა დარბაზიდან ლედი აგათასა და სხვა ქალბატონების თანხლებით.
ლორდ ჰენრი, კვლავ თავისი ადგილი დაიკავა. მისტერ ერსკინი მის გვერდით მოთავსდა, სკამი სულ ახლოს მისწია და ხელი მკლავზე შეახო.
- ყველა წიგნში გამართულ მსჯელობაზე უფრო მეტად მომწონს თქვენი ნაუბარი, გაცილებით უკეთ მსჯელობთ ყველა საკითხზე. რატომ არ წერთ რამეს? - ჰკითხა ბოლოს მან ლორდ ჰენრის.
- წიგნების კითხვამ იმდენად გამიტაცა, წერაზე სრულიადაც არ ვფიქრობ, მისტერ ერსკინ. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა დავწერო რომანი, რომანი, რომელიც ირანულ ხალიჩასავით საუცხოო იქნება და ამასთანავე სინამდვილიდან ძალიან დაშორებული, მაგრამ ინგლისს ხომ ლიტერატურის მკითხველი საზოგადოება არ გააჩნია. ჩვენში მხოლოდ გაზეთებს, პირველდაწყებითი სასწავლებლის სახელმძღვანელოებს და ენციკლოპედიებს კითხულობენ. ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებ ხალხთა შორის, ინგლისელებს ყველაზე ნაკლებად ესმის

https://www.facebook.com/groups/

ლიტერატურის სილამაზე.
- ჩვენდა სავალალოდ, ვფიქრობ, მართალი უნდა იყოთ, - უპასუხა მისტერ ერსკინმა, - დიახ, დიდი მისწრაფება მქონდა მწერლობისაკენ, მაგრამ რა ხანია ხელი ავიღე ამ ფიქრზე. ახლა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, - არ ვიცი ნებას დამრთავთ თუ არა ასე გიწოდოთ, - მინდა გკითხოთ, გულწრფელად გწამთ ყოველივე ის რაზედაც საუბრის დროს მსჯელობდით?
- ოჰ, სრულიად დამავიწყდა რას ვამბობდი. - გაიღიმა ლორდ ჰენრიმ. - რამე აბდაუბდა ვილაპარაკე?
- დიახ, მართლაც ყველაფერი ცუდად მომეჩვენა. ვფიქრობ, თქვენ ფრიად საშიში ადამიანი ხართ, თუ ჩვენს სათაყვანო მისის ჰარლეის თავს რაიმე ცუდი ამბავი დაატყდა, მაშინ ყველა ჩვენგანის აზრით, თქვენ უნდა აგოთ პასუხი. მე კი დიდი სურვილი მაქვს, თქვენთან წმინდა ცხოვრებისეულ საკითხებზე მესაუბრა. ამ ეპოქის ადამიანები, რომელთა შორისაც მე დავიბადე, მეტისმეტად მოსაწყენი არიან. ამ დღეებში, როდესაც ლონდონში დაქანცულობა მოგეძალებათ და ქალაქი თავს მოგაბეზრებთ, ჩამოდით ჩემთან ტრედლიში. იქ ვიმსჯელოთ და თქვენი საკუთარი ფილოსოფიური აზრები განმიმარტეთ, თან შესანიშნავ ბურგუნდიულ ღვინოს შევექცეთ, რომელიც საბედნიეროდ ჯერ კიდევ მოიპოვება ჩემს ოჯახში.
- ოჰ, ეს მართლაც შესანიშნავი წინადადებაა, მისტერ ერსკინ. ტრედლიში ჩამოსვლას მართლაც რომ დიდ ბედნიერებად მივიჩნევდი. თანაც ასეთი გულთბილი მასპინძელი და ასეთი შესანიშნავი ბიბლიოთეკა...
- და ამ ჩამოსვლით თქვენ მას კიდევ უფრო დაამშვენებთ, - უპასუხა მოხუცმა ჯენტლმენმა და პატივისცემით თავი დაუკრა. - ახლა კი დროა თქვენს კეთილ მამიდას დავემშვიდობოთ, ათენიუმში[20] მიმეჩქარება, თუმც ასეთ დროს ჩვენ იქ ძილის მეტს არას ვაკეთებთ.
- ყველა თქვენთაგანს სძინავს, მისტერ ერსკინ?
- დიახ, ორმოც კაცს, ორმოც სავარძელში. წარმოიდგინეთ ასე ვემზადებით ინგლისის ლიტერატურის აკადემიისათვის.
ლორდ ჰენრიმ გადაიხარხარა და წამოდგა.
- მე კი ჰაიდ პარკში უნდა გეახლოთ.
კარებში გასვლისას დორიან გრეიმ ლორდ ჰენრის მკლავს ხელი შეახო და თითქოს ჩურჩულით წარმოთქვა:
- ნება მომეცით თქვენთან ერთად წამოვიდე.
- მაგრამ თქვენ ხომ ბეზილ ჰოლუროდს დაპირდით, მასთან მისულიყავით? - უპასუხა ლორდ ჰენრიმ.
- გულით მწადია თქვენთან დარჩენა. გთხოვთ ნება დამრთოთ, დავრჩე და თქვენთან ერთად წამოვიდე. ამასთანავე ისიც უნდა გთხოვოთ, რომ რამდენ ხანსაც დავყოფთ იქ, მხოლოდ მე უნდა მესაუბროთ. ვფიქრობ ამქვეყნად არავინაა ისეთი მჭერმეტყველი, როგორც თქვენ, ბატონო ჰენრი.
- ოჰ, დღეისათვის საკმარისზე მეტიც ვილაპარაკე, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ ღიმილით. - ამ წუთს მხოლოდ ის აზრი ამეკვიატა, ცხოვრებას გადავხედო

დამკვირვებლის თვალით. თუ ასეთი სურვილი თქვენც დაგებადათ, მაშინ წამოდით და გავირთოთ თავი.

თავი IV

ერთხელ, ნაშუადღევს, დაახლოებით ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ მეიფერში[21], ლორდ ჰენრის სასახლის პატარა ბიბლიოთეკაში, დორიან გრეი საუცხოოდ ნაჩუქურთმევ სავარძლის ზურგს მიყრდნობოდა და ოთახს ათვალიერებდა. ლამაზი ოთახი იყო; მაღალი წენგოსფრად შენაღები მუხის პანელი, მოყვითალო ფრიზი და მაღალი ძერწილი ჭერი მშვენებას მატებდა მას, იატაკი ჟოლოსფერი თექის ხალიჩით იყო დაფარული, მასზე აქა-იქ მიმოფანტათ პატარა, გრძელფოჩიანი ირანული აბრეშუმის ნოხები. პაწაწინა წითელი ხის მაგიდაზე კლოდ მიშელის ნაძერწი ქანდაკება იდგა. იქვე დორიანმა მარგარიტა ვალუას[22] „Les Cent Nouvelles“[23] შენიშნა, ივ ქლოვისის ნაკეთები ყდით. ყდაზე ოქროსვარაყიანი ზიზილები იყო მიმოფანტული, რომელიც დედოფალს ემბლემად ამოერჩია. ბუხრის თავზე რამდენიმე მოცისფრო, ჩინური ფაიფურის ლარნაკში მრავალფერი ტიტა სვენოდა. სარკმლის პაწაწინა, ტყვიისფერ მინებში ლონდონური ზაფხულის ცეცხლისფერი შუქი იჭრებოდა.

ლორდ ჰენრი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო. დაგვიანება მას ჩვეულებად ჰქონდა, რადგან პუნქტუალობა საერთოდ დროის ქურდობად მიაჩნდა. იქნებ ამის გამო ჭაბუკი უგუნებოდ გამოიყურებოდა და გულგრილად ფურცლავდა „მანონ ლესკოს“ საუცხოოდ ილუსტრირებულ გამოცემას, რომელიც მას ერთ-ერთი წიგნის კარადაში შეერჩია. ლუი XIV სტილის საათის ერთფეროვანი ხმა უჩვეულოდ აღიზიანებდა. რამდენჯერმე წასვლაც კი დააპირა.

ბოლოს გარედან ფეხის ხმა მოისმა და კარი ნელა გაიღო.

- როგორ დაიგვიანეთ, ჰარი! - თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა ვაჟმა.

- სამწუხაროდ ეს ჰარი არ გახლავთ, მისტერ გრეი, - გამოეპასუხა ვიღაც საოცრად ცივი ხმით.

დორიანმა ირგვლივ სწრაფად მიმოავლო თვალი იქაურობას და ფეხზე წამოიჭრა.

- მაპატიეთ, ვიფიქრე, რომ...

- იფიქრეთ, რომ ლორდი ჰენრი იქნებოდა, მაგრამ თქვენ წინ მხოლოდ მისი მეუღლეა. ნება მომეცით გაგეცნოთ. თქვენ კი კარგად გიცნობთ ფოტოსურათებიდან. ჩემს მეუღლეს, თუ არ ვცდები, დაახლოებით ასე ჩვიდმეტი ცალი მაინც უნდა ჰქონდეს თქვენი სურათი.

- ჩვიდმეტი, ლედი ჰენრი?

- თუ ჩვიდმეტი არა, თექვსმეტი მაინც ექნება. ამას ისიც დაუმატეთ, რომ წუხელ მასთან ერთად გნახეთ ოპერაში.

დორიანთან საუბრისას ლედი ჰენრი ნერვიულად იცინოდა და დაბნეული, კესანეს მსგავსი ცისფერი თვალებით აკვირდებოდა ჭაბუკს. ამ საოცარი ქმნილების სამოსი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ისტერიის შეტევის ჟამს გამოეგონოს ადამიანს და ქარიშხალში სცმოდეს. ლედი ჰენრის ყოველთვის ვინმე უყვარდა, მაგრამ ბედი არ სწყალობდა. ასე რომ, მხოლოდ საიდუმლოდ ინახავდა გულში საკუთარ ილუზიებს. ცდილობდა რჩეულთა შორის შესანიშნავი

ჩაცმა-დახურვით გამოერჩიათ და ყოველთვის მოუწესრიგებელი ჩანდა. სახელად ვიქტორიას უხმობდნენ და ეკლესიაში სიარული მანიაკივით ჰქონდა აჩემებული.
- მგონი „ლოენგრინზე“[24], არა, ლედი ჰენრი?
- დიახ, ჩემს საყვარელ „ლოენგრინზე“. ყველაზე მეტად ვაგნერის მუსიკა მიყვარს. ის ისეთი მჟღერადია, რომ ოპერის მსვლელობის დროს ადამიანს შეუძლია განუწყვეტლივ ისაუბროს ისე, რომ სხვამ ვერავინ გაიგონოს მისი ხმა. ეს კი მეტად მოსახერხებელია, არა, მისტერ გრეი? - და ისევ ისტერიული ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიცილი განმეორდა. თითებით კი ამ დროს, კუს ბაკანისგან დამზადებულ გრძელ, წიგნის საჭრელ დანას ათამაშებდა.
დორიანმა გაიღიმა და თავი გაიქნია.
- გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, რომ ვერ დაგეთანხმებით, ლედი ჰენრი. თუ მუსიკას ვუსმენ, მე პირადად საუბარი არ შემიძლია, განსაკუთრებით მაშინ, თუ მუსიკა მომხიბლავია. ადამიანს თავისუფლად მხოლოდ მაშინ შეუძლია ისაუბროს, როდესაც მუსიკა არ სიამოვნებს და სურს როგორმე ჩაახშოს მისი თავმომაბეზრებელი ხმა.
- ოჰ, ეს ხომ ჰარის შეხედულებაა. წარმოიდგინეთ, მისტერ გრეი, ჩემი მეუღლის შეხედულებებს ყოველთვის მისი მეგობრებისაგან ვისმენ. მხოლოდ ამ გზით ხდებიან ისინი ჩემთვის ხელმისაწვდომი. მაგრამ თქვენ კი ნუ იფიქრებთ, რომ კარგი მუსიკა არ მიყვარდეს. თაყვანს ვცემ კარგ მუსიკას. თუმც, უნდა გამოგიტყდეთ, ამავე დროს მეშინია მისი, რადგან მეტისმეტად რომანტიკულ გუნებაზე მაყენებს. პიანისტებს პირდაპირ ვაღმერთებ და ვეტრფი. ასე განსაჯეთ, ხანდახან ორს ერთად. ყოველ შემთხვევაში, ჰარი ასე მარწმუნებს. არ ვიცი, რა მხიბლავს მათში ასე ძლიერად? უთუოდ ის, რომ ყოველი მათგანი უცხოელია. განა არა? ოჰ, თუმც არა, მგონი ისინიც კი, რომლებიც ინგლისში დაიბადნენ, ალბათ თქვენც დამეთანხმებით, წელთა მანძილზე უცხოელებად გადაიქცევიან ხოლმე. ამ გზით საკუთარ ხელოვნებას მეტ რეპუტაციას უხვეჭენ. ეს კი ხელოვნებას კოსმოპოლიტიზმის შუქით მოსავს, არა, მისტერ გრეი? თქვენ ჩემს არც ერთ საღამოს არ დასწრებიხართ. გთხოვთ აუცილებლად მობრძანდეთ. მართალია, ორქიდეებს[25] ვერ შევუკვეთავ, მაგრამ უცხოელთათვის არაფერს დავზოგავ. ისინი რაღაც თვალწარმტაც იერს მატებენ სასტუმრო დარბაზს, აი, ჰარიც! ჰარი, გეძებდი, მინდოდა რაღაც მეკითხა. თუმც რის კითხვას ვაპირებდი, უკვე დამავიწყდა. შენს ოთახში კი მისტერ გრეი დამხვდა და მუსიკის შესახებ ფრიად სასიამოვნო საუბარი გვქონდა. ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ოჰ, არა, არა, მგონი ვცდები და სრულიად ერთმანეთის საპირისპირო აზრები აღმოგვაჩნდა. მისტერ გრეი მატად სასიამოვნო მოსაუბრეა. მისმა გაცნობამ დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით აღმავსო.
- დიდად მოხარული ვარ, ჩემო ძვირფასო, დიდად, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ, ნახევარწრისებური შავი წარბები მაღლა აზიდა და ორივეს იქედნური ღიმილით დააკვირდა. - მეტად ვწუხვარ, რომ დავიგვიანე, დორიან, უორდორის ქუჩაზე გავედი, ძველებური ფარჩის ქსოვილის პატარა ნაჭერს ვაკვირდებოდი და რამდენიმე საათს ვევაჭრებოდი. ჩვენს დროში ხალხმა ყველაფრის ღირებულება

იცის, მაგრამ ფასი კი არ იციან მისი.
- მეტად ვწუხვარ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ! - წამოიძახა ლედი ჰენრიმ და უხერხული დუმილი სრულიად მოულოდნელი უადგილო სიცილით დაარღვია. - მთავრის მეუღლეს დავპირდი, რომ ეტლით სასეირნოდ წავყვები. ნახვამდის, მისტერ გრეი. ნახვამდის, ჰარი. სადილად, მგონი, დაპატიჟებული ხარ, მეც მიწვეული ვარ და შესაძლოა ლედი თორნბერისას გნახო.
- იმედია, სადმე შევხვდებით, ჩემო კარგო, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ და მეუღლის გასვლის შემდეგ კარი მიხურა.
ლედი ჰენრი ოთახიდან სამოთხის იმ ჩიტივით გაფრინდა, რომელსაც მთელი ღამე გარეთ წვიმაში გაეთია, და ჟასმინის მქრქალი სურნელება დატოვა ოთახში. ლორდ ჰენრიმ სიგარას მოუკიდა და დივანზე გაიჭიმა. სიგარის ბოლი ბოლქვ-ბოლქვად გამოუშვა და კარგა ხნის შემდეგ წარმოთქვა:
- დორიან, ნურასოდეს შეირთავთ ჩალისფერთმიან ქალს.
- რატომ, ჰარი?
- იმიტომ, რომ ისინი საოცრად სენტიმენტალურები არიან.
- მე კი, მართალი მოგახსენოთ, ძალიან მიყვარს ასეთი ხალხი.
- უმჯობესი იქნება, თუ ცოლს საერთოდ არ შეირთავთ, დორიან. მამაკაცები ცოლს დაღლილობის გამო ირთავენ. ქალები კი იმიტომ თხოვდებიან, რომ ფრიად ცნობისმოყვარენი არიან. ორივე მხარე ბოლოს იმედგაცრუებული რჩება.
- ფრიად საეჭვოა, რომ ოდესმე ცოლი შევირთო, ჰარი. ამჟამად ვარ შეყვარებული. ეს ხომ თქვენი ერთ-ერთი აფორიზმთაგანია და პრაქტიკულად ვახორციელებ, როგორც სხვა ყველა თქვენს ნაწინასწარმეტყველებ აზრს.
- მაინც ვინ გიყვართ, დორიან? - იკითხა ლორდ ჰენრიმ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.
- ერთი მსახიობი ქალია, - უპასუხა დორიანმა და გაწითლდა.
ლორდ ჰენრიმ მხრები აიჩეჩა.
- საკმაოდ ბანალური დასაწყისია, ჭაბუკო!
- ალბათ ამას არ იტყოდით, რომ იცნობდეთ, ჰარი.
- ვინ არის?
- სიბილ ვეინი.
- არასოდეს მსმენია რაიმე ასეთ მსახიობზე.
- ჯერ არც სხვებს გაუგონიათ მისი სახელი, მაგრამ ოდესმე ხალხი გაიცნობს, იგი გენიალურია, ჰარი.
- ჩემო კარგო, ქალები გენიალურობამდე ვერ ამაღლდებიან, ეს მხოლოდ ამ ქვეყნის დამამშვენებელი სქესია. მათ ჩვენი სამყაროსათვის სათქმელი არაფერი აქვთ, მაგრამ რასაც ამბობენ, ამბობენ მეტად მომხიბვლელად. ქალი გონებასა და სულზე მატერიის გამარჯვების განსახიერებაა. ისევე, როგორც მამაკაცი ასახიერებს გონების გამარჯვებას მორალზე.
- როგორ გეკადრებათ, ჰარი?
- ჩემო ძვირფასო დორიან, ეს წმინდა წყლის ჭეშმარიტებაა. ჩემი შესწავლის საგანს ამჟამად ქალი წარმოადგენს და განა შეიძლება ეს საკითხი არ ვიცოდე!

უნდა გამოგიტყდეთ, როგორც ვფიქრობდი, არცთუ ისე გაუგებარი და ძნელად შესასწავლი საგანი ყოფილა. იმ დასკვნამდე მივედი, რომ ძირითადად ორი კატეგორიის ქალი არსებობს ამქვეყნად: ქალები, რომლებიც უარყოფენ ყოველგვარ კოსმეტიკას; და ქალები, რომლებიც მხოლოდ მისით არსებობენ. თუ გინდა პატივცემული ადამიანის რეპუტაცია მოიხვეჭო, პირველი კატეგორიის ქალი უნდა მიიწვიო ვახშმად. მეორე ტიპის ქალები, უნდა გამოგიტყდეთ, მეტისმეტად მომხიბვლელნი არიან, მაგრამ ისინი ერთ შეცდომას უშვებენ, - მხოლოდ იმიტომ ისვამენ, რომ უფრო ახალგაზრდები გამოჩნდნენ. ჩვენი მოხუცი თაობის ქალები კი ფერ-უმარილს მხოლოდ იმ მიზნით ხმარობდნენ, რომ საზოგადოებაში გონებაგამჭრიახისა და ბრწყინვალე მოსაუბრის სახელისათვის მიეღწიათ. „Roge“[26]და „esprit“[27] ურთიერთ განუყრელი იყვნენ. ახლა კი ყველაფერი ყირაზე დადგა. თუ ქალმა დღეს იმას მიაღწია, რომ საკუთარ ქალიშვილზე ათი წლით უმცროსსა ჰგავს, მხოლოდ მაშინ განიცდის კმაყოფილებას. რაც შეეხება მახვილგონიერ საუბარს, მხოლოდ ხუთი ქალი თუ მოიძებნება მთელ ლონდონში, რომელთაც ამის უნარი გააჩნიათ, და ამ ხუთიდან ორ მათგანს წესიერ საზოგადოებაში ადგილი არა აქვს. ახლა კი ჯობს მითხრათ რამე იმ თქვენ გენიალურ არსებაზე. რამდენი ხანია იცნობთ?
- ოჰ, ჰარი, თქვენი შეხედულებები სულს მიშფოთებს.
- ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამას, მაინც რამდენი ხანია იცნობთ?
- დაახლოებით სამი კვირაა.
- სად შეხვდით პირველად?
- მოგიყვებით, ჰარი, მაგრამ გულცივობას ნუ გამოიჩენთ, ბოლოს და ბოლოს, თქვენ რომ არ შეგხვედროდით, არაფერი არ მოხდებოდა. თქვენ შთამაგონეთ და აღმანთეთ მგზნებარე ცეცხლით, რომ ამქვეყნიური სიტკბოება მეგემნა და ცხოვრების ყველა საკითხს ღრმად ჩავკვირვებოდი. ჩვენი პირველი შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ მომეჩვენა, რომ რაღაც ძალუმად თრთოდა ჩემს ძარღვებში. ჰაიდ პარკში დავეხეტებოდი თუ პიკადილიზე[28], ყოველ გამვლელს გიჟური ცნობისმოყვარეობით აღვსილი ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი მხოლოდ ერთს: როგორ ცხოვრებას ეწეოდა თითოეული მათგანი. ზოგიერთი საოცრად ხიბლავდა ჩემს სულს და თავისკენ მიზიდავდა, ზოგი კი მხოლოდ შიშით მაძრწუნებდა. ჩემს საბრალო სულს მგზნებარე აღტაცება დაუფლებოდა და ახალ გრძნობათა მოლოდინში თრთოდა... და აი, ერთხელ, საღამოს, დაახლოებით შვიდ საათზე, გადავწყვიტე სახლიდან გავსულიყავი და ეს ჯერ კიდევ მიუწვდომელი სათავგადასავლო ამბები მეძებნა. ვგრძნობდი, ეს ჩვენი ნისლიანი, თვალუწვდენელი ლონდონი, როგორც ერთხელ თქვენ აღმიწერეთ, თავისი უთვალავი მცხოვრებლებით, ყოვლად ზნედაცემული ცოდვილებით და მომაჯადოებელი ბიწიერებით, სადღაც იდუმალ კუნჭულში ჩემთვისაც ინახავდა ალბათ რაიმეს. ათასი რამ წარმომიდგა თვალწინ. მოსალოდნელი საშიშროება საოცარი სიამის გრძნობით მატკბობდა. მომაგონდა ის შესანიშნავი საღამო, როდესაც პირველად ვისადილეთ ერთად და თქვენგან მოვისმინე: ამქვეყნიური ცხოვრებისა და ბედნიერების ჭეშმარიტი საიდუმლო სილამაზის ძიებაშიაო.

მართალი მოგახსენოთ, არ ვიცოდი, რას ველოდი, მაგრამ სახლიდან გამოვედი და გზააბნეულივით ისტ-ენდისაკენ გავემართე. გამჭვარტლულ, უსუფთაო ქუჩის ლაბირინთებში და სახეჩამომტირალ მოედნებზე, სადაც ერთ ღერ ბალახსაც კი თვალს ვერსად მოჰკრავდით, გზა დამებნა. დაახლოებით ცხრის ნახევარზე, უბადრუკ, პაწაწინა თეატრს ჩავუარე გვერდით, რომელიც მკრთალად მოციმციმე გაზის სანათურებითა და მყვირალა უგემოვნო აფიშებით გამოირჩეოდა. ერთი ვიღაც მახინჯი ებრაელი შესასვლელში იდგა და მყრალ სიგარას ეწეოდა. მას უცნაურზე უცნაური, სასაცილო ჟილეტი ეცვა, რომლის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავს, გაქონილი ხვეული თმა უსიამოდ უპრიალებდა და უსუფთაო პერანგის გულისპირზე უშველებელი ბრილიანტი უბრწყინავდა.
- ლოჟას ხომ არ ინებებთ, მილორდ? - როგორც კი შემნიშნა, მკითხა მან და მონურ მორჩილებაში საკმაოდ გაწვრთნილმა, მოწიწებით მოიხადა ქუდი. შეხვედრისთანავე მასში ისეთი რამ აღმოვაჩინე, რაც უჩვეულოდ მართობდა. ოჰ, საოცარ ურჩხულად წარმომიდგა. ვიცი, დამცინებთ, მაგრამ მაინც უნდა გამოგიტყდეთ, თეატრში შევედი და სცენის ახლო ლოჟის დასაკავებლად, წარმოიდგინეთ, ერთი გინეა[29] გადავიხადე. ახლაც არ ვიცი, რისთვის მოვიქეცი ასე, მაგრამ ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ძვირფასო ჰარი, დიახ, სწორედ ასე რომ არ მოვქცეულიყავი, სამუდამოდ დავკარგავდი და ვერასოდეს ვიხილავდი ჩემს ცხოვრებაში ამ ულამაზეს რომანს. კარგად ვამჩნევ, რომ დამცინით. ოჰ, ეს მეტისმეტად აღმაშფოთებელია.
- არ ვიცინი, დორიან, ყოველ შემთხვევაში, თქვენ არ დაგცინით, მაგრამ ამ ამბისათვის თქვენი ცხოვრების ულამაზესი რომანი კი არ უნდა გეწოდებინათ, არამედ უბრალოდ, პირველი რომანი. თქვენ ამიერიდან ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეუყვარდებით ვინმეს და თქვენც ასევე მუდამ შეყვარებული იქნებით. „Grande passion“[30] - ეს იმ ადამიანთა უცილო ხვედრი და პრივილეგიაა, ვინც დროს უქმად ატარებს ამქვეყნად. ეს გახლავთ ერთადერთი თავშესაქცევი, რის გაკეთებაც ძალუძს მცონარეთა კლასს. გულს ნუ გაიტეხთ, ბევრი დიდებული საქმენი გელოდებათ წინ. ეს მხოლოდ დასაწყისია.
- ნუთუ ასე თავქარიან, უსულო არსებად მთვლით, ჰარი? - წამოიძახა დორიანმა და ოდნავ წყენა დაეტყო.
- არა, პირიქით, მეტისმეტად მგრძნობიარე ბუნების ადამიანად მიმაჩნიხართ.
- მაინც როგორ?
- ჩემო ძვირფასო დორიან, უსულგულო და თავქარიან ადამიანებად იმად ვთვლი, რომელთაც მხოლოდ ერთხელ შეუძლიათ სიყვარული მთელი სიცოცხლის მანძილზე, რასაც ისინი თავიანთი რწმენით ერთგულებასა და თავდადებას უწოდებენ, მე პირადად, ამას მხოლოდ ჩვეულებას, ლეთარგიას ან წარმოსახვის უქონლობას ვუწოდებდი. ერთგულება სიყვარულში, ისევე როგორც აზრების სიმტკიცე და ურყეობა, უბრალოდ უძლურების აღიარებაა. ერთგულება? ოდესმე ამ გრძნობის ანალიზს მოვკიდებ ხელს, მასში მესაკუთრის სიხარბეს ვხედავ. ჩვენ ბევრ რამეს მოვიშორებდით თავიდან, იმის შიში რომ არ გვქონდეს, რომ მას სხვები წაატანენ ხელს. მაგრამ არ მინდა შეგაწყვეტინოთ, განაგრძეთ თქვენი

ამბავი!
- დიახ, ვიჯექი იმ ყოვლად მოუხერხებელ, პატარა, განცალკევებულ ლოჟაში. ჩემ წინ მეტად ულაზათო და უგემოვნო ფარდა ეკიდა ფარდის მიღმა მიმალული ვათვალიერებდი დარბაზს. მის მორთულობას თვალისათვის უსიამოვნო ზიზილ-პიპილები წარმოადგენდა მხოლოდ. ყველგან სიუხვის რქები და ამურები ჭარბობდა, როგორც იაფფასიან საქორწინო ტორტზე. უკანა ადგილები და ქანდარა საკმარისზე მეტად იყო დატვირთული, მაგრამ პირველ ორ რიგში ჭუჭყისაგან გაქონილი სავარძლები სრულიად თავისუფალი ჩანდა. ერთ ადამიანსაც კი ვერ მოკრავდით თვალს იმ ადგილას, რასაც ისინი, როგორც ვფიქრობ, ბელეტაჟს უწოდებდნენ. გამყიდველ ქალებს რიგებს შუა ფორთოხალი და ჯანჯაფილის ლუდი დაჰქონდათ. მაყურებლები კი ამ დროს შეუსვენებლივ თხილს შეექცეოდნენ. ირგვლივ მხოლოდ თხილის ტეხის ხმა გაისმოდა.
- სწორედ ისევე ალბათ, როგორც იმ დიდებული ბრიტანული დრამის გაფურჩქვნის დღეებში ხდებოდა.
- დიახ, სწორედ მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ მაინც გული იმდენად დამიმძიმდა, ის იყო გავიფიქრე, როგორ დავაღწიო თავი აქაურობას-მეთქი, რომ აფიშას მოვკარი თვალი. როგორ ფიქრობთ, ჰარი, რა გადიოდა იმ ღამეს?
- ალბათ „იდიოტი“ ან „უდანაშაულო მუნჯი“. კარგად ვიცი, ასეთი პიესები უყვარდათ ჩვენს წინაპართ. იცით, დორიან, რაც უფრო დიდხანს ვცხოვრობ ამ ქვეყნად, მით უფრო ვრწმუნდები, რომ რითაც ჩვენი წინაპარნი დიდ კმაყოფილებას განიცდიდნენ, ის ჩვენ აღარ გამოგვადგება. როგორც პოლიტიკაში, ისე ხელოვნებაში. Les grand – peres out toujours tort[31].
- ეს პიესა ჩვენთვისაც საკმაოდ ბევრის მთქმელია, ჰარი. ეს „რომეო და ჯულიეტა“ გახლდათ. მართალი მოგახსენოთ, პირველად სულიერი მღელვარება ვერ შევიკავე, რადგან შექსპირი ასეთ მივარდნილ ადგილას, სადღაც ჯურღმულში იდგმებოდა, მაგრამ ამან თავისებურად კიდევ უფრო მეტად დამაინტერესა. ყოველ შემთხვევაში, გადავწყვიტე დამეცადა და პირველი მოქმედება მაინც მენახა. გაისმა ორკესტრის ყურთასმენის წამღები ხმა, რომელსაც დამტვრეულ ფორტეპიანოსთან მჯდარი ახალგაზრდა ებრაელი ხელმძღვანელობდა. ამ ხმამ კინაღამ დარბაზი დამატოვებინა, მაგრამ ბოლოს ფარდა აიხადა და წარმოდგენა დაიწყო. რომეოს როლს მეტად ჩასუქებული ხანში შესული ჯენტლმენი ასრულებდა. წარბებზე შავად დამწვარი კორპი ესვა, ხრინწიანი და ტრაგიკული ხმა ჰქონდა, გარეგნობით კი ლუდის კასრს მიაგავდა. მერკუციოც არაფრით ჩამორჩებოდა მას. ამ როლს ხუმარა ასრულებდა, რომელიც ტექსტს საკუთარი მოსაზრებული სიტყვებითა და ფრაზებით ავსებდა. ეს ყოველივე კი პარტერის უკანასკნელ რიგებსა და მსახიობს შორის ურთიერთგაგების ატმოსფეროს ქმნიდა. ორივეს ერთად გროტესკული იერი დაჰკრავდა. არც დეკორაცია იყო სახარბიელო მდგომარეობაში. ყოველივე ერთად კი უფრო საბაზრო ბალაგანს მიაგავდა. მაგრამ ჯულიეტა! აბა, წარმოიდგინეთ, ჰარი, დაახლოებით, ჩვიდმეტი წლის გოგონა, ყვავილივით ჰაეროვანი სახის, რომელსაც პატარა ბერძნული მოყვანილობის თავი ამშვენებს, მუქი ყავისფერი თმა კულულებად ეშვება

წელამდე. თვალები ლურჯი - გრძნობის დაუმცხრალი წყარო, ბაგენი ნარნარი, ვითარცა ფურცელნი ვარდისა. მხოლოდ პირველად იხილა ჩემმა თვალმა ამქვეყნად ასეთი თვალწარმტაცი მშვენიერება! მახსოვს, ერთხელ მითხარით, რომ ვერავითარი პათოსი ვერ შესძრავს თქვენს გულს და მხოლოდ სილამაზეს, ჭეშმარიტ სილამაზეს ძალუძს ცრემლი მოგგვაროთ თვალზე. გარწმუნებთ, ჰარი, რომ მისმა უჩვეულო სილამაზემ მე მართლაც მომგვარა ცრემლი. თვალთ დამიბნელდა და ძლივსღა ვჭვრეტდი ამ სრულქმნილ არსებას. და ხმა! არასოდეს სმენია ჩემს ყურს ასეთი ხმა. დასაწყისში ის მეტად მშვიდად და ხმადაბლა გაისმა. მაგრამ მისი ყოველი ღრმა, მოალერსე ბგერა სათითაოდ აღწევდა ჩემს ყურთასმენამდე. მერე თანდათანობით ამაღლდა და ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს ფლეიტის ან სადღაც შორს დარხეული ჰობოის ხმა მოისმოდა. ბაღის სცენა იმდენად გარდასახულიყო სინამდვილედ ადამიანის სულში, თითქოს მთრთოლვარე აღტაცება მეტყველებდა მასში. ასეთი წარმტაცი ხმა შეიძლება ადამიანმა მხოლოდ ალიონზე გაიგონოს, როდესაც ბულბულები იწყებენ გალობას. ბოლოს კი დადგა წუთიც, როდესაც ეს ხმა ვიოლინოს გააფთრებული სიმთა ჟღერით სულში ატეხილ გრძნობათა ჭიდილს წააგავდა. თქვენთვის კარგად ცნობილია, თუ ხმას რა ძალა შესწევს. მხოლოდ თქვენსა და სიბილ ვეინის ხმას ვერ დავივიწყებ ვერასოდეს. თვალს მოვხუჭავ თუ არა, მხოლოდ ეს ხმები მესმის. ორივე სხვადასხვა რამეს ჩამჩურჩულებს, მაგრამ ისე ვარ მოხიბლული, არ ვიცი, რომელ მათგანს დავედევნო. განა შემეძლო მის სიყვარულს გავმკლავებოდი, ჰარი? გულწრფელად მიყვარს ეს გოგონა და ვგრძნობ, ამიერიდან ჩემი ცხოვრების თავი და ბოლო მხოლოდ ის არის. ყოველ ღამით ვუცქერ მის თამაშს სცენაზე. ერთ საღამოს რომ როზალინდას[32] ასახიერებს, მეორე ღამეს იმოჯენია[33]. ვიხილე ბნელ, იტალიურ აკლდამაში მისი სიკვდილის სცენა, როდესაც სატრფოს ბაგეზე საწამლავს დაეწაფა. ვაკვირდებოდი მის ხეტიალს არდენის ტყეში[34], ბიჭის ტანსაცმელში გადაცმულს. ოჰ, რა მშვენებით ბრწყინავდა მოკლე კამზოლსა და ვიწრო შარვალში გამოკვალთული. ცხადად ვამჩნევდი უნაკლო ტანისა და მოხდენილ ფეხთა სინატიფეს, პაწაწინა თავს კი კოხტა ქუდი უმშვენებდა. ვნახე როდესაც შეშლილი წარსდგა ბოროტმოქმედი მეფის წინაშე და სამოსის ნაცვლად ტეგანი შესთავაზა და გემოს გასასინჯად სამკურნალო ბალახი. ვუყურე, როგორ ითამაშა უმანკო და უდანაშაულო დეზდემონას როლი და ეჭვით აცახცახებული შავი ხელები როგორ შეეხო მის ლერწამივით აღერილ ყელს. ვნახე ყველა საუკუნის ადამიანის როლში და ყოველნაირ ტანსაცმელში. ჩვეულებრივი ქალები ვერ აღაგზნებენ ადამიანის წარმოსახვას. მათ სულიერ გარდაქმნას კი ვერავითარი ჯადოქრობა ვერ მოახერხებს. ადამიანი მათ სულს ისე ადვილად გამოიცნობს, როგორც მათ ქუდებს. მათი აღმოჩენა თავისუფლად შეიძლება, მათში არავითარი საიდუმლოება არ იმალება. გარიჟრაჟზე ცხენით დასეირნობენ ჰაიდ-პარკში, თუ დღისით ჩაის შეექცევიან და საუბრობენ მეგობრებში, მათ მუდმივი უცვლელი ღიმილი დასთამაშებთ სახეზე და მხოლოდ კარგი მიხრა-მოხრით გამოირჩევიან. მათ სულში სრულიად ნათლად ვჭვრეტთ ყოველივეს. მაგრამ მსახიობი, მსახიობი

ხომ ყველასაგან განსხვავებულია, ჰარი! რატომ არ გამანდეთ, რომ მხოლოდ მსახიობია ღირსი დიდი სიყვარულისა!
- მიზეზი ის გახლავთ, რომ ბევრი მათგანი მყვარებია, დორიან.
- ოჰ, დიახ, ეს აუტანელი, შეღებილთმიანი და შეთხუპნილსახიანი ქალები.
- ზიზღით ნუ მოიხსენიებთ შეღებილ თმასა და თუნდაც შეთხუპნილ სახეებს, დორიან. ხანდახან საოცარი მომხიბვლელობაა მათში! - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ.
- ოჰ, ნეტავი სრულიად არაფერი მეთქვა სიბილ ვეინზე.
- განა შეგეძლოთ არაფერი გეთქვათ, დორიან? მთელ სიცოცხლეში ისეთს ვერაფერს ჩაიდენთ ამიერიდან, მე რომ არ მამცნოთ.
- დიახ, ჰარი, საბედისწეროდ ვგრძნობ, რომ ეგ სრული სიმართლეა. ვგრძნობ, არ შემიძლია რამე დაგიმალოთ. თქვენ მართლაც რაღაც საოცარი გავლენა მოახდინეთ ჩემზე და სრულიად შემბოჭეთ. ვფიქრობ, ოდესმე რაიმე დანაშაულიც რომ ჩავიდინო, მოვალ და თქვენს წინაშე ვაღიარებ. ისიც მწამს, რომ თქვენ ყველაფერს გამიგებთ.
- ისეთი ადამიანები, როგორიც თქვენა ხართ, ამქვეყნიური ცხოვრების მანათობელი თავისნება მზის სხივები, დანაშაულს არ სჩადიან, დორიან, მაგრამ ქათინაურისათვის მაინც დიდ მადლობას მოგახსენებთ, ჭაბუკო, ახლა კი, თუ შეიძლება, ჯერ ასანთი მომაწოდეთ და მერე მიამბეთ, რა გრძნობა გაკავშირებთ მაინც სიბილ ვეინთან?
დორიან გრეი მღელვარებისაგან ალწაკიდებული და თვალანთებული ფეხზე წამოიჭრა.
- ჰარი! სიბილ ვეინი წმიდათა წმიდა ქმნილებაა!
- სწორედ ამ წმიდათა წმიდა ქმნილების შეხებაა ღირსშესანიშნავი, დორიან, მხოლოდ ასეთ გრძნობას აქვს ფასი ამქვეყნად. - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ და ხმაში მღელვარება და უცნაური პათოსი დაეტყო. - მაინც რისთვის მოგდით გული? ვფიქრობ, სულ მოკლე ხანში ის თქვენი იქნება. ოჰ, სიყვარული? ამ გრძნობით შეპყრობილი ადამიანი ყოველთვის იმით იწყებს, რომ საკუთარი თავის წინაშე მაცდურობს. საბოლოოდ კი ყველაფერი იმით მთავრდება, რომ სხვებს აცდუნებს. აი, ამას უწოდებს ქვეყნიერება რომანს. იმედია, ყოველ შემთხვევაში, სიბილ ვეინს გაიცნობდით მაინც?
- რა თქმა უნდა, გავიცანი. პირველსავე საღამოს ის მოხუცი გონჯი ებრაელი გამოცხადდა ჩემს ლოჟაში, სპექტაკლის დასასრულს და შემომთავაზა, კულისებში ჯულიეტას გასაცნობად გავყოლოდი. მე, რაღა თქმა უნდა, საოცრად აღვშფოთდი და ვუპასუხე: ჯულიეტა რამდენიმე ასეული წლის წინ გარდაიცვალა და მისი სხეული ვერონაში მარმარილოს აკლდამაში ასვენია-მეთქი. მისმა უაღრესად განცვიფრებულმა სახემ მაფიქრებინა, რომ ეგონა, ზომაზე მეტი შამპანური ან სხვა რაიმე სასმელი მქონდა დალეული და კრძალვით წარმოთქვა:
- გეთანხმებით, შესაძლებელია, ბატონო.
მერე დაინტერესდა, გაზეთებში კორესპონდენციებს ვწერდი თუ არა. ჩემმა პასუხმა კიდევ უფრო გააოცა, როდესაც ვუპასუხე, გაზეთებს არც ვკითხულობ-

მეთქი. შევნიშნე, ჩემმა ასეთმა პასუხმა იმედი მთლად გაუცრუა და საიდუმლოდ გამანდო: მთელი თეატრალური კრიტიკა ჩემ წინააღმდეგ ილაშქრებსო. თანაც ყველა მათგანს მექრთამე უწოდა.
- შესაძლებელია ამ საკითხში ის სრულიად მართალიც იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, თუ ამ ადამიანთა გარეგნობის მიხედვით ვიმსჯელებთ, კრიტიკოსთა უმეტესობა არცთუ ისე ძვირად უნდა ფასობდეს.
- დიახ, როგორც ჩანს, შემოსავალთან შედარებით ძვირი უჯდება ალბათ მათი გასტუმრება, - გაიცინა დორიანმა და განაგრძო: - ჩვენს საუბარში სინათლე ჩაქრა და მეც იქაურობა უნდა დამეტოვებინა. მოხუცი დაჟინებით მთავაზობდა რაღაც სიგარას და თავგამოდებით აქებდა. მე უარი განვუცხადე და ხელი არ დამიკარებია. მეორე ღამეს, რასაკვირველია, ისევ იქ გავჩნდი. მოხუცმა ებრაელმა შემნიშნა თუ არა, მდაბლად თავი დამიკრა და ხელოვნების გულუხვი მფარველი მიწოდა. მინდა გამოგიტყდეთ, რომ ამ საოცარ ურჩხულში შექსპირის განსაცვიფრებელი თაყვანისმცემელი აღმოვაჩინე. ერთხელ დიდი სიამაყით ამ უგვანომ ისიც კი განმიცხადა, რომ „ბარდის“ სიყვარულისათვის (დაჟინებით ასე უწოდებდა შექსპირს) ხუთჯერ გაკოტრებულიყო. ეტყობა, მას ეს ამბავი თავის მხრივ უდიდეს დამსახურებად და პატივად მიაჩნდა.
- დიახ, ეს მართლაც უდიდესი დამსახურებაა, ძვირფასო დორიან, დიდი დამსახურება! ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ პროზისადმი გადაჭარბებული თაყვანისცემით კოტრდება. პოეზიის სიყვარულისათვის კი გაკოტრება უდიდეს პატივად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, პირველად როდის დაელაპარაკეთ მაინც სიბილ ვეინს?
- მესამე ღამეს სიბილ ვეინი როზალინდას თამაშობდა. მე თვით უკვე აღარ შემეძლო არ შევსულიყავი კულისებში. სცენაზე რამდენიმე ყვავილი გადავუგდე და მაშინ შემნიშნა, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა. მოხუცი ებრაელიც ამ დროს დაჟინებით მთხოვდა კულისებში შევყოლოდი. დავთანხმდი. ძალიან უცნაური კი არის მგონი, წარმოიდგინეთ, არც მინდოდა მისი გაცნობა.
- არა, სრულიადაც არ არის საკვირველი.
- რატომ, ჰარი?
- სხვა დროს აგიხსნით, ახლა კი მინდა ისევ იმ გოგონას შესახებ მიამბოთ ყველაფერი.
- სიბილი? ოჰ, როგორ მორცხვობდა. რა მშვიდი და ჰაეროვანი ჩანდა იმ წამებში, ბევრი რამ მთლად ბავშვურია მასში. ოჰ, განცვიფრებისაგან რა მომხიბვლელად გაუფართოვდა თვალები, როდესაც მის ხელოვნებას ხოტბას ვასხამდი. ჩანს, წარმოდგენაც არა აქვს, რა მაგიური ძალის პატრონია. რა თქმა უნდა, იმ ღირსშესანიშნავ საღამოს ორივე ძალიან შემკრთალნი ვჩანდით. ერთად ვიდექით და ერთმანეთს გულუბრყვილო ბავშვებივით შევცქეროდით. მოხუცი ებრაელი მტვრით სავსე ფოიეში კართან იდგა, კბილებს აღრჭენდა და დროგამოშვებით მჭერმეტყველებას არ იშურებდა ორივე ჩვენგანის ხოტბის შესასხმელად. საუბარში დაჟინებით მილორდს მიწოდებდა. მე საჭიროდ ვცანი სიბილ ვეინი დამერწმუნებინა, რომ შთამომავლობით ლორდი არ ვიყავი. სიბილ ვეინმა კი

სრულიად მოულოდნელად მიამიტი ბავშვივით წამოიძახა, თქვენ უფრო მეტად ოცნებაში წარმოდგენილ უფლისწულს გამსგავსებთ და ამიერიდან მომხიბვლელი უფლისწული უნდა შეგარქვათო.
- პატიოსნებას გეფიცებით, დორიან, სიბილ ვეინს სცოდნია, როგორ მოიშველიოს ქათინაური საჭირო შემთხვევაში.
- ოჰ, არა, ჰარი, მგონი, თქვენ ვერ ჩასწვდით მისი სულის შინაგან ძახილს. მან მხოლოდ ნაწარმოების მოქმედ პირად წარმომიდგინა. ამქვეყნიური ცხოვრების შესახებ წარმოდგენაც არა აქვს. ჯერ დედის კალთას არ მოშორებია. მის დედას კი, ჩანს, ცხოვრებაში დიდი ტანჯვა გაუვლია, მისი სილამაზე უკვე დამჭკნარა; მეწამული ფერის სამოსში პირველ ღამეს ლედი კაპულეტის როლს ასრულებდა. ეტყობა, წარსულში ამ ქალს მრავალი ბედნიერი დღე უნახავს.
- დიახ, ვიცი მათი სახის გამომეტყველება. ისინი ნაღველს მიმატებენ მუდამ, - ჩურჩულით წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ და თავის თვლიან ბეჭედს აკვირდებოდა ისევ დაჟინებით.
- მოხუც ებრაელს ძალიან უნდოდა ამ ქალის მთელი ცხოვრების ისტორია გაეცნო ჩემთვის, მაგრამ მე თავი ავარიდე და უარი ვუთხარი.
- ნამდვილად კარგად მოქცეულხართ, დორიან. არის რაღაც უსაზღვროდ და განსაკუთრებით შესაბრალისი სხვა ადამიანთა ცხოვრების დრამაში.
- მე მხოლოდ სიბილ ვეინი მაინტერესებს. რა საჭიროა ვიცოდე, როგორი ოჯახი აქვს და რა წარმოშობისაა? პაწაწინა, თავიდან ნატიფ ფეხებამდე სრულყოფილი ღვთიური არსებაა. თითქმის ყოველ ღამით დავდივარ თეატრში მის სანახავად და ნათლად ვამჩნევ, რომ უფრო და უფრო სასწაულებრივი და წარმტაცია.
- ალბათ მიზეზიც ეს არის, რომ ჩემთან აღარ სადილობთ ახლა. სწორედ ასეც ვფიქრობდი, რომ რაღაც უცნაური რომანი გქონდათ ვინმესთან, მაგრამ რაც მიამბეთ, სრულიად არაფრით ჰგავს, რასაც ველოდი.
- ძვირფასო ჰარი, ჩვენ ხომ თითქმის ყოველდღე მაინც ვსაუზმობთ ან ვვახშმობთ ერთად. ამას გარდა, რამდენჯერმე ოპერაშიაც ვიყავით, - უთხრა დორიანმა და დიდ ცისფერ თვალებში განცვიფრება გამოეხატა.
- მაგრამ ყოველთვის ძალიან იგვიანებთ.
- რა გაეწყობა, არ შემიძლია ყოველღამით სიბილ ვეინის თამაში არ ვნახო, - წამოიძახა დორიანმა. - მისი ნახვის სურვილი თუნდაც ერთ მოქმედებაში ისეთი ძლიერი გზნებით ეუფლება ჩემს სულს, რომ უიმისოდ გაძლება არ შემიძლია. როდესაც იმ საოცარ სულზე ვფიქრობ, რომელიც მის თითქოს სპილოს ძვლისაგან გამოთლილ სხეულშია მიმალული, მისადმი მოწიწების გრძნობა მათრთოლებს.
- დღეს არ შეგიძლიათ, ჩემთან ისადილოთ, დორიან?
დორიანმა თავი გაიქნია.
- დღეს ის იმოჯენია, ხვალ კი ჯულიეტა იქნება, - უპასუხა ჭაბუკმა.
- როდისღა იქნება სიბილ ვეინი?
- არასოდეს.
- მაშ, უნდა მოგილოცოთ.
- ოჰ, ჰარი, რა აუტანელი ხართ ამ წამში! მის სულში მსოფლიოს გენიალურ

შედევრთა ყველა სახელმოხვეჭილი გმირი ჩასახლებულა. ის გაცილებით დიდია და დიადი, პიროვნების ვიწრო ცნებასთან შედარებით. თქვენ დამცინით, მაგრამ მე უნდა ვაღიარო, რომ გენიალურია. წრფელი, დაუცხრომელი გრძნობით მიყვარს და ყველაფერს ვიღონებ, რომ მის სულში ამ უსაზღვრო ადამიანურმა გრძნობამ გამოძახილი ჰპოვოს! მინდა იმ ძალით ვუყვარდე, რომ რომეოს გააფთრებული ეჭვიანობა გამოვიწვიო. მსურს, ოდესღაც, გარდასულ საუკუნეებში ამქვეყნად მცხოვრებმა შეყვარებულთა სულებმა ჩვენი სიცილი მოისმინონ საფლავებში და სევდამ შეუშფოთოთ მიძინებული სული. გულით მწადია ჩვენი გრძნობებისა და ვნების ქარტეხილმა აღაგზნოს მათი მტვრადქცეული ნეშტი და აკლდამებქვეშ გაყინულმა ფერფლმაც კი უდიდესი ტკივილი და ტანჯვა-ვაება გამოსცადოს. ოჰ, ღმერთო ჩემო, ჰარი, ნეტავ იცოდეთ, როგორ ვაღმერთებ მას!
დორიანი ლაპარაკობდა, თან აღელვებული მიმოდიოდა ოთახში. თითქოს ციებცხელებიანის სიწითლე წაეკიდა სახეზე და საშინლად აღშფოთებული ჩანდა. ლორდ ჰენრი კი აკვირდებოდა მას იდუმალი სიამოვნების გრძნობით აღვსილი. რა უცნაური გარდაქმნა მომხდარიყო ამ მორცხვ და მოკრძალებულ ჭაბუკში იმ დღის მერე, რაც ისინი ბეზილ ჰოლუორდის სახელოსნოში შეხვდნენ ერთმანეთს? მთელი მისი სულიერი სამყარო ყვავილივით გაშლილიყო და მოწითალო ალისფერი შუქი შემოგზნებოდა. სული საიდუმლო საფარველს დასხლტომოდა და ამჟამად ჭაბუკის დაუოკებელი სურვილი მის შესახვედრად ისწრაფოდა.
- რას აპირებთ მაინც? - იკითხა ბოლოს ლორდ ჰენრიმ.
- მინდა მის სანახავად თქვენ და ბეზილ ჰოლუორდი თეატრში წაგიყვანოთ. წარმოიდგინეთ, სრულიად არ ვღელავ, რადგან მჯერა, რომ იმედს გამიმართლებს. მწამს, თქვენ დიდი შეფასებას მისცემთ მის ნიჭს. ამასთანავე მიზნად დავისახე იმ ებრაელის ხელიდან გამოვიხსნა. კონტრაქტი სამი წლის ვადითაა დადებული. ორი წელი და რვა თვე დარჩა მხოლოდ. რასაკვირველია, იმ ებრაელის ვალში არ დავრჩები და რაც საჭიროა, გადავიხდი. როდესაც ყველაფერი მოეწყობა, ვესტ-ენდში რომელიმე თეატრს დავიქირავებ და საზოგადოების წინაშე მთელი თავისი ბრწყინვალეებით მე თვითონ წარვადგენ. დარწმუნებული ვარ, მთელ მსოფლიოს ისევე აღაფრთოვანებს და განაცვიფრებს, როგორც მე დამემართა.
- ეს წარმოუდგენელი და შეუძლებელია, ჩემო ძვირფასო დორიან.
- არა, უეჭველია, ასე მოხდება, რადგან მასში არა მხოლოდ დიდი მსახიობის ზებუნებრივი შინაგანი აღქმისა და ჭვრეტის უნარი იმალება, არამედ საკუთარი ინდივიდუალობაც. თქვენგან გამიგია, რომ სწორედ ინდივიდუალობა ამოძრავებს და მართავს ჩვენს საუკუნეს და არა იდეები.
- კეთილი, მაგრამ მაინც როდის წავიდეთ თეატრში?
- ახლავე მოვიფიქრებ... დღეს სამშაბათია, ხვალ აჯობებს. ხვალ ჯულიეტას თამაშობს.
- ძალიან კარგი. ბრისტოლში შევხვდეთ რვა საათზე. ბეზილს მე მოვიყვან.
- ჰარი, ძალიან გთხოვ, შვიდის ნახევარზე შევხვდეთ. რვაზე გვიან იქნება! ჯობს წარმოდგენის დაწყებამდე იქ ვიყოთ, მინდა პირველ მოქმედებაში ნახოთ,

როდესაც პირველად ხვდება რომეოს.
- შვიდის ნახევარზე! ეს რა დროა? განა ეს სწორედ ისეთივე თავის დამცირება არ იქნება, როგორც ინგლისური რომანის კითხვა? არა, არა, აჯობებს შვიდზე. არც ერთი წესიერი ჯენტლმენი შვიდზე ადრე არ სადილობს. თქვენ ინახულებთ ბეზილს, თუ მე ვაცნობო წერილით თქვენი გადაწყვეტილება?
- ოჰ, ჩემო ძვირფასო ბეზილ! ერთი კვირაა თვალითაც არ ვჩვენებივარ. ეს, რა თქმა უნდა, სისაძაგლეა ჩემის მხრივ. ბეზილმა კი, წარმოიდინეთ, ჩემი პორტრეტი შესანიშნავ ჩარჩოში ჩასმული გამომიგზავნა, რომელიც თვითვე შეუკვეთა. თუმცა, მართალი მოგახსენოთ, ცოტა არ იყოს, ვეჭვიანობ პორტრეტზე. ის ხომ ერთი თვით უმცროსია ჩემზე. გულწრფელად მსურს ვაღიარო, რომ ეს პორტრეტი მართლაც ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია. მის შემხედვარეს ყოველ წამს აღუწერელი აღტაცება მიპყრობს. სჯობს თქვენ აცნობოთ ბეზილს. არ მინდა პირისპირ მარტო შევეყარო, მუდამ ისე მსჯელობს, რომ საშინლად ვღელავ, ყოველ წამს კეთილი რჩევა-დარიგებით მიმასპინძლდება.
ლორდ ჰენრიმ გაიღიმა.
- ზოგიერთ ადამიანს ძალიან უყვარს გასცეს ისეთი რამ, რის საჭიროებასაც ყველაზე მეტად თვით განიცდის. აი, რას ვუწოდებ მე ვალის მოხდას დიდსულოვნების წინაშე.
- ოჰ, ბეზილი საუკეთესო ადამიანია, მაგრამ ჩემი აზრით, თითქმის ოდნავ ფილისტერის ელფერი დაჰკრავს. ეს კი მას შემდეგ აღმოვაჩინე, რაც თქვენ გაგიცანით, ჰარი.
- ჩემო კარგო დორიან, ბეზილი ყველაფერს, რაც კი ძვირფასია და მომხიბვლელი მასში, ხელოვნებაში აქსოვს. ამრიგად, ცხოვრებაში საკუთარი პრინციპებისა, ცრურწმენებისა და კეთილგონიერების გარდა აღარაფერი რჩება. ყველა იმ მხატვრიდან, რომელთაც კი ოდესმე ვიცნობდი, საინტერესო პიროვნებანი მათ შორის მხოლოდ უნიჭო მხატვრები იყვნენ. გენიალური ნიჭით დაჯილდოებული მხატვრები კი, რადგან საკუთარი ხელოვნების სამყაროში ცხოვრობენ, თავისთავად, როგორც პიროვნებანი, სრულიად უინტერესო ადამიანები არიან. დიდი პოეტი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, - იგულისხმება ნამდვილად დიდი მოწოდების მქონე, - ადამიანთა შორის ყველაზე უფრო პროზაული პიროვნებაა. მაგრამ საშუალო ნიჭის პოეტებს განსაცვიფრებელი უნარი შესწევთ, თავისი წარმტაცი ხელოვნებით ყოველი ადამიანი მოაჯადოვონ. რაც უფრო სუსტია ლექსი თუ რითმა, მით უფრო სრულქმნილად ითვლება ჩვენს საუკუნეში მისი გარეგნული ფორმა და სტილი. თუ უვარგისი სონეტების კრებული გამოსცა ვინმემ, ყველას სწამს, რომ მისი ლექსები ხელოვნების გასაოცარი ქმნილებანია. ასეთი პოეტები პოეზიის იმ სამყაროში ცხოვრობენ, რომელიც არ ძალუძთ თავის ლექსებში ასახონ, მეორენი კი შედევრებს ქმნიან და გამბედაობა კი გამუდმებით ღალატობთ მზის სინათლეზე, ცხოვრების წინაშე წარმოადგინონ ისინი.
- ფრიად განცვიფრებული გისმენთ, ნუთუ მართლა ასეა, ჰარი? - ჩაილაპარაკა დორიანმა და დიდი, ოქროს საცობიანი ბოთლიდან, რომელიც იქვე მაგიდაზე იდგა, სუნამო აპკურა თავის ცხვირსახოცს. - მწამს, ასე იქნება, რადგან თქვენ

ამბობთ. ახლა კი დროა გავეშუროთ. ამ საღამოს მე ხომ იმოჯენი მელოდება. ნუ დაივიწყებთ პირობას, რომ ხვალ უნდა შევხვდეთ, ჰარი, ნახვამდის.
დორიანი ოთახიდან გავიდა თუ არა, ლორდ ჰენრიმ ოდნავ შეშუპებული, ფართო ქუთუთოები ძირს დაუშვა და ფიქრს მიეცა. კარგად ახსოვდა, მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ სულ რამდენიმე ადამიანმა დაინტერესა ისე ძლიერად, როგორც დორიან გრეიმ, თუმც თვით ჭაბუკი ამ დროს გონშეშლილი ეთაყვანებოდა ვიღაც სხვას. ლორდ ჰენრის სული ამ ამბავმა ვერც აღშფოთებით აღავსო და ვერც ეჭვიანობით. საკვირველი კი იყო, რომ ის თითქმის ნასიამოვნებიც დარჩა ამით. ახლა დორიანი შესწავლის თვალსაზრისით უფრო საინტერესო პიროვნებად ქცეულიყო მის თვალში. ლორდ ჰენრის ხშირად იტაცებდა ბუნების მკვლევარის მეცნიერული მეთოდები, მაგრამ თვით ამ მეცნიერების ჩვეულებრივი საძიებელი თემა მეტად უმნიშვნელოდ და მოსაწყენად მიაჩნდა. მეცნიერული კვლევა ამ დარგში საკუთარი თავის ვივისექციით[35] დაიწყო და შემდეგ სხვების ვივისექციით დაამთავრა. ადამიანთა სულიერი ცხოვრების იდუმალებანი - აი, ერთადერთი რამ, რაც კვლევის საგნად ღირდა მის თვალში. მასთან შედარებით ყველა სხვა ჩალის ფასად არ მიაჩნდა. თუ ადამიანი ცხოვრების ორომტრიალს, ამ განსაცვიფრებელ უძირო საწყაულს აკვირდება, რომელიც განუზომელი ტანჯვა-ვაებით და დაულეველი სიხარულითა და სიამითაა სავსე, ვერ შეძლებს სახეზე საშიშის ნიღაბი ჩამოიფაროს და თავი აარიდოს სულის შემხუთავ ჰაერს, რომელიც მთელ დედამიწაზე გაბნეულა, ტვინს აბრუებს და წარმოსახვის უნარს კი წეწს და აბნელებს შემაძრწუნებელი გამოსახულებებითა და უცნაური კოშმარული სიზმრებით. სწორედ ეს საწყაული აღვსილა თვალისათვის ისეთი ფარული, საიდუმლო, სხეულში შემპარავი შხამით, რომ მის თვისებათა შესწავლის მსურველებმა თვით უნდა გამოსცადოს საწამლავის მომაკვდინებელი ძალა საკუთარ სხეულზე, რადგან მისგან მომდინარე ისეთი უჩვეულო და უკურნებელი სენი იდგამს ფესვს ადამიანის სულში, რომ მისი ბუნების გამოსაცნობად საჭიროა მკვლევარმა თვით გადაიტანოს ეს დაავადებანი, ადამიანთა გონება ჯერ კიდევ უძლურია, მის ბუნებას ღრმად და საფუძვლიანად ჩასწვდეს. და მაინც რა დიდებული საჩუქარი ელოდება თავდაუზოგავ მკვლევარს! რა უჩვეულოდ წარმოუდგება მთელი სამყარო მაშინ მას! ჩასწვდე გრძნობათა საოცარ მკაცრ ლოგიკას და მღელვარე, ფერუხვ გონებრივ ცხოვრებას, განსაჯო, როდის უთანხმდება ეს ორი ურთიერთს ან როდის დგება ჟამი გაყრისა მათ შორის. რა აურჩევიათ მაკავშირებელ ძალად, ან რა იწვევს მათში უთანხმოებას, აი, რაშია ამქვეყნიური უდიდესი სიამე! განა რაიმე მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რის საფასურად შეიძლება მისი მიღწევა? ძე-ხორციელს არასოდეს შეეძლება ჩასწვდეს თითოეულ, სრულიად განუცდელ გრძნობათა ნამდვილ ფასს, მაგრამ განა დასანანია შესწიროს ყოველივე მას, რა საფასურისაც უნდა იყოს ის!
ლორდ ჰენრი მიხვდა ყოველივეს და ფიქრმა მუქი, მოყავისფრო თვალები აქატის ბრწყინვალებით აუკიაფა. მასში სიამოვნების ნაპერწკლები კრთოდნენ. მისმა სიტყვათა ძალამ, გულის სიღრმიდან აღმომსკდარმა ამ უტკბესმა ბგერებმა

დორიანის სულს ამ თვალწარმტაცი, ფიფქივით თეთრი, უცოდველი ასულისაკენ მიასწავლეს გზა და აიძულეს თაყვანი ეცა და მუხლი მოეყარა მის წინაშე. ჭაბუკი თითქმის მთლიანად მის საკუთარ ქმნილებას წარმოადგენდა უკვე. მისი წყალობით ჩასწვდა ცხოვრების არსს ასე უდროოდ, ეს უდიდესი მიღწევა გახლდათ. ჩვეულებრივი ადამიანები იცდიან, სანამ ცხოვრება თავის იდუმალებას თვით გადაშლის მათ წინაშე. მაგრამ ამქვეყნად მხოლოდ რჩეულთ აქვთ ბედნიერება ეზიარონ მის საიდუმლოს ადრევე, ვიდრე თვით გადაიხსნის თვალშეუღწეველ პირბადეს. ჟამთა ვითარებაში ამას, რა თქმა უნდა, ხელს უმართავს ხელოვნება, უმთავრესად კი ლიტერატურა, რომელიც თვალისუსწრაფესად მოქმედებს როგორც გრძნობებზე, ასევე გონებაზე. არის ისეთი წამებიც, როდესაც ხელოვნების ადგილს და მის უდიდეს საქმეთ ვინმე ფრიად რთული სულისა და გონების ადამიანი იკისრებს ხოლმე და რომელიც თვით არის ხელოვნების სათუთად ნაძერწი ქმნილება, რადგან ცხოვრება დროთა ვითარებაში, პოეზიის, ქანდაკების და მხატვრობის მსგავსად, ქმნის ასეთი სახის ურთულეს შედევრთაც.
დიახ, დორიანმა ნაადრევად შედგა ფეხი ცხოვრებაში. მისი გაზაფხული ჯერ კიდევ არ დამდგარა და მან უკვე მოსავლის აღებას მიჰყო ხელი. ახალგაზრდული მაჯისცემა და გრძნობები ჭარბადაა ჭაბუკის სისხლში, მაგრამ ახლა უკვე იწყება საკუთარ თავში გარკვევა და მის ძალთა შეცნობა. ოჰ, რა უსაზღვრო სულიერი სიამეა მასზე დაკვირვება ამჟამად. ჭაბუკი ულამაზესი გარეგნობით და უფაქიზესი სულით დაუშრეტელი ინტერესის წყაროდ მოევლინა ქვეყანას. რა მნიშვნელობა აქვს, რით დასრულდება ყოველივე? ან რა დასასრულს უმზადებს თვით მას ავგული ბედისწერა? ის იმ პიესების თუ მისტერიის კეთილშობილ გმირს ჰგავს, რომელთა სიხარულიც ჩვენთვის შორეული და უცხოა, მაგრამ ვისი ნაღველიც სილამაზისადმი დაუძლეველ სწრაფვას აღვიძებს ჩვენს სულში და ვისი ჭრილობებიც წითელი ვარდის ბასრი ეკალივით შეგვსობია გულში.
სული და სხეული, სხეული და სული - რა ამოუცნობი იდუმალებაა! სულში იმალება ცხოველური ინსტიქტები, სხეულს კი გააჩნია წუთები, როდესაც ზეშთაგონებითაა აღსავსე. გრძნობები განიწმინდებიან და ნატიფნი ხდებიან, ხოლო გონება დროთა ვითარებაში დაქვეითების გზას ადგება. ვის შეუძლია იმის თქმა, როდის ყუჩდება და წყდება ხორციელი სურვილი, ან როდის ამეტყველდებიან სულიერი ზრახვანი. ოჰ, რა ზერელეა სახელგანთქმულ ფსიქოლოგთა თვითნებური მტკიცებანი ამ საკითხზე. რა ძნელია თქმა, ამ აურაცხელ მიმდინარეობათაგან რომელი აზრია უფრო ახლოს ჭეშმარიტებასთან. ნუთუ სხეულია თვით სულში განსახებული, როგორც ჯორდანო ბრუნო ფიქრობდა? სულის განშორება სხეულთან ისეთივე მიუწვდომელი საიდუმლოა, როგორც სულისა და ხორცის მთლიანობა.
ლორდ ჰენრი ახლა უკვე დაჟინებით ჩაჰკვირვებოდა იმ საკითხს, შეძლებს თუ არა კაცობრიობა ოდესმე, ფსიქოლოგია ისეთ ზუსტ მეცნიერებად აქციოს, რომ ადამიანის შინაგანი სულიერი ცხოვრების ყოველი ფარული უმარტივესი გულის წადილი და ზრახვანი გვამცნოს. ამჟამად ძალიან გვიჭირს საკუთარ თავში

გარკვევა, იშვიათია ისიც, რომ გავუგოთ სხვებს. ცდას არავითარი მორალური მნიშვნელობა არ გააჩნია, ადამიანები უბრალოდ ამ სახელწოდებით ნათლავენ თავიანთ შეცდომებს. მორალისტები, როგორც წესი, ყოველთვის ამჩნევდნენ ცდაში წინასწარ მაცნის როლს და თვლიდნენ მას, როგორც გარკვეული ზნეობრივი ძალის ზემოქმედებას ხასიათის ჩამოყალიბებაში. ქება-დიდებას ასხამდნენ ცდას, როგორც გეზის მაჩვენებელ საშუალებას, რომელიც ხსნიდა, თუ რა გზას უნდა დადგომოდა კაცობრიობა ან რისთვის უნდა აგვერიდებინა თავი. მაგრამ გამოცდილებას მამოძრავებელი ძალები არ გააჩნია. მასში იმდენივე უმოქმედობა იგრძნობა, როგორც ადამიანთა ცნობიერებაში. სინამდვილეში ყოველივე, რასაც ცდა ააშკარავებს, იმის ნიშანია, რომ ჩვენი მომავალი ისეთივე უნდა იყოს, როგორიც წარსული, და ცოდვები კი, რომელიც ოდესღაც ჟრუანტელის მომგვრელი ზიზღით ჩაგვიდენია, ამიერიდან ბევრჯერ განმეორდება კმაყოფილებითა და აღტაცებით.
ლორდ ჰენრიმ ნათლად შენიშნა, რომ მხოლოდ ექსპერიმენტული მეთოდი არის ერთადერთი რამ, რის საშუალებით ადამიანს ძალუძს ასე თუ ისე მოახდინოს ვნებათა მეცნიერული ანალიზი. დორიან გრეიც უცილოდ ასეთ ობიექტად იქცა მის ხელში და როგორც ფსიქოლოგიური შესწავლის საგანი, მკვლევარს ფრიად მდიდარ მასალას და სრულყოფილ დასკვნებს სთავაზობდა. მისი მგზნებარე, გონების შემშლელი სიყვარული სიბილ ვეინისადმი ეს ხომ ფრიად საინტერესო ფსიქოლოგიური მოვლენა იქნებოდა თავისთავად. რა თქმა უნდა, მთავარ როლს ამჟამად ცნობისმოყვარეობა თამაშობდა. დიახ, ცნობისმოყვარეობა და ახალ, განუცდელ განცდათა შეცნობის დაუშრეტელი სურვილი. მაგრამ ეს ხომ გრძნობათა გამოვლინების უბრალო მოვლენად არ ჩაითვლებოდა, ეს გახლდათ სულიერი განცდების ურთულესი ფორმა, რაც მასში ახალგაზრდული, წმინდა ესთეტიკური ინსტიქტებით ჩაისახა და წარმოსახვის წყალობით გარდაიქმნა. თვით ჭაბუკს კი ეს ყოველივე მეტად შორეულ, ამაღლებულ განცდად მოევლინა და უნდა ვიფიქროთ, ამავე მიზეზით ფრიად საშიშრადაც. სწორედ ის გრძნობები, რომელთა არსში გარკვევაც ჩვენ ასე გვიჭირს და საკუთარ თავს ხშირად ვიტყუებთ, ყველაზე მეტად ბატონობენ ჩვენზე. ყველაზე უძლური ის გრძნობებია, რომლის ბუნებას ჩვენ ადვილად ჩავწვდებით ხოლმე. ხშირად ისიც ხდება, რომ ადამიანი ფიქრობს, თითქოს ის ცდას სხვაზე აწარმოებს და ცდა კი მხოლოდ საკუთარ თავზე მომდინარეობს თურმე.
ლორდ ჰენრი ამ საკითხებზე ფიქრობდა, როდესაც კარეზე დააკაკუნეს. კამერდინერმა ამცნო, რომ სადილობის დრო იყო. ახალგაზრდა ლორდი წამოდგა და ქუჩას გახედა. ჩამავალი მზის სხივები მოპირდაპირე სახლის ზემო სარკმლის მინებს მოწითალო ოქროსფრად წაჰკიდებოდა. სარკმლის მინები გახურებული ლითონის თეფშებივით ლაპლაპებდა. ზეცა ჭკნობაშეპარულ ვარდს წააგავდა. ლორდ ჰენრი თავისი ახალი მეგობრის ცეცხლისფრად აელვარებულ მომავალ ცხოვრებაზე ფიქრობდა და მისი დასასრული უკარგავდა მოსვენებას.
შინ დაახლოებით პირველის ნახევარზე დაბრუნდა. შემოსასვლელში, მაგიდაზე დეპეშა შენიშნა. დორიან გრეი ატყობინებდა, სიბელ ვეინზე დავინიშნეო.

თავი V

- დედა, დედა, რა ბედნიერი ვარ! - ჩურჩულებდა გოგონა და სახეს ცხოვრებისაგან საკმაოდ მოღლილი ქალის კალთაში მალავდა. დედის სილამაზეს, ნათლად ჩანდა, კარგა ხანია უკვე ჭკნობა შეჰპარვოდა. ქალი მკვეთრი, თვალისმომჭრელი სინათლისკენ ზურგშებრუნებული, ერთადერთ სავარძელში იჯდა დიდი ხნის შეუკეთებელ, უკვე საკმაოდ უსუფთაო ელფერის მქონე მისაღებ ოთახში. - ოჰ, რა უსაზღვროდ ბედნიერი ვარ! - იმეორებდა სიბილი. - და შენც ბედნიერი უნდა იყო ჩემთან ერთად!

მისის ვეინს გააჟრჟოლა და გამხდარი, ბისმუთით გათეთრებული ხელები ქალიშვილს შემოაჭდო თავზე.

- ბედნიერი? - გამოეხმაურა დედა. - ბედნიერად მხოლოდ მაშინ ვთვლი ჩემს თავს, სიბილ, როდესაც სცენაზე გხედავ. მინდა ამქვეყნად არაფერზე იფიქრო, გარდა თეატრისა. მისტერ აიზექსმა დიდი სიკეთე გაგვიწია და ფული ჯერ კიდევ არ გადაგვიხდია.

ქალიშვილმა ახედა დედას და უკმაყოფილო გამომეტყველება გამოეხატა სახეზე.

- ფული, დედა? - წამოიძახა მან. - ფულს რა მნიშვნელობა აქვს? სიყვარული გაცილებით დიდია ყველაფერთან შედარებით. ფული კი...

- მისტერ აიზექსმა ორმოცდაათი გირვანქა წინასწარ გადაგვიხადა ვალების გასასტუმრებლად და ჯეიმსისათვის შესაფერისი სამგზავრო სამზადისის მოსაგვარებლად. სიბილ, ეს არ უნდა დაივიწყო. ორმოცდაათი გირვანქა საკმაოდ დიდი თანხაა. მისტერ აიზექსი მეტად ყურადღებიანია ჩვენ მიმართ.

- მაგრამ ჯენტლმენი არ არის, დედა! მუდამ ისე მესაუბრება რომ ზიზღს მგვრის, - წარმოთქვა გოგონამ, ფეხზე წამოდგა და სარკმელს მიუახლოვდა.

- არ ვიცი, რა უნდა გვექნა, ის რომ არ გამოგვჩენოდა, - ბუზღუნით ჩაილაპარაკა დედამ.

სიბილ ვეინმა თავი უკან გადასწია და გადაიკისკისა.

- ჩვენ ის მეტად აღარ დაგვჭირდება, დედა. ამიერიდან ჩვენ ცხოვრებას მომხიბვლელი უფლისწული წარუძღვება ალბათ.

სიბილ ვეინი გაჩუმდა. სისხლი ძალუმად ჩქეფდა მის ძარღვებში. ასულის სახეზე წამიერად ვარდისფერმა ჩრდილებმა გაიელვეს. სწრაფმა სუნთქვამ ყვავილის ფურცლებივით ჰაეროვანი ბაგე გაუპო. თრთოდნენ ბაგენი. სამხრეთული ცხელი ვნების ქარი თუ შეიჭრა მის სხეულში და ნარნარი კაბის ნაკეცებიც კი შეურხია.

- მიყვარს, - ჩაიჩურჩულა გოგონამ სრულიად ძალდაუტანებლად.

- სულელო ბავშვო! სულელო ბავშვო! - ისმოდა დედის თუთიყუშური საპასუხო წამოძახილი. იაფფასიანი თვალებით მოოჭვილი ბეჭდებით დამძიმებულ მრუდ თითთა მოძრაობა კი ამ სიტყვებს საოცარ უაზრო ელფერს მატებდა.

გოგონამ კვლავ გულიანად გადაიკისკისა. დატყვევებული ფრინველის სიხარული გაისმა მის ხმაში. ამ სიხარულმა აუკიაფა თვალნიც, რომელნიც მცირე ხანს მილულა, თითქოს ცდილობდა საკუთარი საიდუმლო დაემალა, ხოლო როდესაც კვლავ გაახილა, ოცნების ბურუსივით აღსავსე მოჩანდნენ ისინი!

ახლა კი სიბრძნე ამეტყველდა. სიფრიფანა ბაგენი გახსნა და მოძველებული

სავარძლიდან გოგონას შეესიტყვა: სიტყვაგადაკვრით ეკედრა გამოეჩინა კეთილგონიერება და სიფრთხილე. სენტენციებიც იმოწმა, მოსალოდნელ საშიშროებათა შესახებ შეთხზული წიგნიდან, რომლის ავტორი ჯანსაღი აზრის მქადაგებლის სახელს ატარებს. სიბილ ვეინი არ უსმენდა. თავისივე ნებით სიყვარულის ტყვედქმნილი, მარტოდმარტო არ იყო იმ წამებში. მისი უფლისწული, მომაჯადოებელი უფლისწული ჰყავდა გვერდით განუშორებლად. ქალწულმა უხმო მეხსიერებას, რომ ნათლად წარმოედგინა ჭაბუკი ოცნებაში. სული კი მის საძებრად წარგზავნა, რომელმაც მსწრაფლ მის გვერდით გააჩინა იგი. ჭაბუკის კოცნა დაღავდა მის ბაგეთ. ქუთუთოებს კვლავ ათბობდა მისი ვაჟური სუნთქვა. მერე სიბრძნემ იცვალა სახე და კვლავ ამეტყველდა. მოსთხოვა ასულს დამკვირვებლის თვალი და სინამდვილის ჩაწვდომის ძალა. ეს ახალგაზრდა ჭაბუკი მდიდარი უნდა იყოს, თუ ასეა, მაშინ ქორწინებაზე ფიქრია საჭირო. მაგრამ ამქვეყნიური ცნობიერების მოძალებული ტალღები ასულის ყურთან მიახლოებისთანავე იმსხვრეოდნენ. ვერაგობის ნახელავ ისართა შხუილი ისმოდა სულ ახლო. კვლავ იხილა, როგორ თრთოდნენ სიფრიფანა ბაგენი და გაიღიმა. უცებ გარდაუვალი სურვილი იგრძნო, თვითონაც ხმა ამოეღო მრავალმეტყველი მდუმარება აწამებდა.
- დედა, დედა, - წამოიძახა მან, - რატომ ვუყვარვარ მას ასე გატაცებით? ჩემთვის პირადად სრულიად ნათელია, რისთვის მიყვარს, ალბათ იმიტომ ვეთაყვანები, რომ თვით განსხვავებული სიყვარულია. მაგრამ ვერ გამიგია რა ნახა ჩემში ასეთი? მე ხომ მისი ღირსი არა ვარ სრულიად? და მაინც ვერ მივმხვდარვარ რატომ? ვერ გამომითქვამს... მასზე ამდენად დაბლა ვდგავარ და თავს დამცირებულად არა ვგრძნობ. ვამაყობ, საოცარი სიამაყის გრძნობამ შემიპყრო. დედა, ნეტავი შენც ასეთი გრძნობით გიყვარდა მამაჩემი, როგორც მე მიყვარს მომხიბვლელი უფლისწული?
ხნიერ ქალს მდარე ხარისხის პუდრით გათეთრებული სახე მთლიანად გაუფითრდა. გამშრალი ტუჩები კრუნჩხვისმაგვარმა ტკივილმა დაუჭიმა. სიბილ ვეინი მაშინვე მასთან გაჩნდა, კისერზე მკლავები შემოაჭდო და კოცნა დაუწყო.
- მაპატიე, დედა, ვიცი, მძიმე ტკივილს გაყენებს მამაჩემის გახსენება, მაგრამ ეს ხომ იმიტომ ხდება, რომ შენც თავდავიწყებით გიყვარდა ის. ნუ მიყურებ ასე ნაღვლიანად, მე ისეთივე ბედნიერი ვარ დღეს, როგორც შენ იყავი ოცი წლის წინათ. ოჰ! ნუ შემიშლი ხელს, სამუდამოდ ასეთი ბედნიერი ვიყო!
- ჩემო ბავშვო, ჯერ კიდევ იმდენად პატარა ხარ, რომ შენთვის სიყვარული ნაადრევია. გარდა ამისა, რა იცი იმ ახალგაზრდა ვაჟის შესახებ, ჯერ ხომ მისი სახელიც არ გსმენია. ეს ყოველივე მეტისმეტად სათაკილოა, და მერე რა დროს? როდესაც ჯეიმსიც ავსტრალიაში მიემგზავრება და ამოდენა საზრუნავი და საფიქრალი სხვა გამჩენია: უნდა გამოგიტყდე და გულწრფელად გითხრა, მეტი გულშემატკივრობა უნდა გამოგეჩინა. ნეტავ თუ მდიდარია მაინც, როგორც ვიმედოვნებდი ადრევე?
- ოჰ, დედა, დედა, გთხოვ ხელს ნუ შემიშლი ბედნიერებას ვეწიო.
მისის ვეინმა შეხედა შვილს და სწორედ ისეთი თეატრალური ჟესტით გაიწოდა და

შემოხვია ხელები, რომელიც მსახიობს ხშირად მეორე პიროვნებად გარდაქმნის ხოლმე. ამ დროს კარი გაიღო და ოთახში წაბლისფერ, აბურძგნულთმიანი ახალგაზრდა ჯმუხი ჭაბუკი შემოვიდა. ვაჟს საკმაოდ გრძელი ხელ-ფეხი და მოუქნელი მოძრაობა ჰქონდა. მასში იმ დიდებული აღნაგობის ნამცეცი ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნეოდა, რითაც მისი და გამოირჩეოდა. ადამიანი ძნელად თუ მიხვდებოდა და იწამებდა მათ ისეთ ახლო ნათესაურ დამოკიდებულებას.
მისის ვეინმა ვაჟიშვილს მიაპყრო თვალი და სიამოვნების ღიმილი უფრო მკვეთრად აესახა სახეზე. გონებით ჭაბუკი, ფაქიზ გემოვნებიანი მაყურებლის როლში წარმოიდგინა და თვით კი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ისა და თავისი ქალიშვილი ამ წამში ფრიად საინტერესო, დრამატიზმით სავსე სურათის შთაბეჭდილებას ახდენდნენ მასზე.
- შეგეძლო ეგ ღვთაებრივი ამბორი ჩემთვისაც გადაგენახა, სიბილ, - ხუმრობით ჩაიბუზღუნა ჭაბუკმა.
- მაგრამ შენ რომ ამბორი არ გხიბლავს, ჯიმ! - წამოიძახა გოგონამ. შენ ხომ საშიში ბებერი დათვი ხარ. - ამ სიტყვებით სიბილი მისკენ გაიქცა და მეხვია. ჯეიმს ვეინი მზრუნველი და ნაზი ალერსით დააკვირდა დას სახეზე.
- მინდა სადმე ერთად გავისეირნოთ, სიბილ, შესაძლოა აღარასოდეს მომიხდეს ამ ჩვენს ბედკრულობით ლონდონს დაბრუნება. თუმც, მართალი გითხრა, ამაზე სრულიად არ ვნაღვლობ.
- ჩემო შვილო, ნუ მომასმენინებ ასეთ საბედისწერო სიტყვებს, - თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა დედამ. ხელში მეტად უგემოვნო, თეატრალური კაბა აიღო და კემსვას შეუდგა. მისის ვეინი იმედგაცრუებული ჩანდა იმის გამო, რომ ჯეიმსმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია და არც მონაწილეობა მიიღო, მისი აზრით, ამ ფრიად ამაღელვებელ სცენიურ სურათში, რომელშიაც ვაჟმა დედა-შვილს შემოუსწრო, რადგან მისის ვეინის ფიქრით, ეს დრამატიზმის აღსავსე სურათი წარმტაც თეატრალურ სახეს მიიღებდა მაშინ.
- რატომ არ უნდა ვაღიარო გულწრფელად, დედა, როდესაც ნამდვილად ასეა?
- ოჰ, როგორ მტკენს გულს შენი სიტყვები, ჯეიმს, მწამს, ავსტრალიიდან სრულიად დამოუკიდებელი დამიბრუნდები. კარგად ვიცი, კოლონიებში კარგი საზოგადოება არ მოიძებნება. დიახ, მე რაღა თქმა უნდა, ვგულისხმობ რიგიან საზოგადოებას. ასე, რომ როდესაც საკმაო ქონებასა და თანხას შეიძენ, უკან უნდა დაბრუნდე და ლონდონში დაბინავდე.
- რიგიანი საზოგადოება! - ჩაიბუტბუტა ჭაბუკმა. - სიტყვის გაგონებაც კი არ მსურს ამაზე. მე მხოლოდ ფულის შოვნა მაინტერესებს, რომ შენ და სიბილი სცენიდან როგორმე დაგიხსნათ. მე მძულს სცენა მთელი ჩემი არსებით.
- ოჰ, ჯიმ! რა უსამართლოდ მსჯელობ, - თქვა გოგონამ სიცილით. - ჰო, მართლა, გადაწყვიტე თუ არა საღამოს სასეირნოდ წამომყვე? მე კი ვშიშობდი, მეგონა, ამხანაგების გამოსამშვიდობებლად წახვიდოდი. ვფიქრობდი, ტომ ჰარდის უნდა გამოთხოვებოდი აუცილებლად, ვინც ეს უშნო და საძაგელი ჩიბუხი გაჩუქა, და ნედ ლენგტონს, რომელიც მასხრად გიგდებს, ამ ჩიბუხს რომ აბოლებ. ოჰ, შენ ვერ

წარმოიდგენ, რა საამოა, რომ სწორედ ამ საღამოს ჩემთან ერთად გაატარებ. სად უნდა წავიდეთ? მოდი ჰაიდ-პარკი ავირჩიოთ.
- არა, იქ ვერ წამოგყვები, ჩემი ტანსაცმლით იქ გამოჩენა არ შეიძლება, მერიდება,
- უპასუხა ჭაბუკმა და შუბლი შეიკრა. - იქ ხომ მაღალი წრის, საუკეთესოდ ჩაცმული ადამიანები სეირნობენ მხოლოდ.
- ოჰ, ეს ხომ მტკნარი სისულელეა, ჯიმ, - ხმადაბლა წარმოთქვა გოგონამ და ძმას პალტოს დაჭმუჭნულ სახელოზე გასასწორებლად ხელი გადაუსვა.
ჯეიმსი მხოლოდ ერთ წამს შეყოყმანდა.
- კეთილი, - წარმოთქვა მან ბოლოს. - მხოლოდ მალე ჩაიცვი, ძალიან გთხოვ.
გოგონა კარისკენ ხტუნვით გაეშურა. კიბეზე მისი სიმღერა გაისმა. შემდეგ პაწაწინა ფეხების ტყაპუნიც გაიგონა ჯეიმსმა სადღაც ზევიდან.
ჯეიმსმა ოთახში სამჯერ მაინც გაიარ-გამოიარა. შემდეგ სავარძელში უმოძრაოდ მჯდარ დედას მიუბრუნდა.
- დედა, ყველაფერი მზად არის?
- ყველაფერი მზად არის, ჯეიმს, - უპასუხა ქალმა ისე, რომ სამუშაოდან თავი არ აუღია. აი, უკვე უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში მისის ვეინი საკმაოდ უხეშსა და მკაცრ ვაჟიშვილთან თავს თავისუფლად ვერ გრძნობდა, როდესაც მასთან მარტოდმარტო რჩებოდა. მისის ვეინის ყოველმხრივ ჩარჩოებში მოქცეული და გულჩათხრობილი ბუნება ენითაღუწერელ წამებას განიცდიდა, როდესაც ვაჟი თვალს თვალში გაუყრიდა ხოლმე, ქალი გამუდმებით იმას ფიქრობდა, ეჭვობდა თუ არა რამეს შვილი მის წარსულ ცხოვრებაზე. ჯეიმსმა იმ დროს დუმილი არჩია. დაკვირვებისათვის არ ეცალა თითქოს, რაც დედას აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა. ბოლოს მისის ვეინი ჩივილს მოჰყვა. ქალები ხომ თავდაცვას თავდასხმით იწყებენ, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ეს თავდასხმა ხშირად უცაბედი და წარმოუდგენელი გარემოცვით მთავრდება.
- იმედია კმაყოფილი დარჩები მეზღვაურის ცხოვრებით, ჯეიმს, - უთხრა მისის ვეინმა. - კარგად დაიხსომე, რომ ეს შენი საკუთარი არჩევანია, შვილო. თავისუფლად შეგეძლო დამცველთა კანტორაში მოწყობილიყავი. დამცველთა წოდება პრინციპში მეტად საპატიო თანამდებობაა. მათ საუკეთესო ოჯახებში სადილად იწვევენ.
- მძულს კანტორა და მისი მოხელენი! - წამოიძახა ვაჟმა. - მაგრამ ერთში კი მართალი ხარ, დედა. ჩემი საკუთარი ცხოვრების გზა მე თვით ავირჩიე. ამჟამად კი ერთადერთი სათხოვარი ის დამრჩენია, სიბილს თვალისჩინივით გაუფრთხილდი, ეცადე ცუდი არაფერი შეემთხვეს. ამიერიდან შენ მარტოდმარტომ უნდა მოუარო და ყოველი განსაცდელისგან დაიხსნა იგი.
- ჯეიმს, რაღაც საოცრად მსჯელობ, განა მზრუნველობას და მეთვალყურეობას ვაკლებ?
- შევიტყვე, თურმე ვიღაც ჯენტლმენი ყოველ ღამით დადის თეატრში, წარმოდგენის დასასრულს კულისებში მასთან შედის და დიდხანს ესაუბრება. მართალია თუ არა ეს ყოველივე? რას იტყვი ამაზე, დედა?
- ისეთ საკითხზე მსჯელობ, რაც სრულიად არ გესმის, ჯეიმს. ჩვენი პროფესია ხომ

ასეთია, რომ მაყურებლისგან დიდ პატივისცემას და ყურადღებას ვართ მიჩვეული. ერთ დროს მე თვითონაც უამრავ თაიგულს მიგზავნიდნენ. მაშინ ხალხს გაგებისა და შეფასების ნამდვილი უნარი გააჩნდა. რაც შეეხება სიბილს, არ ვიცი მისი გრძნობა რამდენად სერიოზულია, მაგრამ ის მშვენიერი ახალგაზრდა ჭაბუკი კი, ეჭვი არ არის, ნამდვილი ჯენტლმენია. მეტად ზრდილი და თავდაჭერილია ჩემთან, ეტყობა, ძალიან მდიდარიც უნდა იყოს. სიბილს უმშვენიერეს ყვავილებს უგზავნის.
- მაგრამ ჯერ მისი სახელიც არ იცი, არა, დედა? - შეეკითხა ახალგაზრდა ვაჟი მკაცრად.
- რა თქმა უნდა, არა, - უპასუხა დედამ მეტად მშვიდი გამომეტყველებით.
- მას ჯერ კიდევ არ გამოუმჟღავნებია გვარი და სახელი ჩვენთვის, ეს ხომ მეტისმეტად რომანტიკულია. ალბათ წმინდა არისტოკრატიული შთამომავლობისაა.
ჯეიმს ვეინმა ტუჩზე იკბინა.
- სიბილს გაუფრთხილდი, დედა, გაუფრთხილდი! - თითქმის ყვირილით წამოიძახა ვაჟმა.
- შვილო ჩემო, მეტისმეტად გულნატკენს მტოვებ, იცოდე! სიბილს მე ხომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ მუდამ, მაგრამ თუ ეს ჯენტლმენი მდიდარი აღმოჩნდა, რატომ არ უნდა დაიწეროს ჯვარი მასზე? მის გარეგნობაში და ქცევაში ნათლად ჩანს, რომ მაღალი წრის არისტოკრატიულ ოჯახიდანაა. სიბილისათვის ეს უბრწყინვალესი ნაბიჯი იქნება ცხოვრებაში. ეს ხომ შეუდარებელი წყვილი იქნება ამქვეყნად. ჭაბუკი მართლაც რომ თვალწარმტაცი გარეგნობისაა. მისი უჩვეულო სილამაზე ყველას თვალში ხვდება.
ახალგაზრდა ვაჟმა რაღაც თავისთვის ჩაიბუტბუტა და სარკმლის მინას რამდენჯერმე დაჰკრა მრუდე თითები. ის იყო რაღაცის თქმას აპირებდა, რომ კარი გაიღო და სიბილმა შემოირბინა.
- ოჰ, რა სერიოზული გამომეტყველება გაქვთ ორივეს! - წამოიძახა მან, - მაინც რა მოხდა?
- სრულიად არაფერი, - უპასუხა ვაჟმა. - ვფიქრობ, ადამიანი ხანდახან მაინც უნდა იყოს სერიოზული. ნახვამდის, დედა, ხუთი საათისთვის სადილად დავბრუნდები. გარდა ჩემი პერანგებისა ყველაფერი ჩალაგებულია, ასე რომ, ნუღარაფერზე შეწუხდები.
- ნახვამდის, ჯეიმს, - უპასუხა დედამ მედიდურად, მაგრამ დაძაბული გამომეტყველებით ძლივსღა დაუკრა შვილს თავი. ქალი საოცრად აეღელვებინა ტონს, რითაც შვილმა საუბარი შეჰბედა. ამასთან ვაჟის გამოხედვაში ისეთი რამეც შენიშნა, რამაც მეტისმეტად შეაძრწუნა.
- მაკოცე, დედა, - სთხოვა გოგონამ და ყვავილის მსგავსი ბაგე ჩამომჭკნარ ლოყას შეახო თუ არა, ყინულიც მაშინვე გალხვა.
- ჩემო ბავშვო, ჩემო ბავშვო! - წამოიძახა მისის ვეინმა და გონებაში წარმოდგენილი ქანდარის ძიებაში თვალი ჭერს მიაპყრო.
- წავიდეთ, სიბილ, - მოუთმენლად წამოიძახა ჯეიმსმა. ვაჟს საოცრად სძულდა

დედის ფარისევლური მანჭიობის ყურება.
სიბილი და ჯეიმსი ქუჩაში გავიდნენ, სადაც მოციმციმე მზის სხივები ქარს შებმოდნენ და უხალისო ისტონ-როუდის მიმართულებით გაეშურნენ. გამვლელები განცვიფრებით შეჰყურებდნენ პირქუში გამომეტყველების ახალგაზრდა ვაჟს, ვისაც მდარე ხარისხის ცუდად შეკერილი კოსტიუმი ულაზათოდ ადგა ტანზე. ჭაბუკი მოუქნელი ნაბიჯით გვერდით მიჰყვებოდა საოცრად მშვენიერ, ტანკენარ ქალიშვილს და ულამაზესი ვარდით ხელში, საბრალო, ტეტია მებაღეს წააგავდა.
ჯეიმსი, დროდადრო, როგორც კი რომელიმე უცნობი ცნობისმოყვარის მზერას თვალს მოჰკრავდა, შუბლს იკრავდა და იღუშებოდა. ვაჟს საოცრად სძულდა, როდესაც ვინმე თვალმოუშორებლად აშტერდებოდა. ეს გრძნობა გენიოსებისათვის მხოლოდ სიცოცხლის დასასრულსაა კარგად ცნობილი, სამაგიეროდ საშუალო დონის ადამიანებს არასოდეს ტოვებს. სიბილი სრულიად ვერ ამჩნევდა, რა ძალით მოქმედებდა უცხო ადამიანებზე ან ისინი ვით ეტრფოდნენ მას წამიერად. მის სიცილში ზარის წკრიალივით გაისმოდა თვით სიყვარულის მთრთოლვარე საგალობელი. გოგონა ამ დროს მომაჯადოებელ უფლისწულზე ფიქრობდა და ფიქრი რომ უფრო კარგად შეძლებოდა, მის სახელს სრულიად არ ახსენებდა. ის დაუსრულებლად ტიტინებდა იმ გემზე, რომლითაც ჯეიმსი მიემგზავრებოდა; ოქროზე, რომელსაც იქ აუცილებლად იპოვიდა, და რომელიღაც მემამულის მემკვიდრე უმშვენიერეს ასულზე, ვისაც ჯეიმსი ბოროტი წითელპერანგიანი მეკობრეებისაგან გადაარჩენდა. სიბილს ერთი წამით ფიქრადაც არ გაუვლია, რომ ჯეიმსი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მეზღვაურად, დატვირთვა-გადმოტვირთვის ზედამხედველად ან სხვა რაიმე ასეთი თანამდებობის აღმასრულებელ პირად შეიძლება დარჩენილიყო გემზე. არა, მეზღვაურის ცხოვრება მეტისმეტად მძიმე და აუტანელია. აბა, წარმოიდგინოს ადამიანმა დატყვევებული ფრინველივით რომელიმე საზიზღარ გემზე მუდმივად ყოფნა, რომელსაც ოკეანის შუაგულში ცის კიდემდე აწვდილი კუზიანი ტალღები ამაზრზენი ღრიალით ეხეთქებიან, ქარი კი ბოროტი ზუზუნით გლეჯს ანძებს, იალქნებს ხევს და შორს ჰაერში მოფრიალე შემაძრწუნებელი ხმით მოქვითინე ნაფლეთებად აქცევს. რაღა თქმა უნდა, გემი მიადგება თუ არა მელბურნის ნავსადგურს, ჯეიმსი ზრდილობიანად გამოემშვიდობება კაპიტანს. იქაურობას დატოვებს და მაშინვე ოქროს საბადოებისაკენ გაეშურება. ერთი კვირაც არ იქნება გასული, რომ ის ძალიან დიდ, წმინდა, თვითნაბად ოქროს ნატეხს, რომელიც კი ოდესმე ვინმეს აღმოუჩენია, ნაპირზე ურიკით, ექვსი ცხენოსანი პოლიციელის თანხლებით მოიტანს. გზად დიდი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ შეიარაღებულ მძარცველთა ბანდის სამ თავდასხმას მოიგერიებს... ან ოჰ, სრულებითაც არ არის ოქროს საბადოებზე წასვლა. ეს ხომ მეტისმეტად შემაძრწუნებელი ადგილებია. ადამიანები იქ ოქროს გულისთვის ერთმანეთს წამლავენ, ლოთობენ ბარებში, სასიკვდილო ჭრილობებს აყენებენ ურთიერთს და ბილწი სიტყვებით უსირცხვილოდ ილანძღებიან. ჯეიმსი ალბათ საუცხოო ფერმერი დადგება. აურაცხელი ცხვრის ფარის მფლობელი. და აი, ერთ საღამოს,

როდესაც ცხენით დაბრუნდება შინ, გზაში შეამჩნევს, რომ ყაჩაღს ერთი-ერთი იქაური მემამულის მემკვიდრე ქალიშვილი გაუტაცებია და შავი ცხენით ტყისკენ მიაქროლებს, ჯეიმსი დაედევნება მას და ასულს განსაცდელისაგან იხსნის. ბოლოს, რა თქმა უნდა, ქალიშვილს შეუყვარდება ვაჟი. ვაჟსაც თავდავიწყებით უყვარს ქალი. ქორწინების შემდეგ უთუოდ ლონდონში ბრუნდებიან და მეტად დიდ სახლში ცხოვრობენ. დიახ, ჯეიმსს ბევრი საოცნებო და მომხიბვლელი ამბავი ელოდა წინ. მაგრამ საჭიროა კარგად მოიქცეს, ხასიათის სიმტკიცე შეინარჩუნოს და ფულიც სულელურად არ გაფლანგოს. აი, ის მხოლოდ ერთი წლით უფროსია ჯიმზე, მაგრამ ცხოვრება მასზე გაცილებით უკვეთ ესმის...
- იცოდე, ჯეიმს, წერილები ძალიან ხშირად უნდა მომწერო! ძილის წინ ყოველ ღამით ილოცე! ღმერთი, ხომ იცი, მოწყალეა, მზრუნველობას არ მოგაკლებს. მეც ვილოცებ შენთვის და რამდენიმე წლის შემდეგ ძალიან მდიდარი და ბედნიერი დაბრუნდები უკან.
ჯეიმსი დას შუბლშეკრული უსმენდა და დუმდა. უმძიმდა ჭაბუკს სახლის დატოვება, მაგრამ განა მარტო ეს იყო მოწყენისა და პირქუში გამომეტყველების მიზეზი? მიუხედავად მისი ბავშვური გამომეტყველებისა, რაღაც საოცრად მძიმე ნაღველი დასწოლოდა მის მთელ არსებას, გული უგრძნობდა, სიბილს უჩვეულო საფრთხე ელოდა. ეს ახალგაზრდა მაღალი წრის დენდი, რომელიც ასე უცნაურად ეტრფის მის დას, კარგს არ უქადის მათ. ის ჯენტლმენია და სწორედ ამიტომ სძულს ჯეიმსს, სძულს უზომოდ, ანგარიშმიუცემლად, მაღალი კლასობრივი ინსტიქტით, თუმც მისთვის სრულიად მიუწვდომელი და გაუგებარია, მაგრამ მთელი მისი არსების შემბოჭველი ძალით. ჯეიმსი კარგად გრძნობს აგრეთვე დედის თავქარიანობას და დიდების მოყვარულ ბუნებას. და აი, სწორედ ამაში ხედავს გარდაუვალ საფრთხეს, რომელიც სიბილს და მის მომავალ ბედნიერებას ემუქრება. ბავშვებს მშობლები ძალიან უყვართ, მაგრამ როდესაც წამოიზრდებიან, მათ საქციელის განსჯას დაუწყებენ ხოლმე. ისიც ხდება, რომ ხანდახან ყველაფერს აპატიებენ.
დედა? ჯეიმსს დიდი ხანია აწვალებს ერთი კითხვა, რომელიც უნდა მისცეს დედას. აი, უკვე რამდენიმე თვეა ამ შემთხვევით განაგონ სიტყვებს თავს ვეღარ აღწევს, რომელთაც თეატრში მოჰკრა ყური. დიახ, ერთ საღამოს ჩურჩულით წარმოთქმული შეურაცხმყოფელი სიტყვები ჩაესმა, როდესაც სცენის შესასვლელში იცდიდა, ჯეიმსის სული საშინელი ფიქრებით შეაშფოთეს. ყველაფერი ისე აგონდება ახლა, თითქოს ვინმეს სანადირო შოლტი გაეწნას სახეში. წარბები ისე მოეღუშა, რომ ღრმა სოლივით ნაოჭი გაჩნდა მათ შუა. სახე მტკივნეულად დაემანჭა და ქვედა ტუჩზე გამწარებით იკბინა.
- სრულიად არ მისმენ, ჯიმ! - წამოიძახა გოგონამ, - მე კი ისეთ შესანიშნავ გეგმებს ვაწყობ შენი მომავლისათვის. ერთი სიტყვა მაინც მითხარი.
- მაინც რა გითხრა?
- ოჰ, ის მაინც მითხარი, რომ კარგი ბიჭი იქნები და არ დაგვივიწყებ, - უპასუხა გოგონამ და გაუღიმა.
ვაჟმა მხრები აიჩეჩა

- სიბილ, მგონია, შენ უფრო მალე დამივიწყებ, ვიდრე მე შენ.
სიბილი გაწითლდა.
- რას გულისხმობ, ჯიმ? - იკითხა მან ბოლოს.
- შევიტყვე, ვიღაც ახალგაზრდა ჯენტლმენი გაგიცნია და მასთან მეგობრობ. ვინ არის? რატომ არაფერი მითხარი მის შესახებ აქამდე? მასთან ნაცნობობა, ვფიქრობ, კარგს არას გიქადის.
- დაწყნარდი, ჯიმ, - წამოიძახა გოგონამ, - ცუდს ნუ მეტყვი მასზე. მე იგი გატაცებით მიყვარს.
- განა ასეთი სიყვარული დასაშვებია? შენ ხომ მისი სახელიც არ იცი, - ვინ არის მაინც? მე ხომ სრული უფლება მაქვს ვიცოდე.
- მე მას მომხიბვლელი უფლისწული შევერქვი. არ მოგწონს ეს სახელი? ოჰ, შე სულელო ბიჭო! დაიხსომე და ნურასოდეს დაივიწყებ! ერთხელ რომ მაინც მოგეკრა თვალი, მიხვდებოდი, რომ ის ყველაზე კარგია ამქვეყნად. როდესაც ავსტრალიიდან დაბრუნდები, მაშინვე გაგაცნობ. ვიცი, მოგეწონება. ყველას მოსწონს. მე კი, მე... მიყვარს, ოჰ, რა საწყენია, რომ ამ საღამოს თეატრში მოსვლა არ შეგიძლია. ის უეჭველად იქ იქნება. მე ჯულიეტას ვასრულებ ამაღამ. ოჰ, როგორ ვითამაშებ! წარმოიდგინე, ჯიმ, იყო შეყვარებული და ჯულიეტას თამაშობდე, ამავე დროს იცოდე, რომ ისიც, ვინც სული ესოდენ შეგიშფოთა, მაყურებელთა შორისაა! ითამაშო მხოლოდ მისი სიამოვნებისათვის! ვფიქრობ, მაყურებელს შევაძრწუნებ, დიახ, ნამდვილად შევაძრწუნებ, ან აღტაცებისგან თავგზას დავუბნევ. ხო იცი, სიყვარული როგორ ამაღლებს ადამიანს. ასე წარმოიდგინე, საკუთარ თავზე მაღლაც კი აყენებს. ის საბრალო ურჩხული, მისტერ აიზექსი ბარში კვლავ ყვირილ-ყვირილით შემაქებს თავის უსაქმურებთან, იტყვის, გენიოსიაო. საბრალომ ეს აზრი დოგმასავით ირწმუნა, და ამ საღამოს კი გამომაცხადებს, რომ მან აღმომაჩინა, ვიცი, ნამდვილად ვიცი, რომ ასე იქნება. მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ მან, მომაჯადოებელმა უფლისწულმა შთამაგონა. ჩემმა საოცნებო სიყვარულმა და თვით სილამაზის ღმერთმა. მაგრამ, წარმოიდგინე, რა საბრალო ვარ მის გვერდით! საბრალო? რა არის მერე? როდესაც ანდაზა ამბობს: „თუ სიღარიბე კარის ჭუჭრუტანიდან შემოიპარება, სიყვარული ფრთხიალით სარკმლიდან გაფრინდებაო“. ჩვენი ანდაზები საჭიროა გადავაკეთოთ. ისინი ალბათ ზამთარში შეუქმნიათ. ახლა კი ზაფხულია. არა, ჩემთვის გაზაფხულია ნამდვილი. ლურჯი ცის ქვეშეთში სრულიად ახალი ყვავილობაა სამარადჟამოდ დაუვიწყარი...
- მაღალი წრის წარმომადგენელია? - შუბლშეკვრით იკითხა ჯეიმსმა.
- უფლისწული! - წამოიძახა სიბილმა გულის სიღრმიდან აღმომსკდარი მჟღერი ხმით.
- ალბათ შენი დამონება აქვს განზრახული?
- მე კი თავისუფლებაზე ფიქრი მათრთოლებს.
- მინდა თავი როგორმე აარიდო მას, სიბილ!
- ვინც მას იხილავს, აუცილებლად გააღმერთებს. ვინც გაიცნობს კი, მიენდობა, მეც ასე დამემართა, ნუ გამკიცხავ, ჯეიმს!

- სიბილ, შენ მასზე ფიქრს შეუშლიხარ!
სიბილმა გადაიკისკისა და ძმას მკლავზე ხელი მოჰკიდა.
- ჯიმ, ჩემო ძვირფასო, ისე მსჯელობ, თითქოს ასი წლის მოხუცი იყო. ალბათ ოდესმე შენც გამოსცდი სიყვარულს და მხოლოდ მაშინ ჩასწვდები ამ გრძნობის სიღრმეს. შუბლს ნუ იკრავ, უნდა გიხაროდეს, რომ მიდიხარ და ასე ბედნიერს მტოვებ, რაც ჩემს სიცოცხლეში პირველად მეღირსა. მძიმე იყო ჩვენი ცხოვრება, საშინლად მძიმე და აუტანელი, მაგრამ ახლა ყოველივე შეიცვლება. შენ ახალი სამყარო გიწვევს. აი, ორი სკამი ცარიელია, მოდი, ჩამოვსხდეთ და ვუყუროთ ლამაზად ჩაცმულ გამვლელებს.
დამსვენებელთა ბრბოში ისინიც დასხდნენ და გამვლელთ უთვალთვალებდნენ კვლებში, გზის გასწვრივ, ალისფერი ტიტა ცეცხლის ენებივით თრთოდა. ტანკენარი, ფლორენციული ზამბახის თეთრი მტვერი ირხეოდა და მაღლა-მაღლა მიიწევდა მრავალგვარი სურნელებით შეზავებულ ჰაერში. ქოლგის მაგვარი ნათელი ფერის ყვავილები დიდი ფრთახატულა პეპლებივით ფარფატებდნენ და კრძალვით თავს დაბლა ხრიდნენ.
სიბილმა ძმა აიძულა გულახდილად ესაუბრა მასთან. მათი საუბარი უმთავრესად ვაჟის მომავალს, მის გეგმებსა და იმედებს ეხებოდა. ჭაბუკი ნელა, ძალდატანებით ლაპარაკობდა, ისინი სიტყვებს ისე ცვლიდნენ, როგორც სათამაშო ქვებს ცვლიან ხოლმე მოთამაშენი დაფაზე. სიბილს ის აწამებდა, რომ არ შეეძლო ძმისთვის გადაედო თავისი სიხარული. ერთადერთი გამოხმაურება, რომელსაც დიდი გაჭირვებით მიაღწია, ის იყო, რომ მქრქალი ღიმილი შენიშნა ჭაბუკის კუშტად შეკრულ ბაგეზე. რამდენიმე ხნის შემდეგ გოგონაც დადუმდა. უცებ ღია ეტლში ოქროსფერ თმას და მოცინარ ბაგეთ შეასწრო თვალი. დორიან გრეიმ ორ ლედისთან ერთად ჩაიარა.
სიბილი უმალ ფეხზე წამოიჭრა.
- ის არის, ის! - წამოიძახა მან.
- ვინ ის? - იკითხა ჯეიმს ვეინმა.
- მომაჯადოებელი უფლისწული, - უპასუხა გოგონამ და ეტლ „ვიქტორიას“ თვალს არ აშორებდა.
ჯეიმსიც წამოხტა, ტლანქად ჩაავლო ხელი დას მკლავში და წამოიძახა:
- მიჩვენე, რომელია? ახლავე მიჩვენე, მე ის აუცილებლად უნდა ვნახო!
მაგრამ ამ დროს მთავარ ბერვიკის ოთხცხენიანი ეტლი ჩადგა მათ შორის, როდესაც ჩაიარა და გზა დაცარიელდა, დორიანის ეტლი თვალს მოეფარა.
- წავიდა! - ნაღვლიანად ჩაილაპარაკა გოგონამ, - მინდოდა დაგენახა!
- მეც ძალიან მინდოდა. თუ ოდესმე რამე დაგიშავა, ზეციურ ძალებს ვფიცავ, ჩემი ხელით გამოვასალმებ წუთისოფელს!
შიშით შეძრწუნებული თვალებით გოგონა ძმას მიაჩერდა. ვაჟმა ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი სიტყვები. ეს სიტყვები ჰაერს ხანჯალივით სჭრიდა. ხალხმა ჯეიმსს განცვიფრებით დაუწყო ყურება. ვიღაც ახლო მდგომმა ლედიმ ჩაიხითხითა.
- წავიდეთ აქედან, ჯიმ, წავიდეთ, - ჩურჩულით ამბობდა გოგონა. ჯეიმსი თავისდა

უნებურად მიჰყვებოდა უკან, როდესაც სიბილი ბრბოს მიარღვევდა, მაგრამ საკუთარმა სიტყვებმა დიდი სიხარული აგრძნობინეს.
აქილევსის ქანდაკებას მიუახლოვდნენ, გოგონა შემოტრიალდა. მის თვალებში სიბრალულს ამოიკითხავდით, ხოლო ბაგეზე ღიმილი დასთამაშებდა მაინც. ძმას თავი დაუქნია და შეესიტყვა:
- ოჰ, რა სულელი ხარ, ჯიმ, ნამდვილი სულელი. ცუდი ხასიათის ბიჭი ხარ, მოუთმენელი. აი, თურმე როგორი ყოფილხარ! როგორ წამოგცდა ასეთი საშინელება? ალბათ არც კი გესმის, რას ამბობ. მე მგონია, უბრალოდ ეჭვიანობ, და ამიტომ ასეთი უსამართლო ხარ მის მიმართ. ოჰ, როგორ მინდა მალე იგემო ეს გრძნობა. სიყვარული ადამიანს აკეთილშობილებს. შენ კი რა ბოროტი აზრები გიტრიალებს თავში!
- უკვე თექვსმეტი წლის ვარ, - უპასუხა ჭაბუკმა. - ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვამბობ. ვფიქრობ, დედა ვერც დაგიცავს და ვერც მოგივლის. ქალს ძალა არ შესწევს განსაცდელისაგან დაიხსნას ვინმე. ავსტრალიაში გამგზავრება უკვე აღარ მინდა. ჯობდა ყველაფერი მიმეტოვებინა, რა თქმა უნდა, ასეც მოვიქცეოდი, კონტრაქტზე ხელი რომ არ მომეწერა.
- ოჰ, ჯიმ, ასე სერიოზულად ნუ მსჯელობ ამ საკითხზე. იმ სულელური მელოდრამის გმირს მაგონებ, რომელშიც დედას უყვარდა თამაში. სრულებითაც არ მინდა უსიამოვნება ჩამოვარდეს ჩვენ შორის. მე მხოლოდ დავინახე, მეტი ხომ არაფერი მომხდარა და იცი, მისი დანახვა რა დიდი ბედნიერებაა? ვიცი, ჩვენ არ ვიჩხუბებთ. მჯერა, შენ თითსაც კი არ დააკარებ, მე ვინც მიყვარს.
- მაგრამ გახსოვდეს, სიბილ, ეს მხოლოდ მანამდე, სანამ შენ გეყვარება, - გაისმა პირქუშად ნათქვამი პასუხი.
- სამუდამოდ მეყვარება ამიერიდან! - წამოიძახა გოგონამ.
- იმას?
- რა თქმა უნდა, გწამდეს, იმასაც სამუდამოდ ვეყვარები.
- სჯობს ასე იყოს, თორემ!
სიბილ _____ვეინმა უკან დაიხია. მერე გადაიკისკისა და ძმას ხელი მკლავზე დაადო.
ჯეიმსი ხომ მის თვალში ჯერ ისევ პატარა ბიჭი იყო.
მარმარილოს თაღთან ომნიბუსში ჩასხდნენ, რომელმაც ისინი საკმაოდ მოძველებულ სახლთან მიიყვანა ოტონ როუდზე. უკვე ექვსი იყო დაწყებული და გოგონას სცენაზე მისვლამდე ორი-სამი საათით წამოწოლა და მოსვენება ესაჭიროებოდა. ჯიმმა დაიჟინა, რომ სიბილი აუცილებლად დაწოლილიყო და უთხრა, სანამ დედა შემოვა, შენს ოთახშივე გამომემშვიდობეო. დედა ალბათ სცენებს გამართავს და მაგისი ატანის თავი არა მაქვსო.
ისინი ერთმანეთს სიბილის ოთახში დაშორდნენ. ჭაბუკს სულში ეჭვიანობამ დაივანა. ენით აღუწერელ სიძულვილს გრძნობდა უცნობის მიმართ, რომელიც ისე ეჩვენებოდა, თითქოს მათ შუა ჩამდგარიყო. მაგრამ, როდესაც გამომშვიდობებისას სიბილმა ხელები კისერზე მოხვია, თითები ჭაბუკის თმაში შეაცურა და მიუალერსა, ჯიმი მოლბა და თითქმის თაყვანისცემით ეამბორა დას.

ბოლოს კი კიბეზე თავი ვეღარ შეიმაგრა და თვალები მდუღარე ცრემლით აევსო. დედა დაბლა უცდიდა. ჯეიმსი ოთახში შევიდა თუ არა, მისის ვეინმა დაგვიანების გამო საყვედურებით აავსო. ვაჟმა დედას პასუხი არ შეჰკადრა, ღარიბულ სუფრას ჩუმად მიუჯდა და სადილს შეექცა. მაგიდის გარშემო ბუზები ირეოდნენ, გულის გამაწვრილებლად ზუზუნებდნენ და დალაქავებულ სუფრაზე დაცოცავდნენ. ომნიბუსებისა და ეტლების რახრახში ჯეიმსს ესმოდა რაღაც ერთფეროვანი ხმა, რომელიც გამგზავრებამდე დარჩენილ ყოველ წუთს ხარბად ნთქავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, მან თეფში გასწია, თავი ხელებში ჩარგო და დაჟინებით მხოლოდ ერთს ფიქრობდა. უკვე უფლება ჰქონდა საკუთარი ოჯახის საიდუმლო სცოდნოდა. თუ სიმართლე იყო, რასაც ეჭვობდა, დედას ადრევე უნდა ეთქვა ყოველივე. შიშით გაქვავებული დედა ჭაბუკს თვალს არ აშორებდა, დაუფიქრებლად ისროდა სიტყვებს და ხელში დაფლეთილ მაქმანის ცხვირსახოცს ჭმუჭნიდა. საათმა ექვსჯერ დარეკა. ვაჟი წამოდგა და კარისკენ გაუყვა. დედის თვალებში ვაჟმა შეწყალების გულწრფელი თხოვნა ამოიკითხა. ამან კი ნამდვილად ცეცხლზე წყალი გადაასხა. ჭაბუკი აღშფოთდა.
- დედა, ერთი შეკითხვა უნდა მოგცე, - ჩაილაპარაკა ჩუმად.
დედა თვალებს ოთახში აქეთ-იქით უაზროდ აცეცებდა და დუმდა.
- სჯობია მართალი მითხრა. მე უკვე უფლება მაქვს ყოველივე ვიცოდე. იყო თუ არა მამაჩემი ჯვარდაწერილი შენზე?
მისის ვეინმა ღრმად ამოიოხრა, მაგრამ ეტყობოდა, სიმძიმე მაინც საკმაოდ შეუმსუბუქდა. საშინელი წამები დადგა. წამები, რომელთაც დღითა და ღამით კვირეებისა და თვეების განმავლობაში შემაძრწუნებელი შიშით ელოდა, ბოლოს და ბოლოს მაინც დადგა, მაგრამ შიშიც უცებ გაქრა სადღაც. ამ ამბავმა თითქოს გულიც ერთგვარად ატკინა. შვილის შეკითხვა ისე ჯიქურად გაისმა და ისეთი მოურიდებელი იყო, მხოლოდ პირდაპირ პასუხს მოითხოვდა. გადამწყვეტმა წუთმა არ დაიგვიანა, არავითარი წინასწარი სამზადისი არ დასჭირვებიათ. სწორედ ეს იყო აუტანელიც, რომ ეს ყოვლად უვარგის რეპეტიციას წააგავდა.
- არა, - უპასუხა დედამ და ახლა მხოლოდ ის ანცვიფრებდა, რომ ცხოვრება ასე უბრალოდ და მკაცრად ექცეოდა ადამიანებს.
- მაშ, მამაჩემი დიდი არამზადა ბრძანებულა! - წამოიძახა ჭაბუკმა, და ხელები დამუჭა.
დედამ თავი გააქნია.
- არა, ვიცოდი, რომ ცოლიანი იყო, მაგრამ ძალიან გვივყარდა ერთმანეთი. სიკვდილს რომ ეცლია, შესანიშნავ პირობებს შეგვიქმნიდა. ცუდს ნურაფერს მეტყვი მასზე, ჯიმ, ის მამა იყო შენი. ამავე დროს შემიძლია გითხრა, მეტად წესიერი ადამიანი და მაღალი არისტოკრატიული გვარის შთამომავალი.
ჯეიმსის ბაგეს მაინც დასცდა ლანძღვა.
- ჩემს თავზე არ ვფიქრობ, - წამოიძახა ჭაბუკმა, - მაგრამ სიბილსაც იგივე ბედი არ ეწიოს, უფრთხილდი, დედა. ეს ახალგაზრდა ვაჟიც ხომ ჯენტლმენია, ჩემს დას რომ ეტრფის, და მაღალი არისტოკრატიული გვარის შთამომავალი. ყოველ შემთხვევაში თავს ისე გვაჩვენებს, რომ თავდავიწყებამდეა შეყვარებული, ასეა

არა, დედა?
რამდენიმე წამის განმავლობაში მისის ვეინს საოცარი დამცირების გრძნობა უშფოთებდა სულს, თავი ჩაჰკიდა და თვალები აკანკალებული ხელით მოიწმინდა.
- სიბილს დედა მაინც ჰყავს, - ძლივს წარმოთქვა ჩურჩულით. - მე კი არ მყავდა.
ჯეიმსს გული აუჩუყდა. დედას მიუახლოვდა, დაიხარა და აკოცა.
- მაპატიე, დედა. ვწუხვარ, რომ ასეთი მოუფიქრებელი შეკითხვებით და მამაჩემის გახსენებით გული გატკინე, - მორცხვად ჩაილაპარაკა ვაჟმა, - მაგრამ მოთმინება გამომელია. წასვლის დროა, ნახვამდის. ნუ დაივიწყებ, რომ მხოლოდ ერთი შვილი გრჩება საპატრონო. მაგრამ იცოდე, დედა, თუ მაგ კაცმა ჩემს დას რაიმე დაუშავა, ქვესკნელშიც ვიპოვი, წიხლქვეშ გავიგდებ და ძაღლურად ამოვხდი სულს.
უგუნურებამდე მისულმა მუქარამ, რომელსაც თან ახლდა ცეცხლივით ანთებული ჭაბუკის მრავალმეტყველი ჟესტი და ბოლოს თითქმის შეშლილი ადამიანის მელოდრამატულმა სიტყვებმა მისის ვეინს ცხოვრება უფრო ნათლად წარმოუდგინა იმ წამში. აი, სწორედ ასეთ ატმოსფეროში ეს ქალი თავს მუდამ უკეთ გრძნობდა თავისუფლად ამოისუნთქა და პირველად თავის სიცოცხლეში ნამდვილად მხოლოდ ახლა ამაყობდა ვაჟიშვილით. რა თქმა უნდა, მისის ვეინს არ მობეზრდებოდა ასეთი ამაღელვებელი სცენის ყურება, მაგრამ ჯეიმსმა მოკლედ მოსჭრა, ჩემოდნები სწრაფად უნდა ჩაეტანათ და თბილი კაშნე მოეძებნა. მომსვლელი მოსამსახურე კი ფუსფუსით დარბოდა შიგნით და გარეთ, მერე მეეტლესთან მორიგების ჯამიც დადგა. იმ უცნაურ წვრილმანებში ძვირფასი წუთები თვალსა და ხელს შუა გაქრა. მისის ვეინი განახლებული უსიამოვნო განწყობილებით სავსე და ნაწამები მაქმანშემოვლებულ ცხვირსახოცს უქნევდა სარკმლიდან შვილს, როდესაც ეტლი დაიძრა, ქალი კარგად მიხვდა, რა მშვენიერი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. თავს იმით იმშვიდებდა, რომ სიბილს შესჩიოდა: რა სიმარტოვე ელოდებოდა ამიერიდან და რომ მხოლოდ ერთი შვილიღა დარჩა მისახედი და საპატრონო. მისის ვეინს ჯეიმსის ნათქვამი სიტყვები მოაგონდა და ისევ სიამოვნება იგრძნო. მუქარის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს. მუქარა მართლაც რომ მეტად დამაჯერებლად და დრამატულად წარმოთქვა ჭაბუკმა. მისის ვეინს გული უთქვამდა, რომ ოდესმე სულ მალე, ყველანი ერთად შეიყრებოდნენ და სასაცილოდ არ ეყოფოდათ ეს ამბავი.

თავი VI

- ახალ ამბავს შეიტყობდი, ბეზილ? - ამ სიტყვებით შეეგება ლორდ ჰენრი ბეზილ ჰოლუორდს, როდესაც მხატვრის მსახური ბრისტოლის სასტუმროს ერთ-ერთ, პატარა განცალკევებულ ოთახში შეუძღვა, სადაც სუფრა სამი კაცისათვის გაეშალათ.
- არა, ჰარი, არაფერი შემიტყვია, - უპასუხა მხატვარმა და პალტო და ქუდი მოწიწებით მის წინ თავდახრილ ლაქიას გადასცა.
- რა მოხდა? იმედია პოლიტიკას არ შეეხება. კარგად მოგეხსენება, მათი ამბავი არ მაინტერესებს. მთელ თემთა პალატაში ერთი ადამიანიც კი არ მოიძებნება, ვისზედაც მხატვარს შეუძლია ყურადღება შეაჩეროს და ფუნჯის მოსმა არ

დაიზაროს. თუმცა იმასაც გეტყვი, ზოგიერთი მათგანის შეთეთრება უმჯობესი და საინტერესოც კი იქნებოდა.
- დორიან გრეი ჯვრისწერისათვის ემზადება, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ მშვიდად ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მხატვრისათვის.
ბეზილ ჰოლუორდი შეკრთა და წარბი შეკრა.
- დორიანი ცოლს ირთავს? - წამოიძახა მან. - შეუძლებელია!
- სრული სიმართლეა, ბეზილ.
- ვის ირთავს მაინც?
- სრულიად ახალგაზრდა უცნობ მსახიობს.
- წარმოუდგენელია, არ მჯერა. დორიანი ასეთ უგუნურებას არ ჩაიდენს. ის ხომ საზრიანი ჭაბუკია.
- დორიანი იმდენად ჭკვიანია, რომ არ შეიძლება დროდადრო სისულელე არ ჩაიდინოს, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ.
- მაგრამ ქორწინება ხომ ისეთი რამ არ არის, რასაც დროდადრო მოისურვებს ადამიანი, ჰარი?
- ასე მხოლოდ ინგლისში ფიქრობენ, ამერიკაში კი არა, - გულგრილად ჩაურთო ლორდ ჰენრიმ. - გარდა ამისა, მე არ მითქვამს, უკვე ცოლს ირთავს-მეთქი, მხოლოდ ის გითხარი, რომ ჯვრისწერისათვის ემზადება. ამაში დიდი განსხვავებაა. კარგად მახსოვს ცოლის შერთვა, მაგრამ სრულიად არ მაგონდება, ვაპირებდი თუ არა საერთოდ ამ საკითხის გადაწყვეტას.
- მაგრამ, ჰარი, აბა, წარმოიდგინე დორიანის ჩამომავლობა, ის ღირსეული ადგილი, რომელიც მას საზოგადოებაში უჭირავს, თუნდაც მისი სიმდიდრე, და განსაჯე, რა სისულელე იქნება ასეთი დამდაბლებული, მისთვის სრულიად შეუფერებელი ქორწინება.
- თუ გსურს, რომ ის გოგონა ნამდვილად შეირთოს, ბეზილ, მაშინ უთხარი ეს ყოველივე და ნახავ, რომ აუცილებლად შეირთავს. როდესაც ადამიანი ნამდვილად სულელურ ნაბიჯს დგამს ცხოვრებაში, ეს ამბავი მხოლოდ კეთილშობილური ზრახვებითაა გამოწვეული.
- იმედია, გოგონა კარგი მაინცაა, ჰარი? არ მინდა დორიანმა მთელი სიცოცხლის მანძილზე ისეთ თავქარიან და სულმდაბალ არსებას დაუკავშიროს ბედი, ვინც სულიერად და გონებრივად გამოფიტავს მას.
- ოჰ, ის კარგზე უკეთესია თურმე... ძალიან ლამაზი! - ხმადაბლა ჩაილაპარაკა ლორდ ჰენრიმ და ბოლოს ჭიქიდან ვერმუტისა და ფორთოხლის წვენის სმა განაგრძო. - დორიანი ამბობს, ულამაზესიაო _____და ასეთ ამბავში ის ხომ ძალიან
იშვიათად ცდება. შენ მიერ შექმნილმა უბადლო პორტრეტმა მას სხვა ადამიანთა გარეგნული სილამაზის შეფასება ასწავლა. დიახ, პორტრეტმა მართლაც რომ ბრწყინვალე, კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა მასზე. ამ საღამოს ბედნიერება გვაქვს ვიხილოთ მისი საცოლე, თუ დორიანს ჩვენი შეთანხმება არ დაავიწყდა.
- ნუთუ მართლა, ჰარი?

- სრულიად სერიოზულად, ჩემო კარგო, დიდად უბედურ ადამიანად ჩავთვლიდი საკუთარ თავს, რომ ვიცოდე, ოდესმე ამაზე უფრო სერიოზულად მომიხდებოდა რაიმე საკითხზე საუბარი, ვიდრე ახლა ამ წუთში.
- დიდად მაინტერესებს მაინც, ამართლებ თუ არა მის ასეთ ნაბიჯს ცხოვრებაში, ჰარი? - იკითხა მხატვარმა, ის ტუჩებს იკვნეტდა და თან ოთახში აჩქარებული მიმოდიოდა. - როგორ შეგიძლია გაამართლო? - მიუბრუნდა ისევ ლორდ ჰენრის. - ეს დაუშვებელია, ეს მხოლოდ სულელური გატაცება, თვალის დაბრმავებაა და მეტი არაფერი.
- მე არასოდეს არც არაფერს ვიწონებ და არც არაფერს ვიწუნებ და ვკიცხავ. ეს ხომ ცხოვრების მიმართ მეტად უაზრო განწყობილება იქნებოდა. ჩვენ ხომ იმისთვის არა ვართ გაჩენილნი ამქვეყნად, რომ საკუთარი ზნეობრივი ცრურწმენანი გამოვამზეუროთ სხვა ადამიანების წინაშე და მათ ვუქადაგოთ ჩვენი ზრახვანი. არასოდეს ყურადღებას არ ვაქცევ, რას იტყვიან ამ ქვეყნის მდაბიო ნაძირალნი, არც ჩემთვის სასიამოვნო და ახლობელ ადამიანთა ცხოვრებაში ვერევი. თუ პიროვნება მომწონს და მიზიდავს, ჩემს თვალში ფასდაუდებელი მშვენიერების და სიამის მომნიჭებელ არსების ღვთიური განსახიერებაა. დორიანს გატაცებით შეუყვარდა უმშვენიერესი ასული, ვინც ჯულიეტას ასახიერებს, და გადაწყვიტა, ჯვარი დაიწეროს. რატომაც არა? თუ უნდა, ჯვარი მესალინაზე[36] დაიწეროს. განა როგორც პიროვნებას მას ჩრდილი მიადგება და საზოგადოების თვალში ფასი დაეკარგება? კარგად იცი, ქორწინების მომხრე არა ვარ. ქორწინების მთელი სიმახინჯე იმაშია, რომ ის ერთ-ერთ მხარეში მაინც აქრობს ეგოიზმს. ეგოიზმის გარეშე არსებობა კი უფერული ყოფაა. ამ დროს ხომ ადამიანები ინდივიდუალობას კარგავენ. თუმცა არიან ისეთი ხასიათის და მიდრეკილებათა მქონე ადამიანები, რომელნიც ქორწინების შემდეგ უფრო რთულ, ამოუცნობ პიროვნებებად გადაიქცევიან ხოლმე. ასეთები ეგოიზმსაც ინარჩუნებენ და სხვა მრავალ ადამიანთა პირადულ სურვილსაც ანგარიშს უწევენ. ასეთი ადამიანები იძულებულნი არიან სხვა მრავალ ადამიანთა ცხოვრებას ღრმად ჩასწვდნენ და ერთი ცხოვრების მაგიერ რამდენიმე გამოსცადონ. და აი, სწორედ მაშინ გვევლინებიან ხოლმე ვფიქრობ მაღალორგანიზებული პიროვნებანი. როგორც ვფიქრობ, ადამიანის არსებობის მთავარი მიზანიც სწორედ ეს მაღალორგანიზებული ყოფაა უთუოდ. გარდა ამისა სამყაროში არსებული ყოველგვარი გრძნობა ხომ ფასდაუდებელია. ვინც რა აზრი უნდა წამოაყენოს ქორწინების საწინააღმდეგოდ, ეს მხოლოდ მისი ახლებური განცდა და საკუთარი გამოცდილების გამომზევებაა. ვფიქრობ, დორიანიც ამ გოგონას შეირთავს, დაახლოებით ესე ექვსი თვის განმავლობაში თაყვანს სცემს და გააღმერთებს მას, მაგრამ დადგება ჟამი და მის გულს სხვა გატაცება დაეუფლება, ამიტომაც მასზე დაკვირვება და მის სულიერ განცდათა შესწავლა ენით აღუწერელ სიამოვნებას უქადის მკვლევარს.
- ერთი სიტყვაც არა მგონია გულწრფელად ნათქვამი მთელს შენს ტირადაში, ჰარი. ძალიან კარგად იცი, რომ ამას ვერ ჩაიდენ. თუ დორიანის ცხოვრება ბედუკუღმა დატრიალდა, არავინ ამქვეყნად მას ისე არ განიცდის, როგორც შენ.

გაცილებით უკეთესი ადამიანი ხარ, ვიდრე თავს გვიჩვენებ.
ლორდ ჰენრიმ გადაიხარხარა.
- მიზეზი იმისა, რომ სხვა ადამიანებს ესოდენ კარგი მივაწერო, საკუთარი თავის შიშია უცილოდ. ოპტიმიზმის საფუძველშიაც ხომ წმინდა შიშია ჩაკირული. ხშირად ჩვენ ახლობლებს ისეთ კეთილსა და სათნო თვისებებს მივაწერთ, რომლისგანაც მოწყალებას ან სარგებლობას გამოველით, და ეს გვაფიქრებინებს, რომ ფრიად დიდსულოვანი და კეთილშობილი ადამიანები ვართ. ჩვენ თვითონ ქება-დიდებას ვასხამთ ბანკის მმართველს იმის, გამო რომ ბანკში კრედიტი გავიდიდოთ. ან საუკეთესო თვისებებს აღმოვაჩენთ ხოლმე თუნდაც დიდი შარაგზის ყაჩაღში იმის შიშით, რომ ჯიბეცარიელს დაგვტოვებს. ბეზილ, ყველაფერი რასაც ვამბობ, ღრმად მწამს, იცოდე! ამქვეყნად ყველაზე მეტად ოპტიმიზმი მძულს. რაც შეეხება ბედუკუღმართ, გაცამტვერებულ ცხოვრებას, ასეთად მხოლოდ ისეთი უნდა მივიჩნიოთ, რომლის ზრდა-განვითარებაც შეფერხებულია. თუ გსურს ადამიანის ბუნება დაამახინჯო, მის გარდაქმნასა და გამოსწორებას უნდა შეეცადო. რაც შეეხება ქორწინებას, რა თქმა უნდა, ეს ყოველივე სისულელეა, მაგრამ არის სხვა უფრო საინტერესო მოვალეობანი მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაში და მეც ხომ ნიადაგ მათ ვასხამ ქება-დიდებას. მათში დიდი და თვისებრივი მომხიბვლელობაა. მაგრამ აი, დორიანიც გამოჩნდა და მას ჩემთან შედარებით, უფრო დაწვრილებით შეუძლია გამცნოს ყოველივე.
- ძვირფასო მეგობრებო, ჰარი, ბეზილ, შეგიძლიათ მომილოცოთ! - შემოსვლისთანავე წარმოთქვა ჭაბუკმა და სტვირის სარჩულიანი მოსასხამი შორს გადასტყორცნა. მერე ორივეს სათითაოდ ჩამოართვა ხელი და განაგრძო: - არასოდეს ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მეტისმეტად მოულოდნელია ისევე, როგორც ყოველი სასიამოვნო ამბავი ცხოვრებაში. წარმოიდგინეთ, ასე მგონია, მხოლოდ მას დავეძებდი მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე.
მღელვარებისა და სიამოვნების ცეცხლი შემოეგზნო ჭაბუკს. სახე ერთიანად აუვარდისფრდა და ენით აღუწერელი სიმშვენიერის განსახიერებად იქცა.
- იმედია, მთელი ცხოვრების მანძილზე ბედნიერი იქნებით, დორიან, - წარმოთქვა ჰოლუორდმა, - მაგრამ ვერ გაპატიებთ, რომ ნიშნობის შესახებ არაფერი შემატყობინეთ. ჰარის ხომ მაშინვე აცნობეთ ყოველივე.
- მე კი იმის პატიება არ შემიძლია, რომ სადილად დაიგვიანეთ, - ჩაერია საუბარში ლორდ ჰენრი. ჭაბუკს ღიმილით მიუახლოვდა და მხარზე დაადო ხელი. - სუფრასთან მოდით, ვნახოთ რით გაგვიმასპინძლდა ეს ახალი მზარეული, მერე კი დაწვრილებით გვიამბეთ, როგორ არის თქვენი საქმე.
- საამბობი მაინცდამაინც ბევრი არაფერია, - აღელვებით წარმოთქვა დორიანმა, როგორც კი პატარა მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ. - რაც მოხდა, ახლავე მოგახსენებთ: გუშინ საღამოს, როგორც კი დაგშორდით, ჰარი, ტანსაცმელი გამოვიცვალე და რუპერტის ქუჩაზე პატარა იტალიურ რესტორანში ვისადილე, რომელიც პირველად თქვენ მიჩვენეთ. რვა საათზე თეატრისაკენ გავწიე. სიბილი

როზალინდას თამაშობდა. დეკორაციაზე ლაპარაკიც ზედმეტად მიმაჩნია, იმდენად უგემოვნო გახლდათ, ორლანდო ხომ უაზრობის ნამდვილ განსახიერებას წარმოადგენდა. მაგრამ სიბილი, ოჰ, თქვენ რომ ის გენახათ, როდესაც ვაჟის ტანსაცმელში სცენაზე გამოჩნდა! ოჰ, ვერ აგიწერთ, რა წარმტაცი სილამაზე ვიხილე: ღია ყავისფერსახელოიანი ხავსისფერი ხავერდის მოკლე კამზოლი და ასეთივე ფერის ფეხებზე მჭიდროდ შემოკვალთული შარვალი ეცვა. თავზე პაწაწინა საუცხოო ქუდი ეხურა, რომელსაც ზედ მიმაგრებულ ათასფრადმოციმციმე პატიოსან თვალში შევარდნის ფრთა ჰქონდა გაყრილი. მეწამულისფერი სარჩული მოუჩანდა ელეგანტური კაპიშონიანი ლაბადის ქვეშ. არასოდეს ასეთი წარმტაცი სილამაზისა არ მომჩვენებია იგი. მისი მოხდენილი მოძრაობა ისეთი ნარნარი იყო, რომ თქვენს სახელოსნოში ნანახ ტანაგრას ქანდაკებას[37] ჩამოჰგავდა მთლიანად, ბეზილ. სახეზე თმა ჩამოშლოდა და თვალწინ ფერმკრთალი ვარდი წარმომიდგა, მუქ-მწვანე ფოთლებში მოკრძალებით ყელმოღერებული. თამაში? ოჰ, თამაშს კი თქვენ თვით იხილავთ ამაღამ. ვფიქრობ, ის მხოლოდ სცენისთვისაა დაბადებული. ვიჯექი ამ ბინძურ ლოჟაში და ჯადოსნურ რკალში მომწყვდეულივით გონწასული, თვალს ვერ ვაცილებდი მის ღვთაებრივ სახეს. სრულიად დამავიწყდა, რომ ეს ყოველივე ლონდონში ხდებოდა და მეცხრამეტე საუკუნის მკვიდრი გახლდით. ჩემს უმშვენიერეს სატრფოსთან ერთად შორეულ ტყეში ამოვყავი თავი, რომელსაც ჯერ ადამიანის ფეხი არ გაჰკარებოდა. წარმოდგენა დამთავრდა თუ არა, იმწამსვე კულისებში გავჩნდი. დიდხანს ვისაუბრეთ, გვერდით მოვუჯექი; უცებ მის თვალებში ისეთი გამომეტყველება შევნიშნე, რომელიც წინათ არასოდეს მეხილა. ჩემდა უნებურად მოვეხვიე და მის მთრთოლვარე ბაგეს დავეკონე. დიდხანს ვკოცნიდით ერთმანეთს, მაგრამ ენას არ ძალუძს გამოთქვას, რა განუსაზღვრელ ნეტარებას ვეზიარე იმ წამებში. ისე მომეჩვენა, თითქოს მთელი ჩემი სიცოცხლე ერთ წერტილში ვარდისფერ სიხარულად შენივთდა და სიცოცხლის მიუწვდომელ სიტკბოებით სავსე ფიალას დავეწაფე. ეს ღვთიური ქმნილებაც მთელი სხეულით თრთოდა და ნარცისივით ცახცახებდა. უცებ მუხლი მოიყარა და ხელებზე დამიწყო კოცნა... ვფიქრობდი, ეს ყოველივე თქვენთვის არ გამემჟღავნებინა, მაგრამ გულს ქარიშხალივით შეჭრილმა სიხარულმა ნებისყოფა წამართვა და ენა ამომადგმევინა. რა თქმა უნდა, ჩვენი ნიშნობა დიდი საიდუმლოა. სიბილს დედისთვისაც კი არაფერი გაუმხელია. არ ვიცი, რას იტყვიან ჩემი მეურვენიც. დარწმუნებული ვარ, ლორდ რედლის ელდა ეცემა და განრისხდება, მაგრამ განა შემიძლია ამაზე ფიქრი ამჟამად? ერთი წელიც არ არის საჭირო და სრულწლოვანი გავხდები. მაშინ კი ყველა ჩემს სურვილს გზა გაეხსნება. განა არ მოგწონთ, ბეზილ? სიყვარულს ხომ პოეზიის წყალობით ვეზიარე, მან შთამინერგა ეს საოცარი გრძნობა. საცოლე შექსპირის დრამებში აღმოვაჩინე. ბაგეთ, რომელთაც შექსპირმა საუბარი ასწავლა, თავიანთი საიდუმლო ყურში ფარულად მე ჩამჩურჩულეს. როზალინდამ მკალავები კისერზე შემომაჭდო და მეც აგზნებულ ჯულიეტას ბაგეთა სიტკბოებით ვითვრებოდი.
- დიახ, დორიან, თქვენი გზა სწორია, - წარმოთქვა ჰოლუორდმა წყნარად.

- დღეს თუ ინახულეთ სატრფო, ჭაბუკო? - იკითხა ლორდ ჰენრიმ.
დორიანმა თავი გაიქნია.
- მე მას არდენის ტყეში დავცილდი და ვერონას წალკოტში ვიხილავ.
ლორდ ჰენრი შამპანურს ნელ-ნელა სვამდა და გონების თვალით სადღაც შორს გაიყურებოდა.
- მაინც საინტერესოა, როდის უხსენეთ სიტყვა ქორწინება, დორიან, ან რა გიპასუხათ? ან იქნებ გადაგავიწყდათ ყოველივე ამის შესახებ?
- ძვირფასო ჰარი, ეს ჩემთვის საქმიანი შეთანხმება არ ყოფილა, რა თქმა უნდა, არავითარი ფორმალური წინადადება არ დასცდენია ჩემს ბაგეს. დაუსრულებლად იმას ჩავჩურჩულებდი, რომ გატაცებით მიყვარდა. მან კი მიპასუხა, რომ ჩემი მეუღლეობის ღირსად არ სცნობს თავს. ოჰ, ღმერთო ჩემო, ღირსი არ არის? გარწმუნებთ, მთელი ქვეყნიერება არარაა ჩემთვის მასთან შედარებით!
- ქალთა სქესი ფრიად პრაქტიკულია, - ჩურჩულით წარმოთქვა ლორდ ჰარიმ. - დიახ, გაცილებით პრაქტიკული, ჩვენთან, კაცებთან შედარებით. კაცს ასეთ შემთხვევაში ხშირად ავიწყდება ქორწინება ახსენოს. ქალები შეგვახსენებენ ხოლმე.
ჰოლუორდმა ჰარის ხელი შეახო.
- ასე ნუ მსჯელობ, ჰარი, თორემ დორიანის გულისწყრომას გამოიწვევ. დორიანი ხომ სხვებს არა ჰგავს. ღრმად მწამს, არასოდეს წაჰკიდებს უბედურებას ვისმე. მისი ბუნება წმიდაა და კეთილშობილებით აღსავსე.
ლორდ ჰენრიმ დორიანს გადახედა.
- ჩემი სიტყვები, მწამს, მის სულს არ აღაშფოთებს, - უპასუხა მან, - მხოლოდ ჩემი ერთი მეტად ფარული გულის წადილის დასაკმაყოფილებლად შევეკითხე... ეს გახლავთ ერთადერთი მიზეზი, რომელიც ამართლებს ყოველგვარ კითხვას. დიახ, ეს მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობაა. ჩემი პირადი დაკვირვებით ვიცი, რომ ქალები ყოველთვის პირველნი გვაძლევენ, ჩვენ, მამაკაცებს წინადადებას, რომ ჯვარი დავიწეროთ. არ ვემხრობი საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს, თითქოს კაცები პირველნი წყვეტდნენ ჯვრისწერის საკითხს. რა თქმა უნდა, ამ მხრივ გამონაკლისს საშუალო კლასი წარმოადგენს, მაგრამ ამ კლასმა ხომ საუკუნის მსვლელობას საერთოდ ვერ აუწყო ფეხი.
დორიან გრეიმ გაიღიმა და თავი ჩაღუნა.
- გამოუსწორებელი ადამიანი ხართ, ჰარი, მაგრამ მე ამას არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევ. შეუძლებელია გული მომივიდეს თქვენზე. როდესაც სიბილ ვეინი თქვენს წინაშე წარსდგება ამ საღამოს, იმწამსვე მიხვდებით, რომ ის, ვინც ამ მშვენიერ არსებას რაიმეს დაუშავებს, ადამიანად არ ჩაითვლება. ის მხოლოდ პირუტყვი უნდა იყოს, ჩემი აზრით, დიახ, პირუტყვი, რომელსაც ადამიანური გული არ გააჩნია. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა შეურაცხყო და საქვეყნოდ შეარცხვინო ის, ვინც გიყვარს და ვისაც ფარვანასავით თავს ევლები. დიახ, მე მიყვარს სიბილ ვეინი მთელი ჩემი არსებით. მინდა ოქროს კვარცხლბეკზე ავიყვანო და ვიხილო, როგორ აღმერთებს სამყარო ქალს, რომელიც მხოლოდ მე მეკუთვნის. რას წარმოადგენს ამ გრძნობასთან ქორწინება ან ურღვევი აღთქმა

და კავშირი? რა თქმა უნდა, ეს ყოველივე სასაცილოდ არ გყოფნით, ჰარი. გემუდარებით ნუ დამცინით, დიახ, მე მინდა მარადიული აღთქმა მივცე სიბილ ვეინს. მისი ნდობა უწმინდესი გრძნობებით მავსებს, მისი რწმენა კი მაკეთილშობილებს. მასთან ყოფნისას დიდ სინანულს განვიცდი ყოველივე იმის გამო, რაშიაც თქვენ გამათვითცნობიერეთ. მისი სიახლოვე სრულიად სხვა ადამიანად მაქცევს და გარდამქმნის ხოლმე. დიახ, მთლიანად ვიცვლები და სიბილ ვეინის შემთხვევითი ხელის შეხებაც კი მავიწყებს ამქვეყნიური ცხოვრების ბიწიერებას. მავიწყებს თქვენს თავსა და თქვენს მცდარ, თუმცა მაცდუნებელ და ხშირად საწამლავზე მეტად მოქმედ, დიდ სიამოვნებათა მომნიჭებელ თეორიებს.
- რომელ თეორიებზე მსჯელობთ მაინც ასე თავგამოდებით? - იკითხა ლორდ ჰენრიმ და ცოტაოდენი სალათა გადმოიღო.
- მე თქვენი საკუთარი თეორიები მაქვს მხედველობაში, ჰარი, სიყვარულზე, ცხოვრებაზე, ამქვეყნიურ სიამეთა მიღებაზე. რა თქმა უნდა, ყველა თქვენს თეორიას ვგულისხმობ, ჰარი.
- ერთადერთი ამქვეყნად, რაზედაც ღირს ადამიანმა თავი იმტვრიოს და თეორია შექმნას, ეს, ჩემი აზრით, მხოლოდ სიამოვნებაა, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ დაბალი მელოდიური ხმით. - მხოლოდ არ შემიძლია განვაცხადო, რომ თეორია სიამეთა შესახებ საკუთრად მე მეკუთვნის. ის ბუნების პირმშოა და არა ჩემი. სიამოვნება, მოგეხსენებათ, ბუნების დიდი ცდაა, რომელსაც ის ადამიანზე ატარებს და ამასთანავე მისივე კეთილმყოფელი ძალის უტყუარი ნიშანი. როგორც კი ბედნიერებას ვეზიარებით, ადამიანის სული კეთილშობილებით აღივსება ხოლმე, მაგრამ თვით ბედნიერება ხშირად არ არის კეთილშობილ ადამიანთა ხვედრი.
- საინტერესოა მაინც, რას გულისხმობთ ამ კეთილშობილებაში, ჰარი? - წამოიძახა ბეზილ ჰოლუორდმა.
- დიახ, მეც დიდად მაინტერესებს, - გამოეხმაურა დორიანი, სავარძლის ზურგს მიეყრდნო და მეწამული ზამბახების უმშვენიერეს თაიგულს ზემოდან, რომელიც მაგიდის შუაგულში დაედგათ, დაკვირვებით დააცქერდა ლორდ ჰენრის სახეს. - ვის უწოდებთ მაინც თქვენი აზრით ასეთ კეთილშობილ ადამიანს, ჰარი?
- კეთილშობილს, ან ნამდვილ ადამიანს ვუწოდებ ისეთს, ვინც ახერხებს უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავთან შეთანხმებით არსებობას. - უპასუხა მან და მშვენიერი ფერმკრთალი თითებით გამჭვირვალე სასმისის ყარყარა ფეხს შეეხო, - მაგრამ, გწამდეთ, ის ადამიანი კი, ვინც მხოლოდ სხვებთან შეთანხმებით არსებობს, საკუთარ თავთან მუდმივ უთანხმოებაშია. საკუთარი ცხოვრება, აი, რა არის მთავარი უმთავრესთა შორის. რაც შეეხება ახლობელ ადამიანთა ცხოვრებას, მხოლოდ თვითკმაყოფილ ადამიანებს და მოჩვენებითი ზნეობის მატარებელთ ძალუძთ ჩაერიონ მათ საქმეში. მე კი მიმაჩნია, რომ ეს ჩვენ სრულიად არ გვეხება. გარდა ამისა, ინდივიდუალიზმი ცხოვრების უფრო მაღალ მიზნებს ემსახურება. თანამედროვე ზნეობა მკაცრად მოითხოვს ჩვენგან, ვირწმუნოთ ჩვენი ეპოქის მსოფლმხედველობა. მე კი ვფიქრობ, ყოველი კულტურული ადამიანისათვის, რომელიც მორჩილად და თავმოდრეკილად

მიიღებს თავისი საუკუნის საზოგადოდ აღიარებულ ნორმებს, სწორედ ეს იქნება ამორალიზმის უსაშინელესი ფორმა.
- მაგრამ მერწმუნე, ჰარი, თუ ადამიანი მხოლოდ პირადი ცხოვრების შექმნას ესწრაფვის, ეს მეტად ძვირი უჯდება, - შენიშნა მხატვარმა.
- დიახ, ჩვენს დროში ყველაფრისათვის უდიდესი საფასურის გაღება გვიხდება. ვიტყოდი, რომ მდაბიოთა უდიდესი ტრაგედია თვითაღკვეთაა სწორედ. ესე იგი, ყოველგვარ სიკეთეზე უარის თქმა, რადგან მათ ხომ არაფრის გაცემა არ შეუძლიათ და ლამაზი ცოდვები ულამაზესი საგნებით მხოლოდ მდიდართა საკუთრებაა.
- ასეთი ცხოვრების სასყიდელი სხვა გზით გაიღება და არა ფულით.
- რით მაინც, ბეზილ?
- ოჰ, ვფიქრობ სინდისის წაბილწვით, ტანჯვა-ვაებით, საკუთარ მორალურ თვისებათა გახრწნით.
ლორდ ჰენრიმ მხრები აიჩეჩა.
- ჩემო ძვირფასო ბეზილ, შუასაუკუნოებრივი ხელოვნება წარმტაცია, მაგრამ შუასაუკუნოებრივი გრძნობები კი ფრიად მოძველებული. ადამიანს ამჟამად ის მხოლოდ ლიტერატურაში შეუძლია გამოიყენოს. მაგრამ ლიტერატურაში კი მხოლოდ ის გამოიყენება, რაც ხმარებიდან დიდი ხანია ამოვარდა ცხოვრებაში. მერწმუნე, არც ერთი კულტურული ადამიანი არ ნანობს, რომ ოდესმე სიამოვნება მიუღია. მაგრამ ვფიქრობ, კულტურის გარეშე შთენილთ სრულიად არ იციან, რას წარმოადგენს სიამოვნება საერთოდ.
- კარგად ვიცი, რაც არის სიამოვნება, - წამოიძახა დორიანმა. - ეს ნიშნავს სხვა ადამიანთა თაყვანისცემას.
- რა თქმა უნდა, უმჯობესია, ვიდრე თვით იქცე თაყვანისცემის საგნად, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ და ხილის ამორჩევას შეუდგა. - ცოდნა იმისა, რომ ვიღაც თაყვანს გცემს, მეტად შემაწუხებელი და უსიამოვნო განცდაა. ქალები ჩვენ, კაცებს ისევე გვეპყრობიან, როგორც კაცობრიობა თავის ღმერთებს. გვაღმერთებენ და ამასთანავე თავს გვაბეზრებენ, რომ მარადჟამს მათ სურვილთა თავდაუზოგავ აღმსრულებლად ვიქცეთ.
- მე კი ვიტყოდი, რომ ისინი ჩვენგან სწორედ იმას თხოულობენ, რასაც თვით გვთავაზობენ პირველად. - წარმოთქვა ჭაბუკმა ფრიად სერიოზულად და წყნარად.
- სიყვარულსა და მის უკვდავ განცდებს ხომ მხოლოდ მათ ძალუძთ გვაზიარონ და სრულიად სამართლიანადაც გვთხოვენ სამაგიეროს.
- ეს მართლაც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, დორიან! - წამოიძახა ჰოლუორდმა.
- მე კი მეეჭვება, რომ აბსოლუტური ჭეშმარიტება არსებობდეს ამქვეყნად, - ჩაილაპარაკა ლორდ ჰენრიმ.
- დიახ, ნამდვილად არსებობს, ჰარი, - შეაწყვეტინა ჭაბუკმა. - ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ქალები ყველაზე უძვირფასესს, რაც კი რამ გააჩნიათ ცხოვრებაში მამაკაცებს სწირავენ.
- შესაძლებელია, - ამოიოხრა ლორდ ჰენრიმ, - მაგრამ ისინი დაუსრულებლად, მეტისმეტი დაჟინებით თხოულობენ ყოველივეს უკან და წარმოიდგინეთ, წვრილი

ფულის ანგარიშით. ესაა სწორედ მთელი უბედურება. ქალები, როგორც ერთი ჭკვიანი ფრანგი ამბობდა, ამქვეყნიურ უდიდეს იდეალებსა და საქმეებს შთაგვაგონებენ, მაგრამ გამუდმებით ხელს გვიშლიან მათ განხორციელებაში.
- ჰარი, თქვენ სერიოზულ ქაოსს ქმნით, ეს აუტანელია. არ ვიცი, რატომ მიყვარხართ და გეთაყვანებით მაინც ასე?
- ამიერიდან მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე ყოველთვის გეყვარებით, ჭაბუკო, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ. - ყავას არ ინებებთ, ყმაწვილებო?.. ყავა, საუკეთესო შამპანური და სიგარეტები შემოგვიტანეთ! - გასძახა მან მომტანს. - თუმცა სიგარეტი არ გვინდა, მე მაქვს გადანახული, ბეზილ, შენ კი სიგარის მოწევას გიკრძალავ, სიგარეტი უმჯობესია. ის ხომ უდიდეს სიამოვნებათა განცდის სრულყოფილი სახეა, მეტად ფაქიზი და საუცხოო გემოვნების მქონე: თუმცა ოდნავ დაუკმაყოფილებლებს გვტოვებს, მაგრამ... მე მგონი მეტი არაფერია საჭირო, არა? დიახ, დორიან, - განაგრძო მან, - ... ვფიქრობ, ჩემს სიყვარულს გულიდან ვერასოდეს ამოიღებთ, რადგან თქვენს თვალში ყველა იმ ქვეყნიურ ცოდვათა აღმსრულებელს წარმოვადგენ, რომელთა ჩასადენად თქვენ თვითონ გამბედაობა არ გყოფნით.
- რა უჩვეულოდ მსჯელობთ, ჰარი! - წამოიძახა ჭაბუკმა და ცეცხლის მფრქვეველი ვერცხლის დრაკონიდან სიგარეტს მოუკიდა, რომელიც მსახურმა მაგიდაზე დადგა. - უმჯობესია თეატრში წავიდეთ, როდესაც სიბილს სცენაზე იხილავთ, ცხოვრებაზე სულ სხვა აზრი შეგექმნებათ ალბათ. ის თქვენ თვალწინ სრულიად სხვა სამყაროს გადაშლის, რომელსაც აქამდე არ იცნობდით.
- ამქვეყნად ყველაფერი ვნახე და ვიგემე, ჩემო კარგო, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ და მის თვალთაგან მეტისმეტად მოღლილი ადამიანის გამომეტყველება გამოკრთა, - მაგრამ ყოველივე ახალი განცდა ფრიად მაღელვებს და მახარებს ამასთანავე. მხოლოდ ერთი კი მაძრწუნებს დაუსრულებელი შიშით, ყოველ შემთხვევაში აწ აღარ განმეორდება ის, რაც იყო. მართალი მოგახსენოთ, იმედს არ ვკარგავ. იქნებ ამ მომაჯადოებელმა გოგონამ ჯერ კიდევ შეძრას და ამითრთოლოს გული? სცენა ძალიან მიყვარს. ის ცხოვრებასთან შედარებით დიდი სინამდვილეა. წავიდეთ! დორიან, თქვენ ჩემთან ერთად წამოდით. დიდად ვწუხვარ, ბეზილ, მაგრამ სამის ადგილი არ არის ჩემს კარეტაში. შენ მოგიხდება, უკან გამოგვყვე სხვა ეტლით.
სამივე ერთად წამოდგა, პალტოები ჩაიცვეს, ფეხზე იდგნენ და ყავას ნელ-ნელა შეექცეოდნენ. მხატვარი ფრიად ჩაფიქრებული ჩანდა და დუმდა. ეტყობა დიდ ნაღველს დაერია მისთვის ხელი. გონების თვალით ეს ქორწინება სრულებით არ მოსწონდა, მაგრამ კარგად იცოდა, ამიერიდან სხვა ამაზე ბევრით უარესი შეეყრებოდა ჭაბუკს ცხოვრებაში.
რამდენიმე წუთმა განვლო. დაბლა სართულში ჩავიდნენ. როგორც გადაწყვიტეს, ჰოლუორდი ორთვლიან ეტლში ჩაჯდა და უკან მიჰყვებოდა კარეტას. მხატვარი დაკვირვებით გაჰყურებდა ეტლიდან გამომკრთალ მოკიაფე შუქს; უცნაურ გრძნობას შეეპყრო; დიდი დანაკარგის სიმძიმილით იყო გაოგნებული. იგრძნო, რომ დორიანი, ამიერიდან მისთვის იგივე აღარ იქნებოდა, რაც ოდესღაც

წარსულში. ცხოვრება ჩამდგარიყო მათ შუა... თვალები დაებურა... ბრწყინვალედ განათებული, ხალხით სავსე ქუჩები ბუნდოვანი ლაქებივით აელანდა და როდესაც ეტლი თეატრის წინ შეჩერდა, მხატვარმა იგრძნო, რომ რამდენიმე წლით დაბერებულიყო.

თავი VII

ვერ გეტყვით, რა იყო მიზეზი, მაგრამ თეატრში ტევა არ იყო იმ ღამეს. დორიანსა და მის მეგობრებს ჩასუქებული ებრაელი დირექტორი კარებში შეეგება. აღტაცებისაგან ამ ხორცსავსე კაცს სახე გაბრწყინებოდა, პირი ყურთამდე გაეხსნა, ხმა უკანკალებდა და მლიქვნელურად შეღიმოდა სტუმრებს. მერე გაამპარტავნებული და გაბღენძილი, დიდი მოწიწებით საკუთარ ლოჟაში წაუძღვა მათ. საუბრის დროს ბეჭდებით დაფარულ ხელს აქეთ-იქით იქნევდა, კოტიტა თითებზე უამრავი ძვირფასი თვალი ციმციმებდა. ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ გარშემო მყოფთა ყურადღება მიექცია და მისი სიტყვები ახლომახლო მყოფთ ყველას მისწვდენოდა. დორიანმა ამჯერად, ვიდრე ოდესმე წინათ, ყველაზე მეტად იგრძნო, რაოდენ ეზიზღებოდა ეს კაცი. ისე ეჩვენებოდა, თითქოს მირანდას[38] სანახავად მისულიყო და კალიბანს გადაჰყროდა. სამაგიეროდ ლორდ ჰენრის მოეწონა იგი. ყოველ შემთხვევაში, ასე განუცხადა მეგობრებს. დაჟინებით მოისურვა ხელი ჩამოერთმია მისტერ აიზექსისათვის. გაცნობის პირველივე წუთებიდანვე არწმუნებდა, რომ ეამაყებოდა ასეთ ადამიანთან შეხვედრა, ვისაც ნამდვილი გენიოსისათვის მიეგნო და პოეტის თაყვანისცემისა და სიყვარულისათვის გაკოტრებულიყო. ჰოლუორდი ამ დროს პარტერში საზოგადოების თვალიერებით ირთობდა თავს. თეატრში სულის შემხუთავი და აუტანელი ბუღი ტრიალებდა. უზარმაზარი ჭაღიდან გამომკრთალი სინათლის მოცახცახე ისრები, მზის სხივთა დარად ანთებული, ისე კიაფობდა თითქოს ზღაპრული სიდიდის გეორგინის ფურცლებს ცეცხლი წაჰკიდებია და ახლა ალისფრად გიზგიზებსო. ქანდარაზე ახალგაზრდებს პიჯაკები და ჟილეტები გაეხადათ და მოაჯირზე გადაეკიდათ. ერთმანეთს ხმამაღლა ესაუბრებოდნენ. რამდენიმე ქალი კი პარტერში ისე ხმამაღლა იცინოდა, რომ მათი მკვახე და ცივი ხმა ადამიანს ყურს ჭრიდა. ბუფეტში კი ამ დროს, ეტყობოდა, დაუსრულებლად თავს ხსნიდნენ ბოთლებს და საცობის ამოძრავების მჭახე ხმა პარტერშიც ისმოდა.

- ნუთუ ასეთ ადგილას შეიძლება ადამიანმა თავისი სათაყვანო კერპი აღმოაჩინოს, - გაიკვირვა ლორდ ჰენრიმ.

- დიახ, - უპასუხა დორიანმა, - სწორედ აქ აღმოვაჩინე. უბრალო მოკვდავთა შორის ის ზეციური ღვთაებაა. როდესაც მის თამაშს ვუკვირდები, ამქვეყნად ყოველივე დავიწყებას ეძლევა. სცენას მოევლინება თუ არა, ეს ტლანქი მდაბიონი, ჯმუხი სახეებითა და ცხოველური საქციელით, სრულიად გარდაიქმნებიან, ქვადქცეულივით დუმდებიან და მხოლოდ მას შეჰყურებენ. ტირიან და იცინიან მისი სურვილის თანახმად. თითოეულის სულს ვიოლინოს სიმივით მგრძნობიარედ გადააქცევს ხოლმე, აკეთილშობილებს და მხოლოდ მაშინღა გრძნობენ ეს საბრალონი, რომ ისინიც იმავე სისხლის და ხორცის მოზიარენი

არიან, როგორც ჩვენ ყველა.
- იმავე სისხლისა და ხორცის? ოჰ, დორიან, იმედს ნუ დავკარგავთ, რომ ეს სრულიად წარმოუდგენელია, - წამოიძახა ლორდ ჰენრიმ და თან სათეატრო ჭოგრით ქანდარაზე მსხდომთ დიდი ყურადღებით ათვალიერებდა.
- სრულიად ნუ მიაქცევთ ყურადღებას მის სიტყვებს, დორიან, - ჩაერია მხატვარი. - მე პირადად კარგად მესის, რის თქმაც გწადიათ. თქვენი სიტყვების მერე ამ უცნობმა გოგონამ უკვე შეძლო დიდი რწმენით შთავეგონებინე. ვინც უნდა შეგყვარებოდათ, მწამს, ზებუნებრივი ღვთაება იქნებოდა და ის კი, ვინც ასე დიდ ზემოქმედებას ახდენს ადამიანებზე, როგორც თქვენ აღწერთ, უცილოდ ამაღლებული სულის უმშვენიერესი ქმნილება უნდა იყოს. ამქვეყნიურ ცოდვათაგან განწმინდო და გააკეთილშობილო შენი დროის ადამიანთა მოდგმა, თაობათა წინაშე განუზომელი სამსახურია. თუ მას შესწევს უნარი უსულო ადამიანები სულით აამაღლოს, სილამაზისადმი დაუცხრომელი სიყვარული და სწრაფვა შთაუნერგოს, ვისი ცხოვრებაც ესოდენ აუტანელი სიბინძურითაა სავსე, წარსტაცოს მათ სულს ეგოიზმი და ღაპაღუპით ცრემლი აღვრევინოს სხვის მწუხარებასა და შეჭირვებაზე, მაშინ ის უცილოდ ღირსია თქვენი თაყვანისცემისა. დიახ, ღირსია, მთელი ქვეყნიერება ეთაყვანებოდეს მას. მაშინ ეს ქორწინებაც სრულიად სამართლიანი და კურთხეული იქნება უდავოდ. პირველხანად ყოველივე სულ სხვაგვარად წარმომედგინა თვალწინ, მაგრამ ახლა გულით გეთანხმებით. ალბათ სიბილ ვეინს ღმერთებმა შთაბერეს სული თქვენთვის და ამიერიდან თქვენი ცხოვრება მის გარეშე სრულყოფილებას ვერც მიაღწევს.
- დიდ მადლობას მოგახსენებთ, ბეზილ, - უპასუხა დორიანმა და ხელი ხელზე მაგრად მოუჭირა. - მწამდა გამიგებდით. ჰარი მეტისმეტი ცინიზმით მხოლოდ მაძრწუნებს. მაგრამ აი, უკვე ორკესტრი უკრავს. გამოგიტყდებით, აუტანელი მოსასმენია. მაგრამ როგორმე უნდა მოითმინოთ, მხოლოდ ხუთ წუთს გრძელდება. მერე ფარდა გაიხსნება და იხილავთ არსებას, ვისაც გადაწყვეტილი მაქვს მთელი ჩემი ცხოვრება შევწირო და ვისაც უკვე გულწრფელად მივუძღვენი, თუკი რამ კარგი გამაჩნდა ამქვეყნად.
თხუთმეტი წუთის შემდეგ, განსაცვიფრებელ და აღტაცებულ ტაშის გრიალში სიბილ ვეინი გამოჩნდა სცენაზე. ის მართლაც განუმეორებელი და თვალწარმტაცი სილამაზის განსახიერება გახლდათ. დიახ, ერთ-ერთი უმშვენიერესი არსებათაგანი, ვინც კი ოდესმე ჩემს თვალთ უხილავთო, - თვით ლორდ ჰენრიც კი ასე ფიქრობდა იმწამს. ენით აღუწერელი სინარნარითა და შიშჩამდგარი თვალებით შველს წააგავდა. როდესაც აღტაცებული მაყურებლებით გაჭედილ დარბაზს ჰკიდა თვალი, ღაწვნი ისე შეეფაკლა, თითქოს ვარდის ჩრდილი აირეკლა ვერცხლის სარკეში. სულ ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია და ბაგე საოცრად აუთრთოლდა. ბეზილ ჰოლუორდი ფეხზე წამოჭრა და ტაშის ცემას მოჰყვა. დორიანი სიზმარეულ ბურანში გახვეული გაქვავებულივით იჯდა და თვალმოუშორებლად შესცქეროდა ქალს. ლორდ ჰენრის კი ჭოგრიტი მოემარჯვებინა და საიდუმლოდ ჩურჩულებდა: მომხიბლავია, მომხიბლავიო.
სცენა კაპულეტთა სასახლის დარბაზს წარმოადგენდა. მლოცველი მწირის

ტანსაცმელში გამოწყობილი რომეო მერკუციოსა და რამდენიმე მეგობართან ერთად დარბაზში შემოიჭრა. გაისმა ყურთასმენის გამგმირავი ორკესტრის ხმა და ცეკვა დაიწყო. ამ მოუქნელ, ღარიბულად ჩაცმულ მსახიობთა შორის მხილველს ატყვევებდა სიბილ ვეინის ზეციური სამყაროდან მოვლენილ ფერიასავით ნარნარი რხევა. მისი სხეული ლერწამივით იზნიქებოდა. ყელის მიმოხვრა კი ფიფქივით უნაზესი, ნიავის სუნთქვით დარხეული შროშანის როკვას წააგავდა. თვალს ვერ მოსწყვეტდით მის თლილ ხელთა მოძრაობას, რომელნიც თითქმის სპილოს ძვლისაგან გამოეკვეთათ.
სიბილ ვეინი საოცრად უმოქმედო და უხალისო ჩანდა, სიხარულის ნიშანწყალსაც კი ვერ შენიშნავდით მას, როდესაც რომეო გამოჩნდა სცენაზე და სულ რამდენიმე სიტყვა უნდა წარმოეთქვა:
შენ მეტისმეტად შეურაცხყოფ, მწირო, შენს ხელებს,
მათი მოქცევა ღვთიურია, ფაქიზი, სწორი:
მლოცველებიც ხომ ეხებიან ხელით წმინდანებს;
ხელით შეხება არის მათთვის წმინდა ამბორი[39].
მოკლე დიალოგი, რომელიც ამ სტრფოებს მოსდევს, მთლად ხელოვნურად გაისმა. ხმა შეუდარებელი იყო, მაგრამ ჟღერადობა უვარგისი და ყალბი. არც მიმზიდველობა, არც მისთვის დამახასიათებელი ხალასი ფერები. უფერულმა ხმამ კი ამ მომაჯადოებელი, გენიალური ლექსის სტრიქონებს სასიცოცხლო ძალა წარსტაცა და გრძნობები მთლად გააყალბა.
დორიან გრეი თვალმოუშორებლად შეჰყურებდა და რამდენჯერმე ფერმა გადაჰკრა. ეტყობა დიდ საგონებელს მისცემოდა და ბოლოს მთლად გაფითრდა. განცვიფრებული და ზომაზე მეტად აღელვებული ჩანდა. ვერც ლორდ ჰენრიმ და ვერც მხატვარმა სიტყვის თქმაც ვერ შეჰბედეს. სიბილ ვეინი სრულიად უნიჭო მსახიობად წარმოუდგათ. საშინლად გაუცრუვდათ იმედი.
თუმცა ქვეშეცნეულად ერთს მაინც გრძნობდნენ, რომ ყოველი დიდი ხელოვანისათვის, ვინც ჯულიეტას ახორციელებს, მეორე მოქმედების სცენაა გადამწყვეტი აივანზე და ისინიც, რაღა თქმა უნდა, მოუთმენლად ელოდნენ ამ წუთებს. თუ სიბილ ვეინი იქაც მარცხს განიცდიდა, მაშინ მას ნიჭის ნატამალიც კი არა ჰქონია.
თვალისდამაბრმავებელი სილამაზით ბრწყინავდა სიბილ ვეინი იმ ღამეს. გარეგნულად - მთვარის სინათლით შუქმოსილი, ასეთი წარსდგა საზოგადოების წინაშე. ამის უარყოფა ყოვლად შეუძლებელი გახლდათ, მაგრამ თამაში აუტანელი იყო, მეტისმეტად ხელოვნურობითა და სცენიურობით დამძიმებული. რაც ღრმად იჭრებოდა როლში, მით უფრო უარესი და უარესი სიყალბე გამოსჭვიოდა მისი თითოეული სიტყვიდან. მიმიკა, ჟესტი და ქცევა აუტანელი და ხელოვნური ჰქონდა. უადგილო გაძლიერებული მახვილი სიტყვებზე. მერყევი ტონალობა და გადაჭარბებული პათოსი. აი, როგორ წარმოთქვა ამ სახელგანთქმული მონოლოგის შესანიშნავი ადგილები და რა სახით მოევლინა სცენას.
ღამის ნიღაბი არ ფარვიდეს ახლა ჩემს სახეს,

ქალწულებრივი მორცხვობისგან გავწითლდებოდი;
რადგან იდუმალ ყური მოჰკარ ჩემს აღსარებას![40]
გენიალური დრამატურგის ეს უბრწყინვალესი ციტატა გამოუცდელი მოსწავლე გოგონას ენით წარმოთქვა, ვისაც დეკლამირებას, სტილისა და ხმის დაყენებას სრულიად უცოდინარი მასწავლებელი ასწავლიდა. ხოლო როდესაც აივანის მოაჯირზე გადმოიხარა და ამ საოცნებო სტრიქონებამდე მივიდა:
ნუ, ნუ ფიცულობ, მიხარია თუმც, რომ გიყვარვარ,
ეს ღამის აღთქმა მაინც ისე როდი მახარებს,
ის მეტად ჩქარი, არა ბრძნული, უმეცარია.
და ელვასა ჰგავს, რაიც ისე სწრაფადა ჰქრება.
რომ ჩვენ თქმასაც კი ვეღარ ვასწრებთ: „აჰა ელავსო“.
მშვიდობის ღამე! ჩვენ მეორე შეხვედრისათვის
ზაფხულის სუნთქვა სიყვარულის ამ კოკორს გაშლის
ტურფა ყვავილად. მაშ მშვიდობით, მშვიდობის ღამე!
დე, შენმა გულმაც მოისვენოს ისევე მშვიდად,
რა სიმშვიდითაც განისვენებს ეს გული წმინდა[41].
ამ სიტყვებს ისე წარმოთქვამდა, თითქოს მათი მნიშვნელობა სრულიად არ გაეგებოდა. ეს ყოველივე, არავის შეეძლო ეთქვა, თითქოს
_____ნერვიულობით იყო
გამოწვეული. პირიქით, ჩანდა, რომ საკუთარ თავს შესანიშნავად ფლობდა. უბრალოდ, ეს მხოლოდ მეტად ცუდი თამაში გახლდათ. ნათლად ჩანდა, მსახიობის მომადლებული ნიჭი სრულიად არ გააჩნდა. წარმოიდგინეთ, გაუნათლებელი მაყურებელიც კი პარტერსა თუ ქანდარაზე ახლა სრულიად უინტერესოდ გაჰყურებდა სცენას. მათ მოუსვენრობა დაეტყოთ. გაისმა ხმამაღალი ზუზუნი და ბოლოს სტვენაც. ებრაელი ანტრეპრენიორი, ვინც პირველ იარუსზე სულ უკან იდგა, ახლა აქეთ-იქით დააბოტებდა და ახმაურებული ბრბოს მისამართით გამძვინვარებული ილანძღებოდა. ერთადერთი, ვინც სრულიად ვერ გრძნობდა და არ განიცდიდა, რაც თეატრში ხდებოდა, მხოლოდ სიბილ ვეინი გახლდათ.
მეორე მოქმედება დამთავრდა თუ არა, მთელ დარბაზში შემაძრწუნებელი სტვენის ხმა გაისმა. ლორდ ჰენრი სავარძლიდან წამოდგა და პალტო ჩაიცვა.
- ულამაზესი ქმნილებაა, დორიან, - წარმოთქვა მან, - მაგრამ თამაში არ შეუძლია. დროა წავიდეთ.
- არა, მე დამთავრებამდე ვაპირებ დარჩენას, - უპასუხა ჭაბუკმა გადაჭრით და ხმაში სასოწარკვეთილება დაეტყო. - ფრიად ვწუხვარ, რომ ეს საღამო დაკარგეთ. გულწრფელად გთხოვთ, ორივემ მომიტევოთ.
- ძვირფასო დორიან, ალბათ მის ვეინი ავად თუა, - ჩაერია საუბარში ჰოლუორდი. - სხვა დროს მოვალთ კიდევ.
- ძალიან მინდა, რომ მართლაც ასე იყოს, - წამოიძახა ჭაბუკმა. - მაგრამ ჩანს, რომ ის მეტისმეტად ცივი და გულქვა არსება ყოფილა. სრულიად გამოიცვალა. გუშინღამ უდიდესი ხელოვანი იდგა ჩემ წინ. დღეს კი სრულიად უბრალოდ,

გრძნობადაცლილი საშუალო დონეზე მდგარი მსახიობი ქალი.
- ნუ მსჯელობ ასე, დორიან, მის შესახებ, ვინც გიყვართ. სიყვარული ხელოვნებაზე გაცილებით დიადი, ძლიერი და მაღლა მდგომია.
- როგორც ხელოვნება, ისე სიყვარულიც მხოლოდ წამბაძველობის ფორმებია, - შენიშნა ლორდ ჰენრიმ.
- წავიდეთ, ბეზილ. დორიან, გირჩევთ დიდხანს აქ ნურც თქვენ დარჩებით. ცუდი თამაში ადამიანის სულზე ავბედითად მოქმედებს. გარდა ამისა, იმედი მაქვს, მაინდამაინც დიდი სურვილი არ გექნებათ, თქვენი მეუღლე მსახიობად დარჩეს, მაშ, განა სულ ერთი არ არის თქვენთვის, რომ მან, როგორც ხის დედოფალმა, ისე შეასრულოს ჯულიეტას როლი. მეტისმეტად _____მომხიბვლელია, მაგრამ თუ ისევე
ნაკლებად ერკვევა ამქვეყნიურ ცხოვრებაში, როგორც თამაშში, მაშინ მისი დაახლოება ზებუნებრივ სიამოვნებას მოგანიჭებთ, ჩემო ძვირფასო ბიჭუნი. ამქვეყნად მხოლოდ ორი ტიპის ადამიანთ ძალუძთ მოხიბლონ და დაატყვევონ გული. ადამიანებს, რომელნიც მისნის ალღოთი სწვდებიან ცხოვრების ყოველგვარ იდუმალებას და ადამიანებს, რომელთაც არავითარი წარმოდგენაც კი არა აქვთ ამაზე. ღვთის გულისათვის, ჩემო ძვირფასო ბიჭუნი, ნუ განიცდით ნურაფერს! ნუ გამოიყურებით ასე ტრაგიკული სახით! ახალგაზრდობის შენარჩუნების საიდუმლოება ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავი აარიდოთ მღელვარებას, რომელიც ადამიანის სახეზე ულაზათო და უკურნებელ დაღს ტოვებს. წამოდით ჩვენთან ერთად კლუბში! იქ სიგარეტებს გავაბოლებთ და სიბილ ვეინის წარმტაცი სილამაზის სადღეგრძელოს შევსვამთ. ის ხომ სრულქმნილი არსებაა, მეტი რა უნდა გსურდეთ კიდევ ამქვეყნად!
- დატოვეთ აქაურობა, ჰარი! - წამოიძახა ჭაბუკმა, - მსურს მარტო დავრჩე, ბეზილ, თქვენც წადით. ოჰ, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ გული სადაც არის გამისკდება. ჭაბუკს თვალზე ცხარე ცრემლი მოადგა. ბაგე უთრთოდა. ლოჟის სიღრმეში შევარდა, კედელს მიეყრდნო და სახეზე ხელები აიფარა.
- წავიდეთ, ბეზილ, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ მეტად უცნაური გულჩვილობითა და გრძნობამორეული ხმით, და ორი ახალგაზრდა კაცი მაშინვე გავიდა ლოჟიდან. რამდენიმე წუთის შემდეგ სინათლე კვლავ აციმციმდა რამპებში. ფარდა ასწიეს და მესამე მოქმედება დაიწყო. დორიანი თავის ადგილს დაუბრუნდა, თუმცა გაფითრებული იყო, მაგრამ მეტისმეტი სიამაყე და გულგრილობა დამჩნეოდა სახეზე. წარმოდგენა გრძელდებოდა და დასასრული არ უჩანდა. ნახევარი მაყურებელი გარეთ გავიდა, ტლანქი ფეხსაცმელებით დააბოტებდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. ყველაფერი ჩაიშალა. ბოლო მოქმედება თითქმის ცარიელ დარბაზში მიმდინარეობდა. ხითხითსა და ხმამაღლა ოხვრა-დრტვინვაში ბოლოს ფარდაც დაეშვა.
წარმოდგენა დამთავრდა თუ არა, დორიანი სცენის უკან კულისებში შეიჭრა. სიბილ ვეინი თავის ოთახში იდგა და სახეზე აღტაცების ღიმილი დასთამაშებდა. თვალები საოცარი ცეცხლით ანთებული უციმციმებდა და მთელი მისი არსება ირგვლივ შუქს ჰფენდა. ნახევრად გაპობილ ბაგეს ღიმილი მორეოდა, თითქოს

საკუთარი სულის საიდუმლო მხოლოდ მას ერთს ამოეცნო და ის უხაროდა. როდესაც დორიანი შევიდა, გოგონამ ენით აღუწერელი სიამოვნებით შეხედა მას და წამოიძახა:
- რა ცუდად ვითამაშე ამ საღამოს, დორიან.
- საშინლად! - კვერი დაუკრა ჭაბუკმა და განცვიფრებული შეჰყურებდა მას. - თამაში პირდაპირ ამაზრზენი იყო. ავად ხომ არა ხართ? თავზარდამცემი ამბავი მოხდა. ალბათ ვერასოდეს წარმოიდგენთ, როგორ მაწამეთ.
სიბილ ვეინმა გაიღიმა. მერე გრძლად და მუსიკასავით ტკბილი ხმით ისე წარმოთქვა მისი სახელი, თითქოს თაფლზე კიდევ უტკბეს სანუკვარ ნუგბარს დასწაფებოდნენ მისი ბაგის ვარდისფერი ფურცელნი.
- დორიან, თქვენ უნდა ჩასწვდომოდით იმ იდუმალებით აღსავსე წუთების სიდიადეს, მაგრამ ახლა ხომ მიმიხვდით ყოველივეს?
- რას უნდა მიგიხვდეთ? - იკითხა ჭაბუკმა მწყრალად.
- სწორედ იმას, თუ რა იყო ამ აუტანელი თამაშის მიზეზი.
- მაინც რა?
-ამიერიდან მწამს, ყოველთვის ცუდად ვითამაშებ და ვერასოდეს გავიმეორებ იმას, რასაც წინათ ძალდაუტანებლად ვახერხებდი.
დორიანმა განცვიფრებისაგან მხრები აიჩეჩა.
- თქვენ ალბათ ავად ხართ, სიბილ, არ უნდა გეთამაშათ, თუ თავს ცუდად გრძნობდით! ვერ შენიშნეთ, რაოდენ სასაცილო გახდით? ჩემს მეგობრებს თქვენმა თამაშმა თავი მოაბეზრა. მეც მომბეზრდით, რა თქმა უნდა.
სიბილ ვეინი, ეტყობოდა, ამ დროს არც კი უსმენდა ჭაბუკს. ის აღტაცებული იყო და უჩვეულოდ უხაროდა. ბედნიერების ექსტაზს მთელი მისი არსება შთაენთქა და სრულიად გამოეცვალა.
- დორიან, დორიან! - წამოიძახა მან, - სანამ თქვენ გაგიცნობდით, მხოლოდ სცენა იყო ჩემი ცხოვრების თავი და ბოლო. მე მხოლოდ მისით ვსულდგმულობდი. ყოველივე აქ ჭეშმარიტებად მიმაჩნდა. ერთ დღეს თუ როზალინდა ვიყავი, მეორეს - პორცია ბეატრიჩეს სიხარული ჩემს სიხარულად მაჩნდა, ხოლო კორდელიას სიმძიმილი - ჩემს სიმძიმილად. ყოველივე მწამდა. ეს უბრალო ადამიანები, რომლებიც ჩემთან ერთად თამაშობდნენ, ზეციურ პიროვნებებად წარმომედგინა. ეს მრავალფერი შეღებილი დეკორაცია და კულისები ჩემი არსებობის პირველად სამყაროდ. ამქვეყნად არაფერი გამეგებოდა, მხოლოდ აჩრდილნი მეხვია ირგვლივ და მათ ნამდვილ ადამიანებად ვთვლიდი. და აი, სწორედ ამ დროს გამოცხადდით თქვენ, ჩემო უნეტარესო სიყვარულო, და იხსენით ჩემი სული ტყვეობისაგან. თქვენ ჩამახედეთ სინამდვილის არსში. მხოლოდ ამ საღამოს ჩემს სიცოცხლეში პირველად, რაოდენი თვალთმაქცობა შევნიშნე ამ სიცარიელეში. რა სისულელედ წარმომიდგა ეს ყალბი საკარნავალო აურზაური, რომელშიაც ასე გულწრფელად ვიღებდი მონაწილეობას. მხოლოდ ამ საღამოს შევნიშნე პირველად, რა ზიზღის მომგვრელი და შემაძრწუნებელია რომეო - დაბერებული და ათასფრად შეთხუპნული, რომ თვით მთვარის მოციმციმე ნათელიც კი ბაღში მხოლოდ სიყალბეა, დეკორაციები ამაზრზენია და სიტყვები კი, რომელიც მე უნდა

წარმომეთქვა, სინამდვილიდან სრულიად შორს არის. ეს ჩემი სიტყვები არ არის. არ არის ის, რაც გულით მწადია, რომ გითხრათ. თქვენ მე რაღაც ზეციურზე უფრო მაღალ გრძნობას მაზიარეთ, რაღაც ისეთს, რომლის წინაშე მთელი ხელოვნება სინათლის მხოლოდ ბუნდოვანი ანარეკლია. თქვენ შთამაგონეთ, რა არის ჭეშმარიტი სიყვარული ამქვეყნად. ოჰ, სიყვარულო, სიყვარულო! ჩემი ოცნების დამატყვევებელო, მომაჯადოებელო უფლისწულო, თვით სიცოცხლის დაუშრეტელო წყაროვ, გწამდეთ, თავი მომაბეზრეს ამ აჩრდილებმა! თქვენ გაცილებით მეტი ხართ ჩემთვის, ვიდრე მთელი ხელოვნება ერთად აღებული. რა საერთო მაქვს ამ მოთამაშე ტიკინებთან? როდესაც დღეს თეატრში შემოვდგი ფეხი, ვერ გავიგე, რა მოხდა ჩემს სულში. მაგრამ ცხადად ვიგრძენი, რომ ყოველივე მეტისმეტად უცხო იყო ჩემთვის. ვფიქრობდი, შესანიშნავად ვითამაშებდი, მაგრამ მალევე აღმოვაჩინე, რომ თამაში სრულიადაც არ ძალმიძდა. უცებ სულში ჩამწვდომმა ხმამ გამომაფხიზლა და მივხვდი, რას ნიშნავდა ყოველივე. ამ სულიერი საიდუმლოს ამოკითხვა საკუთარი არსებიდან, ოჰ, რა სიამედ იქცა ჩემთვის. გავიგონე, როგორ უსტვენდნენ დარბაზში და ხითხითებდნენ ეს უგონო მაყურებლები. რა გაეგებათ მათ ისეთი სიყვარულისა, რომელიც ჩვენ გვხვდა წილად. განმაშორეთ აქაურობას, დორიან, წამიყვანეთ სადმე შორს თქვენთან ერთად, სადაც განმარტოებით შეგვეძლება ყოფნა. მე ახლა მთელი ჩემი არსებით მძულს სცენა. ადრე თავისუფლად შემეძლო განმესახიერებინა იმ ადამიანთა როლი და გადმომეცა მათი ის უკვდავი განცდანი, რომელთაც ჩემი საკუთარი გულის სიმი არასოდეს აუთრთოლებიათ, მაგრამ ახლა არ ძალმიძს მათი გამეორება, რადგან სიყვარული ჩემს არსებას ცეცხლივით შემოეგზნო და ულმობლად სწვავს. ოჰ, დორიან, ალბათ უკვე მიხვდით, რასაც ნიშნავს ეს ყოველივე? დავუშვათ, შევძლო კიდეც კვლავ განვასახიერო სიყვარული, ეს ხომ ნამდვილი პროფანაცია იქნება. ამ ყველასათვის მიუწვდომელ იდუმალ სიტკბოებას კი თვით თქვენ მაზიარეთ. დორიან გრეი მოცელილივით ჩაეშვა სავარძელში, შეტრიალდა, გოგონას თვალი აარიდა და ჩაიბუტბუტა:

- თქვენ მოკალით ჩემი სიყვარული, სიბილ!

სიბილ ვეინმა მეტად განცვიფრებით გადახედა ჭაბუკს და გადაიკისკისა. ვაჟი დუმდა, გოგონა მიუახლოვდა მას და პაწაწინა თლილი თითებით თმა აუწეწა, მერე მუხლებზე დაეშვა მის წინ და დორიანის ხელებს დაეკონა. დორიანმა ხელი გამოსტაცა. ჟრუანტელი მთელს სხეულში უვლიდა და თრთოდა. მერე სწრაფად წამოხტა და კარისაკენ გაემართა.

- დიახ, - წამოიძახა მან, - თქვენ მოკალით ჩემში სიყვარულის დიადი გრძნობა! თქვენ მოკალით დიდი სიყვარული! თქვენ შეგეძლოთ აგეღელვებინათ ჩემში სული და შეგეშფოთებინათ წარმოსახვის უნარი. ახლა უბრალო ცნობისმოყვარეობასაც ვერ აღმიძრავთ, თქვენ ჩემს თვალში უკვე არარაობად იქეცით. მიყვარდით იმიტომ, რომ განუმეორებელი თამაში შეგეძლოთ. გამოგიტყდებით, რომ გენიალური მეგონეთ და თქვენში დიდ ნიჭს ვჭვრეტდი. ალბათ იმიტომაც, რომ უდიდეს პოეტთა ოცნებას ახორციელებდით, ფორმას

აძლევდით არახორცსხმულ გამოსახულებათ, თუ აჩრდილთ ხელოვნებაში. ახლა ეს ყოველივე შორს არის თქვენგან და გამოფიტულ უსულო თავცარიელ არსებად ქცეულხართ. ღმერთო ჩემო, რა სულელი ვიყავი, რომ თქვენ მიყვარდით! ოჰ, რაოდენად სულელი! ახლა თქვენ არარა ხართ ჩემთვის. არ მსურს ოდესმე კიდევ გიხილოთ სადმე. არასოდეს არ ვიფიქრებ ამიერიდან თქვენზე და არც თქვენს სახელს ვახსენებ ოდესმე. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა იყავით ჩემთვის ერთ დროს! რატომ ერთ დროს?.. ოჰ, არ ძალმიძს მასზე კვლავ ფიქრი! კარგი იქნებოდა, თვალიც არ მომეკრა თქვენთვის არასოდეს რა ცოტა გესმით სიყვარულისა, თუ იმას ამბობთ, რომ მან აღმოფხვრა თქვენს სულში ხელოვნებისადმი სწრაფვა და სიყვარული. ხელოვნების გარეშე არარა ხართ მხოლოდ. მინდოდა საქვეყნოდ ცნობილი გამეხადეთ, შესანიშნავი და ბრწყინვალე. ქვეყნიერება გაგაღმერთებდათ, თქვენ კი ჩემს სახელს ატარებდით. ჩემსას, გესმით? ახლა კი რაღა ხართ? ლამაზი სახის, მდარე, საშუალო დონის მსახიობი ქალი.
სიბილ ვეინი გაფითრდა და აცახცახდა. ხელები ერთმანეთს გადააჭდო და ხმა ვეღარ ამოიღო.
- თქვენ ამას განა სერიოზულად ამბობთ? დორიან! ეს შეუძლებელია! - ჩურჩულით წარმოთქვა მან. - თქვენ ხომ თამაშობთ?
- ვთამაშობ? არა, თამაში თქვენთვის დამითმია. თქვენ მას მეტად განსაცვიფრებლად ახერხებთ, - ჩაილაპარაკა ჭაბუკმა მწარედ.
სიბილ ვეინი წამოდგა და მიუახლოვდა. სახეზე მეტად შესაბრალისი გამომეტყველება და მძიმე განცდათა კვალი დამჩნეოდა, ჭაბუკს ხელი მკლავზე შეახო და თვალებში ჩახედა, მაგრამ დორიანმა ხელი ჰკრა, თავიდან მოიშორა და წამოიყვირა:
- არ მომეკაროთ!
მძიმე ოხვრა აღმოხდა ქალს, მის ფეხებთან ჩაიკეცა და ფეხქვეშგათელილი ყვავილივით უსულოდ ესვენა დიდხანს იატაკზე.
- დორიან, დორიან, ნუ დამტოვებთ, - ემუდარებოდა ჩურჩულით ვაჟს. - ოჰ, როგორ ვწუხვარ, რომ კარგად ვერ ვითამაშე. ეს ხომ მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ სულ თქვენზე ვფიქრობდი? მაგრამ ვეცდები, დიახ, ამიერიდან ვეცდები, რომ ისევ ისე ვითამაშო. ოჰ, როგორ უეცრად გამოცხადდა სიყვარული ჩემ წინაშე. მის ძლიერებას ხომ ვერასოდეს ჩავწვდებოდი. თქვენ რომ არ გეკოცნათ ჩემთვის? ჩვენი ბაგენი ურთიერთს რომ არ შეხებოდა. კიდევ მაკოცეთ ერთხელ, სულო. გევედრებით ნუ დამტოვებთ! ოჰ, ღმერთო დიდებულო, შენ დაგვიხსენი. ჩემი ძმა... მაგრამ არა, ის ხომ ამას არ ფიქრობდა. მან მხოლოდ იხუმრა... მაგრამ, თქვენ, ოჰ! ნუთუ არ შეგიძლიათ მაპატიოთ ამაღელვებელი დანაშაული?.. თავს არ დავზოგავ, ისე ვიშრომებ და ყოველივეს გამოვასწორებ. ნუ მომექცევით ასე მკაცრად, რადგან ამქვეყნად ყველაზე მეტად თქვენ მიყვარხართ. გაღმერთებთ! ბოლოს და ბოლოს განა მხოლოდ ერთხელ არ მოხდა, რომ ვერ გაგიგეთ და ვერ გასიამოვნეთ? თქვენ სრულიად მართალი ხართ დორიან. მე არ უნდა დამვიწყებოდა, რომ მსახიობი ვიყავი. ეს, რა თქმა უნდა, სისულელე იყო, მაგრამ თავი ვერ შევიკავე. ოჰ, ნუ დამტოვებთ, ნუ დამტოვებთ, სულო... გემუდარებით...

ცხარე ცრემლი და ენით აღუწერელი ქვითინი თითქოს გუდავდა გოგონას. როგორც დაჭრილი, იატაკზე ფორთხვით მიიწევდა ჭაბუკისაკენ. დორიან გრეი კი ვარსკვლავებივით მოკიაფე, მრავალმეტყველი თვალით ამაყად დასცქეროდა ზემოდან, მისი ულამაზესი ბაგენი სიძულვილის ამსახველ ნაოჭს შეერხია. იმ ადამიანთა ტანჯვა-ვაებაში, ვინც მიატოვეს და აღარ უყვართ, ყოველთვის არის თითქოს რაღაც სასაცილო და სიბილ ვეინის მდუღარე ცრემლი და ვაება ჭაბუკს უაზრო მელოდრამატულ საქციელად ეჩვენებოდა. მისი ქვითინი და დაუსრულებელი ცრემლი უკვე აღიზიანებდა ვაჟს.
- მივდივარ, - წარმოთქვა დორიანმა ბოლოს მეტად გარკვევით და წყნარად. - არ მინდოდა ასე მკაცრად და გულცივად მოგქცეოდით, მაგრამ არ შემიძლია კვლავ შეგხედოთ. თქვენ რწმენა დამიკარგეთ და იმედი გამიცრუეთ.
სიბილ ვეინი ჩუმად ტიროდა, დუმდა და კვლავ ვაჟისაკენ მიცოცავდა. პაწაწინა ხელები წინ ბრმასავით გაიწოდა და ჩანდა, ჭაბუკს დაეძებდა, მაგრამ დორიანი მიტრიალდა და ოთახი დატოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი თეატრიდან გავიდა. ჭაბუკი მიდიოდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო საით? უფრო გვიან ახსენდებოდა, რომ ბუნდოვნად განათებული ქუჩები ჩაიარა და პირქუში ჩაბნელებული თაღების ქვეშ, ამაზრზენი შესახედაობის სახლების წინ დიდხანს დაეხეტებოდა. ხმაჩახლეჩილი უსიამოვნო სიცილით ვიღაც ქალები მისჩხაოდნენ უკან. მთვრალი მამაკაცები ბარბაცობდნენ, ილანძღებოდნენ და უშველებელი მაიმუნებივით დაღრეჯილნი საკუთარ თავს ებუტბუტებოდნენ. ზოგიერთი კარის ზღურბლზე საცოდავი მახინჯი ბავშვები შენიშნა თავშეყრილი. ჩაბნელებული ეზოებიდან გულშემზარავი კივილი და ლანძღვა მოისმოდა.
ალიონზე იგრძნო ჭაბუკმა მხოლოდ, რომ კოვენტ გარდენის[42] მახლობლად იმყოფებოდა. სიბნელე გაიფანტა და ნათელი შუქი მკრთალ ცეცხლისფრად აციაგდა. ცამ პირი გადაიწმინდა და ისე გაბრწყინდა, როგორც თვალისმომჭრელი მარგალიტი. გაკრიალებულ ცარიელ ქუჩებში უშველებელი ორთვალები ზანტად მირახრახებდნენ, ისინი ჯერ კიდევ მთვლემარე შროშანებით იყო სავსე. ჰაერი ყვავილების სურნელებით გაჟღენთილიყო და მათი სილამაზე თითქოს ტკივილის გამაყრუებელ უებარ მალამოდ ეცხებოდა ცასა და მიწის მძიმე ჭრილობებს. ის ბაზარში შევიდა და ფურგონების გადმოტვირთვას აკვირდებოდა. ერთმა თეთრ ბალახინში გამოწყობილმა მეფურგონემ ალუბალიც კი შესთავაზა. დორიანმა მადლობა გადაუხადა და უკვირდა რატომ განაცხადა ამ კაცმა უარი ფულის აღებაზე. მოღლილ-მოქანცული ჭაბუკი ალუბლის ჭამას შეუდგა. ეტყობა ეს მეტად გემრიელი ხილი შუაღამისას მოეკრიფათ და მთვარის გათოშილ სხივთა სიგრილე შეჭრილიყო მასში. მის წინ გრძელმწკრივად ჩაიქროლეს კალათიანმა ბიჭებმა, რომელთაც ზოლიანი ტიტა და მზისფერი თუ ხასხასა წითელი ვარდები მიჰქონდათ ბაზარში, ისინი გზას ძლივძლივობით მიიკვლევდნენ უზარმაზარ ხვავებად დამდგარი ნაზი მწვანე ფერის სხვადასხვანაირ ბოსტნეულს შორის. პორტიკის ქვეშ გაცრეცილი მზის სხივებით გაბრწყინებულ სვეტებს შორის უსაქმოდ, ჯგუფ-ჯგუფად დაეხეტებოდნენ დაბალი წრის თავშიშველა გოგონები და საჯარო ვაჭრობის დასასრულს ელოდებოდნენ. მეორე ჯგუფს თავი შეეყარა

პიაცაში[43], ერთ-ერთი კაფის მბრუნავი კარის ირგვლივ. ფურგონის ცხენებს უსწორმასწორო, პირწამახულ ქვებზე ფეხი უსხლტებოდათ, ფეხებს აბაკუნებდნენ, ბორძიკობდნენ და ზარებსა და აღკაზმულობას აჟღარუნებდნენ. ზოგიერთი მეფურგონე დასაძინებლად მაღლა აზვინულ ტომრებზე გაშხლართულიყო. ვარდისფერფეხიანი მტრედები, რომელთაც კისერზე მუქი ცისფერი ბუმბული უბრწყინავდათ, დაფანტულ მარცვლებს შორის წაღმა-უკუღმა ტრიალებდნენ.
რამდენიმე ხნის შემდეგ ჭაბუკმა ორთვალიან ეტლს მოუხმო და შინისაკენ გეშურა. მცირე ხანს კარის ზღურბლზე იდგა და მდუმარე მოედანს გაჰყურებდა. სასახლის სარკმელები მჭიდროდ იყო დახშული და შიგნიდან მყვირალა ნათელი ფერის ფარდები მოჩანდა. ცა მოწმენდილი და ოპალის[44] ფერი იყო. მის ფონზე სახლის სახურავები ვერცხლისფრად ლაპლაპებდნენ, რომელიღაც ბუხრიდან მოპირდაპირე მხარეს კვამლი წვრილ ზოლად ამოდიოდა და ლალისფრად ეხვეოდა სადაფისფერ ჰაერში.
შესასვლელში მუხის პანელიან ფართო დერეფანში უზარმაზარი მოოქროვილი ვენეციური ფარანი ეკიდა ჭერში, რომელიც ალბათ რომელიმე დოჟის გონდოლიდან იყო ერთ დროს მოტაცებული. სინათლე ჯერ კიდევ სამ აირმაშუქში ციმციმებდა. ალის თხელ მოცისფრო ფურცლებად ენთო და ცეცხლის თეთრი რკალი ჩარჩოსებურად გარს ევლებოდა. დორიანმა ჩააქრო ისინი და საძინებელი ოთახისაკენ გაეშურა. ეს საკმაოდ დიდი რვაკუთხედი ოთახი იყო პირველ სართულზე, რომელიც მან ფუფუნებისადმი თავისებური მიდრეკილებისა და გემოვნების მიხედვით დაალაგებინა და კედლებზე ჯერ კიდევ რენესანსის დროინდელი, ხმარებიდან კარგა ხნის ამოღებული გობელენები ჩამოჰკიდა. ეს გობელენები უხვად აღმოჩნდა სელბის სასახლის სხვენზე. როგორც კი კარის სახელურს ხელი შეახო და უნდა გადაეტრიალებინა, უცებ თვალი ბეზილ ჰოლუორდის მიერ დახატულ საკუთარ პორტრეტზე შეაჩერა და უჩვეულო განცვიფრებისაგან სწრაფად დაიხია უკან. მერე საკუთარ ოთახში ჩაიკეტა და საგონებელს მიეცა. ღილის კილოდან ყვავილი გამოიღო და ყოყმანი დაეტყო. ბოლოს ისევ ბიბლიოთეკაში დაბრუნდა, პორტრეტთან ახლოს მივიდა და განცვიფრებით თვალიერება დაუწყო. ბუნდოვან სინათლეზე, რომელსაც მოყვითალო აბრეშუმის ფერები კიდევ უფრო მეტ ჩრდილს მატებდა, პორტრეტი სახეშეცვლილი მოეჩვენა. გამომეტყველება სრულიად გამოსცვლოდა, თითქოს ბაგის კუთხეებში ბოროტებას თავისი მსახვრელი ხელი შეეხო და დაღი დაემჩნია. ადამიანის თვალს ამის დანახვა არ გაუჭირდებოდა, რაც ფრიად საოცარი გახლდათ.
შემოტრიალდა, სარკმელთან მივიდა და ფარდები ასწია. ალიონის მოციაგე, ბრწყინვალე სხივებით აივსო ოთახი. ღამის ფანტასტიკური ჩრდილები ბნელ კუთხეებში მირეკა, სადაც ისინი სინათლისაგან შეშფოთებულნი საწყალობლად ცახცახებდნენ. მაგრამ ის უცნაური გამომეტყველება, რომელიც მან პორტრეტზე შენიშნა, ისევ მოჩანდა და ამასთანავე უფრო ნათლად, გარკვევით. მოცახცახე, ნათელ მზის სხივებზე ჭაბუკმა შენიშნა, პორტრეტს საშინელი სიმკაცრის უტყუარი

ნიშნები დაღად დამჩნეოდა ალისფერი ბაგის კუთხეებში. ეს ყოველივე ისე ნათლად მოჩანდა, თითქოს რაღაც მძიმე დანაშაულის ჩადენის მერე უცებ სარკეში დაენახოს საკუთარი სახე.
დორიანს მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა. მაგიდიდან ოვალური სარკე აიღო, რომლის სპილოს ძვლის ჩარჩოზე პაწაწინა კუპიდონები იყო ამოკვეთილი და სწრაფად მის გაკრიალებულ სიღრმეში ჩაიხედა. ეს სარკე სხვა უამრავ ძვირფას საჩუქართან ერთად ლორდ ჰენრის მიძღვნილი იყო. არა, მის ალისფერ ბაგეს არავითარი სიმახინჯის კვალი არ აჩნდა. რას უნდა ნიშნავდეს ეს ყოველივე?
დორიანმა თვალები მოიფშვნიტა, სურათს მიუახლოვდა და სინჯვა დაუწყო. ტილოზე საღებავს ოდნავი ცვლილებების ნიშანიც კი არსად ემჩნეოდა. მაგრამ სახის გამომეტყველება ნამდვილად შეცვლილიყო. არა, ეს უკვე მოჩვენებას არ ჰგავდა. ჭაბუკს საშინელი სინამდვილე ედგა თვალწინ.
დორიანი სავარძელში ჩაეშვა და ფიქრს მიეცა. უცებ გაახსენდა, რაც ბეზილ ჰოლუორდის სახელოსნოში წამოსცდა სურათის დამთავრების დღეს. დიახ, ყოველივე ნათლად ახსოვდა. სწორედ იქ შეიპყრო გიჟურმა სწრაფვამ და ყოვლად უგუნური აღთქმა დასცდა. ნათლად ახსოვდა, რაც ისურვა: მისი ჭაბუკური მშვენება მარად ხელშეუხებელი დარჩენილიყო და სიბერით გამოწვეული ყველა ცხოვრებისეული დაღის ნაკვალევი პორტრეტზე აღბეჭდილიყო. სურდა ტილოზე დახატულ ადამიანის სახეს და გამომეტყველებას დამჩნეოდა მის უმძიმეს განცდათა და ქვეყნიურ ცოდვათა ღრმა ნაკვალევი. დიახ, პორტრეტს დაღაროდა სახე აუტანელი ტანჯვისა და დაუსრულებელი ფიქრისაგან. მას კი თვით მარადისობისათვის შეენახა ეს ჰაეროვანი ფერი და ენით აღუწერელი ადამიანური მშვენება, რომელმაც ის იყო შეატყობინა სიჭაბუკე. ნუთუ მისი სურვილი ახდა? არა, საოცრებანი ასე იოლად არ ხდება, მეტად შემაძრწუნებელი კი იყო ამაზე ფიქრი, მაგრამ მას წინ ეკიდა პორტრეტი, რომელსაც ბაგის კუთხეებში საშინელი სიბოროტის კვალი დამჩნეოდა.
სიბოროტე? ნუთუ ის ასე მოიქცა? განა ყველაფერი თვით სიბილ ვეინის დანაშაული არ იყო? ჭაბუკმა ხომ ის დიდ მსახიობად წარმოიდგინა და მხოლოდ ამისათვის ეთაყვანებოდა, მაგრამ გოგონამ იმედი გაუცრუა, ის უცებ არარაობად იქცა და მისი წრფელი სიყვარულის ღირსი ვერ გახდა. მაგრამ ახლა უსაზღვრო სინანულის გრძნობამ დარია დორიანს ხელი. აგონდებოდა, როგორ განწირული ფორთხავდა სიბილ ვეინი იატაკზე მის ფეხქვეშ და პაწაწინა ბავშვივით ქვითინებდა. გაიხსენა, როგორი გულცივობა გამოიჩინა და ან რა გრძნობით შეშფოთებული დაჰყურებდა ზევიდან. რისთვის მოიქცა ასე? რატომ დაიბადა ასე გულქვა ადამიანად და ან რად დაჰყვა ეს უცნაური სული? მაგრამ თვითონაც ხომ იტანჯება უზომოდ? იმ სამი ჯოჯოხეთურად საზარელი საათის განმავლობაში, სანამ სპექტაკლი მიმდინარეობდა, თითქმის ერთი საუკუნის უმძიმესი ტკივილი გადაიტანა. დიახ, ეს ალბათ სამარადისო წამება იყო. განა ღირს, რომ ამ გოგონას შესწიროს მთელი ცხოვრება? თუ ჭაბუკმა მის გულს სამუდამო ჭრილობა მიაყენა, განა სიბილ ვეინმა ცოტა ხნით მაინც ბნელად არ უქცია ეს სამყარო? გარდა ამისა,

ამბობენ, რომ ქალები ტანჯვა-წამების ასატანად გაუჩენია ღმერთს, ისინი კაცებთან შედარებით ყველა განსაცდელს უკეთ უძლებენო. მხოლოდ გრძნობით ცხოვრობენ და ამ გრძნობებზე ფიქრითვე არსებობენ, როდესაც საყვარელს იჩენენ ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს სცენები მოუწყონ. ასე ამბობს ლორდ ჰენრი და ლორდ ჰენრი ყველაზე უკეთ იცნობს ამ სქესს.
რისთვის უნდა ეწამოს სიბილ ვეინზე ფიქრით? ის ხომ ამიერიდან არარაობას წარმოადგენს მისთვის?
მაგრამ პორტრეტი? როგორ მოიქცეს? ის ხომ ინახავს მის საიდუმლოს და შესაძლოა ყველას ამცნოს. ამ პორტრეტმა ასწავლა საკუთარი სილამაზის ფასი და სიყვარული. ნუთუ იგივე პორტრეტი შეაძულებს საკუთარ სულს? მაგრამ როგორ უნდა უყუროს ამიერიდან მას?
არა, ეს მხოლოდ გრძნობათა ცდუნებაა, რომელსაც მასში სულიერი სასოწარკვეთილება იწვევს. ჭაბუკმა ხომ საზარელი რამის სიმძიმე გადაიტანა და ალბათ სწორედ ამ ავბედითმა რამემ წარუშლელი კვალი დატოვა სულზე. უცებ მის გონებაში ბურღივით დატრიალდა პაწაწინა ცეცხლისფერი ნაპერწკალი, რომელიც ადამიანს ჭკუაზე შეშლის ხოლმე. პორტრეტი სრულიად არ შეცვლილა. ამის წარმოდგენა კი ნამდვილად გონიერების დაკარგვას უდრიდა.
ადამიანი კი უმზერდა მას პორტრეტიდან უმშვენიერესი სახით, რომელსაც ბაგის ჯერ კიდევ სრულიად ახალთახალ უფერულ ნაოჭებში ულმობელი სისასტიკის ნიშანი დამჩნეოდა. ოქროსფერი თმა დილის მზის სხივებზე უბრწყინავდა. დორიანმა თვალი თვალში გაუყარა ტილოზე ასახული ჭაბუკის ცისფერ თვალებს და განუზომელი სიბრალულის გრძნობამ შესძრა მისი გული. ებრალებოდა არა უკვე საკუთარი თავი, არამედ პორტრეტიდან მომზირალი ადამიანი. მას ხომ გამომეტყველება შეეცვალა და კიდევ მეტი საშიშროება იყო მოსალოდნელი! ოქროსფერ კულულებს ჭაღარა შეცვლის. წარსულს ჩაბარდება ამ პირმშვენიერი სახის რძისა და ვარდის ერთურთში შეზავებული ფერი და ყოველი ცოდვა, რომელსაც ამიერიდან ის ჩაიდენს, გულშემზარავ დაღად დააჩნდება პორტრეტს და წარიტაცებს მის მშვენებას!
არა, დორიანი ამიერიდან არავითარ ცოდვას არ ჩაიდენს! ნუთუ მაშინაც შეიცვლება პორტრეტი? ალბათ ბედისწერის წყალობით ეს პორტრეტი ამიერიდან მისი სინდისის ხილულ ემბლემად გადაიქცევა. მაგრამ ჭაბუკი შესძლებს და გაუმკლავდება ცდუნებას. არასოდეს შეხვდება ლორდ ჰენრის. ყოველ შემთხვევაში, არ მოისმენს იდუმალი საწამლავივით მოქმედ მის თეორიებს, რომელიც ბეზილ ჰოლუორდის ბაღში მოისმინა და რომელთაც პირველად სიცოცხლეში ამქვეყნიური შეუძლებელ და განუხორციელებელ სიამეთა მიღების ჩაუქრობელი წყურვილი გაუღვიძეს. ის დაუბრუნდება სიბილ ვეინს. სთხოვს პატიებას; ცოლად შეირთავს და შეეცდება იმავე გრძნობით შეიყვაროს. დიახ, ეს მისი ვალია და სიტყვას არ გატეხს. ალბათ სიბილ ვეინი გაცილებით მეტად ეწამა მასთან შედარებით. საბრალო ბავშვი! მეტად ბოროტი და გულცივი ეგოისტის როლი გაითამაშა ჭაბუკმა მის წინაშე. საოცნებო გრძნობანი, რომელიც სიბილის გულში ღვივიან, კვლავ აღსდგება, კვლავ ბედნიერებას ეზიარებიან ერთად. მისი

ცხოვრების გზა სიბილ ვეინთან ერთად ნეტარი და წმიდათაწმიდა იქნება. დორიანი სავარძლიდან წამოდგა და ფართო და მაღალი თეჯირი პორტრეტის წინ მიაცურა, თან ისევ თრთოლვით შეაპარა თვალი.
- რა საშინელებაა! - ჩაიჩურჩულა თავისთვის. მერე სარკმელთან მივიდა და გამოაღო.
ცოტა ხნის შემდეგ ბაღში ჩავიდა, როგორც კი ბალახს ფეხი შეახო, ღრმად ამოისუნთქა. დილის სუფთა ჰაერმა ბნელი გრძნობანი განუფანტა. ამ წამში ჭაბუკი მხოლოდ სიბილ ვეინზე ფიქრობდა. მის სულში კვლავ ცოცხლად გაისმოდა ამ საბედისწერო სიყვარულის სუსტი გამოძახილი. ჭაბუკი დაუსრულებლად იმეორებდა მის სახელს. ფრინველები კი ჭიკჭიკით ახლად ცვარნაპკურებ წალკოტში, ჩანდა, ყვავილებს უამბობდნენ შეყვარებული ქალიშვილის ამბავს.

თავი VIII

შუადღე კარგა ხნის გასული იყო, როდესაც დორიანმა გამოიღვიძა. მსახური ფეხის წვერებზე უკვე რამდენჯერმე შევიდა მის ოთახში და უთვალთვალებდა, როდის გაინძრეოდა. უკვირდა კიდეც რამ დააძინა მისი ახალგაზრდა ბატონი ამდენ ხანს. ბოლოს საძინებელი ოთახიდან ზარის ხმა მოისმა, ვიქტორი ფრთხილად შევიდა, ძველებური სევრის ფაიფურის ლანგრით ერთი ფინჯანი ჩაი და რამდენიმე წერილი მიართვა ბატონს და სამივე სარკმელზე ნარინჯისფერი ატლასის ფარდები გადასწია, რომლებსაც იისფერი სარჩული ჰქონდა გამოკრული.
- რა კარგად გეძინათ ამ დილით, მუსიო, - შეესიტყვა ვიქტორი ღიმილით.
- რომელი საათია, ვიქტორ? - იკითხა ჯერ ისევ მთვლემარე დორიანმა.
- ორის თხუთმეტი წუთი გახლავთ. მუსიო.
- ოჰ, რა დიდი დრო გასულა! - დორიანი საწოლში წამოჯდა. ჩაის ნელ-ნელა სვამდა და თან წერილებს ათვალიერებდა. ერთი მათგანი ლორდ ჰენრისაგან იყო და ამ დილით მის მსახურს მოეტანა. ერთ წამს ყოყმანობდა, წაეკითხა თუ არა მისი წერილი. სხვებს კი გულგრილად ხსნიდა. ეს ჩვეულებრივი წერილები გახლდათ, რომლითაც სადილად იწვევდნენ, ბილეთები დახურული სპექტაკლების გასინჯვაზე, საქველმოქმედო კონცერტების პროგრამები და მისი მსგავსი სხვა მოსაწვევი ბარათები, რომლებსაც სიტყვასიტყვით აყრიან მაღალი საზოგადოების ახალგაზრდებს თითქმის ყოველ დილით გაცხარებული სეზონის დროს. იყო აგრეთვე ანგარიში ლუი მეთხუთმეტის დროინდელი ნაჭედი ვერცხლის მინიატურულ ნივთებზე სატუალეტო მაგიდისათვის, რომლის გაგზავნას თავისი მეურვეებისათვის, რა თქმა უნდა, დორიანი ვერ გაბედავდა. მეურვენი იმდენად ძველი შეხედულების ადამიანები იყვნენ, ვერ წარმოედგინათ, რომ ჩვენ ისეთ საუკუნეში გვიხდებოდა ცხოვრება, როდესაც სრულიად უსარგებლო საგნები ყველაზე დიდ საჭიროებას წარმოადგენს ადამიანთათვის. წაიკითხა აგრეთვე მეტად თავაზიანი უწყებები ჯერმინსტრიტის მევახშეებისაგან. ისინი პირველი მოთხოვნისთანავე სესხად სთავაზობდნენ, რა სახის თანხაც სურდა ყველაზე ხელსაყრელი პროცენტით.

დაახლოებით ათი წუთის შემდეგ დორიანი წამოდგა, აბრეშუმით გაწყობილი ელეგანტური ქაშმირის დილის ხალათი შემოიცვა და ონიქსით მოპირკეთებულ სააბაზანო ოთახში შევიდა. დიდი ხნის ძილის შემდეგ ცივმა წყალმა გამოაფხიზლა. ჩანდა წამიერად გადაავიწყდა კიდეც, რაც თავს გადახდა, მხოლოდ რამდენჯერმე, ისიც ბუნდოვნად, მოაგონდა, რომ ის რაღაც უჩვეულო ტრაგედიის მონაწილე იყო, მაგრამ ეს მხოლოდ სიზმარივით ახსოვდა. როგორც კი ჩაიცვა, ბიბლიოთეკაში შევიდა და ღია სარკმელთან მსუბუქ საუზმეს შეექცა, რომელიც პატარა მრგვალ მაგიდაზე გაეწყოთ. შესანიშნავი დღე იყო. თბილი ჰაერი მოჭარბებულ სურნელებას დაემძიმებინა. ფუტკარი ბზუილით შემოფრინდა და ლაჟვარდისფერ უზარმაზარ ლარნაკს თავს დასტრიალებდა, ლარნაკი გოგირდისფერი ვარდებით იყო სავსე და სწორედ დორიანის წინ იდგა. ჭაბუკი თავს ბედნიერად გრძნობდა.
უცებ პორტრეტის წინ თეჯირს მოჰკრა თვალი, საოცრად შეკრთა და გააჟრჟოლა.
- გცივათ, მუსიო? - ჰკითხა მსახურმა. ვიქტორი ამ დროს ომლეტს სთავაზობდა მას. - გნებავთ სარკმელს დავხურავ.
დორიანმა თავი გააქნია.
- არა, არ მცივა, - ჩურჩულით ჩაილაპარაკა მან და საგონებელს მიეცა.
ნუთუ ეს ყოველივე შესაძლებელია? ნუთუ მართლა რაიმე ცვლილება მოჩანს პორტრეტზე? იქნებ ყოველივე მისი საკუთარი წარმოსახვის ბრალია, და ის აიძულებს იფიქროს, რომ რაღაც იდუმალება მზაკვრულმა გამომეტყველებამ სიხარულის ნიშანწყალი სრულიად გააქრო მასზე. დარწმუნებული ვარ, ტილოზე საღებავი არ შეიცვლებოდა. ეს ხომ მტკნარი სისულელეა! კარგი იქნება ეს ამბავი ბეზილ ჰოლუორდს ვუამბო ამ დღეებში, თუმცა ეს მხოლოდ მის ღიმილს გამოიწვევს.
მაგრამ რა ცოცხლად ახსოვს ყოველივე! პირველად დაისისებურ ბინდბუნდში მოელანდა თითქოს, მერე კი მზის სხივებით გაცისკროვნებულ ალიონზე. ჭაბუკმა ხომ სრულიად გარკვევით შენიშნა ის ავბედითი საოცარი ნიშნები, რომელსაც დაემახინჯებინა ბაგე. ახლა კი შეშინებული თრთოლვით ელოდა იმ წამს, როდესაც ლაქია გავიდოდა ოთახიდან, მარტო შთენილი თავს ვერ შეიკავებდა, ცდუნება სძლევდა და სურათს კვლავ დაუწყებდა სინჯვას. სინამდვილის შეცნობა საბედისწერო შიშს ჰგვრიდა. როდესაც ყავა და სიგარეტი მოართვეს და მსახური გასასვლელად შეტრიალდა, დორიანს მხოლოდ ერთი სურვილიღა შერჩენოდა - როგორმე შეეჩერებინა ის. მსახური გავიდა თუ არა, კარი მიხურა, ჭაბუკმა უკანვე შემოიხმო. ვიქტორი იდგა და მის ბრძანებას ელოდა, რამდენიმე წამს დორიანი გაქვავებული იდგა და დადუმებული შეჰყურებდა.
- ვინც უნდა მიკითხოს, შინ არა ვარ, ვიქტორ, - ჩაილაპარაკა მან ბოლოს ოხვრით.
ვიქტორმა თავი დაუკრა და გავიდა.
დორიანი წამოდგა, სიგარეტს მოუკიდა და დიდი თეჯირის მოპირდაპირედ, რომელიც პორტრეტს მთლიანად ფარავდა, ბალიშებით სავსე ტახტზე გადაწვა. თეჯირი ძველებური იყო. ლუი მეთოთხმეტის[45] სტილზე ნაკეთები, - ესპანური ოქროს ვარაყში დაფერილი ტარსიკონი მრავალნაირი ხასხასა ფერებით

მოხატული მოჩანდა. დორიანი თვალმოუშორებლად აკვირდებოდა მას და ფიქრობდა, ნეტავი ოდესმე წინათაც თუ ხვდომია წილად ამ თეჯირს ადამიანის საიდუმლოს დაფარვაო.
სხვა ადგილი მოუძებნოს თეჯირს, თუ უმჯობესია იქვე დატოვოს? მაინც რა საჭიროა საიდუმლოს გაგება? ოჰ, რა საშინელებას უქადის ეს ამბავი, თუ ყოველივე მართალია. იქნებ არ არის მართალი, მაშინ რად უნდა ეწამოს ასე? მაგრამ ხომ შესაძლოა უცხო ადამიანი საბედისწერო შემთხვევით ან ფარული ზრახვით მოხვდეს მის უკან და პორტრეტზე ამ საზარელ ცვლილებას წააწყდეს? რა უნდა ქნას მაშინ, თუ ბეზილ ჰოლუორდი ეწვია და საკუთარი ქმნილების ხილვა ისურვა? ბეზილს ხომ ყოველთვის ექნება ასეთი სურვილი? არა, პორტრეტს აუცილებლად კიდევ უნდა შეავლოს თვალი და თანაც დაუყოვნებლივ. სიკვდილი ხშირად ბევრით სჯობს ეჭვით ესოდენ ნაწამები სულის დაუსრულებელ შფოთვას. დორიანი წამოდგა და ორივე კარი ჩაკეტა. სურდა მარტოდმარტო ყოფილიყო თავისი სამარცხვინო საქციელის წინაშე. ჭაბუკმა თეჯირი გვერდით მიაცურა და პორტრეტის პირისპირ აღმოჩნდა.
და ჰოი, საშინელებავ, ჭაბუკი სავალალო ჭეშმარიტების წინაშე წარსდგა. სურათი შეცვლილი იყო.
დორიანი მოგვიანებით ძალიან ხშირად განცვიფრებით იგონებდა, რომ ის პირველ წუთებში აკვირდებოდა პორტრეტს წმინდა ობიექტური თვალსაზრისით. ასეთი ცვლილების მოხდენა დაუჯერებლად მიაჩნდა და სინამდვილეში კი ეს ყოველივე ცხადზე უცხადესად ჩანდა. განა შეიძლებოდა არსებულიყო რაიმე ფარული ნათესაობა მის სულსა და იმ ქიმიურ ატომთა შორის, რომელიც ტილოზე წარმოდგენილია ფორმასა და საღებავებში? განა შესაძლოა, რომ რასაც სული ისურვებს, ამქვეყნიურმა საღებავებმა გამოამჟღავნონ ყოველივე? ნუთუ სულის ოცნებებსაც დღის სინათლეზე გამოიტანენ. ან იქნებ კიდევ უფრო საშინელი მიზეზი იმალება მასში?
ჭაბუკს გააჟრჟოლა. შიშმა შეიპყრო და ტახტს დაუბრუნდა. წამოწვა და უზომო ნაღველით აღსავსე, შეძრწუნებული იქიდან აკვირდებოდა პორტრეტს. მხოლოდ ერთი ფიქრი ამშვიდებდა და მალამოდ ეცხებოდა მის შეშფოთებულ სულს. პორტრეტმა ერთი რამ მაინც უდავოდ შეძლო და კარგი გაკვეთილი მისცა. დიახ, შეძლო შთაგონებით აღევსო მისი სული. მხოლოდ მისი ხელახალი ხილვის შემდეგ იგრძნო, რაოდენ უსამართლოდ და სასტიკად მოექცა სიბილ ვეინს. ჯერ კიდევ არ იყო გვიან, რომ მოენანიებინა. სიბილ ვეინი შეიძლებოდა გამხდარიყო მისი მეუღლე. იმედი მიეცა, რომ ეგოიზმით სავსე, და შესაძლოა, გამონაგონი გრძნობა ამ უწმინდესი არსების გავლენით კეთილშობილების განცდად შეიცვლებოდა. ბეზილ ჰოლუორდის მიერ შექმნილი პორტრეტი კი მის ცხოვრებაში ამიერიდან მზესავით მანათობელ შუქურად გადაიქცეოდა და ისევე უწინამძღვრებდა მას, როგორც ზოგიერთ ადამიანს - სიკეთე, სხვებს - სინდისი და ყოველ ჩვენგანს - განუსაზღვრელი შიში და მოკრძალება ღვთისადმი. ცხოვრებაში სინდისის ქენჯნის დასაყუჩებლად მოიძებნება ნარკოტიკული ნივთიერებანი, საწამლავი, რომელთაც ძალუძთ მაღალზნეობრივი გრძნობანი

მიაძინონ, მაგრამ აქ ხომ ის ადამიანური სინდისის გახრწნის ხილულ სიმბოლოს გადააწყდა. თვალნათლივ გამოჩნდა რაღაც იდუმალი შემაძრწუნებელი ცოდვა და მის წინ აღიმართა სამარადისო დამადასტურებელი ნიშნები, რომ ადამიანთ ადვილად ძალუძთ თვით დაღუპონ საკუთარი სული.
სამი საათი გახდა. მერე ოთხი. საათმა ორჯერ დარეკა და ნახევარი საათის გასვლაც აუწყა, მაგრამ ჭაბუკი არ განძრეულა. მხოლოდ ცდილობდა ცხოვრების დაქსაქსული ალისფერი ძაფებისთვის შეეყარა თავი და ერთ მშვენიერსახიან ქსოვილად ექცია, გრძნობათა მეწამული ფერის ლაბირინთში გამოსავალი მოეძებნა. არ იცოდა, რა ეფიქრა ან რა გზას დასდგომოდა. ბოლოს მაგიდას მიუახლოვდა, დაჯდა და გრძნობით სავსე წერილი მისწერა სიბილ ვეინს, ვინც მას ერთ დროს ასე თავდავიწყებით უყვარდა. პატიებას ითხოვდა, თავის საქციელს სულელურ ნაბიჯს უწოდებდა. ფურცელს ფურცელზე ფარავდა მისი დაუოკებელი ნაღველის გამომხატველი სიტყვები. სიტყვები, რომელნიც მის უმძიმეს განცდებსა და წამებას მეტყველებდნენ. საკუთარი თავის კიცხვასა და გვემაში არის რაღაც იდუმალი სიამისა და განცხრომის გამომწვევი გრძნობა, რადგან თავს ვადანაშაულებთ და რაიმე ცოდვას ვინანიებთ, გვწამს, უფლება არავის აქვს ბრალი დაგვდოს. ეს მტკიცებაა, რომელსაც მღვდლისაგან კი არ ვღებულობთ, არამედ საკუთარი აღსარებით ვითავისუფლებთ სულს განსაცდელისაგან. ჭაბუკმა წერილი დაწერა თუ არა, თავი ისე იგრძნო, თითქოს ცოდვებისაგან განიწმინდა და ყოველივე ეპატია.
უცებ კარზე დააკაკუნეს. გარედან ლორდ ჰენრის ხმა შემოესმა:
- ჩემო ძვირფასო დორიან, აუცილებლად უნდა გნახოთ, კარი გამიღეთ. რამ გაფიქრებინათ შინ ჩაკეტვა?
დორიანმა არაფერი უპასუხა და არც ადგილიდან დაიძრა. კაკუნი გრძელდებოდა და უფრო ხმამაღლა მოისმოდა. უმჯობესი იყო კარი გაეღო, ლორდ ჰენრის შეხვედროდა და აეხსნა მისთვის, რომ დღეიდან სრულიად ახალი გზით სიარული ჰქონდა გადაწყვეტილი. არაფერი დაეთმო და თუ საჭირო გახდებოდა უსიამოვნო შეკამათება, შეკამათებოდა კიდეც. მერე კი თუ საქმე მეგობრულ ურთიერთობის სრულ მოსპობამდე მივიდოდა, აქაც არ დაეხია უკან და სამუდამოდ ჩამოშორებოდა მას.
დორიანი ფეხზე წამოიჭრა, თეჯირი სურათის წინ გადადგა და მხოლოდ მაშინღა გააღო კარი.
- ოჰ, რა ძალიან ვწუხვარ, დორიან, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ, როგორც კი ოთახში შემოვიდა, - მაგრამ სულის სიმტკიცე გამოიჩინეთ, ეცადეთ როგორმე, მძიმე ფიქრებმა არ დაგიმორჩილონ. ჯობს არ იფიქროთ ყოველივე იმის შესახებ, რაც უკვე მოხდა.
- თქვენ სიბილ ვეინს გულისხმობთ, არა, ლორდ ჰენრი? - იკითხა ჭაბუკმა.
- დიახ, რა თქმა უნდა, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ, სავარძელში ჩაეშვა, თან მოყვითალო ხელთათმანს იხდიდა ნელ-ნელა. - ერთი შეხედვით ეს საშინელებაა, მაგრამ თქვენი ბრალი სრულიად არ არის. მითხარით, შეხვედით კულისებში მის სანახავად სპექტაკლის დამთავრების შემდეგ?

- დიახ, შევედი.
- დარწმუნებული ვიყავი ასეც მოიქცეოდით და ალბათ დიდი უსიამოვნებაც მიაყენეთ, არა?
- პირდაპირ პირუტყვივით მოვექეცი, ჰარი, ნამდვილი პირუტყვივით. მაგრამ ახლა ყოველივე დასრულდა. სრულიადაც არ ვდარდობ, რაც მოხდა, ეს ამბავი დამეხმარა, საკუთარი თავი უკეთ გამეცნო.
- ოჰ, დორიან, თქვენ ვერ წამოიდგენთ, როგორ მიხარია, რომ ასე იოლად შეეგუეთ ამ ამბავს! ვშიშობდი სინდისის ქენჯნა გაგაწამებდათ და მეგონა ოქროსფერ კულულებს ახლა საკუთარი ხელით იგლეჯდით.
- ყოველივე ეს ხომ გამოვცადე უკვე, - ჩაილაპარაკა დორიანმა, თან თავს იქნევდა და იღიმებოდა. - ახლა თავს სრულიად ბედნიერად ვგრძნობ. ვიცი, რაც არის სინდისი. ან როგორ უნდა დავივიწყო. ეს ხომ სრულიადაც არ არის ის, როგორც თქვენ მიხსნიდით. ეს თურმე ყველაზე ღვთაებრივი რამ არის ჩვენს სულში. ამიერიდან, ძალიან გთხოვთ, ნუ დასცინებთ ამ გრძნობას, ჰარი, განსაკუთრებით კი ნუ დასცინებთ მას ჩემი თანდასწრებით. მინდა პატიოსანი და ამაღლებული სულის ადამიანი ვიყო. სულიერ სიმახინჯეს, უკვე ღრმად დარწმუნებული ვარ, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავიტან.
- ზნეობის რა შესანიშნავი ესთეტიკური საწყისებია, დორიან! გილოცავთ, ჭაბუკო, მაგრამ რით აპირებთ დაწყებას მაინც?
- სიბილი ვეინზე დაქორწინებით.
- სიბილი ვეინზე დაქორწინებით? -წამოიძახა ლორდ ჰენრიმ, წამოდგა და ჭაბუკს უსაზღვროდ განცვიფრებული და დაბნეული შეჰყურებდა. - მაგრამ, ჩემო ძვირფასო დორიან...
- დიახ, ჰარი, ვიცი, რის თქმასაც აპირებთ. ალბათ რაიმე საშინელება გექნებათ მხედველობაში ქორწინების საწინააღმდეგოდ, ნუ მეტყვით, ძალიან გთხოვთ. ამიერიდან ნურასოდეს იტყვით ჩემთან ნურაფერ ორაზროვანს! სიბილს ორი დღის წინ ვთხოვე თანხმობა ჯვრისწერაზე, სიტყვას ვერ გავტეხ, დიახ, ის ჩემი მეუღლე უნდა გახდეს.
- თქვენი მეუღლე, დორიან?.. არ მიგიღიათ ჩემი წერილი, რომელიც ამ დილით მოგწერეთ და ჩემი მსახურის ხელით გამოგიგზავნეთ?
- თქვენი წერილი? ოჰ, დიახ, მახსოვს, მართალია, არ გადამიკითხავს, ჰარი. ვშიშობდი, მასში ისეთ რამეს წავაწყდებოდი, რაც სულს კიდევ უფრო უარესად ამიშფოთებდა. თქვენ ხომ საოცრად წიწკნით და აქუცმაცებთ ცხოვრებას ეპიგრაფებით.
- მაშინ თქვენ, ეტყობა არაფერი გსმენიათ.
- რას გულისხმობთ, ჰარი?
ლორდ ჰენრიმ ოთახში ჩაიარა, მერე დორიანის გვერდით დაჯდა, ორივე ხელზე ხელები მაგრად მოუჭირა.
- დორიან, - წარმოთქვა მან მწუხარებით, - ნუ შეშინდებით, ჩემი წერილი გატყობინებდათ, რომ სიბილ ვეინი გარდაიცვალა.
ჭაბუკს გულშემზარავი ყვირილი აღმოხდა. ლორდ ჰენრის ხელები გამოსტაცა და

ფეხზე წამოიჭრა.
- გარდაიცვალა! სიბილ ვეინი გარდაიცვალა! მართალი არ არის! ეს საზარელი ჭორია, როგორ ბედავთ ამის თქმას, ჰარი?
- სავალალოდ, სრული სიმართლეა, დორიან, - წარმოთქვა სერიოზულად ლორდ ჰენრიმ. - დილის ყველა გაზეთი ამ ამბავს იტყობინებოდა. წერილიც იმიტომ მოგწერეთ და გთხოვეთ, არავინ მიგეღოთ ჩემს მოსვლამდე. ალბათ ძიება დაიწყება და უნდა იცოდეთ თქვენ არ გაგრიონ ამ საქმეში. პარიზში ასეთი ამბავი სახელს უხვეჭს ადამიანებს. ლონდონში კი ჯერ კიდევ უამრავი ცრურწმენა გაგვაჩნია. ჩვენში არ შეიძლება ადამიანმა თავისი პირველივე გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე სკანდალით დაიწყოს. ასეთი ამბები ადამიანმა მომავლისათვის უნდა გადაინახოს, თუ სურს სიბერის ჟამს საზოგადოებას კვლავ რაიმე ინტერესი გაუღვიძოს. იმედია თქვენი გვარი და სახელი არავინ იცის თეატრში. თუ არ იციან, ძალიან კარგი. გნახათ ვინმემ სიბილ ვეინის ოთახში შესული? ასეთ შემთხვევაში ყოველგვარ წვრილმანს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.
რამდენიმე წუთის განმავლობაში დორიანი ქვადქცეულივით დუმდა. ამ თავზარდამცემ ამბავს მთლიანად შთაენთქა და გაერინდებია. ბოლოს ენის ბორძიკით და ჩავარდნილი ხმით ჩაილუღლუღა:
- ჰარი, მგონი ძიება ახსენეთ, თუ არ ვცდები; რას ნიშნავს ეს ყოველივე? ნუთუ სიბილმა... ოჰ, ჰარი, იცოდეთ, მე ამას ვერ გადავიტან, მაგრამ ჩქარა, ჩქარა, გთხოვთ ყველაფერი სწრაფად მიამბეთ!
- ეჭვიც კი არ მეპარება, რომ ეს შემთხვევითი არ არის, დორიან, თუმცა უმჯობესია საზოგადოებამ ასე იცოდეს, როგორც ამბობენ, დედასთან ერთად გამოსულა თეატრიდან, მგონი, პირველის ნახევარზე, მოუმიზეზებია, ზედა სართულში რაღაც დამავიწყდაო და უკანვე დაბრუნებულა.
დიდხანს უცდიათ და აღარ გამოჩენილა. ბოლოს თავის ჩასაცმელ ოთახში იპოვეს, მკვდარი ესვენა თურმე იატაკზე. მგონი, შეცდომით რაღაც საწამლავი დაულევია, რასაც საერთოდ თეატრში ხმარობენ. არ ვიცი, რა იყო, მაგრამ, ის ან სინილის მჟავა ან ტყვიის თეთრა უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, უფრო სინილის მჟავა იქნებოდა, რადგან მაშინვე გარდაიცვალა.
- ჰარი, ჰარი, ეს საშინელებაა! - ამოიკვნესა ჭაბუკმა.
- დიახ, მართლაც ნამდვილი ტრაგედიაა, რა თქმა უნდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ საქმეში გაერიოთ. „სტანდარდი“ აცხადებს, რომ სიბილ ვეინი ჩვიდმეტი წლისა ყოფილა. მე კი უფრო პატარა მეგონა. ბავშვს ჰგავდა და თამაშსაც ალბათ ჯერ კიდევ ამის გამო ვერ ახერხებდა. დორიან, ნუ მიიტანთ ამ ამბავს ასე ახლოს გულთან! თქვენ დღეს აუცილებლად უნდა წამოხვიდეთ და ჩემთან ერთად ისადილოთ. მერე კი ოპერაში შევივლით. ამაღამ პატი[46] მღერის და მთელი ჩვენი საზოგადოება იქ იქნება. თქვენ ჩემი დის ლოჟაში შემოხვალთ, იქ ჩვენი დროის რამდენიმე ულამაზეს ქალს იხილავთ.
- ესე იგი, მე მოვკალი სიბილ ვეინი, - ჩაილაპარაკა დორიანმა თავისთვის. - მოვკალი ისე, თითქოს დანით გამომეჭრას მისთვის პაწაწინა ყელი და

მიუხედავად ამისა ვარდებს არ დაუკარგავთ მშვენება, ფრინველებიც ისევ ტკბილად გალობენ ჩემს ბაღში. ახლა მე უნდა ვისადილო თქვენთან, მერე წამოვიდე ოპერაში და ვივახშმო კიდევაც სადმე. ოჰ, რა უჩვეულო ტრაგედიაა ეს ცხოვრება. ეს ამბავი სადმე წიგნშიც რომ ამომეკითხა, ალბათ ცხარე ცრემლს მაღვრევინებდა. ახლა კი, როდესაც ყოველივე მოხდა და სწორედ მე გადამხდა თავს, იმდენად გარინდებული ვარ, ცრემლიც კი არ მომდის. აი, აქ დევს ჩემი პირველი მგზნებარე სიყვარულის წერილი და განა დიდი საოცრება არ არის, რომ ეს წრფელი გრძნობით შთაგონებული პირველი წერილი გარდაცვლილი ასულის მისამართითაა გასაგზავნი. მინდა ვიცოდე ნეტავი რაიმე ამქვეყნიურს კიდევ გრძნობენ ეს მდუმარე, გაფითრებული ადამიანები, რომელთაც ჩვენ გარდაცვლილთ ვუწოდებთ? შეუძლია სიბილმა იგრძნოს ან მოისმინოს ჩემი გოდება? ოჰ, ჰარი, როგორ მიყვარდა მე ის ოდესღაც. ისე მეჩვენება, თითქოს ეს ყოველივე რამდენიმე წლის წინ მოხდა. სიბილ ყველაფერი იყო ჩემთვის და მერე ის ავბედითი ღამეც დადგა. ნუთუ ყოველივე წუხელ მოხდა? ნუთუ მან წუხელ ითამაშა ასე ცუდად და გული კინაღამ გამიპო? მერე ხომ ყველაფერი ამიხსნა, ეს ყოველივე ისე ამაღელვებელი და გულში ჩამწვდომი იყო, მაგრამ ჩემი გული ვერ შესძრა. მე ის სულგამოფიტულ არსებად წარმოვიდგინე. მერე ისეთი რამ მოხდა, რამაც საოცრად შემაკრთო და შემაშფოთა ვერ აგიხსნით, რა იყო ეს, მაგრამ ჩემს სულში რაღაც საშინელება დატრიალდა. ის კი ვიცი, სწორედ მაშინ გადავწყვიტე დავბრუნებოდი მას. ვიგრძენი, რომ დიდი შეცდომა ჩავიდინე, ის კი აღარ არის უკვე ამქვეყნად. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ჰარი, მითხარი, რა გზას დავადგე ახლა? თქვენ არ უწყით, რა დიდი საფრთხე მელოდება წინ? არავის ძალუძს ამქვეყნად სულით დაცემისაგან მიხსნას. მხოლოდ სიბილ ვეინს შეეძლო ეს. მას უფლება არ ჰქონდა თავი მოეკლა. ეს ხომ ეგოიზმია, ჰარი?
- ჩემო ძვირფასო დორიან, - გამოეპასუხა ლორდ ჰენრი. პორტსიგარიდან სიგარეტი ამოიღო და თხელი ოქროსფურცლებით დაფარული ასანთის კოლოფი ხელში შეათამაშა. - ქალს მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეუძლია გარდაქმნას მამაკაცი, და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც თავს იმდენად მოაბეზრებს, რომ ამქვეყნიური ცხოვრების ინტერესს სრულიად დაუკარგავს. ეს გოგონა რომ შეგერთოთ, უბედური და საცოდავი იქნებოდით. რა თქმა უნდა, მე არ გამოვრიცხავ, რომ მის მიმართ დიდ კეთილშობილებას გამოიჩენდით ყოველთვის, მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე, მაგრამ ადამიანი სიკეთეს მხოლოდ ისეთთათვის არ იშურებს, რომელთა მიმართაც მეტად გულგრილ დამოკიდებულებაშია. ამიტომ სიბილ ვეინიც მალე შეიტყობდა, რომ თქვენ იმ გატაცებით არ ეთაყვანებოდით, როგორც პირველი შეხვედრის წამებში. და თუ ქალი შეიტყობს, რომ მეუღლე მის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაშია, ის ან მთლად უგემოვნო ჩაცმა-დახურვას მიჰყოფს ხელს, ან კიდევ მეტისმეტად კოპწიაობას და, წარმოიდგინეთ, უამრავ ულამაზეს ქუდს შეიძენს, რომლებშიც ფულს სხვისი მეუღლე გადაიხდის, ჩემო კარგო, სრულიად აღარაფერს ვამბობ იმ დამამდაბლებელ მგომარეობაზე, რომელიც სოციალური თვალსაზრისით ამ უთანასწორო ქორწინებას უნდა მოჰყოლოდა. რაღა თქმა უნდა, ამ ქორწინების

პირველი მოწინააღმდეგე მე ვიქნებოდი და გწამდეთ, ჩემს თანხმობას ვერასოდეს მიიღებდით, მაგრამ ახლა მაინც საჭიროდ მიმაჩნია დაგარწმუნოთ, რომ ეს ქორწინება ყოველნაირ პირობებში დიდი მარცხი იქნებოდა თქვენს ცხოვრებაში.
- დიახ, მართალი უნდა იყოთ, - წაიბუტბუტა ჭაბუკმა და მკვდრის ფერი დაედო. ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. - მაგრამ ვფიქრობდი, რომ ვალი უნდა მომეხადა მის წინაშე. სრულიად არ მიმიძღვის ბრალი, თუ ამ თავზარდამცემმა ტრაგედიამ ხელი შემიშალა და ის ვეღარ ავასრულე. დიდი ფიქრის შემდეგ გარდუვალად მივიჩნიე შემერთო იგი. მახსოვს, ერთხელ თქვენგან მოვისმინე, რომ კეთილ ზრახვებს თან სდევს რაღაც ავის მომასწავებელი ბედისწერა, მათი აღსრულება მეტისმეტად იგვიანებსო და სწორედაც მეც ასე დამემართა.
- კეთილი ზრახვანი ბუნების მეცნიერულ კანონთა საპირისპიროდ სრულიად უსარგებლო ცდაა, მათი წარმოშობის ძირი ამაოებაში იმალება და მათი შედეგიც აბსოლუტური ნოლის ტოლია. ხანდახან ისინი, მართალია, განცხრომის მაგვარ ნეტარებას გვანიჭებენ, მაგრამ განსაკუთრებულ სიამეს მათგან მხოლოდ სუსტნი ღებულობენ. აი, მხოლოდ რის თქმა შეიძლება მათ შესახებ, ისინი იმ ქვითრებს ჰგვანან, რომელთაც იმ ბანკიდან იწერენ, სადაც მათი ანგარიში არ გააჩნიათ.
- ჰარი, - წამოიძახა ჭაბუკმა, ლორდ ჰენრის მიუახლოვდა და მის გვერდით დაჯდა, - რატომ ხდება, რომ ამ ტრაგედიამ ჩემი სული ისე ვერ შეაშფოთა, როგორც მოსალოდნელი იყო? წარმოიდგინეთ, ყოველივეს ისე ვერ განვიცდი, როგორც მინდოდა განმეცადა. ვფიქრობ, უგულო ადამიანი არ უნდა ვიყო. თქვენ რას ფიქრობთ ჩემზე?
- ყველა იმ უგუნური საქციელის შემდეგ, რაც ამ ორი კვირის განმავლობაში ჩაიდინეთ, სრულიად დაუშვებელია უგულო გიწოდოთ ვინმემ, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ მისთვის დამახასიათებელი, მეტად მომხიბვლელი მელანქოლიური ღიმილით.
ჭაბუკმა წარბი შეკრა.
- ასეთი ახსნა-გამარტება, მართალი მოგახსენოთ, არ მომწონს, ჰარი, მაგრამ ძალიან მიხარია, რომ უგულო ადამიანად არა მთვლით. არ შემიძლია განმეორებით არ აღვნიშნო, რომ ამ თავზარდამცემმა ამბავმა ისე ვერ იმოქმედა ჩემს შინაგან სულიერ განწყობილებაზე, როგორც მოსალოდნელი იყო. ისე მეჩვენება, თითქოს ყოველივე რომელიმე უცნაური პიესის დასასრული იყოს. მასში ბერძნული ტრაგედიის შიშის აღმძვრელი სილამაზეა, ტრაგედიისა, რომელშიაც მე ვითამაშე მთავარი როლი, მაგრამ რომელმაც სასიკვდილო ჭრილობა ვერ მიაყენა ჩემს სულს.
- ეს ფრიად საინტერესო საკითხია, ჩაილაპარაკა ლორდ ჰენრიმ. ის განსაცვიფრებელ სიამეს განიცდიდა ჭაბუკის შეუგნებელ ეგოიზმთან თამაშით. - დიახ, ფრიად საინტერესოა. ვფიქრობ, მისი ჭეშმარიტი ახსნა-განმარტებაც ასეთი უნდა იყოს. ხშირად ხდება, რომ ნამდვილი ცხოვრებისეული ტრაგედიები ისეთი არაესთეტური ფორმით გვევლინება, რომ გულს ლახვარივით ხვდება თავისი სრული უთავბოლობით, სიშმაგითა და უაზრობით, ხატოვანი, სიტყვაკაზმული

ლიტერატურული სტილის უქონლობით ტლანქად შეურაცხგვყოფს და ამით გულს ისე გვირევს, როგორც ამქვეყნად ყოველივე მდარე და უნიათო. ჩვენ მათში აშკარა ცხოველურ ძალას შევიგრძნობთ და მათ საწინააღმდეგოდ აღვინთებით ხოლმე. ხანდახან კი ცხოვრებაში ისეთ ტრაგედიებს გადავაწყდებით, რომლებიც მშვენიერების მაღალმხატვრულ ელემენტებს შეიცავენ. თუ მშვენიერების შემცვლელი ეს ელემენტები ჭეშმარიტია, მოვლენა თავისი დრამატულობით ჩვენს გონებას იტაცებს და სამუდამოდ აჯადოებს. მაშინ ჩვენ, საბრალო ადამიანები, წარმოვიდგენთ ხოლმე, რომ ამ მოვლენათა უბრალო შემსრულებელი მსახიობები კი არა ვართ, არამედ ტრაგედიის მაყურებელნი დარბაზში. ან უფრო სწორად ორივე ერთად. შევცქერით საკუთარ თავს და ეს უჩვეულო სანახაობა გვიმონებს. ახლა კი რა მოხდა სინამდვილეში? იმ გოგონას იმდენად დიდი და ამაღლებელი გრძნობა აღმოაჩნდა, რომ თავი ზვარაკივით მსხვერპლად შესწირა თქვენს სიყვარულს. გამოგიტყდებით, დიდად ვწუხვარ, რომ ჩემს პირად ცხოვრებაში არაფერი მომხდარა მსგავსი. მე მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ვირწმუნებდი, რომ არსებობს ნამდვილი სიყვარული. მაშინ ალბათ სამარადისოდ თაყვანს ვცემდი და მუხლს მოვიყრიდი ამ დიადი გრძნობის ძლიერების წინაშე და დიდი ადამიანური სიყვარულითვე ვუპასუხებდი, მაგრამ წარმოიდგინეთ, ყველა ისინი, რომელთაც ვუყვარდი, - ასეთები კი არცთუ ისე ბევრი შემხვდა ცხოვრებაში, მაგრამ მაინც საკმარისნი იყვნენ, - სრულიად ჯანმრთელად, ხანგრძლივად და ბედნიერად ცხოვრობდნენ მას შემდეგაც, რაც მე მათი ტრფობა გულიდან ამოვიღე და მათ კი - ჩემი. ეს ქალები ხორცსავსე, თავმომაბეზრებელ არსებებად იქცნენ და ახლა, როდესაც სადმე ვხვდებით, მაშინვე მოგონებებს მიეცემიან ხოლმე. ოჰ, ეს წყეული ქალური მეხსიერება რა შემაძრწუნებელი სასჯელია! და მერე როგორი გონებრივი ჩამორჩენილობითა და სულიერი უძრაობით აშკარავდება! ცხოვრების ფერადოვნებამ, რასაკვირველია, უნდა შთანთქას ადამიანის სული, მაგრამ თვით ადამიანს კი არასოდეს არ უნდა ახსოვდეს წვრილმანები. ცხოვრების წვრილმანებით გონების დატვირთვა ხომ მდარე გემოვნების პირველი ნიშანია.
- მაშინ ყაყაჩო უნდა ვთესო და ვამრავლო ჩემს ბაღში, - ამოიოხრა დორიანმა.
- აუცილებელი არ არის, - გამოეხმაურა ლორდ ჰენრი. - ცხოვრება ყაყაჩოებით მუდამ ხელსავსედ გვიმასპინძლდება თავისთავად. რა თქმა უნდა, არის შემთხვევებიც, როდესაც დავიწყება მეტისმეტად ძნელია და დიდ დროს თხოულობს. ოდესღაც, ერთხელ მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ია მქონდა ღილკილოში ჩამაგრებული. ამით თითქოს არტისტულად ვგლოვობდი და ვეთხოვებოდი სიყვარულს, რომლის სიკვდილი შიშით მაძრწუნებდა. მაგრამ საბოლოოდ ის მაინც გაქრა. არ მახსოვს, რამ იმსხვერპლა. ვფიქრობ, შეყვარებული ქალის დაპირებამ, რომ ყველაფერს მე შემომწირავდა ამქვეყნად. ეს უსაშინლესი წუთებია ადამიანის ცხოვრებაში, ის ხომ ადამიანის სულს მარადისობის შიშით აღავსებს... და აი, შეგიძლიათ ირწმუნოთ, გასულ კვირას ლედი ჰემპშირის სალონში სადილად სწორედ ამ არსების გვერდით მოვხვდი, ვისზედაც წეღან გიამბობდით და იცით, რა მოხდა? ქალი მთელი არსებით შეეცადა ყოველივე თავიდან დაგვეწყო. ცდილობდა დიდი ხნის დამარხული სიყვარული

მიწიდან ამოეთხარა და მომავლის გზის წმენდამ გაიტაცა. მაშინ, როდესაც მე სიყვარული ასფოდელებით აღაღანებული მიწის ქვეშ დიდი ხანია დავასაფლავე, ის კი კვლავ ცდილობდა მოგონებებით სათუთად ამოეღო ის მიწისქვეშეთიდან და თან მარწმუნებდა, რომ მე მოვუწამლე და დავუმსხვრიე ამქვეყნიური ცხოვრება. ამასთანავე შემიძლია გაგანდოთ, რომ რაღაც საოცარი მადით შეექცეოდა სადილს. მის გამო გულის შეშფოთება სრულიად ზედმეტად მივიჩნიე. აბა წარმოიდგინეთ, გემოვნების რა სიმდაბლე გამოამჟღავნა! წარსულის მთელი მომხიბვლელობა ხომ იმაშია, რომ ის წარსულია. მაგრამ ქალები ვერასოდეს გრძნობენ, რომ ფარდა დაეშვა. ყოველთვის მეექვსე მოქმედებას მოითხოვენ! სურთ მაშინ გაგრძელდეს წარმოდგენა, როდესაც პიესაში ყოველგვარი საინტერესო უკვე ბოლომდე ამოიწურა. მათთვის რომ უფლება მიგვეცა თავისი გზით ევლოთ, წარმოიდგინეთ, ყოველ კომედიას მუდამ ტრაგიკული დასასრული მოჰყვებოდა, ხოლო ყოველი ტრაგედიის კულმინაციური წერტილი კი ფარსად[47] გადაიქცეოდა. ქალები ცხოვრებაში ფრიად მომხიბვლავი მსახიობური უნარით გამოირჩევიან, მაგრამ წმინდა ხელოვნების არსის ჩაწვდომის ალღო და უნარი განგებას მათთვის არ გაუმეტებია. თქვენ ჩემზე გაცილებით ბედნიერი აღმოჩნდით, ყმაწვილო! გარწმუნებთ, ვერც ერთი ქალი, რომელთაც ვეტრფოდი, ვერ ჩაიდენს იმას, რაც სიბილ ვეინმა ჩაიდინა თქვენთვის. ჩვეულებრივ ქალებს ყოველთვის შესწევთ უნარი სრულიად დამშვიდდნენ. ნუ ენდობით ქალს, ვინც მიუხედავად წლოვანებისა mauve[48] ფერ სამოსს ატარებს, ოცდათხუთმეტი წლის მერე ვარდისფერი ბაფთების დიდ სიყვარულს ამჟღავნებს. გწამდეთ, ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება, რომ ასეთ ქალს დიდი წარსული ჰქონდა ოდესღაც. არიან ისეთი ქალებიც, რომელნიც სულიერ სიმშვიდეს იმით აღწევენ, რომ კანონიერი მეუღლის ხასიათში უცებ აღმოაჩენენ ხოლმე უამრავ დადებით თვისებას და საზოგადოების წინაშე სიამაყით თავს იწონებენ სანეტარო ცოლ-ქმრული ურთიერთობის გამომჟღავნებით. თითქოს ეს ამბავი ჩადენილ ცოდვათა შორის ყველაზე მეტად მაცდუნებელი რამ იყოს. ზოგიერთი ქალი კი რელიგიაში ჰპოვებს შვებას, როგორც ოდესღაც ერთმა მანდილოსანმა ამიხსნა, ადამიანური ფლირტის მთელ სილამაზეს ისინი რელიგიურ საიდუმლოებებში ეძიებენ და პოულობენ. მართალი მოგახსენოთ, ეს ყოველივე ძალიან კარგად მესმის. გარდა ამისა, ქალის პატივმოყვარეობას ისე არაფერი აამებს და აცხრობს, როგორც ცოდვილის რეპუტაცია. სინდისი ყოველ ჩვენგანს ეგოისტად აქცევს და მართლაც სულიერი სიმშვიდის მისაღწევად დაუსრულებელ საშუალებათა მიგნება შეიძლება თანამედროვე ცხოვრებაში. თუმცა ყველაზე უმთავრესი ჯერ კიდე არ მიხსენებია.

- რა მიგაჩნიათ მაინც უმთავრესად? - იკითხა ჭაბუკმა.

- ოჰ, ჭეშმარიტი თვითდამშვიდება ის გახლავთ, რომ თუ საკუთარს კარგავთ, სხვას წაართვათ თაყვანისმცემელი მაღალ საზოგადოებაში. ასეთი საქციელი ქალს ყოველთვის აღუდგენს მის უფლებებს. აბა, ერთი დააკვირდით, დორიან, როგორ განსხვავდება სიბილ ვეინი ყველა იმ ქალთაგან, რომლებიც ცხოვრებაში გვხვდებიან. მის სიკვდილში რაღაც იდუმალი და განსაცვიფრებელი

მშვენიერებაა. მიხარია, რომ იმ საუკუნის მკვიდრად ვითვლები, სადაც ასეთი საოცრებანი ხდება. მხოლოდ ეს საოცრებანიღა გვინერგავენ რწმენას, რომ არსებობს ჭეშმარიტი სიყვარული, მგზნებარე გატაცება და რომანტიკული იდეალები, რომელთაც ჩვენ ესოდენ ბევრს დავცინით და აბუჩად ვიგდებთ.
- ოჰ, მეტისმეტად მკაცრად მოვეპყარი სიბილ ვეინს. თქვენ ეს გავიწყდებათ.
- უნდა _____გითხრათ, რომ სისასტიკეს და ისიც გულახდილ სისასტიკეს ყველაფერზე
მეტად აფასებენ ქალები. მათში ზომაზე მეტად და განსაცვიფრებლად ჭარბობს პირველყოფილი თვისებები. ჩვენ ისინი გავანთავისუფლეთ, მაგრამ თავისივე ნებით მონებად დარჩნენ და მუდამ პატრონის ძიებაში არიან. მათ მორჩილებაში ყოფნა ხიბლავთ. დარწმუნებული ვარ, შესანიშნავი იქნებოდით იმ წამში. მართალია არასოდეს მინახიხართ უკიდურესი მღელვარებისა და გააფთრების ჟამს, მაგრამ მაინც წარმოდგენილი მაქვს, რა დიდებული სანახავი იყავით! და ბოლოს გუშინწინ რაღაც გამანდეთ... მაშინ ვიფიქრე, რომ ეს უბრალოდ მხოლოდ თქვენი ოცნების ნაყოფი იყო, მაგრამ ახლა ვხედავ, სრული ჭეშმარიტება ყოფილა და საიდუმლოც ამით აიხსნება.
- რას გულისხმობთ, ჰარი, არ მახსოვს, რა გითხარით?
- თქვენ ამიხსენით, რომ სიბილ ვეინის სახით ყველა სათაყვანო რომანტიკულ გმირს ხედავდით. ერთ საღამოს ის თუ დეზდემონა იყო, მეორეს - ოფელია, თუ კვდებოდა როგორც ჯულიეტა, სიცოცხლეს მკვდრეთით აღმდგარი უბრუნდებოდა იმოჯენი.
- სიბილ ვეინი მკვდრეთით აღარასოდეს აღსდგება, - ჩაიბუტბუტა ჭაბუკმა გამოუთქმელი სევდით და სახე ხელებში ჩამალა.
- არა. ის ვეღარ აღსდგება კვლავ. მან უკანასკნელი როლი შეასრულა, მაგრამ თქვენ უნდა იფიქროთ, რომ მისი მარტოხელა სიკვდილი იმ ღარიბულ მსახიობის საპირფარეშო ოთახში უჩვეულო და სიბნელით მოცული ფრაგმენტია ჯეკობის[49] დროინდელი ტრაგედიიდან, ან შესანიშნავი სცენური სახეა უებსტერის[50], ფორდის[51] თუ სირილ ტერნერის ნაწარმოებებიდან. ამ გოგონას სინამდვილეში არც უცხოვრია და, მაშასადამე, არც გარდაცვლილა. თქვენთვის ის ყოველთვის ოცნებას თუ აჩრდილს წარმოადგენდა, ვინც შექსპირის პიესებში მეტეორივით გაიელვებდა ხოლმე და კიდევ მეტ მშვენებას მატებდა მათ. მღეროდა და კვნესოდა ვით ლერწმის სალამური და შექსპირის მუსიკას მეტ მომხიბვლელობას და სიხარულს ანიჭებდა. ცხოვრების სინამდვილესთან პირველი შეყრისთანავე ამ ჰაეროვანმა ქმნილებად მძიმე დაღი დაამჩნია მას გულზე, მაგრამ თვითონ მძიმედ დაშავდა საბრალო ბავშვი და ჩვენს სამყაროს განშორდა კიდეც. იგლოვეთ ოფელია, თუ ძალგიძთ! ეწამეთ და ღველფი დაიყარეთ თავზე, რადგან კორდელია დაახრჩვეს! დაჰგმეთ ზეციურნი ძალნი იმისათვის, რომ ბრაბანციოს ქალიშვილი მიწას მიაბარეს, მაგრამ ცრემლს ნუ დაღვრით სიბილ ვეინისათვის! მათთან შედარებით ის უფრო ნაკლებად ჰგავდა ამქვეყნიურ არსებას. დუმილი ჩამოვარდა. ოთახი საღამურ ბინდში გაეხვია. უხმოდ მოიპარებოდა ბაღიდან ვერცხლისფერ ფეხებზე მორონინე ჩრდილი. ფერები ჩამუქდა და

თანდათანობით გაქრა.
რამდენიმე ხნის შემდეგ ჭაბუკმა ზემოთ აიხედა.
- თქვენ შეძელით ჩემზე უფრო ღრმად ჩაგეხედათ და ჩასწვდომოდით ჩემს საკუთარ სულს, ჰარი! - ჩაიჩურჩულა ჭაბუკმა ოხვრით და უცნაური შვება იგრძნო.
- მე თვითონაც ასე მეჩვენებოდა ყოველივე, როგორც თქვენ წარმოადგინეთ, მაგრამ საოცრად მეშინოდა მისი და ყველაფრის ასე განმარტებაც არ შემეძლო. რა შესანიშნავად მიცნობთ! მაგრამ რაც მოხდა, ამაზე ნურასოდეს ვილაპარაკებთ. ეს ჩემი სულისათვის ჯერაც სრულიად უცნობი, მეტად უჩვეულო და განსაცვიფრებელი გამოცდა გახლდათ. ყოველივე ამგვარად დასრულდა. მინდა ვიცოდე მხოლოდ ერთი, ნუთუ ცხოვრება კიდევ ინახავს ჩემთვის ასეთივე განცდებს.
- ცხოვრებას ყველაფერი ექნება თქვენთვის გადანახული, დორიან! თქვენი განსაცვიფრებელი სილამაზის წინაშე ყველა ქედს მოიხრის და ამქვეყნიურ ყოველ შეუძლებელს შეძლებთ, როგორც კი მოინდომებთ!
- მაგრამ, აბა წარმოიდგინეთ, ჰარი, რომ მე მოვხუცდი და სახედანაოჭებულ უძლურ სხეულად გადავიქეცი, მაშინ?
- მაშინ, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ და წასასვლელად წამოიწია, - მაშინ, ჩემო ძვირფასო დორიან, თქვენ მოგიხდებათ ყოველი ახალი მიღწევისათვის თავდაუზოგავი ბრძოლა. ახლა კი ისინი თვით მოედინებიან თქვენკენ. არა, თქვენ უნდა შეინარჩუნოთ სილამაზე. ჩვენ ისეთ საუკუნეში ვცხოვრობთ, სადაც ესოდენი კითხვა სიბრძნეს გვაშორებს და ესოდენი ფიქრი სილამაზეს გვტაცებს. ახლა კი დროა ჩაიცვათ და კლუბისაკენ გავწიოთ, ისედაც საკმაოდ დავაგვიანეთ.
- აჯობებს ოპერაში შევხვდეთ ერთმანეთს, ჰარი, ძალიან მოქანცული ვარ და არაფრის ჭამის თავი არა მაქვს. რა ნომერია თქვენი დის ლოჟა?
- მგონია, ოცდაშვიდი. ბელეტაჟზეა და კარზე მის გვარს ამოიკითხავთ. ფრიად სამწუხაროა, დორიან, რომ ჩემთან ერთად არ ისადილებთ.
- ძალა არ შემწევს, ნამდვილად მერწმუნეთ, ჰარი, - უთხრა დორიანმა და ხმაში მოქანცულობა დაეტყო, - მაგრამ დიდად დავალებული ვარ ყველა რჩევა-დარიგებისათვის; თქვენზე უკეთესი მეგობარი ამქვეყნად არ გამაჩნია. ვერავინ ისე ვერ გაიგებს ჩემი სულის შინაგან ტკივილებს, როგორც თქვენ.
- ეს მხოლოდ ჩვენი მეგობრობის დასაწყისია, დორიან, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ და ხელი ჩამოართვა. - ნახვამდის. იმედია ათის ნახევარზე გვიან არ შევხვდებით. გახსოვდეთ, პატი მღერის.
როგორც კი ლორდ ჰენრიმ კარი გაიხურა, დორიან გრეიმ ზარის ღილაკს ხელი შეახო, რამდენიმე წუთში განათებული ლამპებით ხელში ვიქტორი გამოჩნდა. მსახურმა ფარდები დაუშვა. დორიანი მოუთმენლად ელოდა ოთახიდან მის გასვლას. ისე მოეჩვენა, თითქოს ვიქტორი საოცრად დიდ დროს ანდომებდა ყოველ წვრილმანს.
როგორც კი მსახური ოთახიდან გავიდა, დორიანი თეჯირთან მიიჭრა და უკან დასწია. არა, არავითარი ახალი ცვლილება არ მოჩანდა პორტრეტზე. ჩანდა, სიბილ ვეინის სიკვდილის ამბავი მას თვით ჭაბუკზე უფრო ადრე განეცადა და

გადაეტანა. ეტყობა, პორტრეტი მის პირად ცხოვრებაში მოსალოდნელ ამბებს ამიერიდან მოხდენისთანავე შეიტყობდა, იქნებ ამიტომაც გულშემზარავმა დაღმა ასე უცნაურად დაამახინჯა ეს მშვენიერი ბაგე. ეჭვი არ არის, ეს ყოველივე სწორედ იმ წუთში მოხდა, როდესაც გოგონამ საწამლავი დალია. ან იქნებ შედეგთა მიმართ ის მეტად გულგრილია და მარტოოდენ იმას შეიტყობს, რაც მხოლოდ სულში გაიელვებს წამიერად. დორიანი საგონებელში ჩავარდა. იდუმალი ხმა კი ჩასძახოდა, რით უნდა დასრულდეს ყოველივე, თუ ამ დღეებში ტილოზე ცვლილება მის თვალწინ მოხდა, ჭაბუკს ეს უჩვეულო ფიქრი საოცრად ათრთოლებდა.
საბრალო სიბილ ვეინი! რა რომანტიკულად დასრულდა ყოველივე. ის ხომ ხშირად სიკვდილს ასახიერებდა სცენაზე და აი, დადგა სიკვდილის ჟამი და თან წარიტაცა ეს მზეთუნახავი ასული. ოჰ, ნეტავ როგორ ითამაშა სიბილმა უკანასკნელი სცენა. ნუთუ წყევლა-კრულვას არ უგზავნიდა ჭაბუკს სიკვდილის ჟამს? არა, მან დორიანის გულისთვის გასწირა სიცოცხლე და სიყვარული. ამიერიდან მარად უწმინდეს ლამპრად ენთება ის ჭაბუკის გულში. თავისი სიცოცხლე ამ უწმინდესმა არსებამ წმიდათა წმიდა სიყვარულის სამსხვერპლოზე მიიტანა და ამით ყოველივე გამოისყიდა. ოჰ, არასოდეს, არასოდეს მოიგონებს ამიერიდან, რაოდენი წამება გადაიტანა მისი გულისათვის იმ საშინელ ღამეს თეატრში. სიბილ ვეინი მის მეხსიერებაში მარად დარჩება, როგორც ღვთაებრივი, ტრაგიკული სახე, ვინც სამყაროს სცენაზე წარმოგზავნილი იყო, რომ უწმიდესი სიყვარულის დიადი შინაგანი არსი და რეალობა ქვეყნიერებისათვის განეცდევინებინა. ღვთაებრივი ტრაგიკული სახე? ჭაბუკს თვალზე ცრემლი მოადგა, როდესაც მისი ბავშვური გამომეტყველება, მისი მომაჯადოებელი მხიარულება და ყოვლად უნაკლო ლერწმის მაგვარი ნარნარი სხეულის რხევა მოაგონდა. მერე ყველა ფიქრი თავიდან მოიშორა და კვლავ პორტრეტზე შეაჩერა თვალი.
იგრძნო, რომ უკვე დადგა დრო და არჩევანი უნდა მოეხდინა. თუ არჩევანი უკვე მოეხდინათ? დიახ, თვით ცხოვრებას გადაეწყვიტა ყოველივე. მის გადაწყვეტაში დიდი როლი შეესრულებინა უსაზღვრო ცნობისმოყვარეობას, რადგან ჭაბუკი ყოველ წამს დაუცხრომლად ესწრაფვოდა ცხოვრების შინაგანი არსის საიდუმლოთა აღქმას, მარადიული სიჭაბუკე, დაუცხრომელი ვნება, როგორც სიშმაგითა და უგუნურებით ჩადენილი ცოდვები: დაე, პორტრეტმა ზიდოს მისი სამარცხვინო საქციელის უმძიმესი ტვირთი. მორჩა და გათავდა.
წამიერად გულში ღრმა ტკივილი იგრძნო; წარმოიდგინა, რომ ეს პირმშვენიერი სახე ცოდვებს უნდა დაემახინჯებინა. ერთხელ ჭაბუკურმა სიანცემ სძლია, დაცინვით ნარცისს წაბაძა და ეამბორა თუ, მგონი, განიზრახა ტილოზე ასე სრულყოფილად ამოტვიფრულ ბაგეს დაჰკონებოდა, ბაგეს, რომელიც ახლა ასე სასტიკი და ულმობელი გამომეტყველებით უღიმოდა მას. სულ რამდენიმე ხნის წინათ, თითქმის ყოველ დილით, ჭაბუკი პორტრეტის წინ იდგა და მისი მშვენებით ტკბებოდა. ხანდახან ისიც ეჩვენებოდა, რომ შეყვარებული იყო მასზე. ნუთუ ყველა ცვლილება რაც მის გულში წარმოიშვა, ამიერიდან პორტრეტს უნდა

დააჩნდეს ბილწ ლაქად? ნუთუ ქვეყნიური ცოდვანი ისე გულშემზარავად დაამახინჯებენ, რომ საჭირო გახდება მისი საიდუმლოდ გადამალვა რომელიმე ბნელ ოთახში, სადაც მზის სინათლე, რომელიც ასე დიდებულად ავარაყებდა მის მშვენიერ კულულებს, ამიერიდან ვერასოდეს ჩააღწევს იქ. ოჰ, რა სამწუხაროა და რაოდენ სავალალო!
ერთი წამით ჭაბუკს სურვილი დაებადა ელოცა. ელოცა იმისათვის, რომ ის ზებუნებრივი ურთიერთობა, რაც მასსა და პორტრეტს შორის არსებობდა, სამუდამოდ გამქრალიყო. ის ხომ პირველი ლოცვის შედეგად შეიცვალა და ახლაც ალბათ თუ კვლავ ლოცვას აღავლენს, არავითარი ცვლილება არ დადაღავს ამ სრულქმნილ სახეს.
მაგრამ განა ადამიანს ძალუძს, ვინც ოდნავ მაინც შეიცნო ცხოვრების იდუმალება, ხელიდან გაუშვას უნეტარესი შემთხვევა - მარად ახალგაზრდა დარჩეს? არა, ეს დაუშვებელია, ვინ ჩაიდენს ამას, რა ფანტასტიკურიც უნდა იყოს ეს შემთხვევა და რა საბედისწერო შედეგიც უნდა სდევდეს თან? მაგრამ განა ეს ყოველივე მის უფლებებშია და მას ემორჩილება? ან ნუთუ მართლა იმ ლოცვა-ვედრებამ გამოიწვია ესოდენი ცვლილება ტილოზე? ნუთუ ამ საქმეში ნამდვილად არ ურევია საიდუმლოდ მოქმედი მეცნიერული ძალა და კანონი? აზრს, რა თქმა უნდა, დიდი უნარი შესწევს თავისუფლად იმოქმედოს ცოცხალ ორგანიზმზე, მაგრამ შეუძლებელია იმის ფიქრი, რომ მან ასეთივე გავლენა მოახდინოს უსულო მკვდარ საგნებზე. უფრო მეტიც, ჩვენი აზრის და შეგნებული სურვილის ჩაურევლად შეუძლებელია ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული საგნები ჩვენი გრძნობებისა და განწყობილების მიხედვით იცვლებოდნენ და გამოსცემდნენ სასიცოცხლო ხმას, ატომი ატომისაკენ იდუმალი სიყვარულით რაღაც განსაცვიფრებელი ნათესაური ძალით ისწრაფვოდეს. გარდა ამისა, სულ ერთი არ არის მაინც, რაც უნდა მივიჩნიოთ მიზეზად? ამიერიდან ყოვლად დაუშვებელია და დორიანი არასოდეს შეეცდება ლოცვით მოიხმოს ზეციდან რაღაც საშინელი ფარული ძალები. თუ პორტრეტს ასეთი გარდაქმნა უწერია, დაე, გარდაიქმნას... შეიცვალოს. ჭაბუკი რატომ უნდა ჩაუფიქრდეს და ასე ღრმად გამოიძიოს ყოველივე?
მაინც რაოდენი სიამაყით აღავსებს ადამიანს ამ ამბის თვალყურის დევნება? მას შეუძლია საკუთარი აზრის მსვლელობას გაჰყვეს და მისი საიდუმლოებანი ამოიცნოს. პორტრეტი მისთვის სასწაულმოქმედ სარკედ იქცევა. და როგორც პირველად ოდესღაც სარკეში საკუთარი თავი იხილა, ახლა ის გააშიშვლებს მის სულს და მის საოცრებათა სიღრმეში ჩაახედებს, ხოლო როცა ტილოზე ასახულ მის ორეულს დაუზამთრდება, ის ჯერაც ისევ მთრთოლვარე გაზაფხულისა და სიამეთა გამაცხოველებელი ზაფხულის საზღვარზე წელგამართული იდგება კვლავ. ოდეს სურათზე სასიცოცხლო ფერები სრულიად წარიხოცება და მასზე მხოლოდ ფერმიხდილი ნიღაბი და კალისფრად გათეთრებული ხეიბარი დარჩება, ჭაბუკური შარავანდით მოსილი დორიან გრეი სწორედ მაშინ დაიწყებს ამქვეყნიურ ცხოვრებას, დაუმჭკნარი და წარმტაცი მშვენების სასიცოცხლო მაჯის ცემა არასოდეს შეუსუსტდება და ბერძნულ ღმერთების დარად ძლიერებას,

ფეხმარდობას და მარადიულ სიმხიარულეს შეინარჩუნებს. განა სულ ერთი არ არის, რა დაემართება თვით პორტრეტსა და ფერებს ტილოზე? ის ხომ გადაურჩება ამ იდუმალ განსაცდელს და უმთავრესიც ეს არის ამქვეყნად.
დორიანმა თეჯირი უკან დასწია და თავის ადგილზე დადგა. მერე საწოლ ოთახში შევიდა, სადაც მსახური ელოდა. ერთი საათის შემდეგ კი უკვე ოპერაში ლორდ ჰენრის წინ იჯდა სავარძელში. ახალგაზრდა ლორდი მის სავარძელს დაყრდნობოდა და ორივენი სულგანაბულნი სახელგანთქმულ იტალიელ მომღერალ ქალს უსმენდნენ.

თავი IX

მეორე დღეს, დილით, როდესაც დორიან გრეი საუზმეს შეექცეოდა, ოთახში სწრაფი ნაბიჯით ბეზილ ჰოლუორდი შემოვიდა.
- ოჰ როგორ მიხარია, რომ შინ მოგისწარით, დორიან, - წარმოთქვა მან სერიოზულად, - გუშინ საღამოს შემოვიარე და მითხრეს, ოპერაშიაო წასული. რა თქმა უნდა, კარგად ვიცი, რომ ეს სრულიად შეუძლებელი იყო, მაგრამ ნეტავი შინ დაგებარებინათ, სადაც მიდიოდით. მთელი საღამო ენით აღუწერელ ღელვაში გავატარე. ვშიშობდი, ერთ საბედისწერო შემთხვევას მეორე არ მოჰყოლოდა. დეპეშით უნდა გეცნობებინათ და გამოგეძახნეთ მაშინვე, როგორც კი პირველად ეს თავზარდამცემი ამბავი შეიტყვეთ. მე ის საღამოს გაზეთ „გლობუსში“ ამოვიკითხე, რომელიც სრულიად შემთხვევით კლუბში ხელში მომხვდა. შევიტყვე თუ არა დანამდვილებით ყოველივე, მაშინვე აქეთ გამოვწიე, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ შინ არ დამხვდით. ვერც კი წარმოიდგენთ ალბათ, რამდენად შემაძრწუნა ამ უმძიმესმა უბედურებამ! ვიცი, რა წამებს გადაიტანდით. მაინც სად იყავით გუშინ? ალბათ სიბილ ვეინის დედის სანახავად გაემგზავრეთ მაშინვე, არა? პირველად გადავწყვიტე იქ მოვსულიყავი, მისამართს გაზეთში აცხადებდნენ, მგონი ისტონ-როუდზე ცხოვრობდნენ, თუ არ ვცდები, მაგრამ ისიც ვიფიქრე, სრულიად ზედმეტი ვიქნებოდი ამ უმძიმესი მწუხარების წუთებში. რით შემეძლო შემემსუბუქებინა თქვენი ასეთი უსაზღვრო დარდი და ვარამი? უბედური დედა! რა მდგომარეობაშია ალბათ საცოდავი! ეს ხომ მისი ერთადერთი შვილია? მაინც რას ამბობდა საბრალო ქალი?
- ძვირფასო ბეზილ, აბა, საიდან უნდა ვიცოდე ყოველივე ასე დაწვრილებით? ვინ შემატყობინებდა? - უკმაყოფილოდ წარმოთქვა დორიან გრეიმ და მკრთალი ყვითელი ფერის ღვინო მოსვა ოქროსფერი, შესანიშნავი მძივისებური წინწკლებით დახორკლილი ვენეციური ბროლის სასმისიდან. თან ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ ეს საუბარი თავს აბეზრებდა და მეტისმეტად მოწყენილობას ჰგვრიდა. - მართლაც ოპერაში გახლდით, ჯობდა იქ გენახეთ. ჰარიმ თავისი და, ლედი გვენდოლენი, გამაცნო და ამ დიდებული ახალგაზრდა ლედის ლოჟაში ვისხედით. ლედი ულამაზესი არსებაა და ამასთანავე ფრიად მომაჯადოებელიც! პატი კი ღვთაებრივი ხმით მღეროდა წუხელ. ნუ ილაპარაკებთ უსიამოვნო ამბებზე. თუ ადამიანი ცუდ ამბებს არ გაიხსენებს, ის ვითომც არ მომხდარა. როგორც ჰარი ამტკიცებს, მხოლოდ სიტყვები ადასტურებენ ამა თუ იმ მოვლენის რეალობას. ყოველივე ამას ისიც შემიძლია დავუმატო, რომ სიბილ

ვეინი არ ყოფილა იმ ქალის ერთადერთი შვილი. მას ჰყავს ვაჟიშვილიც და, როგორც მე მსმენია პირადად, შესანიშნავი ახალგაზრდა კაცია, მაგრამ მსახიობი არ არის. ის მეზღვაურია, მგონი. ახლა თქვენზე მიამბეთ... რა სურათის შექმნა გაქვთ განზრახული ან რაზე მუშაობთ ამჟამად?
- თქვენ... ოპერაში... იყავით? - სვენებ-სვენებით ჩაჰკითხა განცვიფრებისაგან გაოგნებულმა ბეზილ ჰოლუორდმა დორიანს და მის დაჭიმულ ხმაში ღრმა მწუხარება გაისმა. - თქვენ წახვედით ოპერაში, როდესაც სიბილ ვეინი თეატრის რომელიღაც უსუფთაო ოთახში, არც კი იცით სად, მიცვალებული ესვენა და შეგიძლიათ ახლა მესაუბროთ სხვა ქალთა სილამაზესა და პატის მომხიბლავ, ღვთაებრივ ხმაზე, როდესაც არსება, რომელიც თქვენ ასე თავდავიწყებით გიყვარდათ, ჯერ კიდევ სამარისათვის არ მიუბარებიათ? ნუთუ კაცურად არ გიფიქრიათ იმ საშინელებაზე, რომელიც მისმა პატარა გაციებულმა სხეულმა უნდა გადაიტანოს?
- ბეზილ, შეჩერდით! არ მსურს მაგ ქადაგების მოსმენა! - წამოიყვირა დორიანმა და ფეხზე წამოიჭრა. - ნუ გამახსენებთ ამ ამბავს! რაც მოხდა, მოხდა. რაც ჩვენგან წავიდა, უკვე წარსულს ჩაბარდა.
- გუშინდელ დღეს წარსულს ეძახით?
- დროს ამ ამბავთან რა ხელი აქვს? მხოლოდ გონებაშეზღუდულ ადამიანებს ესაჭიროებათ წლები, რომ განცდები თავიდან მოიშორონ. ადამიანს, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავი დასძლიოს, ასევე თავისუფლად შეუძლია იხსნას თავი უმძიმესი მწუხარებისაგან და სრულიად იოლად მიაგნოს ახალ სასიხარულო განცდებს. არ მსურს ჩემს განცდათა მონა-მორჩილი შევიქმნე! მინდა საკუთარმა გრძნობებმა დამატკბონ და ამქვეყნიური ყოველგვარი სიამე ძირფესვიანად ამოვწურო მათგან. მინდა თავისუფლად ვმართავდე მათ და კიდეც ვბატონობდე მათზე.
- დორიან, ეს საშინელებაა! არ ვიცი, რამ შეგცვალათ ასე? გარეგნობით ისევ ის შესანიშნავი ჭაბუკი ხართ, ვინც ყოველდღე დადიოდა ჩემთან სახელოსნოში და ფიცარნაგზე შედგებოდა ხოლმე, მაგრამ თქვენ ხომ სრულიად სხვა იყავით მაშინ... მეტად ბუნებრივი, მოსიყვარულე და კეთილი. დიახ, თქვენ იყავით ყველაზე უწმინდესი არსება მთელს დედამიწის ზურგზე. ახლა კი არ ვიცი, რა დაგემართათ, ისე მსჯელობთ, თითქოს არც გული გქონდეთ და არც შებრალების გრძნობა გაგაჩნდეთ. ეს სულ ჰარის გავლენა უნდა იყოს. ახლა ყველაფერი ნათელია ჩემთვის!
ჭაბუკი გაწითლდა, სარკმელს მიუახლოვდა და რამდენიმე წუთს მწვანე სამოსელში გახვეულ, მოციმციმე მზის სხივებზე მთვლემარე ბაღს გადაჰყურებდა.
- ჰარისაგან დიდად დავალებული გახლავართ, ბეზილ, - წარმოთქვა ჭაბუკმა ბოლოს, - და წარმოიდგინეთ, უფრო მეტად დავალებულიც, ვიდრე თქვენგან. თქვენ მხოლოდ ის მასწავლეთ, რა არის პატივმოყვარეობა.
- კეთილი, მე მგონია, ამისათვის დავისაჯე კიდეც, დორიან, ან შესაძლებელია მომავალში უფრო მეტად დავისაჯო.
- არ ვიცი, რას გულისხმობთ, ბეზილ, - წამოიძახა დორიანმა და მისკენ

მოტრიალდა. - არც ის ვიცი, რას თხოულობთ ჩემგან, მითხარით რა გსურთ მაინც?
- მინდა კვლავ ის დორიან გრეი ვიხილო, ვისი პორტრეტიც ასე სასოებით შევქმენი, - ჩაილაპარაკა ნაღვლიანად ხელოვანმა.
- ბეზილ, - წარმოთქვა ჭაბუკმა, მხატვარს მიუახლოვდა და მხარზე შეახო ხელი. - ძალიან დაიგვიანეთ. გუშინ, როდესაც გავიგონე, რომ სიბილ ვეინმა თავი მოიკლა...
- თავი მოიკლა! ღმერთო ჩემო! ნუთუ მართლა? - წამოიძახა ჰოლუორდმა და საშინელი გამომეტყველებით შეაჩერდა ჭაბუკს.
- ძვირფასო ბეზილ. ნუთუ მხოლოდ უბედურ შემთხვევას მიაწერეთ ეს ამბავი? რა თქმა უნდა, არა. მან თავი მოიკლა.
ბეზილ ჰოლუორდმა სახეზე ხელები აიფარა.
- რა შემაძრწუნებელია, - ჩაიბუტბუტა მან და მთელ სხეულში ჟრუანტელმა დაუარა.
- არა, - წამოიძახა დორიან გრეიმ. - შემაძრწუნებელი აქ არაფერია. ეს ხომ ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი რომანტიკული ტრაგედიაა. ჩვეულებრივი მსახიობები მეტად ერთფეროვან უაზრო ცხოვრებას ატარებენ. სანიმუშო ქმრები და ერთგული ცოლები არიან. ერთი სიტყვით, მეტად მოსაწყენი ხალხია. იცით, რასაც ვგულისხმობ, რა თქმა უნდა: საშუალო კლასის პატიოსნებისა და მაღალზნეობრივ თვისებებს. ოჰ, როგორ განსხვავდებოდა სიბილ ვეინი მათგან! მან უდიდესი და წარმტაცი ტრაგედია განასახიერა და გადაიტანა. მასში ყოველთვის ჩანდა ეს გმირული სული. იმ უკანასკნელ საბედისწერო ღამეს, როდესაც ჩვენ ერთად ვიყავით თეატრში, მან ძალიან ცუდად ითამაშა, და ეს იმის გამო მოხდა სწორედ, რომ მან სწორედ მაშინ შეიგრძნო სიყვარულის დიადი ძალა. მერე კი, როდესაც ეჭვი შეიტანა სიყვარულის არსებობაში და დარწმუნდა, რომ ის მხოლოდ ფუჭი ოცნების ნაყოფია, თავი მის დიდებას შესწირა და როგორც ჯულიეტა, ისე გარდაიცვალა. მან ერთხელ კიდევ გაიარა ხელოვნების საუფლოში და ამიერიდან წამებული ადამიანის შარავანდედი მოსავს. დიახ, მის სიკვდილში მაღალ პათეტიკური მხოლოდ უსარგებლო მოწამებრივი ძალაა თავისი უჩვეულო და განყენებული სილამაზით. მაგრამ ერთს კიდევ გთხოვთ, ბეზილ, ნუ ფიქრობთ, რომ ზომაზე მეტად არ ვეწამე. თქვენ რომ გუშინ იმ წუთებში გეხილეთ, როდესაც ეს ამბავი შევიტყვე, დაახლოებით ექვსის ნახევარზე ან ექვსს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ენით აღუწერელი ჩემი ტანჯვა შეგაძრწუნებდათ და ნახავდით რა მდუღარე ცრემლი მდიოდა. თვითონ ჰარიც კი, ვინც ეს ამბავი პირველმა მაცნობა და იმ წამთა მოწამე შიექმნა, ვერ ჩასწვდება ჩემი სულის უმძიმეს განცდებს. მწამს, ვერ წარმოიდგენს, რა უსაზღვროდ ვეწამე, მერე ყოველივემ ჩაიარა და ახლა არ შემიძლია ყველაფერი თავიდან გავიმეორო. გარწმუნებთ, არავის ძალუძს ეს, სენტიმენტალურ ადამიანთა გარდა. თქვენ პირადად ძალიან უსამართლო ხართ ჩემ მიმართ, ბეზილ. ვხვდები, ნუგეშის მოსაცემად მოხვედით, რა თქმა უნდა, ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ დამშვიდებული მნახეთ და სულიერი მღელვარება დაგეუფლათ უკვე. ხედავთ, რას წარმოადგენს ადამიანური თანაგრძნობა? თქვენი საქციელი ერთ ამბავს მაგონებს, რომელიც

ამას წინათ ჰარიმ ერთ ფილანტროპზე მიამბო. ამ კაცმა თავისი სიცოცხლის ოცი წელი რომელიღაც უსამართლო კანონის გამოსწორებას და არასწორი განაჩენის შეცვლას შესწირა. დამავიწყდა კიდეც, სახელდობრ რას მოითხოვდა. ბოლოს, როდესაც გაიმარჯვა, მის სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ამქვეყნად სრულიად აღარაფერი დარჩა გასაკეთებელი და მოწყენილობისაგან კინაღამ სული განუტევა. დასასრულს წარმოიდგინეთ, ამის გამო ნამდვილ მიზანთროპად იქცა თურმე. ჩემო ძვირფასო ბეზილ, თუ თქვენ ნამდვილად გსურთ დამამშვიდოთ და ნუგეში მომცეთ, მხოლოდ ის მასწავლეთ, როგორ დავივიწყო, რაც მოხდა,ან გზა მიჩვენეთ, ყოველივე იმ მსოფლმხედველობით განვჭვრიტო, როგორც მხატვარი აღიქვამდა მას. მგონი გოტიე[52] წერდა იმ „la consolation des arts“[53]-ის შესახებ, რომელსაც ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მართლაც ხელოვნებაში ვპოულობთ. მახსოვს, ერთხელ თქვენ სახელოსნოში ხელთ პატარა პერგამენტგადაკრული წიგნი მომხვდა და ეს შესანიშნავი ფრაზა იქ ამოვიკითხე. მერწმუნეთ, ვერავითარ მსგავსებას ვერ აღმოაჩენთ ჩემსა და იმ ახალგაზრდა კაცს შორის, რომელზედაც მიამბობდით ოდესღაც წინათ, როდესაც მარლოში ერთად ჩავედით. იმ ახალგაზრდა კაცს ხშირად უყვარდა თქმა, რომ ოქროსფერ ატლასს შეუძლია ნუგეში სცეს ადამიანს ყოველგვარ უბედურებაშიო. დიახ, მეტისმეტად მიყვარს უმშვენიერესი საგნები, რომელთა შეხება და ხელში დაჭერა შეიძლება. ის ძველებური ფარჩა-ატლასი, მწვანე ბრინჯაო, სანდალოზისა და სპილოს ძვლის შესანიშნავი ნაკეთობანი, განსაცვიფრებელი სილამაზის მქონე ნივთები და ავეჯი, ფუფუნება და ბრწყინვალე ზარ-ზეიმი. მართლაც ყოველივე ეს, აბა წარმოიდგინეთ, რაოდენ სიამოვნებას გვანიჭებს! მაგრამ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ხელოვნების ის შინაგანი სულიერი შეგრძნებანი და განცდებია, რომელსაც ისინი თვით წარმოშობენ ან კიდევ სხვა ადამიანებში ავლენენ. იქცე ცხოვრების მაყურებლად - ნიშნავს თავიდან აიშორო ამქვეყნიური ტანჯვა! ვხედავ, ფრიად განცვიფრებთ ჩემი ასეთი მსჯელობა. თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, როგორ მომწიფდა ჩემი ცხოვრების მიერ მონიჭებული განცდანი. როდესაც თქვენ გამიცანით, მხოლოდ მოსწავლე ბიჭი ვიყავი, ამჟამად კი მამაკაცი დგას თქვენ წინაშე! ჩემს სულში ახალი გრძნობანი გაღვივდა, ახალი აზრები და მისწრაფებანი. დიახ, სრულიად სხვა ადამიანად ვიქეცი. მაგრამ, ბეზილ, არ მინდა შემიძულოთ. მართალია, შევიცვალე, მაგრამ თქვენ ისევ ჩემს მეგობრად უნდა დარჩეთ სამუდამოდ. გამოგიტყდებით, ძალიან მიყვარს ჰარი, მაგრამ ისიც ვიცი, თქვენ გაცილებით უკეთესი ხართ მასზე, თქვენ ისეთივე ძლიერი სულის ადამიანი არა ხართ, როგორც ის, რადგან ცხოვრება ძალიან გაშინებთ, მაგრამ თქვენ ყოველმხრივ უკეთესი ხართ მაინც. ოჰ, რა ბედნიერად გავატარებდით დროს ერთად? ნუ მიმატოვებთ, ბეზილ, გევედრებით. ნურც დავას დამიწყებთ. ასეთი შემქმნა ბუნებამ და რა გაეწყობა!

მხატვარს გული საოცრად აუჩვილდა. ჭაბუკი მართლაც უსაზღვროდ ძვირფასი იყო მისთვის. მისმა პიროვნებამ თითქმის მთელი გადატრიალება მოახდინა მხატვრის ხელოვნებაში. ახლა იმის გაფიქრებაც კი უმძიმდა, რომ კვლავ

საყვედურებით აევსო. ბოლოს და ბოლოს ცვლილებანი ამ ახალგაზრდა ჭაბუკის ხასიათში ხომ მალე გაქრებოდა, რამდენი რამ კეთილშობილური და კარგი იყო მასში!
- კეთილი, დორიან, - ჩაილაპარაკა მან ბოლოს ნაღვლიანი ღიმილით. - დღეის შემდეგ მე არასოდეს მოგაგონებთ ამ საშინელ ამბავს. იმედია, თქვენს სახელს არავითარი ჩრდილი არ მიადგება ამ ამბავთან დაკავშირებით. ძიება დღეს ნაშუადღევისთვისაა დანიშნული. გამოძახებული ხომ არა ხართ?
დორიანმა სიტყვა ძიების ხსენებაზე თავი გაიქნია და სახეზე საოცარი მღელვარება დაეტყო. რაღაც მეტისმეტად უხეში და ტლანქი მოჩანდა ყველა ამ წვრილმანში.
- მათ ჩემი სახელი და გვარი არ იციან, - განაცხადა ჭაბუკმა.
- მაგრამ სიბილ ვეინმა ხომ იცოდა?
- არა, მხოლოდ სახელი იცოდა და სრულიად დარწმუნებული ვარ, არავისთან გაუმხელია. ერთხელ მიამბო, რომ თეატრში ყველა მკითხულობდა თურმე. ის კი ყველასთან მომაჯადოებელ უფლისწულს მიწოდებდა. მისი ასეთი საქციელი მეტად საოცარი და გულში ჩამწვდომია, ძალიან მინდა, ბეზილ, შექმნათ მისი არაამქვეყნიური სილამაზის ამსახველი სურათი. მინდა სახსოვრად შევინახო არამხოლოდ რამდენიმე უნაზესი კოცნით გამოწვეული სულიერი სიამე ან ამჟამად უკვე სამუდამოდ ფერფლად ქცეული გრძნობით სავსე სიტყვების წარუშლელი ძალა, არამედ ცოტა კიდევ უფრო მეტი რამ.
- შევეცდები და რამეს მოვახერხებ, დორიან, თუ ეს მართლაც ასე დიდად სასიამოვნო იქნება თქვენთვის. მაგრამ თქვენც მოგიწევთ კვლავ შედგეთ ფიცარნაგზე მე ხომ არ შემიძლია თქვენ გარეშე რაიმეს სერიოზულად ვახლო ხელი.
- თქვენ ვეღარასოდეს მიხილავთ იქ, ბეზილ, ეს შეუძლებელია, - წამოიყვირა ჭაბუკმა და უკან გადახტა.
მხატვარი ჭაბუკს განცვიფრებული შეჰყურებდა.
- ჩემო ძვირფასო დორიან, ეს კიდევ რა ახალი ამბავია? - წამოიძახა მხატვარმა თავის მხრივ. - ნუთუ არ მოგწონთ თქვენი პორტრეტი? სად არის, რატომ ჩამოგიფარებიათ თეჯირი? აბა, ერთი მაჩვენეთ. ეს პორტრეტი ხომ ყველაზე უკეთესია მათ შორის, რაც კი ოდესმე ჩემს ხელს შეუქმნია. აიღეთ აბა, თეჯირი!
თქვენ მსახურს ალბათ მეტისმეტი უცოდინარობით მოუვიდა მისი კუთხეში მიმალვა. როგორც კი ოთახში ფეხი შემოვდგი, უიმისოდ ყველაფერი მთლად შეცვლილი მეჩვენა.
- ჩემს მსახურს რა უფლება აქვს პორტრეტს შეეხოს, ბეზილ? ნუთუ ფიქრობთ, რომ მე მას ნებას დავრთავ თავის ნებაზე გადააადგილოს ჩემს სახლში ნივთები? ის მხოლოდ ყვავილებს შემირჩევს ხოლმე. ეს არის და ეს. არა, ეს მე თვითონ დავდგი. სურათს ძალიან დიდი სინათლე ხვდებოდა.
- დიდი სინათლე? შეუძლებელია, ჩემო კარგო, ეს ადგილი ხომ ყველაზე შესაფერისია მისთვის? აბა მიჩვენე.
და ჰოლუორდი იმ კუთხისაკენ გაეშურა, სადაც სურათი ეკიდა.

თავზარდამცემი შიშით შეძრწუნებული ადამიანის მოულოდნელი ყვირილი აღმოხდა დორიან გრეის და მხატვარსა და თეჯირს შორის ჩადგა.
- ბეზილ, - წარმოთქვა მან და გაფითრდა.- მე არ მინდა თქვენ კვლავ ნახოთ პორტრეტი. არავითარ შემთხვევაში არ გაჩვენებთ.
- მიკრძალავთ საკუთარ ნამუშევარს შევხედო? თქვენ ხუმრობთ ალბათ, მაინც რატომ არ უნდა ვნახო? - წამოიძახა ჰოლუორდმა სიცილით.
- თუ თქვენ შეეცდებით და სურათს ნახავთ, ვფიცავ ყოველივეს, რაც კი უწმინდესად მიმაჩნია, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არ დაგელაპარაკებით. მე სრულიად სერიოზულად მოგახსენებთ, ვერაფერს აგიხსნით. თქვენც ნუ გამომკითხავთ. მაგრამ ერთი მაინც გახსოვდეთ, ხელს შეახებთ თუ არა თეჯირს, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდება.
ჰოლუორდს თავზარი დაეცა და განცვიფრებისაგან მთლად გაოგნებული შეჰყურებდა დორიან გრეის. ასეთ მდგომარეობაში დორიანი არასოდეს ენახა წინათ. გააფთრებისაგან ჭაბუკს მკვდრისფერი დასდებოდა, ხელები მთელი ძალით დაემუშტა, თვალის გუგები მოლურჯო ცეცხლისფრად ანთებოდა და მთელი სხეულით ცახცახებდა.
- დორიან!
- ნურაფერს მეტყვით, ბეზილ!
- რა მოხდა მაინც ასეთი? რა თქმა უნდა, არ ვნახავ, თუ ასე გწადიათ, - განაცხადა მხატვარმა. საკმაოდ ცივად შეტრიალდა და სარკმლისკენ გაემართა, - მაგრამ რა საოცარია, საკუთარი ქმნილების ნახვას რომ მიკრძალავთ! და ეს სწორედ მაშინ, როდესაც ამ შემოდგომაზე მის გამოფენაზე გაგზავნას ვაპირებ პარიზს. გაგზავნამდე კი საჭიროა ლაქი გადავუსვა. ასე რომ, ამ დღეებში სულ ერთია მომიხდება მისი ნახვა. მაინც მაოცებს ეს ამბავი. რატომ არ შეიძლება დღეს ვნახო?
- გამოფენაზე? გამოფენაზე უნდა გაგზავნოთ პარიზს? - წამოიძახა დორიან გრეიმ და იგრძნო, როგორ მზაკვრულად შეიჭრა და გაიკვლია გზა შემაძრწუნებელმა შიშმა მის სულში. ნუთუ მთელმა ქვეყნიერებამ უნდა იხილოს თვალით მისი სულის საიდუმლოებანი? ცნობისმოყვარეობით აღვსილი ადამიანები მის იდუმალ ფიქრებსა და გრძნობებს დაუწყებენ დაჟინებით ჭვრეტას. ჭაბუკი ვერ მიხვდა, რა გზას დასდგომოდა, მაგრამ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად კი რამე უნდა ეღონა სასწრაფოდ.
- დიახ, პორტრეტი პარიზს უნდა გავგზავნო. იმედია, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ. - გაიმეორა მხატვარმა.- ჯორჯ პეტიტი აპირებს, ყველა ჩემი საუკეთესო ნამუშევარი შეაგროვოს და საგანგებო გამოფენა მოაწყოს რუდე სეზის ქუჩაზე. ოქტომბრის პირველი რიცხვებისათვის გაიხსნება გამოფენა. პორტრეტს მხოლოდ ერთი თვით წაიღებენ. იმედია, ასე ცოტა ხნით ადვილად შეელევით. სწორედ იმ დროს არც გიწევთ ლონდონში ყოფნა. მაგრამ რა აზრი აქვს, თუ მაინც მუდამ თეჯირს უკან მალავთ? ჩანს არცთუ ისე დიდად უნდა უფრთხილდებოდეთ! დორიან გრეიმ შუბლზე ხელი გადაისვა. ოფლის ცივი წვეთები მძივებივით უბრწყინავდა: იგრძნო, რომ ამაზრზენი საფრთხის საზღვარზე აღმოჩნდა.

- თქვენ ხომ ერთი თვის წინათ განმიცხადეთ, რომ სურათს არასოდეს გაგზავნიდით გამოფენაზე! - მოულოდნელად წამოიძახა მან. - რისთვის შეიცვალეთ აზრი? თქვენ, ადამიანები, რომლებიც ხასიათის სიმტკიცით გამოირჩევით და დიდად ამაყობთ ამით, ხშირად ნათლად ვატყობ ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანებივით იცვლით გუნება-განწყობილებას. სხვაობას თქვენ შორის მხოლოდ ერთში ვამჩნევ: თქვენი განწყობილებები თითქმის უაზრო ახირებას ჰგავს. განა ასე მალე გადაგავიწყდათ, რა აღტაცებით მარწმუნებდით, რომ ამქვეყნად ვერავითარი ძალა გაიძულებდათ გაგეგზავნათ ჩემი პორტრეტი გამოფენაზე, და ჰარისაც ხომ ასევე უთხარით მაშინ?
ჭაბუკი უცებ გაჩერდა და თვალებში რაღაც უჩვეულო სხივი აუციმციმდა. გაახსენდა ერთხელ ოდესღაც ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით ნათქვამი ლორდ ჰენრის სიტყვები: „თუ გსურთ საათის ერთი მეოთხედი მაინც ფრიად თავშესაქცევი ამბებით გაერთოთ, ბეზილ ჰოლუორდი აიძულეთ გითხრათ, რატომ არ უნდა გაგზავნოს გამოფენაზე თქვენი პორტრეტი? მე ყველაფერი მიამბო და ეს ჩემთვის ნამდვილი გამოცხადება იყო“. ეტყობა, ბეზილსაც აქვს თავისი საიდუმლო, როგორმე უნდა სცადოს და გამოიცნოს.
- ბეზილ, - მიმართა ჭაბუკმა, მიუახლოვდა მას და თვალი თვალში გაუყარა, - ორივე ჩვენგანს თავისი საიდუმლო გააჩნია. ნება მომეცი ვიცოდე თქვენი და მაშინ მოგახსენებთ ჩემსას. რა იყო მიზეზი, რომ ჩემი პორტრეტის გაგზავნას არ აპირებდით გამოფენაზე?
მხატვარს თავისდა უნებურად გააჟრჟოლა.
- დორიან, ვიცი, რომ გამოგიტყდეთ ჩემზე გული შეგეცვლებათ, აღარ მოგეწონებით და დამცინებთ კიდეც. მე კი თქვენგან ვერც ერთ მათგან ვერ ავიტან. თუ არ გინდათ, რომ სურათი ოდესმე ვნახო, თანახმა ვარ. თქვენ რომ გიყურებთ ესეც საკმარისია, მაგრამ თუ გსურთ, ჩემი საუკეთესო ქმნილება, ჩემს ნამუშევართა შორის შედევრი ქვეყნიერებამ არ იხილოს და გადამალოთ, წინააღმდეგობას არ გაგიწევთ. თქვენი მეგობრობა ჩემთვის გაცილებით ძვირფასია, ვიდრე დიდება და სახელი.
- აბა, ბეზილ, თქვენი საიდუმლო უნდა გამანდოთ, - დაჟინებით მოითხოვდა დორიან გრეი. - ვფიქრობ, უფლება მაქვს ვიცოდე.
ჭაბუკს შიშმა გაუარა და ახლა ცნობისმოყვარეობამ დაიკავა მისი ადგილი. გადაწყვიტა, ბეზილ ჰოლუორდის საიდუმლო როგორმე შეეტყო.
- მოდი დავსხდეთ, დორიან, - უთხრა მხატვარმა და სახეზე დიდი ტანჯვა და ნაღველი გამოეხატა. - მოდი დავსხდეთ და ერთ კითხვაზე მიპასუხე ახლავე. რამე უცნაური და ფრიად განსაკუთრებული ხომ არაფერი შეგინიშნავთ პორტრეტზე? აი, მაგალითად ისეთი, რომელიც პირველად თვალში არ მოგხვედრიათ, მაგრამ შემდეგ უცებ გამომჟღავნდა?
- ბეზილ, - წამოიძახა ჭაბუკმა, მთრთოლვარე ხელებით სავარძლის ზურგს ჩაეჭიდა და ზომაზე მეტად გაოცებული, საოცრად დამფრთხალი თვალებით შეჰყურებდა მას.
- ვხედავ, რომ შენიშნეთ. ნურაფერს მეტყვით, დორიან, მოითმინეთ, სანამ ჩემს

სათქმელს დავამთავრებდე. იმ წუთიდან როგორც კი შეგხვდით, თქვენმა პიროვნებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. თქვენ დაგემორჩილათ ჩემი სული, გონება და ნიჭი. თქვენ იქეცით იმ უხილავი და იდუმალი იდეალის განსახიერებად, რომელიც თან სდევს ხელოვანს, როგორც ზებუნებრივი ოცნება. გაღმერთებდით, ყველაზე ვეჭვიანობდი, ვინც კი ხმის გაცემას გაგიბედავდათ. მინდოდა მთლად დამესაკუთრებინეთ. უდიდეს ნეტარებას მხოლოდ მაშინ განვიცდიდი, როდესაც ჩემთან გხედავდით. იყო წუთები, როდესაც შორს იყავით ჩემგან, მაგრამ მე მუდამ ისე გაგიცდიდით, როგორც ჩემ თვალწინ მდგომს. განსაკუთრებით კი მაშინ, თუ რაიმეს ვქმნიდი... რა თქმა უნდა, ეს თქვენთვის არასოდეს მიგრძნობინებია. ეს ხომ შეუძლებელი იყო, თქვენ ვერ გამიგებდით. თვით ძლივს ვწვდებოდი ამ იდუმალ გრძნობების სიღრმეს. ვგრძნობდი, ჩემს პირდაპირ ამქვეყნიური სრულყოფილება იდგა და ამიტომაც ქვეყანა ზომაზე მეტად მომხიბვლელ წალკოტად აღსდგა ჩემს ზმანებებში. ამ მომხიბვლელობამ ისეთი ძალით დამახვია თავბრუ, რომ ქვეშეცნეულად მივხვდი, ასეთი არანორმალური გაღმერთება და თაყვანისცემა ადამიანის სულისათვის ფრიად დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. ოღონდ არ ვიცი, რა უფრო საშიში იყო - მისი დაკარგვის განსაცდელი, თუ თვით მისი ზემოქმედება მთელს ჩემს არსებაზე. კვირეები გადიოდა და მე უფრო და უფრო ვგრძნობდი, როგორ შთანმთქა თქვენზე ოცნებამ. ბოლოს ერთი აზრი არ მაძლევდა მოსვენებას. მაშინ შექმნილი მქონდა ერთი ტილო: დაგხატეთ, როგორც პარისი[54] უბრწყინვალესი საჭურველით. მერე პრიალა შუბით დაგხატეთ, როგორც ადონისი მონადირის სამოსელში. თავზე უტურფესი ლოტოსის ყვავილებისაგან მოწნული გვირგვინი გედგათ. იმპერატორ ადრიანეს[55] გემის წინა ნაწილში განისვენებდით განცხრომით და მწვანედ ამღვრეულ ნილოსის ტალღებს გადასცქეროდით. ერთ სურათში კი საბერძნეთის ერთ-ერთ ულამაზეს ტყეში თვალმოუშორებლად ჩაჰყურებდით ტბის გაქვავებულ ვერცხლისფერ სიღრმეს, სადაც საკუთარი სახის განსაცვიფრებელ მშვენიერებას ჩასცქეროდით და ელოლიავებოდით. ეს სახეები იქმნებოდა ღრმა ძიებისა და ჭვრეტის შედეგად და ჩვენი დროის ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშებს წარმოადგენდა. ეს იყო ჯერ კიდევ შეუცნობელი, ნახევრად აღთქმული მეტისმეტად შორეული იდეალური სახეები. ერთ დღეს, სწორედ იმ საბედისწერო დღეს, როგორც ახლა მე ხანდახან მეჩვენება, გადავწყვიტე შემექმნა თქვენი პორტრეტი. ეს უნდა ყოფილიყო სრულყოფილი პორტრეტი არა გარდასულ საუკუნეთა მოძველებულ სამოსელში, არამედ სწორედ ჩვენი ეპოქის სამოსელით და, რაც მთავარია, ხასიათით. ვერ გეტყვით რა იყო ამ საქმეში უმთავრესი, რეალისტური წერის მანერა, თუ თქვენი პიროვნების განსაცვიფრებელი მომხიბვლელობა, რომელიც ასე უშუალოდ, პირდაპირ და შეუნიღბავად ვიხილე და შევიცნე. მაგრამ მუშაობა დავიწყე თუ არა, მივხდი, თითოეული ფუნჯის მოსმა და ფერთა ოდნავი ცვალებადობა ჩემს საიდუმლოს ააშკარავებდა. შიშით ვთრთოდი. სხვა ადამიანები პორტრეტზე მსწრაფლ აღმოაჩენდნენ ჩემს სათაყვანო და საღმერთებელ კერპს. ვიგრძენი, დორიან, რომ ამ სურათში დავასრულე თითქმის მთელი ჩემი სათქმელი... ზომიერების საზღვარს ავცდი.

ძალიან ბევრი სულიერი ტკივილი და შთანაფიქრი ჩავაქსოვე მასში და აი, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, არასოდეს გამეგზავნა გამოფენაზე ის. თქვენ ამით ცოტად თუ ბევრად გაგაღიზიანეთ, მაგრამ ეჭვითაც კი ვერ მიმიხვდით, რა სერიოზული მოსაზრებები მქონდა. ჰარიმ კი, ვისაც ამ საკითხზე ადრევე ვესაუბრე, მხოლოდ დამცინა. რა თქმა უნდა, მე ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი. როდესაც სურათი დასრულდა და მის წინ მარტოდმარტო აღმოვჩნდი, ვიგრძენი რომ მართალი ვიყავი... რამდენიმე დღის შემდეგ ის ჩემი სახელოსნოდან წაიღეს კიდეც და როგორც კი თავი ვიხსენი ამ პორტრეტიდან მომდინარე ამოუხსნელი და გაუსაძლელი თილისმისაგან, ისე მომეჩვენა, თითქოს ეს ყოველივე თავქარიანი ადამიანის ნაოცნებარი ყოფილიყოს, და რომ პორტრეტში, თქვენი განსაცვიფრებელი სილამაზისა და მხატვრის დიდი ხელოვნების გარდა, ვერავინ შენიშნავდა რაიმეს. ახლაც კი, წარმოიდგინეთ, ისე მეჩვენება, თითქოს გაურკვეველი ბურუსი მეხვია გარს და რომ უდავო შეცდომა იყო იმისი ფიქრი, თითქოს მხატვრის შინაგან განცდებსა და გრძნობებს გამოხატავდეს და ააშკარავებდეს შემოქმედება. ხელოვნება გაცილებით უფრო აბსტრაქტულია, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ. ფორმა და საღებავი მხოლოდ ფორმასა და საღებავზე გვაძლევენ ნათელ წარმოდგენას. ეს არის და ეს. ხშირად ახლა ისეც მეჩვენება, რომ ხელოვნება გაცილებით უკეთ ახერხებს დაფაროს მხატვარი, ვიდრე გამოავლინოს მისი შინაგანი სამყარო. და როდესაც პარიზიდან წინადადება მივიღე, გადავწყვიტე, რომ ეს პორტრეტი იქნებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი იქ გასაგზავნ ჩემს ქმნილებათა შორის. თავში ერთხელაც არ გამივლია აზრად, რომ თქვენ რაიმე საწინააღმდეგო გექნებოდათ. ახლა ვგრძნობ, რომ მართალი ხართ. საჭირო არ არის პორტრეტი გამოფენაზე გაიგზავნოს. ნუ გამირისხდებით, დორიან, თუ გულწრფელად გამოგიტყდებით, ისევე როგორც ჰარის წინაშე ვაღიარე გულახდილად ერთხელ: ამქვეყნად თქვენ მხოლოდ იმისთვის შობილხართ, რომ თაყვანი გცენ.

დორიან გრეიმ თავისუფლად ამოისუნთქა, სახე ისევ აუვარდისფერდა და ბაგეზედაც ღიმილი დააჩნდა. საფრთხემ იოლად გადაიარა, ამჯერად განსაცდელი ასცდა. მას თავისდა უნებურად მეტისმეტად ეცოდებოდა მხატვარი, რომ აიძულა და ასეთი უცნაური აღსარება წარმოათქმევინა. საკუთარ თავს იდუმალი ხმით ჩაჰკითხავდა, შეეძლო თუ არა ოდესმე ასეთი გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა სხვა ახლობელი ადამიანის სულს მის არსებაზე? ლორდ ჰენრის უდავოდ გააჩნდა ასეთი მიმზიდველობის ძალა, ყოველგვარი საშიშროება ხომ იტაცებს და აჯადოებს ადამიანის გონებას, მაგრამ მხოლოდ ეს იყო და ეს. ლორდ _____ჰენრი მეტისმეტად ჭკვიანი და ცინიკოსია რათა არ შეიყვარონ, - ფიქრობდა ჭაბუკი. - ნუთუ გამოჩნდება ამქვეყნად ადამიანი, ვინც მის სათაყვანო კერპად გადაიქცევა. ნუთუ უწერია ცხოვრებაში, რომ ესეც გამოსცადოს?

- განსაცვიფრებელი ამბავია, დორიან, - წარმოთქვა ჰოლუორდმა, - თუ ეს ყოველივე პორტრეტზე ამოიკითხეთ, ნუთუ მართლა თქვენი თვალით იხილეთ რამე?

- რაღაც შევნიშნე, მაგრამ ამანაც ძალზე გამაოცა.

- ახლა კი ნება მომეცით, შევხედო პორტრეტს.
დორიანმა თავი გააქნია.
- ამის თხოვნა არ გეკადრებათ, ბეზილ, იმის ნებასაც ვერ მოგცემთ, რომ მიუახლოვდეთ მას.
- ალბათ ოდესმე, შემდეგ მაინც დამრთავთ ამის ნებას, არა?
- არასოდეს.
- კეთილი, შესაძლოა მართალიც იყოთ, ახლა კი ნახვამდის, დორიან. თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ, რომელმაც ნამდვილად უდიდესი გავლენა მოახდინეთ ჩემს ხელოვნებაზე. და რაც კი უძვირფასესი რამ შეუქმნია ჩემს ხელს, თქვენ უნდა გიმადლოდეთ. ოჰ! ნეტავ იცოდეთ, რა ძვირად მიღირდა ყოველივე ამის განდობა თქვენთვის.
- ძვირფასო ბეზილ, - წარმოთქვა ჭაბუკმა, - განა რა გამანდეთ ასეთი? მარტოოდენ ის, რომ ესოდენ თაყვანს მცემდით. ეს მართლაც ქათინაური არ უნდა იყოს.
- განზრახული არ მქონდა ქათინაურებით გაგმასპინძლებოდით. ეს უფრო აღსარებას ჰგავდა. და ახლა, როდესაც დავამთავრე, რაღაც უდიდეს დანაკლისს განვიცდი. თითქოს რაღაც წარმტაცეს. ჯობს ადამიანმა სხვისადმი სათაყვანო სიტყვები ასე იოლად არ წარმოთქვას სიტყვებით.
- თქვენმა აღსარებამ იმედი გამიცრუა.
- როგორ? რას მოელოდით, დორიან? ნუთუ სხვა რამეც შენიშნეთ პორტრეტზე?
- არა, სრულიად არაფერი, რატომ მეკითხებით? თაყვანისცემას კი ნუღარ მიხსენებთ, ბეზილ, ეს უთუოდ სისულელეა. ჩვენ მეგობრები ვართ და ასე უნდა დავრჩეთ სიკვდილამდე.
- თქვენ ჰარი გყავთ ახლა ყველაზე ახლობელი, - წარმოთქვა ჰოლუორდმა ნაღვლიანად.
- ოჰ, ჰარი! - წამოიძახა ჭაბუკმა სიცილით. - ჰარი დღისით ყოვლად დაუჯერებელ ამბებს ჰყვება და დროს ამაში ატარებს, საღამოობით კი წარმოუდგენელ ილუზიებს ჰქმნის. აი, მეც სწორედ ასეთ ცხოვრებას უნდა ვატარებდე, მაგრამ განსაცდელის წამში კი გწამდეთ, არ ვფიქრობ ჰარის მივაკითხო. მაშინ თქვენ მოგძებნით უთუოდ, ბეზილ.
- და კვლავ გიხილავთ ფიცარნაგზე, არა?
- შეუძლებელია!
- თქვენი უარი, იცოდეთ, დაღუპვით ემუქრება ჩემს ცხოვრებას, დორიან. არც ერთი ხელოვანი არ ხვდება თავის იდეალს ორჯერ ცხოვრებაში. ერთხელაც ძლივს მიაგნებს ხოლმე ზოგიერთი.
- ახსნა არ ძალმიძს, ბეზილ, მაგრამ ამიერიდან ვერასოდეს მიხილავთ თქვენს წინაშე ფიცარნაგზე. თითოეულ სურათში არის რაღაც საბედისწერო. თითოეული მათგანი თავის საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს... თქვენთან მოვალ აუცილებლად, თუნდაც ჩაიზე შემოვივლი ხოლმე. გწამდეთ, ეს გაცილებით უფრო სასიამოვნო იქნება.
- ვშიშობ, თქვენთვის სასიამოვნოზე მეტიც... - წყენით ჩაიჩურჩულა ჰოლუორდმა. - ახლა კი ნახვამდის. ვწუხვარ, რომ ერთხელაც ვერ მოვკარი თვალი პორტრეტს,

მაგრამ რას იზამ? ძალიან კარგად მესმის თქვენი.
როგორც კი ჰოლუორდი გავიდა, დორიანმა გაიღიმა. საცოდავი ბეზილი! რა შორსაა ჭეშმარიტებისაგან მისი აზრი. განა საოცრება არ არის, რომ დორიანს არ მოუხდა თავისი საიდუმლო გამოეაშკარავებინა? ისიც კი შეძლო, მეგობრის ფარული ზრახვანი გამოეხსნა და ამოეცნო. რამდენი რამ გახადა ნათელი ამ უცნაურმა აღსარებამ. მხატვრის უგუნური ეჭვიანი განწყობილება, მისი უსაზღვრო თაყვანისცემა, მისი გასაოცარი ხოტბა და ხანდახან საოცარი თავშეკავება, ახლა ყოველივე გასაგები შეიქნა და დორიანს ნაღველი შემოაწვა გულზე. რაღაც ტრაგიკული იგრძნობოდა ასეთი რომანტიკული ფერებით მოსილ მეგობრობაში.
ჭაბუკმა ამოიოხრა და ზარი დარეკა. რაც უნდა მოხდეს პორტრეტი უნდა გაიტანოს ამ ოთახიდან! რისკი დაუშვებელია. შეიძლება საიდუმლო გამომჟღავნდეს. დიდი უგუნურება იქნება პორტრეტის თუნდ ერთი საათით დატოვება, სადაც ყველა მეგობარსა და ნაცნობს თავისუფლად შემოსვლის უფლება აქვს!

თავი X

როდესაც მსახური შემოვიდა, დორიანი თვალმოუშორებლად და დაჟინებით აკვირდებოდა მას და ცდილობდა გაეგო, ვიქტორს განზრახული ჰქონდა თუ არა თეჯირის უკან გაეპარებინა თვალი. ლაქია კი სრულიად მშვიდად იდგა და ბრძანებას ელოდა. დორიანმა სიგარეტს მოუკიდა. სარკესთან სულ ახლოს მივიდა და ჩაიხედა. იქ სრულიად ნათლად ჩანდა ვიქტორის სახე. ამ სახეზე მხოლოდ და მხოლოდ მონურ მორჩილებას ამოიკითხავდა მხილველი. საშიში _____არაფერი ჩანდა, თუმცა დორიანმა გუნებაში გადაწყვიტა, მაინც ფრთხილად
ყოფილიყო.
ჭაბუკი დინჯად ესაუბრებოდა ლაქიას. უბრძანა ეკონომი ქალისათვის ეხმო, სახელოსნოში ჩასულიყო, ჩუქურთმაზე მომუშავე ოსტატისათვის ორი მუშის განთავისუფლება ეთხოვნა და სასწრაფოდ ამოეყვანა.
დორიანს მოეჩვენა, რომ მსახურმა ოთახიდან გასვლისას თეჯირისაკენ გააპარა თვალი. დაეჭვდა, ნუთუ მართლა ეჩვენებოდა ყოველივე?
რამდენიმე წუთის შემდეგ მისის ლიფი ფუსფუსით შემოვიდა ბიბლიოთეკაში. მას შავი აბრეშუმის კაბა ეცვა და დანაოჭებულ ხელებზე უთითო, ძველებური ხელთათმანი ეკეთა. დორიანმა საკლასო ოთახის გასაღები მოსთხოვა.
- საკლასო ოთახი, მისტერ დორიან? - წამოიძახა ქალმა და ოდნავ შეკრთა, - ალბათ სულ მტვრით არის სავსე. ჯერ უნდა დავალაგებინო, ყველაფერი მოვაწესრიგებინო და მერე შებრძანდით. ახლა, გარწმუნებთ, შიგ შეხედვაც კი არ შეიძლება. დიახ, მართლაც არ შეიძლება.
- მისი დასუფთავება არ მითხოვია, ლიფ. მხოლოდ გასაღებს მოვითხოვ!
- კეთილი, სერ, მაგრამ აბლაბუდებით დაიფარებით. მგონი, ხუთი წელია, რაც ოთახი არ გაგვიღია - მისი ბრწყინვალების გარდაცვალების დღიდან და აბა, როგორ შეიძლება შიგ შესვლა?

დორიანს პაპის ხსენებაზე გააჟრჟოლა. მეტისმეტად უსიამოვნო მოგონებები აკავშირებდა გარდაცვლილ მოხუცთან.
- ამას მნიშვნელობა არა აქვს, - უპასუხა ჭაბუკმა, - მინდა მხოლოდ შიგნით შევიხედო, მეტი არაფერი. მომეცით გასაღები.
- ინებეთ, სერ, - წარმოთქვა მოხუცმა ქალმა და აკანკალებული ხელით რგოლზე გასაღების ამორჩევას შეუდგა. - აი, ეს გახლავთ. ახლავე მოვხსნი. მაგრამ იმ ოთახში გადასვლას ნუ ინებებთ, სერ, აქ მეტად მოხერხებულად ხართ მოწყობილი.
- არა, არა! - წამოიძახა მოუთმენლად დორიანმა, - გმადლობთ, ლიფ. მეტი არაფერია საჭირო.
ეკონომმა ქალმა ცოტა ხანს კიდევ დააყოვნა. ის გაბმით ყვებოდა რაღაც საოჯახო წვრილმან ამბებს. ჭაბუკმა ამოიოხრა და განუცხადა, ისე მოეწყო ყველაფერი, როგორც თვით მიიჩნევდა უმჯობესად. ბოლოს მისის ლიფი კმაყოფილი ღიმილით გაშორდა ჭაბუკს და ოთახიდან გავიდა.
მისის ლიფმა კარი გაიხურა თუ არა, დორიანმა გასაღები ჯიბეში ჩაიდო და გარშემო მიმოიხედა. თვალში ბროწეულისფერი სტავრის დიდი გადასაფარებელი მოხვდა, რომელიც მთლად ოქრომკედით იყო ამოქარგული და მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულის შესანიშნავი ვენეციური ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ეს გადასაფარებელი ოდესღაც პაპამისს ბოლონიის[56] ახლო მდებარე ერთ-ერთი მონასტრიდან ჩამოეტანა. დიახ, გადასაფარებელი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ შიგ თავისუფლად შეეძლო გაეხვია ეს მომავალ დღეთა უბედურების წინასწარმაცნე პორტრეტი. შესაძლებელია მას ოდესმე მიცვალებულთა გადასაფარებლადაც ხმარობდნენ. ახლა კი ამ ქსოვილმა უნდა დაფაროს საგანი, რომელიც თვითვე იხრწნება და ეს გახრწნა გაცილებით უარესია გვამის გახრწნასთან შედარებით. თუმც ყველა მხილველისათვის ამიერიდან პორტრეტი თავზარდამცემი შიშის წყაროდ გადაიქცევა, მაგრამ თვით დედამიწის პირისაგან აღგვა არ უწერია და ალბათ საუკუნეთა დინებას გაუძლებს. როგორც მიცვალებულ სხეულს მიწაში ჭიაღუა ესევა და მტვრად აქცევს, ალბათ ჭაბუკის ამქვეყნიური ცოდვები ასეთივე დღეს წაჰკიდებენ ამ ნახატ გამოსახულებას ტილოზე. მის სილამაზეს დაამახინჯებენ და სამუდამოდ წარიტაცებენ. მის მომხიბვლელობასაც, რაღა თქმა უნდა, უკვალოდ გაქრობა უწერია. დიახ, ამქვეყნიური ცოდვანი შებღალავენ, წაბილწავენ მას და სამარცხვინო ლაქებით დასვრიან, მაგრამ სავალალოდ პორტრეტი მარად იცოცხლებს მაინც.
დორიანს გააჟრჟოლა. რამდენიმე წუთს სინანულსაც კი განიცდიდა, რომ ბეზილს პორტრეტის გადამალვის ნამდვილი მიზეზი არ გაანდო, ბეზილ ჰოლუორდი დაეხმარებოდა მას, როგორმე შებმოდა ლორდ ჰენრის გავლენას და დაეძლია ის, ამასთანავე საწამლავივით საშიში საკუთარი ტემპერამენტიდან გამომდინარე გავლენისაგან უნდა ეხსნა როგორმე თავი. ხოლო ის დიდი სიყვარული და თაყვანისცემა, რომელიც მან თავისდაუნებურად ბეზილ ჰოლუორდის სულს შთაბერა, უდავოდ ჭეშმარიტი ზებუნებრივი სიყვარული იყო. მართლაც, ეს

გახლდათ მაღალკეთილშობილური და ზეშთაგონებით აღსავსე გრძნობა. ეს სილამაზის ჩვეულებრივი ფიზიკური სწრაფვა და ტრფიალი არ ყოფილა, რომელიც ადამიანის გონებაში გრძნობადი აღქმებით წარმოიშვება და მათი დასუსტებისთანავე კვდება. ეს გახლდათ მიქელანჯელოს[57], მონტენის[58], ვიკელმანისა[59] და თვით შექსპირისეული სიყვარული. დიახ, ბეზილს შეეძლო ჭაბუკის გადარჩენა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. წარსული შეიძლება ამოშალო მეხსიერებიდან სინანულით, უარყოფით და დავიწყებით, მაგრამ მომავალი ხომ გარდაუვალია. ჭაბუკი გრძნობდა, რომ მისი სული აღივსო ისეთი განცდებით, რომელნიც საშინელ გამოსავალს წააწყდებოდნენ უთუოდ, თუ განხორციელდებოდნენ, ხოლო ჯერ კიდევ გაურკვეველი და ამოუხსნელი ოცნებანი, - როგორც ხვდებოდა, - ვნებას მოუტანდნენ მას.
ტახტიდან მეწამული, ნახევრადოქროსფრად მოლივლივე გადასაფარებელი აიღო, ორივე ხელზე გადაიდო და თეჯირის უკან შევიდა. აინტერესებდა უფრო დამახინჯებულიყო თუ არა პორტრეტზე მისი სახე. არა, მოეჩვენა რომ სურათზე არავითარი ახალი ცვლილება არ მოჩანდა. ზიზღი კი მის მიმართ ჭაბუკის გულში უფრო და უფრო იდგამდა ფესვს. ოქროსფერი კულულები, ცისფერი ბრწყინვალე თვალები, წითელი, ვარდისფურცლებივით ფერსავსე ბაგე, ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა, მხოლოდ სახის გამომეტყველება შეცვლილიყო შესამჩნევად. დიახ, მეტად მკაცრი და უჩვეულო გამომეტყველებით ზარავდა მხილველს. ამ საოცრად შეცვლილი სახის იერთან შედარებით, რაც მან სურათზე შენიშნა, რა უსუსურად მოჩანდა ბეზილ ჰოლუორდის კიცხვა და საყვედური. სიბილ ვეინის დასაცავად ნაქადაგები. ოჰ, მართლაც რაოდენ ფუჭი და უსუსური იყო ყოველი მისი სიტყვა! ჭაბუკს ხომ საკუთარი სული უმზერდა პორტრეტიდან და თვითვე უხმობდა მსჯავრისაკენ!
პორტრეტს ძვირფასი ქსოვილი ჩამოაფარა და სახეზე უმძიმესი ტკივილი გამოეხატა. იმავე წუთში კარის კაკუნი გაისმა. დორიანი მსწრაფლ მოშორდა პორტრეტს და მსახურიც ოთახში შემოვიდა.
- დაბარებული ხელოსნები გეახლნენ, მუსიო.
დორიანმა იგრძნო, რომ ვიქტორი დაუყოვნებლივ თავიდან უნდა მოეშორებინა. მას არ უნდა სცოდნოდა, საით წაიღებდნენ პორტრეტს. დორიანს ეჩვენებოდა, რომ საოცრად მზაკვრულ ზრახვებს დაესადგურებინა ამ კაცის გულში. მეტად ჭკვიანი თვალები ჰქონდა, მაგრამ ვერაგული ცეცხლით აციმციმებული ნაპერწკლები უკრთოდა მუდამ შიგნით. ჭაბუკი მაშინვე მაგიდას მიუჯდა და ლორდ ჰენრისთან გასაგზავნად რამდენიმე სიტყვა დაწერა. სთხოვდა, რომ წიგნი გამოეგზავნა, თან იმასაც ახსენებდა, რომ ცხრის თხუთმეტ წუთზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.
- პასუხს დაელოდეთ, - უბრძანა ვიქტორს და წერილი გადასცა. - ხელოსნები კი ახლავე შემოუშვით.
ორსა თუ სამ წუთში კვლავ გაისმა კაკუნი კარზე, თვით მისტერ ჰაბარდი, ჩუქურთმის განთქმული ოსტატი საუთ-ოდლი-სტრიტიდან და მისი საკმაოდ ტლანქი გარეგნობის ახალგაზრდა თანაშემწე ოთახში შემოვიდნენ. მისტერ

ჰაბარდი ღაჟღაჟა, წითელქილვაშებიანი მამაკაცი გახლდათ და მისი ხელოვნებისადმი თაყვანისცემა დიდად იყო დამოკიდებული კლიენტების გამუდმებულ ქესატობაზე. როგორც წესი, ის თავის სავაჭროს არასოდეს ტოვებდა, მყიდველებს ყოველთვის ადგილზე უცდიდა, მაგრამ დორიან გრეის პატივსაცემად მუდამ უშვებდა გამონაკლისს. ჭაბუკში ეს კაცი ნათლად ამჩნევდა იმ ფარულ მიმზიდველობას, რაც ყველას ერთნაირად აჯადოებდა. დიახ, ეს გახლდათ ჭაბუკის თუნდაც ერთი ხილვით გამოწვეული სიამე.
- რით შემიძლია გემსახუროთ, მისტერ გრეი? - ჰკითხა მან ჭაბუკს შემოსვლისთანავე, და თან მსუქანი დაჭორფლილი ხელების წმენდას მოჰყვა. - ვიფიქრე საჭირო იყო მე თვითონ გხლებოდით. სწორედ ეს არის ულამაზესი ჩარჩო შევიძინე, საჯარო ვაჭრობაზე შევარჩიე, ძველებურია, ფლორენციული. დარწმუნებული ვარ, ფონტჰილიდან უნდა იყოს. რელიგიური შინაარსის სურათს მეტისმეტად მოუხდება, სერ.
- დიდად ვწუხვარ, რომ აქ მოსვლით ესოდენ შეგაწუხეთ, მისტერ ჰაბარდ. რა თქმა უნდა, შემოგივლით და ჩარჩოს გავსინჯავ. თუმც ამჟამად დიდ ინტერესს არ ვიჩენ მხატვრობისადმი. დღეს მხოლოდ ერთი სურათის გადატანა მქონდა განზრახული ზემო სართულში. სურათი საკმაოდ მძიმეა და ამიტომ გთხოვეთ ორი ხელოსანი გამოგეგზავნათ დასახმარებლად.
- როგორ გეკადრებათ, მისტერ გრეი, რა შეწუხებაა, პირიქით, დიდად მოხარული ვიქნები, თუ კი რამეში გამოგადგებით. სად არის სურათი, სერ?
- აი, ეს არის, - უპასუხა დორიანმა და თეჯირი გვერდით გადადგა. - ასე გადაფარებული შეგიძლიათ აიტანოთ? ვშიშობ არ გაიკაწროს.
- ეს ძნელი საქმე არ გახლავთ, სერ, - მოწიწებით უპასუხა სახელგანთქმულმა ოსტატმა და თავისი თანაშემწის დახმარებით სურათის ჩამოხსნას შეუდგა, რომელიც თითბრის საკმაოდ გრძელი და წვრილი ჯაჭვებით იყო ჩამობმული.
- სად გვიბრძანებთ გადატანას, მისტერ გრეი?
- გზას მე გიჩვენებთ, მისტერ ჰაბარდ, თუ კეთილს ინებებთ და გამომყვებით. თუმცაღა ჯობდა თქვენ წინ წასულიყავით. ის ოთახი სახლის სულ ზემო ნაწილშია. უმჯობესია მთავარი კიბით ავიდეთ, რადგან უფრო განიერი და მოხერხებულია. ჭაბუკმა მათ წინ კარი ფართოდ გამოაღო. ისინი დერეფანში გავიდნენ და ზემო სართულისაკენ გაეშურნენ. საგულდაგულოდ ნაძერწ ჩარჩოში ჩასმული სურათი მეტად მძიმე გამოდგა. დროდადრო დორიანი ფარდას ხელს ადებდა და ცდილობდა როგორმე მიშველებოდა მათ, ყურადღებას სრულიად არ აქცევდა მისტერ ჰაბარდის გადაჭარბებულ უარს. მისტერ ჰაბარდი, როგორც ყოველი მისი წოდების ადამიანი, ვერ იტანდა, როდესაც ნამდვილი ჯენტლმენი და უმაღლესი არისტოკრატული შთამომავლობის წარმომადგენელი ხელს ჰკიდებდა რაიმე საქმეს.
- არცთუ ისე მსუბუქი ყოფილა, სერ, - წარმოთქვა ტანდაბალმა კაცმა, როდესაც კიბის თავს მიაღწიეს და ოფლით დაწინწკლული შუბლი ხელით მოიწმინდა.
- დიახ, საკმაოდ მძიმეა, - ჩაიბუტბუტა ჭაბუკმა და თან ოთახის კარი გააღო. ამ ოთახს უნდა დაეფარა ამიერიდან მისი ცხოვრების უცნაური საიდუმლო, მისი

სული კი დაეცვა ადამიანთა თვალთაგან.
ოთხ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ჭაბუკს ამ ოთახში არ შემოუხედავს. დორიანის ადრეული ყრმობის წლებში მას საბავშვო ოთახად იყენებდნენ, შემდეგ კი, როდესაც ცოტა უფრო წამოიზარდა - სამეცადინოდ. ეს დიდი, კეთილმოწყობილი ოთახი იყო, რომელიც ლორდ კელსომ საგანგებოდ მიაშენა სახლს თავისი პატარა შვილიშვილისათვის. მოხუცს ბავშვი თავიდანვე სძულდა, რადგან დორიანი საოცრად ჰგავდა დედას. ლორდ კელსოს სხვა მრავალი მიზეზიც გააჩნდა, რის გამოც ბავშვს ვერ იტანდა, და ყოველთვის ცდილობდა, რაც შეიძლება, თვალთაგან მოშორებული ჰყოლოდა. თავის ადგილზევე დაუხვდა უზარმაზარი იტალიური კასონე[60], რომლის კედლები უცნაური სურათებით იყო მოხატული და დრო-ჟამთა ცვლისაგან ფერგადასული, მოოქროვილი ძერწილი მორთულობით დამშვენებული. ამ კასონეში პატარა ბიჭობის დროს ხშირად დამალულა ჭაბუკი. ოთახში წითელი ხის კარადა მოჩანდა, საკმაოდ ნახმარი სახელმძღვანელოებით სავსე. კედელზე, მის უკან, უკვე კარგად მოძველებული ფლამანდიური გობელენი ეკიდა. მასზე უკვე ფერგადასული ფერებით ძლივს თუ გამოარჩევდით მეფესა და დედოფალს, რომლებიც ულამაზეს წალკოტში ჭადრაკის თამაშით ერთობოდნენ. მათ ახლოს ცხენებზე ამხედრებული ბაზიერთა ერთი ჯგუფი იდგა. უთითო თათმანიან მაჯებზე მათ თვალახვეული ქორ-შავარდენი და მიმინოები ესხდათ. ოჰ, რა კარგად ახსოვდა ყოველივე ეს დორიანს. მოაგონდა მარტოხელა ბავშვობის ყოველი წუთი, როდესაც შეუნელებელი ინტერესით ათვალიერებდა ყველაფერს, ჭაბუკმა გაიხსენა ყრმობის დროინდელი უმწიკვლო და უწმინდესი ხანა და საშინელი თავზარი დასცა იმის გაფიქრებამ, რომ სწორედ აქ, უწმინდეს ადგილას უნდა გადაემალა ეს საბედისწერო პორტრეტი. ოჰ, აქამდე გარდასულ დღეთა მანძილზე ერთხელაც არ უფიქრია ჭაბუკს, რომ წინ ასეთი შემაძრწუნებელი მომავალი ელოდა. მაგრამ სახლში არსად ეგულებოდა ისეთი კუთხე, სადაც ასე ფარულად და საიმედოდ გადამალავდა სურათს და დაიცავდა ცნობისმოყვარე თვალთაგან. გასაღები მუდამ თვით ექნებოდა ხელთ და ამიერიდან არავის შეეძლებოდა შიგ შესვლა. ძოწეულის საფარქვეშ, ტილოზე ასეთი უზადო ოცნებებით მხატვრის მიერ შექმნილი სახე შესაძლოა დანოტივდეს, ბინძური ლაქებით წაიბილწოს და ცხოველური გამომეტყველება მიიღოს. მერე რა მოხდა? ამას ხომ ვერავინ მოჰკრავს თვალს ამიერიდან. ის თვითონაც არ მივა სურათის დასათვალიერებლად. ან რისთვის უნდა ადევნებდეს თვალს საკუთარი სულის არაადამიანურ გახრწნას! დორიანი ხომ შეინარჩუნებს ჭაბუკურ გარეგნობას და ამის მეტი განა არის რამე კიდევ საჭირო?
იქნებ მის შინაგან არსებას შეწევს უნარი გამოსწორდეს ბოლოს და ბოლოს? ოჰ, ღმერთო დიდებულო, ნუთუ ეს სამარცხვინო მომავალი გარდაუვალია? შესაძლოა დიდმა და ამაღლებულმა სიყვარულმა იხსნას და განწმინდოს მისი ცხოვრება, დაიცვას ახალ-ახალი ცოდვებისაგან, რომელიც მომავალში მის სულსა და სხეულში დაივანებენ დროგამოშვებით, საოცარი, ჯერ კიდევ სრულიად ჩამოუყალიბებელი ცოდვებისაგან, რომელთაც იდუმალება და რაღაც

თავისებური სიფაქიზე თავბრუდამხვევ მომხიბვლელობას მატებს.
ისიც შესაძლოა, იქნება ამ ალისფერმა ბაგემ ერთ დღეს სრულიად დაკარგოს ეს სულის მომშთობი გამომეტყველება და ჭაბუკმა კვლავ შეძლოს აჩვენოს ქვეყნიერებას ბეზილ ჰოლუორდის შედევრი. არა, ეს უკვე შეუძლებელია. ტილოზე ასე ოსტატობით შექმნილ სახეს ხანდაზმულობა შეეპარება ყოველ საათობით და კვირაობით. ვთქვათ მასზე იდუმალმა ცოდვებმა არავითარი კვალი არ დატოვონ და არც გამოვლინდნენ, საუკუნის მახინჯი კვალი ხომ გარდაუვალია. ის აუცილებლად თავის მსახვრალ ხელს მთელი სიძლიერით შეახებს და ნიშანსაც დაადებს. და როს ლოყები ჩაუცვივდება, უსიცოცხლო გამომეტყველებას მიიღებს, მოყვითალო ჩრდილები ყვავის ფეხებივით დააჩნდება ჩამქრალ თვალთა გარშემო, ოჰ, რა ამაზრზენი შესახედაობით შეაძრწუნებს მაშინ ის მხილველს! რა თქმა უნდა, ეს მშვენიერი თმაც დაკარგავს ბრწყინვალებას. ბაგე, როგორც მოხუცებულებს სჩვევიათ, მუდამ ოდნავ ღია ექნება, ან სულელურად დაფჩენილი. ყელი დაუნაოჭდება, ხელის მტევნები დაუჭკნება და ლურჯი ძარღვები დააჩნდება. ტანი კი საოცრად მოიხრება, როგორც პაპამისს ჰქონდა ჭაბუკის ყრმობის წლებში. ოჰ, როგორ მკაცრად ეპყრობოდა მას პაპა! დიახ, პორტრეტი უნდა გადამალოს, სხვა გამოსავალი არ არის!
აქ მოიტანეთ, მისტერ ჰაბარდ, - მოღლილი ხმით ჩაილაპარაკა დორიანმა და შემობრუნდა. - მაპატიეთ, რომ ამდენ ხანს დაგაყოვნეთ, სხვა ფიქრმა გამიტაცა.
- შესვენება მუდამ სასიამოვნოა, მისტერ გრეი, - წარმოთქვა ჩუქურთმის ოსტატმა, რომელსაც ჯერ კიდევ ნამდვილად უჭირდა სუნთქვა. - სად უნდა მოვათავსოთ, სერ?
- ოჰ, სადაც გსურთ, სულ ერთია. აი თუნდაც აქ. ჩამოკიდება არ უნდა, კედელზე მიაყუდეთ. გმადლობთ.
- ალბათ ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშია? ნებას დაგვრთავთ ვნახოთ, მისტერ გრეი?
დორიანი შეკრთა.
- არ დაგაინტერესებთ, მისტერ ჰაბარდ, - წარმოთქვა ჭაბუკმა და თვალი აღარ მოაცილა ოსტატს. ისე აღშფოთდა, მზად იყო სცემოდა და იატაკზე დაენარცხებინა ეს კაცი, თუ გაბედავდა და ხელს შეახებდა ქსოვილს, რომელიც მისი ცხოვრების საიდუმლოს არცთუ ისე საიმედოდ ფარავდა. - მეტს აღარ შეგაწუხებთ, მისტერ ჰაბარდ, დიდ მადლობას მოგახსენებთ და დიდად დავალებული ვრჩები, რომ გაისარჯეთ და თქვენ თვითონ მოხვედით.
- რას ბრძანებთ, რა შეწუხებაა, მისტერ გრეი! მე ყოველთვის მზადა ვარ გემსახუროთ, სერ!
მისტერ ჰაბარდი კიბეზე დაეშვა, უკან თანაშემწე მიჰყვებოდა და სულ უკან იყურებოდა, რომ _____დორიანისათვის ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი. მის ტლანქ
არასანდომიან სახეზე მეტისმეტი დარცხვენა და განცვიფრება იხატებოდა, რადგან ჯერ არასოდეს ენახა ასეთი მომაჯადოებელი და სრულყოფილი სილამაზე.

მათი ფეხის ხმა მიწყდა თუ არა, დორიანმა კარი გადაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. ახლა უკვე არავითარ შიშს აღარ გრძნობდა. ამიერიდან ვეღარავინ იხილავდა ამ საშინელ პორტრეტს. მთელი დედამიწის ზურგზე ვერც ერთი ადამიანის თვალი, გარდა მისი საკუთარი თვალისა, ვერასოდეს შენიშნავდა მის შერცხვენას და დამდაბლებას.
ჭაბუკი ბიბლიოთეკაში დაბრუნდა. შენიშნა, ექვსი საათი სრულდებოდა და ჩაიც უკვე შემოეტანათ. მუქი ფერის სურნელოვანი ხის პატარა მაგიდაზე, რომელსაც სქელ ფენად სადაფი ქონდა გადაკრული, (ეს მაგიდა ჭაბუკს თავისი მეურვის მეუღლე ლედი რედლიმ აჩუქა, ვინც გამუდმებით ავადმყოფობას უჩიოდა, ხშირად სამკურნალოდ დადიოდა და გასული ზამთარიც ქაიროში გაატარა). ლორდ ჰენრის წერილს და მის გვერდით ყვითელ ქაღალდში შეხვეულ წიგნს მოჰკრა თვალი. წიგნს გადასაკრავი შემოსცვეთოდა და ნაპირებიც დასვრილი ჰქონდა. ჩაის ლანგარზე კი „სენტ-ჯეიმსის გაზეთის“ მესამე გამოცემა იდო. ცხადად ჩანდა, ვიქტორი დაბრუნებულიყო. დორიანი საგონებელში ჩავარდა. ახლა ის აინტერესებდა, შეხვდა თუ არა ვიქტორი ხელოსნებს, როდესაც სახლიდან გადიოდნენ და გაიგო თუ არა, რას აკეთებდნენ ისინი. ლაქია, რა თქმა უნდა, მიხვდებოდა, რომ სურათი ბიბლიოთეკაში აღარ იყო, შესაძლებელია უკვე შენიშნა კიდეც, როდესაც ჩაი შემოიტანა. თეჯირი გადადგმული იყო და კედელზე თავისუფალი ადგილი მაშინვე თვალში ეცემოდა ადამიანს. იქნებ ერთ ღამეს წააწყდეს კიდეც საკუთარ მსახურს, თუ როგორ მიიპარება ზემო სართულში და ცდილობს ძალით შელეწოს საკლასო ოთახის კარი. ოჰ, რა საშინელებაა საკუთარ სახლში ჯაშუშის ყოლა! შეძლებული ხალხისგან დორიანს სმენოდა, რომ ზოგჯერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში შეუძლია აწამოს ადამიანი შანტაჟის მოყვარულმა მსახურმა. თუ მსახური გაიძვერაა, მას ან საიდუმლო წერილი მოხვდება ხელთ, ან საუბარს მოჰკრავს ყურს. ან მოსაწვევ ბარათზე მისამართს ამოიკითხავს. ისეთი შემთხვევებიც გაუგონია, როდესაც პატრონის ბალიშის ქვეშ დამჭკნარი ყვავილის ღერს წააწყდება, ან მაქმანის ნაფლეთს და მთელი ამბავი დატრიალდება. ჭაბუკმა ამოიოხრა და ლორდ ჰენრის წერილი გახსნა. ლორდ ჰენრი იწერებოდა, რომ საღამოს გაზეთს და წიგნს უგზავნიდა, რომელთაც შეიძლება დაეინტერესებინათ ჭაბუკი. ცხრის თხუთმეტ წუთზე კი კლუბში შესახვედრად იწვევდა.
დორიანმა უსიცოცხლოდ გადაშალა „სენტ-ჯეიმსი“ და თვალი გადაავლო. მეხუთე გვერდზე შენიშნა, რამდენიმე სტრიქონს წითელი ფანქარი ჰქონდა გასმული. მისი ყურადღება შემდეგმა სტრიქონებმა მიიქციეს.
„ მ ს ა ხ ი ო ბ ი ქ ა ლ ი ს ს ი კ ვ დ ი ლ თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი ძ ი ე ბ ა. ამ დილით ბელ-ტევერნზე, ჰოქსტონ-როუდის უბნის გამომძიებელი, მისტერ დებნი იკვლევდა ახალგაზრდა მსახიობი ქალის სიბილ ვეინის გარდაცვალების მიზეზს, ვინც ამ უკანასკნელ ხანს ჰოლბორნის სამეფო თეატრში გამოდიოდა სცენაზე. ძიებით დადასტურდა, რომ სიკვდილი უბედური შემთხვევითაა გამოწვეული. უღრმესი თანაგრძნობა გამოიწვია გარდაცვალებულის დედამ. ის ენით აღუწერელ მღელვარებას და წამებას განიცდიდა, როდესაც ჩვენებას

ართმევდნენ მასა და ექიმ ბირელს, ვისაც გვამის გაკვეთა მოუხდა“.
დორიანმა წარბი შეიკრა. გაზეთი ორად გახია და ნახევები სწრაფად გადაყარა. ოჰ, რა საშინელებაა ყოველივე! და რა ჯოჯოხეთად გადააქცევს ხოლმე ეს ამაზრზენი წვრილმანი სინამდვილეს! დორიანს ლორდ ჰენრიზე გულიც კი მოუვიდა, გაზეთი რომ გამოუგზავნა. უფრო დიდ სისულელედ კი იმას თვლიდა გუნებაში, რომ ზოგიერთი ადგილი წითელი ფანქრითაც კი აღენიშნა. ხომ შეიძლება ვიქტორს წაეკითხა. ამ კაცმა ახლა ინგლისური იმდენად იცოდა, რომ წაკითხულს თავისუფლად მიხვდებოდა.
იქნებ ლაქიამ მართლაც უკვე გადაიკითხა ყოველივე და ახლა ეჭვიც კი აქვს. მაგრამ მერე რა მოხდა? რა დამოკიდებულება აქვს დორიან გრეის სიბილ ვეინის სიკვდილთან? მას არაფრის არ უნდა ეშინოდეს. დორიანს ხომ არ მოუკლავს გოგონა.
ჭაბუკმა ლორდ ჰენრის გამოგზავნილ ყვითელ წიგნს მოჰკრა თვალი და ნეტავი რა წიგნიაო, გაიფიქრა. პატარა რვაკუთხედი სადაფით დაფარული მაგიდისაკენ გაემართა, რომელიც მას ყოველთვის ეგვიპტურ ფუტკრების ნამუშევარს აგონებდა, რომელნიც ფიჭას თითქოს ვერცხლისაგან ძერწავდნენ. დორიანმა წიგნი აიღო, სავარძელში ჩაეშვა და ფურცვლას შეუდგა. რამდენიმე წამის მერე კითხვამ ისე გაიტაცა, რომ მთლად შთანთქა მისი გონება. წიგნი მეტად უცნაური ეჩვენა. ასეთი ჯერ კიდევ არასდროს მოხვედროდა ხელთ. ეჩვენებოდა, რომ ფლეიტის უნაზეს ხმებში, შესანიშნავ სამოსში გამოწყობილმა ამქვეყნიურმა ცოდვებმა მის წინ პანტომიმისებური მდუმარებით ჩაიქროლეს. ბევრ რამეს, რაც მისთვის აქამდე ბურუსით იყო მოცული, უცებ ფარდა აეხადა და სინამდვილედ იქცა. ბევრი რამ კი, რაც ოდესმე სიზმრადაც არ მოჩვენებოდა, ახლა გამოვლინდა. ეს უსიუჟეტო რომანი გახლდათ. ერთადერთ გმირად ავტორს ახალგაზრდა პარიზელი აერჩია, როგორც ფსიქოლოგიური დაკვირვების საგანი. ამ ახალგაზრდა კაცმა მთელი ცხოვრება იმის ცდასა და ძიებაში გაატარა, რომ მეცხრამეტე საუკუნეში აღედგინა და გაეცოცხლებინა ის გრძნობები და მრავალფეროვანი აზროვნება, რომელიც გარდასულ საუკუნეთა საუნჯეს წარმოადგენდა. საკუთარი საუკუნისათვის კი ცდილობდა გაბედულად შეექცია ზურგი, რადგან მასში საინტერესოს ვერაფერს ამჩნევდა. როგორც ჩანს, სურდა თვით განეცადა და აღექვა ყოველივე იმ შინაგანი და მუდმივად ცვალებადი გუნება-განწყობილებით, რომელშიც ოდესღაც მსოფლიოს სულს გაევლო. ამასთანავე თვითგანდგომის იმ ხელოვნურმა ფორმებმა გაიტაცეს დიდად, რომლებსაც ადამიანები მეტად არაბრძნულ მოსაზრებათა გამო სათნოებად ნათლავენ ხოლმე. ხოლო იმავე ძალით ხიბლავდა ის ბუნებრივი და მათი სრულიად საწინააღმდეგო სწრაფვანი, რომელთაც ბრძენნი ჯერ კიდევ დღემდე ცოდვებსა და ბიწიერებას უწოდებენ. წიგნი მეტად თავისებური და განსაცვიფრებელი სტილით იყო დაწერილი, ცოცხალი და ბრწყინვალე ფერებით დახვეწილი, მაგრამ ამავე დროს გაურკვევლობით აღსავსე. მასში არგო და არქაიზმი სჭარბობდა. დამძიმებული იყო ტექნიკური გამოთქმებით და საგულდაგულოდ შერჩეული ურთულესი პარაფრაზებით. ეს გახლდათ საქვეყნოდ

ცნობილ ფრანგ სიმბოლისტთა სკოლის ზოგიერთ ბრწყინვალე ოსტატთა დამახასიათებელი სტილი. წიგნში თავმოყრილი მეტაფორები თავისი ზომით და საკვირველებით არამიწიურ ორქიდეას მოგაგონებდათ და სწორედ მასავით უზენაესი ფერებით იყო შემკული. ადამიანთა მგრძნობიარე ცხოვრება მისტიკური ფილოსოფიის ტერმინოლოგიით იყო დამძიმებული. დროდადრო ადამიანი ძლივს მიხვდებოდა შუასაუკუნეობრივ რომელიმე წმინდანის სულიერი ექსტაზის აღწერას კითხულობდა, თუ სულიერად მთლად წაბილწული რომელიმე თანამედროვე ცოდვილის აღსარებას. წიგნი საწამლავით და შხამით იყო სავსე. მეტისმეტად გამაღიზიანებელი სურნელება იფრქვეოდა მისი ყოველი ფურცლიდან და თითქოს ბანგით ათრობდა, ისეთ ჯოჯოხეთურ წამებას აყენებდა გონებას. თვით ფრაზათა ტექსტი და რიტმული წყობა ერთფეროვანი იდუმალი მუსიკით სავსე, ურთულესი რეფრენები და საგულდაგულოდ შერჩეული დახვეწილი განმეორებანი ყოველ ახალ ფურცელზე ჭაბუკის სულისა და გონებაში წარმოუდგენელ ავადმყოფურ ოცნებებს იწვევდა. ჭაბუკმა კითხვის დროს ვერც კი შენიშნა, როგორ დასაღამოვდა. როგორ მოცოცავდნენ და როგორ მოიპარებოდნენ ჩრდილთა სილუეტები შიგნით. უღრუბლო სპილენძისფერ ცაზე, რომელსაც თანდათანობით მალაქიტისფერი ეკიდებოდა, ერთადერთი ვარსკვლავის შუქიღა ანათებდა და სარკმელს ზემოდან დასციმციმებდა. ჭაბუკი მის მქრქალ შუქზედაც კითხულობდა, თითქოს სიტყვებს ძლივსღა არჩევდა. ლაქიამ რამდენჯერმე შეახსენა, უკვე გვიან არისო. ბოლოს დორიანი წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა და წინგი პატარა ფლორენციულ მაგიდაზე დადო, რომელიც მუდამ საწოლის გვერდით ედგა. სადილობის დრო მოსულიყო და ჭაბუკიც ჩაცმას შეუდგა.
თითქმის ცხრა სრულდებოდა, როდესაც კლუბს მიაღწია. ერთ-ერთ ოთახში ლორდ ჰენრი დაუხვდა საკმაოდ უკმაყოფილო გამომეტყველებით და მეტად მოწყენილი.
- ვწუხვარ, რომ დავიგვიანე, ჰარი, - წამოიძახა ჭაბუკმა, - მაგრამ ეს მხოლოდ თქვენი ბრალია. თქვენმა გამოგზავნილმა წიგნმა ისე მომაჯადოვა, რომ ვერ შევნიშნე, როგორ დაღამდა.
- დიახ, ვიცოდი, მოგეწონებოდათ, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ და სავარძლიდან წამოდგა.
- არ ვამბობ, მომეწონა-მეთქი, ჰარი, მოგახენეთ, რომ მხოლოდ მომაჯადოვა. ეს მცნებანი ფრიად შორს გახლავთ ერთმანეთისაგან.
- ოჰ, თქვენ უკვე აღმოაჩინეთ სხვაობა მათ შორის? - ჩურჩულით ჩაილაპარაკა ლორდ ჰენრიმ და ამ სიტყვებით ისინი სასადილო ოთახისაკენ გაემართნენ.

თავი XI

მრავალი წლის განმვალობაში ვერ შეძლო დორიანმა ამ წიგნის გავლენისაგან თავი დაეღწია. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ჭაბუკი არც ცდილა მთლიანად განთავისუფლებულიყო მისგან. პარიზიდან პირველი გამოცემის სულ ცოტა ცხრა ეგზემპლარი გამოიწერა და თითოეულისათვის სხვადასხვა ფერის ყდა შეუკვეთა: ისინი უნდა შეთანხმებოდნენ მის ცვალებად გუნება-

განწყობილებას და დაუცხრომელ ფანტაზიას, რომლის დაძლევა, როგორც ჩანდა, ხანდახან არ შეეძლო და ბოლოს კი თავს სრულიად ვეღარ ართმევდა. ნაწარმოების გმირი, შესანიშნავი ახალგაზრდა პარიზელი, რომლის ბუნებაში გასაოცარი ძალით შერწყმული რომანტიკულობა და მეცნიერული მახვილგონიერება, დორიანს საკუთარ პროტოტიპად ესახებოდა. ისიც კი ეჩვენებოდა, თითქოს მთელი წიგნი საკუთრად მისი ცხოვრების ისტორიას წარმოადგენდა, რომელიც გაცილებით უფრო ადრე დაეწერათ, ვიდრე თვით გამოცდიდა და გადაიტანდა ყოველივეს.
ამ რომანის ფანტასტიკურ გმირთან შედარებით დორიანი თავს ბევრად ბედნიერად თვლიდა. მას ჯერ კიდევ არ გამოეცადა და ეტყობოდა, არც მომავალში ეწერა, სარკეების, მბზინვარე თითბრის ნივთებისა და მდორე მოლიპლიპე წყლის ზედაპირის წინაშე შემაძრწუნებელი შიშით ათრთოლებოდა გული. ახალგაზრდა პარიზელმა ჭაბუკმა კი ეს ყოველივე ადრეულ წლებშივე იგრძნო, რადგან ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად განსაცვიფრებელი და ენით აღუწერელი სილამაზის დაკარგვის საშიშროება საკუთარი თვალით იხილა. დორიანის სიხარული ასეთ დროს გაბოროტებული ადამიანის სიხარული გახლდათ. როგოც ყოველ დიდ სიხარულსა და სიამოვნებას თან ახლავს მტანჯველი განცდა, დორიანიც ისე კითხულობდა წიგნის უკანასკნელ თავებს. მასში ჭეშმარიტი ტრაგიზმით, თუმცა აქა-იქ გაზვიადებულად და გადაჭარბებული პათოსით იყო აღწერილი იმ ადამიანის სასოწარკვეთილება და მწუხარება, რომელმაც დაკარგა, რასაც ყველაზე მეტად აფასებდა სხვა ადამიანებში და მთელ ქვეყანაზე.
განსაცვიფრები სილამაზე, რომელიც ასე აჯადოებდა ბეზილ ჰოლუორდს და მის ირგვლივ მყოფ სხვა მრავალ ადამიანს, ეტყობა, ჭაბუკის კუთვნილებად ქცეულიყო და მთელი სიცოცხლის მანძილზე არც გაქრებოდა. იმათაც კი, რომელთაც გაეგონათ ბნელი და ამაზრზენი ამბები დორიან გრეის შესახებ, ვისი ფრიად საეჭვო ცხოვრება დაუსრულებელი მითქმა-მოთქმის საგნად გადაიქცა ლონდონისა და მის სახელგანთქმულ საზოგადო კლუბებში, არ შეეძლოთ დაეჯერებინათ ესოდენ მდაბალი და სამარცხვინო საქციელი, როდესაც თვალით ხედავდნენ ჭაბუკს. რადგან დორიანი ყოველთვის ისე წარსდგებოდა ხოლმე საზოგადოების წინაშე, თითქოს ცხოვრების ბინძური ლაქა მის სულსა და სხეულს არასოდეს შეხებოდეს. ადამიანები, რომელნიც უწმაწურ და ბილწსიტყვაობას თავს ვერ არიდებდნენ, მისი გამოჩენისთანავე დუმდებოდნენ. მის სახეს ყოველთვის ისეთი ზეციური სიწმინდის ნათელი ეფინებოდა, თითქოს ყოველ სულდგმულს საყვედურს უცხადებდა სამარცხვინო საქციელის გამო. მხოლოდ ჭაბუკის გამოჩენა და მათ წრეში ყოფნა ახსენებდა ყოველ მათგანს დაკარგულ ადამიანურ სიწმინდეს. მათ ანცვიფრებდათ ის გარემოება, რომ ასეთმა თვალწარმტაცმა და მომაჯადოებელმა ადამიანმა შეძლო თავი დაეღწია თავისი საუკუნის ავბედითი მარწუხებისაგან და სამუდამოდ ასცდა მის ბილწსა და ავხორც ბრჭყალებს.
ხშირად როდესაც დორიანი საიდუმლოებით მოცული მეტად საეჭვო

ადგილებიდან ბრუნდებოდა შინ, რაც, რა თქმა უნდა, მის მეგობრებში ან ყოველ შემთხვევაში იმ ადამიანებში, ვისაც მის მეგობრებად მოჰქონდათ თავი, ეჭვს აღვიძებდა, ფარულად მიიპარებოდა ზედა სართულში. გასაღებით, რომელიც მუდამ თან ჰქონდა, აღებდა გამოკეტილი ოთახის კარს და სარკით ხელში დიდხანს იდგა პორტეტის წინ, სწორედ იმ მშვენიერი პორტრეტის წინ, რომელიც ოდესღაც ბეზილ ჰოლუორდმა შექმნა. ამ დროს დორიანი ხან საოცრად დაღარულ და დაბერებულ სახეს უმზერდა ტილოზე და ხან კი ენით აღუწერელი სილამაზის მოცინარ ჭაბუკს სარკეში. რაც უფრო მკვეთრი იყო კონტრასტი მათ შორის, მით უფრო დიდ სიამოვნებას განიცდიდა დორიანი. საკუთარი სილამაზის ჭვრეტად ის თანდათან მომეტებული თაყვანისცემით განიმსჭვალა და უფრო და უფრო დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს საკუთარი სულის გახრწნას. ხან წამიერად მოჭარბებული ყურადღებით, ხან კი ადამიანის სულისათვის სრულიად უჩვეულო სიამოვნებით აკვირდებოდა ამაზრზენ ნაკეცებს, რომლებსაც ფესვი გაედგათ დანაოჭებულ შუბლზე და უზომოდ გამრავლებულიყვნენ საკმაოდ დამძიმებული მგრძნობიარე ბაგეების გარშემო. დროდადრო დორიანი თავის თავს ეკითხებოდა, რომელი უფრო გულის გამპობი და შემაძრწუნებელია, ცოდვებისაგან დასმული დაღი, თუ სიბერის მსახვრალი ხელის შეხება? ჭაბუკი თავის მშვენიერ თეთრ ხელს ხშირად მიიტანდა ხოლმე ტილოზე უკვე დამჭკნარ ტლანქსა და დონდლო ხელებთან და იღიმებოდა. ასეთ წამებში ის სიძულვილით დასცინოდა პორტრეტზე საკმაოდ დამახინჯებულ სხეულს.
მართალია, ღამღამობით იყო წუთები, როდესაც საამო სურნელებით სავსე საკუთარ საძინებელ ოთახში ან ნაძირალათა ბინძურ ბუნაგში, ნავსაშენის ახლოს, სადაც გადაცმული, სხვისი სახელით ძალიან ხშირად ათევდა ღამეს, უძილობა ეძალებოდა და გამუდმებით ფიქრობდა, თუ როგორ დაღუპა და სამუდამო წამებისათვის არ დაინდო საკუთარი სული, მაგრამ ეს განცდა ისეთი ძლიერი და მწვავე იყო, რომ მხოლოდ წმინდა ეგოისტურ ხასიათს იღებდა საბოლოოდ. ამიტომაც ცდილობდა მის ცხოვრებაში ასეთი წამები იშვიათად განმეორებულიყო. ცნობისმოყვარეობა, რომელიც მასში ცხოვრებამ შთანერგა და გამოაღვიძა, რომელზედაც პირველად ლორდ ჰენრიმ აუხილა თვალი, ბეზილ ჰოლუორდის ბაღში, სადაც ერთ სკამზე ისხდნენ ოდესღაც, თანდათანობით ახლა მეტისმეტ სიამოვნებას ჰპირდებოდა, რაც მეტი გაიგო, მით უფრო მეტსა და მეტს ესწრაფვოდა. ეს ყოვლისშეცნობის არანორმალური შიმშილი უფრო მეტ დაუკმაყოფილებლობად იქცეოდა და მის დაუსრულებელ მოთხოვნილებას ძლივსღა აშოშმინებდა.
ყოველ შემთხვევაში, ამ ხნის მანძილზე დორიანს საზოგადოებისათვის ზურგი არ შეუქცევია. ზამთრობით ყოველ თვეში ერთხელ ან ორჯერ, ხოლო წლის დანარჩენ დროს ყოველ ოთხშაბათ საღამოს, ფართოდ აღებდა საკუთარი დიდებული სასახლის კარს სტუმრების მისაღებად. მთელ ქვეყაანზე სახელგანთქმულ მუსიკოსებს იწვევდა, რომ მათი ხელოვნებით საზოგადოება განეცვიფრებინა. მათ პატივსაცემად გამართული სადილების მოწყობაში დიდ დახმარებას უწევდა ლორდ ჰენრი. ამ საღამოებზე გულდასმით შერჩეულ პირთ იწვევდნენ და

შესანიშნავი გემოვნებით გაწყობილი სუფრა საქვეყნოდ ცნობილი გახდა. ნაირფრად მოქარგული გადასაფარებლებით და ანტიკური ოქროსა და ვერცხლის სერვიზებით გაწყობილი სუფრა მუდამ ეგზოტიკური ყვავილების სიმფონიას წააგავდა. ძალიან ბევრი შეგხვდებოდათ ამ დროს ინგლისში ისეთი ადამიანი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს შორის, რომლებიც დორიან გრეიში იმ იდეალური ტიპის ნამდვილ განსახიერებას ხედავდნენ, რომელზედაც ხშირად ოცნებობდნენ იტონსა თუ ოქსფორდში ყოფნის დროს. ეს ის საოცნებო ტიპი გახლდათ, ვისშიაც დიდ განსწავლულობასთან შერწყმული იყო დახვეწილი კულტურა. ის ყველასაგან გამოირჩეოდა მაღალი წრის ჯენტლმენისათვის დამახასიათებელი ქცევით და იმ ძნელად ასათვისებელი ზრდილობით, რომელიც ყოველ მსოფლიო მოქალაქეს გააჩნია. ამ ადამიანთათვის დორიანი წარმოადგენდა ერთ იმათგანს, ვისზედაც დანტე[61] ამბობდა: „სრულყოფილებას მით მიაღწიეს, რომ სილამაზეს აღმერთებდნენო“, ან როგორც გოტიე წერდა: ის გახლდათ ერთადერთი, ვისთვისაც „არსებობდა ხილული სამყარო“. სინამდვილეში დორიანისათვის ცხოვრება იქცა პირველ უდიდეს ხელოვნებად და ყველა დანარჩენი ხელოვნება კი მის მოსამზადებელ და ამოსავალ წყაროდ. რა თქმა უნდა, დორიანი მოდასაც უხდიდა ხარკს. მოდას, რომელმაც დროებით შეიძლება ყველანაირი ფანტაზია სინამდვილედ აქციოს, თუ საყოველთაო აღიარებას მიაღწევს. ამასთანავე ჭაბუკი ვალმოხდილი გახლდათ დენდიზმის წინაშეც, რომელიც, რა თქმა უნდა, თავისებურ სწრაფვას წარმოადგენს, დაადასტუროს სილამაზის პირობითი შეცნობის აბსოლიტურობა. უეჭველია, ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის. მისი ჩაცმის მანერას და იმ მოდებს, რომელთაც დროდადრო ის მისდევდა, დიდი და გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა სტილის მიმდევარ პეწენიკებზე, რომლებიც მეიფერში და პოლმელის[62] კლუბებში ბრწყინავდნენ. ახალგაზრდა თაობა ბაძავდა მას ყველაფერში. ცდილობდნენ ისეთივე დახვეწილი სინატიფისათვის მიეღწიათ, რომელსაც დორიანი სრულიად შემთხვევით წვრილმან საქციელში ავლენდა, რასაც თვით მაინცდამაინც დიდ ყურადღებასაც არ აქცევდა და უფრო მეტად ქარაფშუტობად მიაჩნდა.

გახდა თუ არა სრულწლოვანი, დორიანმა დიდი მონდომებით დაიჭირა თავისი ადგილი საზოგადოებაში. დიდი სიამოვნებით უვსებდა სულს ის აზრი, რომ მის თანამედროვე ლონდონს ის მოევლინებოდა სწორედ ისევე, როგორც იმპერატორ ნერონის[63] დროს რომს „სატირიკონის“ ავტორი მოევლინა. სულის სიღრმეში კი დაუსრულებლად ბორგავდა ერთი აზრი: ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა, ვიდრე ეს უბრალო „arbiter elegantiarum-ს“[64] ძალუძდა, ვისაც მხოლოდ იმას ეკითხებიან, რომელი ძვირფასი ნივთი ატარონ, როგორ გამოისკვნან ყელსახვევი, ან როგორი ჯოხით იარონ ქუჩაში. დორიანი ოცნებობდა ცხოვრების ახალი ფილოსოფია შეექმნა, რომელსაც თავისი გონებრივი საწყისები და საკუთარი თანამიმდევრული პრინციპები ექნებოდა და ცხოვრების უმაღლეს აზრსაც მხოლოდ გრძნობათა და განცდათა განსულიერებაში ჰპოვებდა.

გრძნობათა გაღმერთება ხშირად სრულიად სამართლიანი გმობის საგნად იქცეოდა ხოლმე, რადგან ადამიანებს აფრთხობთ თანდაყოლილი ინსტიქტური შიში ვნებისა და შეგრძნებათა წინაშე, რომელნიც შეიძლება მათზე ძლიერი აღმოჩნდნენ. როგორც ცნობილია, ეს ბევრ მათზე დაბალ საფეხურზე მდგომ ცოცხალ არსებათა დამახასიათებელი ნიშან-თვისებაც არის. მაგრამ დორიან გრეის
ეჩვენებოდა, რომ ამ გრძნობათა ჭეშმარიტი ბუნება ადამიანთათვის ჯერ კიდევ შეუცნობელი და მიუღწეველი იყო. ისინი ჯერ კიდევ ცხოველურ და თავაწყვეტილ ველურ ფორმაში ვლინდებოდნენ, რადგან კაცობრიობა გამუდმებით ცდილობდა ჩაეხშო და დაეთრგუნა ისინი, არავითარი საკვები არ მიეწოდებინა და წამებაში შიმშილით ჩაეკლა, იმის მაგიერ, რომ მასში ახალი სულიერი ცხოვრების ელემენტები შეენიშნა, რომელშიაც გაბატონებული უნდა იყოს ბუნებრივი და უწმინდესი სწრაფვა სილამაზისადმი. თვალი გადაავლო კაცობრიობის ცხოვრების განვლილ გზას საუკუნეთა მანძილზე და დიდი დანაკარგის გრძნობა აეკვიატა. რამდენ რამეზე ითქვა უარი! რამდენი რამ დასთმეს სრულიად უბრალო მიზეზთა გამო! ფაქტიურად სრულიად უაზრო და ჟინიანი უარყოფაა! რა ამაზრზენია ეს მახინჯი ფორმები თვითმწვალებლობისა და თვითაღკვეთისა, რომელთა საფუძველში შიშია გაბატონებული. მისი დასასრული ხომ მარადჟამს სულიერი გადაგვარებით მთავრდებოდა, რომლისგანაც ხალხი თავისი უცოდინარობით მიანც ესწრაფვოდა ათასგვარ ხსნას. ბუნება კი თავისი შესანიშნავი ირონიით მეუდაბნოეებს უდაბნოში გარეულ მხეცებთან მიერეკებოდა და განდეგილებს ცხოვრების თანამგზავრად მხოლოდ ველებისა და ტყეების ბინადარ ოთხფეხა პირუტყვთ სთავაზობდა.
დიახ, სრულიად მართალი იყო ლორდ ჰენრი, როდესაც ახალი ჰედონიზმის დაბადება იწინასწარმეტყველა. დიახ, სწორედ მას უნდა გარდაქმნას ცხოვრება და იხსნას ის ამ სასტიკი ყოვლად უაზრო პურიტანიზმისაგან, რომელმაც ჩვენს ეპოქაში განსაცვიფრებელ აღორძინებას მიაღწია. რა თქმა უნდა, ახალი ჰედონიზმი მარად ინტელექტის სამსახურში უნდა იყოს, მაგრამ ვერავითარი ახალი თეორიით და მოძღვრებით ვერ შეცვლის გრძნობათა მრავალნაცად გამოცდილებას. მისი მიზანი სწორედ ეს ცდა გახლავთ თავისთავად, და არა ცდათა ნაყოფი: ტკბილი თუ მწარე. რაც შეეხება ჰედონიზმს, მას არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო ასკეტიზმთან, რომელიც აჭკნობს და კლავს გრძნობებს და, რა თქმა უნდა, არც უხამსობამდე მისულ გახრწნილებასთან, რომელიც კიდევ უფრო აშფოთებს და აჩლუნგებს მათ.
ჰედონიზმი ადამიანებს ასწავლის მთელი სიგრძე-სიგანით განიცადონ ცხოვრების ყოველი წამი, რადგან ცხოვრება თავისთავად წარმავალი წამიერებაა.
ძალიან ცოტა მოიძებნება ჩვენ შორის ისეთი, ვისაც გარიჟრაჟამდე, უძილოდ გატარებული ღამეებიდან ერთხელ მაინც არ გაღვიძებოდეს და იმდენად საამო სიზმარი არ ენახოს, რომ არ ეფიქროს: ოჰ, რა სასურველია სამარადისო ძილიო. ან შესაძლოა ისეთი სიზმრის შემდეგ დასცდენოდა ეს აზრი, ოდეს საშინელებათა ქაოსში ეხვეოდა სული. ან სიბილწით გაუკუღმართებული სიხარულის მერე,

როდესაც ტვინის უჯრედებში თვით სინამდვილეში არსებულთან შედარებით გაცილებით უარესი ჩვენებანი ისე ცოცხლად და ნათლად შეიჭრება, როგორც ყოველგვარი უჩვეულო ფანტაზია. დიახ, ეს იმ ყოვლად ძლიერი ძალის გავლენით ხდება, რომელიც თვით გოთურ ხელოვნებას ასე დიდ ცხოველმყოფელობას ანიჭებს. რადგან ამ ხელოვნების მჭვრეტელს მხოლოდ ერთი შეუძლია იფიქროს, რომ ეს უცილოდ იმ განსაკუთრებულ ადამიანთა ხელოვნებაა, რომელთა გონებაც ნაწამები და მძიმედ დაავადებულია ოცნებით.
დიახ, უჩვეულოა ეს გამოფხიზლება, ოდეს ძილბურანში კვლავ შფოთავს სული. განთიადის თეთრი თითები თანდათანობით ქურდულად მოიპარება ფარდის ხვრელებში და თითქოს მარმაშიც ცახცახებს ამ დროს. შავი ფანტასტიკური გამოსახულებანი უცხო ჩრდილებად მოცოცავენ კუთხეებისაკენ და წელმოწყვეტილი იქ იკალთებიან. გარეთ ფრინველები ფრთხიალებენ ფოთლებში, ადამიანის ფეხის ხმა არღვევს მდუმარებას, ის უკვე სამუშაოდ მიეშურება... ქარის კვნესა და ქვითინი გაისმის შორეული გორაკებიდან და დიდხანს დაეხეტება მდუმარე სახლის ირგვლივ, თითქოს მძინარეთა გაღვიძებას ეკრძალვისო, მაგრამ მაინც იძულებულია მისი მეწამულისფერი თავშესაფრიდან განდევნოს ძილი. სიფრიფანა, ბინდისფერი პირბადე კალთებს აიკეცს და ირგვლივ ყველაფერი საკუთარ ფერს და ფორმას იბრუნებს. ჩვენ თვალწინ რიჟრაჟი ჩვეული მშვენებით ამკობს ქვეყანას. ფერგამკრთალი სარკენი კვლავ სხივმფენი ციმციმით ეგებებიან განახლებულ სიცოცხლეს. დამქრალი სასანთლე დგას იქვე, სადაც წინა დღით დატოვეთ. მის გვერდით ნახევრადგაჭრილი წიგნი დევს, რომელსაც გუშინ კითხულობდით. ან თვალს გტაცებთ დამჭკნარი ყვავილი, რომელიც მეჯლისზე თქვენს ღილკილოს ამშვენებდა. იქვეა წერილიც, რომლის წაკითხვა შიშით გზარავთ, ან რომელსაც ესოდენ ხშირად კითხულობთ. არაფერი გეჩვენება შეცვლილი ღამის მოჩვენებით ჩრდილებიდან. კვლავ ჩვენ თვალწინ იშლება ნაცნობი სინამდვილე. ცხოვრება იქიდან უნდა დავიწყოთ, სადაც გუშინ შეჩერდა, მაგრამ მწვავედ შევიგრძნობთ, რომ განწირულნი ვართ უიმედოდ, რადგან დაუსრულებლად უნდა ვხარჯოთ ენერგია, თავბრუდამხვევად ვიტრიალოთ ერთსა და იმავე დამქანცველ წრეში მისთვის ჩვეული სტერეოტიპული საქმიანობით. ხანდახან ასეთ წუთებში დაუცხრომელი სურვილი გვწვავს, თვალი გავახილოთ და სრულიად ახალი სამყარო ვიხილოთ, რომელიც ჩვენდა სასიხარულოდ ერთ ღამეში გარდაქმნილა. ქვეყანა, სადაც ყველაფერს მიუღია ახლებური სახე და ფერი. სამყარო, რომელიც მთლად შეცვლილა და ახალი საიდუმლოებითაა სავსე. ქვეყანა, სადაც წარსული ისტორიას ჩაბარებია და სადღაც კუთხეში მიმალულა და უკვე სულს ღაფავს. და თუ წარსული კიდევ არსებობს სადმე, მის მიმართ არავითარ ვალდებულებას აღარ ვგრძნობთ და სინანულს არ განვიცდით, რადგან ოდესღაც არსებული ბედნიერების მოგონებაშიც კი მუდამ თავისებური სიმწარეა ჩასახული. ხოლო ხსოვნა გარდასულ სამეფოთა შესახებ მარადჟამს ღრმა ტკივილს ტოვებს გულში. სწორედ ასეთი ახალი ქვეყნიერების შექმნა ჰქონდა დორიან გრეის მხედველობაში და საკუთარი ცხოვრების მთავარ მიზნადაც ეს ეჩვენებოდა. დიახ,

ერთ, ნამდვილ და სწორ მიზნად ამქვეყნად. დორიანს ღრმად სწამდა, რომ ცხოვრების უმეტესი ნაწილი ადამიანს შეგრძნების ძიებაში უნდა გაეტარებინა, რაც ერთ და იმავე დროს ახალიც იქნებოდა და სიამეთა მომგვრელიც, ის ხომ შინაგან არსში იმ არაჩვეულებრივ ელემენტს შეიცავდა, რაც რომანტიზმის არსებითს ნაწილს წარმოადგენდა. დორიანი არცთუ ისე იშვიათად მისი ბუნებისათვის სრულიად უცხო, აშკარად სხვის იდეებს ესწრაფვოდა და ხშირად მათ უჩინარ გავლენაშიც ექცეოდა. შემდეგ კი ჩასწვდებოდა თუ არა მათ დედა არსს და უსაზღვრო ცნობისმოყვარეობას დაიკმაყოფილებდა, ისე სწრაფად და გულგრილად ანებებდა თავს, რაც არათუ მის მგზნებარე ტემპერამენტს შეესატყვისებოდა, არამედ, როგორც ზოგიერთი თანამედროვე ფსიქოლოგები ამტკიცებენ, მის ერთ-ერთ გარდაუვალ პირობად ევლინებათ ადამიანებს ცხოვრებაში.
ერთ ხანს ისეთი ხმაც დადიოდა, რომ დორიანი აპირებდა რომის კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი გამხდარიყო. სინამდვილეში მას მართლაც დიდად მოსწონდა რომაული კათოლიკური რიტუალი, ყოველდღიური მსხვერპლთშეწირვის იდუმალება თავისი ნამდვილი სახით, მთელი უძველესი სამყაროს მსხვერპლშეწირვასთან შედარებით, ბევრად ამაზრზენი და შემაძრწუნებელი ჩანდა. ეს ყოველივე აუტანელი ზიზღით სულს უშფოთებდა, რასაც ყველა ადამიანური გრძნობა ეთანხმებოდა თავისი პირველყოფილი უბიწოებით და კაცობრიობის მარადიული პათოსით, რომლის სიმბოლიზებას სამარადჟამოდ ის ასეთი ძალით შესჭიდებია. დორიანს უყვარდა მუხლი მოეხარა ცივ მარმარილოს იატაკზე და მღვდლისათვის თვალყური ედევნებინა, ვისაც მძიმე ფერადი დალმატიკა ემოსა და ფერმკრთალი ხელებით ნელა იღებდა და ადგილს უნაცვლებდა საკურთხევლის საბურავ სუდარას, ან მაღლა სწევდა ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ფარნისმაგვარი ფორმის გამჭირვალე ფიალას, რომელშიაც ხანდახან, უფერული, მრგვალი, უფუარი ნამცხვარი მოჩანდა და მაშინ მას უნდოდა დაერწმუნებინა თავი, რომ ეს იყო სწორედ „panis coelestis“[65] – „ ანგელოზთა პური“. მოსწონდა დორიანს იმის ყურებაც, როდესაც მღვდელი, ქრისტეს ვნებებით გარემოცული, წელში ტეხდა მლოცველს, რომ ფიალას დასწაფებოდა და ისიც გულში იცემდა ხელს ცოდვათა მოსანანიებლად. აჯადოებდა აბოლებული საცეცხლურებიც, რომლებსაც მაქმანშემოვლებული, მეწამულისფერი სამოსით შემოსილი, სერიოზული სახით მომზირალი პატარა ბიჭუნები ხელით ისე არწევდნენ, როგორც დიდ ოქროს ყვავილებს. ტაძრიდან გამოსვლისას დორიანი მალულად იჭვრიტებოდა ბნელ საახსარებოში. ხშირად დიდხანს იჯდა მის პირქუშ ჩრდილში და ისმენდა, როგორ გულწრფელად ჩურჩულებდნენ საკმაოდ ძველსა და დრომოჭმულ ტაძრის რიკულებთან ადამიანები საკუთარი სულისა და ცხოვრების ჭეშმარიტ საიდუმლოს. მაგრამ დორიანს არასოდეს ჩაუდენია შეცდომა და საკუთარი გონება სარწმუნოებით არ შეუბორკავს, არ უქცევია რომელიმე დოგმატი თუ სისტემა თავისი მსოფლმხედველობის გადამწყვეტ მრწამსად. თავისი დიდებული სახლი სასტუმროზე არასოდეს გაუცვლია. სასტუმროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში

იყენებდა, რომ შიგ დროებით ერთი ღამე გაეთია, ან მხოლოდ რამდენიმე საათი გაეტარებინა იქ ბნელ ღამეში. ერთ ხანს დორიანი მისტიციზმმა გაიტაცა თავისი სასწაულებრივი ძალით. მისტიციზმი ხომ ჩვეულებრივ ამბებსა და საგნებს იდუმალებით მოცულ საოცრებად აქცევს და სურვილი სწვავდა ყოველთვის მისი თანმდევი ანტინომინალიზმით ყოფილიყო დაბანგული. იყო ისეთი ხანაც, როდესაც დორიანი გერმანული დარვინიზმის მატერიალისტური იდეოლოგიის მიდევრად გადაიქცა; საოცარ სიამოვნებას განაცდევინებდა ადამიანთა ფიქრებისა და გრძნობების თვალყურის დევნება ტვინის უჯრედებზე და სხეულის თეთრ ნერვიულ ბოჭკოებზე. ასეთი მაცდუნებელი ძალით მოქმედებდა სულის აბსოლუტური დამოკიდებულების იდეა ფიზიკურ პირობებზე, ჯანსაღი იყო ეს, ნორმალური თუ ავადმყოფური. თვით ცხოვრებასთან შედარებით, როგორც ერთ დროს აცხადებდა, არც ერთ თეორიასა და მოძღვრებას არ ჰქონდა მისთვის არავითარი მნიშვნელობა. მას მეტად ღრმად ესმოდა, რა უნაყოფოა ყოველგვარი გონებით ნაკარნახევი თეორიები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მოქმედებასთან და ცდასთან. იმასაც ჩასწვდა, რომ ადამიანის გრძნობად ცხოვრებას, ისევე, როგორც სულიერს, აქვს თავისი წმიდათა წმიდა საიდუმლოებანი, რომელიც დღის სინათლეზე გამოვლენას საჭიროებენ. დორიანმა დაიწყო სურნელების მოქმედი ძალის შესწავლა ადამიანზე და მისი დამზადების იდუმალი გზების კვლევა, ხდიდა მრავალნაირ სურნელოვან ზეთს და წვავდა ათასგვარ სურნელების გამომცემ აღმოსავლურ ფისს. დორიანმა სრულიად ნათლად დაინახა, რომ არ არის გონების ძალით შექმნილი ისეთი გუნება-განწყობილება, რომელიც თავის ორეულს ვერ პოულობდეს ადამიანთა გრძნობად სულიერ სამყაროში. ამიტომაც მოინდომა აღმოეჩინა მათ შორის ჭეშმარიტი, ნათესაური ურთიერთკავშირი. ის გაიტაცა იმაზე ფიქრმა, თუ რა სურნელება იყო საკმელში, რაც ადამიანებს მისტიკური გრძნობებითა და ფიქრებით აღავსებდა, ხოლო ნაცრისფერი ამბრი კი ვნებებს აღვიძებდა. იის სურნელი დიდი ხნის მკვდარი სიყვარულის მოგონებას უწყობდა ხელს, მუშკი - ბინდში ხვევდა გონებას; ხოლო ინდური ჩემპაკი - ბილწი გრძნობებით ავსებდა წარმოსახვას. დორიანი ცდილობდა ჩასწვდომოდა კეთილსურნელების ფსიქოლოგიური გავლენის საიდუმლოებას ადამიანთა განწყობილებაზე. ამის გამო შეუდგა მრავალნაირი სუნის ფესვებისა და ბალახის მოქმედების შესწავლას. აკვირდებოდა მტვრიანების მომწიფების ჟამს მრავალფერ ყვავილს, როდესაც ისინი კეთილსურნელოვან მტვერს უხვად აფრქვევდნენ ჰაერში. არომატულ ბალზამებს, მოშავო სურნელოვანი ხის აურაცხელ ჯიშებს; ნარდის[66], რომელიც ადამიანს საოცრად ასუსტებს, ჰოვენიას, რომლის სუნისაგან ადამიანი ჭკუას კარგავს და ალოეს, რომელიც როგორც ამბობენ, ადამიანის სულს მელანქოლიისაგან კურნავს.
ერთ ხანს დორიანი მთლიანად მუსიკამ გაიტაცა. თავისი სახლის გრძელ დარბაზში, რომელსაც ძველი გოტიკური ცხავისებრი სარკმელები, სინგურისა და ოქროსფრად მოხატული ჭერი და მალაქიტისფერი სანდალოზით გაკრიალებული კედლები ამშვენებდა, დორიანი ხშირად მართავდა საზოგადოებისათვის

სრულიად უცხო საოცარ კონცერტებს: დამთხვეულსა და თავზეხელაღებულ ბოშებს უჩვეულო ჯადოსნური ძალით, ველური, თავბრუდამხვევი მელოდიები ამოჰქონდათ პაწაწინა ციტრებიდან. პირქუშად მომზირალი, ყვითელშალიანი ტუნისელები საგულდაგულოდ დაჭიმულ სიმებს სინჯავდნენ და აჟღერებდნენ ურჩხულებივით დიდ ბარბითებზე. კბილდაკრეჭილი ზანგები მონოტონურად ურტყამდნენ ხელჯოხებს სპილენძის დაფდაფებზე. მეწამულისფერ ჭილობებზე ფეხმორთხმით მსხდომი, ჩალმიანი გამხდარი ინდოელები თითბრისა და ლერწმის უზომო და გრძელ-გრძელ საყვირებს ახმიანებდნენ და აჯადოებდნენ, თუ ისეთ გამომეტყველებას ღებულობდნენ თითქოს აჯადოებენო, უშველებელ შხამიან კობრებსა და ამაზრზენ რქიან გველებს. ამ ბარბაროსული მუსიკის მკვეთრი გადასვლები, გამკივანი, დროდადრო ყურთასმენის წამღები დისონანსი ჟამიდან ჟამზე სულს უშფოთებდა და აღელვებდა დორიანს, როდესაც შუბერტის წარმტაცი მუსიკა, შოპენის ღვთიური ელეგია და ბეთჰოვენის ძლევამოსილი სიმფონიები ვერავითარ გავლენას ვეღარ ახდენდა მასზე. დედამიწის თითქმის ყოველი კუთხიდან მოზიდა საკრავი ინსტრუმენტები. ამ კოლექციაში შედიოდა რიო ნიგროს ინდიელთა „ჯურუპარისი“[67], რომლის ნახვა სასტიკად ეკრძალებოდათ იქაურ მკვიდ ქალებს და მოზარდ ჭაბუკებსაც კი ნებას რთავდნენ მხოლოდ მაშინ ენახათ და მოესმინათ, როდესაც ხორციელ გვემას საკმაოდ გამოსცდიდნენ და იმარხულებდნენ. აქვე ნახავდით პერუელთა უცნაური ფორმის თიხის სურებს, რომლებიც ყურთასმენის წამღებ ფრინველთა ხმაზე გაჰკიოდნენ, ადამიანის ძვლებისაგან დამზადებულ ფლეიტებს, როგორც ალფონსო დე ოვალემ ნახა და მოუსმინა ჩილიში. განსაკუთრებით ტკბილად მღერადი ზურმუხტისფერ ეშმს, რომელიც კუცკოს[68] მახლობლად უპოვიათ ერთ დროს. მის კოლექციას ავსებდა აგრეთვე კანმაგარი გოგრები, რომლებიც გამჭვირვალე მთის ბროლის მაგვარი კენჭებით იყო სავსე და შეხებისთანავე საოცარ გრიალს გამოსცემდა. უგრძესი მექსიკური ბუკი, რომელშიაც მუსიკოსმა სული კი არ უნდა ჩაბეროს, არამედ თვით შეისუნთქოს მისგან ჰაერი: ამაზონთა ტომების მკვეთრი ხმის გამომცემი „ტურე“, რომელბითაც მთელი დღის განმავლობაში მაღალ ხეებზე მსხდომი გუშაგები იძლევიან ნიშანს. ეს ხმა სამი მილის მანძილზე ვრცელდება. „ტეპონაცტილი“[69], რომელსაც ხის ორი მჟღერი ენა აქვს, მისი საკრავი ჯოხები ელასტიკურ ფისშია ამოვლებული, რომელიც მცენარის რძისმაგვარი წვენისაგან მზადდება. აცტეკთა[70] იოტლის ზარები, რომლებიც ყურძნის მტევნებივითაა ჩამოკიდებული და ცილინდრული დოლი, რომელზედაც უშველებელი გველის ტყავია გადაკრული. სწორედ იმის მაგვარი, როგორც ოდესღაც ბერნალ დიასმა ნახა კორტეზთან ერთად მექსიკური ტაძრის დათვალეირებისას და ამ საკრავის საოცრად ნაღვლიანი ხმა ასე ცოცხლად აღწერა და შემოგვინახა.
დორიანს თავისი უჩვეულო ფორმითა და ხმით ფრიად აინტერესებდა ეს მუსიკალური ინსტრუმენტები და განსაცვიფრებელ სიამოვნებას განიცდიდა იმის ფიქრში, რომ ხელოვნება, ისევე როგორც ბუნება, რაღაც ურჩხულისებრ სიმახინჯეს, რაღაც უფორმო ცხოველურ სხეულებსა და ამაზრზენ ხმებს ქმნიდა.

თუმცა ერთ დროს ყოველივე ამან საოცრად მოაბეზრა თავი და როდესაც ოპერაში მარტოდმარტო ან ლორდ ჰენრისთან ერთად საკუთარ ლოჟაში იჯდა და აღფრთოვანებული უსმენდა ვაგნერის ოპერა „ტანჰაიზერს“, ეჩვენებოდა, რომ ამ შესანიშნავი ოპერის უვერტიურაში მისი საკუთარი სულის ტრაგედიას გადმოსცემდნენ.
ერთ დროს მას კვლავ ახალი გატაცება გაუჩნდა. ეს გახლდათ ძვირფასი ქვების შესწავლის დაუოკებელი სურვილი. ერთ-ერთ მეჯლისზე კი ფრანგი ადმირალი ან დე ჟოიეზის სამოსით გამოცხადდა, რომლის სამხედრო კამზოლზეც ხუთას სამოცამდე მარგალიტი ელვარებდა. ეს გატაცება დორიანს ძალიან დიდხანს, თითქმის სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე გაჰყვა. ის ხშირად მთელ დღეებს ამ აურაცხელი და მრავალფერი ქვების კოლექციის თვალიერებასა და ამოლაგება-ჩალაგებაში ატარებდა.
აქ იყო მომწვანო ფერის ქრიზობივრილი, რომელიც სინათლის შუქზე მეწამულისფრად ენთებოდა, კიმოფანი, ვერცხლისფერი ხაზებით რომ იყო დასერილი, ფსტისფერი პერიდოტი, მუქი ვარდისფერი და ოქროსფრად მოელვარე ტოფაზი, რომლის სინათლე თვალს გჭრიდათ; ნაკვერცხლისფრად ანთებული წითელი ლალი, რომელიც შიგნით ოთხსხივიან ვარსკვლავებად ციმციმებს. ალისფრად მოკიაფე გრანიტის მაგვარი პატიოსანი თვლები. მზისფერი და იისფერი სპილენძის კრისტალები. ამეთვისტო, რომლის ცვალებადი ციალი დაუსრულებელია, ხან ლალისფრად ბრწყინავს, ხან კი საფირონისფრად. დორიანს ხიბლავდა ხან მეწამულისფრად და ხან ბაჯაღლო ოქროსფრად ბზინვარე მზისა და მთვარის კვარცის ჭახჭახა სითეთრე, რომელიც მუდამ მარგალიტისფრად ელვარებდა. რძისფერი ცის დანაკი, იგივე ოპალი, რომელიც გადამტყდარი ცისარტყელის სხივებად იღვრებოდა. ამსტერდამში მან სამი, განსაცვიფრებელი სიდიდის უჩვეულოდ მოკიაფე ზურმუხტი იშოვა. მის კოლექციას მასთან ერთად უძველესი, ყველაზე ძვირადღირებული ფირუზი აგვირგვინებდა, რომელიც მცოდნეთა შორის ენით აღუწერელ შურს აღძრავდა. დორიანი არამარტო ძვირფას ქვებს იკვლევდა, არამედ შესანიშნავი ლეგენდებიც აღმოაჩინა მათ შესახებ. მაგალითად, ალფონსოს შრომაში „Clericalis Diciplina“[71] ნახსენებია გველი, რომელსაც ნამდვილი იაკინთის თვალები ჰქონდა. რომანტიკული თქმულება ემათიის[72] დამპყრობ ალექსანდრეს შესახებ მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე იორდანიის ველზე წააწყდა გველებს, რომლებსაც ნამდვილი ზურმუხტის საყელოები ჰქონიათ გადაფენილი ზურგსა და კისრებზე. როგორც ფილოსტრატე[73] გვამცნობს, გველეშაპის ტვინში არის პატიოსანი თვალი. თუ მის წინ მეწამულისფერ ქსოვილს და ოქროსფერ ნაწერებს გადავშლით, ურჩხულს მსწრაფლ ჯადოსნური ძილი ეუფლება და მისი მოკვლა მხოლოდ ამით ხდება შესაძლებელი. დიდი ალქიმიკოსი პიერ დე ბონიფასი ამბობდა, რომ ბრილიანტს შეუძლია ადამიანი უჩინმაჩინად აქციოს, ხოლო ინდური აქატი ადამიანს მჭერმეტყველების უნარს ანიჭებს, სარდიონი აყუჩებს აღშფოთებას, იაკინთი ძილს ჰგვრის, ამეთვისტო ღვინისაგან მოძალებულ ალებს ჰფანტავს, ძოწი სდევნის ეშმაკს, ხოლო ბივრილი აფერმკრთალებს მთვარეს.

სელენიტი მქრქალდება მთვარის ჩასვლისას და მისი ამოსვლისას კვლავ განახლებას იწყებს, მელოცია, რომელიც ქურდს ააშკარავებს, ძალას კარგავს მხოლოდ ციკნის უბიწო სისხლით. ლეონარდუს კამილიუსმა იპოვა თეთრი ქვა, რომელიც ახლად მოკლული ჯოჯოს ტვინიდან ამოეღოთ, რაც შხამის საუკეთესო საწინააღმდეგო საშუალებად შეიძლება გამოიყენონ. ხოლო ბეზოარს, რომელიც არაბული ირმის გულში იპოვეს, ისეთი სასწაულმოქმედი თვისება აღმოაჩნდა, რომ საუკეთესოდ კურნავდა შავ ჭირს. როგორც დიდი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე[74] ამბობს, არაბეთის ფრინველთა ბუდეებში აღმოაჩინეს ქვა ასპილატი, რომელიც ცეცხლისგან იცავს ყველას, ვისაც კი მისი ტარება უხდება. მეფედ კურთხევის დღეს, ცეილონის სამეფო ტახტის მემკვიდრე ტაიჭით დაქროდა ქალაქში და ხელში უჩვეულო სიდიდის ჩირაღდანივით აციმციმებული სხივმფრქვევი ლალი ეჭირა. იოანე მღვდლის[75] სადარბაზო კარი მთლად უძვირფასესი თვლებით - სარდიონით ყოფილა მოოჭვილი. მასში გველის რქა ჩაუსვამთ, რომ სასახლეში საწამლავი ვერავის შეეტანა. სასახლის ფრონტონის წვეტებზე დამაგრებული ყოფილა ორი ოქროს ვაშლი, თითოეული მათგანიდან მოზრდილი ლალი მოჩანდა. ასე რომ, დღისით ოქრო ბზინავდა მზის სხივებზე და ღამით კი ლალი აენთებოდა და ციმციმებდა. ლოჯის[76] უცნაურ რომანში „ამერიკის მარგალიტი“ მოთხრობილია, რომ დედოფლის განსასვენებელ პალატებში შესაძლებელი იყო ენახათ ამქვეყნად არსებული ყველა უბიწო ქალთა ძვირფასი ვერცხლისაგან ნაჭედი ქანდაკებები, რომლებიც უმშვენიერესი ქრიზოლითით, საფირონითა და მწვანე მოხასხასე ზურმუხტით მოოჭვილ სარკეებში იყურებოდნენ. მარკო პოლომ[77] მოგზაურობისას აღმოაჩინა, რომ ზიპენგუს[78] მცხოვრებნი ვარდისფერ მარგალიტს უდებდნენ პირში მიცვალებულებს. არსებობს თქმულება, რომ ზღვის ურჩხულს საოცრად ყვარებია მარგალიტი, რომელიც ერთ-ერთმა მყვინთავმა როგორც იყო ხელთ იგდო და მეფე პეროზს[79] მიართვა საჩუქრად. ურჩხულმა ქურდი მოაკვდინა და მთვარის შივდჯერ მოქცევის განმვალობაში დასტიროდა თავის დანაკარგს. როდესაც ჰუნები იმქვეყანას თავს დაესხნენ, მეფემ მარგალიტი შორს გადასტყორცნა. პროკოპიუსი ამის შესახებ გვამცნობს, რომ მარგალიტი ვეღარსად აღმოუჩენიათ მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორი ანასტასიუსი ხუთას გირვანქა ოქროს ჰპირდებოდა მპოვნელს. მალაბრიის[80] მპყრობელმა ერთ ვენეციელს აჩვენა სამას ოთხი მარგალიტისაგან ასხმული კრიალოსანი. თითოეული მარგალიტი იმ ღმერთის პატივსაცემად იყო განკუთვნილი, რომელსაც ეთაყვანებოდა. როდესაც მთავარი ვალენტინუა, ალექსანდრე მეექვსის[81] ვაჟიშვილი საფრანგეთის მეფე ლუი მეთორმეტეს ესტუმრა, თუ ბრანტომს[82] ვერწმუნებით, მისი ცხენი მთლად ოქროს ფურცლებით ყოფილა დაფარული. ქუდზე კი ორმწკრივად შემოვლებული ჰქონია ლალი, რომელიც განსაცვიფრებელ ბრწყინვალებას გამოსცემდა თურმე. ინგლისის მეფის ჩარლზის ცხენის მარტო უზანგებზე ოთხას ოცდაერთი ალმასი ციმციმებდა. რიჩარდ მეორეს კი ისეთი მოსასხამი ჰქონია, რომელიც მთლიანად უჩვეულოდ მოკიაფე წითელი ლალით ყოფილა დაფარული და ოცდაათი ათას მარკად შეუფასებიათ. როგორც ჰოლი[83] აღწერს, როდესაც კურთხევის დღეს

ჰენრი მერვე[84] ტაუერს[85] გაემგზავრა, მას უძვირფასესი ოქროს ხიფთანი ემოსა, შიგნით გულისპირი კი მოოჭვილი ყოფილა მარგალიტებით და სხვა ძვირფასი თვლებით. ხმლის ფართო სამხარიღლიაზე კი მოყვითალო და ღია წითელი ფერის დიდი ლალები კიაფობდნენ თურმე. ჯეიმს პირველის საყვარლები არაჩვეულებრივი ბრწყინვალების ზურმუხტის საყურეებს ატარებდნენ, რომელიც ფილიგრანული ნაკეთობის ოქროში იყო ჩასმული. ედვარდ მეორემ[86] პირს გეივსტონს აჩუქა ბაჯაღლო ოქროს იაკინთით მოოჭვილი ჯაჭვ-კურტაკი და ოქროს ვარდებით დაფარული კოლეტი, თითოეულ ვარდში ფირუზის თვლები ციმციმებდა. მათთან ერთად უბოძა მარგალიტის თვლებით მთლიანად მოჭედილი ქუდი. ჰენრი მეორე[87] ატარებდა ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ხელთათმანებს, რომელიც იდაყვამდე სწვდებოდა, ხოლო მისი ქორ-შევარდნებზე სანადირო ხელთათმანი მოჭედილი იყო თორმეტი უძვირფასესი ლალითა და ორმოცდათორმეტი განსაკუთრებული ბრწყინვალების მარგალიტით. ბურგუნდიის უკანასკნელი მთავრის ჩარლზ უშიშარის სამთავრო ქუდზე მსხლის მაგვარი მარგალიტი ბრწყინავდა და საფირონებით იყო მოოჭვილი.
ოჰ, რა ლამაზი ყოფილა ცხოვრება ოდესღაც და როგორ აამებდა თვალს თავისი წარმტაცი სიმდიდრითა და სადღესასწაულო ელფერით. თვით წიგნთა კითხვა დრო-ჟამთა ერთად გარდასულ ბრწყინვალე სიმდიდრის შესახებ უდიდესი სიამის მომგვრელი ნეტარება იყო.
დორიანი ბოლოს ქარგულობითა და გობელენებით დაინტერესდა, რომელთაც ფრესკათა როლი ითამაშეს ევროპის ჩრდილოეთით მცხოვრები მოსახლეობის ცივ პალატებში. დორიანი დიდი მონდომებით იკვლევდა ამ საკითხს, რადგან მას განსაცვიფრებელი უნარი შესწევდა, რა საქმესაც კი ხელს ახლებდა, მთელი ძალ-ღონე თავდავიწყებით მისთვის შეეწირა. ასეთი საქმე მთელ მის არსებას შთანთაქვდა ხოლმე. ამასთან ერთად დიდი გულისტკივილით გამსჭვალული თვალყურს ადევნებდა, როგორ ანადგურებდა დრო-ჟამი ყოველივე წარმტაცს, შესანიშნავსა და განუმეორებელს.
თვით დორიანი ყოველ შემთხვევაში, როგორღაც გადაურჩა დროის მსახვრალ ხელს, ზაფხულს ზაფხული მოსდევდა, ყვითელი ნარგიზი მრავალგზის აყვავდა და დაჭკნა, მისი სამარცხვინო ღამეები კი კვლავ და კვლავ მეორდებოდა, მაგრამ დორიანი არავითარ გარეგნულ ცვლილებას არ განიცდიდა. ზამთარი ვერას აკლებდა მის სახეს და ნამცეცი ლაქაც ვერ დაამჩნია მარად ყვავილივით ახლად გაშლილ მის წარმტაც იერს. მაგრამ ყოველივე ამასთან შედარებით რა განსხვავებული ჩანდა ადამიანის ხელით შექმნილ საგანთა ბედი! სად გაქრნენ ისინი? სად არის ის სვინტრისფერი თვალწარმტაცი სამოსი, რომელზედაც გამოსახული იყო ღმერთებისა და გოლიათების ბრძოლა და რომელიც ფერადკანიანმა ქალწულებმა მოუქსოვეს ქალღმერთ ათინას? სად გაქრა ზღვასავით გაშლილი და მოლივლივე ვერალიუმი[88], რომელიც ნერონის ბრძანებით გადაჭიმეს კოლიზეუმზე რომში, ეს თვალუწვდენელი მეწამულისფერი ქსოვილი, რომელზედაც ამოქარგული იყო ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, და აპოლონი[89] თავისი ეტლით, რომელშიაც ოქროს სადავეებით აღკაზმული რაშები

ება? ნატრობდა დორიანი, რადაც უნდა დაჯდომოდა, ენახა მზის სამსხვერპლო, ვაჟისთვის ამოქარგული მაგიდის შესანიშნავი ხელსაწმენდები, რომელზედაც ასახული იყო ყოველნაირი ტკბილეული და სასმელ-სანოვაგე, რაც კი ამ არაჩვეულებრივი ნადიმისათვის სჭრიდებოდათ. მეფე ჰილპერიკის სამგლოვიარო გადასაფარებელი, რომელზედაც სამასი ოქროს ფუტკარი ამოექარგათ, თუ თვალისათვის სრულიად დაუჯერებელი ეპისკოპოს პონტუსის[90] სამოსი, რომელზედაც მოჩანდა ლომები, პანტერები, დათვები, ძაღლები, ტყეები, კლდეები და მონადირენი. ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც სინამდვილეში მხატვრის ხელს შეეძლო გადმოეღო ბუნებიდან. ან შარლს ორლეანელის წამოსასხამი, რომლის სახელოებზე ამოქარგული იყო ფრანგულად სასიმღერო ლექსის სიტყვები: „Madam, je suis tout joyeux“[91]. მუსიკა ამ სიტყვებისათვის, სადაც სანოტო ხაზები ოქროს ძაფით იყო ამოქარგული და თითოეული, იმდროინდელი სანოტო ოთხკუთხიანი ფორმის გამო, ოთხი მარგალიტით მთავრდებოდა.
დორიანმა წაიკითხა იმ სამეფო პალატების აღწერილობა, რომელიც რეიმსის სასახლეში მოამზადეს დედოფალ იოანა ბურგუნდიელის[92] მისაღებად. კედელზე აკრულ ძვირფას ქსოვილზე ამოქარგული იყო ათას სამოცდაერთი თუთიყუში და ხუთას სამოცდაერთი პეპელა. ამ მშვენიერ ფრინველთა ფრთებზე მოჩანდა წმინდა ოქროთი ამოქარგული მეფის ხელისუფლების გამომსახველი ღერბი, ხოლო პეპელას ფრთებს ამშვენებდა ახლად მოვყანილი დედოფლის ხელისუფლების გამომხატველი საღერბო ნიშნები.
ეკატერინე მედიჩის[93] განსასვენებელი სამგლოვიარო საწოლი დაფარული იყო შავი უძვირფასესი ხავერდით. მასზე ნახევარმთვარეები და მზეები ამოექარგათ. ორივე მხარეს დაბლა ეშვებოდა სახიანი ქსოვილი, მწვანე ყვავილწნულებითა და გირლანდებით, რომლებიც ოქროსა და ვერცხლისფერ ქსოვილზე იყო მიმობნეული. დედოფლის უკანასკნელი განსასვენებელი სარეცელი ერთ-ერთ დიდ დარბაზში იდგა. კედლებზე მისი უკანასკნელი სიტყვები და ღერბი მოჩანდა. ანდერძი შავი ხავერდით იყო ამოქარგული მოლივლივე ვერცხლისფერ ფონზე. ლუი მეთოთხმეტის სავანეებსა და პალატებში თხუთმეტი ფუტის სიმაღლე კარიატიდები მოექარგათ ოქროს სირმებით. პოლონეთის მეფის სობესკის დიდებული და უმშვენიერესი მოსასვენებელი სარეცელი სმირნის ოქროსფერი ფარჩის კარავქვეშ იდგა. ფარჩაზე ფირუზის თვლებით იყო წარწერილი ლექსები ყურანიდან. თვით კარავი, ოქროში დაფერილი, შესანიშნავი ხელოვნებით ნაჭედი, ვერცხლის მაღალ სვეტებს ეყრდნობოდა და მდიდრულად იყო მორთული მომინანქრებული მედალიონებითა და ძვირფასი თვლებით. ეს კარავი პოლონელებმა ვენასთან ახლოს, თურქებს წაართვეს და მათი ბანაკიდან წამოიღეს. მანამდე მისი მოოქროვილი გუმბათის ქვეშ წინასწარმეტყველი მაჰმადის ალამი ფრიალებდა.
დორიანი მთელი წელი ეძებდა და აგროვებდა უძვირფასეს ნიმუშებს, რომლის შოვნაც კი შეიძლებოდა იმხანად, როგორც ქარგულობის, ისე თვით ქსოვილების სახით. მის კოლექციაში შეხვდებოდით შესანიშნავ ნახელავ ინდურ მარმაშს - ქალაქ დელიდან, ულამაზესი ოქროსფერი პალმის ფოთლებითა და ფერადი

ხოჭოს სიფრიფანა ფრთებით; პაკისტანურ გაზს ქალაქ დეკადან, რომელმაც თავისი გამჭვირვალობის გამო აღმოსავლეთში სახელწოდება მიიღო: „ჰაეროვანი ქსოვილი“, „წყლის მოლივლივე ჭავლი“, „დაისის ნამი“, უცხოდ მოხატულ ქსოვილს იავადან, საგულდაგულოდ წმინდა ნამუშევარ ზაფრანისფერ ჩინურ ფარდებს, წიგნებზე გადაკრულ დარიჩინისფერ სტავრას და უმშვენიერეს იისფერ აბრეშუმს, რომელზედაც ამოქარგული იყო fleurs de lys[94], ფრინველები და სხვა მრავალფერი სურათები; უნგრულ სახელგანთქმულ ვუალს; სიცილიურ ფარჩას; ესპანურ მტკიცედ ნაქსოვ ხავერდს; პაწაწინა, მრგვალი ოქროს მონეტებით მოქარგულ ქართულ ჰაეროვან ქსოვილს; იაპონურ „ფუკუსასის“, ზურმუხტის და ოქროსფერ ფერებში შეზავებულ და განსაცვიფრებელი სილამაზის ფრინველებით დაფარულს.

დორიანს განსაკუთრებული სწრაფვა და ინტერესი აღმოაჩნდა საეკლესიო სამოსისადმი, როგორც ყველაფრისადმი, რაც დაკავშირებული იყო საეკლესიო სამსახურთან. კედრის მოგრძო სკივრებში, რომლებიც მისი სასახლის დასავლეთ ნაწილის დერეფნებში ჩაემწკრივებინათ, მეტად იშვიათი სილამაზის ნიმუშებს ინახავდა, რომლებიც ქრისტეს სასძლოებისთვისაც კი გამოდგებოდა სამოსად. უმჯობესი იყო, რა თქმა უნდა, ქრისტეს სასძლოებს მართლაც მეწამულისფერი სამოსი, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს ნივთები და უნაზესი ქსოვილის თეთრეული ეტარებინათ, რომ როგორმე თავისი გამხდარი სხეული დაეფარათ, რომელიც იმ ენით აღუწერელ ტანჯვას გამოეფიტა, რასაც თვით ეძიებდნენ ამქვეყნად, საკუთარი სურვილით იყვნენ დაჭრილი და თვითგვემისაგან მიყენებულ ტკივილებს არ ერიდებოდნენ.

დორიანის კოლექციას ამშვენებდა აგრეთვე, მდიდრული ჟოლოსფერი აბრეშუმი და ოქროსფრად დაქსელილი მეწამული ფარჩის სამოსი, რომელზედაც ერთი და იგივე მოხატულობა მეორდებოდა: ოქროსფერი ბროწეულები გამჭვირვალე, ექვსფურცლიანი თვალწარმტაცი ყვავილებით. მის ორივე მხარეს მარგალიტებით ანანასები იყო ამოქსოვილი. ოროს სიმებით დაქსელილი ოლარი დაყოფილი იყო უჯრედებად და თითოეული უჯრედი წმიდა ქალწულის ცხოვრების სურათს წარმოადგენდა. ქალწულის ჯვრისწერა კი ფერადი აბრეშუმით ამოექარგათ კაპიშონზე. ეს იყო მეთხუტმეტე საუკუნის იტალიური ხელოვნების უნაკლო ნიმუში.

აქვე შეგეძლოთ გენახათ სხვა სამოსელიც. ეს გახლდათ მწვანე ხავერდი, რომელზედაც აკანტას ფოთლები მოჩანდა კონებად. გრძელ ღერებზე გადაშლილი იყო თეთრი ყვავილები, რომლებიც ამოექარგათ ვერცხლისფერი სირმითა და ფერად-ფერადი ბროლის მძივებით. შესაკრავზე მოჩანდა ოქროსფერი სირმებით ამოქარგული სერაფიმის თავი. ოლარი კი მოქარგული იყო რომბისებურად მეწამულისფერი და ოქროსფერი აბრეშუმით, რომელსაც უხვად მიმოფანტული მედალიონები ამშვენებდა. მათზე ასახული იყო წმიდანები და წამებულნი, რომელთა შორისაც არის წმიდა სებასტიანე. დორიანს სხვა საეკლესიო სამოსიც ჰქონდა, ქარვისფერი და ცისფერი აბრეშუმის, ოქროსფერი ფარჩის, ზაფრანის, ჟოლოსფერი და ყვითელი ქსოვილები, რომელზედაც აესახათ

ქრისტეს ვნებანი და ჯვარცმა. მათზე ამოქარგული იყო ლომები, ფარშავანგები და სხვა ნაირ-ნაირი ემბლემები. თეთრი სტავრისა და ვარდისფერი შტოფის ანაფორები, მოხატული მრავალფერი ტიტათი, დელფინებითა და ფრანგული შრომანით. აქვე ნახავდით საკურთხეველის გადასაფარებელ ჟოლოსფერ ხავერდს და ცისფერი სელის ქსოვილებს. ქსოვილებს, რომლებშიც ნაკურთხ წმიდანთა ნაწილებს ახვევენ სახალხო დღესასწაულების დროს. საეკლესიო საჭურჭლეთა გადასაფარებელი და წმიდა ვერონიკას თავსაფარი, რომელზედაც ქრისტეს სახეა განსახიერებული. მისტიკური წეს-ჩვეულებანი, რომლის გამო ამ საგნებს იყენებდნენ, დორიანის წარმოსახვას განსაკუთრებული ძალით აღაგზნებდნენ.
მთელი ეს განძი და ყველაფერი, რაც დორიანმა საკუთარ თვალწარმტაც სასახლეში შეაგროვა, დროებით მაინც იძლეოდა თავდავიწყების საშუალებას. ის ცდილობდა როგორმე თავი დაეღწია იმ უდიდესი საფრთხისათვის, რომელიც ჟამიდან ჟამზე მის არსებაში ასე ძალუმად იფეთქებდა ხოლმე და შემაძრწუნებელი შიშით სულს უთრთოლებდა ამ მარტოხელ, გამოკეტილ ოთახში, რომელშიც მან თავისი ბავშვობის უმეტესი დრო დაჰყო და კედელზე საკუთარი ხელით ეს საბედისწერო პორტრეტი ჩამოჰკიდა. სურათის მუდამ შეცვლილ ნაკვთებსა და გამომეტყველებაში ხომ საკუთარი სულიერი ცხოვრების უკიდურესი დამდაბლებისა და სამარცხვინო საქციელის ამსახველ ნამდვილ ანარეკლს წააწყდებოდა ხოლმე. და ამიტომაც ოქროს სირმებით ამოქარგული მეწამულისფერი საბურველი ჩამოაფარა. ზოგჯერ დორიანი ამ ოთახში კვირეების განმავლობაში არ შედიოდა, და თითქმის ავიწყდებოდა კიდეც ის საოცარი ამაზრზენი გამომეტყველება, რომელიც ოდესღაც მასზე შენიშნა. თავდავიწყებამდე მისული უზრუნველობა, განუზომელი სიხარული და მგზნებარე გატაცებები ყოველდღიურ ცხოვრებაში დროებით ისევ ცოცხლად უბრუნდებოდა, და მაშინ დორიანი სახლიდან უცებ სწრაფად გაქრებოდა ხოლმე, მიდიოდა სადღაც მეტისმეტად საშიშ და ნაძრახ თავშესაფრებში „ბლუ-გეიტ-ფილდის“ ახლოს და რამდენიმე დღე იქ რჩებოდა, სანამ იქიდან კინწისკვრით არ გამოაგდებდნენ. დაბრუნდებოდა თუ არა, პორტრეტის წინ ჯდებოდა სავარძელში და შეჰყურებდა მას ხან დაუსრულებელი ზიზღით, ხან კი ინდივიდუალისტის ისეთი სიამაყით, რომელიც აქეზებდა რაიმე ახალი ცოდვა ჩაედინა. მაშინ გულში იდუმალი მწვავე სიამოვნების გრძნობით უღიმოდა დამახინჯებულ აჩრდილს, რომელსაც _____ამქვეყნად მისთვის განკუთვნილი მძიმე ტვირთი უნდა ეტარებინა
ამიერიდან.
რამდენიმე წლის შემდეგ დორიანს უკვე არ შეეძლო დიდი ხნით განშორებოდა ინგლისს. უარი განაცხადა ტრიუვილში ვილაზე, რომელიც ლორდ ჰენრისთან ერთად დაიქირავა. ისევე როგორც თეთრკედლებშემოვლებულ სასახლეზე ალჟირში, სადაც მათ არა ერთხელ გაატარეს ერთად ზამთარი. პორტრეტთან განშორების ატანა არ შეეძლო, რომელმაც ესოდენ დიდი ადგილი დაიკავა მის პირად ცხოვრებაში და ამასთანავე იმასაც შიშობდა, რომ მისი იქ არყოფნის

დროს ვინმეს არ მოეხერხებინა მის ოთახში შესვლა და პორტრეტის ნახვა. თუმცა საგულდაგულოდ დაამზადებინა რკინის სალტეები და კარზე ჩარჩოსავით გააკეთებინა გარედან.
დორიანი ღრმად იყო დარწმუნებული, თუნდაც სურათი ენახა ვინმეს, ამით ყოველ შემთხვევაში ვერაფერს მიხვდებოდა. მართალია, ისიც უნდა ითქვას, რომ სურათს დამახინჯებული გამომეტყველების მიუხედავად ცხადად შემოენახა საოცარი მსგავსება პატრონთან. მაგრამ რას უნდა მიხვედრილიყვნენ მაინც? ის თვით გახდის სასაცილოს ყველა იმათ, ვინც მის გაქირდვას შეეცდება. მას ხომ არ შეუქმნია პორტრეტი და აბა, ვინ დაადანაშაულებს მას ამ ამაზრზენი და სამარცხვინო გამომეტყველებისათვის. თუნდაც რომ გულწრფელად ვინმეს გაანდოს საიდუმლო, განა ვინმე ირწმუნებს ასეთ საოცრებას?
დორიანს გამუდმებით თან სდევდა სულის მომშთობი შიში. როდესაც თავის დიდებულ სასახლეში ნოტინგემშირში ჩადიოდა და თავისი წოდების შთამომავალთ, უმაღლესი არისტოკრატიული წრის ახალგაზრდობას გულახდილად უმასპინძლდებოდა (მათ შორის უამრავი მეგობარი ჰყავდა) და მთელ საგრაფოს ხელგაშლილობითა და განსაცვიფრებელი მდიდრული გემოვნებით ანცვიფრებდა, ხშირად უცებ მიატოვებდა სტუმრებს და ლონდონისაკენ სწრაფად მიჰქროდა, რათა დარწმუნებულიყო, კარი ხომ არავის შეემტვრია, ან პორტრეტი თავის ადგილას ეკიდა თუ არა. რა ეშველება, თუ მოიპარეს? ერთი უბრალოდ ამის გაფიქრებაც კი შიშით ათრთობდა და ადგილზე ყინავდა. მაშინ ხომ ქვეყანა შეიტყობდა მის საიდუმლოს, სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ ხალხი უკვე ეჭვობდეს კიდეც რამეს!
თუმც დორიანი ძალიან ბევრს თავისი პიროვნებით ისევ განუზომლად ხიბლავდა, მაგრამ ბევრნი იყვნენ ისეთნიც, რომლებიც სრულიად აღარ ენდობოდნენ მას. ერთხელ ვეს-ტენდის კლუბში ისე შეურაცხყოფილი დატოვეს, რომ სირცხვილით კინაღამ მთლად გააშავეს. თუმცა ამ კლუბის წევრობის უფლება მას როგორც შთამომავლობით, ისე საზოგადოებრივი მდგომარეობით თავისთავად შეეძლო დაემკვიდრებინა. ერთხელ, როგორც კი ერთ-ერთმა მეგობარმა ჩერჩილის კლუბის მოსაწევ ოთახში შეიყვანა, მთავარი ბერვიკი და მასთან ერთად რომელიღაც ჯენტლმენი სასწრაფოდ წამოდგნენ და დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი.
ოცდახუთი წლის შესრულდა თუ არა, მეტად ბნელი ამბები მიმოდიოდა მის შესახებ. ხმა დაყარეს, რომ დიდი კინკლაობა მოუვიდა ვიღაც უცხოელ მეზღვაურებთან, უიტჩეპელის მივარდნილ რომელიღაც ჯურღმულის ერთ-ერთ ბინძურ თავშესაფარში. იმასაც ხშირად გაიგონებდით, რომ ურთიერთობა ჰქონდა გაქნილ ქურდებთან და ყალბი ფულის მჭრელებთან, ამასთან ერთად აცხადებდნენ, რომ ზედმიწევნით კარგად ერკვეოდა მათი ხელოვნების ყველა საიდუმლოებაში. მისი განსაცვიფრებელი გაუჩინარების ამბები უკვე საყოველთაოდ ცნობილი გახდა. საზოგადოებაში გამოჩნდებოდა თუ არა, მამაკაცები აქა-იქ კუთხეებში ერთმანეთს ფარულად ეჩურჩულებოდნენ ან ზიზღით გვერდით ჩაუვლიდნენ ხოლმე და გამომცდელად შესცქეროდნენ

თვალებში, თითქოს მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი სულის დახშული საიდუმლო ამოეცნოთ.
დორიანი, რა თქმა უნდა, მათ უტიფრობას და არადმიჩნევის ასეთ უსუსურ ფარულ ნიშნებს ყურადღებას სრულიადაც არ აქცევდა. მის გარშემო მყოფი საზოგადოების აზრით მისი წრფელი გულთბილობა, ალერსიანობა, მომაჯადოებელი ბალღური ღიმილი, ენით აღუწერელი მიმზიდველობა და განუმეორებელი მარად ჭაბუკური თვალწარმტაცი გარეგნობა, თავისთავად სრულიად საწინააღმდეგო პასუხს წარმოადგენდა და აქარწყლებდა მის შესახებ შექმნილ ყოველგვარ ცილისწამებას, როგორც თვით ხალხი უწოდებდა დორიანის გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმას.
ერთი კი ცხადად შეინიშნებოდა მაღალ არისტოკრატიულ წრეებში, რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ და მეგობრობდნენ დორიანთან, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცდილობდნენ როგორმე თავი განერიდებინათ მისთვის. ქალები, რომლებიც ერთ დროს აღმერთებდნენ, ეთაყვანებოდნენ და მისი გულისათვის ხელჩართულ ბრძოლაში იწვევდნენ თვით საზოგადოებრივ აზრს, თავგანწირვით უარს აცხადებდნენ მასზე და აღარავითარ კიცხვას არ ერიდებოდნენ, ახლა დორიანის დარბაზში გამოჩენსითანავე სირცხვილისა და შიშისაგან წითლდებოდნენ.
მაგრამ სწორედ ეს ფარული მითქმა-მოთქმა და სადავო ამბები უფრო მატებდა მას მიმზიდველობას ბევრის თვალში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მეტისმეტად უცნაურს და ამავე დროს საშიშს, გარდა ამისა ენით აღუწერელი სიმდიდრეც გახლდათ თავდაცვის მთავარი იარაღი. საზოგადოება და მით უფრო ცივილიზაციას ნაზიარები საზოგადოება არცთუ ისე ადვილად იწამებს ყოველივეს, რაც სახელს უტეხს დიდი სიმდიდრის მფლობელ და თვალწარმტაცი გარეგნობის ადამიანებს. მას ინსტიქტურად შეგნებული აქვს, რომ საუკეთესო ქცევა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე თვით ზნეობა. და ყველაზე პატივსაცემ პიროვნებას და მის ადამიანურ თვისებებს უფრო ნაკლებად აფასებს, ვიდრე იმ ადამიანის, ვისაც კარგი მზარეული ჰყავს სახლში. სინამდვილეში, თუ რომელიმე ოჯახში უგემური სადილითა და მდარე ხარისხის ღვინით გაგიმასპინძლდენ, აბა წარმოიდგინეთ, რა დამამშვიდებელი ძალა უნდა ჰქონდეს იმ აზრს, რომ ამ სახლის პატრონი შეუბღალავი და უმწიკლო მორალის მატარებელი ადამიანი გახლავთ პირად ცხოვრებაში. - გწამდეთ, უაღრესი სათნოებაც ვერ გამოისყიდის იმ ადამიანის დანაშაულს თქვენ წინაშე, ვის სახლშიაც ნახევრად გაციებული კერძი მოგართვეს, როგორც ლორდ ჰენრიმ ხაზგასმით აღნიშნა ერთხელ, როდესაც ამ საკითხზე მიმდინარეობდა მსჯელობა. და მართლაც, მისი ასეთი მსოფლმხედველობის დასაცავად მრავალი რამის თქმა შეიძლება. ვინაიდან წესიერ საზოგადოებაში ბატონობს, ან ყოველ შემთხვევაში, უნდა ბატონობდეს იგივე წესები და კანონები, რაც ხელოვნებაში. ფორმას ამ შემთხვევაში მთავარი როლი აკისრია. მას უნდა მიეცეს საკუთარი ღირსების შთამაგონებელი სახე და უნდა ჩანდეს ცერემონიის თეატრალური არარეალურობაც. ის თავის თავში უნდა ითავსებდეს რომანტიკული პიესის არაგულწრფელობას იმ გონებამახვილობითა

და ბრწყინვალებით, რომლებიც ასე გვატყვევებენ ხოლმე ამ პიესებში. ნუთუ თვალთმაქცობა და პირმოთნეობა ასეთი დიდი დანაშაულია? ვფიქრობ, რომ ასე არ უნდა იყოს. ეს მხოლოდ ის საშუალებაა, რომელსაც მრავალფეროვნება და მრავალმხრივობა შეაქვს ადამიანის პიროვნულ სამყაროში.
ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდა დორიან გრეი. მას ანცვიფრებდა ხშირად იმ ზერელე ფსიქოლოგიის მქონე ადამიანთა ბუნება, რომელთაც ისე წარმოედგინათ, რომ ჩვენი „მე“ არაფერია, გარდა სრულიად უბრალო უცვლელი საიმედო ერთსახე რაობისა დედაარსში. დორიანი კი ადამიანში უთვალავ სიცოცხლესა და უთვალავ გრძნობებს ჭვრეტდა. მისთვის ადამიანი წარმოადგენდა ურთულეს მრავალსახე არსებას, ვინც მემკვიდრეობით გადმოცემული, მიუწვდომელი აზრებითა და გრძნობებით პირთამდე აევსოთ და ვის ხორცსაც კი მიცვალებულ წინაპართა საოცარი სნეულებანი გადასდებია. დორიანს უყვარდა ცივსა და პირქუშ სურათების გალერეაში ხეტიალი, რომელიც ქალაქგარეთ მის საკუთარ ბინაზე იყო მოთავსებული და დაკვირვებით შეჰყურებდა იმ ადამინთა პორტრეტებს, რომელთა სისხლიც ჩქეფდა მის ძარღვებში. აქ ნახავდით ფილიპ ჰერბერტის პორტრეტს, მის შესახებ დედოფალ ელისაბედისა და მეფე ჯეიმსის მეფობის დროინდელ მემუარებში ცნობებს გვაწვდის ფრენსის ოსბორნი. ავტორი გვამცნობს, რომ შესანიშნავი სილამაზის წყალობით, რომელიც მას არცთუ ისე დიდხანს შერჩენია, სამეფო კარზე ყველაზე საყვარელ ადამიანად ყოფილა მიჩნეული. ნუთუ დორიანის ცხოვრება ახალგაზრდა ჰერბერტის ცხოვრების განმეორებაა? ნუთუ მართლა რომელიღაც მოწამლული მიკრობი გადადიოდა სისხლიდან სისხლში, თაობიდან თაობაში, სანამ ის დორიანის სხეულამდე მიაღწევდა? ნუთუ ამ ბუნდოვანმა ქვეცნობიერმა მოგონებამ ადრეულად დაღუპულ ვაჟურ მშვენიერებაზე აიძულა ის, მოულოდნელად და თითქმის სრულიად უმიზეზოდ ბეზილ ჰოლუორდის სახელოსნოში ესოდენ სულელური ვედრება დასცდენოდა, რამაც ასე შეცვალა მისი ცხოვრება?
აი, კიდევ ოქრომკერდით ამოქარგულ მოსასხამში გახვეული ჭაბუკი, რომელსაც ეს მოსასხამი საუცხოოდ ადგას ტანზე. მას თეთრი ნაოჭიანი საყელო აქვს ოქროს არშიით და ასეთივე მანჟეტები. მოსასხამის ქვეშ კი ძვირფასი თვლებით მოოჭვილი იარაღი მოჩანს. ეს ანტონი შერარდი გახლავთ. მის ფერხთა წინ ყრია ვერცხლისფრად და შავად მოელვარე რაინდის საჭურველი. რა დაუტოვა ამ წინაპარმა თავის მემკვიდრეს? ნუთუ ამ ჯიოვანა ნეაპოლელის მიჯნურმა უანდერძა და მემკვიდრეობად გადასცა დორიანს ეს ცოდვები და ყოვლად სამარცხვინო საქციელი. ნუთუ მისი საკუთარი ნამოქმედარი ამ გარდაცვლილი წინაპრის ოცნებაა, რომლის განხორციელება მან სიცოცხლეში ვერ გაბედა.
უფრო ქვევით გაფერმკრთალებული ტილოდან იღიმება ლედი ელისაბედ დევერე გაზის ქუდსა და მარგალიტით მოოჭვილ გულისპირიან კაბაში გამოწყობილი, რომელსაც ვარდისფერი გაჭრილი სახელოები ჰქონია. ქალს მარჯვენა ხელში ყვავილი უჭირავს, ხოლო მარცხენა - მომინანქრებულ ყელსაბამზე მოუკიდნია. მისი თვალწარმტაცი ყელსაბამი კი თეთრი და მეწამულისფერი ვარდების

ჩუქურთმათა ასხმულაა მთლიანად. მის გვერდით მაგიდაზე დევს მანდოლინა და ვაშლი. მის პატარა წვერწამახულ ლამაზ ფეხსაცმელებსაც ბაფთით ნაქსოვი მწვანე ვარდები ამშვენებს. დორიანი იცნობს ამ მშვენიერი ასულის ცხოვრებას და ის უცნაური ამბებიც სმენია, რომელსაც მის მიჯნურთა შესახებ ჰყვებოდნენ. იქნებ დორიანს მისი ხასიათის რაიმე თვისება გადაეცა მემკვიდრეობით? მისი ნუშისებრი, ოდნავ ქუთუთოებშეშუპებული თვალები ისე მოჩანს, თითქოს საოცარი ცნობისმოყვარეობით აკვირდებიან ახლა მას.
რა თვისება დარჩა დორიანს სამემკვიდრეოდ ჯორჯ უილობისაგან? რომელსაც შეპუდრული თმა და მეტად საოცარი ხალები აქვს სახეზე. რა ბოროტი გამოხედვა აქვს ამ კაცს! სახე მეტად დაღვრემილი და შავგვრემანი, ავხორცი ბაგე ისე მოუკუმავს, რომ მათი გამომეტყველებიდან ყოველივე გარშემო არსებულისადმი ზიზღს თუ ამოიკითხავთ. უფაქიზესი მაქმანის დანაოჭებული მანჟეტები თითქმის უფარავს ძვლადქცეულ, მოყვითალო ხელებს, რომლებიც ბეჭდებით დამძიმებია. ეს მეთვრამეტე საუკუნის პეწენიკი ახალგაზრდობაში ლორდ ფერარს მეგობრობდა.
მეორე ლორდი ბეკინჰემი კი უფლისწული რეგენტის ჟინიანობისა და თავგუნებობის ჟამსაც მისი დიდი მეგობარი ყოფილა. როდესაც უფლისწულმა მისის ფიტცჰერბერტზე ჯვარი დაიწერა, მას ჯვრისწერის მოწმედ მხოლოდ ლორდ ბიკინჰემი აურჩევია. ოჰ, რა ლამაზი და მედიდური გამომეტყველება აქვს ამ შესანიშნავი გარეგნობის წაბლისფერთმიან ჭაბუკს. რა უტიფარი გულზვიადობა მოჩანს მის თავდაჭერაში. ნეტავი რა გრძნობები უანდერძა თავის მომავალ მემკვიდრეს! ქვეყანა ამ ჭაბუკს სამარცხვინო სახელის მატარებელ ადამიანად თვლიდა. ის ხომ თურმე ორგიებს მართავდა ქარლტონ ჰაუსში[95], მის მკერდზე კი უმაღლესი ხარისხის სამეფო ორდენიც ბრწყინავს.
გვერდით მისი მეუღლის პორტრეტი ჰკიდია, ეს გახლავთ შავად მოსილი ფერმიხდილი თხელბაგიანი ქალი. ამ ქალის სისხლიც ხომ ჩქეფს დორიანის ძარღვებში. ოჰ, რა უცნაურობაა ყოველივე.
აი, დორიანის დედაც, ის სულ ლედი ჰარლინგტონის განსახიერებაა, თითქოს სველი, ღვინოში დაფერილი ბაგენი ჰქონდეს. დორიანმა კარგად უწყის, რა გადმოეცა დედისაგან მემკვიდრეობით. ენით აღუწერელი სილამაზე და სხვისი სილამაზის დაუცხრომელი ტრფიალი. დედა უცინის პორტრეტიდან. მხატვარს მისთვის ბახუსის ქურუმი ქალის სამოსი ჩაუცმევია. თმაში ვაზის ფოთლები აქვს ჩაწნული. ხელთ თასი უპყრია, რომლიდანაც ალისფერი სითხე იღვრება. ტილოზე საღებავი გაუფერულებულა, მაგრამ თვალებს შეუნარჩუნებიათ განსაცვიფრებელი სიღრმე და ბრწყინვალება. დორიანს ეჩვენება, რომ ეს თვალები მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდნენ მას და დაკვირვებით უმზერდნენ, სადაც არ უნდა ყოფილიყო.
ადამიანს გააჩნია თურმე საკუთარი წინაპარი არა მარტო შთამომავლობაში, არამედ წარმოიდგინეთ, ლიტერატურაშიაც და ბევრი ლიტერატურული წინაპარი, ადვილი შესაძლებელია, ადამიანს სულიერად უფრო მეტად უახლოვდებოდეს, როგორც ტიპი და ამასთანავე მისი მსგავსი ტემპერამენტი გააჩნდეს. რა თქმა

უნდა, ასეთები ლიტერატურაში აურაცხელია. მათ გავლენას ადამიანიც უდავოდ დიდად განიცდის. იყო წუთები, როდესაც დორიან გრეის ეჩვენებოდა, რომ კაცობრიობის მთელი ისტორია მხოლოდ მისი საკუთარი ცხოვრების მატიანეს წარმოადგენდა, მაგრამ არა იმის სახით, როგორშიაც მას სინამდვილეში უხდებოდა ცხოვრება ან რა პირობებშიაც მოქმედებდა, არამედ როგორც მისი საკუთარი წარმოსახვა გონების კარნხითა და გრძნობათა გულისთქმის აყოლით ქმნიდა ოცნებაში. დორიანი გრძნობდა, რომ ძალიან კარგად იცნობდა და მასთან სულიერად მეტისმეტად ახლოს იყვნენ ის უცნაური და საშინელი აჩრდილები, რომელთაც ჩვენი სამყაროს არენაზე დიდი ხანია ჩაიარეს. მათ აურაცხელი ცოდვაც ჩაიდინეს და ფრიად ნატიფი ფორმით უამრავი ბოროტებაც თესეს. და აი ახლა ისე ეჩვენებოდა, რომ მათი განვლილი გზა მისი საკუთარი ცხოვრების გზას წარმოადგენდა.
ამ წარმტაცი რომანის მთავარი გმირიც, რომელმაც ესოდენ დიდი გავლენა მოახდინა მის ცხოვრებაზე, ასეთივე ფანტაზიით იყო შებოჭილი. მეშვიდე თავში ის ყვება, თუ ტიბერიუსის[96] სახით თავზე დაფნის გვირგვინივით, რომელიც ელვისაგან იცავდა, როგორ იჯდა ბაღში კუნძულ კაპრზე და კითხულობდა ელფანტისის[97] უსირცხვილო წიგნებს. მის გარშემო ამ დროს ქონდრის კაცები და ფარშავანგები დაგოგმანობდნენ მედიდურად - ფლეიტის დამკვრელი კი აღიზიანებდა გუნდრუკის მკმეველს, რომელიც მხრჩოლავ საცეცხლურს აქეთ-იქით იქნევდა. ის იყო კალიგულა[98], ვინც თავაწყვეტილ მწვანეპერანგიან მოჯირითე ყმაწვილკაცებთან ერთად ქეიფობდა საჯინიბოში და ცხენებისათვის განკუთვნილ სპილოსძვლის ბაგაზე მიირთმევდა ვახშამს საკუთარ ცხენთან ერთად, რომელსაც შუბლს უძვირფასესი თვლებით მოოჭვილი შუბლსაკრავი უმშვნებდა; იყო აგრეთვე დომიციანო[99], ვინც სარკესავით კრიალა მარმარილოთი მოპირკეთებულ დერეფნებში დაეხეტებოდა და სხივჩამქრალი თვალებით ირგვლივ ყველაფერს ათვალერიებდა, რომ იქნებ ხანჯლის ანარეკლისათვის შეესწრო თვალი, რომლითაც მისი სიცოცხლის დღენი დასრულდა. საშინელი წამებისაგან ღონე მიხდოდა, რასაც ლათინურად taedium bitae-ს[100] უწოდებენ. ეს კი იმ ადამიანთა ხვედრია, რომელთაც ცხოვრება არაფერზე ეუბნება უარს. ამ საოცარ კაცს ცირკის არენაზე გამჭვირვალე ზურმუხტიდან უყვარდა სისხლისმღვრელი შეტაკების თვალთვალი. მერე მარგალიტით მოოჭვილი საკაცით და ვერცხლის ნალებით დაჭედილი სახედრებით, რომლებისთვისაც მეწამული ქსოვილი გადაეფარებინათ ზურგზე, ბროწეულების ხეივანში ჩაატარებდნენ ხოლმე და ასე ბრუნდებოდა ოქროს სასახლეში. გზად კი ბრბოს ყვირილი ჩაესმოდა, როგორ უხმობდნენ ნერონს და კეისარს... იყო აგრეთვე ელაგაბალუსი[101], სახე შეიღება და თავდაუზოგავად მუშაობდა ჯარაზე ქალებთან ერთად. კართაგენიდან მოიყვანა ქალღმერთი მთვარე და მისტიკური ქორწილი გადაუხადა მზესთან შეუღლებისას. ხშირ-ხშირად გადაიკითხავდა ხოლმე დორიანი ამ ფანტასტიკურ თავს და მის მომდევნო ორ თავსაც მუდამ შეუნელებელი ინტერესით კითხულობდა. აქ განსაცვიფრებელ გობელენებზე თუ ხელით ნახელავ მინანქარზე აღბეჭდილიყო

შემაძრწუნებელი და ულამაზესი სახეები იმ ადამიანებისა, ვისმა ბედისწერამ, სისხლისმოყვარულობამ და ამქვეყნიური სიამის განცდათაგან დაქანცულობამ გარდაქმნეს ისინი საოცარ ურჩხულებად, ან მთლიანად წაართვეს გონი. მილანის მთავარმა ფილიპომ საკუთარი მეუღლე დაკლა, ტუჩები ალისფერი შხამით შეუღება, რომ მის მიჯნურს მიცვალებული ქალის ბაგეზე ეპოვა სიკვდილი, რომელსაც ასე თავდავიწყებით ეალერსებოდა. ვენეციელმა პიეტრო ბარბიმ, პავლე მეორის სახელწოდებით ცნობილმა, პატივმოყვარეობისა და განდიდების სურვილით შეპყრობილმა იმას მიაღწია, რომ მისთვის „ფორმოზუსი“[102] ეწოდებინათ. მისი ტიარა ორასი ათას ფლორინად იყო შეფასებული და შემაძრწუნებელი დანაშაულის ფასად იქნა შესყიდული. ჯიან მარია ვისკონტი მწევარ-მეძებრებით ნადირობდა ცოცხალ ადამიანებზე და სულის ამოხდომამდე აწამებდა მათ. როდესაც მოკლეს, გვამი მის საყვარელს, მეძავ ქალს დაუფარავს ვარდებით.
თეთრ ცხენზე ამხედრებული ჩეზარე ბორჯია, მან საკუთარი ძმის სისხლით შეიღება ხელი და მის მანტიას ჯერ კიდევ ატყვია პეროტოს სისხლი. პიეტრო რიარიო, ახალგაზრდა კარდინალი, ფლორენციის არქიეპისკოპოსი, პაპი სიქსტს მეოთხის[103] ვაჟიშვილი და ფავორიტი, ვისი სილამაზისა და თავაშვებულობის ტოლი ძნელად მოიძებნებოდა იმ დროს. მან ლეონორა არაგონი თეთრსა და ალისფერი აბრეშუმის კარავში მიიღო, რომელზედაც ფერიები და კენტავრები იყო ამოქარგული. მანვე ბრძანა ოქროს ვარაყში ამოევლოთ ბიჭი, რომელიც ლხინის დროს მოემსახურებოდა, როგორც ჰანიმედი[104], პილასი[105] ან ეზელინი[106]. მისი მელანქოლიის გაფანტვა მხოლოდ სიკვდილის სანახაობას ძალუძდა. მას ისე იტაცებდა და სწყუროდა სისხლი, როგორც ადამიანებს წითელი ღვინო. ამბობდნენ, ეშმაკის შვილი იყო და საკუთარ სულზე კამათლის აზარტულად თამაშის დროს მშობელი მამაც მოატყუაო; ჯიამ ბატისტა სიბო - ის საკუთარ თავს დასცინოდა და უბიწოს უწოდებდა. მის დამშრალ და გამოფიტულ ძარღვებში სამი ახალგაზრდა ჭაბუკის სისხლი შეუშვა ებრაელმა ექიმმა; სიგიზმუნდო მალატესტა[107] იზოტას მიჯნური და რიმინის ლორდი, რომლის სურათი, როგორც ღმერთისა და ადამიანის დაუძინებელი მტრისა, დასწვეს რომში. მან პოლისენა ხელსახოცით დაახრჩო, ჟინევრა დე ესტეს ფირუზის ფინჯნით მიაწოდა საწამლავი. სამარცხვინო გრძნობათა პატივსაცემად წარმართული ტაძარი ააგო, სადაც მისი ბრძანებით ქრისტიანული ღვთისმსახურება სრულდებოდა. ჩარლზ მეექვსეს გაგიჟებით შეუყვარდა ძმის ცოლი. ამის გამო მას ერთმა კეთროვანმა გონის დაკარგვა უწინასწარმეტყველა, და როდესაც მართლა დასუსტდა და წაერთვა გონი, მხოლოდ სარკინოზული კარტით იმშვიდებდა სულს, რომელზედაც სიყვარულის, სიკვდილისა და სიგიჟის ამსახველი სურათები მოეხატათ; დაბოლოს გრიფონეტო ბაგლიონი, მას შესანიშნავი კამზოლი აცვია, ქუდი უძვირფასესი ქვებით აქვს მოჭედილი, მის ქვეშ კი აკანტას ყვავილისფერი კულულები მოუჩანს. მან ხელი ასტორეს სისხლით შეიღება და საცოლეც მოუკლა. მანვე გამოასალმა სიცოცხლეს სიმონეტო და მისი პაჟი. ეს კაცი იმდენად ლამაზი ყოფილა, რომ

როდესაც ყვითელ მოედანზე პერუჯიში, სასიკვდილო სარეცელზე იწვა, ისინიც კი, ვისაც სიკვდილივით სძულდათ, თურმე მწარედ ქვითინებდნენ. ატლანტაც კი ლოცავდა თურმე მაშინ, ვინც საქვეყნო წყევლა-კრულვას უგზავნიდა.
ყველა ამ ადამიანში რაღაც საოცრად საზარელი მომაჯადოებელი ძალა იფარავდა თავს. დორიანს ღამით სიზმრად ეჩვენებოდა ისინი, ხოლო დღისით კი საოცრად აწამებდა მათი ჩვენებანი და წარმოსახვა. აღორძინების ეპოქა მოწამვლის მეტად უცნაურ საშუალებებს იცნობდა; სწამლავდნენ მუზარადით და ანთებული ჩირაღდნებით, მოქარგული ხელთათმანებით და უძვირფასესი თვლებით მოოჭვილი მარაოებით, სურნელოვანი ბურთულაკის შესანახი ოქროს ან ვერცხლის პაწაწინა ბუდეებით და ქარვის ყელსაბამით. დორიანი კი წიგნმა მოწამლა. და იყო წუთები, როდესაც მხოლოდ ბოროტება ეჩვენებოდა ერთადერთ საშუალებად ყოველივე იმის განსახორციელებლად, რასაც ის ამქვეყნიური ცხოვრების სილამაზედ თვლიდა.

თავი XII

როგორც შემდეგ ძალიან ხშირად იგონებდა დორიან გრეი, ეს მოხდა ცხრა ნოემბერს, მისი დაბადების წინა დღეს, როდესაც მას ოცდათვრამეტი წელი შეუსრულდა.
დაახლოებით თერთმეტ საათზე, ლორდ ჰენრის ბინიდან, სადაც სადილად იყო მიწვეული, შინ ბრუნდებოდა; პირსახე ქურქის საყელოში ჰქონდა ჩამალული, რადგან ღამე მეტად ცივი და ნისლიანი იყო. გროვენორ_____-სკვერისა და საუთოდლი
სტრიტის კუთხეში, სადაც ნისლს ყველაფერი კიდევ უფრო შავად დაებურა, ვიღაც მამაკაცმა სწრაფი ნაბიჯით ჩაუარა გვერდით. უცნობს რუხი პალტო ეცვა, საყელო აწეული ჰქონდა და ხელში ჩემოდანი ეჭირა. დორიანმა ბეზილ ჰოლუორდი შეიცნო. ვერ მიხვდა რისთვის, მაგრამ მის დანახვაზე საოცარმა შიშის გრძნობამ შეუშფოთა სული, რომ იცნო, არ შეიმჩნია და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა სახლისაკენ, მაგრამ ბეზილ ჰოლუორდმა მოჰკრა თუ არა თვალი მაშინვე იცნო. დორიანმა იგრძნო, როგორ შეჩერდა მხატვარი და მერე კი დასაწევად ფეხდაფეხ გამოუდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ მხატვარი ხელით შეეხო მის მკლავს.
- დორიან, რა ბედნიერებაა, ასე მოულოდნელად რომ შემხვდით! ცხრა საათს მერე თქვენს ბიბლიოთეკაში ვზივარ და გიცდით. ბოლოს დაღლილ-დაქანცული თქვენი ლაქია შევიბრალე, დასაძინებლად გავგზავნე და მეც წამოვედი. ამაღამ თორმეტ საათზე პარიზს მივემგზავრები. წასვლის წინ მინდოდა მენახეთ აუცილებლად. როდესაც გვერდით ჩამიარეთ, შევვეჭვდი, მაგრამ არ ვიცი, რომელი შევიცანი - თქვენ, თუ თქვენი ბეწვის ქურქი. ნუთუ თქვენ სრულიად ვერ მიცანით?
- ძვირფასო ბეზილ, ასეთ ნისლიან ამინდში, გროვენორ-სკვერსაც ვერ ვცნობ. მგონი, ჩემი სახლი აქ სადმე ახლოს უნდა იყოს, მაგრამ მაინც სრულიად დარწმუნებული არა ვარ. სამწუხაროა, რომ მიემგზავრებით. რამდენი ხანია არ მინახიხართ. იმედია მალე დაბრუნდებით!
- არა, ალბათ ინგლისს ექვსი თვე მაინც ვეღარ ვიხილავ. მინდა პარიზში სახელოსნო დავიქირავო და იქ ჩავიკეტო, სანამ ერთ დიდ ტილოს არ

დავამთავრებ, რომელიც დიდი ხანია მოფიქრებული მაქვს. ოჰ, თუმც ჩემს საქმეებზე არ მქონდა განზრახული თქვენთან საუბარი. აი, თქვენი სადარბაზოც. ნება მომეცით, თუ შეიძლება ერთი წუთით შემოვიდე, რაღაც უნდა გითხრათ.
- დიდი სიამოვნებით, მობრძანდით, მაგრამ მატარებელი ხომ არ გაგასწრებთ? - დაუდევრად იკითხა დორიან გრეიმ, თან კიბის საფეხურები აიარა და საკუთარი გასაღებით გახსნა კარი.
ფარნის სინათლეზე, რომელიც წამიერად ნისლს შეერია, ჰოლუორდმა საათს დახედა.
- არა, მატარებლის გასვლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, - უპასუხა მან. - მატარებელი პირველის თხუთმეტ წუთზე გადის, ახლა კი მხოლოდ თერთმეტია. როდესაც გზად შემომეყარეთ, მაინც კლუბში მოვდიოდი თქვენს სანახავად. ხელთ აღარაფერი დავიტოვე, რაც მქონდა მძიმე ბარგი, უკვე გავგზავნე. ეს ერთი ჩემოდანი მაქვს და ვიქტორიას სადგურში ოც წუთშიც სრულიად თავისუფლად ჩავალ.
დორიანმა მხატვარს შეხედა და გაეღიმა.
- აი, თურმე როგორ მოგზაურობს გამოჩენილი ადამიანი, ერთი ხელჩანთა და საშემოდგომო პალტო! - მობრძანდით, თორემ შიგნით ნისლი შემოიჭრება. ერთს კი ახლავე ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება სერიოზულ საუბარს ნუ მოჰყვებით. ჩვენს საუკუნეში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არაფერი სერიოზული არ ხდება, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს.
ჰოლუორდმა თავი გაიქნია და დორიანს ბილიოთეკისაკენ გაჰყვა. ფართო ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. შეშა ტკაცუნით იწვოდა; ლამპებიც აენთოთ. სხვადასხვა ფერის ხის მერქნის მოზაიკით მოპირკეთებულ, პატარა მაგიდაზე, ბროლის რამდენიმე მაღალი სასმისი და მაგარი სასმელებისათვის განკუთვნილი ჰოლანდიური ვერცხლის თავღია ჭურჭელი იდგა სოდიანი წყლითა და სიფონით სავსე.
- ხედავთ, დორიან, თქვენი მსახური გამიმასპინძლდა კიდეც. ცდილობდა, თავი ისე მეგრძნო, როგორც საკუთარ სახლში. წარმოიდგინეთ, რაც საჭირო იყო ყველაფერი მომართვა. თქვენი საუკეთესო ხარისხის სიგარეტებიც კი. დიდი სტუმართმოყვარე ადამიანი ჩანს. ეს კაცი უფრო მომწონს, ვიდრე ის ფრანგი, ვინც ადრე გემსახურებოდათ. სხვათა შორის მინდა ისიც გკითხოთ, მართლა, რა დაემართა იმ ფრანგს, სად წავიდა?
დორიანმა მხრები აიჩეჩა.
- მგონი, ლედი რედლის პირისფარეში შეირთო და პარიზს გაემგზავრნენ. იქ ეს ქალი ინგლისელი მკერავი ქალის სახელით დამკვიდრებულა. როგორც ამ ბოლო ხანს შევიტყვე, ანგლომანია ამჟამად საფრანგეთში ძალიან დიდ მოდაში ყოფილა. მე მგონია, ეს ფრანგების მხრივ სისულელეა და მეტი არაფერი, არა? ვიქტორი ცუდი მსახური არ ყოფილა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც არასოდეს მომწონდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩემგან ერთი საყვედურიც კი არავის სმენია მასზე. მართალი გითხრათ, ბოლოს რატომღაც ავითვალწუნე. ყოველ ადამიანს თურმე ხშირად მოსდის თავში რაღაც სისულელე. ძალიან

თავდადებული კაცი იყო, თურმე დიდად განიცდიდა, როდესაც გავანთავისუფლე საბოლოოდ. კიდევ ხომ არ ინებებთ ერთ ჭიქა ბრენდისა და სოდას? იქნებ რაინული გირჩევნიათ სელტერით? მე თვითონ რაინულ თეთრ ღვინოსა და სელტერს ვეტანები. მოითმინეთ აქვე მეორე ოთახში უთუოდ მექნება.
- დიდად გმადლობთ. მეტს არაფერს დავლევ, - ჩაილაპარაკა მხატვარმა. ქუდი მოიხადა, პალტო გაიხადა და ორივე ისროლა ჩემოდნისაკენ, რომელიც ერთ-ერთ კუთხეში დაედგა. - ახლა კი, ჩემო დორიან, მინდა სრულიად სერიოზულად მოგელაპარაკოთ, ძალიან გთხოვთ შუბლს ნუ შეიკრავთ, თორემ ისედაც მეტისმეტად მიმძიმს ამ საკითხზე თქვენთან საუბარი.
- მაინც რის შესახებ აპირებთ საუბარს? - მოუთმენლად წამოიყვირა დორიანმა და მოწყვეტით გადაწვა დივანზე. - იმედია, მე არ გყავართ მხედველობაში. საკუთარმა თავმა საოცრად დამქანცა, დღეს საიმოვნებით სხვად ვიქცეოდი.
- დიახ, სწორედ თქვენზე მინდა გითხრათ რამდენიმე სიტყვა, - უპასუხა ჰოლუორდმა მეტად სერიოზული და გულის სიღრმიდან მომდინარე თბილი ხმით.
- რადგან გადაწყვეტილება მიღებულია უნდა გითხრათ... ეს აუცილებელია, მხოლოდ ნახევარ საათს დაგაკარგვინებთ.
დორიანმა ამოიოხრა, სიგარას მოუკიდა და თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა:
- ნახევარ საათს!
- არცთუ ისე დიდ დროს ვთხოულობ თქვენგან, დორიან, და ეს საუბარიც თქვენს საკეთილდღეოდაა მხოლოდ და მხოლოდ. ვფიქრობ, დროა და საჭიროც არის იცოდეთ, რა შემაძრწუნებელ ამბებს ავრცელებენ თქვენზე ლონდონში.
- გთხოვთ საუბარი შეწყვიტოთ ამ თემაზე, არაფრის გაგება არ მინდა. მართალი მოგახსენოთ, სხვა ადამიანთა შესახებ ატეხილი მითქმა-მოთქმა და ჭორი დიდად მიყვარს, მაგრამ ჭორები საკუთარ თავზე სრულიად არ მაინტერესებს. მათში სიახლის მომაჯადოებელი მომზიდველობა არ იგრძნობა.
- მე კი ვფიქრობ, ასეთმა ამბებმა თქვენ უნდა დაგაინტერესონ, დორიან. ნამდვილი ჯენტლმენი უდიდეს ღირსებას მხოლოდ კარგ სახელს ანიჭებს. დარწმუნებული ვარ, არ გსურთ საზოგადოება ბილწ და უსინდისო ადამიანად გთვლიდეთ. რა თქმა უნდა, თქვენ განსაკუთრებული ადგილი გიჭირავთ მაღალ საზოგადოებაში, დიდი სიმდიდრის მფლობელად ითვლებით და სხვა მრავალი რამ გიწყობთ ხელს, მაგრამ დამერწმუნებით, რომ მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა და სიმდიდრე ყველაფერს არ ნიშნავს. გთხოვთ გამიგოთ. მე პირადად სრულიად არ მჯერა ეს მითქმა-მოთქმა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თქვენ პირადად გიყურებთ და გხედავთ. მანკიერება, ვიცი, ისეთი რამ არის, რაც ადამიანის სახეზე სამუდამოდ დაღს ტოვებს, მისი დაფარვა ხომ შეუძლებელია. ადამიანებს ხანდახან სწამთ, რომ საიდუმლოებით მოცული ბიწიერებანიც არსებობს ამქვეყნად, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა. თუ ბოროტ კაცს დიდი ცოდვა აქვს ჩადენილი, მისი კვალი აუცილებლად ტუჩის ნაკეცებში ჩამობერილ ქუთუთოებსა და ხელის მტევნის მოხაზულობაშიაც კი მჟღავნდება. შარშან, - მე არ მოგახსენებ ვინც იყო, - ერთი კაცი გამოცხადდა ჩემს სახელოსნოში და პორტრეტი შემიკვეთა. წინათ ეს ადამიანი არასოდეს მენახა და

არც არაფერი მსმენოდა მის შესახებ. მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე ყოველივე. აურაცხელი თანხა შემომთავაზა, მაგრამ უარი განვუცხადე. მისი ხელის თითების მოყვანილობაში იყო რაღაც იდუმალი ბიწი, რაც მისდამი აუტანელი ზიზღით მავსებდა. ახლა კარგად ვიცი, რომ სრულიად მართალი გამოვდექი. წინათგრძნობამ არ მიმტყუნა. ეს კაცი მართლაც რომ საშინელ ცხოვრებას ატარებს. მაგრამ, დორიან, თქვენი წმინდა, ნათელი და უმანკო სახე, თქვენი შესანიშნავი უბიწო და შეუბღალავი ახალგაზრდობა საშუალებას არავის აძლევს ცუდი იფიქრონ თქვენზე და, რა თქმა უნდა, მით უფრო მე. თუმც უნდა ვთქვა, რომ თითქმის სრულიად დაგშორდით. ძალიან იშვიათად გხედავთ ამ ბოლო ხანს. ვფიქრობ, თქვენ თვითონ დაგავიწყდათ, საით აქვს კარი ჩემს სახელოსნოს და სწორედ ამის გამო არ ვიცი, რა ვთქვა ყველა იმ ამაზრზენ მითქმა-მოთქმაზე, რაც თქვენს შესახებ ისმის ლონდონში. დორიან, გთხოვთ მიპასუხოთ, რატომ მოხდა, რომ ისეთი დიდბუნებოვანი ადამიანი, როგორც მთავარი ბერვიკია, მაშინვე ტოვებს იმ ადგილს, სადაც თქვენ გამოჩნდებით. რატომ მოხდა, რომ უმრავლესობა ლონდონელი დიდებული ჯენტლმენებისა არც თქვენთან მოდიან და არც თვით გიწვევენ საკუთარ სახლებში. თქვენ ხომ მეგობრობდით ლორდ სტეივლს? გასულ კვირას სადილად ვიყავით ერთ-ერთ ოჯახში მიწვეულნი. საუბარში უცებ ვიღაცამ გახსენათ იმ მინიატურებთან დაკავშირებით, რომელიც თქვენ დადლის[108] ათხოვეთ გამოფენისათვის. ლორდ სტეივლმა თქვენ ხსენებაზე ტუჩი აიგრიხა და განაცხადა: შესაძლებელია დორიან გრეი ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე და მეტისმეტად დახვეწილი გემოვნების პატრონიაო, მაგრამ ისეთ ადამიანის, როგორიც თქვენ ხართ, თურმე არ შეიძლება პატიოსანი ქალიშვილი გაგაცნოთ და წესიერი ოჯახის ქალისათვის კი მეტისმეტად სააუგო ყოფილა იმ ოთახში იჯდეს, სადაც თქვენ იმყოფებით. მე, რაღა თქმა უნდა, შევახსენე, რომ თქვენი მეგობარი ვიყავი და ახსნა-განმარტება მოვთხოვე. მინდოდა გამეგო, რას გულისხმობდა მისი ქარაგმა. წარმოიდგინეთ, არაფერი დაუფარავს და ყველას წინაშე შეუპოვრად განმიცხადა. მაგრამ, ოჰ, ღმერთო, რა საშინელების წინაშე აღმოვჩნდი! ოჰ, დორიან, ძალიან გთხოვთ დაუფარავად მითხარით, რატომ არის თქვენი მეგობრობა ასე საბედისწერო ყველა ახალგაზრდა ჭაბუკისათვის? ახსენეს ის უბედური ახალგაზრდა გვარდიელი, თავი რომ მოიკლა. ის ხომ თქვენი უახლოესი მეგობარი იყო. ახსენეს აგრეთვე თქვენი განუყრელი მეგობარი სერ ჰენრი ეშტონი, რომელმაც საკუთარი სახელი იმდენად შებღალა, რომ იძულებული გახდა ინგლისი დაეტოვებინა. რა შეემთხვა ედრიენ სინგლტონს, რით დასრულდა მისი საბედისწერო მომავალი? რას იტყვით ლორდ კენტის ერთადერთ ვაჟიშვილზე, რატომ ასცდა სწორ გზას? გუშინ შევხვდი მამამისს სენტ ჯეიმს-სტრიტზე. ეტყობა, ადამიანი სირცხვილსა და ჯავრს გაუტეხია. შეგიძლიათ მითხრათ რაიმე პერთის ახალგაზრდა მთავრის შესახებ? როგორ ცხოვრებას ატარებს ახლა ეს ახალგაზრდა? რომელი წესიერი კაცი იკისრებს მის ნაცნობობას?

- შეჩერდით, ბეზილ! თქვენ ისეთ ამბებზე მსჯელობთ, რომელთა შესახებ წარმოდგენა არა გაქვთ, - წარმოთქვა დორიან გრეიმ და ტუჩი მოიკვნიტა. მის

ხმაში ენით აღუწერელი სიძულვილი გაისმა. - თქვენ მეკითხებით რატომ ტოვებს ბერვიკი დარბაზს, როდესაც მე შევდივარ იქ? იმიტომ, რომ მისი პირადი ცხოვრებიდან ყველაფერი დაწვრილებით ცნობილია ჩემთვის და არა იმიტომ, რომ იცის, როგორ ცხოვრებას ვეწევი და თითქოს ეს ამდაბლებდეს და შეურაცხყოფდეს მისი ბრწყინვალების სიამაყეს. ჰმ! სასაცილოა, განა შეიძლება ისეთი ადამიანის ცხოვრება სუფთა და უმანკოებით აღსავსე იყოს, ვის ვენებშიაც ისეთი სისხლი ჩქეფს, როგორიც მისაში? თქვენ მეკითხებით ჰენრი ეშტონსა და ახალგაზრდა პერთზე? განა მე ვასწავლე პირველს ეს ბიწიერებანი და მეორეს კი ასეთი ზნედაცემულობა? თუ კენტის რეგვენმა ვაჟიშვილმა ქუჩაში მოხეტიალე ზნედაცემული ქალი შეირთო, მე რა შუაში ვარ? თუ ედრიენ სინგლტონი თავისი მეგობრის ხელწერით ხელს აწერს ვექსილზე, ესეც ჩემი დანაშაულია? რას მოითხოვთ მაინც, გაუგებარია, მეთვალყურეობა უნდა გავუწიო? ვიცი, კარგად ვიცი, როგორ ყბედობს და ჭორს ავრცელებს ხალხი ინგლისში, საშუალო კლასის წარმომადგენლები თავს იწონებენ და თავიანთ საკუთრებად ვითომდა სრულყოფილ ცრურწმენებს ავრცელებენ სახალხოდ, გულუხვად გაშლილი სუფრების გარშემო, ამასთანავე დააკვირდით, რა ანგარიშმიუცემლად სანსლავენ ყოველგვარ ღვთით ბოძებულ სანოვაგეს და ერთმანეთს ვითომ ფრიად საიდუმლოდ ჩასჩურჩულებენ მაღალი არისტოკრატიული საზოგადოების თავაშვებულობის ამბებს, იმ მიზნით, რომ თავი მოაჩვენონ ერთიმეორეს და სხვებსაც თუ რა ახლოს არიან მაღალი წრის ადამიანებთან... როგორ ახლოს იცნობენ იმ ხალხს, რომელთაც მიწასთან ასწორებენ და ცილს სწამებენ მუდამ. ჩვენს ქვეყანაში საკმარისია ადამიანი სხვებისაგან გამოირჩეოდეს რაიმე საუკეთესო თვისებით, ან გონება უჭრიდეს, რომ მის წინააღმდეგ მაშინვე ასისინდებიან ბოროტი ენები. მაგრამ რატომ არ კითხულობთ, როგორ ცხოვრებას ეწევა თვითონ ეს ხალხი? რომლებიც თავს ზნეობის დამცველებად და უკეთილშობილესი სათნოების განმასახიერებლად გვაჩვენებენ? როგორ უჭირავთ მათ თავი? ძვირფასო მეგობარო, თქვენ გავიწყდებათ, რომ ჩვენ ორპირთა და პირმოთნეთა ქვეყანაში ვცხოვრობთ.
- დორიან, რა თქმა უნდა, გეთანხმებით, - წამოიძახა ჰოლუორდმა. - მაგრამ ეს არ არის მთავარი! ინგლისში მრავალი საკითხი საკმაოდ ცუდად წყდება, საზოგადოებაც სრულიად არაფრის მაქნისია ამჟამად და სწორედ ეს გახლავთ მიზეზიც, თუ რატომ მინდა, რომ ასეთ ვითარებაში ყველაზე მაღლა თქვენ იდგეთ. მაგრამ არც თქვენ გიჭირავთ ღირსეული ადგილი. ადამინებს უფლება აქვთ იმისდა მიხედვით დაადანაშაულონ ზოგიერთი პიროვნებანი, თუ როგორ გავლენას ახდენენ ისინი თავის მეგობრებზე. თქვენმა მეგობრებმა კი, ეტყობა, სრულიად დაკარგეს ყოველგვარი წარმოდგენა პატიოსნებაზე, სიკეთესა და ადამიანურ სიწმინდეზე. თქვენ თავს მოახვიეთ და გადასდეთ მათ გიჟური სწრაფვა განცხრომისადმი, ისინი ფსკერამდე დაეშვნენ. მათ მხოლოდ თქვენ წარუმართეთ ხელი და უბიძგეთ იქით! დიახ თქვენ მიიყვანეთ აქამდე და კიდევ ძალგიძთ გაიღიმოთ ისევე, როგორც აი, ახლა იღიმებით. კიდევ უფრო ცუდი ამბებიც ვიცი. მსმენია, რომ თქვენ და ჰარი განუყრელი მეგობრები ხართ.

მხოლოდ ამის გამო მაინც არ უნდა შეგერცხვინათ საქვეყნოდ მისი დის სახელი და დაგენდოთ ისინი. რისთვის გასწირეთ და მიეცით მეჭორეებს სასაცილოდ?
- ფრთხილად, ბეზილ, თქვენ ძალიან ბევრის ნებას აძლევთ თქვენს თავს!
- ყველაფერი უნდა გითხრათ, გესმით? თქვენ კი უნდა მომისმინოთ. დიახ, საჭიროა მომისმინოთ. თქვენ სანამ გაიცნობდით, ლედი გვენდოლენზე ერთი სააუგო სიტყვა არავის გაუგონია. ვერავინ იკადრა, ჭორად მაინც ეთქვა რაიმე ამ დიდებულ ახალგაზრდა ქალზე. განა ამჟამად იპოვით ლონდონში ერთ წესიერ ქალს, რომელიც გაბედავს და თანახმა იქნება მასთან ერთად გაისეირნოს ეტლით ჰაიდპარკში? ხომ იცით, საკუთარ შვილებსაც კი აკრძალული აქვთ მასთან ცხოვრება? სხვა მრავალი ამბავიც მიმოდიოდა ქალაქში თქვენს შესახებ. უამრავი ახალი ამბავი, თუ გარიჟრაჟზე როგორ ფარულად მოიპარებით ხოლმე ბინძური თავშესაფრებიდან, ან გადაცმული როგორ ქურდულად დაეხეტებოდით ლონდონის ყველაზე სახელგატეხილ ჯურღმულებში. ყოველივე ეს მართალია? ოჰ, ღმერთო ჩემო, ნუთუ შეიძლება ყოველივე მართალი იყოს? როდესაც ეს ამბები პირველად მოვისმინე, გადავიხარხარე. ახლა კი ყოველივე გამუდმებით მესმის და ჟრუანტელი მივლის მთელ სხეულში. რა ხდება ქალაქგარეთ თქვენს სასახლეში? რა სახის ცხოვრებას ეწევა მისი მკვიდრი? დორიან, არც კი იცით რა საშინელებას ამბობენ თქვენს შესახებ! ვერ მოგატყუებთ, თითქოს არ ვაპირებდე ქადაგის როლი ვიკისრო თქვენ წინაშე. მახსოვს ჰარი ამტკიცებდა ერთხელ: ქადაგების მოყვარულნი ყოველთვის დაპირებას იძლევიან, ეს არის და ეს, ჩემგან მეტს ვეღარაფერს მოისმენთო, მაგრამ დროთა ვითარებაში ხშირად ტეხენ სიტყვასო. დიახ, ამჟამად იძულებული ვარ გიქადაგოთ და კარგადაც დაგსაჯოთ. მინდა ისეთ ცხოვრებას ეწეოდეთ, რომ საქვეყნო პატივისცემას იმსახურებდეთ. შეუბღალავი, უმწიკლო სახელის მატარებელი იყოთ და სახელოვანი ადამიანის რეპუტაციით სარგებლობდეთ. მსურს თავიდან მოიცილოთ ის საშიში ადამიანები, რომლებთანაც ბევრი რამ საერთო გაქვთ ახლა. მხრებს რატომ იჩეჩავთ. ნუ მიიღებთ ასეთ გულგრილ გამომეტყველებას! თქვენ ადამიანებზე განსაცვიფრებელ გავლენას ახდენთ, და ყოველივე ეს ადამიანთა სასიკეთოდ უნდა გადაწყდეს და არა საზიანოდ, ამბობენ, თურმე გარყვნილების წუმპეში ისვრით ყველა ადამიანს, ვინც კი დაგიახლოვდებათ. საკმარისია ვინმემ შინ მიგიწვიოთ, რომ ენით აღუწერელი სირცხვილი თავს დაატეხოთ მის ოჯახს. არ ვიცი, ყოველივე ეს მართალია თუ არა? ან კი როგორ უნდა მცოდნოდა? მაგრამ ყველა ასე ამბობს თქვენზე. ისეთი ამბებიც მიამბეს, რაშიც ეჭვის შეტანა არ შემიძლია, ლორდ გლოსტერი. ჩემი ერთი საუკეთესო მეგობართაგანი გახლდათ უნივერსიტეტში. და აი, სწორედ მან მიჩვენა წერილი, რომელიც მისი მომაკვდავი მეუღლის ხელით იყო დაწერილი, როდესაც ის საცოდავი არსება მარტოდმარტო ებრძოდა სიკვდილს ვილა მენტონში[109]. თქვენი სახელია მოხსენებული იმ საშინელ აღსარებაში, რომელიც კი ოდესმე ყურს სმენია. ქალი მხოლოდ თქვენ გადანაშაულებთ. მე ვარწმუნებდი გლოსტერს, რომ ყოველივე ეს შეუძლებელი და დაუჯერებელი იყო, რომ მე ძალიან ახლოს გიცნობდით თქვენ და რომ თქვენ არ შეგწევდათ უნარი ამგვარი საქმეები ჩაგედინათ. მაგრამ გიცნობთ მე თქვენ?

განცვიფრებული ახლა ვეკითხები ჩემს თავს. იცით, დორიან, სანამ შევძლებდე პასუხი გავცე ამ კითხვას, მე უნდა ჩავიხედო თქვენი სულის სიღრმეში...
- ჩაიხედოთ ჩემი სულის სიღრმეში? - ჩაიბუტბუტა შეშინებულმა დორიანმა და დივანიდან მთლად გაფითრებულმა წამოიწია.
- დიახ, - უპასუხა ჰოლუორდმა სერიოზულად და მეტად ნაღვლიანი ხმით. - საკუთარი თვალით მწადია ვიხილო თქვენი სულის საიდუმლო, - მაგრამ ამის ძალა ხომ მხოლოდ ღმერთს შესწევს.
ახალგაზრდა კაცს მწარე და დამცინავი ღიმილი დააკვდა ბაგეზე.
- დიახ, ამაღამვე იხილავთ მას საკუთარი თვალით! - წამოიძახა მან და ხელი წამოავლო ლამპას, რომელიც მაგიდაზე იდგა. - წამოდით! ის ხომ თქვენი საკუთარი ხელითაა შექმნილი და რატომ არ უნდა შეხედოთ ერთხელ მაინც? მერე კი, თუ გსურთ, ამცნეთ ქვეყანას ყოველივე, მაგრამ კარგად ვიცი, არავინ დაგიჯერებთ, და თუ დაიჯერეს, უფრო მეტად აღტაცებული დარჩებიან ჩემით. ჩვენს საუკუნეს მე უკეთ ვიცნობ, ვიდრე თქვენ! საკმაოდ ბევრი იმსჯელეთ, მე მგონი, ზნეობრივი გახრწნილების შესახებ. ახლა პირისპირ იხილავთ ყოველივეს. რაღაც გიჟური სიამაყე სჭარბობდა ყველა მის სიტყვაში. პატარა ბიჭივით ფეხს მეტად ჟინიანად და უტიფრად აბაკუნებდა იატაკზე. გაბოროტებული ადამიანის სიხარულით აენთო, როდესაც გაიფიქრა რომ ამიერიდან ვიღაც სხვაც გაიზიარებდა მის საიდუმლოს და სწორედ ის, ვინც შექმნა ეს საბედისწერო პორტრეტი - ყველა ჩადენილ ცოდვათა და საქვეყნო შერცხვენის თავდაპირველი წყარო. და აი, ახლა, სწორედ ამ ადამიანს მოუხდებოდა მთელი სიცოცხლის მანძილზე ტანჯულიყო საზარელი მოგონებით სწორედ იმის გამო, რაც მან თავისი საკუთარი ხელით ასეთი სასოებით შექმნა.
- დიახ, - განაგრძო მან, მიუახლოვდა მხატვარს და ჯიქურად შესცქეროდა მკაცრ თვალებში. - დიახ, უცილოდ ჩაგახედებთ ჩემი სულის სიღრმეში. თქვენ იხილავთ იმას, რაც, თქვენი აზრით, მხოლოდ ღმერთს შეუძლია შეამჩნიოს.
ჰოლუორდი შეკრთა და უკან დაიხია.
- ეს ღვთის გმობაა, დორიან, - წამოიძახა მან. - ნუ ლაპარაკობთ ასე, ოჰ, რა საშინელი და უაზრო სიტყვებია!
- თქვენ ასე ფიქრობთ?
დორიანმა კვლავ ჩაიცინა.
- რა თქმა უნდა. და რაც ამ საღამოს გელაპარაკეთ, ეს მხოლოდ თქვენს საკეთილდღეოდ ჩავიდინე. კარგად იცით, თქვენი უერთგულესი მეგობარი ვარ.
- მე ნუ მეხებით, დაამთავრეთ, რაც გაქვთ სათქმელი.
მწვავე ტკივილმა დაუმანჭა მხატვარს სახე. ერთი წუთით შედგა და საოცარი სიბრალულის გრძნობამ შესძრა მისი გული. ბოლოს და ბოლოს, რა უფლება ჰქონდა მას ასე თავდაუჭერლად ჩარეულიყო დორიანის საქმეში? თუ დორიანმა მეათედი მაინც ჩაიდინა იმ ცოდვებიდან, რაშიაც ხალხის მითქმა-მოთქმა ადანაშაულებს, ვინ იცის როგორ იტანჯება!
მხატვარი წელში გასწორდა და ბუხრისაკენ გაემართა. დიდხანს იდგა და დაკვირვებით შეჰყურებდა მოგიზგიზე მორებს, რომელთაც ყინულის ფერფლი

სცვიოდათ, შუაგულში კი ალის მთრთოლავი ენები ამართულიყვნენ მაღლა და საოცრად ძრწოდნენ.
- გიცდით, ბეზილ, - წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა გარკვევით და მწყრალად. მხატვარი შემობრუნდა.
- რაც უნდა გითხრათ, სულ ეს გახლავთ: უნდა გამცეთ პასუხი იმ საშინელ ბრალდებებზე, რომელიც თქვენს წინააღმდეგაა მიმართული. თუ გავიგონებ, რომ ყველაფერი ტყუილია, თქვენს სიტყვას ვირწმუნებ. უარყავით ყოველივე, დორიან, უარი განაცხადეთ! განა ვერ ამჩნევთ, რამოდენა ნაღველს ატარებს ჩემი გული. ღმერთო დიდებულო! ნუ გამაგონებთ, რომ თქვენ საზიზღარი ადამიანი ხართ, ზნედაცემული და საქვეყნოდ შერცხვენილი.
დორიან გრეიმ გაიღიმა. სიძულვილმა ბაგე დაუმანჭა.
- წამოდით ახლავე ზემო სართულში, ბეზილ! - წარმოთქვა მან წყნარად. - მე იქ ჩემს დღიურს ვინახავ, სადაც ყოველდღიური თავსგადახდენილი ამბავი დაწვრილებითაა აღწერილი. რომელ ოთახშიაც ვწერ, იქიდან არასოდეს გამომაქვს. გიჩვენებთ მას, წამომყვებით?
- წამოგყვებით, დორიან, თუ გსურთ, რა თქმა უნდა. ვხედავ, მატარებელმა გამასწრო უკვე. არა უშავს რა, შემიძლია ხვალ გავემგზავრო, მაგრამ გთხოვთ, ნურაფერს წამაკითხებთ ამაღამ. ჩემი სურვილია პირდაპირ მიპასუხოთ ჩემს კითხვებზე.
- პასუხს ზემო სართულში მიიღებთ. აქ ეს ყოვლად შეუძლებელია. გარწმუნებთ, დიდხანს კითხვა არც მოგიხდებათ.

თავი XIII

დორიანი ოთახიდან გამოვიდა და კიბის საფეხურებს აჰყვა, ბეზილ ჰოლუორდიც ფეხდაფეხ მისდევდა. მეტად ფრთხილად მიდიოდნენ, როგორც საერთოდ ადამიანებს სჩვევია; ინსტიქტურად ცდილობს, რომ ღამის მდუმარება არ დაარღვიოს. ლამპის შუქზე ფანტასტიკური ჩრდილები ჩნდებოდნენ კედლებსა და კიბეზე. ქარი სარკმლის ჩარჩოებს ძალუმად ეხეთქებოდა და აჭრიალებდა. კიბის ბაქანს მიაღწიეს. დორიანმა ლამპა იატაკზე დადგა. გასაღები ამოიღო და საკეტში გადაატრიალა.
- თქვენ დაჟინებით მოითხოვთ, რომ ყოველივე იცოდეთ არა, ბეზილ! - იკითხა ახალგაზრდა კაცმა ჩავარდნილი ხმით.
- დიახ.
- დიდი სიამოვნებით - უპასუხა დორიანმა ღიმილით და მერე მკაცრად დაუმატა: - თქვენ ერთადერთი კაცი ხართ ამქვეყნად, ვისაც უფლება აქვს ჩემს სულში ჩაიხედოს და ყოველივე დაწვრილებით შეიტყოს. თქვენ წარმოდგენაც არ შეგიძლიათ, ბეზილ, რა დიდი როლი ითამაშეთ საერთოდ ჩემი ცხოვრების ჩამოყალიბებაში.
დორიანმა ლამპა აიღო და შიგნით შევიდა. ოთახიდან ნოტიო ჰაერის ნაკადი გამოიჭრა. ლამპაში ალი წამიერად მუქნარინჯისფრად აენთო და ზევით ავარდა. დორიანი თრთოდა.
- კარი დახურეთ, კარი, - ჩურჩულით ჩაილაპარაკა მან და ლამპა მაგიდაზე დადგა.

ჰოლუორდმა განცვიფრებით მიმოიხედა გარშემო. ჩანდა, რომ ამ ოთახში წლების მანძილზე არავის ეცხოვრა. გახუნებული ფლამანდრიული გობელენი, ფარდაჩამოფარებული რომელიღაც სურათი, ძველი იტალიური კასონე და თითქმის ცარიელი წიგნების კარადა. აი, მთელი ამ ოთახის მოწყობილობა, თუ დავუმატებთ მაგიდასა და ერთ სკამს. როდესაც დორიანი სასანთლეში ნახევრად დამწვარ სანთელს ანთებდა, მხატვარმა შენიშნა, რომ ყველაფერი ოთახში მტვრის სქელი ფენით იყო დაფარული. ხალიჩაში საკმაოდ დიდი ნაჩვრეტები მოჩანდა. თაგვმა უკან გაირბინა. ირგვლივ სინესტის და ობის სუნი ტრიალებდა.
- ასე რომ, თქვენი აზრით, ბეზილ, მხოლოდ ღმერთს შეუძლია ადამიანის სულში ჩაიხედოს, არა? ჩამოხსენით ეს ფარდა და თქვენ სრულიად ადვილად ჩაიხედავთ ჩემი სულის ყველაზე ფარულ კუნჭულებშიაც კი.
დორიანის ხმაში სიცივე და სიმკაცრე გაისმა.
- თქვენ ან ჭკუაზე შეიშალეთ, ან რომელიმე გმირის როლს ასახიერებთ, - ბუტბუტით წარმოთქვა ჰოლუორდმა და წარბი შეიკრა.
- არ ჩამოხსნით ფარდას, არა? მაშ, მე თვითონ ჩამოვგლეჯ ჩემი ხელით, - წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა, მისწვდა თითბრის წნელსა და ნემსკავებზე ჩამოკიდებულ ფარდას, ჩამოხია და დაბლა დააგდო.
შიშით შეძრწუნებული ადამიანის ხმა აღმოხდა მხატვარს, როდესაც მკრთალ სინათლეში ტილოზე საოცრად დამახინჯებული სახე და გამომეტყველება შენიშნა. ის დამცინავად შესცქეროდა მათ. პორტრეტიდან იმზირებოდა ადამიანი, ვის გამომეტყველებაშიც იყო რაღაც ისეთი, რაც სულს უშფოთებდა მხილველს და ამავე დროს ზიზღითა და სიძულვილით აღავსებდა. ღმერთო დიდებულო! ეს თვითონ დორიან გრეის საკუთარი სახე გახლდათ, რომელსაც ამჟამად შეჰყურებდა მხატვარი. ამ საშინელებას ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შთაენთქა მისი განსაცვიფრებელი სილამაზე, შეთხელებულ თმაში კიდევ მოჩანდა ბრწყინვალე ოქროს ფერი. მგრძნობიარე ბაგეც ჯერ ისევ ნაკვერჩხლისფრად ღვიოდა, გაოგნებულ თვალებსაც ცის გამჭირვალე სილურჯე შეენარჩუნებინათ. მთლად არ გამქრალიყო კეთილშობილური ხაზები სათუთად ნაძერწ ცხვირსა და ვაჟური მომხიბვლელობით აღერილ ყელზე. დიახ, ეს თვით დორიანი გახლდათ, მაგრამ ვინ დახატა ასე? ბეზილ, ჰოლუორდმა თითქოს იცნო ზოგიერთ ადგილას საკუთარი ფუნჯის ნაკვალევი. ჩარჩოც იცნო, ეს ხომ მისი დაკვეთით იყო დამზადებული. თვით აზრი კი მეტისმეტად შემზარავი და განსაცვიფრებელი იყო და მხატვარი შიშმა აიტანა. ანთებულ სანთელს ხელი სტაცა და პორტრეტთან გაჩნდა. მარცხენა კუთხეში მოელვარე სინგურისფერი მოგრძო ასოებით წარწერილი საკუთარი ხელმოწერა შენიშნა.
სურათი რაღაც შემზარავი კარიკატურა იყო. ყოვლად უსინდისო და ბოროტი, არაკეთილშობილური სატირა! ჰოლუორდის ხელს ასეთი რამ არასოდეს შეუქმნია. მაგრამ განა შეიძლება უარყოფა? ეს ხომ მაინც მისი საკუთარი ქმნილება იყო. მან იცნო ის და სისხლი თითქოს მაშინვე გაეყინა ძარღვებში. მისი შექმნილი პორტრეტი! რას ნიშნავს ეს? რისთვის შეიცვალა ასე?
ჰოლუორდი მოტრიალდა და დორიანს უგონო თვალებით შეხედა. ბაგე

ნერვიულად აუცახცახდა, გამშრალი ენა პირში ვერ მოატრიალა. ხელი შუბლზე გადაისვა, რომელზედაც უსიამოვნო ცივ ოფლს გამოეჟონა.
დორიანი კი ამ დროს ბუხრის თავს დაყრდნობოდა და ისეთი საოცარი გამომეტყველებით უმზერდა, რომელიც მხოლოდ ისეთ ადამიანებზე შეგიმჩნევიათ, ვინც დიდი გატაცებით აკვირდება გამოჩენილ მსახიობთა თამაშს. ამ ახალგაზრდა კაცს არც უსაზღვრო ნაღველი და არც დიდი სიხარული არ ემჩნეოდა სახეზე. მხოლოდ მაყურებლის თავდავიწყებამდე მისული აღტაცება დაუფლებოდა და თვალებში მოზეიმე განწყობილების გამომხატველი შუქი უკრთოდა. პალტოს ღილკილოდან ყვავილი გამოიღო და ყნოსვა დაუწყო, ყოველ შემთხვევაში თავი ისე ეჭირა, თითქოს ყნოსავსო.
- რას ნიშნავს ყოველივე ეს? - წამოიძახა ჰოლუორდმა ბოლოს. მხატვარმა საკუთარი ხმაც ვეღარ იცნო, ისე ყურისმომჭრელად და უცნაურად ჟღერდა იგი.
- რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი ვიყავი, - წარმოთქვა დორიან გრეიმ და თან ყვავილს ნერვიულად სრესდა ხელში, - თქვენ შემხვდით ჩემი ცხოვრების გზაზე. და ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელი ჭაბუკი თქვენი პირმოთნეობისა და ცდუნების მსხვერპლად მაქციეთ. მასწავლეთ, როგორ მეამაყნა საკუთარი სილამაზით და მარად დიდების მაძიებელი ვყოფილიყავი. და აი, ერთ მშვენიერ დღეს თქვენ წარმადგინეთ ერთ-ერთი თქვენი მეგობრის წინაშე, ვინც ამიხსნა, რა შესანიშნავი და ფასდაუდებელი განძია ახალგაზრდობა ადამიანის ცხოვრებაში. ჩემი სახიდან თქვენ შეჰქმენით სწორედ იმხანად პორტრეტი, რომელმაც სილამაზის უდიდეს საოცრებათა საიდუმლოებაში ჩამახედა. და მეც გონდაკარგულმა წამიერი უგუნურების ჟამს (თუმც ახლაც ვერ გავრკვეულვარ, სინანულს უნდა განვიცდიდე თუ არა ყოველივე იმის გამო, რაც მაშინ მოხდა) მე ვაღიარე ჩემი სულის იდუმალი ზრახვანი. თუმცა ვერ გეტყვით, მგონი, ეს უფრო ლოცვა იყო.
- მახსოვს, ოჰ, როგორ კარგად მახსოვს! მაგრამ არა, ეს შეუძლებელია. ოთახი ნესტიანია. ალბათ, ტილოს ობი მოეკიდა, შესაძლებელია თვით საღებავებში, რომელსაც პორტრეტის წერისას ვხმარობდი, რომელიმე უვარგისი მინერალური შენაერთი ერია და ცუდად იმოქმედა. დიახ, დიახ, მერწმუნეთ, ის რასაც თქვენ ფიქრობთ, შეუძლებელია. სრულიად შეუძლებელი.
- ოჰ, განა არის რამ ამქვეყნად შეუძლებელი? - თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა ახალგაზრდა კაცმა, სარკმლისაკენ გაემართა და შუბლი მის ცივ დანისლულ მინას მიაყრდნო.
- თქვენ ერთხელ ხომ მითხარით, რომ პორტრეტი კარგა ხანია მოსპეთ?
- ვიცრუე. მან თვითონ მომსპო და ბოლოც მომიღო.
- მაინც დაუჯერებელია, რომ ეს ჩემ მიერ შექმნილი პორტრეტი იყოს?
- ნუთუ ვერა სცნობთ თქვენს იდეალს? - წარმოსთქვა დორიანმა მწარედ.
- ჩემი იდეალი? როგორ უწოდეთ?
- არა, ასე უწოდებდით მას თქვენ თვითონ.
- ამაში მე ცუდს ვერაფერს ვამჩნევ და სამარცხვინოც, მემგონი არაფერია. დიახ, თქვენში უცილოდ დიდ იდეალს ვხედავდი, რომელიც, რა თქმა უნდა,

აღარასოდეს შემხვდება ცხოვრებაში. ეს კი, ჩემო კარგო, სატირის სახეა, - წარმოთქვა მხატვარმა.
- ამ სახის მიღმა ჩემი სული იმალება, - გაისმა დორიანის ხმა.
- ოჰ, იესო მაცხოვარო! აი, რას ვეთაყვანებოდი და ვაღმერთებდი თურმე. ის ეშმაკის თვალებით გვიმზერს!
- თითოეული ჩვენგანი თავის არსებაში ითავსებს ცასა და ჯოჯოხეთს, ბეზილ! - წარმოთქვა სასოწარკვეთილებისაგან მეტად შეშფოთებულმა დორიანმა. ჰოლუორდი კვლავ მიტრიალდა პორტრეტისაკენ და დიდხანს თვალმოუშორებლად შეჰყურებდა მას.
- ღმერთო ჩემო, თუ ეს ყოველივე ჭეშმარიტებაა, - წამოიძახა მან, - როგორ მოქცევიხართ საკუთარ ცხოვრებას! მაშინ თქვენ გაცილებით უარესი პიროვნება ხართ, ვიდრე თქვენი მოწინააღმდეგენი ამბობენ.
მხატვარმა კვლავ მოიტანა შანდალი ტილოსთან და სინჯვა დაუწყო. გარეგნულად ტილოს არაფერი ემჩნეოდა. არავითარი ცვლილების კვალი, მაგრამ ცხადად ჩანდა, რაღაც შინაგანი ხრწნა მიმდინარეობდა მასში. სრულიად უცნაური, იდუმალი შინაგანი ცხოვრების გაშმაგებული სრბოლით გამძვინვარებული კეთრი, რომელიც ცოდვებისა და ენით აღუწერელი ბიწიერების შედეგად მოსდებოდა პორტრეტს და ნელ-ნელა მთლიანად უქადდა შთანთქმას. ეს, წარმოიდგინეთ, გაცილებით უარესი საზიზღრობა იყო, ვიდრე წყლით სავსე სამარეში სხეულის ხრწნა.
მხატვარს ხელი ისე აუკანკალდა, რომ შანდლიდან სანთელი გადმოვარდა, იატაკზე დაეცა, იქ შიშინებდა და ტკრციალი გაჰქონდა. მან ფეხი დადგა, ჩააქრო, მაგიდასთან მორყეულ სკამში ჩაიკეცა და სახე ხელებში ჩამალა.
- დიდება შენდა, უფალო! რა გაკვეთილია, დორიან, რა საზარელი გაკვეთილი. მხატვარს პასუხი არ მიუღია, მხოლოდ დორიანის ქვითინი ესმოდა. ის სარკმელთან იდგა და ცახცახებდა.
- ილოცეთ, დორიან, ილოცეთ! - ჩურჩულით ამბობდა მხატვარი, - ისე როგორც ბავშვობისას გვასწავლიდნენ, „და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან“. მოდი, ახლა ერთად წარმოვთქვათ და ვილოცოთ... როდესაც დიდების ძიებით გატაცებულმა წარმოთქვით ლოცვა, ღმერთმა ხომ ისმინა... ახლა უთუოდ აღსარების შედეგად წარმოთქმულ ლოცვასაც შეისმენს მაცხოვარი. უსაზღვროდ გაღმერთებდით და ამისათვის დავისაჯე. თქვენც ეთაყვანებოდით და აღმერთებდით საკუთარ თავს და ორივე უსაზღვროდ დავისაჯეთ.
დორიან გრეი მობრუნდა და ცრემლიანი თვალებით დიდხანს დაჟინებით აკვირდებოდა მხატვარს.
- უკვე გვიან არის, ბეზილ, - ძლივს წარმოთქვა მან.
- არა, არასოდეს არ არის გვიან, დორიან. მოდი, მუხლი მოვიყაროთ და რომელიმე ლოცვა გავიხსენოთ... მგონი, საღვთო წერილში ამომიკითხავს: შესაძლოა ცოდვანი თქვენი სისხლის ფერია, მაგრამ მე ძალმიძს თოვლის სითეთრე მივცე მათ.

- ეს სიტყვები აღარაფერს ნიშნავს ჩემთვის.
- ჩუმად! ნუ ამბობთ ასე! თქვენ ისედაც ბევრი შესცოდეთ. ღმერთო ჩემო! ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ეს დაწყევლილი სურათი თვალით რაღაცას გვანიშნებს?
დორიან გრეიმ პორტრეტს გადახედა და უცებ ბეზილ ჰოლუორდის მიმართ თავისდა უნებური ამაზრზენი სიძულვილის გრძნობა დაეუფლა. თითქოს ეს ყოველივე სურათზე ასახულმა ჭაბუკმა ყურში დამცინავი ღიმილით ჩასჩურჩულა. მასში დაფეთებული ცხოველის გიჟურმა სიშმაგემ იფეთქა და ისე შეზიზღდა ის ადამიანი, რომელიც მაგიდასთან იჯდა, როგორც არასოდეს არავინ შეზიზღებია მთელი ცხოვრების მანძილზე. გაშმაგებულმა ირგვლივ მიმოიხედა, შეღებილი სკივრის თავზე რაღაც აელვარდა, რომელიც მის პირდაპირ იდგა. თვალი იმ საგანს დაადგა. იცოდა, ეს ის დანა იყო, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ ამოიტანა თოკის გასაჭრელად და წაღება დაავიწყდა. ნელა გაემართა მისკენ. ჰოლუორდს გვერდით ჩაუარა, როგორც კი მის უკან აღმოჩნდა, დანას ხელი დასტაცა და მოტრიალდა კიდეც. მხატვარი სკამზე ისე შეინძრა, თითქოს ადგომას შეეცადა. დორიანი მივარდა მას და დანა ყურის ძირში მთავარ ვენასთან ჩასცა. მერე მხატვარს თავი მაგიდაზე ძალით დაახრევინა და კვლავ რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ბასრი იარაღით.
გაისმა ყრუ კვნესა, და ბოლოს საშინელი ხრიალი, თითქოს მოკლული სისხლში იხრჩობოდა. სამჯერ გაიჭიმა დაკრუნჩხული ხელები და მერე დამახინჯებულ გაშეშებულთითებიანი ხელის მტევნები ჰაერში გაქვავდა. დორიანმა დანა კიდევ ორჯერ ჩასცა მომაკვდავს და ადამიანიც აღარ განძრეულა. რაღაც წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა იატაკზე. დორიანი ერთ წუთს შედგა. მერე მომაკვდავს ხელი მოჰკიდა და რაც შეეძლო თავი მაგიდაზე სულ დაბლა დაახრევინა, ბოლოს დანა გადაისროლა და სმენად იქცა.
მხოლოდ წვეთ-წვეთად მომდინარე სისხლის წკაპუნი გაისმოდა გაცვეთილ ხალიჩაზე. რამდენიმე წუთის მერე კარი გამოაღო და კიბის ბაქანზე შედგა. მთელ სახლს საოცარი მდუმარება დაუფლებოდა. ირგვლივ არავინ ჩანდა. რამდენიმე წამს კიბის მოაჯირზე დახრილი იდგა და თითქოს წყვდიადით მოცულ ჭიდან აქეთ-იქით იჭვრიტებოდა, რომ რაიმე გაერჩია. მერე გასაღები გამოიღო, ოთახში შებრუნდა და შიგნიდან ჩაკეტა. მიცვალებული ადამიანი წინანდებურად იჯდა სკამზე, საოცრად დაძაბული, წელში მოხრილი და მაგიდაზე თავდახრილი. მისი უჩვეულოდ დაჭიმული და გაშოტილი ხელები მეტისმეტად გრძელი მოჩანდა. თუ კისერზე ახალთახალი ნაჯიჯგნი ჭრილობის ნაკვალევს, შედედებული სისხლის შავ გუბეს, რომელიც მაგიდაზე ნელ-ნელა გროვდებოდა და ფართოვდებოდა, ადამიანი ვერ შენიშნავდა, ის უეჭველად იფიქრებდა ამ კაცს მხოლოდ ჩასძინებიაო.
ოჰ, რა სწრაფად მოხდა ყოველივე! დორიანმა საოცარი სიმშვიდე იგრძნო; სარკმლისაკენ გაემართა; გამოაღო და აივანზე გავიდა. ქარს ნისლი მთლად გაეფანტა და ცა უზარმაზარი ფარშავანგის ბოლოს წააგავდა, რომელიც ურიცხვ მოკიაფე თვლებს ოქროსფრად დაეწინწკლა. დაბლა გადაიხედა და პოლიციელი შენიშნა. ის აქეთ-იქით მიმოდიოდა და ფარნის მოგრძო ნათელ შუქს მიანათებდა

ხოლმე მდუმარებით მოცული სახლების სადარბაზო შესასვლელებს. კუთხეში მიმავალი ეტლის მოწითალო სინათლემ გაიელვა და ისევ გაქრა. ვიღაც ქალი, მოფრიალე შარფით მოაჯირს ფარულად მოჰყვებოდა, სიარულის დროს ბარბაცებდა; ხანდახან ჩერდებოდა კიდეც და უკან აპარებდა თვალს. ჩახლეჩილი ხმით სიმღერაც კი შემოსძახა. პოლიციელი მისკენ გაემართა და ყურში რაღაც უთხრა ჩუმად. ის მხოლოდ ხითხითებდა და ბარბაცით მიეშურებოდა თავისი გზით.
უცებ საზარელი ქარი ამოვარდა და მოედანს ჩაუქროლა. გაზის ნათურები თანდათანობით მიფერმკრთალდნენ და თითქოს იისფრად აკიაფდნენ. უფოთლო ხეებმა რკინისფრად ჩაშავებული ტოტები შეარხიეს. დორიანს სიცივე ძვალ-რბილში გაუჯდა. ისევ უკან შებრუნდა და სარკმელი მიხურა.
მერე კართან მივიდა, გასაღებით გახსნა და მიცვალებულისათვის არც კი შეუხედავს, სრულიად ბუნებრივად და თავისთავად ჩასწვდა ამ ამბის იდუმალებას. მთავარი, მისი აზრით, ახლა ის იყო, რომ რაც ჩაიდინა მასზე აღარ უნდა ეფიქრა. საკუთარ მეგობარს, რომელმაც ასეთი სასოებით ეს საბედისწერო პორტრეტი შექმნა, თავსდატეხილი უბედურების მიზეზად თვლიდა. ახლა მხატვარი ამ ცხოვრებას სამუდამოდ დაემშვიდობა და თითქმის ყველაფერი ამით დამთავრდა.
უცებ ლამპა მოაგონდა, ის ხომ საკმაოდ იშვიათი ნივთი იყო, ძველი მავრიტანული ნახელავი, მოშავო ფერის ვერცხლში ჩასმული კრიალა ფოლადის არაბესკებით, რომლებიც მოოჭვილი იყო საკმაოდ დიდი ფირუზებით. შესაძლოა მსახურს თვალში მოაკლდეს და შეეკითხოს რამე...
წამიერად შეყოყმანდა, მერე უკან შებრუნდა, მაგიდიდან ლამპა აიღო, თავი ვეღარ შეიმაგრა და მიცვალებულს გადახედა. ოჰ, როგორ გაქვავებულიყო! რა საზიზღარი უძრაობა დაუფლებოდა! რა სიკვდილისფრად გათეთრებოდა მოგრძო ხელები, ახლა ის სანთლისაგან ნაკეთებ გამოსახულებას უფრო წააგავდა.
კარი გამოიკეტა და ფრთხილად ქვემო სართულისაკენ გაეშურა. ძვირფასი ხით მოპირკეთებული კიბის საფეხურები მის ფეხქვეშ ჭრიალებდა და თითქოს ტკივილისაგან კვნესოდა. რამდენჯერმე მაინც შეჩერდა, სმენად იქცა, ხმა არსაიდან ისმოდა. ყველაფერი დუმილს მოეცვა, მხოლოდ მისი ფეხის ხმა არღვევდა მდუმარებას.
ბიბლიოთეკაში შევიდა თუ არა, კუთხეში პალტოსა და ჩანთას მოჰკრა თვალი. საჭირო იყო ესენი სწრაფად სადმე გადაემალა. მაშინვე კედელში დატანებული საიდუმლო კარი გამოაღო, იქ ის ღამეული ხეტიალისათვის საჭირო ტანსაცმელს ინახავდა. პალტო და ჩანთაც იქ შეინახა, ბოლოს იმის გაფიქრებაც კი შეძლო, მერე სრულიად ადვილად დავწვავო. საათი ამოიღო, დახედა. ორს ოცი წუთი აკლდა.
ბოლოს დაჯდა და ფიქრს მიეცა. ყოველ წელს, თითქმის ყოველ თვეში ადამიანებს სახრჩობელაზე ჰკიდებენ იმის გამო, რაც მან ჩაიდინა. ალბათ ჰაერში მკვლელობის გადამდები სენი ტრიალებს გაშმაგებით. იქნებ რომელიმე სისხლიანი ვარსკვლავი მეტისმეტად მიუახლოვდა დედამიწას.

მაინც რა დამამტკიცებელი საბუთები უნდა წარადგინონ მის წინააღმდეგ? ბეზილ ჰოლუორდი ამ სახლიდან თერთმეტ საათზე გავიდა, უკან მობრუნებული არავის შეუნიშნავს. მსახურთა უმეტესობა სელბის სასახლეშია ახლა. მის ლაქიას კი სძინავს.
პარიზი! დიახ, ყველამ იცის, რომ ჰოლუორდი პარიზს გაემგზავრა თორმეტი საათის მატარებლით, როგორც თვით ჰქონდა გადაწყვეტილი. რადგან მეტისმეტად კარჩაკეტილ ცხოვრებას ატარებდა, რამდენიმე თვე მაინც გაივლის, ვიდრე ვინმეს რამე ეჭვი აღეძვრება. თვეები? კვალი კი შესაძლოა ადრე მოისპოს.
უცებ ერთმა აზრმა გაუელვა. ქურქი მოიხურა, ქუდი დაიხურა და დერეფანში გამოვიდა. აქ შედგა და ქვაფენილზე პოლიციელის აუჩქარებელ მძიმე ნაბიჯების ხმას ყური მიუგდო, თან მისი ფარნიდან გამომკრთალ შუქს თვალს არ აცილებდა, რომელიც წამიერად სარკმელში გაიელვარებდა ხოლმე. სუნთქვაშეკრული იდგა და იცდიდა. რამდენიმე წუთის მერე საგდული უკან გამოსწია, ფარულად გარეთ გავიდა და კარი მეტად მალე მიხურა. მერე ზარი დარეკა. დაახლოებით ხუთი წუთის შემდეგ ლაქია გამოჩნდა, ნახევრად ჩაცმული და ნამძინარევი.
- ვწუხვარ რომ გაგაღვიძეთ, ფრენსის, - წარმოთქვა მან და შიგნით შევიდა, - მაგრამ საიდუმლო გასაღები დამვიწყებია. რა დროა?
- სამის ათი წუთია, სერ, - უპასუხა ლაქიამ თვალების ხუჭვით და საათს შეხედა.
- სამის ათი წუთია? ოჰ, როგორ დავიგვიანე! ხვალ დილით ცხრა საათისათვის გამაღვიძე, სამუშაო მაქვს.
- კეთილი, სერ.
- ვინმემ მიკითხა ამ საღამოს?
- მისტერ ჰოლუორდმა, სერ. თერთმეტამდე აქ გიცდიდათ და მერე წავიდა, მატარებელზე ეჩქარებოდა.
- მეტად ვწუხვარ, რომ ვერ შევხვდი. დაიბარა რამე?
- არაფერი, სერ, გარდა იმისა, რომ პარიზიდან მოვიწერები თუ კლუბში ვერ ვნახეო.
- კარგი, ფრენსის. არ დაგავიწყდეთ, ცხრაზე გამაღვიძეთ ხვალ დილით.
- დიახ, სერ, არ დამავიწყდება.
მსახურმა საღამურ ფლოსტებში დერეფანი ლასლასით ჩაიარა.
დორიან გრეიმ პალტო და ქუდი მაგიდაზე გადაისროლა და ბიბლიოთეკისაკენ გასწია. დაახლოებით თხუთმეტი წუთი ოთახში მიმოდიოდა, ტუჩს იკვნეტდა და ფიქრობდა... მერე ერთ-ერთი თაროდან ლურჯი წიგნი ჩამოიღო და ფურცვლა დაუწყო. „ალან კემპბელი. ჰერტფორდ სტრიტი, 152. მეიფერი“. დიახ, სწორედ ეს კაცი სჭირდებოდა ამჟამად.

თავი XIV

მეორე დღეს, ცხრა საათზე მსახურმა ლანგრით მის ოთახში ერთი ფინჯანი შოკოლადი შეიტანა და დარაბები გახსნა. დორიანს ჯერ ისევ მშვიდად ეძინა, მარჯვენა გვერდზე გადაბრუნებულიყო, ერთი ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და მხილველი მას მხოლოდ თამაშით ან მეცადინეობით დაღლილ პატარა ბიჭუნას მიამგვანებდა იმ წუთში.

მსახური იძულებული გახდა ორჯერ მოეკიდა მხარზე ხელი და შეენჯღრია, სანამ გააღვიძებდა. დორიანმა თვალი გაახილა, ბაგეზე ისეთი ღიმილი აესახა, თითქოს მთლიანად ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო სასიამოვნო სიზმრიდან, თუმცა იმ ღამით სრულიად არაფერი დასიზმრებია. დიახ, იმ ღამეს არავითარ სასიამოვნო თუ უსიამოვნო ჩვენებას არ შეუშფოთებია მისი სული. მაგრამ ახალგაზრდული ღიმილი ეს ხომ ის ღიმილია, რომელიც ყველას დაუკითხავად და უმიზეზოდ მათ სახეებზე დავანებულა და მისი უდიდესი მომხიბვლელობაც სწორედ ამაში გახლავთ.

დორიანი გადმობრუნდა, იდაყვს დაეყრდნო და ფინჯნიდან შოკოლადს ნელ-ნელა დაუწყო სმა. მოალერსე ნოემბრის მზე ოთახში ნიაღვარივით ინთქმებოდა და ციმციმებდა. ცა სარკესავით მოკრიალებული ჩანდა; ჰაერში მარადიული სასიცოცხლო სუნთქვა იგრძნობოდა და ეს ყოველივე მაისის დილას მოაგონებდა მხილველს.

წინაღამინდელი ამბები სისხლში მოსვრილი ფეხებით, თანდათანობით და მეტად ფარულად გზას მიიკვლევდა დორიანის გონებისაკენ და უცებ განსაცვიფრებელი სიცხადით აღდგა ყოველივე. შემაძრწუნებელმა მოგონებებმა ძალუმად შეაკრთეს მისი სული. სრულიად ცხადად მოაგონდა, რა საზარელი ამბავი გადახდა თავს და მთელი სხეულით აცახცახდა. წამიერად ბეზილ ჰოლუორდის მიმართ იმავე ამოუხსნელმა ზიზღის გრძნობამ შეიპყრო, რამაც ხელი აღამართვინა სავარძელში გულდამშვიდებით მჯდომი ადამიანის გულის გასაგმირად. ბოლოს კი ისეთი სიშმაგე დაეუფლა, თითქოს ძარღვებში სისხლი მთლიანად გაეყინაო. მოკლული ხომ იქ სავარძელში იჯდა და ისიც დღისით, მზისით.

ეს ხომ ენით აღუწერელი საზარელი სანახაობა იყო, ასეთ ამაზრზენ უკუღმართობას მხოლოდ პირქუშმა სიბნელემ შეუძლია გადააფაროს თავისი მფარველი კალთა. ამას მოთინათე მზის სხივებით მოხატული, ცისკარივით ანთებული დღის სინათლე ვერ აიტანს.

დორიანმა იგრძნო, რომ ამ ამბავზე გამუდმებით ფიქრი ან ჭკუიდან შეშლიდა, ან სამუდამოდ უკურნებელ სნეულებას შეჰყრიდა. თავისი ჯადოსნური ცდუნებით უფრო მეტად ხიბლავს და სიამეს განაცდევინებს სულს, ვიდრე თვით შეცოდება. დიახ, ეს მეტად უჩვეულო სიამე, რომელიც ადამიანურ სიამაყეს და თავმოყვარეობას უფრო მეტად აკმაყოფილებს საერთოდ, ვიდრე გრძნობებს, და გონებაშიაც სიხარულის ნაპერწკალს აღანთებს, გაცილებით დიდია იმ სიტკბოებასა და სიხარულთან შედარებით, რომელიც მას ოდესმე მოუტანია ან კვლავ მოუტანს ადამიანის გრძნობათა სამყაროს. მაგრამ ეს ცოდვა არ გახლდათ არც ერთი მათგანი. ის ხომ გონებას რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაეგმო, განედევნა და უარეყო, ზედ ყაყაჩოს შხამიანი თესლი მოებნია და მოეშთო, სანამ თვით შეძლებდა და მის ჩამდენს მოაშთობდა.

ნახევარი საათი გავიდა. საათმა დარეკა თუ არა, დორიანმა შუბლზე ხელი გადაისვა და სწრაფად წამოდგა. სხვა დღეებთან შედარებით ტანსაცმელი ახლა უფრო გულმოდგინედ და დაკვირვებით შერჩეული ჩაიცვა. განსაკუთრებით დიდი

დრო დაუთმო ყელსახვევისა და მისი დასამაგრებელი ქინძისთავის შერჩევას. რამდენჯერმე გამოიცვალა ბეჭდები; საუზმეც ძალიან გვიან დაამთავრა. სინჯავდა მრავალნაირ ნუგბარს და მსახურთა ახალი ტანსაცმლის შესახებ სრულიად თავისუფლად ესაუბრებოდა ლაქიას. როგორც საუბრიდან ირკვეოდა, სელბის სასახლის ყველა მსახურისათვის ახალი ტანსაცმლის შეკვეთას აპირებდა, ბოლოს ფოსტას გადახედა. ზოგიერთმა წერილმა ღიმილი მოჰგვარა და თავი მეტისმეტად მოაბეზრა. ერთი წერილი რამდენჯერმე გადაიკითხა. მერე ოდნავ აღელვებულმა დახია და თან ლორდ ჰენრის ნათქვამი სიტყვები მოაგონდა: ოჰ, რა საშინელებაა ქალის მეხსიერებაო.
შავი ყავა შესვა. ხელსახოცით ტუჩი ნელ-ნელა მოიწმინდა და თან მსახურს ხელით ანიშნებდა, დამელოდეო. მერე მაგიდასთან დაჯდა და ორი წერილი დაწერა, ერთი ჯიბეში ჩაიდო, მეორე კი ლაქიას გადასცა.
- ფრენსის, ეს წერილი ჰერტფორდ-სტრიტზე წაიღეთ, 152 ნომერში. თუ მისტერ კემპბელი ლონდონში არ იმყოფება, მისი მისამართი შეიტყვეთ.
მარტო დარჩენილმა დორიანმა სიგარეტს მოუკიდა და ქაღალდის ნაგლეჯზე ხატვას მოჰყვა. პირველად ყვავილებს და სხვადასხვანაირ ორნამენტებს ხატავდა, ბოლოს კი ადამიანთა სახეების ხატვას მიჰყო ხელი და უცებ შენიშნა, რომ ყველა მის მიერ დახატული სახე განსაცვიფრებლად ბეზილ ჰოლუორდის სახეს მიემსგავსებოდა. დორიანმა შუბლი შეიკრა, წამოდგა და წიგნების კარადისაკენ გაემართა. პირველივე ხელში მოხვედრილი რომელიღაც ტომი ჩამოიღო და გონებაში მტკიცედ გადაწყვიტა, თუ გარდაუვალი აუცილებლობა არ აიძულებდა, ჩადენილ შემთხვევაზე არ ეფიქრა.
დივანზე წამოწვა, გაიჭიმა, წიგნი გადაშალა და სატიტულო გვერდს დახედა. ის თეოფილ გოტიეს „ემალი და კამეები“ აღმოჩნდა: ჟაკმარის[110] გრავიურებით შარპანტიეს[111] მიერ იაპონურ ქაღალდზე გამოცემული. მოყვითალო-მომწვანო ფერის ყდაზე ოქროსფერი ცხაური ღობე და წყვეტილი ხაზებით ნახატი ბროწეულები იყო ამოტვიფრული. წიგნი ედრიან სინგლტონისაგან ჰქონდა ნაჩუქარი. ფურცლავდა და უცებ თვალი იმ სტროფებმა მოსტაცეს, რომელიც ლასნერის[112] ხელს უძღვნა პოეტმა: ხელს, „du supplice encore mal lavee“[113], მოწითალო, ღინღლით დაფარულ ფავნისთითებიან ხელს. დორიანმა საკუთარ თლილ თითებს დახედა, თავისდაუნებურმა თრთოლვამ აიტანა და კითხვა განაგრძო, სანამ არ მიაღწია უმშვენიერეს სტროფებს ვენეციაზე:
მსუბუქ-მღელვარე და მოელვარე
ლაგუნის სარკე ჩემს თვალებს იპყრობს.
ზღვიდან ამოდის პირმოცინარე
ვენერა-ღმერთი თეთრ-მოვარდისფრო.
ზღვაში ტაძრები ცადნაერთები
დგებიან თითქოს მუსიკის ხმებით...
როგორც ქალწულთა მკვრივი მკერდები,
როცა ექსტაზში ღელავენ ვნებით.
სვეტებთან, ცისფრად რომ ვხედავ ნაშენს,

ნავი ბაგირით მიბმული დგება,
ვარდისფრად მბრწყინავ სახლის წინაშე
საფეხურების ავივლი წყებას.[114]
რა შესანიშნავი სტრიქონებია! კითხულობ ადამიანი მათ და გგონია ვარდისა და მარგალიტისფრად მბრწყინავ ქალაქში ზურმუხტისფერ ტალღებზე მიცურავ შავ გონდოლაში მჯდარი, რომელსაც ვერცხლისფრად მოელვარე კიჩო და ნიავისაგან დარხეული პეპელას ფრთებივით სიფრიფანა ფრთები ამშვენებს. ეს სტრიქონები აგონებდა მას იმ ლაჟვარდისფერსა და მრუმე მომწვანო ზოლებს, რომლებიც ნიავის ნაკვალევს გასდევს ლიდოზე[115], ფერთა უეცარი გაელვება ლექსში აცოცხლებდა ცის დანაკისა და ზამბახის ფერთა ბრწყინვალებას, რომელი ფერებითაც ზოგიერთი უცხო ფრინველის ყელ-კისერია შეფერილი. ისინი მაღალი ოქროსფერი ორნამენტებით დამშვენებული კამპალინების[116] ირგვლივ დაფრენენ ან მედიდურად მიმოდიან ჟამთასვლისაგან გამტვერიანებულ თაღების ქვეშ. დორიანი ნახევრად თვალმილულული თავს უკან ხრიდა და დაჟინებით იმეორებდა:
ვარდისფრად მბრწყინავ სახლის წინაშე
საფეხურების ავივლი წყებას.
მთელი ვენეცია მოჩანდა თითქოს ამ ორ სტრიქონში. მას გაახსენდა შემოდგომა, რომელიც ამ ქალაქში გაატარა და განსაცვიფრებელი ტრფობის ჟინი, რომელიც მას ყოველგვარი სისულელისაკენ უბიძგებდა. დიახ, ადამიანის სულის მაამებელი სისულელეებისაკენ რომანტიკა ყველა ადგილის მკვიდრია, მაგრამ ვენეციამ და ოქსფორდმა ალბათ მარადჟამული საუფო თუ მიუბოძეს მას. ჭეშმარიტი რომანტიკისათვის ასეთი ფონი ხომ ყველაფერია. დიახ, ყველაფერი!
ბეზილ ჰოლუორდიც სწორედ ამ დროს კარგა ხანს ცხოვრობდა ვენეციაში და ტინტორეტოთი[117] იყო გატაცებული და გონდაკარგული. საწყალი ბეზილი! ოჰ, რა საშინელი სიკვდილი წერებია მაინც!
დორიანმა ამოიოხრა. დავიწყებისათვის რომ მიეცა ყოველივე, წიგნის ფურცლები კვლავ გადაშალა. თვალს არ აცილებდა იმ ადგილებს, სადაც სმირნაში, პაწაწინა ყავახანებში მექაში ნამყოფი მოგზაური ჰაჯები ისხდნენ და ქარვის კრიალოსნებს მარცვლავდნენ. ჩალმიანი ვაჭრები გრძელფოჩიან ჩიბუხებს ეწეოდნენ და ღრმად დაფიქრებულნი ურთიერთს ესაუბრებოდნენ. წაიკითხა იმ ობელისკზე, რომელიც თანხმობის მოედანზე[118] იყო აღმართული, მარტოხელად გაძევებული და უმზეოდ შთენილი გრანიტის ცრემლს აფრქვევდა და დღედაღამ ლოტოსით დაფარული ნილოსის სანაპიროებისაკენ ისწრაფოდა; სადაც სფინქსები, მოწითალო ვარდისფერი იბისები[119], ოქროსფერბრჭყალიანი თეთრი სვავები და ცხელ ოხშივარავარდნილ მწვანე ტალახში მცოცავი პაწაწინა, ზურმუხტისფრად თვალანთებული ნიანგები ბინადრობდნენ. ბოლოს დორიანი დიდხანს ფიქრობდა იმ ლექსებზე, რომლებსაც ამოაქვთ მუსიკა კოცნით დალაქავებულ მარმარილოდან, უმღერიან იმ არაჩვეულებრივ ქანდაკებას, რომელსაც თვით პოეტი გოტიე კონტრალტოს ხმას ადარებს და საოცარ მოჩვენებას ფრანგულად monster charmant[120] უწოდებს. ქანდაკებას, რომელსაც მარადჟამული სამყოფელი

ლუვრის[121] პორფირის[122] დარბაზში დაუმკვიდრებია.
რამდენიმე ხნის მერე დორიანს წიგნი ხელიდან გაუვარდა, მოულოდნელად მოუსვენრობამ დარია ხელი და შემაძრწუნებელმა შიშმა შეიპყრო. რა მოხდებოდა, თუ ალან კემპბელი ინგლისში არ არის ამჟამად? მის დაბრუნებამდე ხომ დღეები გაივლის; ან იქნებ ჩემთან მოსვლაზე უარი განაცხადოს. როგორ უნდა მოიქცეს მაშინ? თითოეული წუთი ხომ მეტისმეტად ძვირფასია ახლა. ისინი ერთ დროს, ამ ხუთი წლის წინათ დიდი მეგობრები იყვნენ, თითქმის განუყრელნი. შემდეგ მეგობრობა უცაბედად დასრულდა. როდესაც ახლა სადმე საზოგადოებაში ერთმანეთს ხვდებიან, მხოლოდ დორიანი გაუღიმებს ყოფილ მეგობარს, ალან კემპბელს კი ძარღვიც არ შეუთამაშდება სახეზე.
ალანი ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი გახლდათ, მაგრამ სახვითი ხელოვნების არაფერი გაეგებოდა, თუკი რამ წარმოდგენა ჰქონდა პოეზიის მშვენიერებაზე, ყოველივე ამას მხოლოდ დორიანის წყალობით მიაღწია. მისი ერთადერთი მისწრაფების საგანს მეცნიერება წარმოადგენდა. კემბრიჯში ლაბორატორიებში მუშაობას დიდი დრო შესწირა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში კურსით წარჩინებით დაასრულა. ახლაც დიდი გატაცებით სწავლობდა ქიმიას, ჰქონდა საკუთარი ლაბორატორია, რომელშიაც დედის სურვილის წინააღმდეგ შეუსვენებლივ ატარებდა მთელ დღეებს. დედას სურდა, მის შვილს საპარლამენტო საქმეებისათვის მოეკიდნა ხელი და ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმ საქმეზე, რომელიც მის შვილს ასე აინტერესებდა. მას ქიმიკოსი მხოლოდ უბრალო აფთიაქრად წარმოედგინა. ამასთან ალანი რჩეული მუსიკოსი გახლდათ, მუსიკის დიდ მოყვარულთა და მცოდნეთა შორისაც კარგ შემსრულებლად ითვლებოდა. საუკეთესოდ უკრავდა როგორც ვიოლინოზე, ასევე ფორტეპიანოზე; სწორედ მუსიკის მაგიურმა ძალამ დააახლოვა ის და დორიან გრეი ერთიმეორეს. მუსიკას და საკუთარ ენით აღუწერელ მომხიბვლელობას იყენებდა დორიანი ყველას წინაშე, როდესაც მოისურვებდა, თუმცა ხშირად ყოველივე ამას შეუგნებლადაც სჩადიოდა. მეგობრები ერთმანეთს ლედი ბერკშირის ოჯახში შეხვდნენ სწორედ იმ ღამეს, როდესაც იქ რუბინშტეინი[123] უკრავდა, მის მერე მათ ყოველთვის ერთად ხედავდნენ ოპერის თეატრსა და ყველა იმ ადგილებში, სადაც კარგი მუსიკის მოსმენა იყო შესაძლებელი. მათი მეგობრობა წელიწად-ნახევარს გაგრძელდა. ალან კემპბელს ყოველთვის დორიანის სელბის ან გროვენერ-სკვერის სახლში შეხვდებოდით. ალანსაც, ისევე როგორც სხვა მრავალ ადამიანს, იმჟამად დორიანი ყოველივე იმის განსახებად წარმოედგინა, რაც კი რამ შესანიშნავი, თვალწარმტაცი და მომაჯადოებელია ამქვეყნიურ ცხოვრებაში. ისიც კი არავინ იცოდა, რა უსიამოვნება მოხდა მათ შორის. მაგრამ უცებ შესამჩნევი გახდა, რომ ძალიან იშვიათად და თითქმის სრულიად აღარ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. კემპებელი დანიშნულ დროზე ადრე ტოვებდა საზოგადოებას, როდესაც დორიანი შემოვიდოდა. ალანი გამოიცვალა. დროდადრო მის გულს საოცარი მელანქოლია ეუფლებოდა. მუსიკა თითქმის მთლად შეიძულა. თუ სადმე მიიწვევდნენ, არ უკრავდა. მიზეზად იმას ასახელებდა, სამეცადინო დრო არ მრჩებაო, მთელი მისი არსება იმდენად

შთაენთქა მეცნიერებას. ეს მართლაც ჭეშმარიტება გახლდათ. თანდათან უფრო და უფრო იტაცებდა ბიოლოგია. რამდენჯერმე მოიხსენიეს კიდეც მეცნიერულ ჟურნალებში, მისი უცნაური და რთული ცდების გამო.
აი, ამ ადამიანს უცდიდა ახლა დორიან გრეი. ყოველ წამს შეჰყურებდა საათს. რაც დრო გადიოდა, მით უფრო საოცარი მღელვარება ეუფლებოდა. ბოლოს წამოდგა და ოთახში დატყვევებული, ლამაზი ნადირივით ბოლთის ცემას მოჰყვა, დიდი, უხმო ნაბიჯებით მიმოდიოდა და ხელები ყინულივით გაციებოდა. ბოლოს და ბოლოს დორიანს აუტანელმა მოუსვენრობამ დარია ხელი. დროის დინება შეწყდა
და ისე მძიმედ მიიზლაზნებოდა და მიცოცავდა, თითქოს ტყვიის ფეხები გამოსხმოდეს. თვით მას კი ამ დროს გააფთრებული ქარი აღმა-დაღმა ბნელი უფსკრულის პირად დააქროლებდა. იცოდა, რაც ელოდა იქ. ნათლად ჭვრეტდა ყოველივეს, თრთოდა, ცახცახებდა და ცივი ოფლით დაცვარული ხელებით ცეცხლწაკიდებულ ქუთუთოებს ძალუმად ისრესდა, თითქოს თვალის გუგებს თავის ქალას მიღმა, სადღაც შიგნით აპირებდა დანთქმას. თითქოს მხედველობის მთავარი წყაროს გონიერიების დახშობა აქვს განზრახულიო. მაგრამ ფუჭი ცდა გახლდათ ყოველივე. გონიერება თავისი გზით ვიდოდა, მას საკუთარი მასაზრდოებელი ძალა გააჩნდა, ხოლო ოცნება და წარმოსახვის უნარი, შემაძრწუნებელი შიშით სახიდან საოცრად შეშლილი, მის არსებაში ისე იკლაკნებოდა და იკრუნჩხებოდა, როგორც აუტანელი ტკივილებისაგან შეძრული ცოცხალი არსება: მახინჯი ტიკინასავით ჯამბაზურად ფიცარნაგზე ხტოდა და თვალისუსწრაფეს მრავალანაირ მოსრიალე ნიღბებს შორის კბილებს აღრჭენდა. უცებ დრომ დინება შეწყვიტა. დიახ, ამ ბრმა, ზოზინა მტილმაც შეწყვიტა ფორთხვა. წამთა მსვლელობამ სული განუტევა თუ არა, შემაძრწუნებელი ფიქრები წინ გამოიჭრნენ, საფლავიდან საზარელი მომავლის ჩონჩხი ამოათრიეს და დორიანს თვალწინ წარმოუდგინეს. დორიანმა თვალი ვეღარ მოაცილა ამ ამაზრზენ სურათს და მისგან მომდინარე შემაძრწუნებელმა შიშმა გააქვავა. ბოლოს კარი გაიღო, მსახური შემოვიდა და დორიანმა ანთებული თვალები შეანათა.
- მისტერ კემპბელი გეახლათ, სერ, - განაცხადა ფრენსისმა.
დორიანმა _____შვებით ამოისუნთქა. მისი გამშრალი ტუჩები ოდნავ შეინძრა და ფერი
დაუბრუნდა.
- სთხოვეთ, ახლავე შემოვიდეს, ფრენსის!
დორიანი კვლავ გონს მოვიდა და სიმხდალეც სწრაფად გაქრა. მსახურმა თავი დაუკრა და სწრაფად გაეცალა. რამდენიმე წამში ალანი გამოჩნდა: საოცრად მკაცრი და ფერდაკარგული. მისი ფერმიხდილობა კიდევ უფრო მკვეთრად აჩენდა მის ყორნისფერ თმასა და მეტად მუქი ფერის წარბებს.
- ოჰ, რა ფერმკრთალი ხართ, ალან. დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ მოხვედით.
- გრეი, განზრახული მქონდა, თქვენი სახლის ზღურბლზე არასოდეს დამედგა ფეხი, მაგრამ მწერდით, რომ საქმე სიკვდილ-სიცოცხლეს შეეხებოდა.

ალანის ხმა მეტად ცივად და მკაცრად გაისმა. წინადადებებს სვენებ-სვენებით წარმოთქვამდა. მის გამომცდელ მზერაში, რომელიც დორიანისათვის მიეპყრო, საოცარი ზიზღიც გამოსჭვიოდა. ხელები ასტრახანული ქურქის ჯიბეებში ჩაეწყო და თითქოს დორიანის მისკენ გამოწვდილ ხელს ვერ ამჩნევდა.
- დიახ, ალან, საქმე სწორედ სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება და ამასთან არა ერთი ადამიანისას. დაბრძანდით.
დაძაბული დუმილის შემდეგ დორიანი წინ გადმოიხარა და დაიწყო, თან ალანის სახეს თვალს არ აშორებდა იმის ფიქრით, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა თითოეული სიტყვა მასზე.
- ალან, ზემო სართულის ერთ-ერთ გამოკეტილ ოთახში, სადაც ჩემ გარდა შესვლის უფლება არავის აქვს, მიცვალებული კაცი ზის მაგიდასთან. დაახლოებით ათი საათი იქნება, რაც გარდაიცვალა, არ გაინძრეთ და ნურც ასე მიყურებთ, თუ შეიძლება! ვინ არის ეს კაცი, ან რისთვის გარდაიცვალა ან როგორ, თქვენ არ გეხებათ. თქვენ მხოლოდ, აი, რა გევალებათ...
- შეჩერდით, გრეი! არაფრის მოსმენა აღარა მსურს. მართალს ამბობთ თუ ტყუილს, სულ ერთია, მე არ მეხება. უკანსკნელად გიცხადებთ, არაფრის გულისთვის არ ჩავერევი თქვენს საქმეში, თქვენ თვითონ შეინახეთ გულში ფარულად თქვენი ბილწი საიდუმლოებანი, მე პირადად სრულიად არაფერი მაინტერესებს.
- ალან, სულ ერთია ამ საიდუმლოს გაგება არ აგცდებათ უკვე. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ დამრჩენია. მხოლოდ თქვენ ერთის ხელთაა ჩემი ხსნა. დიახ, მხოლოდ თქვენ ერთს ძალგიძთ მიხსნათ. იძულებული ვარ თქვენ ერთს გაგანდოთ ეს საქმე. რადგან სხვა გზა არ დამრჩენია. თქვენ მეცნიერი ხართ, ქიმია და სხვა მრავალი მეცნიერებანი შეგისწავლიათ, ცდებს ატარებთ. ახლა თქვენგან იმას მოვითხოვ, რომ მოსპოთ ის, რაც ზემო სართულის ერთ-ერთ ოთახშია გამოკეტილი და თან ისე გააქროთ, რომ მისგან არავითარი კვალი არ დარჩეს ამქვეყნად. მისი ამ სახლში შემოსვლა არავის შეუნიშნავს. ამჟამად ყველა დარწმუნებულია, რომ ის პარიზს იმყოფება. რამდენიმე თვის განმავლობაში მისი აქ არყოფნა არავის განაცვიფრებს. მანამდე კი საჭიროა დედამიწის პირისაგან აღიგავოს მისი კვალი. დიახ, ალან, მხოლოდ თქვენ უნდა აქციოთ ის და რაც მას ეკუთნის, ყოველივე ერთ მუჭა ფერფლად, რომელიც ჰაერში უნდა განიბნეს.
- თქვენ ნამდვილად ჭკუაზე შეიშალეთ, დორიან!
- ოჰ, მხოლოდ იმას ველოდებოდი, რომ კვლავ დორიანი გეწოდებინათ ჩემთვის.
- თქვენ, ვამჩნევ, ნამდვილად დაგიკარგავთ გონი, დიახ, ნამდვილად, თორემ ამ მომაკვდინებელ აღსარებას ჩემ წინ რა წარმოგათქმევინებდათ? ასე რომ არ იყოს, განა შეგეძლოთ გეფიქრათ, რომ თქვენს დასახმარებლად თუნდაც თითსაც კი გავანძრევდი? გარკვევით გიცხადებთ, ამ საქმეში არ ჩავერევი. ნუთუ გგონიათ თქვენი გულისათვის ლაფში ამოვსვრი და ნაცარტუტად ვაქცევ ჩემს ადამიანურ ღირსებას? გაგონებაც არა მსურს თქვენი სატანური ოინბაზობის შესახებ.
- ეს ხომ თვითმკვლელობა იყო, ალან?

- მოხარული ვარ, თუ ასეა. ეს თქვენ დანაშაულს ასე თუ ისე ოდნავ მაინც შეამსუბუქებს, მაგრამ ვინ მიიყვანა ის თვითმკვლელობამდე? რა თქმა უნდა, თქვენ.
- მაშ, თქვენ ჯერ კიდევ უარს მიცხადებთ დახმარებაზე?
- რა თქმა უნდა, უარს ვაცხადებ. არავითარი საერთო არ მინდა მქონდეს თქვენს ბინძურ საქმეებთან. სრულიად არ მაინტერესებს. რაოდენი სირცხვილი და დამცირება გელით ყოველივე ამის გამო. ეს თქვენ დაიმსახურეთ. სრულიად არ შემაშფოთებს ის ამბავი, თუ თქვენ სახალხოდ დაგამცირებენ და საზოგადოების მკაცრი გაკიცხვის საგნად იქცევით! როგორ ბედავთ მთხოვოთ და ისიც მე მთხოვოთ, რომ თქვენ ბილწ საქმეებში ჩავერიო? ვიმედოვნებდი, უკეთ იცნობდით ადამიანებს. თქვენმა მეგობარმა ლორდ ჰენრი უოტონმა ფრიად განსწავლულ პირად გაქციად ფსიქოლოგიაში. საკვირველია, მაშ, რა გასწავლათ, თუ ამდენიც აღარ გესმით. ვერავითარი ძალა ვერ მაიძულებს ერთი ნაბიჯი გადავდგა თქვენს დასახმარებლად. გზა აგრევიათ, ბატონო გრეი, ჯობს, რომელიმე მეგობარს მიაკითხოთ, ჩემგან კი შორს, განმერიდეთ!
- ალან, გამოგიტყდებით, ეს მკვლელობაა. მე მოვკალი ის. თქვენ ვერც წარმოიდგენთ მის გამო ამქვეყნად ცხოვრებაში რამდენი ტანჯვა მხვდა წილად. ჩემი ცხოვრება რომ ამგვარად შეტრიალდა და დამახინჯდა, სწორედ ეს კაცი უფროა ყველაფერში დამნაშავე, ვიდრე საბრალო ჰარი. შესაძლებელია მას სულაც არ სურდა ეს, მაგრამ ყოველივე ბედუკუღმართი გზით წარიმართა მაინც.
- მკვლელობა! ღმერთო დიდებულო, ნუთუ აქამდის დაეცით, დორიან? მე არ გაქცემთ, ნუ შიშობთ, ასეთ საქმიანობას არ ვეწევი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემს ჩაურევლადაც დაგაპატიმრებენ. დანაშაული ჯერ ისე არავის ჩაუდენია, რომ რაიმე ისეთი სისულელეც არ მოიმოქმედოს, რითაც საიდუმლოს ფარდა აეხდება. რაც შემეხება მე, იცოდეთ, ყველაფერზე ხელს ვიღებ, არაფერში არ ჩავერევი.
- თქვენი ჩარევა ამ საქმეში აუცილებელია. ერთ წამს შეიცადეთ, მხოლოდ ერთ წამს მომისმინეთ, ალან! მხოლოდ იმას გთხოვთ, მეცნიერული სახის ცდა ჩაატაროთ. თქვენ ხომ საავადმყოფოებში და საცხედრეებში დადიხართ და რასაც იქ ხედავთ, არაფერი გაღელვებთ და სულს არ გიშფოთებთ. თუ რომელიმე პროზექტურაში ან ამყრალებულ ლაბორატორიაში ნახავდით ამ კაცის გვამს ტყვიის ფურცლებით დაფარულ, სისხლის ამოსაწრეტ ღარებიან მაგიდაზე, ის მხოლოდ საინტერესო ცდის ობიექტად წარმოგიდგებოდათ. თმა ყალყზე არ დაგიდგებოდათ და გულშიც არ გაივლებდით, რომ ცუდს საქმეს ჩადიხართ ამქვეყნად. პირიქით, წარმოიდგენდით, რომ კაცობრიობისათვის სასარგებლო შრომას ეწეოდით; მსოფლიო მეცნიერებას გამოცდილებით ამდიდრებდით ან დიდ გონებრივ ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებდით, და სხვა მრავალი შეგეძლოთ გეფიქრათ, რა თქმა უნდა... რასაც მე გთხოვთ, ასეთი ცდა თქვენ არა ერთხელ ჩაგიტარებიათ წინათ. ამ გვამის მოსპობა სინამდვილეში ბევრით უფრო ნაკლები საშინელებაა იმასთან შედარებით, რაზედაც ხშირად თქვენ მუშაობთ. გახსოვდეთ, გვამი ერთადერთი მამხილებელი საბუთია ჩემს წინააღმდეგ. თუ ის აღმოაჩინეს, მე დავიღუპები. რა თქმა უნდა, ყოველივე გამოაშკარავდება, თუ

თქვენ არ დამეხმარებით.
- არ მსურს თქვენს საქმეში ჩავერიო, თქვენ ჩემი სიტყვები გავიწყდებათ. ჩემთვის სულ ერთია, რა მდგომარეობაშიც უნდა იყოთ, მე ის არ მეხება.
- ალან, გემუდარებით. იფიქრეთ, რა უსასოო მდგომარეობაში ვარ ახლა! თქვენ მოსვლამდე კინაღამ შიშმა გამათავა. შესაძლოა თვითონაც გამოსცადოთ ასეთი საზარელი შიში ოდესმე. ოჰ, არა, არა, ამის თქმას არ ვაპირებდი! შეხედეთ ამ საქმეს წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით. თქვენ ხომ არასოდეს კითხულობთ, საიდან მოაქვთ ის გვამები, რომლებზედაც ცდებს აწარმოებთ? ნუ გამოიძიებთ ამას ახლაც. ისედაც ბევრი რამ დამცდა უკვე. გევედრებით დამეხმაროთ ამ საქმეში. ოდესღაც ხომ მეგობრები ვიყავით.
- ნურაფერს იტყვით იმ დღეთა შესახებ, დორიან, ის ხომ უკვე დიდი ხნის მკვდარია ჩემთვის.
- ის, რაც კვდება, ხშირად დიდხანს განაგრძობს სიცოცხლეს ადამიანის სულში და ამქვეყნად აბარგებას არ ჩქარობს. მიცვალებული, რომელიც ზემო სართულშია ახლა, არსად წავა, მაგიდასთან ზის თავდახრილი და ხელებგაშოტილი, ალან. თუ თქვენ არ დამეხმარებით, სამუდამოდ ვიღუპები. მე ჩამომახრჩობენ, ალან! ნუთუ სულს არ გიშფოთებთ ჩემი ღაღადი? დიახ, იმისთვის, რაც ჩავიდინე, ჩამოხრჩობა არ ამცდება.
- რა საჭიროა ამ სცენის და საუბრის გაგრძელება? გადაჭრით უარს ვაცხადებ. თქვენი მხრით ამის თხოვნა კი დიდ სისულელედ მიმაჩნია.
- მაშ, თქვენ უარს აცხადებთ?
- დიახ!
- გემუდარებით, ალან!
- ამაოდ.
დორიანის თვალთაგან კვლავ საშინელმა მწუხარების ნაპერწკალმა იელვა. ხელი გაიწოდა, მაგიდიდან ქაღალდი აიღო და ზედ რაღაც დაწერა. ორჯერ გადაიკითხა; ფრთხილად დაკეცა და ალანის მხარეს გადაისროლა. მერე წამოდგა და სარკმლისაკენ გაეშურა.
კემპბელმა ჯერ განცვიფრებით შეხედა მას, მერე ქაღალდი აიღო და გაშალა. კითხვის დროს მკვდრის ფერი დაედო, კვლავ სავარძელში ჩაეშვა და საშინელი სისუტე იგრძნო. ისე მოეჩვენა, თითქოს გული ასე ძალუმად საგულეში კი არა, სასიკვდილოდ განწირული, სადღაც ცარიელ ხვრელში სცემდა გამალებით.
ეს შემზარავი დუმილი ორსა თუ სამ წუთს გაგრძელდა. დორიანი მოტრიალდა, ალანს მიუახლოვდა და ხელი მხარზე შეახო.
- მეტისმეტად ვწუხვარ, ალან. - ჩურჩულით წარმოთქვა მან, - მაგრამ გზას თქვენ თვითონ მიღობავთ. წერილი უკვე დაწერილია. მისამართს ხედავთ. თუ არ დამეთანხმებით, წერილი უნდა გაიგზავნოს. ძალიან კარგად ხვდებით, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას. მაგრამ ვატყობ, დასახმარებლად ემზადებით. შეუძლებელია უარი განმიცხადოთ. დიდხანს ვცდილობდი გამეთვალისწინებინა თქვენი მდგომარეობა. თქვენ ხომ ეს უნდა დააფასოთ. თქვენ კი მკაცრი და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მელაპარაკებოდით. ამქვეყნად ჯერ არავის

შემოუბედავს ჩემთვის ასეთი საუბარი, თორემ თუ შემომბედავდა, ალბათ ცოცხალიც ვერ გაივლიდა ამ მშვენიერ დედამიწაზე. ყველაფერი მოგითმინეთ. ახლა ჩემი ჯერია პირობები შემოგთავაზოთ.
კემპბელმა სახე ხელებში ჩამალა და თრთოლამ აიტანა. მთელი სხეული უცახცახებდა.
- დიახ, ახლა კი ჩემი ჯერია, ალან, თქვენ ყველაფერი უკვე იცით. საქმე მეტისმეტად უბრალოა. გთხოვთ ისტერიკას ნუ აჰყვებით. საქმე, რა თქმა უნდა, უნდა დამთავრდეს. თვალი გაუსწორეთ ყოველივეს და საქმეს შეუდექით.
კემპბელს საშინელი კვნესა აღმოხდა. მთელი სხეული აუცახცახდა, საათის წიწკინი ბუხრის თავზე თითქოს ნაწილ-ნაწილ ყოფდა საზარელი ტანჯვით სავსე ერთიერთმანეთზე აუტანელ წამებს. თავს კი ისე გრძნობდა, თითქოს რკინის სალტე შემოეკრათ შუბლზე და თანდათანობით მაგრად უჭერდნენ. თითქოს ის დიდი სირცხვილი, რომლითაც ასე შეძრწუნებული იყო, უკვე თავს დასტყდომოდა. ხელი კი ტყვიაზე უფრო მძიმედ აწვა მხარზე. ეს აუტანელი სიმძიმე გასრესას უქადდა.
- ალან, გადაწყვიტეთ ახლავე!
- არ შემიძლია, - წარმოთქვა ალანმა მექანიკურად; თითქოს ამ სიტყვებს შეეძლოთ რაიმეს შეცვლა.
- თქვენ მას გააკეთებთ, სხვა გზა არა გაქვთ, ნუ აყოვნებთ...
კემპებელმა ერთი წუთი კიდევ შეიცადა და მერე იკითხა:
- ბუხარი არის იმ ოთახში?
- დიახ, გაზის, აზბესტით ასანთები.
- სახლში წასვლაა საჭირო, ლაბორატორიული ხელსაწყოების მოსატანად.
- არა, ალან, თქვენ აქაურობას ვეღარ დატოვებთ. დაწერეთ რაც გნებავთ და ჩემი მსახური ეტლით წავა და ყველაფერს მოგიტანთ.
კემპბელმა რამდენიმე სიტყვა დაფხაჭნა. დააშრო და კონვერტზე თავისი თანაშემწის მისამართი დააწერა. დორიანმა წერილი გამოართვა და ფრთხილად წაიკითხა, მერე ზარი დარეკა და ლაქიას გადასცა. უბრძანა, რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნებულიყო და ყველაფერი თან წამოეღო. ლაქიამ კარი გაიხურა. კარის ხმამ კემპბელი საზარლად შეაკრთო, სკამიდან წამოიჭრა და ბუხრისკენ გაემართა. ციებცხელებიანივით თრთოდა. დაახლოებით ოცი წუთის განმავლობაში არც ერთს ხმა არ ამოუღია. ოთახში მხოლოდ ბუზის ბზუილი და საათის წიკწიკი გაისმოდა. ეს ყოველივე ალანს თავში ჩაქუჩივით ურტყავდა. პირველი შესრულდა. საათმა ერთხელ დარეკა. კემპებელი შემობრუნდა. დორიანს შეხედა და შენიშნა, რომ მას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. ამ ნაღვლიანი სახის სიწმინდესა და სინატიფეს მოთმინებიდან გამოჰყავდა ის.
- თქვენ საზიზღარი, სამარცხვინო სახელის მატარებელი ბილწი ადამიანი ხართ, - ბუტბუტებდა ალანი.
- წყნარად, ალან, თქვენ გადაარჩინეთ ჩემი სიცოცხლე.
- თქვენი სიცოცხლე? ციურნო ძალნო! ეს რა სიცოცხლეა მერე? თქვენ ერთი ბიწიერებიდან თურმე მეორეზე გადაინაცვლებთ ხოლმე და ახლა კი თქვენმა

დანაშაულმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ნუ იფიქრებთ, თქვენი სამარცხვინო სიცოცხლის შესანარჩუნებლად ვირჯებოდე ამჟამად, ან იმიტომ რომ, თქვენ მაიძულებთ ეს ჩავიდინო.
- ოჰ, ალან, ნეტა იმის მეათასედად გებრალებოდეთ, რასაც მე განვიცდი თქვენდამი, - ამოიოხრა და ჩურჩულით წარმოთქვა დორიან გრეიმ. დაამთავრა თუ არა ეს სიტყვები, მიტრიალდა და დიდხანს ბაღს გადაჰყურებდა სარკმლიდან. კემპბელს პასუხი არ გაუცია.
დაახლოებით ათი წუთის შემდეგ კაკუნი გაისმა. მსახური შემოვიდა. მას ხელში ქიმიური პრეპარატებით სავსე წითელი ყუთი ეჭირა. პლატინისა და ფოლადის მავთულების გრძელი და მეტისმეტად უცნაური ფორმის ორი რკინის კავი.
- აქ დავაწყო ყველაფერი, სერ? - ჰკითხა მსახურმა კემპბელს.
- დიახ, - უპასუხა დორიანმა ალანის მაგიერ და თან დასძინა: - სამწუხაროდ, ფრენსის, კიდევ უნდა მოგცეთ ერთი დავალება. რა ჰქვია იმ რიჩმონდელ კაცს, ვინც სელბის მამულში ორქიდეებს რგავს ხოლმე?
- ჰარდენი, სერ.
- დიახ, ჰარდენი. ახლავე უნდა გაემგზავროთ რიჩმონდს, ინახულოთ პირადად ჰარდენი და სთხოვოთ, გამომიგზავნოს ორჯერ მეტი ორქიდეები ვიდრე მე შევუკვეთე და ამასთან შეახსენეთ, რაც შეიძლება ცოტა იყოს თეთრი. არა, თეთრი სრულიადაც არ მინდა. ამინდი მშვენიერია, ფრენსის. რიჩმონდი უმშვენიერესი ადგილია, თორემ არც კი შეგაწუხებდით.
- როგორ გეკადრებათ, რა შეწუხებაა, სერ. როდის მიბრძანებთ უკან დაბრუნებას? დორიანმა ალანს გადახედა.
- რამდენ საათს გასტანს ეს ცდა? - ჰკითხა მან უკვე საკმაოდ მშვიდი, თითქმის სრულიად ბუნებრივი ხმით. ეტყობა, მესამე პირის ოთახში ყოფნამ განსაცვიფრებელი მხენობა შემატა. კემპბელი მოიღუშა და ტუჩი მოიკვნიტა.
- დაახლოებით ხუთი საათი, - უპასუხა მან.
- საკმაო დროა. შეგიძლიათ რვის ნახევარზე დაბრუნდეთ, ფრენსის, ერთ წუთს შეიცადეთ. გთხოვთ წასვლის წინ ტანსაცმელი მომიმზადოთ, რაც საჭიროა და მთელი საღამოც შემიძლია გაგათავისუფლოთ მაშინ. შინ არ ვისადილებ. ასე რომ, თქვენი ამ საღამოს შინ ყოფნა აუცილებელი არ არის.
- მადლობას მოგახსენებთ, სერ, - თავი დაუკრა მსახურმა და ოთახიდან გავიდა.
- ახლა, ალან, წამის დაკარგვაც არ შეიძლება. ოჰ, რა მძიმეა ეს ყუთი! ამას მე წამოვიღებ. თქვენ კი დანარჩენებს მოჰკიდეთ ხელი.
დორიანი სწრაფად და მბრძანებლურად ლაპარაკობდა.
კემპბელმა იგრძნო, რომ უკვე დაემორჩილა მას. ოთახიდან ერთად გამოვიდნენ. კიბის ზემო საქცევზე დორიანმა გასაღები ამოიღო, საკეტში გაუყარა, გადაატრიალა და კარი გამოაღო. შემდეგ ერთ ადგილზე გაქვავდა. თვალებში საოცარმა მწუხარებამ იელვა და აცახცახდა.
- ალან, მგონია, მაგ ოთახში შესვლას ვერ შევძლებ, - ჩურჩულით წარმოთქვა მან.
- ნუ შემოხვალთ, სრულიადაც არ მჭირდებით, - უპასუხა კემპბელმა ცივად.
დორიანმა ნახევრად შეაღო კარი. თვალში მზით განათებული პორტრეტის

დამცინავი გამომეტყველება ეცა, რომელიც თითქოს თვალით რაღაცას ანიშნებდა. იატაკზე მის წინ დახეული ფარდა იყო გაშლილი. გაახსენდა, რომ წინა ღამით, პირველად ამდენი წლის მანძილზე დაავიწყდა ამ საბედისწერო პორტეტისათვის კვლავ ჩამოეფარებინა ფარდა. ის იყო შიგნით უნდა შევარდნილიყო და საჩქაროდ ფარდა ჩამოეფარებინა, რომ უეცრად რაღაც საშინელებისაგან ათრთოლებულმა უკან დაიხია. ოჰ, რა საზიზღარი, წითლად გამონაჟონი სველი ლაქა დამჩნეოდა პორტრეტს და დროგამოშვებით ბრწყინავდა ერთ ხელზე. თითქოს მთელი პორტრეტი წითლად გამონახვითქ ოფლის წვეთებს დაენამოთ მთლიანად. ოჰ, რა საშინელებაა! ამ წამში ეს გაცილებით შემაძრწუნებელი იყო, ვიდრე უმოძრაოდ გაქვავებული ადამიანის სხეული, რომელიც, როგორც ახსოვდა, მაგიდასთან თავდახრილი და ხელებგაჭიმული იჯდა. მისი საოცრად დამახინჯებული ჩრდილი კი სისხლით გალუმპულ დალაქავებულ ხალიჩაზე მოწმობდა, რომ არც კი შენძრეულიყო და იქვე გაქვავებულიყო, სადაც გუშინ დატოვა.
დორიანმა ღრმად ამოიოხრა. კარი უფრო ფართოდ შეაღო, ნახევრად თვალდახუჭული და გვერდზე თავშებრუნებული სწრაფად შევიდა ოთახში. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ერთხელაც არ შეეხედა მიცვალებულისათვის. სწრაფად დაიხარა. მეწამულისფერი ფარდა აიღო, რომელსაც ოქროს ბრწყინვალება შერეოდა და პორტრეტს ჩამოაფარა.
დორიანი იქვე შეჩერდა. ეტყობოდა, შიშმორეულმა შემობრუნება ვერ გაბედა და თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მეტად რთულ ქარგულობას ქსოვილზე. გაიგონა, როგორ შემოიტანა ალან კემპბელმა მძიმე ყუთი და მერე სხვა ხელსაწყოები, რომელიც ამ მძიმე საქმის დასამთავრებლად ესაჭიროებოდა. დორიანს კი სრულიად მოულოდნელად ერთმა ფიქრმა გაუელვა თავში. იცნობდნენ თუ არა კემპბელი და ბეზილ ჰოლუორდი ერთმანეთს და თუ იცნობდნენ, რას ფიქრობდნენ ურთიერთზე?
- დამტოვეთ, - ჩაესმა მკაცრი ხმით ნათქვამი ბრძანება ზურგიდან.
დორიანი მოტრიალდა და სწრაფად გამოვიდა ოთახიდან. მხოლოდ ის შენიშნა, რომ მიცვალებული უკვე ზურგით იყო მიყრდნობილი სკამზე და კემპბელი ჩაჰყურებდა მის ფერდაკარგულ გაკრიალებულ სახეს. როდესაც კიბეზე დაეშვა, შემოესმა, როგორ გადაატრიალეს გასაღები კარებში.
დიდი დრო გავიდა.
რვას რამდენიმე წუთი აკლდა უკვე, როდესაც კემპბელი ბიბლიოთეკაში დაბრუნდა. მას ადამიანის ფერი აღარ ჰქონდა, მაგრამ სრულიად დამშვიდებული ჩანდა.
- ყველაფერი გავაკეთე, რაც მთხოვეთ, - ჩაიბუტბუტა მან. - ახლა კი ნახვამდის. ამიერიდან ჩვენ არასოდეს შევხდებით ერთიმეორეს.
- თქვენ მე დიდი განსაცდელისაგან მიხსენით, ალან, სიცოცხლე შემინარჩუნეთ. ამის დავიწყება არ შემიძლია, - წარმოთქვა დორიანმა ყოველგვარი განცდის გარეშე.
როგორც კი კემპბელი წავიდა, დორიანი ზემო სართულისაკენ გაეშურა. ოთახში

აზოტმჟავას მკვეთრი სუნი ტრიალებდა, მაგრამ მიცვალებული კი, რომელიც მაგიდასთან იჯდა სამუდამოდ გამქრალიყო.

თავი XV

იმავე საღამოს ცხრის ნახევარზე დორიან გრეი შესანიშნავად გამოეწყო, ღილკილოში პარმული იები ჩაიმაგრა და ლედი ნარბოროს სასტუმრო დარბაზში გამოცხადდა. ლაქიებმა განსაკუთრებული მოწიწებით დაუკრეს თავი და დარბაზში შეაცილეს. დორიანს გული აჩქარებით უცემდა, საფეთქლებში სისხლი მოსწოლოდა, შუბლი უხურდა, თითოეული ნერვი მღელვარებისაგან საოცრად უთრთოდა და ზომაზე მეტად შეშფოთებული იყო, მაგრამ ოჯახის დიასახლისს ჩვეულებრივად მისთვის დამახასიათებელი ისეთი ძალდაუტანებელი მოხდენილი ეამბორა ხელზე, როგორც ოდესმე წინათ სჩვეოდა ხოლმე. შესაძლოა ადამიანს ასეთი სიმშვიდე უფრო ბუნებრივად წარმოუდგეს მაშინ, როდესაც ის მოჩვენებითია. და მართლაც, ვინც დორიანი იხილა იმ ღამით, ვერ ირწმუნებდა, რომ მან რამდენიმე საათის წინ ჩვენი ეპოქის შემაშფოთებელ ტრაგედიებთან შედარებით გაცილებით მძიმე ტრაგედია გადაიტანა. განა მის თლილ თითებს შეეძლო შეხებოდა ცოდვის ჩასადენად დანას? ან მის მოღიმარე ბაგეს შეურაცხყოფა მიეყენებინა ღმერთისა თუ ყველა იმ სიკეთისათვის, რასაც კაცობრიობა წმიდათა წმიდად ინახავს! დორიანს თავისი სიმშვიდე თვით ანცვიფრებდა. მაგრამ იყო ისეთი წამებიც, როდესაც ენით აღუწერელ სიამოვნებას მეტისმეტად მძაფრად განიცდიდა საკუთარი გაორებული სულის გამო.

იმ ღამეს ლედი ნარბოროს სასტუმროში სტუმართა სიმცირე იგრძნობოდა. მხოლოდ ისინი მოსულიყვნენ, ვისი სასწრაფოდ მოწვევაც მოესწრო დიასახლისს. ლედი ნარბორო ჭკვიან ქალად მიაჩნდათ საზოგადოებაში. ლორდ ჰენრი კი ასე ახასიათებდა მას: ყველასათვის შესამჩნევი სიმახინჯის გადმონაშთი მან სრულიად შემოინახაო. მრავალი წლის განმავლობაში ის ერთ-ერთი ფრიად მოსაწყენი ადამიანის უერთგულეს მეგობრად ითვლებოდა, ვინც სიკვდილის შემდეგ ქალმა დიდებულად გაისტუმრა საიქიოს და საკუთარი გემოვნებით აგებულ მარმარილოს მავზოლეუმში შეასვენა. ორივე ქალიშვილს ბევრად უფროს მდიდარ კაცებზე დასწერა ჯვარი, მარტო შთენილი ახლა ფრანგული ბელეტრისტიკით, ფრანგული სამზარეულოთი და საქვეყნოდ ცნობილი ფრანგული გონებამახილობით ერთობოდა და ამავე დროს დიდად ცდილობდა როგორმე ამით გამოეჩინა თავი.

დორიანი მის ერთ-ერთ სათაყვანო კერპს წარმოადგენდა საზოგადოებაში. კერძო საუბრებში ხშირად გამოუტყდებოდა ხოლმე: - „ფრიად მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდობაში არ შეგხვდით. დარწმუნებული ვარ, ჩემო ძვირფასო, ისეთი ძლიერი გრძნობა შემიპყრობდა, რომ გონს დავკარგავდი, და თქვენი გულისათვის ყველა დაკანონებულ საზღვარს ავცდებოდი ან, როგორც ინგლისში იტყვიან, ჩემს მშვენიერ ქუდს წისქვილის იქით გადავტყორცნიდი. რა ბედნიერებაა, რომ მაშინ თქვენ ჯერ კიდევ არ იყავით ამქვეყნად გაჩენილი. რადგან ჩვენი ქუდები ისეთი ულაზათობით გამოირჩეოდა და წისქვილებიც ისე მოუთმენლად შეჰყურებდნენ

ქარის ამოვარდნას, რომ შესაძლებლობა სრულიად არ მქონია სატრფიალო საუბარი მესმინა. რაღა თქმა უნდა, უფრო მეტად ნარბოროს ვადანაშაულებ. ის მეტად ახლომხედველი გახლდათ და აბა, წარმოიდგინეთ, რა სიამოვნებაა ისეთი მეუღლის წინაშე თვალთმაქცობა, რომელიც ვერაფერს ამჩნევს“.
იმ ღამეს ლედი ნარბოროს სასტუმროში მოწყენილობამ იძალა. დიასახლისმა საკმაოდ მოძველებული, დიდი მარაო აიფარა სახეზე და უთხრა დორიანს, ჩემი ერთ-ერთი ქალიშვილი სრულიად მოულოდნელად დიდი ხნით მეწვია და ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ ქალიშვილმა მეუღლეც თან მოიყვანაო.
- ვფიქრობ, ეს ფრიად დიდი უტაქტობაა, ძვირფასო, - ჩურჩულებდა ლედი ნარბორო. - მართალია, მეც დავდივარ მათთან ყოველ ზაფხულს, როდესაც ჰამბურგიდან ვბრუნდები, მაგრამ ჩემი ასაკის მოხუცმა ქალმა საჭიროა დროდადრო სუფთა ჰაერით ისუნთქოს და, გარდა ამისა, ჩემი ჩასვლით მე მათ გამოვაცოცხლებ და ავამოძრავებ ხოლმე. ოჰ, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ ცხოვრებას ეწევიან ისინი სოფლად. ეს წმინდა პროვინციალიზმია. განთიადისას დგებიან, რადგან უამრავი საქმე აქვთ, და მზის ჩასვლისას იძინებენ იმიტომ, რომ საფიქრალი არაფერი გააჩნიათ. წარმოიდგინეთ, ელისაბედ დედოფლის მერე უბრალო უსიამოვნებაც კი არ მომხდარა მთელ იმ არემარეში.
სადილობის შემდეგ კი, რაღა თქმა უნდა, ძილის მეტი რა საქმე აქვთ. ეცადეთ მაგიდასთან მათ გვერდით არ მოხვდეთ, ჩემ გვერდით დაიკავეთ ადგილი და გთხოვთ გამართოთ.
დორიანი ხანში შესულ მანდილოსანს მოხდენილი ქათინაურებით გაუმასპინძლდა და სასტუმრო ოთახს მოავლო თვალი. დიახ, მართლაც მეტად მოსაწყენ საზოგადოებას მოეყარა თავი. ორი მათგანი არასოდეს ენახა წინათ. მათ გარდა შენიშნა ერნსტ ჰაროუდენი, ერთი შუახნის, უფერული პიროვნება, ასეთი მუდმივი წევრები მეტად ბევრი მოეძებნებოდა ლონდონის კლუბებს, ადამიანი რომელსაც მტრები არ გააჩნია, მაგრამ განსაკუთრებით სძულთ მეგობრებს. ლედი რექსტონი, მეტისმეტად მორთულ-მოკაზმული ორმოცდაშვიდი წლის ქალი, ოდნავ ცხვირმოღუნული, რომელიც მუდამ ცდილობდა სახელგატეხილი ქალის რეპუტაცია ჰქონოდა, მაგრამ იმდენად უგუნური იყო, მისდა სავალალოდ არავის სჯეროდა, რომ უზნეო ცხოვრებას ეწეოდა; მისის ერლინი, საზოგადოებაში ადგილის მაძიებელი და ჯერ კიდევ დაუმკვიდრებელი პიროვნება, სასიამოვნო ჩლიფინით მოუბარი და ვენეციელი ქალივით მოწითალო თმის პატრონი; ალის ჩეპმენი, დიასახლისის ქალიშვილი - ახალგაზრდა მოსაწყენი ქალი, ისეთი ტიპიური ბრიტანული სახისა, ვინც ერთხელ ნახვის მერე არაფრით არ დაგახსომდებათ. მისი მეუღლე, ლოყებღაჟღაჟა, თეთრქილვაშიანი მამაკაცი, ვისაც მრავალი მისი კლასის წარმომადგენელთა გვარად სწამს, რომ გადაჭარბებულმა სიმხიარულემ საზოგადოებაში შეუძლია მთლიანად გამოისყიდოს გონებრივი შეზღუდულობა.
დორიანი უკვე ნანობდა მოსვლას, როდესაც ლედი ნარბორომ საკმაოდ დიდ, მოოქრულ ბრინჯაოს საათს შეხედა, რომელიც მეწამულ-ლალისფრად მოელვარე ბუხრის თავზე იდგა და წამოიძახა:

- ოჰ, ფრიად შეუწყნარებელია, ჰენრი უოტონი მეტისმეტად იგვიანებს, დილითვე გავუგზავნე კაცი და თითქმის ფიცით დამპირდა მოსვლას.
დორიანმა შეიტყო თუ არა, რომ ლორდ ჰენრი უნდა მოსულიყო, ოდნავ დამშვიდდა. მალე კარი გაიღო და ლორდ ჰენრის საოცრად მომაჯადოებელი მუსიკასავით ტკბილი ხმა გაისმა. ის მეტად ნელა, გაბმით წარმოთქვამდა სიტყვებს, ეს კი განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მატებდა მის არაგულწრფელად შერჩეულ საბოდიშო ფრაზებს. და აი, ამ ხმის გაგონებისთანავე დორიანს მოწყენილობა თვალისუსწრაფეს სადღაც გაქრა, თუმცა სადილად პირი ვერაფერს დააკარა, თეფში თეფშზე ხელუხლებელი გაჰქონდათ. ლედი ნარბორო ყოველ წამს საყვედურით მიმართავდა:
- ამით საწყალ ადოლფს აყენებთ უხერხულ მდგომარეობაში, მას ხომ მხოლოდ თქვენი გემოვნება ჰქონდა მხედველობაში სადილის მომზადებისას.
ლორდ ჰენრი დროგამოშვებით შორიდან გადახედავდა ხოლმე თავის მეგობარს, განცვიფრებული დარჩა მისი დუმილითა და გონებაგაფანტულობით. ჟამიდან ჟამზე სახლთუხუცესი უვსებდა სასმისს შამპანურით. დორიანი მაშინვე სულმოუთქმელად გადაჰკრავდა ხოლმე სასმელს და ეტყობოდა, წყურვილი უფრო უმძაფრდებოდა.
- დორიან, - შეესიტყვა ლორდ ჰენრი ბოლოს, როდესაც ლაბა-სხმული გარეული ფრინველის ხორცი მიართვეს სტუმრებს. - რა დაგემართათ ამ საღამოს? ეტყობა, რაღაც უგუნებობა მოგძალებიათ.
- ალბათ შეყვარებულია, - წამოიძახა ლედი ნარბორომ, - და უცილოდ შიშობს არ გაამხილოს, ჩემს ეჭვიანობას ერიდება. წარმოიდგინეთ, მართალიც არის, მასზე ეჭვიანობის გრძნობა მე ხომ ბოლოს მომიღებდა.
- ძვირფასო ლედი ნარბორო, - წარმოთქვა დორიანმა ღიმილით, - აი, უკვე ერთი კვირაა არავისზე მიფიქრია, მას შემდეგ გარწმუნებთ, რაც ქალბატონი დე ფეროლი ლონდონიდან გაემგზავრა.
- ნეტავი მამაკაცებს როგორ შეგიყვარდებათ ხოლმე ასეთი ქალი? ფრიად საინტერესოა, ვერაფერი გამიგია სწორედ. - წამოიძახა ლედი ნარბორომ.
- ალბათ იმიტომ თუ შეგვიყვარდა, ლედი ნარბორო, რომ მას თქვენ ჯერ კიდევ პატარა გოგონა ახსოვხართ. - ჩაერია ლორდ ჰერნი. - ის ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლია ჩვენსა და თქვენს მოკლე კაბებს შორის.
- მას, რა თქმა უნდა, ჩემო მოკლე კაბა არ ეხსომება, ლორდ ჰენრი, მაგრამ სამაგიეროდ მე მახსოვს ის ვენაში ოცდაათი წლის წინათ. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორი გულამოჭრილი კაბა ეცვა!
- ის ახლაც ასე წარსდგება ხოლმე საზოგადოების წინაშე, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ და გრძელი თითებით ზეთის ხილი გადაიღო, - და როდესაც ყველასათვის ასე თვალშისაცემად ჩაცმული გამოჩნდება ხოლმე სადმე, ცუდი ფრანგული რომანის საუკეთესო გამოცემას წააგავს. მართლაც, რომ შესანიშნავი ქალი, მისგან მრავალი მოულოდნელობაა წარმოსადგენი. და მერე რა განსაცვიფრებელ სიყვარულს იტევს მისი გული, განსაკუთრებით საკუთარი ოჯახის წევრებისადმი. როდესაც მესამე ქმარი გარდაეცვალა, თმა მწუხარებისაგან მთლად

https://www.facebook.com/groups/

გაუოქროსფერდა.
- ჰარი, როგორ გეკადრებათ ქალზე ასეთი საუბარი, - წამოიძახა დორიანმა.
- მეტისმეტად რომანტიკული ახსნა-განმარტებაა, - წარმოთქვა დიასახლისმა სიცილით. - ლორდ ჰენრი, თქვენ ბრძანეთ მესამეო? ნუთუ ფეროლი მისი მეოთხე ქმარია?
- რა თქმა უნდა, ლედი ნარბორო!
- ვერ დაგიჯერებთ!
- კეთილი, მაშინ მისტერ გრეის ჰკითხეთ, ის ერთ-ერთი მისი უახლოესი მეგობართაგანი გახლავთ.
- განა ეს ყოველივე მართალია, მისტერ გრეი?
- რა მოგახსენოთ, ლედი ფეროლი მეც ასე მარწმუნებდა, ქალბატონო, - წარმოთქვა დორიანმა. - წარმოიდგინეთ, ვკითხე, მარგარიტა ნავარელის მსგავსად ბალზამირებას ხომ არ უკეთებთ ქმრების გულებს და მერე სარტყლის ქვეშ ხომ არ ატარებთ-მეთქი და ასე მიპასუხა: ეს შეუძლებელი გახლავთ, რადგან არც ერთ ჩემს მეუღლეთაგანს გული არ ჰქონიაო.
- ოთხი ქმარი! ვფიქრობ, ეს დიდი trop de zele[124] უნდა იყოს.
- არა უფრო დიდი trop d'audace[125]. ასე მოვნათლე მე, - გამოეხმაურა დორიან გრეი.
- ოჰ, გამბედაობა მას ყველაფერში საკმარისზე მეტი გააჩნია, ჩემო ძვირფასო! მაგრამ ეს ფეროლი რას წარმოადგენს მაინც? მე მას სრულიად არ ვიცნობ.
- ულამაზესი ქალის ქმრებს მე სისხლის სამართლის დამნაშავეთა კატეგორიას ვაკუთნებ, - წარმოთქვა ლორდ ჰენრი და თან ღვინოს ნელ-ნელა დაუწყო სწმა. ლედი ნარბორო მას მარაოთი ოდნავ შეეხო.
- ლორდ ჰენრი, სრულიად არ მანცვიფრებს ის ამბავი, რომ თქვენ ქვეყნიერებას ამორალურ პიროვნებად მიაჩნიხართ.
- რომელ ქვეყნიერებას მაინც? - იკითხა ლორდ ჰენრიმ და წარბები აზიდა. - ალბათ მხედველობაში საიქიო თუ გაქვთ? მე და ეს ქვეყანა კი შესანიშნავად ვეწყობით.
- თითქმის ყველა, ვისაც კი ვიცნობ, აცხადებს, რომ თქვენ ფრიად საშიში პიროვნება ხართ! - წამოიძახა მოხუცმა ქალმა და თავი გააქნია.
ლორდ ჰენრიმ ერთი წამით სერიოზული გამომეტყველება მიიღო.
- პირდაპირ აღმაშფოთებელია, - წარმოთქვა მან მწყრალად. - ჩვენს ეპოქაში მიუღებელია ზურგს უკან იმსჯელონ ასეთ ამბებზე, რაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს.
- განა მისი გამოსწორება შეიძლება? - წამოიძახა დორიან გრეიმ და სავარძლიდან წინ გადაიწია.
- ვფიქრობ, მართლაც ასეა, - თქვა დიასახლისმა სიცილით.
- მაგრამ თუ თქვენ მართლაც ამ სასაცილო ამბის გამო აღმერთებთ მადამ დე ფეროლს, კიდევ ერთხელ ვცდი ბედს, რომ მოდას არ ჩამოვრჩე.
თქვენ, მწამს, აღარ გათხოვდებით, ლედი ნარბორო, - ჩაურთო ლორდ ჰენრიმ, - რადგან მეტისმეტად ბედნიერი იყავით. თუ ქალი მეორედ თხოვდება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას პირველი ქმარი ეზიზღებოდა, ხოლო თუ მამაკაცი ცოლს

მეორედ ირთავს, მაშინ ის უცილოდ პირველ ცოლს აღმერთებდა. ქორწინებაში ქალი ბედს ეძიებს, მამაკაცი კი მუდამ რისკს ეწევა.
- ჩემი ნარბორო არც ისეთი უნაკლო ყოფილა. - წამოიძახა მოხუცმა ლედიმ.
- ის, რომ სრულყოფილი ყოფილიყო, თქვენ არ გეყვარებოდათ, ჩემო ძვირფასო ლედი, - გაისმა პასუხად. - ქალებს იმ ნაკლოვანებათა გამო შეუყვარდებათ ხოლმე, რომელიც ბუნებით თან დაგვყოლია. თუ ეს ნაკლოვანებები საკმაოდ ჭარბადაა ჩვენში, ყოველივეს მხოლოდ მაშინ შეგვინდობენ ხოლმე, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ასე წარმოიდგინეთ, გონებრივსაც კი. ვშიშობ, თქვენ აღარასოდეს მომიწვევთ სადილად ამიერიდან, რადგან ასე ვმსჯელობ. მაგრამ, ლედი ნარბორო, გწამდეთ, ეს ყოველივე წყალგაუვალი ჭეშმარიტება გახლავთ.
- რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებაა, ლორდ ჰენრი, გეთანხმებით, ქალებს რომ მართლაც მაგ ნაკლოვანებათა გამო არ ყვარებოდით, არ ვიცი რა დაგემართებოდათ. ვერც ერთი მამაკაცი ცოლს ვერ ეღირსებოდა. ყველა გასაცოდავებულ ბერბიჭებად დარჩებოდნენ ამქვეყნად. მართალი უნდა მოგახსენოთ, ესეც ვერავითარ ცვლილებას ვერ შეიტანდა თქვენში. ჩვენს დროში ცოლშვილიანებიც მარტოხელა მამაკაცების ცხოვრებას ეწევიან.
- Fin de siecle[126] - ჩაიჩურჩულა ლორდ ჰენრიმ.
- Fin du globe[127] - უპასუხა დიასახლისმა.
- მე Fin du globe მირჩევნია, - წარმოთქვა დორიანმა ოხვრით. - ცხოვრება მეტად მოსაწყენია.
- ოჰ, ჩემო ძვირფასო, - წამოიძახა ლედი ნარბორომ და ხელთათმანის სწორებას შეუდგა. - გემუდარებით ნუ გამაგონებთ, რომ ცხოვრებამ ქანცგაწყვეტილ პიროვნებად გაქციათ. როდესაც ვინმე ასე მსჯელობს, სხვები უცილოდ მიხვდებიან, რომ ცხოვრებამ მას სასიცოცხლო ძალა გამოაცალა. ლორდ ჰენრი ზნეობაზე ხელაღებული ადამიანია. მე კი მინდა ქველმოქმედება არ დავივიწყო. თქვენ კი, მაგალითად, სრულიად სხვა ხართ. თქვენ სიკეთისათვის მოუვლენიხართ განგებას, ამის უტყუარი მოწმე თქვენი შესანიშნავი სახე და გამომეტყველებაა. შესაფერი საცოლე უნდა გამოგიძებნოთ. ალბათ დამეთანხმებით, ლორდ ჰენრი, რომ დროა დორიანი დაქორწინდეს.
მეც მხოლოდ მაგას ჩავჩიჩინებ დღენიადაგ, ქალბატონო ნარბორო, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ და მის წინ მოკრძალებით თავი დახარა.
- მაშინ საჭიროა მხოლოდ აღმოვაჩინოთ ვინმე. ამ საღამოსვე ყურადღებით გადავათვალიერებ დებრეტს[128] და დორიანის შესაფერ სასძლოების სიას შევადგენ.
- წლოვანებას იქვე აღნიშნავთ, ლედი ნარბორო? - იკითხა დორიანმა.
- რასაკვირველია, აღვნიშნავ ცოტაოდენი შესწორებით. ასეთ საქმეში აჩქარება არ ვარგა. მინდა ყოველივე ისე დასრულდეს, როგორც „მორნინგ პოსტი“ აცხადებს: „მეტად შესაფერი წყვილის ქორწინება!“ მსურს თქვენ და თქვენი მეუღლეც ასეთივე უბედნიერესი წყვილი იყოთ ამქვეყნად!
- ოჰ, რამდენ სისულელეს როშავენ ბედნიერი ქორწინების შესახებ, - წამოიძახა

ლორდ ჰენრიმ. - კაცს შეუძლია ბედნიერი იყოს ყოველ ქალთან, სანამ ის შეუყვარდება.
- ოჰ, რა ცინიკოსი ხართ! - თითქმის კივილით წამოიძახა მოხუცმა ლედიმ. სავარძელი უკან დასწია და ლედი რექსტონს დაუკრა თავი. - ლორდ ჰენრი, კვლავ უნდა მეწვიოთ სადილად, თქვენ ჩემზე გაცილებით უკეთ მოქმედებთ, ვიდრე სერ ენდრიუს გამოწერილი ტონური საშუალებანი[129]. მაგრამ საჭიროა წინასწარ გამაფრთხილოთ, ვისი მოწვევა უფრო გსიამოვნებთ. ვეცდები, თქვენთვის სასურველ საზოგადოებას მოვუყარო თავი.
- თუ ასეა, მოგახსენებთ: მიყვარს მომავლის მქონე კაცები, ხოლო ქალებში კი მათი წარსული მიტაცებს, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ. - თუ ფიქრობთ, მხოლოდ ბანოვანთა კრებული იხმოთ?
- მგონი, ასე იქნება! - სიცილით დაეთანხმა ლედი ნარბორო. მერე წამოდგა და ლედი რექსტონს მიმართა:
- მაპატიეთ, გეთაყვა, ვერ შევნიშნე, რომ სიგარეტის მოწევა არ დაგიმთავრებიათ.
- ამაზე ნუ სწუხართ, ქალბატონო. მე ხომ საერთოდ ძალიან ბევრს ვეწევი. ვფიქრობ, მომავალში მეტი ზომიერება გამოვიჩინო.
- უმორჩილესად გთხოვთ, ამას ნუ გააკეთებთ, ლედი რექსტონ! - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ, - ზომიერება საბედისწერო რამ არის საერთოდ. ის იგივეა, რაც მოსაწყენი საჭმელ-სასმელი, თავშეუკავებლობა კი სადღესასწაულო ნადიმია. ლედი რექსტონმა ლორდ ჰენრის ცნობისმოყვარეობით დაუწყო მზერა.
- ლორდ ჰენრი, გთხოვთ ერთხელ ჩვენთან მობრძანდეთ და გარკვევით ამიხსნათ, რას გულისხმობთ? თქვენი თეორიები მეტისმეტად მომაჯადოებელია, - ჩურჩულით წარმოთქვა ქალმა და ოთახიდან ნელი რხევით გავიდა.
- აბა, ჩვენ ზედა სართულისაკენ გავწევთ, დიდხანს ნუღარ დააყოვნებთ, ნუ დაჰყვებით პოლიტიკასა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობას! - შემოსძახა კარის ზღურბლზე მდგარმა ლედი ნარბორომ, - თორემ უთქვენოდ წავიჩხუბებთ.
კაცებმა გადაიხარხარეს. აქამდე ბოლოში მჯდარი მისტერ ჩეპმენი წამოდგა და საპატიო ადგილი დაიჭირა სუფრის თავში. დორიანმა მას მიჰბაძა, ლორდ ჰენრის გვერდით დაჯდა. მისტერ ჩეპმენმა მართლაც მაშინვე პოლიტიკაზე გააბა ხმამაღალი საუბარი. ეს კაცი გაბედულად დასცინოდა საკუთარ მტრებს. საკითხი თემთა პალატის იმჟამინდელ მდგომარეობას ეხებოდა. ბრიტანელთათვის ესოდენ საშიში სიტყვა „დოქტრინერი“ დროგამოშვებით გაისმოდა მათ ხმამაღალ სიცილში. განმეორებით წარმოთქმული თავსართი მჭერმეტყველების ძვირფას სამკაულს წააგავდა. ორატორმა ბრიტანული დროშა ფიქრის კოშკს ააცდინა და სადღაც ზევით ააფრიალა. ამასთანავე ასაბუთებდა, ბრიტანეთის ერის მემკვიდრეობითი უგუნურება საზოგადოების ნამდვილ დასაყრდენს წარმოადგენსო (ის თუმც ყოველივე ამას, რა თქმა უნდა, ინგლისელი ხალხის საღ აზრს უწოდებდა).
დამცინავმა ღიმილმა შესძრა ლორდ ჰენრის ბაგე. მერე ორატორისაკენ მაშინვე ზურგით შებრუნდა და დორიანს გადახედა.

- თავს უკეთ გრძნობთ არა, დორიან? - ჰკითხა მან. - ძალიან უგუნებოდ მეჩვენეთ სადილობისას.
- დიახ, უკეთ გახლავართ, ჰარი. დავიღალე, მიზეზი ეს უნდა იყოს.
- გუშინღამ კი საოცრად მიმზიდველი ჩანდით. მთავრის პატარა მეუღლე მთლად დაატყვევეთ. გამომიტყდა, სელბიში აპირებს გეწვიოთ.
- დიახ, ამ თვის ოცში დამპირდა მოსვლას.
- მონმაუთიც თან ჩამოჰყვება?
- რაღა თქმა უნდა.
- საშინლად მომაბეზრა თავი ამ კაცმა. თითქმის ისევე, როგორც თვით მთავრის მეუღლეს. ეს ქალი მეტისმეტად ჭკვიანია. წარმოიდგინეთ, უფრო ჭკვიანიც კი, ვიდრე ქალს შეეფერება. ქალური სისუსტის შეუდარებელი მომხიბვლელობის ნიშანწყალიც არ გააჩნია ამ შესანიშნავ არსებას. ოქროს სათაყვანო კერპს რომ თიხის ფეხები არა ჰქონდეს, განა ასე ძვირად შევაფასებდით? მთავრის მეუღლეს კი მეტად ლამაზი ფეხები აქვს, მაგრამ ისინი ხომ თიხისა არ არის, მე ვიტყოდი, უფრო მოვარდისფრო პორცელანის ფეხები დაჰყოლია. ამ ფეხთ ცეცხლშიაც გაუვლიათ და რასაც ცეცხლი ვერ ბუგავს და ანადგურებს, უფრო მეტად აწრთობს და აკაჟებს. ჩანს, ამ ქალმა მრავალ განსაცდელს გაუძლო ცხოვრებაში.
- დიდი ხანია ჯვარდაწერილია? - იკითხა დორიანმა.
- როგორც თვითონ მითხრა, ძალიან დიდი. პერთა წიგნში კი, როგორც მახსოვს, მგონი ათი წელიწადი უნდა იყოს ჩაწერილი. მაგრამ ათი წელი მონმაუთთან ერთად, რა თქმა უნდა, საუკუნედ მოეჩვენებოდა. ვინ გეწვევათ მათთან ერათად კიდევ?
- უილობი და ლორდ რეგბი მეუღლეებითურთ. დღევანდელი ჩვენი დიასახლისი ლედი ნარბორო, ჯეფრი გლოსტონი, ერთი სიტყვით, ყველა ისინი, ვინც ჩვეულებრივ თავს ვიყრით ხოლმე, მართლა, კიდევ ლორდ გროტრიანიც მოვიწვიე.
- ოჰ, ეს კი ფრიად სასიამოვნოა სწორედ. მას დიდად ვაფასებ, - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ. - ძალიან ბევრს თვალში არ მოსდის, მაგრამ მე კი, უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან მომწონს, შესანიშნავი ადამიანი. ხადახან თუ მეტისმეტად გადაჭარბებული ჩაცმა-დახრუვითაა გატაცებული, ყოველივეს მხოლოდ იმითაც გამოისყიდის, რომ ბრწყინვალე განათლების პატრონია. ამავე დროს ფრიად თანამედროვე ადამიანიც.
- არ ვიცი, მართალი მოგახსენოთ, შესძლებს თუ არა მოსვლას, ჰარი. შესაძლოა, მამამისთან ერთად მონტე-კარლოს გაემგზავროს.
- ოჰ, რა აუტანელი ხალხია ეს მშობლები! თქვენ მაინც ყველაფერი იღონეთ, რომ მოვიდეს. სხვათა შორის, დორიან, გუშინ საღამოს ძალიან მალე გაგვეცალეთ, ჯერ თერთმეტიც არ იყო! რას აკეთებდით? ნუთუ პირდაპირ შინ წახვედით ისე ადრე?
დორიანმა ლორდ ჰენრის ელვისებური მზერა სტყორცნა და შუბლი შეიკრა.
- ოჰ, არა, ჰარი, - წარმოთქვა მან ბოლოს, - სამ საათამდე შინ არ მივსულვარ.
- კლუბში იყავით?
- დიახ, - უპასუხა მან და ტუჩი მოიკვნიტა, - უფრო სწორედ არა. კლუბში არ

ვყოფილვარ. ისე დავეხეტებოდი. არ მახსოვს, სად ვიყავი... რა ცნობისმოყვარე ხართ ჰარი? ყოველთვის ცდილობთ გამოიცნოთ, რით არის გართული ადამიანი, მე კი ვცდილობ დავივიწყო, რასაც ვაკეთებდი. თუ სწორად გნებავთ იცოდეთ, შინ სამის ნახევარზე მივედი. გასაღების წამოღება დამვიწყებოდა და კარი მსახურმა გამიღო. თუ დასამტკიცებელ საბუთს მოითხოვთ, მაშინ შეგიძლიათ ჩემს მსახურს ჰკითხოთ.
ლორდ ჰენრიმ მხრები აიჩეჩა.
- როგორ გეკადრებათ, ყმაწვილო, მე მხოლოდ ზრუნვის თვალსაზრისით გკითხეთ. მოდით, სასტუმრო ოთახში ავიდეთ. გმადლობთ, მისტერ ჩეპმენ, შერის არ გეახლებით. თქვენს თავს რაღაც ამბავია, დორიან! მითხარით რა გემართებათ? კაცის ფერი აღარ გადევთ.
- ოჰ, ჰარი, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ძალიან უგუნებოდ ვარ ამ წუთში. თქვენს სანახავად ხვალ ან ზეგ შემოვივლი. ლედი ნარბოროს წინაშეც დიდ ბოდიშს ვიხდი. მაღლა ვეღარ ამოვალ, შინ უნდა წავიდე. აუცილებად ახლავე უნდა წავიდე.
- კეთილი, დორიან, იმედია ხვალ ჩაიზე შემოივლით, მთავრის მეუღლეც იქ დაგხვდებათ.
- ვეცდები მოვიდე, - უპასუხა დორიანმა და ოთახიდან გავიდა.
დორიანი პირდაპირ შინ გაემგზავრა. იგრძნო, რომ შემაძრწუნებელი შიში, რომელიც თითქოს დათრგუნა, კვლავ დაუბრუნდა. ლორდ ჰენრის შემთხვევითმა შეკითხვებმა წამიერად წონასწორობა დააკარგვინეს. უნდოდა თავს მორეოდა და როგორმე დამშვიდებულიყო. საშიში საგნები უნდა მოესპო, რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ ამის გაფიქრებაზედაც კი ჟრუანტელი უვლიდა მთელ სხეულში და საოცრად აძრწუნებდა. ამ საგნების ხელის შეხებაც მათდამი უცნაურ ზიზღსა და სიძულვილს განაცდევინებდა. მაგრამ ეს ხომ გარდაუვალი იყო.
ბიბლიოთეკაში შევიდა, შიგნიდან ჩაკეტა. მერე კედელში დატანებული საიდუმლო კარი გამოაღო, სადაც ბეზილ ჰოლუორდის პალტო და ჩანთა შეაწყო. ბუხარს გადახედა, შიგ ცეცხლი გიზგიზებდა. დორიანმა კიდევ სხვა ერთი დიდი მორიც დაუმატა ცეცხლს. ალმოკიდებული ქსოვილის ტრუსისა და დამწვარი ტყავის სუნი აუტანელი გახდა. ყველაფრის მოსპობას საათის მეოთხედი მაინც დასჭირდებოდა. დასასრულს საოცრად დასუსტდა და თითქმის გული მისდიოდა. ალჟირულ არომატულ ტაბლეტებს ტაფაზე ცეცხლი წაუკიდა. ხელებსა და შუბლზე მუშკისმაგვარი, სუნის გამქრობი ძმარი იპკურა. მერე უცებ ფეხზე წამოიჭრა. თვალები საოცრად გაუფართოვდა. ფართოდ გაღებულ თვალებში ცეცხლი გამოკრთა. ქვემო ტუჩს ნერვიულად იკვნეტდა - ორ სარკმელს შუა, დიდი ფლორენციული აბანოზის, სპილოს ძვლითა და ლილაქვის მოზაიკით მოპირკეთებული კარადა იდგა. დორიანი მოჯადოებულივით მისჩერებოდა მას და შიშით თრთოდა. თითქოს მასში ეგულებოდა ის, რასაც ასე თავდავიწყებით თავისკენ იზიდავდა და ამავე დროს მეტისმეტად ეზიზღებოდა. სუნთქვა საოცრად გაუხშირდა. გიჟური, ყოვლად აუტანელი სურვილი ამოძრავებდა. სიგარეტს მოუკიდა და მალევე მიანება თავი. ქუთუთოები ისე მოუდუნდა და დაბლა დაუშვა,

თითქოს გრძელი ხშირი წამწამები ლოყებს შეეხო, მაგრამ კარადას კვლავ თვალმოუშორებლად შეჰყურებდა. ბოლოს ფეხზე წამოიჭრა. კარადას მიუახლოვდა, კარი გამოაღო, და ხელი საიდუმლო ზამბარას დააჭირა. სამკუთხედი უჯრისმაგვარი ყუთი ნელ-ნელა წინ მოიწევდა. დორიანმა ხელები ინსტიქტურად მისკენ გასწია, თითები შიგნით ჩააცურა და რაღაც ამოიღო. ეს პაწაწინა ჩინური ყუთი აღმოჩნდა, შავად და ოქროსფრად გალაქული, ოსტატთა საგულდაგულო ნახელავი, გარეთა კედელზე ტალღური ორნამენტით ნაჩუქურთმევი, აბრეშუმის ზონარებით შეკრული, რომელიც ბროლის მძივებითა და ლითონის სიმებით თავდებოდა. დორიანმა ყუთი გახსნა და შიგ მოელვარე მომწვანო ფერის მეტად მძიმე და უცნაური სუნის სანთლისებრ პასტას მოჰკრა თვალი.
წამით შეყოყმანდა, მეტად უჩვეულო ღიმილი დააკვდა ბაგეზე. თუმცა ოთახში საოცრად ცხელოდა, დორიანი მაინც აცახცახდა. ოდნავ შეინძრა, საათს შეხედა. თორმეტს ოცი წუთი აკლდა. ყუთი ისევ თავის ადგილას მოათავსა. კარადის კარი მიხურა და საწოლ ოთახში გავიდა.
სიბნელეში ბრინჯაოს საათის რეკვა გაისმა. დორიანი მიხვდა, რომ საათმა საშუაღამეო დარეკა. მაშინვე უბრალო სამოსი გადაიცვა, ყელზე შარფი შემოიხვია და სახლიდან მეტად ფრთხილად გავიდა. ბონდ-სტრიტზე კებს წააწყდა. შიგ საუკეთესო ცხენი ება. მეეტლე მოიხმო და ხმამაღლა მისამართი ჩასჩურჩულა.
მეეტლემ თავი დაუქნია.
- ძალიან შორს არის, - ჩაიბუტბუტა მან.
- აი, სოვერენი[130], - უთხრა დორიანმა. - თუ ჩქარა წამიყვანთ, მეორესაც მიიღებთ.
- კეთილი, სერ, ერთ საათში იქ იქნებით.
კაცმა გასამრჯელო შეინახა, ცხენი შემოაბრუნა და მდინარე ტემზის მიმართულებით გასწია.

თავი XVI

ცივი წვიმა წამოვიდა. ქალაქში სველი ნისლი ჩამოწვა. ჩაბნელებულ ფარნებში მქრქალი სინათლე სულს ღაფავდა. საკრებულო სახლები და სამიკიტნოები უკვე იხურებოდა. ყოველ კარებთან კაცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და სიბნელეში მათ სილუეტებს ადამიანის თვალი ძლივს გაარჩევდა. ზოგიერთი დუქნიდან ველური ხარხარი მოისმოდა. სხვებში კი მთვრალები ერთმანეთს ედავებოდნენ და ხმამაღლა გაჰყვიროდნენ. დორიანი ეტლის ზურგს მიყრდნობოდა, ქუდი შუბლზე ჩამოეწია და გულცივად შეჰყურებდა დიდი და ბინძური ქალაქის საზიზღარ სურათებს. დროგამოშვებით კი იმეორებდა ლორდ ჰენრის ნათქვამ სიტყვებს, რომელიც მან პირველი შეხვედრის დროს წარმოთქვა: სული გრძნობამ უნდა განკურნოს, ხოლო გრძნობის მკურნალი სულიაო. აი, მთელი ამქვეყნიური საიდუმლო. დორიანი ხშირად ცდილობდა ასე მოქცეულიყო ცხოვრებაში, და ახლაც შეეცდება ასე იმოქმედოს. არის ოპიუმის მწეველთა თავშესაფრები, სადაც ადამიანს შეუძლია ფასით შეისყიდოს თავდავიწყება. არის ისეთი ამაზრზენი

ჯურღმულებიც, სადაც ძველ ცოდვათა ხსოვნა შეიძლება ახალი ცოდვების წყალობით მიღებულ სიგიჟეში ჩავკლათ.
მთვარე თითქოს სულ დაბლა ეკიდა ცაზე, როგორც ჩაყვითლებული თავის ქალა. დროგამოშვებით უზარმაზარი უფორმო ღრუბელი მოგრძო მკლავს მოხვევდა ხოლმე მას და ფარავდა. აირის მკრთალი სანათურები თანდათანობით შემცირდა და ქუჩებიც უფრო და უფრო ვიწრო და ბნელი მოჩანდა. მეეტლემ გზაც კი დაკარგა და ნახევარი მილის უკან გავლა მოუხდა. ცხენს ზურგზე ორთქლი ასდიოდა, რადგან აქა-იქ წუმპეში ვარდებოდა და ბინძური ამყაყებული წყალი ზედ ეშხაპუნებოდა. ეტლის გვერდით სარკმლები მონაცისფრო ნისლს დაეფარა. „სული გრძნობამ უნდა განკურნოს, ხოლო გრძნობის მკურნალი სულია“. როგორ რეკდა ახლა ეს სიტყვები დორიანის ყურში. დიახ, სული სასიკვდილოდ იყო დაავადებული, მაგრამ მართლა შეეძლო გრძნობას მისი განკურნება? მან ხომ უდანაშაულო სისხლი დაღვარა, რით შეიძლებოდა მისი გამოსყიდვა? ოჰ, არა, ამის გამოსყიდვა არ მოხდებოდა. მაგრამ თუ პატიება არ შეიძლება, მაშინ დავიწყებას რა უდგას წინ? და გონებაში მტკიცედ გადაწყვიტა, ყოველივე სამუდამოდ დაევიწყებინა, მეხსიერებიდან ამოეშალა, ფეხქვეშ გაესრისა და მოესპო, როგორც ასპიტი, რომელიც ადამიანს სასიკვდილოდ გესლავს. მართლაც რა უფლება ჰქონდა ბეზილს მასთან ასე ელაპარაკა? ვინ დანიშნა ის სხვა ადამიანთა მსაჯულად? მან მეტისმეტად მოურიდებელი სიტყვები შეჰკადრა. დიახ, საშინელზე საშინელი და აღმაშფოთებელი. მათი ატანა ყოველად წარმოუდგენელი იყო.
ეტლი ძლივძლივობით განაგრძობდა მოძრაობას. ბოლოს ყოველ ნაბიჯზე უკლო სვლას. დორიანმა სარკმლის მინა ჩამოსწია და მეეტლეს შესძახა, ჩქარა ევლო. ოპიუმით სწრაფად დათრობის ჯოჯოხეთური სურვილი დაეუფლა. ეს საზარელი შეგრძნება აუტანელ ტკივილებს აყენებდა, მთელ არსებას უღრღნიდა და აწამებდა. ყელი გაუშრა და საშინლად ეწვოდა. ნატიფი ხელები, ერთმანეთზე მტკიცედ გადაჭდობილი, კრუნჩხვებისაგან ეგრიხებოდა. ამ გიჟური შფოთვის წამებში სრულიად მოულოდნელად უცებ თავისი ჯოხი საოცარი გამეტებით გადაჰკრა ცხენს. მისი საქციელით განცვიფრებულ მეეტლეს სიცილი აუტყდა, მაგრამ მალევე გაჩუმდა. მერე მეეტლემაც უთავაზა რამდენჯერმე მათრახი საბრალო ცხოველს და თითქმის ამის გამო დორიანსაც უმიზეზო სიცილი აუვარდა.
გზა დაუსრულებელი ჩანდა. ქუჩები ისე ბნელი და მიხვეულ-მოხვეული, როგორც ობობას დახლართული ქსოვილი. მათი ერთფეროვნება აუტანელი შეიქმნა. ნისლი გასქელდა. დორიანს კვლავ შემაძრწუნებელი შიში დაეუფლა.
მთლად განმარტოვებით მდგარ აგურის ქარხნებს ჩაუარეს. აქ ნისლი ოდნავ შეთხელდა და გარკვევით გამოჩნდა ბოთლისმაგვარი ფორმის აგურის საწვავი ღუმელები, რომლებიდანაც მოყვითალო ცეცხლის ენები მარაოსმაგვარად ჰაერში აჭრილიყვნენ. ეტლმა მათ სულ ახლოს ჩაუარა, ძაღლის გაბმული ყეფა და სადღაც უფრო შორეული ბნელეთიდან კი გზადაბნეული თოლიას ჩხავილი ისმოდა. ცხენს ოდნავ ფეხი წაუბორძიკდა, ნაკვალევში ჩავარდა, მერე განზე

გაიწია და ბოლოს ნავარდით გასწია.
რამდენიმე ხნის შემდეგ, მათ თიხნარი გზა დააგდეს და ეტლი კვლავ უწორმასწორო ქვეფენილზე არახრახდა. სახლების სარკმელებში შუქი არ მოჩანდა. მხოლოდ აქა-იქ განათებული ბინის ფარდებზე ილანდებოდა უცნაურ გამოსახულებათა სილუეტები. დორიანი დიდი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა მათ თვალს. სილუეტები ვეებერთელა თოჯინებივით იგრიხებოდნენ და ცოცხალი ადამიანებივით ხელებს გაცხარებით იქნევდნენ. დორიანს სძაგდა ისინი. მის გულში ფარულმა მძულვარებამ გაიღვიძა. მერე ორი კაცი ეტლს სირბილით დაედევნა, დაახლოებით ასი იარდის მანძილზე. მეეტლემ ისინი შოლტით მოიშორა.
ნათქვამია, ვნებით გატაცება ადამიანის გონებას ჩიხში ამწყვდევს, ფიქრის გასაქანს არ აძლევს და ყოველი მისი აზრი ერთ დახურულ რკალში ტრიალებსო. სინამდვილეში დორიანის დაკბენილი ბაგენიც თითქმის მომაკვდინებელი დაჟინებით მანამდე იმეორებდნენ სულისა და გონების შესახებ ცნობილ ვერაგულ ფრაზას, სანამ თავი არ დაირწმუნა, რომ ეს ფრაზა მთლიანად გამოსახავდა მის განწყობილებას და ამართლედა ვნებას, რომელნიც ამ განსჯისა და გამართლების მიუხედავად მთლიანად დაიმონებდა მის არსებას. მისი ტვინის ყოველი უჯრედი მხოლოდ ერთ ფიქრს მოეცვა. ეს იყო სიცოცხლის შეუნელებელი წყურვილი. თითოეული ადამიანის გახელებული სურვილებიდან ყველაზე მეტად შიში. ახლა ის იძულებით ათრთოლებდა მის ცალკეულ ნერვსა და სხეულის თითოეულ უმცირეს ნაწილაკს. ცხოვრების სიმახინჯე, რომელიც ოდესღაც ასე სძულდა, რადგან მუდამ სინამდვილესთან აახლოებდა. ამავე მიზეზთა გამო ახლა ძვირფასი შექმნილიყო მისთვის. დიახ, სიმახინჯეა ერთადერთი რეალობა: თავბრუდამხვევი ჩხუბი და აყალმაყალი, ბინძური, გულის ამრევი თავშესაფრები, დაუსრულებელი გახრწნილება და სიმრუშე, ქურდების, ქვეყნის ნაძირალათა და ავაზაკთა ზნედაცემულობა უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მის გონებასა და წარმოსახვის უნარზე, ვიდრე ხელოვნებისა და ოცნების უმშვენიერესი ქმნილებანი, რომელთაც სიმღერებში უგალობენ. აი, სწორედ ესენი სჭირდებოდა ახლა მას, რომ თავდავიწყებას მისცემოდა. სამ დღეში უკვე განთავისუფლდა და სასურველ თავდავიწყებას მიეცემოდა მთლიანად.
მეეტლემ ერთი ბნელი მოსახვევის თავში უცებ მოწყვეტით შეაჩერა ეტლი. დაბალსახურავებიანი სახლების უსწორმასწორო ბუხრის საკვამურებს მაღლა, ძალიან შორს, გემების შავი აფრები ამართულიყო. გამჭვირვალე იალქნისმაგვარი თეთრი ნისლის ბოლქვები ქანდარებს ელამუნებოდა.
- აქ უნდა იყოს, სერ, არა? - ჩასძახა მეეტლემ ხრინწიანი ხმით დორიანს სარკმლის შიგნით.
დორიანმა წამოიწია და მიდამოს გარშემო თვალიერება დაუწყო.
- დიახ, აქ უნდა იყოს, - გაისმა დორიანის პასუხი. ის სწრაფად გადმოვიდა ეტლიდან, მეეტლეს დაპირებული სოვერინი გადასცა და ჩქარი ნაბიჯით სანაპიროს მიმართულებით გაეშურა. აქა-იქ ვეებერთელა სავაჭრო გემებზე მკრთალად ბჟუტავდნენ სანათურები. სინათლის ანარეკლი გუბურების

ზედაპირზე ტყდებოდა, ირხეოდა და ციმციმი გაჰქონდა. მას ქვანახშირით ტვირთავდნენ. ქვაფენილი სველი მაკინტოშივით ლაპლაპებდა.
დორიანი სწრაფი ნაბიჯით მიეშურებოდა მარჯვნივ. უკან ხშირად იყურებოდა, რათა დარწმუნებულიყო, ხომ არავინ ამედევნაო. დაახლოებით შვიდსა თუ რვა წუთში ერთ პატარა მოძველებულ სახლს მიაღწია. სახლი ორ საკმაოდ იავარქმნილ ფაბრიკას შორის სოლივით იყო ჩასმული. ზემო სართულის ერთ-ერთი სარკმლიდან ლამპის შუქი გამოკრთოდა. დორიანი შეჩერდა და მეტად უცნაურად, რაღა თქმა უნდა, დათქმული ნიშნის მიხედვით დააკაკუნა.
რამდენიმე წუთის შემდეგ დერეფანში ფეხის ხმა გაისმა, საკეტმა ჯაჭვმა გაიწკრიალა და კარი ფრთხილად გააღო. დორიანი ჩუმად შევიდა შიგნით, ისე რომ ვეება მახინჯი გამოსახულებისათვის ერთი სიტყვაც არ უღირსებია, რომელმაც ჩრდილს შეაფარა თავი, რათა ახალმოსულისათვის გზა მიეცა.
დერეფნის ბოლოში მომწვანო ფერის დაფლეთილი ფარდა ეკიდა. ის კარის გაღებისთანავე, ოთახში ქუჩიდან სწრაფად შეჭრილმა გააფთრებულმა ქარმა ააფრიალა. დორიანმა ფარდა გვერდზე გადასწია და მოგრძო დაბალ ოთახში შევიდა, რომელიც მდაბიო ხალხის საცეკვაო დარბაზს უფრო მოაგონებდა ადამიანს. იქაურობას კედლებზე მიმაგრებული აირმაქუშები ანათებდა მკვეთრად. მათი მძაფრი სხივები მკრთალად და უსწორმასწოროდ ირეკლებოდა მოპირდაპირედ მდგარ, ბუზებისაგან დაბინძურებულ სარკეებში. აირმაშუქზე ჩამოცმული დანაოჭებული თუნუქის რეფლექტორები ცეცხლის მოცახცახე რგოლებს წააგავდნენ. იატაკი მოყავისფრო-მოყვითალო ნახერხით დაეფარათ, რომელზედაც აქა-იქ ტალახიანი ფეხსაცმლის კვალი დაღვრილიყო შავი ღვინოს ლაქა ემჩნეოდა. მუხლებზე ჩაცუცქული მალაიელები კამათელს აგორებდნენ. თუნუქის ღუმელის ახლოს ზარს თამაშობდნენ, უთავბოლოდ ყბედობდნენ და სიცილის დროს თეთრ კბილებს აღრჭენდნენ. ერთ კუთხეში მაგიდაზე მკერდით გადაწოლილი ვიღაც მეზღვაური იჯდა და თავი ხელებში ჩაერგო. უგემური, მყვირალა ფერებით შეღებილ დახლთან, რომელიც კედელს მთელ სიგრძეზე ჩასდევდა. ორი საცოდავად გალასლასებული ქალი იდგა და მოხუც კაცს დასცინოდა. მოხუცი პალტოს სახელოებს ჯაგრისით იწმენდდა და სახეზე საოცარი ზიზღი ეხატებოდა.
- ალბათ ჰგონია, რომ წითელი ჭიანჭველები ეხვევიან, - სიცილით წარმოთქვა ერთმა მათგანმა, როდესაც დორიანმა გვერდით ჩაუარა. მოხუცმა ქალს შიშით გადახედა და კვლავ აფშლუკუნდა.
შორს, ოთახის დასასრულს პატარა კიბე მოჩანდა, რომელიც სხვა ჩაბნელებულ ოთახში ადიოდა ზევით. როგორც კი დორიანმა კიბის სამი მორყეული საფეხური აჩქარებული ნაბიჯით აიარა, მსწრაფლვე ცხვირ-პირში ოპიუმის მძიმე სურნელება ეცა. ჰაერი მაშინვე ღრმად ჩაისუნთქა და ცხვირის ნესტოები სიამოვნებისაგან აუცახცახდა. ოთახში შესვლისთანავე ოქროსფერთმიან ახალგაზრდა კაცს მოჰკრა თვალი, რომელიც ლამპაზე მოგრძო და წვრილტარა ჩიბუხს ანთებდა. დორიანმა დანახვისთანავე იცნო, დააკვირდა და გაუბედავად დაუკრა თავი.
- თქვენც აქა ხართ, ედრიენ? - ჩაიბუტბუტა მან.

- აბა სად უნდა ვიყო? - გამოეპასუხა ახალგაზრდა კაცი გულგრილად. - ჩემი არც ერთი მეგობარი აღარ მელაპარაკება.
- მეგონა, სამუდამოდ დატოვეთ ინგლისი.
- დარლინგტონი არაფრის გაკეთებას არ აპრიებს. ჩემმა ძმამ, როგორც იქნა საბოლოოდ ვექსილის თანხა დაფარა. ჯორჯი ხმას არ მცემს ისევ, მაგრამ განა სულ ერთი არ არის? - დაუმატა მან ოხვრით. - სანამ აი, ეს საშუალება არსებობს, მეგობრები არა მჭირდება. თუმც, მგონი, ძალიან ბევრი მეგობარი მყავდა. დორიანს გააჟრჟოლა. გარშემო მიმოიხედა და საოცრად დამახინჯებულ გამოსახულებებს დაუწყო თვალიერება, რომლებიც მეტად უჩვეულო პოზებში დაგლეჯილ ლეიბებზე გაშხლართულიყვნენ. ეს დაკრუნჩხული ხელები, პირდაღებული სახეები და ერთ წერტილში გაშტერებული უსიცოცხლო თვალები აჯადოებდა მას. კარგად იცოდა იმ საოცარი სამოთხის ტკივილები, რომელშიც წამებით სული ხდებოდა ამ საცოდავ ადამიანებს. ასევე იცნობდა იმ ბნელ ჯოჯოხეთს, რომელმაც ახალ სიამეთა საიდუმლოებანი ამცნო მათ. ახლა ისინი უფრო ბედნიერი იყვნენ, ვიდრე თვითონ. ის ხომ ამჟამად აზრის მონად იყო ქცეული. ხსოვნა, როგორც საშინელი დაავადება, ისე ღრღნიდა მის სულს. ზოგჯერ ბეზილ ჰოლუორდის ანთებული თვალები მოეჩვენებოდა, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ და პირდაპირ თვალებში შეჰყურებდნენ. თუმცა ძალიან უჭირდა, მაგრამ გადაწყვიტა, რომ მისი აქ დარჩენა შეუძლებელი იყო. ედრიენ სინგლტონის იქ ყოფნა სწეწდა მის სულს. ისეთ ადგილას სურდა წასვლა, სადაც ვერავინ იცნობდა. უნდოდა საკუთარ თავსაც გაქცეოდა იმ წუთებში.
- სხვა ადგილს მოვნახავ, - თქვა მან ცოტა ხნის დუმილის შემდეგ.
- ნავსაშენში?
- დიახ.
- დარწმუნებული ვარ, ის გარეული კატა იქ ეგდება, მას აქ აღარ უშვებენ. დორიანმა მხრები აიჩეჩა.
- ოჰ, რა გულს მირევს და მეზიზღება ყველა შეყვარებული ქალი. ქალები, რომელთაც სძულხართ, უფრო მეტად საინტერესონი არიან. გარდა ამისა დამათრობელი ბანგი იქ უმჯობესია.
- არა მგონია, ასეთივე უნდა იყოს.
- მე ის უფრო მომწონს. მოდი, რამე დავლიოთ. რატომღაც ძალიან მომინდა სასმელი ამ საღამოს.
- მე კი არაფერი მინდა, - ჩუმად ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ.
- განა სულ ერთი არ არის! წავიდეთ.
ედრიენ სინგლტონი უსიცოცხლოდ წამოდგა და დორიანს ბუფეტისაკენ გაჰყვა. დახეულ დოლბანდიანმა და გრძელ გაცვეთილ პალტოში ამოსუსულმა მულატმა საშინელი ღრეჭით ორივეს თავი დაუკრა, მერე მაგიდაზე ერთი ბოთლი ბრენდი და ჭიქები ხმაურით დააწყო. ქალები მათ მაშინვე გვერდზე ამოუდგნენ და ყბედობა გაიბეს. დორიანმა ქალებს ზურგი შეაქცია და სინგლტონს რაღაც უთხრა ჩუმად. ერთმა ქალმა ალმაცერად გაიღიმა და სახეზე თითქოს კრუნჩხვამ გადაუარაო, შეშლილივით დაიმანჭა.

- ოჰ, რა ამაყად უჭირავთ თავი დღეს! - ჩაიფრუტუნა მან.
- თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე! - წამოიძახა დორიანმა და ფეხი იატაკს დაჰკრა. - რა გნებავს, ფული? აჰა გამომართვი, მაგრამ არ დამელაპარაკო.
ორმა წითელმა ნაპერწკალმა წამიერად იელვა ქალის მიმქრალ თვალებში და მაშინვე ჩაქრა. მათში კვლავ უსიცოცხლო გამომეტყველებამ დაისადგურა. მერე ქალმა თავი გადაიქნია და დახლზე დაყრილი ფული ხარბად წამოჰკრიფა. მეორე ქალი კი შურით აღვსილი უთვალთვალებდა მის საქციელს.
- რა საჭიროა ეს ყოველივე? - ამოიოხრა და შეწყვეტილი საუბარი განაგრძო ედრიენ სინგლტონმა. - უკან დაბრუნება სრულიადაც არ მაინტერესებს, რისთვის? რას ნიშნავს ეს ყოველივე? აქაც კარგად ვგრძნობ თავს.
- მოიწერეთ, თუ რამე დაგჭირდეთ. პირობას მაძლევთ, არა? - ჰკითხა დორიანმა ცოტა ხნის დუმილის მერე.
- შესაძლებელია.
- ღამე მშვიდობისა.
- ღამე მშვიდობისა, - უპასუხა ახალგაზრდამ. თან კიბეზე ადიოდა და გამშრალ ტუჩებს ცხვირსახოცით იწმენდდა.
დორიანმა მას გულისტკივილით გააყოლა თვალი და გასასვლელისაკენ გაემართა. როგორც კი ფარდა გადასწია, ქალის ამაზრზენი სიცილი გაისმა. შენიშნა, სწორედ ის ტუჩებშეღებილი ქალი იცინოდა, ვისაც ფული აჩუქა.
- აი, ეშმაკის კერძი მიდის უკვე! - ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა მან და თან სლოკინი აუტყდა.
- წყეულიც იყავ! - უპასუხა დორიანმა. - როგორ ბედავ, ასე მომმართო?
ქალმა თითები გაატკაცუნა და ყვირილით უკან დაედევნა:
- მომაჯადოებელი უფლისწული გნებავს დაგიძახონ, არა?
მთვლემარე მეზღვაური ქალის ხმაზე ფეხზე წამოიჭრა და დაფეთებულმა აქეთ-იქით ყურება დაიწყო. დერეფნიდან კარის დახურვის ხმამ რომ მოაღწია, ისე გავარდა გარეთ, თითქოს ვინმე დასდევნებიაო.
გადაუღებელ თქორში დორიანი სწრაფი ნაბიჯით მიჰყვებოდა სანაპიროს. ედრიენ სინგლტონთან შეხვედრამ ძალზე შეუშფოთა სული. ახლა იმაზე ფიქრობდა, ამ ახალგაზრდა კაცის ცხოვრების გაუკუღმართების მიზეზი მართლა მას აწვა თუ არა მძიმე ცოდვად კისერზე, როგორც ბეზილ ჰოლუორდმა განუცხადა ისე პირდაპირ და შეურაცხმყოფელად? დორიანმა, ტუჩზე იკბინა და წამიერად მის თვალებში სევდამ დაისადგურა.
ბოლოს და ბოლოს ეს ყოველივე რას ნიშნავს მერე? ადამიანის ცხოვრება ისე ხანმოკლეა, რომ სხვისი შეცდომების ტვირთვად აკიდება რაღა საჭიროა? ყველა თავისი სურვილის მიხედვით ცხოვრობს და თავის ვალს თვითონვე იხდის. სავალალო და სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ადამიანს ერთი შეცდომის გამო ასე დაუსრულებლად სთხოვენ პასუხს და ანგარიშს უსწორებენ. თვით ბედისწერა ადამიანთან ანგარიშის გასწორების დროს არასოდეს მას ვალმოხდილად არ თვლის.
ფსიქოლოგები ირწმუნებიან რომ, არის თურმე წუთები, როდესაც ცოდვის

ჩადენის წყურვილი, ან რასაც ქვეყანა შეცოდებად უთვლის ადამიანს, ისე მომძლავრდება და გაბატონდება ადამიანის სულში, რომ სხეულის ყოველი უმარტივესი უჯრედი ფრიად სახიფათო ინსტიქტებით იწყებს მოძრაობას და სამოქმედოდ ემზადება. ასეთ _____წამებში როგორც კაცი, ისე ქალი საკუთარ თავს ვერ
იმორჩილებს და ნებისყოფას მთლიანად კარგავს. ისინი ამ დროს დასაღუპავად განწირულნი ავტომატურად და თვითშეუგნებლად უფსკრულისაკენ მიისწრაფიან. მათ სხვა გამოსავალი არ დარჩენიათ. გონება ან სრულიად კვდება, ან სამუდამოდ დუმს. ან თუ ცოცხლობს, ესწრაფვის მაცდუნებელი ამბოხით სწეწდეს ცოდვის ჩამდენის მთელ არსებას და ამ დიდ დაუმორჩილებლობას განსაკუთრებული მიმზიდველობით მოსავს. თეოლოგებს კი რა დაღლით იმის მტკიცებით, რომ ყველა ცოდვათა შორის, უდიდესი ცოდვა, ეს დაუჯერებლობა და ურჩობაა. თვით ბოროტების წინამორბედი, ყოვლის შემძლე სული, ზეციდან მხოლოდ ამბოხების გამო განდევნეს, რამაც თვით მის შინაგან არსებაში იჩინა თავი.
გულგაციებული, სიმშვიდეს მონატრებული და ცოდვებით დამძიმებული დორიან გრეი, კაცი სამარცხვინო აზრებით აღსავსე, მეამბოხე სულისაგან სამუდამოდ სვეგამწარებული და განწირული წინ მიისწრაფვოდა და უფრო და უფრო აჩქარებდა ნაბიჯს. როდესაც ნაზრახი თავშესაფრისაკენ გზის შესამოკლებლად ბნელი თაღის ქვეშ გასასვლელში შეუხვია, უცებ ვიღაცამ უკნიდან მხრებში ჩაავლო ხელი და სანამ თავის დასაცავად რამეს მოახერხებდა, მისმა მძლავრმა და უხეშმა, ყელზე მაგრად შემოჭერილმა ხელებმა კედელზე ააკრეს. სიცოცხლის შესანარჩუნებლად დორიანმა ერთი თავგანწირულად გაიბრძოლა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და დასახრჩობად შემოჭერილი თითებისაგან, როგორც იყო, თავი გაინთავისუფლა. მეორე წამში დამბაჩის ხმა ჩაესმა და მის თვალწინ გარკვევით გაიელვა პრიალა ლულამ, რომელიც პირდაპირ შუბლში ჰქონდა დამიზნებული, ბინდში ძლივს გაარჩია, დაბალი, ჯმუხი ადამიანის გამოსახულება.
- რა გნებავთ? - ძლივს წარმოთქვა სუნთქვაშეკრულმა დორიანმა.
- არ გაინძრეთ! - გასცა განკარგულება უცნობმა. - თუ ერთ ნაიჯსაც გადმოდგამთ წინ, გესვრით.
- თქვენ ალბათ შეიშალეთ! რა დაგიშავეთ განა ასეთი?
- თქვენ იმსხვერპლეთ სიბილ ვეინი, - გაისმა პასუხად, - საბრალო სიბილ ვეინი ჩემი და იყო. მან თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ჩემთვის ყველაფერი ცნობილია. მის სიკვდილში ბრალი თქვენ მიგიძღვით. წასვლისას ფიცი დავდე, რომ თუ რამეს დაუშავებდით, შური უნდა მეძია თქვენზე; ამ წუთისოფლისათვის უნდა გამომესალმებინეთ. წლების განმავლობაში გეძებდით, ვერსად კვალს ვერ მივაგენი. ის ადამიანები კი, რომელთაც შეეძლოთ დაწვრილებით ცნობები მოეცათ თქვენზე, უკვე იმქვეყნად განისვენებენ. არაფერი ვიცოდი თქვენ შესახებ სრულიად, გარდა იმ მოსაფერებელი სახელისა, რომელიც ჩემმა დამ ოდესღაც თვითონ გიწოდათ. დღეს სრულიად შემთხვევით გავიგონე ეს სახელი. ახლა კი

დროა ილოცოთ, ღმერთს შენდობა შესთხოვოთ, რადგან ახლავე უნდა გაემგზავროთ იმქვეყნად.
დორიან გრეი შიშმა გააქვავა.
- მე ასეთს არავის ვიცნობდი ჩემს სიცოცხლეში, - ენის ბორძიკით ძლივს წარმოთქვა მან. - არაფერი მსნემია მის შესახებ. თქვენ ალბათ ჭკუაზე შეიშალეთ.
- უმჯობესია ცოდვები აღიაროთ, რადგან თქვენ ისევე მოკვდებით ახლა, როგორც მე ჯეიმს ვეინი ვარ.
აუტანელი წუთები დადგა. დორიანმა არ იცოდა, რა ეღონა.
- დაიჩოქეთ! - დაიღმუვლა ჯეიმს ვეინმა, - მხოლოდ ერთ წუთს გაძლევთ, რომ ილოცოთ, ამ საღამოს ინდოეთში მიცურავს ჩემი გემი. პირველ რიგში ეს საქმე უნდა დავამთავრო. ერთ წუთს გაძლევთ, იცოდეთ, მეტს არა.
დორიანს ხელები ჩაუცვივდა. შიშისაგან გაშეშებული გონწართმეული იდგა და არ იცოდა, რა ექნა. უცებ გონებაში მეტისმეტად უჩვეულო იმედმა გაუელვა.
- შეჩერდით! - წამოიყვირა მან. - რამდენი წელია, რაც თქვენი და გარდაიცვალა? მიპასუხეთ ჩქარა!
- უკვე თვრამეტი წელია, - მიუგო მეზღვაურმა, - რატომ მეკითხებით? წლები რა შუაშია?
- თვრამეტი წელი! - გაიცინა დორიანმა და მის ხმაში კვლავ იმედის ნაპერწკალმა გაიელვა, აღფრთოვანება დაეტყო. - თვრამეტი წელი! დამაყენეთ ფარნის შუქზე და სახეზე შემომხედეთ!
ჯეიმს ვეინი ერთ წამს ყოყმანობდა, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, ვერ გაეგო. მერე დორიანს ხელი სტაცა და თაღის ქვეშ გასასვლელიდან გარეთ გამოიყვანა.
თუმცა ფარნების სინათლე აქ მკრთალი იყო და ქარის ქროლვით შორ მანძილზე გაბნეულს ძალა გამოსცლოდა, მაინც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ჯეიმსს თავისი შეცდომა ცხადად დაენახა. ადამიანის სახე, ვისი მოკვლაც მან განიზრახა, ჯერ კიდევ სრულიად ნორჩი და ჭაბუკური გამომეტყველებისა იყო. ახალგაზრდული სიწმიდითა და უბიწოებით აღვსილი. ეს მხოლოდ და მხოლოდ ოცი წლის ჭაბუკის სახე გახლდათ. შესაძლებელია ცოტა უფრო მეტის, მაგრამ არა იმაზე მეტის, ვიდრე სიბილ ვეინი იყო მაშინ, როდესაც ისინი ურთიერთს გაშორდნენ მრავალი წლის წინათ. სრულიად გარკვევით ჩანდა, რომ ეს არ იყო ის კაცი, ვინც იმ შავბნელ უფსკრულში გადაჩეხა სიბილ ვეინი.
ჯეიმსმა დორიანს ხელი გაუშვა და ბარბაცით უკან დაიხია.
- ღმერთო დიდებულო, ღმერთო დიდებულო, კინაღამ არ გესროლეთ! - დორიანმა ძლივს ამოისუნთქა.
- დიახ, კინაღამ უმძიმესი დანაშაული ჩაიდინეთ, ჩემო კარგო, - წარმოთქვა დორიანმა და მკაცრი მზერა მიაპყრო ჯეიმსს. - დაე, ეს გაკვეთილი იყოს თქვენთვის. ადამიანმა შურისძიება ასე თავისუფლად კისრად არ უნდა აიღოს.
- მაპატიეთ, სერ, - ჩაიბუტბუტა ჯეიმს ვეინმა. - შემაცდინეს. სრულიად შემთხვევით განაგონმა ორმა სიტყვამ, რომელიც იმ ბუნაგში მოვისმინე, არასწორ კვალზე დამაყენა.
- უმჯობესია შინ წახვიდეთ და დამბაჩა შეინახოთ, თორემ რაიმე უბედურებას

გადაეყრებით, - უთხრა დორიანმა, მიტრიალდა და ქუჩას აუჩქარებლად გაჰყვა. ჯეიმს ვეინი შიშისაგან შეშფოთებული და გონდაკარგული ქვაფენილზე იდგა და მთელი სხეულით თრთოდა. რამდენიმე წამის შემდეგ რაღაც შავ აჩრდილს მიუახლოვდა, ის თითქოს სველ კედელზე სინათლისაკენ მიცოცდავდა, მერე ჩუმი ნაბიჯით მეზღვაურთან სულ ახლოს მიიპარა. ჯეიმსმა მხარზე ხელის შეხება იგრძნო, შეკრთა და სწრაფად მოიხედა. ეს ერთი იმ ქალთაგანი აღმოჩნდა, რომელიც იმ ბინძურ ბუნაგში დახლის წინ იდგა და სვამდა.
- რატომ არ მოკალი? - ჩაისისინა მან და თავისი ღონემიხდილი სახე მეზღვაურს სახესთან სულ ახლოს მიუტანა. - მივხვდი, რომ მას მისდევდი, როდესაც დეილიდან გამოვარდი. ოჰ, რა სულელი ყოფილხარ! უნდა მოგეკლა, ძალიან ბევრი ფული აქვს და ყველაზე ცუდი ადამიანია ამქვეყნად.
- ეს ის კაცი არ არის, ვისაც მე ვეძებდი, - უპასუხა ჯეიმს ვეინმა. - მის ფულს რა თავში ვიხლი, რად მინდა. მე მხოლოდ შური უნდა ვიძიო ერთ კაცზე. კაცი, რომელსაც მე ვეძებ, ახლა ორმოცი წლის მაინც იქნება. ეს კი ახალგაზრდა ჭაბუკია. მადლობა უფალს, რომ მის სისხლში არ გავისვარე.
- ქალმა მწარედ გადაიხარხარა.
- პატარა ბიჭი! - ქალმა კვლავ ჩაიცინა. - აი, უკვე თვრამეტი წელი იქნება, რაც მაგ მომაჯადოებელმა უფლისწულმა ასეთად მაქცია.
- ცრუობ, მაცდურო! - წამოიყვირა ჯეიმს ვეინმა.
ქალმა ხელები ზეცისკენ აღაპყრო.
- ღმერთის წინაშე ტყუილს ვერ ვიკადრებ, - წამოიძახა მან.
- ღმერთის წინაშე?
- ენა გამიხმეს, თუ მართალს არ ვამბობდე. ეს ყველაზე ცუდი კაცია მათ შორის, ვინც აქ დაეხეტება. ამბობენ, თურმე მაგას სული ეშმაკისათვის მიუყიდნია მაგ ულამაზესი სახის შესანარჩუნებლადო. აი, უკვე თვრამეტი წელი იქნება, რაც მაგას ვიცნობ. მის მერე დიდად არ შეცვლილა, როგორც, მაგალითად, მე, - დაუმატა მან ნაღვლიანი ღიმილით.
- მაშ, შეგიძლია დაიფიცო, რომ რაც მითხარი, მართალია?
- დიახ, ვფიცავ, - გაისმა ხრინწიანი ხმით წარმოთქმული სიტყვები, - მაგრამ არ გამცე, - კვლავ აწუწუნდა ქალი. - მეშინია. ახლა კი ღამის გასათევი ფული მომეცი. საშინელი გინებით მეზღვაური იქით გაიქცა, რომელ მოსახვევშიაც დორიანი თვალს მოეფარა, მაგრამ დორიანი აღარსად ჩანდა. როდესაც მეზღვაურმა უკან მოიხედა, ქალიც სადღაც გამქრალიყო.

თავი XVII

ერთი კვირის შემდეგ დორიან გრეი საკუთარ მამულში სელბი-როიალის ორანჟერეაში იჯდა და მონმაუთის მთავრის მშვენიერ მეუღლეს ესაუბრებოდა; ეს მომხიბვლელი ქალი სამოცი წლის დაუძლურებული მეუღლით სწვეოდა სტუმრად. ჩაის დრო იყო. გამჭვირვალე შუქფარით შემკული ვეებერთელა ლამპის მოლიბრო შუქი, რომელიც მაგიდაზე იდგა, ვერცხლით ნაჭედ უნაზეს პორცელანის სერვიზს დასციმციმებდა. იმ საღამოს სელბი-როიალში მთავრის მშვენიერი მეუღლე დიასახლისობდა. მისი ნატიფი თეთრი ხელები საოცარი

სინარნარით ირხეოდა ფინჯნებს შორის. მისი სავსე ალუბლისფერი ბაგენი კი განუწყვეტლივ იღიმოდნენ. ალბათ იმის გამო, რომ დორიანი საიდუმლოდ რაღაცას ჩასჩურჩულებდა ყურში. ლორდ ჰენრი, აბრეშუმგადაკრულ დაწნულ საქანაო სკამზე ნახევრად გადაწოლილი, მათ უთვალთვალებდა. ატმისფერ დივანზე კი ლედი ნარბორო იჯდა და ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს მონმაუთის მთავრის საუბარს გულდასმით უსმენდა. მთავარი დაწვრილებით აღწერდა ბრაზილიულ ხოჭოს, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მას თავისი კოლექციისათვის შეეძინა. სმოკინგებში კოხტად გამოწყობილი სამი ჭაბუკი სტუმარ მანდილოსნებს ჩაის ნამცხვრით უმასპინძლდებოდენ. სელბი-როიალს თორმეტი სტუმარი უკვე სწვეოდა და სხვებს მეორე დღეს მოელოდნენ.
- რის შესახებ მსჯელობთ? - იკითხა ლორდ ჰენრიმ, მაგიდას მიუახლოვდა და თავისი ფინჯანი დადგა. - იმედია, დორიანი გადმოგცემთ ჩემს სურვილს, გლედის, მინდა ყველაფერს სახელი გადავარქვა, შესანიშნავი აზრია, არა?
- მე კი სახელის შეცვლა სრულიადაც არ მსურს, ჰარი, - წარმოთქვა მთავრის მეუღლემ და მშვენიერი თვალები შეანათა. - სრულიად კმაყოფილი გახლავართ ჩემი საკუთარი სახელისა და დარწმუნებული ვარ დორიანიც უთუოდ კმაყოფილია.
- ძვირფასო გლედის, არაფრის გულისათვის ამქვეყნად ისეთ სახელებს არ შევცვლი, როგორიც თქვენი და დორიანისაა. ისინი ორივე სრულყოფილია. მე უმთავრესად მხედველობაში ყვავილები მაქვს. გუშინ ღილკილოში ჩასამაგრებლად ორქიდეა მოვჭერი. ეს იყო შესანიშნავად დაწინწკლული უტურფესი ყვავილი. ისეთივე მომაჯადოებელი, როგორც შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა. მაშინ დაუფიქრებლად მეგაღეს ვკითხე მისი სახელი. მან ამიხსნა, ეს „რობინზონიანის“ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენსო. მგონია, ამაზე უფრო არატკბილხმოვნად მჟღერი სიტყვაც იხმარება კიდევ. ფრიად სამწუხარო ჭეშმარიტება გახლავთ, რა თქმა უნდა, მაგრამ მე მგონია, ჩვენ უცილოდ დავკარგეთ უნარი მშვენიერი სახელები ვუწოდოთ ჩვენ გარშემო მყოფ საგნებს. სახელი ხომ ყველაფერია ამქვეყნად. არასოდეს არ ვუჯანყდები მოქმედებასა და ქცევას. დიდ მოთხოვნილებას მხოლოდ სიტყვებს ვუყენებ. აი, რისთვის ვერ ვიტან ვულგარულ რეალიზმს ლიტერატურაში. ის ადამიანი, რომელმაც ბარს ბარი შეარქვა, საჭირო იყო გვეიძულებინა მხოლოდ მით ემუშავა. ვფიქრობ, ის მხოლოდ ამ საქმისთვის გამოდგებოდა.
- მაშ, თქვენ რა უნდა გიწოდო ამიერიდან, ჰარი? - იკითხა მთავრის მეუღლემ
- უფლისწული პარადოქსი, - თქვა დორიანმა.
- კარგი ნათქვამია! - წამოიძახა მთავრის მეუღლემ.
- არა, თანახმა არა ვარ, მაგ სახელის გაგონება ერთხელაც არა მსურს. - გაიცინა ლორდ ჰენრიმ, და სავარძელში ჩაეშვა. - იარლიყი მოგეწებება და მისგან ხსნას ვერსაით იპოვი! ასეთ ტიტულზე უარს ვაცხადებ.
- სამეფო გვარის შთამომავლებმა უარი არ უნდა განაცხადონ, - მოისმა გამაფრთხილებელი პასუხი მშვენიერ ბაგეთაგან.
- ალბათ გნებავთ ტახტი დავიცვა?

- დიახ.
- მე ხომ მომავლის საიდუმლოებას საჯაროდ ვამხელ.
- მე კი თანადროულობის შეცდომებს ვირჩევდი, - უპასუხა მთავრის მუღლემ.
- იარაღს ნუ ამყრით, გლედის, - წამოიძახა ლორდ ჰენრიმ, რომელსაც ქალის განწყობილება გადაედო.
- ფარს გართმევთ და ლახვარს გიტოვებთ, ჰარი.
- განა ძალმიძს თავს დავესხა და ლახვარი ჩავცე სილამაზეს, გლედის, ეს კარგად უწყით, არასოდეს მოხდება, - თქვა ლორდ ჰენრიმ მოხდენილი ხელის მოძრაობით და მდაბლად დაუკრა თავი.
- მერწმუნეთ, შეცდომაა, ჰარი. სილამაზეს თქვენ მეტისმეტად დიდად აფასებთ.
- რა ბრძანებაა, გლედის, ჩემი აზრით, სილამაზე გაცილებით მაღლა უნდა დავაყენოთ, ვიდრე სათნოება, მაგრამ მეორე მხრივ კარგად მაქვს შეგნებული, რომ სათნოება სჯობს სიმახინჯეს.
- მაშინ სიმახინჯე ერთ-ერთი შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგანი ყოფილა, - წამოიძახა მთავრის მეუღლემ, - როგორღა შეადარეთ ის ორქიდეას?
- სიმახინჯე ერთ-ერთი ამ შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგანი კი არ არის, არამედ შვიდ ღირსებათა ერთ-ერთი სახეობა უნდა იყოს, გლედის. თქვენ როგორც ტორების თავგამოდებულ დამცველს, მათი შეუფასებლობა არ გეკადრებათ. ლუდმა, სახარებამ და ამ შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათა მადლმა აქცია ინგლისი ისეთად, როგორიცაა ამჟამად.
- მაშასადამე, თქვენ არ გიყვართ ჩვენი სამშობლო, არა? - იკითხა ქალმა.
- მე ვცხოვრობ იქ.
- რათა უკეთ შეძლოთ მისი ძრახვა?
- ნუთუ იმას მირჩევთ, ევროპას დავეთანხმო ამ საკითხზე? - ჰკითხა ლორდ ჰენრიმ.
- მაინც რას ლაპარაკობენ იქ თქვენზე?
- რომ ტარტიუფი[131] ემიგრაციაში წასულა ინგლისში და იქ სავაჭრო ქარვასლა გაუხსნიაო.
- ოჰ, რა სიტყვამოსწრებული ხართ, ჰარი.
- შემიძლია თქვენ გიძღვნათ თავისუფლად ეს მოსწრებული სიტყვა, გლედის.
- სამწუხაროდ, მისი მოხმარება არ ძალმიძს, ჰარი, ის ხომ პირუთვნელი და დიდი ჭეშმარიტებაა.
- თქვენ არ უნდა დაყაროთ ფარ-ხმალი, შიში განდევნეთ. ჩვენი თანამემამულენი სურათში თავს ვერ იცნობენ.
- ჩემი აზრით, ისინი მეტად გონიერი და პრაქტიკოსი ხალხია.
- უფრო მეტად ცბიერნი, ვიდრე პრაქტიკოსნი, როდესაც ბალანსს ადგენენ, სისულელეს სიმდიდრით ფარავენ, ხოლო მანკიერებას - ფარისევლობით.
- ჯერ კიდევ დღემდე ჩვენ დიდ საქმეს ვაკეთებდით.
- მათ მხოლოდ თავს გვახვევდნენ, გლედის.
- ჩვენ მუდამ ამაყად ვეწეოდით ამ მძიმე ტვირთს.
- წარმოიდგინეთ მხოლოდ საფონდო ბირჟამდე, მასზე შორს არასოდეს

წავსულვართ.
მთავრის მეუღლემ თავი გააქნია.
- მე მწამს ერის დიდება, - წამოიძახა მან.
- ეს კი მხოლოდ დიდი საზრიანობის და თავნებობის გადმონაშთია.
- მასში განვითარების უძლეველი საწყისებია.
- დაქვეითება უფრო მხიბლავს.
- ხელოვნებაზე რაღას იტყვით? - იკითხა გლედისმა.
- ხელოვნება სნეულებაა.
- ილუზიაა მხოლოდ.
- რელიგია?
- ეს ხომ თანამედროვე რწმენის შენაცვლება გახლავთ უბრალოდ.
- თქვენ ნამდვილი სკეპტიკოსი ხართ, ჰარი.
- არასოდეს. სკეპტიციზმი ხომ რწმენის დასაწყისია.
- მაშინ ვერ გამიგია, ვინა ხართ თქვენ?
- ამის დადგენა თავისთავად დიდი შეზღუდვაა და ჩარჩოებში მომწყვდევას ნიშნავს.
- მაშ, გამოუცნობი ძაფის წვერი მაინც მიჩვენეთ.
- ძაფი აიბურდება და თქვენ ლაბირინთში გზას დაკარგავთ.
- თქვენ საბოლოოდ ჩიხში მომამწყვდიეთ, სასაუბრო თემა შევცვალოთ.
- ჩვენი მასპინძელი ფრიად სასიამოვნო თემაა სწორედ. მრავალი წლის წინათ მას მომაჯადოებელი უფლისწული შეარქვეს.
- ოჰ, ნუ გამახსენებთ იმ დროს, - თქვა დორიან გრეიმ.
- მასპინძელი თითქმის აუტანელია ამ საღამოს, - უპასუხა მთავრის მეუღლემ და ვარდისფრად აეტკრიცა სახე. - დარწმუნებული ვარ, ფიქრობს, რომ მონმაუთმა წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით დაიწერა ჩემზე ჯვარი, როგორც თანამედროვე პეპელას საუკეთესო ნიმუშზე.
- კეთილი, იმედია ქინძისთავებს არ გირჭობთ თქვენი მეუღლე? - სიცილით შეესიტყვა დორიანი.
- ოჰ, სამაგიეროდ ჩემი მოახლე მიმასპინძლდება ამგვარად, მისტერ გრეი, როცა ჩემზე ჯავრობს.
- როგორ, რა უფლებით გიჯავრდებათ მოახლე, ქალბატონო.
- გარწმუნებთ, სრულიად წვრილმანი საქმეების გამო, მისტერ გრეი. ჩვეულებრივ იმიტომ, რომ ცხრას რომ თხუთმეტი წუთი აკლია, შევდივარ და ვუცხადებ, ცხრის ნახევრისთვის ჩაცმული უნდა ვიყო-მეთქი.
- ოჰ, რა აუტანელი საქციელია! თქვენ უნდა დაითხოვოთ ასეთი ქალი.
- არ შეიძლება, მისტერ გრეი. ის ქმნის ჩემი ქუდებისათვის ახალ მოდებს. გახსოვთ თუ არა ის ქუდი, რომელიც ლედი ჰილსტონის ბაღში მეხურა? ალბათ არ გაგონდებათ, რა თქმა უნდა, მაგრამ _____მოიღეთ მოწყალება და ისე მოიქეცით,
ვითომ გახსოვთ. მან სრულიად არაფრისაგან შექმნა ეს ქუდი. ყველა კარგი ქუდი არაფრისაგან იქმნება საერთოდ.

- როგორც ყოველი კარგი რეპუტაცია, გლედის! - ჩაურთო ლორდ ჰენრიმ. - მაგრამ თუ ადამიანი მართლა ამაღლდა საკუთარ თვისტომთა შორის რამე გამოსარჩევი თვისებით, რაღა თქმა უნდა, უცილოდ მტრებს იმრავლებს. საშუალო მდგომარეობას უნდა ესწრაფვოდეთ, თუ პოპულარობა გწადიათ.
- მაგრამ ქალთა სქესისათვის ეს ყოვლად მიუღებელია და უცხოა, ჰარი, - თქვა მთავრის მეუღლემ და თავი გააქნია, - ქალები მართავენ ქვეყანას. გარწმუნებთ, ჩვენ საშუალო მდგომარეობას ვერ ვიტანთ. ფრიად საყურადღებო ნათქვამი არსებობს ჩვენზე, ქალებმა სიყვარული გულით კი არა, ყურით იციანო. თქვენ კი, მამაკაცებს, სიყვარული თვალში გაქვთ მხოლოდ. თუმცა ისიც საკითხავია, ძალგიძთ კი სიყვარული საერთოდ?
- წარმოიდგინეთ, ისე მეჩვენება, ჩვენ მეტს არაფერს ვაკეთებთ მთელი სიცოცხლის მანძილზე, - ხმადაბლა ჩაილაპარაკა დორიანმა.
- მაშ, ნამდვილად არასოდეს გყვარებიათ, ჭეშმარიტი სიყვარულის არსს ვერასოდეს ჩასწვდებით, მისტერ გრეი, - უპასუხა ქალმა ოდნავ დამცინავი ნაღველით.
- ძვირფასო გლედის, - წამოიძახა ლორდ ჰენრიმ, - რა საოცარი ცდომილებაა, ფრიად მანცვიფრებს, როგორ დასცდა თქვენს ბაგეს ასეთი სიტყვები. სიყვარულს სასიცოცხლო ძალას მხოლოდ განმეორება მატებს. დიახ, მხოლოდ და მხოლოდ განმეორება გადააქცევს დიდ გულისთქმას ხელოვნებად. ამის გამოა სწორედ, რომ სულში ახლად გაშლილი ყოველი გრძნობა კვლავ პირველი სიყვარულია. მხოლოდ გატაცების საგანი იცვლება, გრძნობა კი საუკუნოდ უცვლელი და განუმეორებელი რჩება. ეს ცვალებადობა უფრო მეტ ძალას მატებს მას. უკეთეს შემთხვევაში ცხოვრება ამ დიადი გრძნობის წამიერი განცდის უფლებას ადამიანისათვის მხოლოდ ერთხელ თუ გაიმეტებს და თვით არსებობის საიდუმლოებაც სწორედ ის გახლვათ, რომ ეს დიადი წამიერი გრძნობა ადამიანმა ცხოვრების მანძილზე რაც შეიძლება ხშირად იგემოს.
- ნუთუ მაშინაც ეს გრძნობა უკურნებელ ჭრილობას ტოვებს მის გულში, ჰარი? - იკითხა მთავრის მეუღლემ, ერთი წამის დუმილის შემდეგ,
- დიახ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთ ღრმა ჭრილობას გვაყენებს, გლედის, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ,
მთავრის მეუღლე მოტრიალდა და საოცარი გამომეტყველებით აკიაფებული თვალები დორიანს მიაპყრო.
- თქვენ რას იტყოდით ამ საკითხზე, მისტერ გრეი? - იკითხა მან.
დორიანი ერთ წუთს დუმდა. მერე თავი უკან გაიქნია და გაიცინა.
- მე ყოველთვის ჰარის ვეთანხმები.
- მაშინაც, როდესაც მართალს არ ამბობს?
- ის მუდამ ჭეშმარიტებას ქადაგებს, ქალბატონო.
- და მისი ფილოსოფია გეხმარებათ ბედნიერებას ეწიოთ, მისტერ გრეი?
- მე ბედნიერების მაძიებელი არ გახლავართ, ქალბატონო. ვის რად უნდა ბედნიერება? მე სიამეთა მაძიებლად უფრო ჩავითვლებოდი.
- და ნუთუ იპოვეთ მერე რასაც ეძებდით, მისტერ გრეი?

- ბევრჯერ და ზომაზე მეტიც.
მთავრის მეუღლემ ამოიოხრა და განაცხადა:
- მე კი სიმშვიდის მოტრფიალე გახლავართ. თუ ახლა არ წავედი და ტანსაცმელი არ გამოვიცვალე, ამ საღამოს თავს მშვიდად ვერ ვიგრძნობ.
- ნება მომეცით, რამდენიმე ორქიდეა ამოგირჩიოთ და მოგართვათ, ქალბატონო!
- წამოიძახა დორიანმა, ფეხზე წამოიჭრა და ორანჟერიისკენ გაემართა.
- თქვენ მეტად შეუბრალებლად და უსინდისოდ ეკეკლუცებით მას, - უთხრა ლორდ ჰენრიმ თავის ბიძაშვილს. - უფრთხილდით! ის მეტისმეტად მომაჯადოებელია!
- ასე რომ არ იყოს, ბრძოლაც არ იქნებოდა საჭირო.
- ასე რომ, ბერძენი ბერძენის წინააღმდეგ[132], არა?
- მე ტროელთა მხარეზე ვიქნები. ისინი ქალის გულისათვის იბრძოდნენ.
- დამარცხებაც განიცადეს.
- ტყვეობაზე ბევრით უარესი რამ არსებობს ამქვეყნად! - წამოიძახა ქალმა.
- თქვენ სადავებმოშვებული მიჰქრით, გლედის.
- დიახ, ამ თავდავიწყებულ ჭენებაშია სწორედ ცხოვრებაც, - გაისმა პასუხად.
- ამას დღიურში ჩავწერ ამაღამ.
- რას?
- რომ დამწვარი ბავშვი კვლავ ცეცხლისკენ მიისწრაფვის.
- ცეცხლს ჯერ ჩემთვის კვალი არ დაუმჩნევია, ჰარი, ფრთები კვლავ ხელუხლებელი მაქვს.
- თქვენ მათ ყველაფრისთვის იყენებთ, გარდა ფრენისა.
- ეტყობა, სიმამაცემ კაციდან ქალში გადაინაცვლა. ესეც კიდევ ერთი ახალი გრძნობა.
- დიახ, სხვათა შორის მინდოდა მეთქვა, თქვენ მეტოქე გყავთ.
- ვინ?
- ლედი ნარბორო, - დაბალი ხმით და სიცილით ჩაილაპარაკა ლორდ ჰენრიმ, - ის პირდაპირ აღმერთებს დორიანს.
- თქვენ მე მაშინებთ. კლასიკური სიძველისადმი სწრაფვა ჩვენთვის, რომანტიკოსებისათვის, მარად საბედისწეროდ ითვლება.
- რომანტიკოსი ქალები? მართალი მოგახსენოთ, ყველა მეცნიერული მეთოდი თქვენს ხელთაა.
- მამაკაცთა დამსახურებას მიეწერება, გეთაყვა. მათ გაგვანათლეს ამ საქმეში ასე საფუძვლიანად.
- დიახ, მართალია, მაგრამ შესწავლით კი ვერ შეგასწავლეს და მარად ამოუხსნელ ამოცანად დარჩით მათთვის.
- დრიად მაინტერესებს, პირადად თქვენგან მოვისმინო ამ სქესის დახასიათება. სცადეთ, ჩემო კარგო, - გამომწვევად შესძახა მთავრის მეუღლემ.
- ქალი? ეს საიდუმლოების გარეშე შთენილი სფინქსია.
მთავრის მეუღლემ ღიმილით გადახედა მას.
- ოჰ, როგორ შეაგვიანდა მისტერ გრეის, - წარმოთქვა ბოლოს, - წამოდით. მივეშველოთ. მან არც კი იცის, რა ფერის კაბის ჩაცმას ვაპირებ.

- ოჰ, გლედის, თქვენ მისი ამორჩეული ყვავილისფერი კაბა უნდა ჩაიცვათ ამ საღამოს.
- ეს ხომ ნაადრევი კაპიტულაციაა.
- რომანტიკა კულმინაციური საწყისებიდან იღებს სათავეს ხელოვნებაში.
- უკან დახევის საშუალებანი უნდა გამაჩნდეს.
- პართელთა მსგავსად[133], არა?
- არა. მათ თავი უდაბნოს შეაფარეს. მე კი ამას ვერ ჩავიდენ.
- ქალებს არჩევანის უფლება ყოველთვის არა აქვთ, - თქვა ლორდ ჰენრიმ, მაგრამ წინადადების დამთავრებაც ძლივს მოასწრო, რომ შორს ორანჟერიის ბოლოში გაისმა სულშეგუბებული ადამიანის კვნესა და ამას მოჰყვა გაურკვეველი ხმაურობა, რომელიც უფრო მძიმე საგნის დედამიწაზე დაცემის ხმას ჰგავდა. ყველა ფეხზე წამოიჭრა. მთავრის მეუღლე შიშისაგან ერთ ადგილზე გაქვავებული თვალებით მაშინვე იქით გაიქცა, საიდანაც ხმა შემოესმათ. გზადაგზა პალმის მოქანავე ტოტებს ხელით აქეთ-იქით სწევდა, რომ ფილაქნის იატაკზე, პირქვედამხობილი, გულწასული და თითქმის სიკვდილის პირად მიმდგარი დორიანი აღმოეჩინა.
დორიანი მაშინვე დივანზე გადააწვინეს ცისფერ სასტუმრო ოთახში. ცოტა ხნის შედმეგ ის კვლავ გონს მოვიდა და გარშემო შიშჩამდგარი თვალებით გაოცებით მიმოიხედა.
- რა მოხდა? - იკითხა მან. - ოჰ, თუმც მახსოვს. აქ საფრთხე აღარ მელის, არა, ჰარი? - და უცებ აცახცახდა.
- რა თქმა უნდა, ჩემო კარგო, დორიან, თქვენ მხოლოდ გული წაგივიდათ. მხოლოდ ეს იყო, სხვა არაფერი. ალბათ დაიღალეთ, უმჯობესია სადილად ნუ ჩამოხვალთ. თქვენ მაგიერ მე ვიმასპინძლებ.
- არა, აუცილებლად წამოვალ, - უთხრა დორიანმა და თავს ძალა დაატანა ფეხზე წამომდგარიყო. - ჩემთვის დაბლა ჩამოსვლა აჯობებს, აქ მარტო ვერ დავრჩები. დორიანი თავის ოთახში გავიდა და სადილობისთვის ტანსაცმელი გამოიცვალა. სადილზე გადაჭარბებით მხიარულობდა, მაგრამ დროგამოშვებით შემაძრწუნებელი შიში შეაკრთობდა და მთელი სხეულით აცახცახდებოდა ხოლმე, როგორც კი გაახსენდებოდა ცხვირსახოცისფრად გათეთრებულ-გაფითრებული ჯეიმს ვეინის სახე, რომელიც მას უთვალთვალებდა ორანჟერიის სარკმელში.

თავი XVIII

მთელი მეორე დღე დორიანი სახლიდან არ გამოსულა. დროის უმეტესი ნაწილი კი სიკვდილის შიშით შეძრწუნებულმა და საოცრად დაუძლურებულმა საკუთარ ოთახში გაატარა, თუმცა ცხოვრებას უკვე საკმაოდ გულგრილად შეჰყურებდა, იმის შეგნება, რომ ვიღაც უთვალთვალებდა, მახეს უგებდა და მდევარივით აედევნა, მთელ მის არსებას ბორკავდა და მოსვენებას უკარგავდა. თუ რომელიმე ფარდა ქარისაგან ოდნავ შეირხეოდა, დორიანი თრთოდა და ციებცხელებიანივით ცახცახებდა. გამჭკნარ ფოთლებს ქალი შრიალით აყრიდა მინებს. მას ეს განუხორციელებელ ფიქრებს აგონებდა და მწვავე სინანულს განაცდევინებდა.

თვალს მილულავდა თუ არა, უცნობი მეზღვაურის სახე ელანდებოდა. ეს ამაზრზენი შიში კი კვლავ მძიმე ლოდივით აწვა გულზე და მარწუხებივით უჭერდა. შესაძლოა მხოლოდ მისმა საკუთარმა წარმოსახვამ იხმო იმ ღამის უკუნეთ სიბნელეში შურისმაძიებლის ჩვენება და ახლა ჯოჯოხეთური სასჯელის სურათებს ქმნის მის წინაშე. ეს ხომ ქაოსია, მაგრამ ადამიანის წარმოსახვის მოქმედების პროცესში შეინიშნება ულმობელი და მეტად სასტიკი ლოგიკა. ადამიანის წარმოსახვა აიძულებს სინდისის ქენჯნას ფეხდაფეხ სდიოს ჩადენილ ცოდვას. დიახ, მხოლოდ წარმოსახვა ქმნის ჩვენ წინაშე და მოელის იმ ენით აღუწერელ შემაძრწუნებელ შედეგს, რაც თითოეულ ჩადენილ ცოდვას უნდა მოჰყვეს თან. ჩვეულებრივ რეალური ფაქტების სამყაროში ბოროტთა და ცოდვილთ არ სჯიან, ალალ-მართალთ კი არავინ აჯილდოებს, ძლიერის ხვედრი მარადჟამს წარმატება ყოფილა, სუსტს კი წარუმატებლობა სდევს ფეხდაფეხ. თუ ვინმე უცხო ადამიანი სახლის გარშემო დაეხეტება, ნუთუ მას გუშაგები ან მსახურები ვერ შენიშნავდნენ? ნუთუ ან მებაღეები ვერ შეამჩნევდნენ ფეხის ნაკვალევს ყვავილების კვლებში. ისინი ხომ მაშინვე მოახსენებდნენ პატრონს. ალბათ ეს მხოლოდ მისი წარმოსახვაა და მეტი არაფერი. არა, სიბილ ვეინის ძმა არ დაბრუნებულა, რომ განზრახული შურისძიება სისრულეში მოეყვანა. მეზღვაური სადღაც შორეულ მოგზაურობაში გაჰყვა გემს, რომელიც სადმე აბობოქრებულ ზღვაში ჩაიძირება. ამ კაცისაგან ყოველ შემთხვევაში არავითარი საშიშროება არ მოელის. მეზღვაურმა ხომ მისი ვინაობა არ იცოდა ალბათ, არც შეეძლო სცოდნოდა. ახალგაზრდობის ნიღაბმა იხსნა დორიანი.
მაგრამ თუ ეს ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ ზმანება იყო, რა აუტანელი და შემაშფოთებელია იმაზე ფიქრი, რომ ადამიანის წარმოსახვასა და სინდისს ძალუძთ შექმნან ასეთი ჯოჯოხეთური მოჩვენებანი და ხილულ არსებად აქციონ ისინი! და მერე ეს მოჩვენებანი ისე თავისუფლად უნდა წარსდგნენ მის წინაშე ყოველ წამს. რა ცხოვრება უნდა ჰქონდეს მას ამიერიდან, თუ დღითა და ღამით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლთა აჩრდილები ბნელი კუთხეებიდან დაუწყებენ გამუდმებულ თვალთვალს, აქა-იქ საიდუმლო ადგილებში მიმალულნი ყოველ წამს გამოეცხადებიან და სიცილს დააყრიან? ხოლო ნადირობის დროს ყველგან ფარულად მიუახლოვდებიან და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებენ. ღამით ჩაძინებულს კი მიცვალებულის გათოშილი თითებით შეეხებიან და ელდას დასცემენ და გამოაღვიძებენ. როდესაც გონებაში ამ აზრებმა გაუელვეს, დორიანი შიშისაგან გაფითრდა და ისე მოეჩვენა, თითქოს მის გარშემო ჰაერი ერთბაშად გაცივდა. მერე თვითონაც ძარღვებში სისხლი გაეყინა. ოჰ, რისთვის მოკლა უძვირფასესი მეგობარი იმ საოცარი სიგიჟის წამებში! მაინც რა აუტანელი, რა შემზარავი იყო იმ წამების ხსოვნა! ყოველივე ხელახლა იხილა თვალით, თითოეული საზარელი წვრილმანი განახლდა. და უფრო მეტ ზარდამცემ უბედურებად წარმოუდგა. დროთა სვლამ თავისი ვერ გაიტანა. ჩადენილი ბოროტმოქმედების მსხვერპლი სისხლით შესვრილი სამოსით შავბნელი ჯურღმულებიდან შავი აჩრდილის სახით წინ გამოეცხადა.
როდესაც ექვს საათზე დორიანის საწოლ ოთახში ლორდ ჰენრი გამოცხადდა,

დორიანი მტირალი იხილა. ის იმ უბედურ ადამიანთა გვარად ღაპაღუპით აფრქვევდა ცრემლებს, ვისაც აუტანელი სევდისაგან სადაც არის გული გაუსკდება.
დორიანმა მხოლოდ მესამე დღეს გაბედა გარეთ გასვლა. განწმენდილ ჰაერში ფიჭვის სასიამოვნო სურნელება ჩაღვრილიყო. ზამთრის მშვენიერმა დილამ მხნეობა და სასიცოცხლო ძალა შემატა მას. მაგრამ მხოლოდ გარემომცველ პირობებს და თუნდ დორიანის სიცოცხლისადმი დაუშრეტელ ტრფიალებას არ შეეძლო ასეთი ცვლილება მოეხდინა მასში. მთელი მისი შინაგანი არსება და სული აღსდგა იმ ზომაგადასული ტანჯვა-წამების წინააღმდეგ, რომელიც თავგამოდებით ცდილობდა საპყარ ხეიბრად ექცია ადამიანის შვილი და სამუდამოდ წარეტაცა სულიერი სიმშვიდე და მოსვენება მისგან. ყოველთვის ასე ემართებათ ფაქიზი და სათუთად ნაძერწი სულისა და გემოვნების ადამიანებს. თუ მათ შინაგან არსებობაში წარმოშობილი ძლიერი ვნებანი არ აილაგმა, ისინი უცილოდ მუსრს ავლებენ ამ სუსტ ქმნილებას. სულიერი ვნებანი და განცდანი ან ადამიანს იმსხვერპლებენ უცილოდ, ან თვით კვდებიან უკვალოდ. უმნიშვნელო ურვა და უგულო სიყვარული მარად ცოცხლობს. დიდი სიყვარული და უსაზღვრო მწუხარება გრძნობათა სიჭარბისაგან იღუპება.
დორიანმა ირწმუნა, რომ ის საკუთარ თავზარდამცემ წარმოსახვას ემსხვერპლა. ახლა, როდესაც უკან მიიხედა და თვალი გაუსწორა იმ შემაძრწუნებელ შიშს, რომელიც მის სულს მოშთობას უპირებდა, მხოლოდ შემწყალე სიბრალულის გრძნობით აღვსილი ადევნებდა მას თვალს და გულში მისადმი ოდნავი ზიზღის ნიშანწყალიც კი არ შეიმჩნეოდა.
საუზმის შემდეგ დორიანი თითქმის ერთი საათი დასეირნობდა მთავრის მეუღლესთან ერთად ბაღში. ბოლოს პარკი გადაჭრა და იმ ადგილისაკენ გაეშურა, სადაც მონადირეები უნდა შეყრილიყვნენ. მშრალი, მსხვრევადი ყინული მარილივით მოსდებოდა ბალახს. ცა ცისფერი ლითონის გადმობრუნებულ ფინჯანს აგონებდა. ყინულის თხელი ნაწიბური მარმაშის არშიასავით შემოვლებოდა მდორე ტბის ნაპირებს. ტბის გარშემო ტანწერწეტა ლერწამი და ლელიანი მოჩანდა.
ფიჭვნარის ერთ-ერთ განმარტოებულ კუთხეში დორიანმა მთავრის მეუღლის ძმა, სერ ჯეფრი კლაუსტონს მოჰკრა თვალი, რომელმაც თოფიდან ორი ცარიელი ვაზნა გადმაოგდო. დორიანი ეტლიდან ჩამოხტა, ცხენოსან მხლებელს უბრძანა, ფაშატი წინ წაეყვანა, თვით გადამხმარი გვიმრითა და ეკლიანი ჩირგვნარით დაფარული გზით სტუმრისაკენ აეღო გეზი.
- კარგად ინადირეთ, ჯეფრი? - ჰკითხა მან.
- არც თუ ისე კარგად, დორიან. ეტყობა, ფრინველებმა უკვე ბარს მიაშურეს. ეგების იქ უფრო გაგვიღიმოს ბედმა, საუზმის შემდეგ ვაპირებთ იქითკენ გადავინაცვლოთ.
დორიანი კლაუსტონის გვერდით მიაბიჯებდა. ჰაერის მაცოცხლებელი მკვეთრი სურნელება, ოქროსფრად და წითლად მოკიაფე მზის სხივები, ტყიურთა მომდენის ხრინწიანი ხმა ტყეში და თოფების გრიალი საოცრად აჯადოებდა, სმენას და

გულით ეძლეოდა უსაზღვრო ნეტარებას და განუზომელი სიხარულით აღივსო იმ წამებში.
მოულოდნელად ჯერ კიდევ წინა წლის გადამხმარ ბალახში, ბექობზე, დაახლოებით ოცი იარდის მოშორებით, ყურებდაცქვეტილი კურდღელი გამოჩნდა, რომელსაც ყურის ბოლოები შავი ფერის ბეწვით ჰქონდა დაფარული და მოგრძო უკანა ფეხებს რაც შეეძლო, წინ სწევდა. კურდღელი ისარივით შეიჭრა ტანდაბალი თხმელების შუაგულში. ჯეფრიმ თოფი გადმოიღო, მაგრამ ამ პაწაწინა ცხოველის სხარტ მოძრაობაში ისეთი თვალის დამატყვევებელი სიმშვენიერე იხილეს, რომ დორიანმა მოულოდნელად შესძახა:
- ნუ მოკლავთ, ჯეფრი, დაე, იცოცხლოს.
- რა სისულელეა, დორიან! - გაიცინა სერ ჯეფრიმ და კურდღელს მსწრაფლ ტყვია დაადევნა, როგორც კი ცხოველი გაუჩინარდა და ტევრს შეერია, ორნაირი ხმა შემოესმათ. ერთი, როგორც შეიცნეს, ტკივილისაგან აჭყივლებული კურდღლის ხმა იყო, მეორე კი გაცილებით საშინელი და სრულიად მოულოდნელი - სასიკვდილოდ დაჭრილი კაცის ღრიალი.
- ღმერთო, დიდება შენ, ტყვია მგონი მარეკს მოვახვედრე, - შეშფოთებით წარმოთქვა სერ ჯეფრიმ. - რა ვირი უნდა იყოს ადამიანი, რომელიც ტყვიას პირდაპირ მკერდს შეუშვერს და არ მოერიდება! ჰეი, შეწყვიტეთ სროლა! გასძახა მან მთელი ხმით დანარჩენებს, - კაცი დავჭერით.
მონადირეთუხუცესი დიდი ჯოხით ხელში მოვარდა სირბილით.
- სად, სერ? სად არის? - ყვირილით კითხულობდა ის.
ახლომახლო მიდამოებში იმავ წუთს შეწყდა სროლა.
- იქით, - უპასუხა მკაცრად სერ ჯეფრიმ და თვითონაც ხშირი თხმელნარისაკენ გაიქცა. - რა ეშმაკად არ გაიყვანეთ ეს ხალხი ცოტა უფრო მოშორებით? დღევანდელი ნადირობა სულ ჩამიშხამეს!
დორიანი თვალყურს ადევნებდა მათ, როგორ ჩაიმალნენ თხმელნარში, როგორ სწრაფად სწევდნენ ხელით აქეთ-იქით ნორჩსა და მოქნილ თხმელის ტოტებს და გაფაციცებით ეძებდნენ დაჭრილს. რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ მოჰკრა დორიანმა მათ თვალი. მზით განათებულ ველზე დაჭრილ ადამიანს ძლივს მოათრევდნენ. შიშით შეძრწუნებული დორიანი შემობრუნდა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს უბედური ბედისწერა მუდამ თან სდევდა, საითაც კი წავიდოდა. გაიგონა, როგორ იკითხა სერ ჯეფრიმ, მკვდარი იყო თუ არა ის კაცი, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ მისი გასროლილი ტყვია მოხვდა და ისიც შენიშნა, მონადირეთუხუცესი თანხმობის ნიშნად თავს რომ უქნევდა. უცებ ტყე გამოცოცხლდა, ადამიანებით გაივსო. გაისმოდა უამრავ მომსვლელთა ფეხის ხმა და მათი საუბრის ყრუ გუგუნი. კარგა მოზრდილმა სპილენძისფერმკერდიანმა ხოხობმა ტოტებში ფრთების ბარტყუნით თავზე გადაუფრინათ.
რამდენიმე წუთის შემდეგ, რომელიც მღელვარებისაგან შეძრწუნებულ დორიანს საშინელი ტანჯვის დაუსრულებელ საათებად მოეჩვენა, მხარზე ვიღაცის ხელის შეხება იგრძნო. დორიანი შეკრთა და გარშემო მიმოიხედა.
- დორიან, - უთხრა ლორდ ჰენრიმ, - აჯობებს დღეისათვის ნადირობა შეწყვიტონ.

უხერხულია, რომ განაგრძონ.
- მე კი მინდა სამუდამოდ შეწყდეს იგი, ჰარი, - უპასუხა მეტისმეტად გამწარებულმა დორიანმა, - ეს ისეთი დაუნდობელი და საზარელი გასართობია, რომ..... ეს კაცი...
წინადადების დამთავრება ვერ მოახერხა.
- დიახ, ვშიშობ, რომ ასეა. მთელი საფანტი მკერდის არეში აქვს მოხვედრილი. დაახლოებით ორმოცდაათი იარდის მანძილზე ისინი ერთმანეთის გვერდით მიაბიჯებდნენ და დუმდნენ. მერე დორიანმა ლორდ ჰენრის შეხედა, ღრმად ამოიოხრა და უთხრა:
- ეს ძალიან ცუდის მომასწავებელია, ჰარი, ვფიქრობ ძალიან ცუდის.
- მაინც რისი? - იკითხა ლორდ ჰენრიმ. - ოჰ, ეს უბედური შემთხვევაა. რას იზამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო. მოკლული თვითონ არის დამნაშავე, რისთვის შეუშვირა ტყვიას გული? კი, მაგრამ ჩვენ მაინც რა შუაში ვართ? მართალია ჯეფრისათვის მეტად უხერხულია, არ გედავები... მარეკი ხომ არ უნდა დაცხრილოს. კაცს ეგონება, სროლა არ იცის, ეგ კი მიზანს არ ააცდენს, სახელგანთქმულ მსროლელად ითვლება, თუმც ამაზე ლაპარაკი ახლა აქ რა საჭიროა?
დორიანმა თავი დააქნია.
- არა, ჰარი, ეს ძალიან ცუდის მომასწავებელ ამბად მიმაჩნია. გული ისე მიგრძნობს, რომელიმე ჩვენგანის თავზე რაღაც დიდი უბედურება უნდა დატრიალდეს. შესაძლებელია სწორედ ჩემზე... - დაუმატა მან და თვალებზე ხელი ისე გადაისვა, თითქოს აუტანელი ტკივილი აწუხებსო.
ლორდ ჰენრიმ გაიცინა.
- ყველაზე საშინელი რამ ამქვეყნად სევდაა, დორიან, და ის გახლავთ ერთადერთი ცოდვაც, რომელსაც მიტევება არ გააჩნია. მაგრამ ჩვენ მისგან არაფერი განსაცდელი არ მოგველის, სანამ სადილად ჩვენი მეგობრები მის შესახებ საუბარს არ ჩამოაგდებენ და გამოკითხვას არ დაგვიწყებენ. მე კი მათ წინასწარ გავაფრთხილებ, რომ ამ საკითხზე მსჯელობა აკრძალულია. რაც შეეხება წინასწარ მომასწავებელ ნიშნებს, ასეთი რამ არ არსებობს. ბედისწერა მაცნეს არ გვიგზავნის. ამისათვის, წარმოიდგინეთ, ის საკმაოდ ბრძენი და ულმობელი ტირანია. გარდა ამისა, მაინც რა უნდა შეგემთხვეთ, დორიან? თქვენ ხომ ამქვეყნად ყველაფერი გაგაჩნიათ, რაც კი ადამიანს შეუძლია ისურვოს. არ მგონია, მთელი დედამიწის ზურგზე მოიძებნოს ადამიანი, ვინც დიდი სიამოვნებით არ გაცვლიდა საკუთარ მდგომარეობას თქვენსაში.
- მე კი ყოველ მათგანს გავუცვლიდი ჩემს მდგომარეობას თავისუფლად. ნუ დამცინით, ჰარი! სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ! ის ბედკრული გლეხი, რომელიც ეს-ეს არის გარდაიცვალა, ჩემთან შედარებით გაცილებით ბედნიერი იყო. სიკვდილის სრულიად არ მეშინია. მხოლოდ სიკვდილის მოახლოება მაძრწუნებს. ტყვიასავით გაყინულ ჰაერში, ჩემ გარშემო მისი საზარელი ფრთების ფარფატის ხმა მესმის, ღმერთო დიდებულო! ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ვიღაც კაცი ხეებს ეფარება. აი, იქ, მითვალთვალებს და მიცდის?

ლორდ ჰენრიმ იქით გაიხედა, სადაც დორიანმა აკანკალებული ხელთათმანიანი ხელით მიუთითა.
- დიახ, - წარმოთქვა მან ღიმილით. - მართალი ხართ, მე იქ მებაღეს ვხედავ. ის სწორედ თქვენ გიცდით. ალბათ სურს გკითხოთ, რომელ ყვავილებს ისურვებდით ამაღამ სუფრაზე? როგორ სრულიად უმიზეზოდ ღელავთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო! აუცილებლად უნდა ინახულოთ ჩემი ექიმი, როგორც კი ლონდონს დავბრუნდებით.
დორიანმა შვებით ამოისუნთქა, როდესაც ნამდვილად გაარჩია, რომ მხოლოდ მებაღე მიუახლოვდათ. მებაღემ ქუდი მოიხადა, დარცხვენითა და ოდნავ ყოყმანით გადახედა ლორდ ჰენრის, ჯიბიდან წერილი ამოიღო და დორიანს გადასცა.
- მისმა ბრწყინვალებამ მთხოვა, პასუხს დაველოდო, - დაუმატა მან დაბალი ხმით.
დორიანმა წერილი ჯიბეში შეინახა.
- მის ბრწყინვალებას გადაეცით, რომ ახლავე დავბრუნდები, - წარმოთქვა მან ცივად.
მებაღე შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯით შინისაკენ გაეშურა.
- ოჰ, როგორ უყვართ ქალებს მეტად სახიფათო საქმეების ჩადენა სიყვარულში, - ღიმილით შენიშნა ლორდ ჰენრიმ. - ამ თვისებას მათ საქციელში ყველაზე მეტად ვაფასებ. ქალს შეუძლია მანამ ეტრფოდეს, ვინც უნდა იყოს ამ ქვეყნად, სანამ სხვები მიაქცევენ მას ყურადღებას.
- თქვენ კი მეტად სახიფათო ამბებზე საუბარი გიყვართ, ჰარი! ამ შემთხვევაში დიდად ცდებით. მთავრის მეუღლე ძალიან მომწონს, მაგრამ შეყვარებული არა ვარ.
- მის გულს კი უსაზღვრო სიყვარული დაუფლებია, მაგრამ უფრო ნაკლებად მოსწონხართ. ასე რომ, მეტად შესაფერი წყვილი იქნებით.
- თქვენ მხოლოდ ჭორს ავრცელებთ, ჰარი! საამისოდ კი არავითარი საფუძველი არ გაგაჩნიათ.
- ყველა ჭორის საფუძველი უზნეო რწმენაშია! - წარმოთქვა ლორდ ჰენრიმ, და სიგარეტს მოუკიდა.
- ოჰ, ჰარი, შეგიძლიათ მსხვერპლად შესწიროთ ვინც არ უნდა იყოს თქვენს უბადლო სიტყვამოსწრებულობასა და მშვენიერ ეპიგრამებს.
- ადამიანები თვით საკუთარი სურვილით ისწრაფვიან სამსხვერპლოდ.
- ოჰ, ნეტავ შემეძლოს ვინმეს შეყვარება, - წარმოთქვა დორიან გრეიმ და საოცარი პათოსი გაისმა მის ხმაში. - მაგრამ, როგორც ჩანს, ამის უნარი უკვე დიდი ხანია დავკარგე და გადამავიწყდა, რა სურვილი უნდა ამოძრავებდეს ადამიანს. მეტად დიდ ყურადღებას ვუთმობდი საკუთარ თავს და აი, ახლა ტვირთადღა ვაწევარ მას. მინდა თავშესაფარი გამოვნახო, სადმე გავიქცე და დავიწყებას მივცე ყოველივე. ეჰ, რა სისულელე ჩავიდინე, რომ დღეს აქ მოვედი. ვფიქრობ, უმჯობესია ჰარვაში დეპეშა გავაგზავნო, რომ იახტა გამომიგზავნონ, მასზე საფრთხის არავითარი შიში არ არის.
- რა საფრთხეზე ამბობთ, დორიან? რამე განსაცდელი ხომ არ შეგემთხვათ? რატომ

არ მიხსნით ყოველივეს გულწრფელად? ხომ იცით, რომ ყველაფერში დაგეხმარებით.
- არ შემიძია აგიხსნათ, რაც სულს მიშფოთებს, ჰარი, - უპასუხა დორიანმა ნაღვლიანად. - თუმც შესაძლოა ეს ყველაფერი ჩემი წარმოსახვა იყოს. ამ უბედურმა შემთხვევამ ძალიან ცუდ გუნებაზე დამაყენა. წინაგრძნობა ჩამჩურჩულებს, რომ რაღაც ამგვარს უნდა გადავეყარო.
- ოჰ, რა სისულელეა!
- ალბათ ასეა მართლაც, მაგრამ თავს ვერაფერი მოვუხერხე. აი, მთავრის მეუღლეც, ნამდვილი არტემიდაა[134], ინგლისელი თერძის ნახელავ წამოსასხამში. აი, უკვე ჩვენც გეახელით, ქალბატონო.
- ყველაფერი შევიტყვე, მისტერ გრეი, - წარმოთქვა მთავრის მეუღლემ. - საბრალო ჯეფრი ძალიან შეშფოთებულია. სულ იმას ამბობს, როგორ სთხოვდით თურმე, კურდღელი არ მოეკლა. რა უცნაურია მაინც!
- დიახ, ფრიად უცნაურია. არ ვიცი, რამ მათქმევინა ეს სიტყვები. ვფიქრობ, უბრალო ახირება იყო და მეტი არაფერი. ეს პაწაწინა კურდღელი ისეთი მშვენიერი ცოცხალი არსება იყო, რომ სიკვდილისათვის ვერ გავიმეტე. ფრიად სამწუხაროა, რომ თქვენ გიამბეს ყოველივე. მართალი მოგახსენოთ, დიდი საშინელება მოხდა.
- დიახ, ფრიად საწყენი და შემაშფოთებელი ამბავია, - ჩაურთო ლორდ ჰენრიმ. - ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კი არავითარი ფასი არა აქვს, წარმოიდგინეთ. ოჰ, ის რომ ჯეფრის წინასწარი განზრახვით მოეკლა, რა საინტერესო იქნებოდა! ძალიან მინდა ვინმე ნამდილ მკვლელს ვიცნობდე.
- ოჰ, ჰარი! ვერ ამჩნევთ? მისტერ გრეი ისევ ცუდად არის. ალბათ გული მისდის, სადაც არის წაიქცევა!
დორიანმა ძლივს შეიკავა თავი და გაიღიმა.
- არაფერია, გამივლის, ქალბატონო, - ჩურჩულით წარმოთქვა მან. - ნერვები საოცრად ამეწეწა. მხოლოდ ეს გახლავთ მიზეზი. ამასთან ერთად ფეხით ძალიან ბევრი ვიარე. ვერც კი გავიგონე, რა თქვა ჰარიმ. ალბათ რამე უცნაური. გხოვთ, სხვა დროს მიამბეთ. უმჯობესია წავიდე და დავწვე. იმედია მაპატიებთ, ქალბატონო.
ამ საუბარში მათ ფართო კიბეს მიაღწიეს, რომელიც ორანჟერიდან აივანზე გადადიოდა. როგორც კი დორიანმა მინის კარი მოხურა, ლორდ ჰენრი მთავრის მეუღლეს მოუბრუნდა, თვისი საოცრად მუქი თვალები შეანათა და ჰკითხა:
- ძალიან გიყვართ, გლედის?
ქალი ცოტა ხანს დუმდა. იდგა და მათ წინ გადაშლილ ლანდშაფტს აკვირდებოდა.
- ეს მე თვითონაც მაინტერესებს, ჰარი! - თქვა მან ბოლოს.
ლორდ ჰენრიმ თავი გადაიქნია.
- იცოდეთ, მაგისი ცოდნა სიყვარულისათვის საბედისწერო აღმოჩნდება. მხოლოდ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა გვატყვევებს ჩვენ. ბურუსში ყოველივე შესანიშნავად წარმოგვიდგება.
- ბურუსში გზის დაკარგვა მეტად იოლია.

- ყველა გზა გარკვეული წერტილისაკენ ისწრაფვის, ძვირფასო გლედის!
- და მერე რა არის ეს? ცხოვრებაზე გულგატეხილობა, უიმედობა, სასოწარკვეთილება და რწმენის დაკარგვა, მე ხომ მხოლოდ აქედან მომიხდა ცხოვრების დაწყება? - ოხვრით წარმოთქვა ქალმა.
- მან თქვენ სამთავრო გვირგვინში გიწიათ.
- ოჰ, რაოდენ მოსაწყენია ეს მარწყვის ფოთლები[135]!
- თქვენ მეტისმეტად მომხიბვლელი ჩანხართ მასში.
- მხოლოდ საზოგადოებაში.
- უიმისოდ ფრიად გაგიძნელდებათ ცხოვრება! - უთხრა ლორდ ჰენრიმ.
- არც ვაპირებ მათ განშორებას.
- გახსოვდეთ, მუნმაუთს ჯერ კიდევ აქვს სმენა, გლედის.
- მოხუცის ყური სმენისათვის დახშულია, ჰარი.
- ნუთუ არასოდეს ეჭვიანობს?
- არასოდეს, ძალიან კი მინდა ერთხელ მაინც იეჭვიანოს.
ლორდ ჰენრიმ ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს რამეს ეძებდა.
- რას ეძებთ? - ჰკითხა მთავრის მეუღლემ.
- თქვენი რაპირის თავსახურს, - უპასუხა მან. - სადღაც, აი, აქ დაგივარდათ.
ქალმა გაიცინა.
- ნიღაბი არ მომიხსნია.
- თქვენ თვალებს ის ბრწყინვალებას მატებს. - გაისმა პასუხად.
მთავრის მეუღლემ კვლავ გადაიკისკისა. კბილებმა ძოწისფერი ბაგის შიგნით მარგალიტისფრად ისე გაიელვეს, თითქოს მოწითალო ნაყოფიდან მოთეთრო სველი თესლი გამობრწყინდაო.
ზემო სართულში, საკუთარ ოთახში კი დორიან გრეი იწვა დივანზე და შიშისაგან ყოველი ნერვი უთრთოდა. მისთვის სიცოცხლე უცებ აუტანელი და მძიმე ტვირთად გადაიქცა. იმ ბედშავ ტყიურთა მარეკის სიკვდილი, რომელსაც უსიერ ტევრში პირუტყვივით ესროლეს და მოკლეს, დორიანს საკუთარი დასასრულის გამოცხადებად ეჩვენებოდა. ლორდ ჰენრის ცინიკურად ნათქვამმა სიტყვებმა კი კინარამ გრძნობა დააკარგვინა.
ხუთ საათზე მსახურს დაურეკა და ბრძანება გასცა, მისი ნივთები ჩაელაგებინა, რომ ღამის ექსპრესით ლონდონს ჩასულიყო. კარეტა ცხრის ნახევარზე კართან უნდა მდგარიყო. მტკიცედ გადაწყვიტა, ამიერიდან არც ერთი ღამე სელბი-როიალში აღარ გაეტარებინა. ის საბედისწერო ადგილად მიაჩნდა, სადაც სიკვდილი მზის სიანთლეზე თავისუფლად დააბოტებდა მის გარშემო. ტყეში ბალახიც სისხლით იყო დაწინწკლული.
მერე ლორდ ჰენრის წერილი მისწერა; ატყობინებდა, ლონდონს ვარ წასასვლელი ექიმის სანახავადო და სთხოვდა, დაბრუნებამდე სტუმრებს გამასპინძლებოდა. ის იყო წერილს კონვერტში სდებდა, რომ კარის კაკუნი გაისმა, ლაქია გამოჩნდა და მაოხსენა. მონადირეთუხუცესს თქვენი ნახვა სურსო. დორიანმა შუბლი შეიკრა და ტუჩი მოიკვნიტა.
- შემოუშვით, - ჩაიბუტბუტა მან უგულოდ, რამდენიმე წუთის ყოყმანის შემდეგ.

როგორც კი მონადირეთუხუცესი ოთახში შემოვიდა, დორიანმა უჯრიდან ქვითრების წიგნაკი ამოიღო და გადაშალა.
- ალბათ იმ უბედური შემთხვევის გამო გამოცხადდით, ტორნტონ? - ჰკითხა მან და კალამი აიღო.
- დიახ, სერ, - უპასუხა მოსულმა.
- ცოლშვილიანი იყო ის საცოდავი? ოჯახი ჰქონდა? სარჩენი თუ დარჩა ვინმე? - იკითხა დორიანმა მოწყენით. - თუ ასეა, უსახსროდ არ დავტოვებ, ფულს გავუგზავნი. რამდენია საჭირო, თქვენ უფრო იცით.
- არავინ ვიცით, ვინ არის ეს კაცი, სერ, ამიტომაც გავბედე თქვენთან მოსვლა და შეწუხება.
- არ იცით, ვინ არის? - წარმოთქვა დორიანმა და დაბნეულობა დაეტყო. - როგორ მოხდა? განა ის ერთი თქვენი ამხანაგთაგანი არ არის?
- არა, სერ. წინათ არასოდეს მინახავს. მეზღვაურსა ჰგავს.
დორიანს კალამი ხელიდან გაუვარდა. თავი ისე იგრძნო, თითქოს ტყვია მოხვდა და გული გაუჩერდაო.
- მეზღვაური? - წამოიყვირა მან. - მეზღვაურიო, ასე თქვით, მგონი, არა?
- დიახ, სერ, ასე ჩანს. ორივე ხელზე სვირინგები აქვს და საერთოდ ყველაფერი ისეთი აქვს, რომ...
- რამე თუ იპოვეთ? - იკითხა დორიანმა, წინ გადაიხარა და გაშტერებული მიაჩერდა მთხრობელს. - ისეთი რამე საბუთი, რაც მის გვარსა და სახელს გვამცნობს?
- ცოტაოდენი ფული, სერ, და ექვსტყვიიანი რევოლვერი. მეტი არაფერი. სახელი და გვარი არსად ჩანს. მეტად წესიერ კაცსა ჰგავს, მაგრამ ამასთანავე უბრალოდ ადამიანი იქნებოდა. ჩვენ მეზღვაური გვგონია.
დორიანი ფეხზე წამოიჭრა. სულის შემაძრწუნებელმა იმედმა იფეთქა მასში და ათრთოლებული მას ჩაეჭიდა.
- გვამი სად არის? - წამოიძახა მან. - სასწრაფოდ უნდა ვნახო.
- ცარიელ საჯინიბოში, ფერმაში ასვენია, სერ. ხალხს, ხომ იცით, მიცვალებულის სახლში შენახვა არ უყვარს. ასე მოგახსენებენ, გვამი უბედურების მაცნეაო.
- ფერმაში? მაშინ წადით და იქ დამელოდეთ. იქ შევხვდებით ერთმანეთს. რომელიმე მეჯინიბეს უთხარით, ჩემი ცხენი შეკაზმოს. არა, თუმც რა საჭიროა, მე თვითონ წავალ საჯინიბოში. ასე უფრო დროს მოვიგებ.
დაახლოებით თხუთმეტი წუთის მერე დორიანი ცხენს გრძელ ხეივანში დაუზოგავად მიაჭენებდა. ხეები აჩრდილთა პროცესიის მსგავსად მიჰქროდნენ მის ახლოს. დამფრთხალი ლანდები გზის გადაღმა გადარბოდნენ. ფაშატმა მოულოდნელად გვერდით გადაუხვია, ნაცნობი ალაყაფის ბოძისკენ აიღო გეზი და მხედარი კინაღამ გადმოაგდო. დორიანმა კისერზე გადაუტყლაშუნა მოკლე შოლტი, ცხენმა თვალისუსწრაფეს მშვილდივით გაჰკვეთა სიბნელე და ჰაერში გაიჭრა. მისი ფლოქვების ქვეშ ასხლეტილ ქვებს ბზრიალი გაჰქონდათ ჰაერში. ბოლოს დორიანმა ფერმას მიაღწია. ეზოში ორი კაცი დაყიალობდა. დორიანი ცხენიდან ჩამოხტა და აღვირი ერთ-ერთ მათგანს მიაჩეჩა ხელში. ყველაზე

შორეულ საჯინიბოში სინათლე ციმციმებდა. დორიანს შინაგანი ხმა უძახდა, რომ მიცვალებულის გვამი იქ უნდა ყოფილიყო. კარისაკენ სწრაფად გაეშურა. მცირე ხანს შედგა. გრძნობდა, რომ აი, ახლა აქ უნდა აღმოეჩინა ის, ვინც ან სამუდამო სიმშვიდეს დაუმკვიდრებდა, ან მთლად მოუწამლავდა სიცოცხლეს საუკუნოდ. ბოლოს კარი თავისკენ მოსწია და შევიდა.
ტომრებგადაფარებულ ფიცარზე, შორს, სადღაც ბნელ კუთხეში ესვენა მიცვალებული. ტანზე ჯვალოს პერანგი და ლურჯი შარვალი ეცვა. სახე ჭრელი ხელსახოცით ჰქონდა დაფარული. გვერდით ბოთლის პირში ჩარჭობილი სქელი სანთელი იწვოდა ტკრციალით.
დორიანი თრთოდა. იგრძნო, საკუთარი ხელით არ შეეძლო მიცვალებულისათვის ხელსახოცი გადაეძრო და ერთ-ერთი ფერმის მუშას გადასძახა:
- გადააძრე ეს ძონძი, მინდა სახეზე დავხედო, - წარმოთქვა მან და თავის შესაკავებლად კარის ბოძს მიეყრდნო.
როდესაც ფერმის მსახურმა მიცვალებულს ხელსახოცი გადააძრო, დორიანმა წინ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და უცებ სიხარულის კივილი აღმოხდა. კაცი, რომელსაც უსიერ ტყეში ტყვია მოახვედრეს, ჯეიმს ვეინი აღმოჩნდა.
დორიანი _____იდგა და რამდენიმე წუთს უსულო გვამს თვალმოუშორებლად შეჰყურებდა. მერე კი, როდესაც ცხენს სახლისაკენ მიაჭენებდა, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე, რადგან იცოდა, რომ ამიერიდან საფრთხე აღარსაიდან მოელოდა.

თავი XIX

- რა საჭიროა იმაზე მსჯელობა, რომ განზრახული გაქვთ უკეთეს ადამიანად იქცეთ, - წამოიძახა ლორდ ჰენრიმ და თეთრი თლილი თითები სპილენძის ფიალაში ჩაყო, რომელიც ვარდის წყლით აევსო. - თქვენ ჭეშმარიტად სრულყოფილ ადამიანად მიმაჩნიხართ, გემუდარებით, არავითარი ცვლილებანი არ არის საჭირო.
დორიანმა თავი გაიქნია.
- არა, ჰარი, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მრავალი ცოდვის ჩამდენი ვარ. გადაწყვეტილება მიღებულია, ამიერიდან ვეღარ შევცოდავ, გუშინ დილიდან დავიწყე კეთილ საქმეთა კეთება.
- სად იყავით გუშინ?
- სოფელში გახლდით, ჰარი, და იქ სრულიად უბრალო ფუნდუკში დავბინავდი.
- ძვირფასო მეგობარო, სოფლად ყველას შეუძლია წმინდანად იქცეს, - თქვა ლორდ ჰენრიმ ღიმილით. - იქ ხომ რამე ცდუნებას ვერ წააწყდები. სწორედ ეს არის მიზეზიც, რომ იმ ხალხს, ვინც სოფლად ბინადრობს, ცივილიზაციამ ვერ დაამჩნია თავისი კვალი. ეზიარო ცივილიზაციას, წარმოიდგინეთ, არცთუ ისე იოლი საქმეა. მის მისაღწევად, ვფიქრობ მხოლოდ ორი გზა არსებობს. პირველს, რა თქმა უნდა, კულტურა შემოაქვს, მეორეს კი -ზნედაცემულობა. სოფლის ბინადართათვის როგორც ერთი, ისე მეორე მიუღწეველია. ამდენად ისინი ერთ წერტილში გაყინულან და ზნეობისა და სათნოების უმწიკლო კერადაც მისთვის მიუჩნევიათ.

- კულტურა და უზნეობა, - გაიმეორა დორიანმა, - თითქოს მე ორივეს ვეზიარე. ახლა უხამსობად მეჩვენება, რომ მათ წილად ერთი გზით სვლა ხვდომიათ. ჩემს სულს სრულიად ახალი სწრაფვა დაეუფლა, ჰარი. ვფიქრობ, ცვლილება უკვე მოხდა და მეც მთლიანად გამოვიცვალე.
- თქვენ ჯერ არც კი გიხსენებიათ, რა სიკეთე ჩაიდინეთ მაინც? მაგრამ, მგონი, მეუბნებოდით, რომ არათუ ერთი, არამედ უამრავ კეთილ საქმეთა მოქმედი ხართ უკვე, - თქვა ლორდ ჰენრიმ, და თეფშზე წითლად მოხასხასე ხენდრო ისე გადაიღო, რომ პატარა პირამიდა ააგო და მერე კვერცხის ნაჭუჭის მაგვარი, დაჩხვლეტილი კოვზით შაქრის ფხვნილი თოვლის ფიფქივით მიმოაფრქვია ზედ.
- რა თქმა უნდა, თქვენ გიამბობთ, ჰარი, მაგრამ სხვას კი ვერავის გავუმხელ ჩემს საიდუმლოებას, მე უკვე ერთი ადამიანი შევიბრალე და დავინდე. ეს ფრაზა იქნებ ისე ჟღერს, რომ ქადილისა და თავმოწონების მეტს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ, იმედია, გამიგებთ, რასაც ვგულისხმობ. ეს გოგონა ენით აღუწერელი სილამაზის პატრონია. სულ სიბილ ვეინს მაგონებს. ვფიქრობ, სწორედ ამით მიიპყრო ჩემი ყურადღება. სიბილ ვეინი ხომ გახსოვთ, ჰარი? ოჰ, რა შორეულ ამბად მეჩვენება ყოველივე! ჰეტი, რა თქმა უნდა, ჩვენს წრეს არ ეკუთვნის, უბრალო სოფლელი გოგონაა, მაგრამ მე ის ნამდვილად შემიყვარდა. დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო სწორედ ის, რასაც ნამდვილი სიყვარული ჰქვია. მთელი ამ მშვენიერი მაისის განმავლობაში, როგორც წელს იყო, მე ჩავდიოდი მასთან ორჯერ-სამჯერ კვირაში. გუშინ ის ბაღში დამიხვდა. ვაშლის გაშლილი ყვავილები თავზე აცვიოდა და ისიც მომაჯადოებლად კისკისებდა. განთიადისას, ამ დილით ჩვენ უკვე გზას უნდა დავდგომოდით ერთად. მაგრამ უცებ გადავწყვიტე, ის ისეთივე ხელშეუხებელი წმინდა და ჰაეროვანი დამეტოვებინა, როგორც იქაური ყვავილებია. დიახ, სწორედ ისეთი, როგორიც ვიხილე პირველად.
- შესაძლოა ამ გრძნობის სიახლემ მართლაც გაგრძნობინოთ ჭეშმარიტი სიამოვნება, დორიან? - შეაწყვეტინა ლორდ ჰენრიმ. - მე შემიძლია დავამთავრო ეგ იდილია თქვენ მაგიერ. თქვენ ამ გოგონას კეთილი რჩევა მიეცით და გული კი გაუპეთ. ეს იყო თქვენი უმწიკვლო ცხოვრების დასაწყისი, არა?
- ჰარი, თქვენ პირდაპირ აუტანელი ხართ! ამ საკითხზე ასეთი მსჯელობა არ გეკადრებათ! ჰეტის გული არ გახეთქია, მართალია, ძალიან ბევრი ცრემლი დაღვარა და დიდმა სევდამ დარია ხელი, მაგრამ სამაგიეროდ უმანკოება არ დაუკარგავს და არავის თვალში არ დამდაბლებულა. მას შეუძლია იცხოვროს, როგორც პერდიტამ საკუთარ ბაღში პიტნასა და ნარგიზებს შორის.
- და მისტირობდეს სამარადისოდ ფიცის გამტეხ ფლორიზელს[136], არა? - უთხრა ლორდ ჰენრიმ სიცილით და სავარძელში გადაწვა. - ჩემო ძვირფასო დორიან, ჯერ კიდევ რაოდენი განსაცვიფრებელი ბავშური გულგრილობაა თქვენში! ნუთუ ფიქრობთ, რომ ეს გოგონა ამიერიდან შეიძლება დაკმაყოფილდეს მისი საკუთარი წრიდან გამოსული ადამიანის სიყვარულით. იმედია, ალბათ ან ხეპრე მეურმეს, ან ვინმე გლეხის ტლუ ბიჭს გააყოლებენ ცოლად. კეთილი. თქვენი შეხვედრა და ეს წმინდა სიყვარული მას ქმარს შეაზიზღებს და სამუდამოდ უბედურად იგრძნობს თავს. არ შემიძლია იმის თქმა, რომ ყოველგვარ სიკეთეზე უარის თქმით და

თვითაღკვეთით დიდი ზნეობრივი მიღწევები მოგეპოვებათ. წარმოიდგინეთ, დასაწყისისათვის დიდი უსუსურობაა! გარდა ამისა, რა იცით, რომ თქვენი მშვენიერი ჰეტი ამ წუთში ვარსკვლავებით განათებულ წისქვილის გუბურაში არ ტივტივებს წყლის შროშანებსა და თეთრ დუმფარებს შორის ოფელიას მსგავსად?
- ამის ატანა უკვე შეუძლებელია, ჰარი! თქვენ ან ყოველთვის საოცარი ცინიზმით წამლავთ ყოველივეს, ან ენით აღუწერელ ტრაგედიებს ქმნით. ძალიან ვწუხვარ ახლა. ნეტავი არაფერი მეთქვა თქვენთვის. რაც უნდა მითხრათ, დარწმუნებული ვარ, სწორად მოვიქეცი, საბრალო ჰეტი! ამ დილით, როდესაც მათი ფერმის ალხოს ცხენს მივაჭენებდი, სარკმელში მის ჟასმინივით გაფითრებულ სახეს მოვკარი თვალი. გთხოვთ, ნუღა გამახსენებთ ამ ამბავს. და ნურც ეცდებით დამარწმუნოთ, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე პირველი კეთილი საქმე, რომელიც ჩავიდნე და პირველივე თავგანწირვა მხოლოდ ცოდვაა. განმეორებით გიცხადებთ, მინდა გარდავიქმნა და უკეთეს ადამიანად მოვევლინო ქვეყნიერებას. იმედია, როგორმე მივაღწევ კიდეც საწადელს. ახლა კი თქვენ შესახებ მითხარით რაიმე. რა ისმის ლონდონში? დიდი ხანია კლუბში არ შემივლია.
- ხალხი მხოლოდ ბეზილ ჰოლუორდის უგზო-უკვლოდ დაკარგვაზე მსჯელობს.
- მე კი ვფიქრობ, მათ კარგა ხანია მოსწყინდათ ამ საკითხზე ქაქანი, - წარმოთქვა დორიანმა, ღვინო დაისხა და წარბი ოდნავ შეიკრა.
- ჩემო ძვირფასო, დორიან, დაახლოებით თვე-ნახევარია, რაც ამ ამბავზე მითქმა-მოთქმა შეიქმნა და ნუთუ მხედველობაში არ იღებთ, რა ძნელია ბრიტანული საზოგადოებისათვის სალაპარაკო თემის გამოცვლა. ამას ხომ სამ თვეში ერთხელ ძლივს ახერხებდნენ ისინი საერთოდ. მათ ხომ გონებაზე მეტი ძალდატანების უნარი არ შესწევთ. მაინც აბა ბოლო დროს დიდად გაუღიმათ ბედმა. მეტად საინტერესო ამბები იქცა მითქმა-მოთქმის საგნად: პირადად ჩემი განქორწინება, ალან კემპბელის თვითმკვლელობა და ახლა კი ჩვენი გენიალური მხატვრის ბეზილ ჰოლუორდის საიდუმლოებით მოცული გაუჩინარება ამქვეყნიდან. „სკოტლანდ იარდი“ დაჟინებით ირწმუნება, რომ რუხ, გრძელპალტოიანი მამაკაცი, რომელიც პარიზს მიემგზავრებოდა თორმეტი საათის მატარებლით ცხრა ნოემბერს, საბრალო ბეზილ ჰოლუორდი იყოო. საფრანგეთის პოლიცია კი აცხადებს, ბეზილ ჰოლუორდი პარიზში საერთოდ არც ჩამოსულაო; ალბათ მეორე კვირას გამოაცხადებენ, რომ სან-ფრანცისკოში ნახეს. ძალიან უცნაური ამბავია, მაგრამ როგორც კი ვინმე უკვალოდ გაქრება, მაშინვე აცხადებენ, სან-ფრანცისკოში ნახესო. უცილოდ დიდებული ქალაქია ეს სან-ფრანცისკო და იმქვეყნიური ყოველი უპირატესობანი და მიმზიდველობა მის მკვიდრთ სააქაოსვე ხვდომიათ წილად!
- თქვენ რას ფიქრობთ მაინც, ჰარი, რა უნდა შემთხვეოდა ბეზილს? - იკითხა დორიანმა, ბროლის სასმისი მაღლა ასწია და სიანთლეზე ბურგუნდიულ ღვინოს გახედა. ამ საკითხზე მის მიერ ასე მშვიდად წარმოთქმულმა სიტყვებმა თვითვე ზომაზე მეტად განაცვიფრეს.
- ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მომხდარიყო. თუ ბეზილმა ასეთი,

ქვეყნიერებისაგან განდგომილი, ფარული ცხოვრება ირჩია, რაღა მეთქმის. თუ მკვდარია, ამაზე ფიქრიც არ ძალმიძს. სიკვდილი ეს ერათადერთი ამაზრზენი რამაა ამქვეყნად, რაც ესოდენ მიშფოთებს სულს. მე ხომ სიკვდილი საბედისწეროდ მძულს.
- მაინც რისთვის? - იკითხა მათ შორის უფრო ახალგაზრდა კაცმა ქანცგაწყვეტილი ადამიანის ხმით.
- იმიტომ, რომ ჩვენს დროში მის გარდა, - თქვა ლორდ ჰენრიმ და თავმოხსნილი, მოოქროვილი, სურნელოვანი ძმრის პაწაწინა ფლაკონი ცხვირთან მიიტანა, - ადამიანს შეუძლია ყველაფერი გამოსცადოს. სიკვდილი და ვულგარიზმი, ანუ ჩვენი საუკუნის უკიდურესი უხამსობა. აი, ეს ორი მოვლენაა მეცხრამეტე საუკუნეში, რომელთა ახსნა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. მოდით, ყავას საკონცერტო დარბაზში შევექცეთ, დორიან. მინდა შოპენი მომასმენინოთ. კაცი, ვისთან ერთადაც ჩემი ცოლი გაიქცა, შოპენის დიდებული შემსრულებელია. საბრალო ვიქტორია! ეტყობა, ძალიან მიყვარდა. უიმისოდ სახლი მთლად ცარიელი მეჩვენება. როგორც ჩანს, ოჯახური ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებაა. თანაც მეტისმეტად ცუდი ჩვეულება. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ყველაზე უარესი ჩვეულებების უკუგდება ადამიანისათვის მეტისმეტად ძნელია. დიახ, სწორედ ყველაზე ძნელი ცუდ ჩვეულებათა თავიდან მოცილებაა. ეს ადამიანის პიროვნების არსებითი ნაწილია.
დორიანს აღარაფერი უთქვამს საპასუხოდ, სავარძლიდან წამოდგა, მეორე ოთახში გავიდა, როიალთან დაჯდა და თითებმა სპილოს ძვლის თეთრსა და შავ კლავიშებზე გადაირბინეს. მაგრამ ყავა შემოიტანეს თუ არა, მან დაკვრა შეწყვიტა, ლორდ ჰენრის დააკვირდა და ჰკითხა:
- ჰარი, ნუთუ ერთხელაც არ გაგიელვათ გონებაში, რომ შესაძლოა ბეზილი მოკლეს?
ლორდ ჰენრიმ დაამთქნარა.
- ბეზილ ჰოლუორდი უკვე დიდად პოპულარული იყო, როგორც მხატვარი. თანაც იაფფასიან ჯიბის საათს ატარებდა მუდამ. მაინც რისთვის უნდა მოეკლათ? არც ისე საქვეყნოდ გამოჩენილი პიროვნება ყოფილა, რომ მტრები ჰყოლოდა. თუმც, მართალია, ვერ უარვყოფთ, რომ ფრიად ნიჭიერი ხელოვანი იყო, მაგრამ შესაძლოა თვით ველასკეზივით[137] ხატავდეს ადამაინი და მეტად უინტერესო პიროვნებად თვლიდნენ... ბეზილი მართლაც რომ მეტად მოსაწყენი კაცი იყო. მან მხოლოდ ერთხელ, მრავალი წლის წინათ დამაინტერესა მთელ ცხოვრებაში, როდესაც განმიცხადა, რომ გონწართმეული თქვენ გეთაყვანებოდათ. დიახ, სწორედ თქვენ გამოიწვიეთ მასში აღმაფრენა და გადაიქეცით დიდი ხელოვნების შთაგონების წყაროდ.
- მართლაც ძალიან მიყვარდა ბეზილი, - ნაღვლიანი ხმით ჩაიდუდუნა დორიანმა. - მაგრამ ნუთუ არავინ ამბობს, რომ მოკლეს?
- ოჰ, დიახ, ზოგიერთი გაზეთი გამოთქვამს ასეთ აზრს, მაგრამ მე არა მჯერა. მართალია, პარიზში მრავალი მეტად საეჭვო ადგილია, მაგრამ ბეზილი ისეთ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, რომ ასეთი ადგილებით დაინტერესებულიყო.

სრულიადაც არ იყო ცნობისმოყვარე და სწორედ ეს მიმაჩნდა მის უდიდეს ნაკლად ცხოვრებაში.
- რას იტყოდით, ჰარი, მე რომ მეღიარებინა თქვენ წინაშე გულახდილად, ბეზილი მოვკალი-მეთქი.
დორიანი ამბობდა ამ სიტყვებს და თან თვალმოუშორებლად დაძაბული ყურადღებით აკვირდებოდა ლორდ ჰენრის სახეს.
- იმას ვიტყოდი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რომ ამქვეყნად სხვისი როლის შესრულება გწადიათ. ყოველგვარი დანაშაული უხამსობაა, როგორც ყოველგვარი უხამსობა - დანაშაულია. თქვენ კი, დორიან, მკვლელობის ჩამდენი არა ხართ. მაპატიეთ, რომ თქვენ პატივმოყვარეობას ამგვარი მტკიცებით იქნება შეურაცხვყოფ კიდეც, ასეთი მოურიდებლობა ვის გაუგია, მაგრამ ეს სრული ჭეშმარიტება გახლავთ. განსაკუთრებით მდაბიოთა წრიდან გამოსული ადამიანი სჩადის ამას თავისუფლად, რის გამო მე მათ სრულიადაც არ ვამტყუნებ. ისე მეჩვენება, რომ მათთვის დანაშაულის ჩადენა იგივეა, რაც ჩვენთვის ხელოვნება. უბრალოდ ეს ერთ-ერთი საშუალებაა, რითაც ისინი აღწევენ დიდ მგრძნობელობას.
- გზა, რომლითაც დიდ მგრძნობელობას აღწევენ? მაშ, თქვენი აზრით, ისე გამოდის, ადამიანს, რომელმაც ერთხელ ჩაიდინა ეს საზარელი საქმე, თავისუფლად შეუძლია კვლავ გაიმეოროს იგი? როგორ გეკადრებათ, ჰარი, განა ამის თქმა შეიძლება?
- ადამიანი ყველაფერში პოულობს სიამოვნებას, რაც ჩვეულებად გადაექცევა ხოლმე. აბა, როგორ გგონიათ? - სიცილით წამოიძახა ჰარი უოტონმა. - ეს გახლავთ ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ურთულესი საიდუმლო. ვფიქრობ, მკვლელობის ჩადენა დიდი მარცხია. არასოდეს ისეთი რამ არ უნდა ჩაიდინო, რის შესახებ სადილის შემდეგ საზოგადოებაში თავისუფლად არ შეგეძლება საუბარი. მაგრამ, მოდი, საბრალო ბეზილს თავი დავანებოთ. კარგი იქნებოდა მწამდეს, რომ მისი სიცოცხლის დასასრული ისეთი რომანტიკული იყო, როგორც თქვენ აღმიწერეთ, მაგრამ ეს შეუძლებელია. ვფიქრობ, ომნიბუსიდან სენაში გადავარდა და ეს ამბავი კონდუქტორმა მიჩქმალა. დიახ, მგონია, ეს იყო მისი საბედისწერო დასასრული: და ახლა წევს ზურგზე ამ მრუმე მომწვანო ფერის სენის წყალქვეშ. მის ზემოდან მძიმე სამდინარო კარჭაპები დაცურავენ. გრძელი წყალმცენარეები ჩახლართვია საბრალოს თმაში. იცით, დორიან, მე ვფიქრობ, ბეზილს რაიმე დიდებული ქმნილების შექმნა უკვე აღარ შეეძლო. ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში მისი ნამუშევრები გაცილებით სუსტი მოჩანდა ახალგაზრდობის დროინდელ ქმნილებებთან შედარებით.
დორიანმა საპასუხოდ ღრმად ამოიოხრა. ლორდ ჰენრი კი ბოლთას სცემდა ოთახში და მოფერების ნიშნად თავზე ხელს უსვამდა კუნძულ იავადან ჩამოყვანილ უცხო ფერის, გრძელბუმბულიან თუთიყუშს, რომელსაც ვარდისფერი ბიბილო და ასეთივე კუდი ამშვენებდა. ფრინველი, ლერწმის ქანდარაზე შემომჯდარი, თითქოს წონასწორობას იცავდა. როგორც კი ლორდ ჰენრის მგრძნობიარე თითები შეეხო, თუთიყუშის დანაოჭებული ქუთუთოებიდან თეთრი

ქერტლი შავი მინის მსგავს თვალებს გადაეფინა, უცნაურად შეფრთხიალდა და წინ და უკან რწევას მოჰყვა.
- დიახ, - ლორდ ჰენრი დორიანს მოუბრუნდა, ცხვირსახოცი ამოიღო და განაგრძო, - ბეზილი ბოლო ხანს გაცილებით მდარე ხარისხის სურათებს ქმნიდა. მე ვფიქრობ, რომ მათ რაღაც დაკარგეს. შესაძლოა მხატვარს იდეალი აღარ გააჩნდა. სანამ თქვენ მასთან ასე ახლოს მეგობრობდით, ის უდავოდ დიდი ხელოვანიც იყო. რამ გამოიწვია თქვენი დაშორება? ალბათ თავი მოგაბეზრათ, არა? თუ ასეა, ბეზილი ამას ვერასოდეს შეგინდობთ. ეს მოსაწყენ ადამიანთა ჩვეულებაა. სხვათა შორის, რა ბედი ეწია იმ თქვენს შესანიშნავ პორტრეტს? მგონი, აღარც კი მინახავს იმ დღის შემდეგ, რაც ბეზილმა დაამთავრა. ისე მახსოვს, თითქოს თქვენ მეუბნებოდით, რომ პორტრეტი სელბი-როიალში გააგზავნეთ და მგონი, გზაში დაიკარგა. მის მერე ვეღარ მიაგენით? რა სამწუხაროა! ნამდვილი შედევრი იყო. მახსოვს, მინდოდა მეყიდა. როგორ ვწუხვარ, რომ ასე არ მოვიქეცი თავის დროზე. ეს პორტრეტი სწორედ იმ ხანას მიეკუთვნება, როდესაც ბეზილ ჰოლუორდის ნიჭი დიდი შთაგონებით იყო აღვსილი და სრულ გაფურჩქვნას განიცდიდა. მას შემდეგ კი მისი ქმნილებანი მეტად უცნაური ნაერთი გახლდათ ცუდი ხელოვნებისა დიად სურვილებთან, რაც, რა თქმა უნდა, ჩვენ უფლებას გვაძლევს მხატვარს ინგლისური ხელოვნების ტიპიური წარმომადგენელი ვუწოდოთ... გაზეთში გამოაცხადეთ პორტრეტის დაკარგვის ამბავი? უთუოდ ასე უნდა მოქცეულიყავით.
- ისიც კი აღარ მახსოვს, ასე მოვიქეცი თუ არა. მგონი გამოვაცხადე. წარმოიდგინეთ, სინამდვილეში ეს პორტრეტი მე არასოდეს მომწონდა. ახლა ვწუხვარ, რომ მისი შექმნის იდეას ასე თავისუფლად დავეთანხმე. მისი გახსენება არ მიყვარს. პორტრეტი საოცრად მძულდა. ნეტავ რისთვის წამოვიწყეთ ეს საუბარი? შევხედავდი თუ არა პორტრეტს, მაშინვე მხოლოდ ერთ-ერთი პიესის ორი უცნაური სტრიქონი აღსდგებოდა ჩემს მეხსირებაში. მე მგონი „ჰამლეტი“. მოითმინეთ, როგორ არის:
სევდას და დარდსა, მწარე ტანჯვას, თვით ჯოჯოხეთსა
იგი სახეს სდებს საამოსა და საკეთილოს.[138]
დიახ, სწორედ ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ამ პორტრეტმა ჩემზე.
ლორდ ჰენრიმ გაიცინა.
- ვინც ცხოვრებას მხატვრის თვალით უყურებს, მის გონებას უთუოდ სული სცვლის, - უპასუხა მან და სავარძელში ჩაეშვა.
დორიანმა უარის ნიშნად თავი გაიქნია და რამდენიმე დაბალი აკორდი აიღო როიალზე.
- სევდას და დარდსა, მწარე ტანჯვას, თვით ჯოჯოხეთსა იგი სახეს სდებს საამოსა და საკეთილოს, - გაიმეორა მან.
ლორდ ჰენრი სავარძელში გადაწოლილი, ნახევრად თვალმოხუჭული შეჰყურებდა მას.
- სხვათა შორის, დორიან, - წარმოთქვა მან დუმილის შემდეგ, - რა სარგებლობა ექნება ადამიანს... თუნდაც მთელი ქვეყნიერება მისცენ, თუ დაკარგავს... როგორ

ამბობს ციტატი?... თუ საკუთარ სულს დაკარგავს?
მუსიკა ჟღრიალით შეწყდა, დორიანი შემკრთალი ფეხზე წამოიჭრა და მეგობარს მიაჩერდა.
- რატომ მეკითხები ამას, ჰარი?
- ძვირფასო ჩემო, - უპასუხა ლორდ ჰენრიმ და წარბები განცვიფრებით ზეაზიდა, - იმიტომ გეკითხებით, რომ მეგონა, შეძლებდით პასუხი მოგეცათ. ეს არის და ეს. კვირას ჰაიდ-პარკში გამოვიარე და მარმარილოს თაღთან ჩამოკონკილ-ჩამოგლეჯილთა მთელი ბრბო შევნიშნე. ისინი ვიღაც ქუჩის მდაბიო ქადაგს უსმენდნენ. სწორედ იმ დროს, როდესაც ახლოს ჩავუარე, შემომესმა, ქადაგი თავის მსმენელთ სწორეს ამას ეკითხებოდა. უცებ ამ ფრაზის დრამატულობამ დამატყვევა. ლონდონი სავსეა ასეთი უცნაური ამაღელვებელი სცენებით. აბა, წარმოიდგინეთ, წვიმიანი კვირა დღე, საბრალო ქრისტიანი თხელ მაკინტოშში, რომელსაც უსწორმასწორო ქოლგებქვეშ საცოდავად გადაფითრებული სახეების რკალი არტყია გარს. ქოლგებიდან წყალი განუწყვეტლივ წვეთავს და აი, ამ დროს ბრბოში გადასროლილი ეს დიდებული და განსაცვიფრებელი ფრაზა ჰაერში, როგორც გულგამგმირავი ისტერიული გოდება, ისე ბობოქრობს. მართალი მოგახსენოთ, ეს თავისებურად მეტად საინტერესო იყო და ამავე დროს შთამაგონებელიც. მინდოდა მივახლოვებოდი და იმ წინასწარმეტყველისათვის მეთქვა, რომ ხელოვნებას უცილოდ გააჩნია სული, მაგრამ ადამიანს კი არა-მეთქი, მაგრამ ვშიშობდი, ვერაფერს გამიგებდა.
- ასე ნუ მსჯელობთ, ჰარი! ადამიანს უცილოდ აქვს სული. თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, ეს, რა თქმა უნდა, მწარე რეალობაა. მე მწამს, რომ ნებადართულია მისი ყიდვა-გაყიდვა, გამოცვლა, ასევე შესაძლოა სულის მოწამვლა და მისი სრულყოფა. სული ყოველ ჩვენგანშია. ეს კარგად ვიცი და ოდნავ ეჭვიც არ მეპარება.
- მაშ, თქვენ გჯერათ, რომ სული არსებობს, დორიან?
- რა თქმა უნდა.
- ეს მხოლოდ ილუზიაა. ის, რაც ასე ღრმად სწამს ადამიანს, სინამდილეში არ არსებობს. ეს გახლავთ სწორედ რწმენის საბედისწერო ხვედრიც. ეს გახლავთ სწორედ ის, რაზედაც გაკვთილსა და წარმოდგენას სიყვარული იძლევა. ოჰ, რა სერიოზული გამომეტყველება გაქვთ! ასე ახლოს გულთან ნუ მიიტანთ ამ საკითხს. რა საქმე გვაქვს მე და თქვენ ჩვენი ეპოქის ცრუმორწმუნეობასთან? არა, ამიერიდან ჩვენ აღარ გვწამს სულის არსებობა. დაუკარით რამე. გთხოვთ, რომელიმე ნოქტიურნი, დორიან, და აკომპანიმენტზე ხმადაბლა მიამბეთ, როგორ შეინარჩუნეთ ახალგაზრდობა: თქვენ უეჭველად, რაღაც საიდუმლოება იცით. მე თქვენზე მხოლოდ ათი წლით უფროსი ვარ და აბა, დამაკვირდით, როგორ ვიცვალე ფერი, ბაიასავით გავყვითლდი. სახე დამინაოჭდა და მთლად გამოვიფიტე. თქვენ კი საოცრად თვალწარმტაცი გარეგნობა შეინარჩუნეთ. მაინც ასეთი მომჯადოებელი ჯერ არასოდეს მჩვენებიხართ, როგორც ამ საღამოს. ის დღე მაგონდება, პირველად რომ გიხილეთ. თქვენ მაშინ მეტად კადნიერი, მაგრამ ამასთან ერთად საოცრად მორცხვი ჭაბუკი იყავით. საერთოდ კი შესანიშნავი

ახალგაზრდა. წელთა სიმრავლემ, რა თქმა უნდა, გამოგცვალათ, მაგრამ თქვენს წარმტაც გარეგნობას ჟამთა სიავის დაღი ოდნავადაც არ დამჩნევია. დიდი სურვილი მაქვს, თქვენი საიდუმლო გამანდოთ. ახალგაზრდობის უკან დასაბრუნებლად მზად ვარ ყველანაირი მსხვერპლი გავიღო ამქვეყნად. მხოლოდ, მართალი მოგახსენოთ, ტანვარჯიშს ვერ ვეგუები. ვერ წარმომიდგენია, დილით ადრე ადგომა და საერთოდ წესიერი ცხოვრება. ოჰ, ახალგაზრდობა? მას ხომ არაფერი შეედრება ამქვეყნად! სისულელეა ახალგზრდობის უმეცრებაზე ლაპარაკი. ერთადერთი, ვის აზრსაც ვუსმენ და პატივს ვცემ, ჩემზე ბევრით ახალგაზრდა ადამიანები არაინ. ისინი გაცილებით წინ წავიდნენ. ცხოვრებამ თავისი უკანასკნელი საოცრებანი მხოლოდ მათ წინაშე გამოააშკარავა. დროულ, ხანში შესულ ადამიანებს კი ყოველთვის ვეწინააღმდეგები. მე ამას პრინციპის გამო ჩავდივარ. იკითხეთ მათი აზრი ამა თუ იმ საკითხზე, თუნდაც ისეთზე, რაც გუშინ მოხდა, ისინი დიდი და ზვიადი თავმოწონებით თქვენ წინაშე წამოაყენებენ აზრებს, რომელიც საზოგადოებაში ჯერ კიდევ 1820 წელს იყო გაბატონებული, როდესაც ჩვენი მამაკაცები მაღალყელიან წინდებს ატარებდნენ. ყველაფრის რწმენა გააჩნდათ და არაფერი კი არ იცოდნენ. ოჰ, რა შესანიშნავი მუსიკაა, საოცრად რომანტიკულია. მე მგონია, ეს შოპენმა მაიორკაზე[139] დაწერა, როდესაც ზღვა მოუსვენრად კვნესოდა მისი საცხოვრებელი ვილის გარშემო და ზღვის მარილიანი ცრემლის წინწკლები სარკმლის კრიალა მინებს აწყდებოდა. ოჰ, რა ზებუნებრივი რომანტიკულობაა! რა ზეციური კურთხევაა, რომ ჩვენ ერთადაერთი ხელოვნება მაინც შეგვრჩა, რომელიც ესოდენ შეუდარებელია და წაბაძულობის გარეშე შთენილი! გთხოვთ, ნუ შეწყვეტთ! მინდა ამაღამ მხოლოდ მუსიკა ვისმინო. ისე მეჩვენება, თითქოს თქვენ ჭაბუკი აპოლონი ხართ, მე კი სმენად ქცეული მარსიასი[140]. ჩემს სულსაც დიდი ნაღველი დაუფლებია, დორიან, რომელიც თქვენთვისაც არასოდეს გამიმხელია. მოხუცებულობის ტრაგედია ის კი არ არის, რომ ადამიანი ხანდაზმულობას აღწევს, არამედ ის, რომ სული მარად ახალგაზრდული რჩება. ჟამთა ვითარებაში მე თვით მრავალჯერ განუცვიფრებივარ საკუთარ სიწრფელეს. ოჰ, დორიან, რა კეთილ ვარსკვლავზე დაბადებულხართ, რა შესანიშნავი ცხოვრება გაატარეთ! თქვენ ძირამდე შესვით ცხოვრებისეული ყველანაირი სიტკბოება და ყურძნის მტევნის თითოეული მარცვლის გემო იგემეთ. ცხოვრებამ თქვენ წინაშე ვერაფრის გადამალვა ვერ მოახერხა და ყოველივე ეს თქვენც შეიცანით, ვითარცა მუსიკა, ამიტომაც მან თქვენზე კვალი ვერ დატოვა და ვერ დაგაგონჯათ. თქვენ მარად ჭაბუკი ხართ და იქნებით.

- არა, ჰარი, მე ისეთი აღარა ვარ, როგორიც ვიყავი.

- მე კი ვამბობ, რომ ისევ ისეთი ხართ, ჩემო დორიან. ნეტავი რას გიქადით მომავალი? ნუ შებღალავთ მას თვითაღკვეთით, სრულყოფილ პიროვნებად მოვლენიხართ ამ ქვეყანას და ნურავითარ დაღს ნუ დაიმჩნევთ! ცხოვრებას ბრალს ვერ დასდებთ. მისგან ამჟამად ხელშეუხებელი და დაუზიანებელი ხართ. თავს ნუ იქნევთ, კარგად ხვდებით, რომ სწორედ ასეა. გარდა ამისა, დორიან, არც თავის მოტყუება ვარგა. ცხოვრებას ჩვენი სურვილები, ნებისყოფა და სწრაფვანი

არ მართავენ. ცხოვრების წარმმართველი ძირითადად ადამიანის ურთულესი ნერვიული ბოჭკოებია და თვით ორგანიზმის თავისებურებანი: იქ, სადაც ნელ-ნელა სრულიად ბუნებრივ ვითარებაში წარმოქმნილი უჯრედები და ფიქრები იმალავს თავს, იქ, სადაც გრძნობები და ოცნებები იბადება. თქვენ შესაძლოა ძლიერ ადამიანად წარმოიდგინოთ თავი და ფიქრობდეთ, რომ არავითარი საფრთხე არ მოგელით, მაგრამ ოთახში სრულიად შემთხვევით თვალმოკრული მკრთალი ნათელი, გამჭვირვალე ლაჟვარდის შეუდარებელი მშვენება აისზე, ოდესღაც განსაკუთრებით საყვარელი სურნელება, რომლებიც ბუნდოვან გრძნობებს აცოცხლებენ თქვენს სულში, რომელიმე დავიწყებული ლექსის სტრიქონი, რომელსაც უცებ კვლავ წააწყდებით, მშვენიერი მუსიკალური ფრაზა რომელიმე პიესიდან, რომლის შესრულება ოდესღაც შორეულ წარსულში შეწყვიტეს. - აი, რა მოგონებებზეა, დორიან, დამოკიდებული ჩვენი ცხოვრება მთლიანად. დარწმუნებული ვარ და გეტყვით, რომ ეს არის მხოლოდ ყოველივე ამქვეყნად. ბრაუნინგიც[141] წერს ამის შესახებ ერთ-ერთ ლექსში და ჩვენი საკუთარი გრძნობებიც მას საოცრად ეთანხმება. არის წუთები, როცა თეთრი იასამნის სურნელება სულში ბუნდოვნად მიძინებული, ყველაზე შესანიშნავი და ერთი დავიწყებული თვის სიამეს კვლავ განმაცდევინებს. ოჰ, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა თქვენს ადგილას ყოფნა, დორიან! სამყარო აღსდგა ჩვენ წინააღმდეგ. ადამიანებმა თავისი მსჯავრი გამოგვიტანეს, მაგრამ ისინი ყოველთვის გაღმერთებდნენ თქვენ და თაყვანს გცემენ მარად. თქვენ ის ადამიანი ხართ, რომელსაც ჩვენი საუკუნე ეძებდა. და რაც შიშით აძრწუნებდა, იპოვა კიდეც. ოჰ, როგორ მიხარია, რომ არაფერი გენიალური არ შეგიქმნიათ ამქვეყნად. არც დიდებული ქანდაკება გამოგიძერწავთ, არც განსაცვიფრებელი მხატვრული შედევრი. დიახ, სრულიად არაფერი, რაც საკუთარი პიროვნების გარესამყაროში უნდა შექმნილიყო. თვით ცხოვრება იქცა თქვენს შინაგან ხელოვნებად. თქვენ მუსიკას შესწირეთ თავი. თქვენი _____ცხოვრების დღენი თქვენი
სონეტებია.
დორიანმა დაკვრა შეწყვიტა, წამოდგა და თავზე ხელი გადაისვა.
- დიახ, ცხოვრება მართლაც საუცხოოა და სულის მაცდუნებელი ნეტარება გახლავთ, მაგრამ მე პირადად, ჰარი, ასე ცხოვრება აღარ მსურს, - წარმოთქვა მან თითქმის ჩურჩულით, - არ უნდა ამბობდეთ ასეთ უცნაურ სიტყვებს ჩემ წინაშე. თქვენ ყველაფერი არ იცით ჩემ შესახებ, რომ იცოდეთ, თქვენ ზურგს შემაქცევდით. თქვენ იცინით ახლა, გევედრებით, ნუ იცინით, ჰარი!
- რატომ შეწყვიტეთ დაკვრა, დორიან? გთხოვთ, ისევ როიალს მიუბრუნდეთ და ნოქტიურნი კვლავ მომასმენინეთ. აბა, შეხედეთ ამ დიდ თაფლისფერ მთვარეს, როგორ ჰკიდია ცის უსაზღვრო ბნელეთში და იცდის, რომ თქვენი მუსიკით მოაჯადოვოთ. და იცით თუ არა, რომ ამ სასწაულებრივ ჰანგებს ძალუძთ ის დედამიწას დაუახლოონ? არ გსურთ დაკვრა? მაშინ კლუბს მივაშუროთ. ფრიად სასიამოვნო საღამო იყო და სჯობს ასევე დავაბოლოვოთ. იქ, უაიტებისას ერთი ახალგაზრდა ჭაბუკი დაგვხვდება, ვისაც თქვენი გაცნობა ოცნებად აქვს

გადაქცეული. ის ბორნმაუთის უფროსი ვაჟი ლორდ პულია. კარგა ხანია სწორედ თქვენნაირ ყელსახვევებს ატარებს და მემუდარება, წარმოგიდგინოთ. თვალწარმტაცი გარეგნობის ჭაბუკია, თქვენ თავს მაგონებს ოდნავ.
- იმედია, არ მემგვანება, - წარმოთქვა დორიანმა და თვალებში სევდამ იელვა. - ამ საღამოს საოცრად დავიღალე, ჰარი, კლუბში ვერ წამოვალ, უკვე თერთმეტი სრულდება, მინდა ადრე დავწვე.
- გემუდარებით დარჩით, დორიან, თქვენ დღეს ისეთი გრძნობით უკრავდით, როგორც არასდროს. რაღაც უჩვეულო, სულის მომაჯადოებელი სიტკბო იგრძნობოდა მასში. დიახ, დღეს თქვენი დაკვრა განსაკუთრებით დიდი გამომსახველობითი ძალის მამხილებელი იყო, ვიდრე ოდესმე წინათ.
- ეს, ალბათ, იმიტომ, რომ უკეთესისაკენ სწრაფვამ იმარჯვა ჩემს არსებაში, - უპასუხა დორიანმა ღიმილით, - და მგონი, უკვე სასიკეთო ცვლილებაც დამეტყო.
- თქვენ არ ძალგიძთ ჩემ მიმართ გამოიცვალოთ, დორიან! - განაგრძობდა ლორდ ჰენრი. - მე და თქვენ მარად მეგობრებად უნდა დავრჩეთ.
- თქვენ ოდესღაც წიგნით მოწამლეთ ჩემი სული და გონება, ჰარი. ამის პატიება არ ძალმიძს. პირობა მომეცით, რომ აღარავის ათხოვებთ იმ წიგნს. ის _____ყველა სულდგმულს ზიანს მოუტანს ამქვეყნად.
- ძვირფასო დორიან, ნუთუ თქვენ მართლა მორალის ქადაგებას იწყებთ? მალე თქვენ, როგორც ყველა ახლად მოქცეული მორალისტი, ხალხში ივლით და შთააგონებთ მათ, იგივე ცოდვები არ ჩაიდინონ, რომლებმაც თქვენი არსება მთლიანად შთანთქეს და უზომოდ დაღალეს. თქვენი პიროვნება ბევრით და გაცილებით მაღალ საფეხურზე დგას ამ საცოდავ ქადაგებთან შედარებით. ამასთანავე ეს ყოველივე უმიზნო და უსარგებლოა. მე და თქვენ როგორებიცა ვართ ამჟამად, მარად ასეთნი დავრჩებით მომავალშიც. რაც შეეხება წიგნით მოწამვლას, ასეთი რამ ამქვეყნად არ არსებობს. ადამიანთა მოქმედებაზე გავლენის მოხდენა ხელოვნებას არ ძალუძს. ის მოქმედების სურვილს ადუნებს მხოლოდ და მეტისმეტი სიწმინდის განსახიერებაა. არის წიგნები, რომელთაც მსოფლიო ამორალურს უწოდებს, მაგრამ სწორედ ამ წიგნებში, როგორც სარკეში, მკითხველი საკუთარ მანკიერებას და სამარცხვინო საქციელს ხედავს. ეს არის და ეს. მაგრამ უმჯობესია ლიტერატურის საკითხზე ნუ ვიკამათებთ! ხვალ ჩემთან შემოიარეთ, დორიან, თერთმეტზე ცხენით გასეირნებას ვაპირებ, შეგვიძლია ერთად ვიხეტიალოთ. შემდეგ კი ლედი ბრანკსომისას საუზმეზე წაგიყვანთ. ამ მომხიბვლელ ქალს სურს გობელენებზე მოგელაპარაკოთ, რომელთა შეძენასაც ის ახლო მომავალში აპირებს. იმედი მაქვს, გამოივლით! თუ უმჯობესია ჩვენს პატარა მთავრის მეუღლეს ვესტუმროთ საუზმეზე? შემომჩივლა, რომ ამ ბოლო ხანებში ვეღარსად გხედავთ. იქნებ გლედისმა თავი მოგაწყინათ? თუმც მე ამას წინასწარ ვგრძნობდი. მისი ენამახვილობა საოცრად მოქმედებს ნერვებზე. კეთილი, ყოველ შემთხვევაში თერთმეტისათვის იქ იყავით.
- თქვენ მართლა გსურთ ჩემი მოსვლა, ჰარი?
- რა თქმა უნდა. ჰაიდ-პარკში ამჟამად განსაცვიფრებელი სილამაზეა. იასამანი მას შემდეგ ასე დიდებულად აღარ აყვავებულა, რაც პირველად შევხვდით

ერთმანეთს.
- კეთილი, თორმეტ საათზე გეახლებით. - უპასუხა დორიანმა. - ნახვამდის, ჰარი.
დორიანმა კარს მიაღწია და ერთ წამს შეჩერდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მხოლოდ ამოიოხრა და დარბაზი დატოვა.

თავი XX

მშვენიერი საღამო იყო, იმდენად თბილოდა, რომ დორიანმა პალტო მკლავზე გადაიკიდა და აბრეშუმის ყელსახვევიც კი მოიხსნა. შინისაკენ ნელი ნაბიჯით მიდიოდა და სიგარას აბოლებდა. ორი ფრაკში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი დორიანს გზად შემოეყარა. ჩაესმა, როგორ ჩასჩურჩულა ერთმა მეორეს: „შეხედე, შეხედე დორიან გრეი მოდის“. - დორიანს ისიც მოაგონდა, როგორ ესიამოვნებოდა ხოლმე პირველად, როდესაც ადამიანები მალვით ერთიმეორეს მასზე უთითებდნენ, შეფარვით უთვალთვალებდნენ და საიდუმლოდ მის შესახებ ჩურჩულებდნენ. ახლა კი რატომღაც არ ეამა საკუთარი სახელის გაგონება. მისი სახელის ასე ხშირი ხსენებისაგან საოცარ დაქანცულობას გრძნობდა. ერთი პატარა სოფლის მიდამოებში გატარებული დროის უდიდესი სიამისა და ნეტარების ნახევარიც სწორედ ის გახლდათ, რომ მისი ვინაობა იქ არავინ იცოდა. სიყვარულის ცეცხლით შენამსჭვალები, ხშირად ჩასჩურჩულებდა ჰეტის, რომ ვიღაც უთვისტომო ყარიბი იყო და ამქვეყნად არც არავინ ჰყავდა და არც არაფერი ებადა. გოგონას, რა თქმა უნდა, გულწრფელად სწამდა გრძნობით მთვრალი ჭაბუკის სიტყვები. ერთხელ დორიანმა ისიც კი განუცხადა ჰეტის, რომ ბოროტი ადამიანი ვარო, მაგრამ გოგონამ გულიანი კისკისი ატეხა და უპასუხა: ბოროტი ადამიანი ყოველთვის მახინჯებად და ეშმაკისეული გარეგნობის გახრწნილ ბებრებად წარმომიდგენიაო. ოჰ რა მომაჯადოებელი სიცილი იცოდა ჰეტიმ, თითქოს გულანთებული შაშვი გალობდა! რა ღვთიური მშვენიერება მიემადლებინა განგების ძალას მისთვის! რა თვალწარმტაცი ჩანდა ჩითის კაბასა და ფართოფარფლებიან ქუდში! ამ უმეცარ სოფლელ გოგონას ყველა ის ძვირფასი ადამიანური თვისება უკლებლად გააჩნდა, რაც თვით დორიანს სამუდამოდ დაეკარგა ცხოვრებაში.
დორიანმა სახლს მიაღწია, შევიდა თუ არა, შენიშნა, რომ ლაქია ჯერ ისევ უცდიდა. ფრენსისი მაშინვე დასაძინებლად გაგზავნა, თვითონ კი ბიბლიოთეკაში დივანზე წამოწვა და ფიქრს მიეცა. ძალიან დიდხანს ისევ იმაზე ფიქრობდა, რაზედაც ლორდ ჰენრი ესაუბრებოდა.
ნუთუ მართლა არ შეიძლება ადამიანის გარდაქმნა? დორიანი მოუთმენელმა და მოუნელებელმა სინანულმა შეიპყრო. ოჰ, როგორ ენატრებოდა ის უწმინდესი, შეუბღალავი და უმანკო სიჭაბუკის წლები! დიახ, „თეთრად და ვარდისფრად მოციაგე სიჭაბუკე“, როგორც ოდესღაც ლორდ ჰენრიმ უწოდა ამ განუმეორებელ წლებს. დორიანი ცხადად გრძნობდა, როგორი სამარცხვინო ლაქა მოსცხო საკუთარ თავს, სული წაბილწა, გახრწნა და გულისამრევი საზრდოთი კვებავდა ახლაც გონებას. მისი ზეგავლენა სხვა ადამიანებზე მუდამ დამღუპველი იყო. და, აი, სწორედ ეს განაცდევინებდა შემაძრწუნებელ სიხარულს და სიამოვნებას. ყველა იმ სიცოცხლიდან, რომლებიც მის საკუთარ სიცოცხლესთან

გადაჯვარედინებულიყო, მხოლოდ მისი საკუთარი სიცოცხლე ჩანდა წმინდა და მომავალში ყველაზე დიდ და სანუკვარ იმედთა განხორციელების სათავედ, მაგრამ დორიანმა საკუთარი სული სრულიად დაუნანებლად გასწირა და არც სიცოცხლე დაინდო, ის სამუდამოდ სამარცხვინო გზაზე დააყენა. ნუთუ ეს ყოველივე გამოუსწორებელია? ნუთუ მისთვის ამქვეყნად აღარ მოიპოვება იმედის ნაპერწკალი?
ოჰ, სიამაყითა და გრძნობიერებით გონდაბნეული, რა საბედისწერო წამს შეევედრა ზეციურ ძალებს, რომ პორტრეტს ეტარებინა მისთვის განკუთვნილი სასიცოცხლო დღეთა უმძიმესი ტვირთი, თვით მას კი, მარადიული ახალგაზრდობის ხელშეუხებელი ბრწყინვალება შეენარჩუნებინა! მთელი მისი უბედობის სათავეც ეს იყო. სჯობდა თითოეულ მის მიერ ჩადენილ ცოდვას მაშინვე მიზღოდა საკადრისი სასჯელი. და ამ უმძიმეს დანაშაულთა სასჯელისაგან მაშინვე გაეთავისუფლებინა სული. არა ისე, როგორც ამბობენ: „მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი“, არამედ, „გვგვემე ჩვენთა უსამართლოთა გამო“. აი, როგორი უნდა იყოს სინამდვილეში ადამიანის ვედრება სამართლიანი ღმერთისადმი.
მაგიდაზე მრავალი წლის წინათ ლორდ ჰენრის ნაჩუქარი საუცხოო ძერწილებით შემკულ სარკეს მოჰკრა თვალი. თეთრხელება კუპიდონები მას ირგვლივ, მთელ ჩარჩოზე გარს შემოსეოდნენ და იღიმებოდნენ. სარკე ხელში აიღო, სწორედ ისევე, როგორც იმ საზარელ ღამეს, როდესაც პირველად შენიშნა ცვლილებანი იმ საბედისწერო პორტრეტზე. მის ბრწყინვალე ზედაპირს ცრემლით დაბინდულ თვალთა მზერას ვერ აცილებდა. ერთხელ, ერთი თავდავიწყებით შეყვარებული არსებისაგან ფრიად საოცარი წერილი მიიღო, რომელიც ასე თავდებოდა: „ქვეყნიერება გამოიცვალა, რადგან თქვენ მოევლინეთ მას. თქვენ, რომელიც სპილოს ძვლისა და ოქროსაგან შეუქმნიხართ ზეციურ ძალებს. თქვენი ბაგეთა მოხაზულობა ქვეყნიერების ისტორიას გარდაქმნას უქადის“. ეს სიტყვები ახლა კვლავ აღსდგა დორიანის მეხსიერებაში და დაუსრულებლად იმეორებდა მას შეუცნობლად. მაგრამ უცებ საკუთარმა სილამაზემ ზიზღი მოჰგვარა, განრისხებულმა სარკე გამეტებით დაჰკრა იატაკს და მერე ფეხით ვერცხლისფერ ბრჭყვიალა ნამსხვრევებად აქცია იგი. დიახ, სწორედ ამ საბედისწერო სილამაზემ მიიყვანა დაღუპვის კარამდე, ფიქრობდა ის. დიახ, ამ სილამაზემ და მარადიული ახალგაზრდობის ტრფიალმა, რომლებზედაც ლოცულობდა, მხოლოდ ამ ორ საოცარ გრძნობას რომ გამკლავებოდა და თავიდან როგორმე აეცილებინა, მისი ცხოვრება სამუდამოდ უბიწო და შეუბღალავი იქნებოდა. სილამაზე ამქვეყნად მხოლოდ ნიღბად ექცა, ხოლო სიჭაბუკე ბედისწერის მწარე დაცინვად. მაინც რას წარმოადგენდა სიჭაბუკე ასეთს? საქვეყნოდ ცნობილია, რომ ის მხოლოდ მოუმწიფებლობის და თავქარიანობის ხანაა. ზერელე, თვითშეუცნობელი განწყობილებებით დატვირთული სულის მქონე და მარად არაჯანსაღი აზრებით აღსავსე გონების პატრონი. მაშ, რისთვის უნდა ეტარებინა მას მთელი ცხოვრების მანძილზე გრძნობისადმი სამსხვერპლოდ შეწირული ადამიანის სამოსელი, თუკი მარადიული სიჭაბუკის ტრფიალმა წაბილწა მასში ყოველი კეთილშობილი

გრძნობა და დაღუპა სამუდამოდ.
უმჯობესი იყო არ ეფიქრა წარსულზე. არარა ძალას ამქვეყნად არ შეეძლო მისი შეცვლა ამიერიდან, მხოლოდ საკუთარ თავზე და მომავალზე უნდა ეღონა ამჟამად. ჯეიმს ვეინი ყველასაგან ფარულად და უსახელოდ განისვენებდა სელბის საკარო ეკლესიის ეზოში. ალან კემპბელმა საკუთარ ლაბორატორიაში ერთ ღამეს თავი მოიკლა და ის საიდუმლოც სამარეში სამუდამოდ თან ჩაიტანა, რომელიც დორიანმა იძულებით გაანდო. საზოგადოების ესოდენი მღელვარებაც, რაც ბეზილ ჰოლუორდის გაუჩინარებამ გამოიწვია, უკვე დასასრულს უახლოვდებოდა და სწამდა, სწრაფად გაქრებოდა კიდეც. ყოველგვარი საფრთხისა და განსაცდელისაგან იხსნა თავი. სინამდვილეში ბეზილ ჰოლუორდის მკვლელობა კი არ დასწოლოდა მის სულს ესოდენ მძიმე ტვირთად, არამედ საკუთარი სულის სიკვდილი აწამებდა დაუსრულებლად. დიახ, ამ მკვდარი სულის სიკვდილი, რომელიც მის ცოცხალ სხეულში ჩავანებულიყო სამუდამოდ. ოჰ, იმ საბედისწერო პორტრეტმა დაამახინჯა სამუდამოდ მისი სიცოცხლე, რომელიც ბეზილმა შექმნა. და დორიანმაც სწორედ ეს ვერ აპატია ბეზილს! დიახ, ამ საოცარმა პორტრეტმა დაატრიალა ესოდენი უბედურება ყველას თავზე, გარდა ამისა, ბეზილმა მას პირადად შეჰკადრა ყოვლად აუტანელი სიტყვები და დორიანი მათ აქამდე ფარულად ითმენდა. ბეზილის მკვლელობა კი მისდაშეუცნობლად უდაოდ გონშეშლილის წამებში დატრიალდა. რაც შეეხება ალან კემპბელს, მისი სიკვდილი ეს ხომ ალანის პირადი საქმეა. ალანმა ეს გზა აირჩია, ეს მისი საკუთარი სურვილი იყო და რა საერთო უნდა ჰქონოდა ყოველივე ამას დორიანთან?
სრულიად ახალი ცხოვრება! ახლებური ყოფა, აი, რა სურვილი უშფოთებდა ამჟამად სულს, რას ესწრაფოდა თავდავიწყებით და რას ელოდა ყოველ წამს! და მერე ის ხომ უკვე შეუდგა ასეთ ცხოვრებას, დორიანს სწამდა ეს. ყოველ შემთხვევაში თავს ასე ირწმუნებდა. მან ხომ ჩაიდინა ერთი კეთილი საქმე, დაინდო უბიწო გოგონა. ამიერიდან ის არასოდეს შეეცდება უმანკო ადამიანთა ცდუნებას და მხოლოდ კეთილისმყოფელ პიროვნებად მოევლინება სამყაროს! ჰეტი მერტონზე მოგონებაში გართულს, უცებ გამოკეტილ ოთახში გადამალული პორტრეტი მოაგონდა და გაიფიქრა: იქნებ მას რაიმე სასიკეთო ცვლილება უკვე დაემჩნა და ისე საზარელი შესახედავი აღარ არის როგორც უკანასკნელად დავტოვეო. იქნებ კიდეც წარირეცხოს პორტრეტზე ყოველი ჩადენილი ბოროტმოქმედების შემაძრწუნებელი, სამარცხვინო კვალი, თუ მისი ცხოვრება ამიერიდან წმინდა და უმწიკლო იქნება? ან იქნებ მართლაც გაქრა უკვე მზაკვრობის ყოველი საბედისწერო ნიშანი? საჭიროა ავიდეს და საკუთარი თვალით იხილოს.
დორიანმა მაგიდიდან ლამპა აიღო და ფრთხილი ნაბიჯით ზემო სართულისაკენ გაეშურა. როდესაც კარს აღებდა, უჩვეულო სიხარულმა მთელი მისი არსება საოცრად შეძრა. განსაცვიფრებლად ახალგაზრდულ სახეზე წამიერად ღიმილმა იელვა და მის ულამაზეს ბაგეთა ხვეულებში დაივანა. დიახ, ეს შემზარავი პორტრეტი კი, რომელსაც ასე საიდუმლოდ ინახავს ყველას თვალთაგან

მოშორებით, ვეღარასოდეს შეაძრწუნებს მას. დორიანმა იგრძნო, რომ ის უმძიმესი ტვირთი, რომელიც მის სულს აქამდე ლოდად აწვა, თითქოს სამუდამოდ ჩამოხსნეს.
ფრთხილად შევიდა ოთახში. კარი გადაკეტა, რაც ამ ბოლო ხანს ჩვეულებად ექცა და პორტრეტიდან მეწამულისფერი ფარდა სასწრაფოდ ჩამოგლიჯა. აღშფოთებისა და გულისწყრომის გამომხატველი გულშემზარავი ყვირილი აღმოხდა უცებ. არავითარი ცვლილების ნასახი! მხოლოდ თვალებში შეიმჩნეოდა ეშმაკური ცეცხლი. ბაგე კი დამცინაც ღიმილს დაეღრიცა. პორტრეტზე ასახული ადამიანი შესაზარი და საზიზღარი ჩანდა, გაცილებით საზიზღარი, ვიდრე ოდესმე წინათ. მოწითალო ლაქა კი, რომელიც ხელზე ემჩნეოდა, ახლა უფრო ნათლად და ახლად დაღვრილი სისხლისფრად მოჩანდა. დორიანს გააჟრჟოლა. ნუთუ მხოლოდ პატივმოყვარეობამ ჩაადენინა ერთადერთი კეთილი საქმე, თუ სულისათვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობ შეგრძნებათა წარმოქმნის დაუძლეველმა სურვილმა? როგორც ლორდ ჰენრიმ გადაუკრა სიტყვა, ამ ბოლო ხანს დამცინავი ღიმილით, ან იქნებ სწრაფვამ, რათა საკუთარი თავისა და ქვეყნიერების წინაშე წარვდგეთ უფრო თავმოწონებული, ვიდრე სინამდვილეში ვართ? თუ ყველაფერი ეს ერთად აღებული ამოქმედებდა, რისთვის იყო ეს წითელი სისხლის ლაქა ასე გადიდებული წინანდელთან შედარებით? ის რომელიღაც გადამდები სნეულებასავით მოსდებოდა ამჟამად ხელს და დანაოჭებულ თითებამდეც კი მიეღწია. სისხლის ნაკვალევი დამჩნეოდა ფეხებზედაც, ნუთუ ის ხელიდან წვეთავდა, იმ ხელიდან რომელიც დანას არ შეხებია. აღიაროს შეცოდებანი? ნუთუ ეს ყოველივე იმას მოასწავებდა, რომ უნდა გამოტეხილიყო. თვით გასცეს საკუთარი თავი და გასწიროს სასიკვდილოდ? დორიანმა გაიცინა, ეს ხომ შემაძრწუნებელზე შემაძრწუნებელი აზრია. მაგრამ თუნდაც რომ აღიაროს, მერედა ვინ ერწმუნება მის ნათქვამს? მოკლული ადამიანის კვალი სამუდამოდ გაქრა. ყოველი ნივთი რაც კი ბეზილს ეკუთვნოდა, სრულიად მოისპო. მან ხომ თვითონვე დაწვა ცეცხლში, რაც კიბის ქვეშ ყველასაგან ფარულად ჰქონდა გადანახული საიდუმლო საფარში? ხალხი მხოლოდ იმას იფიქრებს, რომ უბრალოდ ჭკუიდან შეიშალა, თუ, რა თქმა უნდა, დაიჟინებს და ამ სიტყვების მტკიცებას მოჰყვება. ალბათ სულით ავადმყოფთა თავშესაფარში მოათავსებენ. თუმცა მისი ვალია, გამოტყდეს. საზოგადოების მკაცრი გაკიცხვა გადაიტანოს და აუტანელ წამებასაც კი არ აარიდოს თავი. საზოგადოების წინაშე მოინანიოს ჩადენილი ცოდვა და სასახელოდ გაუძლოს ამ თავლაფის დასხმასა და შერცხვენას. არსებობს ამქვეყნად ღმერთი, რომელიც მოუწოდებს ყოველ ადამიანს აღიაროს თავისი ცოდვანი მიწისა და ზეცის წინაშე. დიახ, ვერაფერი განწმენდს დორიანს მანამდე, ვიდრე საკუთარ ცოდვას არ აღიარებს გულახდილად. ჩადენილი ცოდვა? დორიანმა მხრები აიჩეჩა. ოჰ, როგორ დაკარგა ბეზილ ჰოლუორდის სიკვდილმა მის თვალში მნიშვნელობა. ის ახლა ჰეტი მორტონზე ფიქრმა გაიტაცა. არა, ეს პორტრეტი, რომელიც მისი საკუთარი სულის სარკეს წარმოადგენდა და თითქოს ნათლად ჭვრეტდა ყოველივეს ამქვეყნად, უდავოდ აცდუნებდა! პატივმოყვარეობა?

ცნობისმოყვარეობა? თვალთმაქცობა? ნუთუ ამ გრძნობათა გარდა სხვა არაფერი მოიძებნებოდა მის თვითაღკვეთაში? არა, აქ ეჩვენებოდა, მაგრამ ვის შეეძლო ემცნო? არა, არავითარი იდუმალება. ის გოგონა მან მხოლოდ პატივმოყვარეობის გამო შეიბრალა და დაინდო და ამ საზარელ პირმოთნეობაში კეთილისმყოფელი ადამიანის ნიღაბით იფარავდა თავს. ხოლო ცნობისმოყვარეობამ აიძულა თვითაღკვეთასა და თავგანწირვასაც კი არ დარიდებოდა. დიახ, მხოლოდ ახლა განჭვრიტა ყოველივე ნათლად.
მაგრამ ეს მკვლელობა? ნუთუ მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევს და არ ჩამოეხსნება? ნუთუ წარსული ასე მძიმე ლოდად უნდა აწვეს მის სულს მარადის? ნუთუ უნდა აღიაროს ყოველივე და ეს აღსარება გარდაუვალია? არასოდეს! მამხილებლად მხოლოდ ერთადერთი უმნიშვნელო საბუთი არსებობს ამქვეყნად - პორტრეტი. მაგრამ ის ახლავე უნდა მოისპოს. ან რისთვის ინახავდა ამდენ ხანს? ერთ დროს სიამესაც კი ჰგვრიდა პორტრეტზე ცვლილებათა თვალთვალი. აკვირდებოდა, როგორ თანდათანობით ეპარებოდა სიბერე, როგორ, მოხუცდა და საზარლად იცვლებოდა პორტრეტზე ასახული ადამიანის გამომეტყველება. ამ ბოლო ხანს კი ამ სიამოვნებასაც ვეღარ განიცდიდა. მისი მოგონება ძილს უკრთობდა ღამით, ხოლო როდესაც სადმე გაემგზავრებოდა, შიში აძრწუნებდა. უცხო თვალს არ ეხილა მისი საიდუმლო. მთელ მის არსებას ენით აღუწერელი მელანქოლია დაეუფლა, რადგან პორტრეტი არც ერთი წამით სიხარულის განცდის საშუალებას არ აძლევდა და მას შეგრძნებისთანავე აცამტვერებდა. პორტრეტი თითქოს მის სინდისად იქცა. დიახ, სინდისად, ამიტომაც უნდა მოესპო ის.
დორიანმა ირგვლივ მიმოიხედა და იმ დანას მოჰკრა თვალი, რომლითაც ბეზილ ჰოლუორდი გამოასალმა წუთისოფელს. დანას დააკვირდა, რამდენჯერმე გაწმინდა, რომ ლაქის კვალი არსად დამჩნეოდა. ის ბრწყინავდა და ლამპის მკრთალ შუქზე ლაპლაპებდა. რადგან შეძლო და მხატვარი გააქრო ამ ქვეყნიდან, მისი ქმნილებაც უნდა მოესპო. დიახ, ყველაფერი უნდა დაესამარებინა, რაც მასთან ასე განუყრელად იყო დაკავშირებული. წარსული უნდა მოეკლა. დიახ, როდესაც წარსული ისტორიას ჩაბარდება, დორიანიც მხოლოდ მაშინ იგრძნობს თავისუფლებას! ბოლოს მოუღებს ზებუნებრივი სულის არსებობას პორტრეტზე. თვალზედითი და ავის მომასწავებელი ნიშნებიც სამარადჟამოდ გაქრება და მხოლოდ მაშინ თუ დამშვიდდება მისი სულიც.
დორიანმა დანას ხელი დასტაცა და სურათს მთელი ძალით დაჰკრა. საზარელი ყვირილი გაისმა და რაღაც მძიმე საგნის დაცემის ხმა, მაგრამ ხმა იმდენად შემაძრწუნებელი და გულშემზარავი იყო, რომ შიშით დაფეთებული მსახურები თავიანთი ოთახებიდან გულგახეთქილნი გამოცვივდნენ. ქუჩაში, სახლთან ახლოს, ორ ჯენტლმენს ეს ამაზრზენი ხმა შემოესმა. ისინი განცვიფრებით შედგნენ და ამ საოცრად დიდ სახლს გაკვირვებით დაუწყეს თვალიერება, მერე პოლიციელის საძებრად გაეშურნენ და სახლთან მოიყვანეს. პოლიციელმა რამდენჯერმე დარეკა ზარი, მაგრამ პასუხი არ ისმოდა. მთელი სახლი სიბნელეს შთაენთქა, მხოლოდ ზემო სართულის ერთ-ერთი სარკმლიდან

გამოკრთოდა სინათლე. პოლიციელმა ცოტა შეიცადა, მერე სადარბაზო კარს გასცდა, მომიჯნავე პორტიკაზე შედგა და იქიდან დაუწყო თვალთვალი.
- ვისი სახლია, კონსტებლ? - იკითხა იმ ორ ჯენტლმენს შორის უფროსმა.
- მისტერ დორიან გრეის სახლია, სერ, - უპასუხა პოლიციელმა.
ჯენტლმენებმა ერთმანეთს დამცინავი ღიმილით გადახედეს და გზა განაგრძეს. ერთი მათგანი სერ ჰენრი ეშტონის ბიძა იყო.
სახლის იმ ნაწილში, სადაც მსახურთ ჰქონდათ ოთახები მიჩენილი, ნახევრადჩაცმული ხელშინაურნი შეშფოთებული ჩურჩულით რაღაცას ამცნობდნენ ერთმანეთს. მისის ლიფი ტიროდა და ხელებს იმტვრევდა. ფრენსისს კი სიკვდილის ფერი დასდებოდა.
დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ მან მეეტლე და ერთი ლაქია გამოიხმო და სამივემ ფრთხილი ნაბიჯით ზემო სართულისაკენ გასწიეს. დააკაკუნეს, მაგრამ არავინ გამოეპასუხა, მერე ხმამაღლა დაიწყეს ძახილი. ჩამიჩუმიც კი არსაიდან მოისმოდა. ბოლოს ამაო ცდის შედეგად, რომ კარი როგორმე გაეღოთ, სახურავზე ავიდნენ და იქიდან აივანზე თოკით დაეშვნენ, საკეტი ძველი აღმოჩნდა და სარკმელები იოლად გახსნეს.
ოთახში შევიდნენ თუ არა, თვალი მოჰკრეს კედელზე მათი პატრონის შესანიშნავ პორტრეტს, სწორედ ისეთს, როგორიც მათ თვით დორიანი ნახეს უკანასკნელად - განსაცვიფრებელი სილამაზის ჭაბუკი, ახალგაზრდული ცეცცხლით აღსავსე. იატაკზე კი ფრაკში გამოწყობილი ვიღაც მიცვალებული კაცი ესვენა. დანა ჯერ ისევ გულში ჰქონდა ჩასობილი, სახე მთლიანად ნაოჭებს დაეფარა, გაფითრებულიყო და საზიზღარი გამომეტყველება აღბეჭდოდა საკმაოდ ხანდაზმულ სახეზე. მსახურები მხოლოდ ბეჭდებით მიხვდნენ მის ვინაობას.
სქოლიო
[1] გროუვნერი - სურათების გალერეა ლონდონში, დააარსა ლინდეს კუსტიმ 1877 წელს.
[2] ადონისი - ბერძნული მითოლოგიით ულამაზესი ყმაწვილი კაცი, ქალღმერთ აფროდიტეს მიჯნური.
[3] ვენეციელები - ამ შემთხვევაში ეწოდება ვენეციელთა ფერწერული სკოლის წარმომადგენლებს, რომლებიც მაღალარისტოკრატიული სტილით და ცოცხალი, შესანიშნავი კოლორიტული ღირსებით გამოირჩეოდნენ. ამ სკოლის მთავარი წარმომადგენლები არიან ფერმწერ ბელინთა ოჯახი, ჯორჯინე ტიციანი, ვერონეზე, ტინტორეტო, და სხვები (XVI-XVII საუკ.- ში).
[4] ანტინოე - მცირე აზიის ჩრ. დასავლეთით მდებარე ისტორიული ადგილის მკვიდრი, დაბადების თარიღი ცნობილი არ არის. გარდაიცვალა ჩვენი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნეში. გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სილამაზით, იყო რომის იმპერატორის - ადრიანეს უსაყვარლესი პიროვნება. ანტინოეს გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ნილოსში დაიხრჩო, იმპერატორმა ბრძანა, იგი წმინდანად ეღიარებინათ და მის პატივსაცემად ეგვიპტეში აღაშენეს ქალაქი ანტინოპოლი.
[5] ელინიზმი - ანტიკური პერიოდის პირობითი სახელწოდებაა. ელინიზმის

იდეალებისადმი სწრაფვა ნიშნავს - თავისუფალი, შეუბორკავი, რეალური, ადამიანი ფორმებისადმი სწრაფვას, რომელიც უარყოფს ბნელით მოცულ შუასაუკუნეობრივ მახინჯ ფორმებს მხატვრობასა და ქანდაკებაში.
[6] „ორლეანი“ - რესტორანის სახელწოდება ლონდონში.
[7] იტონი - ვაჟთა არისტოკრატიული დახურული კოლეჯი ინგლისში.
[8] ჰედონიზმი - მიმართულება ეთიკაში. ამტკიცებს, რომ განცხრომა და სიამოვნება წამოადგენს ცხოვრების ნამდვილ მიზანს და მის უდიდეს სიკეთეს.
[9] ჰერმესი - ბერძ. მითოლოგიით საძოვრების, გზებისა და ვაჭრობის ღვთაება.
[10] ფავნი - ბერძნული მითოლოგიით ფერმესის შვილი. პირველად ითვლებოდა მწყემსების მფარველად, მერე კი მთელი ბუნების მფარველობა დააკისრეს. გამოსახული იყო რქოსან ადამიანად თხის ფეხებით და წვერით.
[11] ოლბენი - არისტოკრატიული კვარტლის ერთ-ერთი შესანიშნავი შენობა ლონდონში, აშენებულია 1770-1791 წლებში. სახლის მფლობელი იყო იორკისა და ოლბენის მთავარი.
[12] იზაბელა (1890 – 1904) - ესპანეთის დედოფალი იზაბელა მეორე.
[13] პრიმი, ხუანი (1814-1870) - ესპანელი პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი, პროგრესისტთა ლიდერი, კონტიტუციური მონარქიის დამცველი, ბრძოლას აწარმოებდა დიქტატორული ხელისუფლების წინააღმდეგ. რამდენჯერმე შეეცადა მოეწყო აჯანყება იზაბელა მეორის საწინააღმდეგოდ. რევოლუციის მერე პრემიერმინისტრად დაინიშნა.
[14] ლურჯი წიგნი - ასეთი სახელწოდებით ქვეყნდება პრესაში ინგლისის პარლამენტის დადგენილებანი და სხვა ოფიციალური ცნობები. ხანდახან ლურჯ წიგნს უწოდებენ ინგლისის თვალსაჩინო მოღვაწეთა და წინაპართა სიას, რომელთაც სახელმწიფოებრივი თანამდებობები უჭირავთ.
[15] ბერკლის მოედანი - არისტოკრატული კვარტლის მოედანი ინგლისში. სახელწოდება მიღებულია ერთ-ერთი არისტოკრატიული გვარიდან.
[16] დრიადი - ტყის ნიმფა.
[17] პლატონი (427 – 347 ძვ.წ.) - ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე, ობიექტურ-იდეალისტური მიმდინარეობის ერთ-ერთი შემქმნელი ფილოსოფოსი.
[18] ისტ-ენდი - ღარიბთა რაიონი ლონდონში.
[19] სილენუსი - ძველი ბერძნული მითოლოგიით ტყის ერთ-ერთი ღვთაების განსახიერება, დიონისეს ან ბახუსის თანამგზავრი, წარმოდგენილია მთვრალი მოხუცის სახით და ხელში ტიკჭორა უჭირავს.
[20] ათენიუმი - ლიტერატურული კლუბი ლონდონში.
[21] მეიფერი - ლონდონის ერთ-ერთი არისტოკრატიული უბანი.
[22] მარგარიტა ვალუა (1492-1549) - ნავარიის დედოფალი, მწერალი, ჰუმანისტი, მის ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის „ჰეპტამერონი“ ანუ „ასი ნოველა“. მწერალი ზოგიერთ მათგანში დასცინის კათოლიკურ ეკლესიას.
[23] „ასი ნოველა“ (ფრანგ.)
[24] „ ლოენგრინი“ - კომპოზიტორ ვაგნერის ოპერა.
[25] ორქიდეა - მცენარეა.

[26] ფერ-უმარილი (ფრანგ.)
[27] მახვილგონიერება (ფრანგ.)
[28] პიკადილი - ვესტ-ენდის ერთ-ერთი მხიარული ქუჩა, სადაც თავმოყრილია მაღაზიები.
[29] გინეა - ინგლისური ოქროს ფული (21 შილინგი).
[30] დიდი გრძნობა (ფრანგ.)
[31] ჩვენი წინაპრები ყოველთვის მართალნი არ იყვნენ (ფრანგ.)
[32] როზალინდა - შექსპირის კომედიის „როგორ მოგწონთ თქვენ“ მთავარი მოქმედი პირი.
[33] იმოჯენი - შექსპირის კომედიის „ციმბელინის“ პერსონაჟი.
[34] არდენის ტყე - ბელგიაშია, ლუქსემბურგის ახლოს.
[35] ვივისექცია - ცხოველის ცოცხალ ოგანიზმზე ცდის ჩატარება.
[36] მესალინა - ვალერია მესალინა, რომაელი იმპერატორის კლავდიუსის მეუღლე, სიმკაცრითა და უზნეობით სახელგანთქმული ქალი (პირველი საუკუნე ჩ.წ.).
[37] ტანაგრას ქანდაკება - ბერძნული სტილის ულამაზესი ქანდაკება, გათხრების დროს ნაპოვნია საბერძნეთის მთებში და წააგავს ანტიკური ხანის ქანდაკებას.
[38] მირანდა - შექსპირის „ქარიშხლის“ პერსონაჟი.
[39] შექსპირის ტრაგედია - „რომეო და ჯულიეტა“, მოქმედება I, სურათი V, დარბაზი კაპულეტის სახლში. თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა.
[40] შექსპირი, „რომეო და ჯულიეტა“, მოქმედება I, სურათი II, კაპულეტის ბაღი. თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა.
[41] შექსპირი, „რომეო და ჯულიეტა“, მოქმედება I, სურათი II, კაპულეტის ბაღი. თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა.
[42] კოვენტ გარდენი - ხილისა და ბოსტნეულის ყველაზე დიდი ბაზარი ლონდონში.
[43] პიაცა - იტალიური ღია დერეფანი ლონდონში. კოვენტ გარდენში მას უჭირავს ჩრდ. აღმოსავლეთი ნაწილი.
[44] ოპალი - ძვირფასი ქვა.
[45] ლუი მეთოთხმეტე (1638-1715) - საფრანგეთის მეფე 1643 წლიდან. მის საქვეყნოდ ცხნობილ სასახლეს წარმოადგენდა ვერსალი, რომელიც განთქმული იყო ენით აღუწერელი ფუფუნებითა და განსაცვიფრებელი ცერემონიალით.
[46] პატი, ადელინა (1843-1910) - სახელგანთმული იტალიელი მომღერალი ქალი.
[47] ფარსი - მსუბუქი კომედია. ტლანქი ხუმრობა თანამედროვე გაგებით.
[48] მოვარდისფრო-ლილისფერი (ფრანგ.)
[49] ჯეკობი (1603-1625) - ინგლისის მეფე იაკობ პირველი.
[50] უებსტერი, ჯონი (1584 – 1625) - ინგლისელი მწერალი.
[51] ფორდი, ჯონი (1586-1640) - ინგლისელი პოეტი და დრამატურგი.
[52] გოტიე - თეოფილ გოტიე, მე-19 საუკუნის ფრანგი რომანტიკოსი პოეტი, ქადაგებდა თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.
[53] ნუგეშისცემა ხელოვნებით (ფრანგ.)

[54] პარისი - ტროადის მეფის ვაჟიშვილი. გამოირჩეოდა უჩვეულო სილამაზით.
[55] ადრიანე - (117-138) - რომის იმპერატორი.
[56] ბოლონია - ქალაქი იტალიაში.
[57] მიქელანჯელო ბუანაროტი (1475-1664) - აღორძინების ეპოქის უდიდესი მხატვარი, გენიალური იტალიელი მოქანდაკე, არქიტექტორი და პოეტი.
[58] მონტენი (1533-1592) - ფრანგი მწერალი.
[59] ვიკელმანი (1717 – 1760) - ანტიკური ხელოვნების სახელგანთქმული ხელოვნებათმცოდნე, ისტორიკოსი.
[60] კასონე - დიდი იტალიური საკრავი.
[61] დანტე - დანტე ალიგიერი (1265-1321) - დიდი იტალიელი პოეტი, „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი.
[62] პოლმელი - ქუჩა ინგლისში, სადაც თავმოყრილია არისტოკრატთა კლუბები.
[63] ნერონი (37-68 წ.) - რომის იმპერატორი, დიდი სიმკაცრე გამოიჩინა სენატორთა ოპოზიციის წინააღმდეგ.
[64] მოდების დამკანონებელი (ლათ.)
[65] ანგელოზთა პური (ლათ.)
[66] ნარდი - მცენარეა.
[67] ჯურუპარისი - ინდიელთა მუსიკალური ინსტრუმენტი (სამხ. არგენტინა).
[68] კუცკო - ქალაქი პერუში (სამხ. ამერიკა).
[69] ტეპონაცტილი - მექსიკური მუსიკალური ინსტრუმენტი ცილინდრული დაფით, ოთხ ხმას გამოსცემს.
[70] აცტეკი - მექსიკაში შემორჩენილი ინდიელი მოსახლეობა.
[71] „დარიგებანი კლერიკალთათვის“ (ლათ.)
[72] ემათია - ასე უწოდებენ ძველ მაკედონიას.
[73] ფილოსტრატე - რომში მოღვაწე ოთხი ბერძენი მწერლის სახელი: მათ შორის ყველაზე მეტად სახელგანთქმული ფილოსტრატე ცხოვრობდა მეორე საუკუნის დასასრულს.
[74] დემოკრიტე (430-370 ძვ. წ.) - ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, მატერიალისტი.
[75] იოანე მღვდელი (ჯონ პრისტი) - შუა საუკუნეების ლეგენდარული ქრისტიანი მეფე და მღვდელი. როგორც ფიქრობენ, მისი სამეფო აზიაში ან აფრიკაში უნდა ყოფილიყო.
[76] ლოჯი - ტომას ლოჯი (1558-1625) - ინგლისელი დრამატურგი, რომანისტი და პოეტი.
[77] მარკო პოლო (1254-1323) - სახელგანთქმული ვენეციელი მოგზაური.
[78] ზიპენგუ - ასე იხსენიებს მარკო პოლო თავის ნაშრომებში იაპონიას.
[79] პეროზი - (475-434 ძვ.წ.) - ირანის მპყრობელი.
[80] მალაბრია - ინდოსტანის დასავლეთ სანაპირო.
[81] ალექსანდრე მეექვსე (1492-1503) - ბორჯია, რომის პაპი.
[82] ბრანტომი (1540-1614) - ფრანგი მწერალი, თავისი თანამედროვე არისტოკრატიის ცხოვრების აღმწერი.
[83] ჰოლი - ინგლისელი ისტორიკოსი, გარდაიცვალა 1547 წელს.

[84] ჰენრი მერვე (1491-1547) - ინგლისის მეფე.
[85] ტაუერი - შუასაუკუნებრივი ციხე-დარბაზი ლონდონში, ამჟამად მუზეუმი.
[86] ედვარდ მეორე - ინგლისის მეფე, მეფობდა 1307- 1327 წლებში.
[87] ჰენრი მეორე (1284-1327) - ინგლისის მეფე.
[88] ვერალიუმი - ქსოვილი, რომლითაც ძველ რომში ამფითეატრს ფარავდნენ ზემოდან, მაყურებელთა დასაცავად მზესა და წვიმაში.
[89] აპოლონი - ძველი ბერძნული მითოლოგიით მზისა და სინათლის ღმერთი, ხელოვნების მფარველი, განსაკუთრებით პოეზიისა და მუსიკის.
[90] პონტუსი - შესაძლოა, პონტუს დე თრიადი (1521 – 1605) - ფრანგი პოეტი და ეპისკოპოსი.
[91] ქალბატონო, ბედნიერების მწვერვალს ვეწვიე (ფრანგ)
[92] იოანა ბურგუნდიელი (1326-1360) - ფილიპ ბურგუნდიელის მეუღლე. რომელიც შემდეგ საფრანგეთის მეფედ აკურთხეს.
[93] ეკატერინე მედიჩი (1519-1589) - საფრანგეთის დედოფალი, ვაჟიშვილის შარლის მცირეწლოვანების პერიოდში - რეგენტი.
[94] შროშანი (ფრანგ.)
[95] ქარლტონ ჰაუსი - გავლენიანი პოლიტიკური კლუბი ლონდონში.
[96] ტიბერიუსი (კლავდიუს ტიბერიუს ნერონი 421 ჩვ. წ.) - რომაელი იმპერატორი, გამოცდილი მხედართმთავარი და დიპლომატი. ცხოვრების უკანასკნელი წლები გაატარა კუნძულ კაპრზე.
[97] ელფანტისი - ბერძენი მწერალი ქალი. ცხოვრობდა პირველ საუკუნეში ჩ.წ. მთელი მისი პოეზია და პროზა ეროტიკულ მოტივზეა აგებული.
[98] კალიგულა - რომის იმპერატორი. ენით აღუწერელი დესპოტი, რამაც დიდი სიძულვილი აღძრა თითოეული მხედრის გულში. ღალატით მოკლეს შეთქმულებმა.
[99] დომიციანო (81-96) - რომაელი იმპერატორი, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ეჩვენებოდა, რომ მკვლელის აჩრდილი სდევდა. მართლაც საკუთარ საწოლში ხანჯლით მოკლეს.
[100] ცხოვრებისაგან დაღლა, რომელიც ხშირად თვითმკვლელობის მიზეზად იქცევა ხოლმე.
[101] ელაგაბალუსი ან ჰელიაგაბალუსი - თოთხმეტ წლამდე ეს ჭაბუკი სირიაში მზის მაღმერთებელი ხალხის მიერ მის მსხვერპლად იყო მიჩნეული, ხოლო 218 წელს, თოთხმეტი წლის ასაკში, რომის იმპერატორად აკურთხეს.
[102] ფორმოზუსი (816-896) - რომის პაპი.
[103] სიქსტე მეოთხე, (1471-1484) ფრანჩესკო დელა როვერე - რომის პაპი.
[104] ჰ ა ნ ი მ ე დ ი - ბერძნული მითოლოგიით ულამაზესი ჭაბუკი, ზევსმა მოიტაცა და საკუთარ მერიქიფედ აქცია.
[105] პილასი - ბერძნული მითის მიხედვით ჰერკულესის სატრფო ვაჟი.
[106] ეზელინი - კათოლიკური ეკლესიის და პაპიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ჭაბუკი, მოხსენებულია დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“. დიდი ძალაუფლების მქონე იტალიური ოჯახის შთამომავალი.

[107] სიგიზმუნდო მალატესტა - რიმინის მლობელი, აღვირახსნილი პიროვნება, მაგრამ ამავე დროს დიდად განათლებული, ლიტერატურისა და ხელოვნების მფარველი.
[108] დადლის გალერეა - კერძო სამხატვრო გალერეა ლონდონში, რომელიც ლორდ დადლის ეკუთვნოდა.
[109] მენტონი - ქალაქია სამხრეთ საფრანგეთში.
[110] ჟაკმარი (1837-1880) - ფრანგი გრავიორი.
[111] შარპანტიე (1805-1871) - ფრანგი გამომცემელი.
[112] ლასნერი - ფრანგი მოქალაქე, დაიბადა 1800 წელს. დასაჯეს პარიზში 1836 წელს. მრავალ მძიმე დანაშაულთა ჩამდენი. ციხეში დაწერა მოგონებანი.
[113] რომელზედაც ჯერ არ წარეცხილიყო გარდასულ ტანჯვათა კვალი და ზედ ისევ წარუშლელად აჩნდა ყოველი (ფრანგ)
[114] თარგმანი კოლაუ ნადირაძისა.
[115] ლიდო - საბანაო ნაპირი ვენეციაში.
[116] კამპალინი - სამრეკლო (არქიტექტურული თვალსაზრისით ულამაზესი).
[117] ტინტორეტო (1518-1594) - გამოჩენილი იტალიელი მხატვრის ჯაკომო რუბუსტის ფსევდონიმი.
[118] თანხმობის მოედანი - პარიზის ცენტრშია. მოედანზე აღმართულია ლუკსორის ობელისკი. ლუკსორი ამონის ტაძრის ნანგრევთა ნაშთია, რომელიც ნილოსის მარჯვენა სანაპიროზე იდგა. 1831 წელს ობელისკი პარიზში ჩამოიტანეს და საფრანგეთის მეფე ლუი ფილიპეს საჩუქრად მიართვეს.
[119] იბისი - ნილოსის სანაპიროს მკვიდრი ფრინველი.
[120] მომაჯადოებელი ურჩხული (ფრანგ.)
[121] ლუვრი - ფრანგ მონარქთა ყოფილი სასახლე. 1793 წ. ლუვრში გაიხსნა მუზეუმი.
[122] პორფირი - თეთრი ან წითელი მაგარი ქვა.
[123] რუბინშტეინი - ანტონ გრიგორის ძე (1829-1896) დიდი რუსი პიანისტი და კომპოზიტორი.
[124] გულმოდგინება (ფრანგ.)
[125] გამბედაობა (ფრანგ.)
[126] საუკუნის დასასრული (ფრანგ.)
[127] ქვეყნიერების დასასრული (ფრანგ.)
[128] დებრეტი - ინგლისელი გამომცემლის გვარია. მან გამოაქვეყნა ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის პერთა გენეალოგია.
[129] ტონური საშუალებანი - იგულისხმება წამლები.
[130] სოვერენი - ინგლისური ოქროს ფული.
[131] ტარტიუფი - ფრანგი მწერლის მოლიერის კომედიის „ტარტიუფის“ მთავარი მოქმედი პირი. ტარტიუფის სახელი თვალთმაქცობისა და ფარისევლობის სიმბოლოა.
[132] „ბერძენი ბერძენთა წინააღმდეგ“ - ოდნავ შეცვლილი ფრაზა ნათანიელის დრამიდან (1653-1692). ორი თანაბარი ძალის მქონე მოწინააღმდეგეთა შეხვედრა.

[133] პართელთა მსგავსად - ძველი პართელნი ბრძოლის დროს ყოველი ისრის გასროლის შემდეგ ცხენს შემოაბრუნებდნენ, თითქოს გაქცევას აპირებდნენ ბრძოლის ველიდან.
[134] არტემიდა - ნადირობის ქალღმერთი (ბერძნული მითოლოგიით).
[135] მარწყვის ფოთლები - ინგლისელთა სამთავრო გვირგვინზე მარწყვის ფოთლებია ამოტვიფრული.
[136] პერდიტა და ფლორაზელი - შექსპირის „ზამთრის ზღაპრის“ მოქმედი პირები.
[137] ველასკეზი - მეთექვსმეტე საუკუნის გამოჩენილი ესპანელი მხატვარი.
[138] შექსპირი „ჰამლეტი“ -თარგმანი ივანე მაჩაბლისა, მოქმედება IV, სურათი IV;
[139] მაიორკა - კუნძულია ხმელთაშუა ზღვაში.
[140] მარსიასი - ბერძნული მითოლოგიით ღმერთ დიონისეს თანამგზავრი. მითის თანახმად მარსიასს გაუბედავს მონაწილეობა მიეღო აპოლონის წინააღმდეგ მუსიკალურ შეჯიბრებაში. ამ შეჯიბრებაში მარსიასი დამარცხებულა, აპოლონს უბრძანებია, ტყავი გაეძროთ მისთვის. მას შემდეგ მარსიასის სახე ლიტერატურაში თავის თავში თვითდარწმუნებული უმეცრების განსახიერებაა.
[141] ბრაუნინგი (1812- 1889) - ინგლისელი პოეტი.__